

თსუ პაატა ბუგუშვილის  
ეკონომიკის ინსტიტუტის  
სამეცნიერო

შრომების პრებული

VI

მთავარი რედაქტორი

რამაზ აბესაძე

ხამეცნიერო-ხარედაქციო კოლეგია

ნ. არევაძე, გ. ბერულავა, ნ. ბიბილაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ვ. ბურდული, შ. გოგიაშვილი, ლ. დათუნაშვილი, გ. ერქომაიშვილი, გ. კაკულია, მ. კვარაცხელია, ა. კურატაშვილი, თ. ლაზარაშვილი, ი. ნათელაური, ვლ. პაპავა, რ. სარჩიმელია, თ. ჩხეიძე, ნ. ხადური, მ. ხუსკივაძე, რ. ჯავახიშვილი

თსუ პაატა ბუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის  
გამომცემლობა

თბილისი 2013

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულში ქვეყნდება ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა და საქართველოს მეცნიერ-ეკონომისტთა ნაშრომები, რომლებიც ეძღვნება თანამედროვე აქტუალურ ეკონომიკურ პრობლემებს.

კრებული განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის და დახმარებას გაუწევს არა მხოლოდ სპეციალისტებს, არამედ ეკონომიკის საკითხებით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს.

რედაქციის შეხედულება შესაძლოა არ ემთხვეოდეს ავტორის აზრს და იგი პასუხს არ აგებს ინფორმაციის სიზუსტეზე

© თსუ ააატა ბუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის  
გამოცემლობა  
2013

**PROCEEDINGS OF  
SCIENTIFIC WORKS OF  
PAATA GUGUSHVILI INSTITUTE  
OF  
ECONOMICS OF TSU**

**VI**

*Editor-in-chief*

**Ramaz Abesadze**

*Scientific-Editorial Board*

**N. Arevadze, G. Berulava, N. Bibilashvili (executive secretary), V. Burduli, T. Chkheidze, L. Datunashvili, G. Erkomaishvili, Sh. Gogiashvili, R. Javakhishvili, E. Kakulia, N. Khaduri, M. Khuskivadze, A. Kuratashvili, M. Kvartskhelia, T. Lazarashvili, I. Natelauri, V. Papava, R. Sarchimelia**

**PUBLISHING HOUSE OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE  
OF ECONOMICS OF TSU**

**TBILISI 2013**

*UDC (გვ.) 061.62: 33(479.22)(045)*  
*3 - 121*

**The proceedings of scientific works of Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University publishes the works of Institute researchers and scientists-economists of Georgia dedicated to current actual economic problems.**

**The proceedings are intended for a wide range of readers and will assist not only professionals but those concerned with issues of economy.**

**The views of scientific-editorial board do not necessarily reflect author's option and it accepts no responsibility for the accuracy of information**

**© Publishing House of Paata Gugushvili Institute of  
Economics of TSU  
2013**

**ISSN 1987 - 6904  
9771987690003**

## რაგაზ აბესაძე კონსოლიდირებული ეკონომიკა და ეკონომიკური რეზისი

**კონსოლიდირებული ეკონომიკა.** ეკონომიკის განვითარების ისტორია გვიჩვენებს, რომ ეკონომიკა დამოკიდებული ხდება მასზე მოქმედ სულ უფრო მეტ ფაქტორზე. მაგალითად, თუ ტრადიციულ ეკონომიკაზე ყველაზე დიდ გავლენას ახდენდა ბუნებრივი ფაქტორები (გვალვა, წყალდიდობა, ქარიშხალი და ა.შ.), თანამედროვე ეკონომიკა მეტად მგრძნობიარება და ძლიერ რეაგირებს არა მხოლოდ ეკონომიკაზე უშუალოდ მოქმედ (ტექნოლოგია, კაპიტალი, შრომა, საჯუთოების ფორმები, ინსტიტუციები და ა.შ.), არამედ გარეშე ფაქტორების ცვლილებებზეც (სოციალური სფერო, კულტურა, განათლება, ხელოვნება, სპორტი, მთავრობის პოლიტიკა და ა.შ.). ამდენად, ეკონომიკური განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე, მოითხოვება ამ ფაქტორთა გარკვეული კონსოლიდაცია, რათა ეკონომიკური სისტემა მუდმივად მიმართული იყოს ეკონომიკური განვითარებისა და, ამის საფუძველზე, ეკონომიკური ზრდისაკენ. ასეთ ეკონომიკურ სისტემას შეიძლება ვუწოდოთ კონსოლიდირებული ეკონომიკური სისტემა ან უბრალოდ კონსოლიდირებული ეკონომიკა.

კონსოლიდირებული ეკონომიკა არის ისეთი ეკონომიკა, რომელზეც მოქმედ ფაქტორთა ერთობლიობა ხელს უწყობს ეკონომიკურ განვითარებას, ანუ მის თვისებრივად ახალ, უფრო სრულყოფილ მდგრადარებელი გადასვლას.

კონსოლიდირებული ეკონომიკა არის მრავალფაქტორიან ეკონომიკურ განვითარებაზე ორიენტირებული საბაზრო მექანიზმები დაფუძნებული ეკონომიკა, რომლის კონსოლიდაციის მაღალ სარისეს უზრუნველყოფს სახელმწიფო. ასეთ ეკონომიკაში განსაკუთრებით დიდია სახელმწიფოს როლი, ვინაიდან ეკონომიკა იმდენად ფაქტია ყველა მასზე მოქმედ ფაქტორთა მიმართ, რომ აუცილებელია არა მხოლოდ უშუალოდ ეკონომიკის რეგულირება, არამედ ისეთი საშინაო და საგარეო პოლიტიკის განსორციელება, რომელიც გაზრდის ეკონომიკის კონსოლიდაციის სარისეს. სახელმწიფოს ეკონომიკური და სხვა ფუნქციების ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად განხორციელება, შეიძლება, ეკონომიკისათვის ძლიერ დიდი ნეგატიური შედეგებით დასრულდეს

კონსოლიდირებულია თუ არა ეკონომიკა არ არის დამოკიდებული ეკონომიკის განვითარების სარისხზე. კონსოლიდი-

რებული და არაკონსოლიდირებული შეიძლება იყოს როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვექნის ეპონომიკა. იგი ძირითადად დამოკიდებულია სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის “მესაჭის” ფუნქციის განხორციელებაზე თუ მასზე გარე და-მოუკიდებელი უარყოფითი ფაქტორის ძლიერ მოქმედებას არ აქვს აღილი.

სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის მესაჭის ფუნქციის განხორციელება სრულიადაც არ გამორიცხავს ეკონომიკის ლიბერალიზაციას, პირიქით, იგი სწორედ ლიბერალური ეკო-ნომიკის მოთხოვნებს უნდა ეყრდნობოდეს.

**ეკონომიკური რეგრესი.** რასაკვირველია, ისეთი იდეალური მდგომარეობის მიღწევა, როდესაც ყველა ფაქტორი მიმართული იქნება ეკონომიკური განვითარებისაკენ, პრაქტიკულად შეუძლებელია. ამდენად, ეკონომიკაში ერთდროულად ადგილი აქვს მასზე მოქმედ ფაქტორთა როგორც დადებით, ისე უარყოფით გავაქს ეკონომიკურ განვითარებასთან, ხოლო საწინააღმდეგო შემთხვევაში ეკონომიკა თვისებრივი თვალსაზრისით განიცდის უკუსვლას, ანუ მასში ვითარდება განვითარების საწინააღმდეგო პროცესები, რასაც ეკონომიკური რეგრესი შეიძლება ვუწოდოთ. ასეთი ეკონომიკა არ არის კონსოლიდირებული, რადგან ეკონომიკაში მასზე მოქმედ ფაქტორთა ჯამური მოქმედება იწვევს ეკონომიკის თვისებრივად უფრო დაბალ მდგომარეობაში გადასვლას.

**ეკონომიკური რეგრესი არის ეკონომიკის ახალ, თვისებრივად უფრო დაბალ მდგომარეობაში გადასვლა.**

ყოველი ქმედება კონსოლიდირებული ეკონომიკის მოთხოვნათა წინააღმდეგ ეკონომიკაში იწვევს უარყოფით პროცესებს, იგი შეიძლება საბაზო ეკონომიკისათვის დამახასიათებელ ჩავარდნებოთანაც იყოს დაკავშირებული.

იბადება კითხვა – ერთი და იგივე მოვლენაა თუ არა ეკონომიკური რეგრესი და ეკონომიკური კრიზისი? ეკონომიკური კრიზისი სისტემის ელემენტებს შორის მეტად გამწვავებული წინააღმდეგობების გადაწყვეტის საშუალებაა. იგი ეკონომიკური რეგრესის შედეგად წარმოიშობა, რომელსაც ეკონომიკური განვითარება მოჰყვება. ე.ი. კრიზისი ავადმყოფი (რეგრესული) ეკონომიკის განკურნების (თუმცა ხშირად დიდი მსხვერპლის ხარჯზე) პროცესია. ეკონომიკური რეგრესის დროს კი წინააღმდეგობები ხშირად აშეარად თაგს არ იჩენს, პირიქით, შესაძლებელია, დადებით მოვლენადაც კი მოგვეჩენოს, ვინაი-

დან შეიძლება მას მოჰყვეს ეკონომიკური ზრდა. ეს განპირობებულია იმით, რომ (როგორც ეკონომიკური განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის შემთხვევაში) შეიძლება ეკონომიკური რეგრესი და ეკონომიკური დაქვეითება გარკვეულ პერიოდში დროში ერთმანეთს არ ემთხვეოდეს. თუმცა, თუ ეკონომიკური რეგრესი აღმოფხვრილი არ იქნება, იგი ადრე თუ გვიან აუცილებლად გადაიზრდება კრიზისში, რასაც ეკონომიკური სისტემის შეცვლაც კი შეიძლება მოჰყეოს. ეკონომიკური კრიზისი ეკონომიკური რეგრესის აშკარა გამოხატულებაა, რომლის წიაღმისი იბადება ეკონომიკური განვითარების წანმძღვრები, რაც დროებით კიდევ უფრო აძლიერებს კრიზისს, მაგრამ, საბოლოოდ, ეკონომიკური განვითარების პროცესებს ეკონომიკა გამოჰყავს კრიზისიდან და იწყება ეკონომიკური აღმავლობა. მაშასადამე, ეკონომიკურ კრიზისს განაპირობებს ეკონომიკური რეგრესი, მაგრამ ეკონომიკური რეგრესი შესაძლებელია არ გადაიზარდოს ეკონომიკურ კრიზისში თუ დროულად იქნება გატარებული შესაბამისი დონისძიებები.

ეკონომიკურ სისტემაში ეკონომიკურ განვითარებას შეაქვს პროგრესული, ხოლო ეკონომიკურ რეგრესს უარყოფითი ცვლილები. ისტორიული თვალსაზრისით ეკონომიკური განვითარების ტენდენცია მუდმივია, რეგრესი – დროებითი. რეგრესის ხარისხი და მისი ხანგრძლივობა დამოკიდებულია რეგრესის სახეობაზე, მის გამოყმავება ფაქტორებზე, სახელმწიფო წყობაზე, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ეფექტიანობაზე.

ეკონომიკურ რეგრესა და ეკონომიკურ ზრდას შორის დამოკიდებულების განხილვისას შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს შემდეგ შემთხვევებს:

1. ეკონომიკურ რეგრესს მოჰყვება ეკონომიკური ზრდა. ამის მიზეზი ძირითადად ქვეყანაში კრიზისული მოვლენების დიდი ხნით გაგრძელებაა (რასაც ხელს უწყობს გარე და შიგა ომები, სოციალური დაბაბულობა, მთავრობის უუნარობა და ა.შ.), რასაც მოჰყვება სახელმწიფოს ხელში ყველა სადავის აღება, რაც შესაძლებლობას აძლევს მას, დაძლიოს საზოგადოებაში არსებული წინააღმდეგობები და მიაღწიოს ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებს. თუმცა, ამავდროულად, ძლიერდება ეკონომიკური რეგრესი და, საბოლოოდ, ხდება ისევ საბაზრო სისტემაზე გადასვლა ევროლუციური ან რევოლუციური გზით. გამოცდილება აჩვენებს, რომ ეკონომიკური რეგრესი გარკვეული დროის განმავლობაში, სიტუაციიდან გამომდინარე,

შესაძლებელია მიზანშეწონილად მოგვეჩენოს. მაგრამ თუ რეგრესის გამომწვევი მიზეზები აღმოფხვრილი არ იქნა, ეკონომიკური ზრდა შენელდება და, საბოლოოდ, კრიზისით დასრულდება.

**2.** ეკონომიკურმა რეგრესმა მაშინვე გამოიწვიოს ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელება და საბოლოოდ ეკონომიკური დაქვეითება. მაგალითად, პოლიტიკური და კრიმინოგნური სიტუაციის მძაფრ გაუარესებას მოჰყვება ინვესტიციებისა და, მაშასადამე, ზრდის ტემპების შემცირება და შესაბამისი დონისძიებების გატარების გარეშე, საბოლოოდ, ეკონომიკური კრიზისი.

**3.** ეკონომიკური რეგრესი გარევეული დროის განმავლობაში არავითარ გავლენას არ ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე (ან აშკარად არ ჩანს), მაგრამ თანდათან მზადდება პირობები, ჯერ ზრდის ტემპების შესამცირებლად, ხოლო შემდეგ ეკონომიკური დაქვეითებისა და კრიზისისათვის. მაგალითად, საგარეო და საშინაო ვალების ზრდა და მათი არადანიშნულებისამებრ გამოყენება, საბოლოოდ განაპირობებს ინვესტიციების შეკვეცას და სხვა უარყოფით მოვლენებს. მთავრობის არაეკონომიკურ ჩარევებს ბიზნესში ასევე შესაძლებელია მაშინვე არ მოჰყეს შესამჩნევი უარყოფითი შედეგები, მაგრამ თანდათან იგი გახდება მრავალი ნეგატიური პროცესის საფუძველი (რესურსების არარაციონალური განაწილება, კორუფცია, ნეპოტიზმი და სხვ.) და ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელი.

**ეკონომიკური რეგრესის წყაროები.** შეიძლება გაჩნდეს მოსაზრება, რომ ეკონომიკური რეგრესი გამოწვეულია ინოვაციების განხორციელების წყვეტილობით ეკონომიკაში, რაზედაც საუბარია შუმპეტერთან და რაზედაც მიუთითებს საშუალოვადიანი (ვან გოლდერგნის, კლიმენტ ჟეგლიარის, სეიმონ კუზნეცის, ჯოზეფ კიტჩინის) და გრძელვადიანი (ნიკალი კონდრატიევის) ციკლების არსებობა. ეს ციკლები არავითარ კაგშირში არაა ეკონომიკურ რეგრესთან. იგი დაკავშირებულია ეკონომიკური განვითარების წყვეტად ხასიათთან. ბუნებრივია, ამა თუ იმ დარგში ინოვაციებს არ აქვს მუდმივი ხასიათი. ინოვაციები დროთა განმავლობაში ძველდება და დგება ეკონომიკური ზრდის შენელების პერიოდი. ეკონომიკა მეწარმეების, მეცნიერებისა და მთავრობის ერთობლივი მოქმედებით ამაზე კელავ ახალი ინოვაციებით პასუხობს და იწყება ახალი ციკლი. ჩვენი აზრით, ასეთი ციკლების არსებობა უდავოა, მაგრამ

არ არსებობს არავითარი რეალური საფუძველი ასეთი ციკლების მუდმივი პერიოდულობით განმეორებადობისა. ინოვაციური ეკონომიკის პირობებში ასეთი ციკლების ხანგრძლივობა თანდათან მცირდება. საშუალოვადიანი და გრძელვადიანი ციკლების დროს ადგილი აქვს არა ეკონომიკის უპუსვლას, არამედ ინოვაციების მოძველებას, ამის საფუძველზე ზრდის ტემპების შენელებას და სწორედ შენელების დროს ეყრება საფუძველი დადგბით თვისებრივ ცვლილებებს – ეკონომიკურ განვითარებას, რომელიც შედეგს იძლევა ციკლის მომდევნო ნახევარში და იწყება კვლავ ზრდის ტემპების მატება. ეკონომიკურ რეგრესს კი თუ ის დროულად არ აღმოიფხვრა, დროთა განმაგლობაში მოჰყება რეცესია, დაქვეითება და შემდეგ კრიზისი.

მაშასადმე, ეკონომიკურ რეგრესს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც არსებობს ეკონომიკური რეგრესის წარმოშობის სხვადასხვა მიზეზი, რომელიც დაკავშირებულია როგორც ეკონომიკასა და საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებთან და საბაზრო ჩავარდნებთან, ისე მთავრობის მიერ დაშვებულ უნებლივ თუ ნებისო შეცდომებთან. არსებობს ეკონომიკური რეგრესის სხვადასხვა წეარო, ესენია:

**მბიმე სოციალური პირობები.** როდესაც მთავრობას არ შესწევს უნარი, დაამყაროს წესრიგი, შექმნას მყარი ეკონომიკური ზრდისა და მოსახლეობისათვის შესაბამისი ცხოვრების პირობები. ამ მდგომარეობიდან გამოსვლა შეიძლება დამთავრდეს მთავრობაში ახალი ძალების მოსვლით, რომელიც ხელში იდებს სახელმწიფოს მართვის ყველა სადაცეს და სწრაფად აღწევს მნიშვნელოვან წარმატებებს. ეს შეიძლება განხორციელდეს საბაზრო ეკონომიკის უპარუელი შეზღუდვის პირობებში ან ფორმალურად ბაზრის შეუცვლელად.

**პირველი ვარიანტი** განხორციელდა საბჭოთა კავშირში, რომელსაც თავდაპირველად მოჰყვა სწრაფი ეკონომიკური ზრდა, მაგრამ ეკონომიკაში ჩაიდო უარყოფითი მუხტი, რომელმაც, საბოლოოდ, კვლავ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა გამოიწვია. მიგვაჩნია, კვლავ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა დროულად რომ განხორციელებულიყო, საბჭოთა კავშირში მოვლენები, შესაძლებელია, სხვაგვარად განვითარებულიყო.

იყო თუ არა საბჭოთა კავშირის დროს ბაზარი? თქმა იმისა, რომ სოციალიზმის დროს საერთოდ არ არსებობდა ბაზარი, არასწორია. იქ, სადაც არსებობს საქონელგაცვლა, გარკვეული ფორმით არსებობს ბაზარიც. მაგრამ ის საბჭოთა კავშირში არსებობდა უკიდურესად შეზღუდული ფორმით. ამ

შემთხვევაში ბაზრის ბევრ ფუნქციას ითავსებს სახელმწიფო, მაგრამ იგი, თუმცა, დიდი შეზღუდვების პირობებში, მაინც ეყრდნობა ბაზრის მოთხოვნებს. დიდი დაბრკოლებებით, მაგრამ მაინც, სახსრები მიედინება იმ სფეროებში, სადაც მოთხოვნა მეტია. ფასებს სახელმწიფო ადგენს, მაგრამ იგი, გარკვეულწილად, მაინც ეყრდნობა მოთხოვნა-მიწოდების კანონს. კერძო საკუთრება აკრძალულია, მაგრამ იგი მაინც არსებობს, პირადი საკუთრების სახით და ჩრდილოვან ეკონომიკაში. მართალია, საწარმოები საერთო საკუთრებაში იმუფება, მაგრამ მმართველი ჯგუფი მას ეძცევა, როგორც კერძო საკუთრებას, რის შედეგადაც ისინი იდგებდნენ არაკანონიერ, მაგრამ თავიანთი “სამეწარმეო” საქმიანობით მიღებულ შემოსავალს. მაშასადამე საწარმოებში არსებობს დასაქმებულ საქმოსანთა ფენა, რომლებიც, გარკვეულწილად, წარმოადგენენ ბიზნესმენთა თვისებების მატარებლებს<sup>1</sup>. პრინციპში, მათი საქმიანობა დაკავშირებულია დადგით თვისებრივ ქრებთან ეკონომიკაში, გარკვეულ პროგრესთან (ტექნოლოგიების სრულყოფა, ბიუროკრატიის ბატონობის შესუსტბა, წინაპირობების შექმნა საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელად, არაფორმალური ინსტიტუციების სრულყოფა და ა.შ.), ბაზრის არსებობაზე მიუთითებს ასევე საკოლმეურნეო საკუთრებისა და თავისუფალი საკოლმეურნეო ბაზრის არსებობა.

ადსანიშნავია ისიც, რომ, 1927 წლამდე საბჭოთა კავშირში არსებობდა კერძო საკუთრება (ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შესაბამისად) და შემდგებაც, 1956 წლამდე, ფუნქციონირებდა “სარეწი კოოპერაციის” სრულიად განსხვავებული მიმართულებების სამეწარმეო სექტორი (კვების მრეწველობა თუ ლითონგადამამუშავებელი მრეწველობა, საიუველირო საქმე თუ ქიმიური მრეწველობა), სახელოსნოები და საწარმოები (არტელები), რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ საბჭოთა კავშირის ეკონომიკაში. სამეწარმეო სექტორში ფუნქციონირებდა საკონსტუქტორო ბიუროები, ექსპერიმენტული ლაბორატორიები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, არასახელმწიფო საპენსიონ სისტემა, არტელები გასცემდნენ სესხებს და ა.შ.<sup>2</sup> მაშინდელი საბჭოთა მთავრობა, როგორც ჩანს, ხვდებოდა ეკონომიკური რეგრესის უარყოფით შედეგებს

<sup>1</sup> პაპავა ვლ. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, “პდპ”, 2002, გვ. 114-115.

<sup>2</sup><http://perevodika.ru/articles/18491.html>;

და ხელს უწყობდა კერძო საპუთირების განვითარებასა და სამეწარმეო საქმიანობის გაძლიერებას. 1956 წელს ეს სამეწარმეო სექტორი განადგურებული რომ არ ყოფილიყო და გაძლიერებულიყო, საბჭოთა კავშირში მძლავრ ეკონომიკურ აღმავლობას ექნებოდა აღგილი.

შესაძლებელია ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის ეკონომიკა იყო უძინურესად შეზღუდული საბაზრო ეკონომიკა, რის გამოც მას ეწოდა არასაბაზრო – მბრძანებლურ-აღმინისტრაციული ეკონომიკა.

შეორე გზით საბაზრო ეკონომიკის მგაცრი შეზღუდვა, მაგალითად, განხორციელდა გერმანიაში. პიტლერის გამარჯვებას ხელი შეუწყო მმიტე ეკონომიკურმა და სოციალურმა სიტუაციამ, 1928 წლის ეკონომიკურმა კრიზისმა. კლასიკური საბაზრო ეკონომიკა უძლეური იყო, გამოსულიყო მდგომარეობიდან ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის გაძლიერების გარეშე. იგალიაში ამის მიზეზი გახდა მარცხი პირველ მსოფლიო ომში, კოლონიების დაპარგვა და საერთაშორისო შეზღუდვები; ეკონომიკური და სოციალური კრიზისი; მთავრობის უუნარობა ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანისა. აქ ეკონომიკა ვითარდებოდა კერძო საპუთირებისა და კერძო მეწარმების საფუძველზე, მაგრამ კველაფერი ეს ექვემდებარებოდა მთავრობის მოთხოვნებს. მთავრობა აკონტროლებდა ეკონომიკის კველა სფეროს. იზღუდებოდა კერძო საკუთრებაც<sup>3</sup>. ფირმები იმდენად შეზღუდული იყო თავიანთ საქმიანობაში, რომ ისინი არ მიეკუთვნებოდნენ არც კერძო, არც სახელმწიფო საკუთრებას.

საბაზრო ეკონომიკის ძალდატანებითი შეცვლა ან სხვა ეკონომიკური სისტემის ტრასპლანტაცია, რასაც აღგილი ჰქონდა მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში.

არასწორი ეკონომიკური პოლიტიკა. იგი შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა სახით:

1. ეკონომიკის სოციალიზაცია. შერეული ეკონომიკის დროს სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში იზრდება და ზოგჯერ გი გადადის ეკონომიკის სოციალიზაციაში, რასაც მოჰყვება სახელმწიფოს ხელში ხელისუფლების კონცენტრაცია, რაც, თავისთავად, ზღუდავს ეკონომიკურ თავისუფლებას და არის

<sup>3</sup> Payne, Stanley G. A History of Fascism, 1914-1945. Routledge, 1995; Tibor Ivan Berend. An Economic History of Twentieth-Century Europe. Cambridge University Press, 2005. P. 93.

წყარო პატერნალიზმის, ეტატიზმის, ნეპოტიზმის, კორუფციის, შემოსავლების უთანაბრობის ზრდისა და მრავალი სხვა უარყოფითი მოვლენისა. საბოლოოდ, საქმე გვექნება ეკონომიკურ რეგრესთან, რასაც მოჰყვება ეკონომიკური კრიზისი. ამის მიზეზები შესაძლებელია ვებიოთ ეკონომიკურ პარალოგიზმებში (უნებლივ მცდარი ლოგიკით მცდარ დონისძებებზე გასვლა)<sup>4</sup>, ხელისუფლებაში მოსული ადამინისტრისა და, საერთოდ, საზოგადოების მენტალიტეტში<sup>5</sup>, ინტერესთა ჯგუფების ზეწოლაში, დემოკრატიის სისუსტეებში<sup>6</sup>.

ეკონომიკური თავისუფლება არ უნდა ავურით პოლიტიკურ თავისუფლებაში, ვინაიდან შესაძლებელია ქვეყანაში იყოს ავტოკრატული ხელისუფლება, მაგრამ ამავე დროს არსებობდეს სრული ეკონომიკური თავისუფლება (მაგალითად სინგაპური და ტაივანი, თავის დროზე სამხრეთ კორეა). გამოითქმის მოსაზრება იმის შესახებ, რომ დემოკრატია უნდა უმაღლოდეს კაპიტალიზმს (ანუ თავისუფლებას ეკონომიკაში) და არა პირიკით<sup>7</sup>. გარევეულწილად ეს მართალია, ვინაიდან კაპიტალიზმმა მოიტანა დემოკრატია – რადგანაც ეკონომიკური თავისუფლების გარეშე დემოკრატია ვერ მიიღწევა, მაგრამ დემოკრატიის გარეშეც ეკონომიკური თავისუფლება, შესაძლებელია, არ არსებობდეს ან დიდხანს ვერ იქნეს შენარჩუნებული.

**2. არასწორი საგადასახადო პოლიტიკა.** გადასახადების არაოპტიმალური სიდიდე ამცირებს ინვესტიციებს, აფერებს ტექნოლოგიების სრულყოფას, ინოვაციების განხორციელებას და, მაშასადამე, ეკონომიკურ ზრდას, ან ამცირებს შემოსავლებს ბიუჯეტში, რაც ხელს უშლის სახელმწიფოს, განახორციელოს თავისი ფუნქციები, რასაც ასევე ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირება მოჰყვება.

**3. გარე სამყაროსგან იზოლაცია, მკაცრი პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება.** ასეთ პოლიტიკას მოჰყვება ინგესტიციების შეზღუდვა, ტექნოლოგიების განუვითარებლობა, ინოვაციების შემცირება, კონკურენტუნარიანობის შემცირება

<sup>4</sup> პაპავა გ. ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგია. თბილისი, “პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”, 2011.

<sup>5</sup> Малашкия Г. Экономика человеческая. Тбилиси, «Универсал», 2009.

<sup>6</sup> ბალცეროვიჩი ლ. თავისუფლება და განვითარება. თბილისი, 2004.

<sup>7</sup> მაგალითად, ბალცეროვიჩი ლ. თავისუფლება და განვითარება. თბილისი, 2004; Шумпетер Й. Капитализм, социализм и демократия. 1949; Милтон Фридмен. Капитализм и свобода. М., Новое издательство, 2006 (Пер. с англ.) - 240 с. და სხვ.

და ა.შ.

**4. არასრულყოფილი ინსტიტუციები.** აფერხებს ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებას. წარმოშობს მრავალ ნეგატიურ მოვლენას: ჩრდილოვან ეკონომიკას, ნეპოტიზმს, კორუფციას, ეტატიზმს და ა.შ.

მთავრობის არასწორ ეკონომიკურ პოლიტიკას განკუთვნება ასევე: არჩევნების დროს პოლიტიკოსების მიერ შემოთავაზებული პოპულისტური დაპირებები; არასწორი ანტიმონპოლიტიკური პოლიტიკა; ბიზნესში მთავრობის არაეკონომიკური ჩარევა; კერძო საკუთრების სრულყოფა; არასწორი აგრარული, ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო პოლიტიკა და სხვა.

**გლობალიზაცია.** არასამართლიანმა გლობალიზაციის პროცესებმა შესაძლებელია ძალიან დიდი უარყოფითი გავლენა მოახდინოს ეროვნულ ეკონომიკაზე: შეზღუდოს ეროვნული წარმოება, შეანელოს ტექნოლოგიური პროგრესი, შეამციროს ადამიანისეული კაპიტალი, გაანადგუროს ბუნებრივი რესურსები და ა.შ. გარდა ამისა, გლობალური ხასიათის ნეგატიური პროცესები ასევე ნეგატიურად აისახება ეროვნულ ეკონომიკაზე და სხვ.

**საბაზრო ეკონომიკის ჩავარდნები.** საბაზრო ეკონომიკის ჩავარდნების პრობლემები ეკონომიკურ ლიტერატურაში ფართოდა განხილულია. ჩვენ დავძებთ მხოლოდ იმის შესახებ, რომ თუ ეს პრობლემები დროულად არ იქნა აღმოფხვრილი ეკონომიკაში რეგრესული პროცესები წარმოიშობა. მაგალითად, თუ სიღარიბისა და შემოსავლების განაწილების უთანაბრობის პრობლემა დროულად არ იქნა გადაჭრილი, მას შეიძლება მოჰყვეს სოციალური და კრიმინოგენური სიტუაციის გამწვავება. ეკოლოგიური მოთხოვნების გაუთვალისწინებლობას კი – ბუნებრივი რესურსების, ფიზიკური და ადამიანისეული კაპიტალის გაუარესება, პროდუქციის გასაღების შემცირება და სხვ.

**საბაზრო ეკონომიკის ქაოსური ხასიათი.** იგი ეკონომიკური რეგრესის ყველაზე უხილავი წეაროა, რომლის მთლიანად თავიდან აშორება შეუძლებელია. ქაოსურობის შედეგად გამოწვეული რეგრესის გამოცხობა არათუ კრიზისამდე, არამედ კრიზისის დროს და კრიზისის შემდეგაც კი ძნელია (მაგალითად, ეკონომიკურ თეორიაში ცნობილია დიდი ეკონომიკური დეპრესიის და სხვა კრიზისების არაერთი მიზეზი). განვითარებული ქეყნების ეკონომიკა ძირითადად კონსოლიდირებული ეკონომიკაა, მაგრამ, მისი ქაოსური ხასიათის გამო,

ეკონომიკური კრიზისების მთელი სიზუსტით გამოცნობა მაინც ძნელია. ამაზე მეტყველებს თანამედროვე გლობალური ფინანსური კრიზისი. მართალია, საბაზრო ეკონომიკას მართავს სხვადასხვა სახის კანონი, რომელიც მას გარკვეული პერიოდის განმავლობაში სტაბილურობას ანიჭებს, მაგრამ, თითოეული აგენტის საქმიანობა და მათი აგრეგირებული მოქმედება ყოველთვის არ შეესაბამება ეკონომიკური სტაბილიზაციის მოთხოვნებს. თუმცა, ამავე დროს, ბაზრის ქაოსურობა საბაზრო მექანიზმის გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. მაშასადამე, სახელმწიფოს მიზანი უნდა იყოს არა ქაოსურობის აღმოფხვრა, არამედ მისი უარყოფითი მოქმედების გამოცნობა და თავიდან აცილება ან დამდგარი უარყოფითი შედეგების რაც შეიძლება სწრაფად და ნაკლები დანაკარგებით დაძლევა.

**ბუნებრივი პირობების ცვლილება.** არის თუ არა ბუნებრივი პირობების ცვლილების შედეგად (გვალვა, წყალდიდობები, მოუსავლიანობა, ნედლეული მარაგების შემცირება და ა.შ.) გამოწვეული დაქვეითება ეკონომიკური რეგრესის წეარო? რასაკირველია, გარკვეული ზომით არის, ვინაიდან ამ შემთხვევაში ადგილი აქვს რა ეკონომიკურ ვარდნას, ანუ რაოდენობრივ ცვლილებებს, იგი გადადის უარყოფით თვისებრივ ცვლილებებში. მაგალითად, იზრდება უმუშევრობა და სიდარიბე, რაც აქვეითებს ქვეყნის ადამიანისეულ კაპიტალს და იწვევს სოციალურ დაბაბულობას და ა.შ.

**პოლიტიკა, რომელიც მიმართულია მეზობელ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით დიდ სახელმწიფოებთან კონფრონტაციისაკენ.**

გარდა ამისა, ეკონომიკური რეგრესის წეარო შეიძლება იყოს: ტექნოლოგიების (განსაკუთრებით მაღალი ტექნოლოგიების), წარმოების მეთოდებისა და ფორმების განუვითარებლობა; სოციალური და კრიმინოგენური სიტუაციის დაბაბულობა; ინფრასტრუქტურის, უმუშევრობისა და სიჯარიბის მაღალი დონე; ვალუტის კურსის სწრაფი და დიდი ზომით ცვლილება; საბაზრო ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა და გაუმართაობა; ფულის ემისია; ბიუჯეტის დეფიციტი; დიდი სახელმწიფო და საგარეო ვალი; ჭარბობოსახლეობა; არასწორი საგარეო პოლიტიკა და სხვ.

**სახელმწიფოს როლი ეკონომიკური განვითარების დაჩქარებასა და ეკონომიკური რეგრესის აღმოფხვრაში.** ჩვენ აქ არ შევეხებით სახელმწიფოს ცნობილ ეკონომიკურ უუნქციებს. მივუთითებთ მხოლოდ იმაზე თუ რა როლი უნდა ითამაშოს

სახელმწიფო ეკონომიკური განვითარების დასაჩქარებლად და ეკონომიკური რეგრესის თავიდან ასაცილებლად ან მის სწრაფად აღმოსაფხვრელად. ამისათვის მას არაეკონომიკური ფუნქციების განხორციელებაც მოუწევს, ვინაიდან კონსოლიდირებული ეკონომიკის, ანუ განვითარებაზე ორიენტირებული ეკონომიკის ჩამოყალიბება და ფუნქციონირება არა მხოლოდ ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებას მოითხოვს. აქეთ უნდა იყოს მიპყრობილი სახელმწიფოს როგორც ეკონომიკური (და სოციალური), ისე საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

ქონსოლიდირებული ეკონომიკის, ანუ განვითარებაზე ორიენტირებული ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება და შენარჩუნება, უპირველის ყოვლისა, დამოკიდებულია გამართული სამეურნეო მექანიზმის შექმნაზე. ასეთი სამეურნეო სისტემის შესაქმნელად სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს: მეწარმეობის თავისუფლება, კერძო საჟურნალების დომინირება და მისი ხელშეუხებლობა, ბიზნესის გადაჯვევა შემოქმედებითი საქმიანობის სფეროდ, ჯანსაღი ფინანსების არსებობა, მეცნიერების განვითარება, სახელმწიფო და კერძო სექტორში არსებული სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალის კოორდინირება. სახელმწიფოს მარეგულირებელ ინსტრუმენტებიდან უპირატესობა უნდა მიენიჭოს ინოვაციურ ინსტრუმენტებს. საჭიროების შემთხვევაში ეკონომიკის ინოვაციური რეგულირება საშუალებას მოგვცემს ეკონომიკა გადაადგილდეს არა ფილიპსის მრუდზე, არამედ მოხერხდეს ინფლაციისა და უმუშევრობის ერთდროული შემცირება. საშინაო პოლიტიკის განხორციელებისას სახელმწიფოს საქმიანობა მიმართული უნდა იყოს ზეობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების, კულტურის, ხელოვნების, სპორტის განვითარებისა და კრიმინოგენური სიტუაციის გაუმჯობესებისაკენ, სასამართლო ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებისაკენ. საგარეო სფეროში სახელმწიფომ თავიდან უნდა აიშოროს სამსედრო კონფლიქტები, განახორციელოს სამშვიდობო პოლიტიკა, უზრუნველყოს გლობალიზაციის დადგითი შედეგების გამოყენება და უარყოფით შედეგთა თავიდან აცილება.

სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ეროვნული წარმოების ხელის შემწყობი პოლიტიკა, რის შედეგადაც სამამულო პროდუქცია კონკურენტუნარიანი გახდება იაფ, მაგრამ დაბალხარისხოვან იმპორტულ საქონელთან შედარებით. მისმა სწორმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს საბაზრო პრინციპების დამკვიდრება პრაქტიკაში, მოახდინოს პატერნალიზმის,

ეტატიზმის, ნეპოტიზმის, კორუფციისა და ნებისმიერი სხვა უარყოფითი გამოვლინების აღმოფხვრა.

ეკონომიკაში რეგრესული პროცესების წარმოშობის შესაფასებლად შესაძლებელია დეტერმინანტთა სისტემის გამოყენება, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს მის წარმომშობ წეაროებს. ამ დეტერმინანტთა რეგულარული ანალიზის (რომელშიც ჩართული უნდა იყვნენ მეცნიერები და კონსულტანტთა მაღალკალიფიციური პერსონალი) შედეგად უნდა გატარდეს შესაბამისი დონისძიებები. მაშასადამე, აუცილებელია არა მხოლოდ ეკონომიკურ განვითარებაზე, არამედ ეკონომიკური რეგრესის თავიდან აცილებაზე ზრუნვა, ვინაიდან ეს ორი პროცესი ყოველთვის ურთიერთგამომრიცხავი არ არის.

*Ramaz Abesadze*

## CONSOLIDATE ECONOMY AND ECONOMIC REGRESS

### Annotation

The article proposes the essence of consolidated economy and economic regress; is analized the relation between economic regress and economic growth; are characterized the sources of econoimic regress; is defined the role of government in accelleration of economic growth and eradication of economic regress.

**კლადიმერ პაპავა**

**პოსტკრიზისული ბანკითარების სირთულეები**

**პოსტსაბჭოურ ქვეყნებში**

მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ყველა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკისათვის ერთნაირად წარმატებული ვერ აღმოჩნდა. წარმატებულთა შორის, სამწუხაოროდ, მხოლოდ ბალტიის სახელმწიფოები – ესტონეთი, ლატვია და ლიტვა მოიაზრება, რადგანაც მათ შეძლეს ეკონომიკური განვითარების იმ ტრაქტორიის შერჩევა, რომელმაც უზრუნველყო მათი ევროკავშირის წევრობა [1-3]. სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნები, სამწუხაოროდ, უკეთეს შემთხვევაში, ვერ აღმოჩნდენ თანანმიდევრულები ეკონომიკური რეფორმების გატარებაში [4].

სერიოზული გამოცდა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებს ელოდა 2008-2009 წლების გლობალური ფინანსური და ეკონო-

მიკური კრიზისის პირობებში. მწვავე პრობლემების წინაშე დადგნენ როგორც ბალტის [5, 6], ისე სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებიც [7].

პოსტკრიზისული პერიოდის უმთავრეს ამოცანას მსოფლიო ეკონომიკისათვის ეკონომიკური ზრდის კრიზისამდელი, შედარებით მაღალი ტემპების დაბრუნება შეადგენდა. ამ თვალსაზრისით, გამოხაკლისს არც პოსტსაბჭოთა ქვეყნები წარმოადგენდნენ.

იმისათვის, რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ პოსტკრიზისულ პერიოდში შექმნილი სურათი, განვიხილოთ 2005-2012 წლებში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები (იხ. ცხრილი 1).

### ცხრილი 1 პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ეკონომიკური ნაზრდის ტემპები 2005-2012 წლებში<sup>8</sup> (პროცენტებში)

ქვეყნები	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
აზერბაიჯანი	26,4	34,5	25,0	10,8	9,3	5,0	1,0	4,5
ბელარუსია	9,4	10,0	8,6	10,2	0,2	7,7	5,5	1,5
ესტონეთი	8,9	10,1	7,5	-4,2	-14,1	3,3	8,3	3,2
თურქეთი	13,0	11,0	11,1	14,7	6,1	9,2	14,7	11,1
ლატვია	10,6	12,2	10,0	-4,2	-18,0	-1,6	5,4	5,6
ლიტვა	7,8	7,8	9,8	2,9	14,7	1,5	6,0	3,6
მოლდავეთი	7,5	4,8	3,1	7,8	-6,0	9,4	18,6	6,4
რუსეთი	6,4	8,2	8,5	5,2	-7,8	4,5	4,3	3,4
საქართველო	9,6	9,4	12,3	2,3	-3,8	6,3	7,0	6,0
სომხეთი	13,9	13,2	13,7	6,9	-14,1	2,1	4,7	7,1
ტაჯიკეთი	6,7	7,0	8,0	8,0	12,8	9,5	10,8	8,6
უზბეკეთი	7,0	7,3	9,5	9,0	8,1	8,5	8,3	8,2
უკრაინა	2,7	7,3	7,9	2,3	-14,8	4,2	5,1	0,3
ყაზახეთი	9,7	10,7	8,9	3,3	1,2	7,4	7,5	5,1
ყირგიზეთი	-0,2	3,1	8,5	8,4	2,9	-0,5	6,0	-0,9

როგორც ცხრილიდან ჩანს, ეკონომიკური ზრდის უველავე მაღალი კრიზისამდელი მაჩვენებელი ჰქონდა აზერბაიჯანს, რაც გამოწვეული იყო ნაეთობისა და გაზის მოპივებისა და ექსპორტის ხარჯზე. ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები თურქმენეთსა და ყაზახეთში ასევე გაზის მოპივებისა და

---

<sup>8</sup> ცხრილი შედგენილია მსოფლიო ბანკის მონაცემების საფუძველზე [8].

ექსპორტის ხარჯზე იქნა მიღწეული. სომხეთში ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპი კი განაპირობა საზღვარგარეთიდან განხორციელებულმა ფულადმა გზაგნილებმა და სამთომომბო-გებელ მრეწველობაში განხორციელებულმა ინვესტიციებმა. რაც შექხება პოსტკრზისულ პერიოდს, კრიზისის შედეგად შექმნილი სირთულეები შედარებით ადვილად იქნა დაძლეული იმ ქვეყნებში, რომლებმაც კრიზისამდელ პერიოდში ნავთობისა და გაზის ექსპორტით მიღებული შემოსავლების ხარჯზე შეძლეს სტაბილიზაციის ფონდების შექმნა.

პრობლემა, რომელიც ცხრილი 1-ის წარმოდგენისას იმთავითვე დგება, არის ის, თუ რამდენად ობიექტიურად ასახავს მოცემული ცხრილი ეკონომიკური ზრდის ტემპებს მათი ქვეყნების მიხედვით შედარებისას. პრობლემის არსი კი შემდეგში მდგომარეობს: რადგანაც კაპიტალი კლებადი უცუგებით ხასიათდება, ამიტომ, სხვა თანაბარ პირობებში, ეკონომიკური განვითარების შედარებით დაბალი დონის მქონე ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის უფრო მაღალი ტემპების მიღწევაა შესაძლებელი, ვიდრე ეკონომიკური განვითარების შედარებით მაღალი დონის მქონე ქვეყნებში. ამ მოვლენას კი, როგორც ცნობილია, “მკვეთრი ზრდის ეფექტი” [9, გვ. 532-531] (ინგლისურად – “Catch-Up Effect” [10, გვ. 546-547], ხოლო მისი რუსული თარგმანის მიხედვით კი – “Эффект быстрого старта” [11, გვ. 523-524]) ეწოდება.

ცხრილ 2-ში მოყვანილია მთლიანი შიგა პროდუქტის მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებული მაჩვენებლები, რომლებიც გამოიყენება ეკონომიკური განვითარების დონის შეფასების განმახოგადებელ ინდიკატორებად.

## ცხრილი 2

**პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მთლიანი შიგა პროდუქტი  
(აშშ დოლარში) მოსახლეობის ერთ სულზე (2005-2012)<sup>9</sup>**

ქვეყნები	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
აშშ ბაზანი	1 578	2 473	3 851	5 575	4 950	5 843	7 190	7 392
ბელორუსია	3 126	3 849	4 736	6 377	5 183	5 819	6 785	6 685
ესტონეთი	10 330	12 503	16 393	17 738	14 264	14 062	16 534	16 316
თურქეთი	1 707	2 140	2 607	3 919	4 060	4 479	5 495	6 511
ლატვია	6 973	8 713	12 638	14 858	11 476	10 743	13 807	13 984

<sup>9</sup> ცხრილი შედგენილია მსოფლიო ბანკის მონაცემების საფუძველზე [12].

ლიტერა	7 604	8 865	11 584	14 071	1 034	11 149	14 155	14 097
მთლდაგეთი	831	951	1 231	1 696	1 526	1 632	1 970	2 038
რუსეთი	5 337	6 947	9 146	11 700	8 616	10 710	13 284	14 037
საქორთველო	1 470	1 765	2 318	2 920	2 441	2 614	3 220	3 508
სომხეთი	1 625	2 126	3 079	3 917	2 914	3 125	3 420	3 338
ტაჯიკეთი	340	407	523	709	668	740	835	872
უზბეკეთი	547	643	830	1 023	1 182	1 365	1 545	1 717
ყარაინა	1 829	2 303	3 069	3 891	2 545	2 974	3 576	3 867
ყაზახეთი	3 771	5 292	6 771	8 514	7 165	9 070	11 259	11 935
ყირგიზეთი	476	543	722	966	871	880	1 124	1 160

როგორც ცხრილი 2-დან ირკვევა, მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიგა პროდუქტის გველაზე მაღალი დონე მიღწეულ იქნა ბალტიის ქვეყნებში, რუსეთსა და ყაზახეთში. აშკარაა, რომ ეკონომიკური ზრდის ერთი და იმავე დონის მიღწევა განსხვავებული სასტარტო პირობების გათვალისწინებით, ეკონომიკურად შედარებით უფრო განვითარებულ ქვეყნებში უფრო რთულია. აშკარაა, რომ მკვეთრი ზრდის ეფექტის გათვალისწინებით იქნება შესაძლებელი, რომ ეკონომიკურად მაღალგანვითარებული და ეკონომიკურად შედარებით დაბალგანვითარებული ქვეყნების ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები შეუდარდეს ერთმანეთს.

მკვეთრი ზრდის ეფექტის გამორიცხვის მიზნით შეიძლება სარწმუნოდ მივიღოთ ე.წ. პროპორციული გადაფარვის პიპოთება. კერძოდ, ამ პიპოთების მიხედვით, თუ ერთი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე მეორე ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონესთან შედარებით  $n$ -ჯერ უფრო მაღალია, მაშინ პირველ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის იმავე დონის მიღწევა, რაც მეორე ქვეყანაში იქნა მიღწეული, ასევე  $n$ -ჯერ უფრო რთული იქნება. მოცემული პიპოთების ბაზაზე გამოყვანილ იქნა პიპოთებური ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების გაანგარიშების ფორმულები [13-15].

მკვეთრი ზრდის ეფექტის გამორიცხვისას ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებით ქვეყნების შედარებისათვის აუცილებელია ე.წ. “ეტალონის” შერჩევა, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ამ მაჩვენებლების რანჟირება.

ინვარიანტულობის პრინციპის (თეორემის) გათვალისწინებით [14, გვ. 127; 15, გვ. 66], მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ “ეტალონის” სახით რომელი ქვეყნის მაჩვენებელი აიღება, რადგანაც შედეგი მაინც უცვლელი დარჩება. აქედან გამომდინარე, სულ ერთია, თუ რომელი პოსტსაბჭოთა ქვეყანა აიღ-

ება “ეტალონურად”, რათა შესაძლებელი გახდეს მათი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების შედარება მკვეთრი ზრდის ეფექტის გამორიცხვით. ასეთ “ეტალონურ” ქვეყნად მიზანშეწონილია ავიდოთ საქართველო, რადგანაც ერთი მხრივ, ეს უფრო მკაფიოდ წარმოაჩენს ჩვენი ქვეყნის ადგილს პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის, ხოლო მერე მხრივ – ეკონომიკური განვითარების დონით საქართველო არც მოწინავეთა და არც ჩამორჩენილთა შორისაა (იხ. ცხრილი 2), რაც შედარებისათვის (ანუ პიპორეტური ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების გასაანგარიშებლად) უფრო მოსახერხებებით.

თუკი ერთმანეთს შევუდარებოთ ეკონომიკური ზრდის ფაქტობრივ მაჩვენებლებს (იხ. ცხრილი 3), მივიღებთ, რომ საქართველო პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის 2005 წელს იყო მეექვსე ადგილზე. მართალია 2012 წელს ის ისევ მეექვსე ადგილზე დარჩა, ოდონდ თუ 2005 წელს მას უსწრებდნენ აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქმენეთი, ყაზახეთი და ლატვია, 2012 წელს საქართველოს წინ აღმოჩნდნენ ისეთი ქვეყნები, როგორიცაა – თურქმენეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, სომხეთი და მოლდავეთი.

### ცხრილი 3

**პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ფაქტობრივი ეკონომიკური ზრდის ტემპების შეფარდება საქართველოს  
ეკონომიკური ზრდის ტემპებთან (2005-2012)**

ქვეყნები	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
აზერბაიჯანი	2,750	3,670	2,033	4,696	-2,447	0,794	0,143	0,75
ბელორუსია	0,979	1,064	0,699	4,435	-0,053	1,222	0,786	0,25
ესტონეთი	0,927	1,074	0,610	-1,826	3,711	0,524	1,186	0,533
თურქმენეთი	1,354	1,170	0,902	6,391	-1,605	1,460	2,1	1,85
ლატვია	1,104	1,298	0,813	-1,826	4,737	-0,254	0,771	0,933
ლიტვა	0,812	0,830	0,797	1,261	-3,868	0,238	0,857	0,6
მოლდავეთი	0,781	0,511	0,252	3,3913	1,579	1,492	2,657	1,067
რუსეთი	0,667	0,872	0,691	2,261	2,053	0,714	0,614	0,567
საქართველო	1,000	1,000	1,000	1,000	1,000	1,000	1,000	1,000
სომხეთი	1,448	1,404	1,114	3,000	3,7105	0,333	0,671	1,183
ტაჯიკეთი	0,698	0,745	0,650	3,478	-3,368	1,508	1,543	1,43
უზბეკეთი	0,729	0,777	0,772	3,913	-2,132	1,349	1,186	1,367
უკრაინა	0,281	0,777	0,642	1,00	3,895	0,667	0,729	0,05
ყაზახეთი	1,010	1,138	0,724	1,435	-0,316	1,175	1,071	0,85
ყირგიზეთი	-0,021	0,330	0,691	3,652	-0,763	-0,079	0,857	-0,15

იმის გამო, რომ ცხრილი 3 არ გამორიცხავს მკვეთრი ზრდის ეფექტს, ამიტომ მასში მოვანილი მაჩვენებლების შედარება ეკონომიკური ზრდის ობიექტურ სურათს ვერ იძლევა.

პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიხედვით მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიგა პროდუქტის მაჩვენებლების საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებლებთან თანაფარდობის შედეგად მიიღება მკვეთრი ზრდის ეფექტის პროპორციული გადაფარვის პოეფიციენტები (ცხრილი 4).

#### ცხრილი 4 პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მკვეთრი ზრდის ეფექტის პროპორციული გადაფარვის პოეფიციენტები (2005-2012)

ქვეყნები	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
აზერბაი ჯანი	0,932	0,714	0,602	0,524	0,493	0,445	0,448	0,475
ბელო- რუსია	0,470	0,459	0,489	0,458	0,471	0,449	0,475	0,525
ესტონე- თი	0,142	0,141	0,141	0,165	0,171	0,186	0,195	0,215
თურქე- ნეთი	0,861	0,825	0,889	0,745	0,601	0,584	0,586	0,539
ლატვია	0,211	0,203	0,183	0,197	0,213	0,243	0,233	0,251
ლიტვა	0,193	0,199	0,200	0,208	2,361	0,234	0,227	0,249
მოლდა- ვეთი	1,769	1,856	1,883	1,722	1,600	1,602	1,635	1,721
რუსეთი	0,275	0,254	0,253	0,250	0,283	0,244	0,242	0,2499
საქართ- ველო	1,000	1,000	1,000	1,000	1,000	1,000	1,000	1,000
სომხე- თი	0,905	0,830	0,753	0,745	0,83768	0,836	0,941	1,050
ტაჯიკე- თი	4,324	4,337	4,432	4,118	3,654192	3,532	3,856	4,023
უზბეკე- თი	2,687	2,745	2,793	2,854	2,065144	1,915	2,084	2,043
უკრაინა	0,804	0,766	0,755	0,750	0,959136	0,879	0,900	0,907
ყაზახე- თი	0,390	0,334	0,342	0,343	0,340684	0,288	0,286	0,294
ყირგი- ზეთი	3,088	3,250	3,211	3,023	2,802526	2,970	2,864769	3,024

ამ პოეფიციენტების საშუალებით კი შესაძლებელია გაანგარიშება პიპოტებური ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების (ცხრილი 5).

### ცხრილი 5

**პოსტსაბჭოთა ქვეყნებში პიპოთეტური  
ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები (2005-2012)**

ქვეყნები	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
აზერბაიჯანი	28,327	48,319	41,528	20,611	18,864	11,236	2,232	9,474
ბელორუსია	20,000	21,786	17,587	22,271	0,425	17,149	11,579	2,857
ესტონეთი	62,676	71,631	53,191	-25,455	-82,456	17,742	42,564	14,884
თურქეთი	15,099	13,333	12,486	19,732	10,1500	15,753	25,085	20,594
ლატვია	50,237	60,099	54,645	-21,320	-84,507	-6,584	23,176	22,311
ლიტვა	40,415	39,196	49,000	13,942	6,226	6,410	26,432	14,456
მოლდავეთი	4,240	2,586	1,646	4,530	-3,750	5,868	11,377	3,719
რუსეთი	23,273	32,283	33,597	20,800	-27,562	18,443	17,7687	13,605
საქართველო	9,600	9,400	12,300	2,300	-3,800	6,300	7,000	6,000
სომხეთი	15,359	15,904	18,194	9,262	-16,832	2,512	4,995	6,762
ტაჯიკეთი	1,5495	1,6140	1,805	1,943	3,503	2,690	2,801	2,138
უზბეკეთი	2,605	2,659	3,401	3,153	3,922	4,439	3,983	4,014
უკრაინა	3,358	9,530	10,464	3,067	-15,431	4,778	5,667	0,331
ყაზახეთი	24,872	32,036	26,023	9,621	3,522	25,694	26,224	17,347
ყირგიზეთი	-0,065	0,954	2,647	2,779	1,035	-0,168	2,094	-0,230

ცხრილი 5 იძლევა ეკონომიკური ზრდის უფრო ადგადებულ ინდიკატორებს, რაღანაც მათში გამორიცხულია მკვეთრი ზრდის ეფექტი. კერძოდ, ცხრილი 3-დან განსხვავებით, მივიღებთ ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების თანაფარდობის განსხვავებულ სურათს (ცხრილი 6).

### ცხრილი 6

**პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის პიპოთეტური  
მაჩვენებლების შედარება საქართველოს ეკონომიკური ზრდის  
ფაქტობრივ მაჩვენებლებთან (2005-2012)**

ქვეყნები	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
აზერბაიჯანი	2,951	5,140	3,376	8,961	-4,964	1,783	0,319	1,579
ბელორუსია	2,083	2,318	1,48300	9,683	-0,112	2,722	1,654	0,477
ესტონეთი	6,529	7,620	4,324	-11,0673	21,670	2,816	6,081	2,481
თურქეთი	1,573	1,418	1,015	8,579	-2,671	2,500	3,584	3,432
ლატვია	5,233	6,394	4,443	-9,270	22,239	-1,045	3,311	3,719
ლიტვა	4,210	4,170	3,984	6,062	-1,638	1,017	3,776	2,409
მოლდავეთი	0,442	0,275	0,134	1,970	0,987	0,931	1,625	0,620
რუსეთი	2,424	3,434	2,731	9,043	7,253	2,927	2,538	2,268
საქართველო	1,000	1,000	1,000	1,000	1,000	1,000	1,000	1,000

სომხეთი	1,600	1,692	1,479	4,027	4,429	0,399	0,714	1,127
ტაჯიკეთი	0,161	0,172	0,147	0,845	-0,922	0,427	0,400	0,356
უზბეკეთი	0,271	0,283	0,277	1,3709	-1,032	0,705	0,569	0,669
უკრაინა	0,350	1,014	0,851	1,333	4,061	0,758	0,810	0,055
ყაზახეთი	2,591	3,408	2,116	4,183	-0,927	4,078	3,746	2,891
ყირგიზეთი	-0,007	0,101	0,215	1,208	-0,272	-0,027	0,299	-0,038

საქართველო პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის მხოლოდ მე-თერომეტე ადგილზე იყო. 2012 წელს კი საქართველოზე უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ისეთი ქვეყნები, როგორიცაა – ლატვია, თურქმენეთი, ყაზახეთი, ესტონეთი, ლიტვა, რუსეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი, ანუ საქართველომ მეცხრე ადგილზე გადაინაცვლა.

ცხრილი 5 გვიჩვენებს, რომ ეკონომიკურ რეფორმებში შედარებით წარმატებულ ბალტიის პოსტსაბჭოთა ქვეყნებს უფრო მეტად გაუჭირდათ, ვიდრე ნავთობითა და გაზით მდიდარ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, თუმცა პოსტკრიზისულ პერიოდში ბალტიის პოსტსაბჭოთა ქვეყნებმა შეძლეს არსებული პრობლემების არა მარტო წარმატებით დაძლევა, არამედ კვლავ მოწინავეთა რიგებში ყოფნა.

პოსტსაბჭოთა ქვეყნების კრიზისამდელი და პოსტკრიზისული ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების გაანალიზება მკვეთრი ზრდის ეფექტის გამორიცხვის საფუძველზე, იმის დასკვნის საშუალებას იძლევა, რომ შედარებითი ეკონომიკური სტაბილურობის საფუძველი აქვთ ნავთობითა და გაზით მდიდარ ქვეყნებს, ხოლო ეკონომიკური აღმავლობის ტრაექტორიაზე სწრაფი დაბრუნების საფუძველი კი შეექმნათ იმ ქვეყნებს, რომლებიც კომუნისტური რეჟიმისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აშკარად ლიდერობდნენ ეკონომიკური რეფორმების გატარებაში. ესენი კი ბალტიის პოსტსაბჭოთა ქვეყნებია.

იმის გათვალისწინებით, რომ ბალტიის პოსტსაბჭოთა ქვეყნებმა გაიზიარეს ევროპავშირში რეალიზებული ეკონომიკური განვითარების მოდელი, აშკარა ხდება, რომ სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვისაც ამ მოდელის გამოყენება, შესაძლოა, ეკონომიკური განვითარების მუარი საფუძველი გახდეს. ეს, უწინარეს ყოვლისა, ეხება იმ ქვეყნებს, რომლებიც არ გამოირჩევიან ბუნებრივი რესურსების სიმდიდრით. სწორედ ასეთია საქართველო, რომლისთვისაც ევროპულ არჩევანს ალტერნატივა არ გააჩნია [16]. ეკონომიკური განვითარების ევროპულ მოდელზე გადასვლა კი შესაძლებელი გახდება

ევროპავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმზე გადასცლის შედეგად.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Åslund A. *Building Capitalism. The Transformation of the Former Soviet Block*. Cambridge: Cambridge University Press, 2002.
2. Åslund A. *How Capitalism Was Built. The Transformation of Central and Eastern Europe, Russia, the Caucasus, and Central Asia*. New York: Cambridge University Press, 2013.
3. *Handbook of the Economics and Political Economy of Transition*. P. Hare, G. Turley, eds. London: Routledge, 2013.
4. Papava V. The Economic Challenges of the Black Sea Region: the Global Financial Crisis and Energy Sector Cooperation. *Southeast European and Black Sea Studies*, 2010, Vo. 10, No. 3.
5. Åslund A. Implications of the Global Financial Crisis for Eastern Europe. *Development & Transition* 13, 2009, July, [http://www.developmentandtransition.net/uploads/issuesAttachments/25/DT.13\\_English\\_FINAL.pdf](http://www.developmentandtransition.net/uploads/issuesAttachments/25/DT.13_English_FINAL.pdf).
6. Åslund A. *The Eastern Europe Financial Crisis*. CASE Network Studies & Analyses No. 395, 2009, [http://www.case.com.pl/upload/publikacja\\_plik/27584614\\_CNSA\\_395\\_Dec%202017.pdf](http://www.case.com.pl/upload/publikacja_plik/27584614_CNSA_395_Dec%202017.pdf).
7. Papava V. *The Economic Development Complex in the Black Sea Area: The Impact of the Global Financial and Economic Crisis*. Xenophon Paper, No. 9. Athens: ICBSS, 2010 [http://icbss.org/media/113\\_original.pdf](http://icbss.org/media/113_original.pdf).
8. GDP growth (annual %). *The World Bank*, 2013, <http://data.worldbank.org/indicator/NY,GDP,MKTP,KD,ZG>.
9. მენქიუ გ. ეკონომიკის პრინციპები. თბილისი. დიოგენე, 2007.
10. Mankiw N. G. *Principles of Economics*. Mason: Thomson South-Western, 2004.
11. Мэнкью Н. Г. *Принципы экономики*. Санкт-Петербург: Питер Ком, 1999.
12. GDP per capita (current US\$). *The World Bank*, 2013, <http://data.worldbank.org/indicator/NY,GDP,PCAP,CD>.
13. პაპავა ვ. ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების სივრცობრივი შედარება მკვეთრი ზრდის ეფექტის გათვალისწინებით. წიგნში: თხუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამუშაოებით შრომების კრებული, ტომი V. თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2012.

14. Papava V. Economic Growth in the Central Caucaso-Asian Countries Adjusted for the Catch-Up Effect. *Central Asia and the Caucasus*, 2012, Vo. 13, No. 4.

15. Папава В. Проблема эффекта быстрого старта и пространственное сравнение показателей экономического роста (на примере стран восточного партнерства). *Экономика Украины*, 2013, №1.

16. პაპავა ვ. „პოსტკრიზისური საქართველოს გეონომიკური განვითარების ვებგვრის შესახებ. თბილისი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, ექსპერტის აზრი, № 7, 2013,  
[http://gfsis.org/media/download/library/articles/papava/Papava\\_Vector\\_of\\_Economic\\_Development\\_of\\_Post-Communist\\_Georgia\\_GEO.pdf](http://gfsis.org/media/download/library/articles/papava/Papava_Vector_of_Economic_Development_of_Post-Communist_Georgia_GEO.pdf).

17. პაპავა ვ. “პოსტკრიზისური” საქართველოს გეონომიკური განვითარების ძირითადი გამოწვევები. თბილისი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, ექსპერტის აზრი, № 4, 2013.  
[http://gfsis.org/media/download/library/articles/Expert\\_Opinion\\_GEO\\_4.pdf](http://gfsis.org/media/download/library/articles/Expert_Opinion_GEO_4.pdf).

*Vladimer Papava*

## THE COMPLEXITIES OF POST-CRISIS DEVELOPMENT IN THE POST-SOVIET COUNTRIES

### Annotation

The article discusses the complexities of post-crisis economic development in the post-soviet countries. It is shown that according to the indices of economic growth the global financial and economic crisis has been overcome comparatively easily by those countries rich in oil and gas which managed to create stabilization funds in the pre-crisis period. Considering that the Catch-Up Effect makes impossible the spatial comparison of indices of economic growth, in the article the indices of economic growth are calculated by means of formulas created by author making possible to state those indices of hypothetic economic growth that exclude the Catch-Up Effect. And the indices of hypothetic economic growth prove that in the post-crisis period the pre-crisis level of economic rise has been most easily reached by the Baltic post-soviet countries. On the basis of the fact has been concluded that it is expedient to use the European model of economic development for the sustainable economic development, especially for the countries not rich with natural resources.

**ალექსანდრე კურატაშვილი  
ეკონომიკური სისტემის სრულყოფის თეორიული  
არგალებები ცივილიზაციის საბაზო ურთიერთობების  
ჩამოყალიბების პირობებში**

ეკონომიკური სისტემის სრულყოფის თეორიული პრობლემების გადაჭრა საზოგადოებისა და სახელმწიფოს პროგრესული განვითარების ერთ-ერთ უძნიშვნელოვანებს სადუმცველს და, შესაბამისად, პრინციპული მნიშვნელობის ამოცანას წარმოადგინს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური სისტემის სრულყოფის თეორიული პრობლემების ამოცანის გადაწყვეტა პოსტსაბჭოურ პერიოდში ურთულესი პრობლემაა, რადგან ფსევდოსოციალიზმის პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის ნგრევის შედეგად აუცილებელი გახდა თვისებრივად ახალი ეკონომიკური ურთიერთობების ფორმირება.

ეკონომიკური სისტემის სრულყოფის თეორიულ პრობლემებთან დაკავშირებით მეტად საყურადღებოა, რომ ერთ-ერთ უძნიშვნელოვანებს მეცნიერულ პრობლემას წარმოადგენს ჰეშ-მარიტად ცივილიზებული საზოგადოებისა და, შესაბამისად, ჰეშმარიტად ცივილიზებული საბაზო ურთიერთობების არსის განსაზღვრა.

ამრიგად, ცივილიზებული საბაზო ურთიერთობების არსის სიღრმისეულ კვლევას პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რომლის აქტუალობა კიდევ უფრო რელიეფურ ხასიათს იძნეს იმის გათვალისწინებით, რომ მოგება, ფული, კაპიტალი – მეცნიერებასა და პოლიტიკაში ფაქტობრივად საყოველთაოდ აღიარებულია, როგორც საბაზო ეკონომიკის მიზანი, ხოლო ცივილიზებულობის ძირითად მაჩვენებლად აღიარებულია ქვეყნის ინდუსტრიული განვითარება და ა.შ.

ამასთანავე, ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით მე ჯერ კიდევ მრავალი წლის წინ ვწერდი, რომ “ქვეყნების ინდუსტრიული განვითარება ყოველთვის არ ნიშნავს მათ ცივილიზებულობას” [1, გვ. 13].

ცივილიზებულობა, ჩემი საფუძვლიანი მტკიცებით, “არის, უპირველეს ყოვლისა, ადამიანურობა – ამაღლებული სულიერება, რომელიც მეღაენდება საზოგადოებისა და სახელმწიფოს სოციალურ მიზნობრივ მიმართულებაში – მიმართულებაში ხალხის ინტერესების რეალიზაციაზე” [1, გვ. 13].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩემი ღრმა რწმენით, ცივილიზებულად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ისეთი საზოგადოება და, შესაბამისად, ისეთი ეკონომიკური სისტემა, რომლისთვისაც, უპირველეს ყოვლისა, დამახასიათებელია სოციალური მიზნობრივი მიმართულება – ხალხის (ყოველი ადამიანის) ინტერესების რეალიზაცია და არა მხოლოდ ტექნიკური, ეკონომიკური და ა.შ. განვითარება.

შესაბამისად, ცივილიზებული საზოგადოებისა და, შესაბამისად, ცივილიზებული ეკონომიკური სისტემის არსი შეიძლება გამოხატულ იქნეს ჩემ მიერ შემუშავებული და ჯერ კიდევ 1980 წელს გამოქვეყნებული ფორმულით:

„ა – მ – პ<sup>1</sup> (ადამიანი – მოღვაწეობა – ადამიანი), სადაც ამოსავალი არის ა – ადამიანი, მისი ობიექტურად განკირობებული სოციალური მიზნით, საიდან გამომდინარეც და რომლის შემდეგაც იწყება მ – მოღვაწეობა, და როგორც შედეგი ისევ პ<sup>1</sup> – ადამიანი, მაგრამ უკვე ადამიანის მიზნის რეალიზაცია და ახალი მოთხოვნილებებისა და მიზნის დაბადება (სწორედ ამიტომ პ<sup>1</sup>), რომელსაც შემდეგ მოპყვება კვლავ მოღვაწეობა და როგორც შედეგი პ<sup>2</sup> და ა.შ. ... პ<sup>n</sup>“ [2, გვ. 93].

ეკონომიკური სისტემის განხილვასთან დაკავშირებით ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ, როგორც ცნობილი ამერიკული მეცნიერების კ. მაკკრნელი და ს. ბრიუ აღნიშნავენ, არსებობდა წმინდა კაპიტალიზმი, რომლის ალტერნატივას წარმოადგენს მბრძანებლური ეკონომიკა, რომლისთვისაც დამასახასიათებელია საზოგადოებრივი საკუთრება პრაქტიკულად ყველა მატერიალურ რესურსებზე [3, გვ. 47].

„რეალურ სინამდვილეში, – როგორც აღნიშნავენ შემდეგ კ. მაკკრნელი და ს. ბრიუ, – ეკონომიკური სისტემები განლაგებულია სადღაც წმინდა კაპიტალიზმისა და მბრძანებლური ეკონომიკის უკიდურესობებს შორის [3, გვ. 48].

ამრიგად, ცნობილი ამერიკელი მეცნიერები, და არა მარტო ისინი, ეკონომიკურ სისტემებს განსხვავებენ საკუთრების ფორმებით, მართვის მეთოდებით და ა.შ., ანუ ისინი ამ სისტემებს შორის ძირითად განსხვავებას ფაქტობრივად ხედავენ საშუალებებში, რაც, ჩემი ღრმა რწმენით, მცდარ მიღვომას წარმოადგენს, რადგან ეკონომიკური სისტემების განსხვავების მთავარ კრიტერიუმს უნდა წარმოადგენდეს არა საშუალებები, არამედ მიზანი, რომელსაც ეს სისტემები ემსახურება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკური სისტემის სრულყოფის თეორიული პრობლემების გადაჭრა, ჩემი ღრმა რწმენით, უნდა განიხილებოდეს როგორც საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემის განვითარების სტრატეგიული მიზნობრივი მიმართულების შემადგენელი ნაწილი, ანუ როგორც იმ მიმართულების შემადგენელი ნაწილი, რომელიც კანონზომიერად უნდა წავიდეს ჰეშმარიტად ადამიანური საზოგადოების მშენებლობისაკენ, რასაც განმსაზღვრელი ტენდენციის სახით ადგილი აქვს თანამედროვე მსოფლიოში.

ამრიგად, მსოფლიო განვითარება ობიექტურად მიდის ჰეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობის გზით.

ამასთან, როგორც მე არაერთხელ აღმინიშნავს, არსებობს ჰეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობის სამი გზა, და, შესაბამისად, არსებობს ხალხის ინტერესების უზენაესობის პრაქტიკული რეალიზაციისა და დამკვიდრების სამი გზა [4, გვ. 182-192], რომლებსაც უნდა შეესაბამებოდეს ეკონომიკური სისტემის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები.

ჰეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობის პირველი და, ამასთანავე, ყველაზე უფრო მოკლე გზა – ეს არის ადმინისტრაციული სოციალიზმის (როგორც მე მას ვუწოდებ და რომელშიც იგულისხმება სტალინური ტიპის სოციალიზმი) ეკონომიკური თავისი ფორმით, მაგრამ რევოლუციური თავისი შინაარსით განვითარების გზა ამ მიმართულებებით.

ადმინისტრაციული სოციალიზმის სწორი გზით – ჰეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობის გზით განვითარების თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ჩინეთი, რომელსაც, არცთუ იშვიათად, შეცდომით თვლიან პოსტკომუნისტურ კაპიტალისტურ სახელმწიფოდ [5]. თუმცა ჩინეთში, ჩემი ღრმა რწმენით, არავითარი კაპიტალიზმი და სოციოკაპიტალიზმიც კი არ არის.

ჩინეთის მოდვაწეობის ასეთი შეფასების მცდარობა ზოგიერთი მეცნიერისა და პოლიტიკოსის მხრიდან გამოწვეულია იმით, რომ ამ შეფასებათა ავტორები, თვლიან რა თავის თავს ანტიმარქსისტებად, ფაქტობრივად, ცნობიერად ან ქვეცნობიერად, მარქსიზმის ტყვეობაში იმყოფებიან, რის შედეგადც სახელმწიფოში კერძო საკუთრებისა და საბაზრო ურთიერთობების არსებობას კაპიტალიზმთან აიგივებენ.

კერძოდ, ჩინეთში კერძო საკუთრების და საბაზრო ურთიერთობების არსებობა ამ მეცნიერთა და პოლიტიკოსთათვის წარმოადგენს ამ სახელმწიფოს კაპიტალისტურობის კრიტერიუმს (?!).

სინამდვილეში კი, ჩემი ღრმა რწმენით, საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემები მიზნის ფილოსოფიის და სოციალურ-ეკონომიკური კანონების თეორიის შესაბამისად, ერთმანეთისაგან განსხვავდება არა მათში საკუთრების ამა თუ იმ ფორმის არსებობით ან არარსებობით, არა საბაზრო ურთიერთობების არსებობით ან არარსებობით მათში და ა.შ., ანუ საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემები ერთმანეთისაგან განსხვავდება არა საშუალებებით, არამედ ამ სისტემების შინაგანი მიზნობრივი მიმართულებით – მიზნით, რომელსაც ისინი ემსახურება.

მაშასადამე, კაპიტალისტურობის კრიტერიუმს წარმოადგენს არა კერძო საკუთრებისა და საბაზრო ურთიერთობების არსებობა, არამედ საზოგადოებისა და სახელმწიფოს ფუნქციონირების კერძომიკური მიზნობრივი მიმართულება – ფულის, ბაზრის, კაპიტალის ბაზონობა საზოგადოებაში და სახელმწიფოში, ისევე, როგორც ჰემმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობისა და ფუნქციონირების კრიტერიუმს წარმოადგენს არა კერძო საკუთრებისა და საბაზრო ურთიერთობების არარსებობა, არამედ ამ საზოგადოებისა და სახელმწიფოს ფუნქციონირების სოციალური მიზნობრივი მიმართულება – ხალხის ინტერესების უზენაესობა და მისი პრაქტიკული რეალიზაცია.

ამრიგად, სახელმწიფოს, რომელიც მიდის ადმინისტრაციული სოციალიზმიდან (მაგრამ რომელიც არ გადავარდა კონტროლუციური გზით უკან, ველური, მძარცველური, კრიმინალური კაპიტალიზმისაკენ, ზოგიერთი ყოფილი სოციალისტური სახელმწიფოს მსგავსად, რომლებიც ამის შედეგად განვითარებული ქვეყნებიდან გადაიქცენ განუვითარებელ ან განვითარებად ქვეყნებად, და რომლებიც მრავალი ათეული წლით ჩამორჩნენ განვითარების იმ დონესაც კი, რომელზეც ისინი ადრე იმყოფებოდნენ) ხალხის ინტერესების რეალიზაციის გზით, ამასთან, კერძო საკუთრების, საბაზრო ურთიერთობების და ა.შ. ეფექტუანი გამოყენებით, არანაირად არ შეიძლება ეწოდებოდეს კაპიტალისტური სახელმწიფო ან თუნდაც სოციოკაპიტალიზმი, რამეთუ ეს არის სოციალურად გამიზნული სახელმწიფო, რომელიც მიდის ადმინისტრაციული

სოციალიზმიდან უშუალოდ ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობის გზით.

ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობის მეორე და, ამასთანავე, ბევრად უფრო გრძელი, მაგრამ ბუნებრივი, ეკოლუციური გზა – ეს არის გზა კლასიკური კაპიტალიზმიდან სოციოკაპიტალიზმისაკენ [6] და იქიდან ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოსაკენ, რამეთუ სოციოკაპიტალიზმი წარმოადგენს შუალედურ რგოლს კაპიტალიზმიდან – ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისაკენ მიმავალ გზაზე, კ.ი. სოციოკაპიტალიზმი – ეს არის ჯერ კიდევ კაპიტალიზმი, მაგრამ ამასთან ერთად ეს არის უკვე თვისებრივად ახალი კაპიტალიზმი, რომელიც წავიდა კაპიტალიზმიდან ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობის გზით.

სწორედ ამ გზით მიღიან მთელი მსოფლიოს თანამედროვე განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები, რომლებიც ამჟამად თავის განვითარებაში იმყოფებიან – სოციოკაპიტალიზმის სტადიაზე.

აუცილებლად მიმაჩნია აგრეთვე აღინიშნოს, რომ კიდევაც რომ არ არსებულიყო სტალინური ადმინისტრაციული სოციალიზმი (რამეთუ მარქსისტული და ლენინური სოციალიზმი – როგორც კერძო საკუთრების, ისე საბაზრო ურთიერთობების ლიკვიდაციით, ფულის, შრომის პროდუქტების გაცვლის ლიკვიდაციით და ა.შ. – არასოდეს არსად არ არსებობდა და არც შეიძლებოდა ეარსება, რაღაც ეს აშკარა უტოპია), კიდევაც რომ არ არსებულიყო მსოფლიო სოციალისტური სისტემა, კაპიტალიზმი მაინც განვითარებულდა სოციოკაპიტალიზმის გზით და სოციოკაპიტალიზმიდან ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობის გზით, რადგან ეს, ჩემი ღრმა რწმენით, არის მსოფლიო განვითარების ბუნებრივი და კანონზომიერი პროცესი.

ამასთანავე, რომ არ არსებულიყო სტალინური ადმინისტრაციული სოციალიზმი, კაპიტალისტური ქვეყნების განვითარება სოციოკაპიტალიზმის მშენებლობის გზით და იქიდან ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობის გზით მოხდებოდა ბევრად უფრო ნელი ტემპებით, რაღაც სტალინურ ადმინისტრაციულ სოციალიზმს, მიუხედავად მისი დადებითი და უარყოფითი მსარეებისა, აშკარად ჰქონდა დადებითი გავლენა კაპიტალიზმის დაჩქარებულ განვითარებაზე სოციოკაპიტალიზმისაკენ და მისგან ჭეშმა-

რიტად ადმიანური საზოგადოებისაკენ, რაღგან კაპიტალისტური ქვეყნები რომ არ წასულიყვნენ სოციალური ორიენტაციის გზით, მაშინ იქაც მოხდებოდა სოციალისტური რევოლუციები სათანადო შედეგებით კაპიტალისტებისთვის (?!).

რაც შეეხება მესამე გზას, ჩემი ღრმა რწმენით, ეს არის მახინჯი გზა მოძრაობისა ჰქეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისაკენ, რადგან ეს არ არის ადმინისტრაციული სოციალიზმის მოძრაობის გზა წინ, უშუალოდ ჰქეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოსაკენ.

მესამე გზა – ეს არ არის აგრძელვე გზა კლასიური კაპიტალიზმის მოძრაობისა წინ სოციოკაპიტალიზმისაკენ და იქიდან ჰქეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოსაკენ.

სხვა ნორმალური გზა კი ჰქეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოსაკენ არ არსებობს.

ამიტომ, მესამე გზა – ეს არის მახინჯი, სიღრმისეულად მცდარი გზა ადმინისტრაციული სოციალიზმის კონტროლური მოძრაობისა უკან ველური, მძარცველური, კრიმინალური კაპიტალიზმისაკენ, რომელსაც თან სდევს ადამიანის უფლებების, თავისუფლებების და ინტერესების კლასიკური კაპიტალიზმისათვისაც კი გაუგონარი შელახვა, რომელსაც თან სდევს ხალხის ეკონომიკური და მორალურ-ფიქოლოგიური გენოციდი და მისი დამონება.

მაგრამ ეს არის გზა, რომელსაც მისი მომხრევები რატომდაც უწოდებენ „მოძრაობას წინ“ (?!).

თუმცა ზოგიერთისთვის, და კერძოდ კი მათვის, ვინც ისარგებლა ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების უკელა სხვა სფეროს ნგრევის პროცესებით და გამდიდრდა ხალხის ძარცვის ხარჯზე – ეს ნამდვილად არის მოძრაობა წინ (?!). და ასეთი პირობები მათვის ხელსაყრელია, რადგან, როგორც ცნობილია: „მდვრიე წყალში თევზეს კარგად იჭრენ“ (?!).

ამასთან, მესამე გზა – ეს არ არის უბრალოდ გზა ადმინისტრაციული სოციალიზმის მოძრაობისა უკან მხოლოდ ადრე ცნობილი ჩემულებრივი ველური, მძარცველური, კრიმინალური კაპიტალიზმისაკენ, არამედ ეს არის მოძრაობა უპანისეთი კაპიტალიზმისაკენ, რომელშიც გაჩნდა აგრეთვე ხალხის დამონების სრულიად ახალი ფორმები და მეორები, რომლებიც დაიბადა აღნიშნული კაპიტალიზმის პირობებში ფსევდოსოციალიზმის ნიადაგზე.

აღსანიშნავია, რომ ფსევდოსოციალიზმი (როგორც ჩვენ  
მას უწოდებთ) გაჩნდა სტალინური ადმინისტრაციული სო-  
ციალიზმის შემდეგ. უფრო ზუსტად კი, სტალინური ადმინის-  
ტრაციული სოციალიზმი შემდგომ (ი.ბ. სტალინის გარდაცვა-  
ლების შემდეგ) გადაიზარდა ფსევდოსოციალიზმში სახელმწი-  
ფოში სათანადო დონის ლიდერის არარსებობის შედეგად, და  
სახელმწიფოს ხელისუფლების მხრიდან საზოგადოებისა და  
სახელმწიფოს მართვის სათანადო დონის არარსებობის გამო.

აუცილებელია აქ აგრეთვე გამახვილდეს ყურადღება  
იმაზე, რომ მესამე გზა – ეს არის ახალი გზა, რომელიც  
დაიბადა მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესში,  
როდესაც თითქოსდა ხალხის ინტერესებისათვის სოციალიზმის  
„კერძესტროიგის“ (გარდაქმნის) ლოზუნგით, და ეგრეთ წო-  
დებული დემოკრატიული გარდაქმნების განხორციელების ლო-  
ზუნგით მოხდა კონტრევოლუცია, რომლის შედეგად საბჭოთა  
კავშირის ყოფილმა რესპუბლიკებმა თუმცა კი მიიღეს სა-  
ხელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, რაც საერთოდ ძალიან  
მნიშვნელოვანია, მაგრამ ადმონიჩნევებ ველური, მძარცველური,  
კრიმინალური კაპიტალიზმის პირობებში.

ამრიგად, ადმინისტრაციული სოციალიზმის (რომელიც  
საბჭოთა კავშირის დაშლამდე დიდი სხით ადრე გადაიქცა  
ფსევდოსოციალიზმად) ჭეშმარიტრად ადამიანურ საზოგადოე-  
ბად რევოლუციური გარდაქმნის ნაცვლად, რომლის მშე-  
ნებლობის გზითაც შეიძლებოდა წასულიყვნებ საბჭოთა კავ-  
შირის ყოფილი რესპუბლიკები – როგორც დამოუკიდებელი  
სახელმწიფოები, მოხდა კონტრევოლუცია ხალხისათვის  
შესაბამისი ნეგატიური შედეგებით, რაც აშკარად სახეზეა (?!).

თუმცა საერთოდ კონტრევოლუცია, ისევე, როგორც  
რევოლუცია, ჩემი ღრმა რწმენით, შეიძლება იყოს დადებითი ან  
უარყოფითი მოვლენა იმის მიხედვით, თუ ვის ან რას  
ქმსახურება ის და როგორ შედეგებამდე მივყავართ მას.

მაგრამ, თუ რევოლუცია არ ამართლებს ხალხის  
იმედებს, კონტრევოლუციური გზით უკან დაბრუნების ნაცვ-  
ლად, ახალი რევოლუციური გზით წინსვლა ბევრად უფრო  
გამართლებულად მიმაჩნია, რამეთუ ყოველი ახალი მოძრაობა  
საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარებაში უნდა იყოს  
მოძრაობა წინ, და არა მოძრაობა უკან.

ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ მესამე გზა იწყება  
ადმინისტრაციული სოციალიზმის დაბრუნებით უკან ველური,  
მძარცველური, კრიმინალური კაპიტალიზმისაკენ, რაც არანა-

ირად არ შეიძლება ჩაითვალოს დადებით მოვლენად, – ეს, საბოლოო ჯამში, მაინც არის გზა (მაგრამ გრძელი შემოვლითი გზა), რომელსაც ლოგიკური აუცილებლობით უნდა მოჰყვეს ახალი რევოლუციური გარდაქმნები, რაც, თავის მხრივ, წაგვიყვანს ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისაკენ.

მაშასადამე, მესამე გზა – ეს არის ხელოვნურად გაგრძელებული და ხალხისათვის უმძიმესი გზა ადმინისტრაციული სოციალიზმიდან ყველაზე პროგრესული საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემისაკენ – ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოსაკენ, რადგან მესამე გზა იწყება საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოძრაობით უკან, რომელსაც თან სდევს ხალხისათვის დიდი მატერიალური და მორალური დანაკარგები. და მხოლოდ ამ სტადიოდან, ხალხის მრავალი წლის უმძიმესი ცხოვრების შემდეგ, დაიწყება ჯერ კიდევ იმ კაპიტალიზმის მშენებლობა, რომლიდან გაქცევითაც უშველა თავს თანამედროვე განვითარებულმა კაპიტალიზმა.

კაპიტალიზმის განვითარების გარკვეული დონიდან კი დაიწყება სოციოკაპიტალიზმის მშენებლობა, რომელიც შორეულ მომავალში გადაიზრდება ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობაში.

თუმცა, სახელმწიფო ხელისუფლებაში სათანადო დონის დიდერის, სათანადო ინტელექტუალური ბაზის, შემოქმედებითი აზროვნების და სათანადო ორგანიზატორული უნარის ქონებაზიონისანი ადამიანების არსებობის პირობებში, რომლებიც იქნებოდნენ თავისი ქვეყნის პატრიოტები და ხალხის ინტერესებისათვის მებრძოლი, მესამე გზა ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოსაკენ უკვე ზედმეტი იქნებოდა.

ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციულ სოციალიზმს შეეძლო წასულიყო არა უკან ნგრევისა და ხალხის ძარცვის გზით, არამედ შეეძლო ემოძრავა წინ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს რევოლუციური გარდაქმნების გზით ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობისაკენ, მართვის ნებისმიერი ფორმებისა და მეთოდების გამოყენებით, რომლებიც იქნებოდა ადამიანის ინტერესების სამსახურში და რომლებიც გამორიცხავდა ანტისოციალურ, ანტიკუმანურ, ანტიზნეობრივ მოვლენებს [7, გვ. 93].

ამრიგად, ადმინისტრაციულ სოციალიზმს შეეძლო გამოეყენებინა მისთვის ოპტიმალური პირველი გზა მოძრაობისა წინ

უშუალოდ ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოსაკენ.

მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, ეკონომიკური სისტემის სრულყოფა პოსტსაბჭოურ პერიოდში უნდა მოხდეს თვისებრივად ახალი მიმართულებით – უშუალოდ ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობის გზით სათანადო პოლიტიკურ-სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური მექანიზმების შექმნის საფუძველზე.

### გამოყენებული ლიტერატურა

**1. Кураташвили Альфред А.** На грани необходимости радикальных перемен в ориентации общества и государства. Международный научный журнал «Прогресс», 2001, № 1-2.

**2. Кураташвили Альфред А.** Социально-экономический закон движения и проблемы исходного и основного воспроизводственных отношений. Материалы Республиканской научной конференции: "Актуальные проблемы теории" (15-16 мая 1980 г.). Тбилиси: "Мецниереба", 1980.

**3. Макконелл К. Р., Брю С. Л.** Экономикс: Принципы, проблемы и политика. В 2 т.: Пер. с англ. 11-го изд. Т. 1 – М., Республика, 1992.

**4. ალფრედ გურატაშვილი.** ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორია. პრინციპულულ ახალი მეცნიერული მიმართულება და მმართველობითი სამართლის, ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოების სამართლებრივი სისტემისა და მთლიანად სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა სისტემა-ქმნადი თეორია (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი, საქართაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003.

**5. აღსანიშნავია,** რომ თვითონ ტერმინი „პოსტკომუნისტური კაპიტალიზმი“ შემოდგებულია აკადემიკოს ლადო (ვლადიმერ) პაპავას მიერ: ვლადიმერ პაპავა. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომიკა და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, 2002.

**6. Кураташвили Альфред А.** Новый методологический подход в исследовании проблем и преподавании общественных наук. Материалы научно-методической конференции: "Проблемы совершенствования исследований и преподавания в общественных науках" (15 марта 1990 г.). Тбилиси: "Мецниереба", 1990.

**7. Кураташвили Альфред А.** Философско-политэкономические миниатюры. Материалы Республиканской научной

конференции: "Актуальные проблемы... теории" (15-16 мая 1980 г.).  
Тбилиси, "Мецниереба", 1980.

*Alfred Kuratashvili*

**THEORETICAL PROBLEMS OF IMPROVEMENT OF  
ECONOMIC SYSTEM IN THE CONDITIONS OF FORMATION OF  
CIVILIZED MARKET RELATIONS**

**Annotation**

The article deals with theoretical problems of improvement of economic system in the conditions of formation of the civilized market relations.

Besides, worked out of main trends of economic system improvement is discussed as a component of strategic direction of the development of a political system.

The article discusses those ways of construction of really human society, worked out by author. These ways are the orients of solution of economic system improvement problem.

**განტანგ ბურდული  
საქართველოს ეკონომიკის დარღობრივი სტრუქტურის  
ნაკლოვანებები და მისი გაუმჯობესების ბზები**

1990-იანი წლების დასაწყისში, ეკონომიკის ვარდნის შემდეგ, საქართველოში, ისევე, როგორც პოსტსაბჭოური ქვეყნების უმეტესობაში, მკვეთრად შეიცვალა ეკონომიკის დარღობრივი სტრუქტურა. დაკარგული იყო ბეჭრი საჭირო და აუცილებელი დარგი და წარმოება. მიუხედავად იმისა, რომ მათი უმეტესობა იყენებდა მოძველებულ ტექნოლოგიებს, სახალხო-სამეცნიერო კომპლექსი იყო დივერსიფიციენტული და, გარკვეულ ფარგლებში (ე. ი. პროდუქციის და მომსახურების ექსპორტ-იმპორტის, ანუ გარანა-შემოტანის გათვალისწინებით), ოვითკმარი (самодостаточныи). იმ დროიდან მრავალი წელი გავიდა, საქართველოში მიღწეულია შედარებითი ეკონომიკური სტაბილურობა, ვითარდება სატრანსპორტო და საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურა, მაგრამ დარღობრივი სტრუქტურა არასრულყოფილი რჩება, არ არსებობს ბევრი აუცილებელი დარგი (ან ასეთი დარგების ხვედრითი წილი ძალიან მცირება), რაც შეუძლებელს ხდის საკვანძო მაკროეკონომიკური ინდიკატორების

მისაღები მნიშვნელობის მიღწევას, კერძოდ, ექსპორტ-იმპორტის დამაკაულოფილებელი პარამეტრებისა და, რაც მთავარია, ეპონომიკის თვითგმარი მისაღები დონის მიღწევას.

წინამდებარე სტატიაში, დარგობრივი სტრუქტურის დინამიკის გამოკვლევის საფუძველზე (მშპ-ს დარგობრივი სტრუქტურის, სოფლის მეურნეობის და მრეწველობის დარგების მიხედვით გამოშევებისა და ექსპორტ-იმპორტის შესაბამისი მაჩვნებლების შედარება-შეფასება, დარგების ჯგუფების მიხედვით თვითგმარობის შეფასება), დასტურია საქართველოს ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურისა და 2005-2012 წლებში მისი ცვლილებების შეფასების, მისი განვითარების კოორდინაციაში ძირითადი დაშვებული შეცდომების გამოყენისა და ამის საფუძველზე მისი გაუმჯობესების დასახვის ამოცანა.

დარგების ჯგუფების მიხედვით ნაშრომში შეჯამებულია ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის ნაკლოვანებები და განსაზღვრულია დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფის სავარაუდო ზოგადი მიმართულებები ისეთნაირად, რომ მიღებულ იქნეს დადგბითი სტრუქტურული ეფექტი (სტრუქტურული ეფექტის ქვეშ იგულისხმება ეკონომიკის სექტორებისა და ქვეშ სექტორების, ანუ დარგების ისეთი კომბინაცია, რომელიც უზრუნველყოფს მაქსიმალურ ეფექტიანობას [22, გვ. 69]).

ჩვენი აზრით, სტრუქტურული ეფექტის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია ეკონომიკის თვითგმარობის დონე, რომლის ძირითადი ინდიკატორებია დარგების ჯგუფების მიხედვით მაღალი თვითსაკმარისების დონე (კვების, მსუბუქი მრეწველობის, ელექტრონურებულებისა და სამშენებლო მასალების წარმოებაში, ასევე, თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი) და დადგბითი ექსპორტ-იმპორტის სალი. ამის მისაღწევად საჭიროა საქართველოს ეკონომიკის „სტრუქტურული შინაარსის“ [22, გვ. 69] მიზანდასახული ტრანსფორმაცია.

დარგობრივი სტრუქტურის მიზანდასახული ცვლილებების კოორდინაცია უნდა ხდებოდეს სახელმწიფო და საბაზრო კოორდინაციის მექანიზმების შესაბამისი სრულყოფის საფუძველზე, რაზეც ყურადღება გამახვილებულია ამ სტატიის მფსამე პარაგრაფში.

ნაშრომში გამოყენებული სტრუქტურული მიღგომის აქტუალობაზე, კერძოდ, მეტყველებს პუბლიკაცია [29], სადაც ასეთივე თანამიმდევრობით (დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფა, სტრუქტურული ცვლილებები კოორდინაციის მექანიზმებში) მოცემულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და გან-

კითარების ორგანიზაციის რეკომენდაციები, მიმართული (ამ შემთხვევაში რუსეთში) უახლოეს პერიოდში (2-3 წელი) მშპ-ის ზრდის უზრუნველყოფაზე.

### 1. დარგობრივი სტრუქტურის ანალიზი

მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურის დინამიკის ანალიზი ეკონომიკური საქმიანობის სახეების (აგრეგირებული დარგების) მიხედვით, გვაძლევს შესაძლებლობას, დავასკვნათ თუ რამდენად ხორციელდება პროგრესული სტრუქტურული ძრვები ეკონომიკის დარგების აგრეგირებული კლასიფიკაციის მიხედვით. ასეთი ანალიზისათვის გამოყენებულია მონაცემები ცხრილებიდან “მთლიანი შიდა პროდუქტის პროცენტული სტრუქტურა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით” [12, გვ. 26] და “მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ჯაჭვური ინდექსები” [12, გვ. 28] (აღნიშნოთ, რომ ამ ცხრილებში წლების მიხედვით დარგების პროცენტული სტრუქტურა გათვლილია მიმდინარე ფასების მიხედვით, ზრდის ჯაჭვური ინდექსი კი – მუდმივი 2003 წლის ფასების გამოყენებით). როგორც ცხრილებიდან ჩანს, სოფლის მეურნეობის, ნადირობის, სატექნიკურნეობისა და თევზჯერის ხვედრითი წილი ქვეყნის მშპ-ის (საბაზისო ფასებში) საერთო მოცულობაში დაეცა 16,7%-დან 2005წ. 8,8%-მდე 2011წ., ამასთან, მიმდინარეობდა სოფლის მეურნეობის მშპ-ს მოცულობის აბსოლუტური ვარდნა: მშპ-ს მოცულობა 2010წ. შეადგინა 2005წ. მოცულობის 77,3%, 2011წ. კი – 83,5%<sup>10</sup>. სამორმოპოვებით მრეწველობას საქართველოში დიდი პერსპექტივები არ აქვს (სამშენებლო მასალების წარმოებისათვის საჭირო ნედლეულის მოპოვების გარდა) და, ბუნებრივია, მისი მშპ-ს ხვედრითი წილი ქვეყნის მშპ-ს მთელ მოცულობაში სტაბილურად დაბალია (0,9-1,2%). ელექტროენერგიის წარმოებაში, იმის შემდეგ, რაც გაჩერდა ხუდონის ჰეს-ის მშენებლობა, ახალი სიმძლავრეები თითქმის არ ჩნდებოდა. მიუხედავად ამისა, ამ წლებში ელექტროენერგიის, აირისა და წელის წარმოებასა და განაწილებაში შექმნილი დამატებული

<sup>10</sup> სოფლის მეურნეობის და მასთან მომიჯნავე დარგების პრობლემები განხილული გვაქვს ცალკე სტატიებში [6; 7; 23; 24], ამიტომ აქ ამ დარგის პროცენტის მოცულობის გარდნის მიზეზებსა და გამოცოცხლების გზებზე შევჩერდებოთ ძალიან მოკლედ, მხოლოდ იმ ზომით, რაც საჭიროა სტატიის საერთო ლოგიკის დასაცავად.

დირექტულების (მშპ) ხვედრითი წილი მშპ-ს საერთო მოცულობაში თითქმის სტაბილური იყო (2,8-3,2%, 2008 წ. – 2,6%).

დამამუშავებელი მრეწველობის დარგების განვითარება ყველაზე მნიშვნელოვანია მაკროეკონომიკური ინდიკატორების გაუმჯობესების თვალსაზრისით. მაგრამ მათი მშპ-ს ხვედრითი წილი ქვეყნის მშპ-ს საერთო მოცულობაში თითქმის არ იცვლება და წლების მიხედვით მერყეობს 9,1-9,9%-ის ფარგლებში (2007წ. – 8,1%). ამასთან, დამამუშავებელი მრეწველობის მშპ-ის მოცულობა 2011წ. გაიზარდა 2005წ. მოცულობასთან შედარებით 68,3%-ით, რაც, მართალია, მთლიანი მშპ-ს ამ პერიოდში ზრდის ჯაჭვურ ინდექსზე (137,6%) უფრო მაღალია, მაგრამ, დამამუშავებელი მრეწველობის საერთო შედარებით მცირე საწყისი მოცულობის გამო, არ არის დამამაყმაყოფილებელი. ამასთან, დამამუშავებელი მრეწველობაში ლომის წილი უკავია პროდუქციის გამოშევებას “საკვები პროდუქციის, სასმელების, თამბაქოს წარმოებაში” (2011წ. 40,8%), მეტალურგიულ მრეწველობაში (17,4%), დანარჩენი არალითონური ნაკეთობების წარმოებაში (10,0%)<sup>11</sup> (უფრო ვრცლად ინფორმაცია დამამუშავებელი მრეწველობის დარგების შესახებ მოყვანილია ქვემოთ). მშპნებლობის მშპ-ის ხვედრითი წილი შემცირდა 9,1%-დან 2005წ. 6,7%-მდე 2011 წელს. ეს მოხდა იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, სამრეწველო დანიშნულების ობიექტების მშენებლობა ქვეყანაში ჯერჯერობით დაბალ დონეზეა, მეორე, შემცირდა მოთხოვნა საცხოვრებელ სახლებზე მოსახლეობის მნიშვნელოვანი ფენების დაბალშემოსავლიანობის გამო. იზრდება ვაჭრობისა და მომსახურების და სერვისის ზოგიერთი სხვა სახის მშპ-ის ხვედრითი წილი. ეს თანამედროვე ეტაპზე თვისებრივია ქველა განვითარებული და წარმატებულად განვითარებადი ქვეყნებისათვის და ბუნებრივია საქართველოს პირობებშიც. მაგრამ სამომხმარებლო სფეროს ინფორმაციულ-ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიებით გარკვეული გაჯერება უკვე მოხდა, ამიტომ მომსახურების ამ სფეროში (კავშირგაბმულობა) მშპ-ის ხვედრითი წილის კლება დაიწყო.

მშპ-ის სტრუქტურის დინამიკის ცხრილის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ასევე გავაკეთოთ დასკვნა, რომ რეალური (ამასთან, ექსპორტის მირითადი მოცულობის უზრუნველმყო-

<sup>11</sup> გათვლილია ცხრილის „გამოშვებული პროდუქციის მოცულობა გკონომური საქმიანობის სახეების მიხედვით მრეწველობაში“ [17, გვ. 140-141] მონაცემების საფუძველზე.

ფელი) წარმოების საერთო ხვედრითი წილი (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, პროდუქციის გადამუშავება შინამეურნეობების მიერ, მშენებლობა<sup>12</sup>, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა და ა. შ.) 2005-2011წწ. თანდათანობით მცირდებოდა სასერვისო და სხვა მომსახურე სფეროების სასარგებლოდ (ვაჭრობა, სახელმწიფო მმართველობა, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება და ა. შ.). ეს კარგი იქნებოდა დარგობრივი სტრუქტურის განვითარების საწყისი პარამეტრები რომ ხელსაყრელი ყოფილიყო, მაგრამ დღვეანდელ პირობებში მაკროეკონომიკური პარამეტრების რეალური გაუმჯობესება, განსაკუთრებით ექსპორტ-იმპორტის სალდოსი, რომლის თანასწორული პარამეტრების მიღწევას აქს გადამზევები მნიშვნელობა ქვეყნის სტაბილური განვითარების უზრუნველოფაში, შესაძლებელი იქნება მხოლოდ სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის დარგების წინმსწრები განვითარების პირობებში (სასერვისო დარგებიდან გამონაკლისია მხოლოდ ტურიზმი, რომლის წინმსწრებმა განვითარებამ ასევე შეიძლება მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ექსპორტ-იმპორტის სალდოს გაუმჯობესებაში).

ამიტომ, სტატიის შემდეგი სტატიისტიკური ანალიზი ეძღვნება სამრეწველო და სხვა დარგების განვითარებაში არსებული მდგრამარეობის შესწავლას. ამასთან, დარგობრივი სტრუქტურის ანალიზი სტატიაში განხორციელებულია ყოველი აგრეგირებული სამრეწველო დარგის გამოშვებული პროდუქციის მოცულობისა და მისოვების დამახსასიათებელი პროდუქციის სახეების ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლებთან (ფულად გამოსახულებაში) შედარებაში თვითკმარობისა და, სადაც საჭიროა, თვითუზრუნველყოფის დონის გამოკვლევით. კეთის ძირითადი პროდუქტების მიხედვით სტატიისტიკურ ანგარიშებაში არსებობს შესაბამისი ბალანსები, რომლებიც არსებული სიტუაციის შესწავლის შესაძლებლობას გვაძლევს. მაგალითისთვის ქვემოთ მოყვანილია ხორცის ბალანსის ამსახველი ცხრილის ზოგიერთი სტრიქონი (ცხრილი 1).

### ცხრილი 1 ხორცის ბალანსის მაჩვენებლები (ათასი ტონა) [14, გვ. 86; 15, გვ. 79; 16, გვ. 78].

	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
ადგილობრივი	83,3	73,0	57,3	54,3	56,4	49,3	42,6

<sup>12</sup> მშენებლობას, რა თქმა უნდა, ექსპორტში წვლილი არ შეაქვს.

წარმოება							
იმპორტი	32,9	53,3	62,1	61,9	61,9	71,3	77,5
ექსპორტი		1,2	0,8	0,2	0,7	1,2	0,9
სულ რესურსები = მთლიანი გამოყენება		128,1	123,3	118,8	120,2	123,1	122,4
თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი, %		58	48	47	48	41	36

ამ ცხრილიდან ნათლად ჩანს სიტუაციის ცვლილება შევანაში ხორცის წარმოებაში და ხორცის ბაზარზე. სამწუხაროდ, არასაკვები პროდუქტებისა და მომსახურებისათვის ასეთი ცხრილები ცალკეული დარგების მიხედვით სტატისტიკურ ანგარიშგებაში ამჟამად არ არსებობს. მაგრამ მსგავსი შედარებებისა და შესაბამისი დასკვნების გაკეთება შეიძლება პროდუქტების ჯგუფების ჭრილში (შესაბამისად აგრეგირებული დარღების, ანუ დარღების ჯგუფების ფარგლებში) გამომვების მოცულობისა და საქართველოს ექსპორტის და იმპორტის სასაქონლო კარგის მიხედვით დაჯგუფებული (აგრეგირებული ამა თუ იმ ფარგლებში კელევის საჭიროებების შესაბამისად) პროდუქტების (მომსახურების) მოცულობის შედარების საფუძვლზე. ამასთან, შესაბამისი მონაცემების გაანალიზებამდე საჭიროა, გავაკეთოდ ერთი შენიშვნა. სტატისტიკური პუბლიკაციების ორ სხვადასხვა ვარიანტში მთლიანი ექსპორტის და იმპორტის მონაცემები ძალიან განსხვავდება. განსაკუთრებით ეს ეხება ექსპორტის მონაცემებს. საქონლის და მომსახურების ანგარიშში [17, გვ. 108], 2011 წლის საქონლის და მომსახურების ექსპორტის მოცულობა შეადგენს 8823 მლნ ლარს, იმპორტის კი – 13334 მლნ ლარს. საქართველოს საგარეო გაჭრობის სტატისტიკაში კი (მაგ., [17, გვ. 239]) 2011 წლის ექსპორტის მოცულობა შეადგენს 2189 მლნ აშშ დოლარს (ანუ, დაახლოებით, 3611 მლნ ლარს), იმპორტის მოცულობა კი – 7058 მლნ აშშ დოლარს (ანუ, დაახლოებით, 11646 მლნ ლარს). პირველ შემთხვევაში, სადაც ძალიან გაზრდილია, განსაკუთრებით, ექსპორტის მონაცემები, ჩვენი ვარაუდით, საექსპორტო თანხაში აღნათ ჩათვლილია საექსპორტო შემოსავლები ტურიზმიდან (ქ. ი. უცხოელი ტურისტების მიერ ქვეყანაში გაწეული ხარჯები) და სხვა სახის მსგავსი მომსახურებიდან. მაგრამ, რადგანაც

ჩვენ არ შეგვიძლია ამ მონაცემების გაშიფვრა დარგების ჭრილში, ჩვენ შედარებების დროს ვსარგებლობთ მონაცემებით, რომლებიც მოცემულია დეტალიზაციისა და აგრეგირების სხვადასხვა დოზით საქართველოს საგარეო ვაჭრობისა [13] და საქართველოს სტატისტიკური წელიწლეულის [17] კრებულებში.

უპირველის ყოვლისა, განვიხილოთ ენერგეტიკის სექტორი. საქართველოს, როგორც ვიცით, ვაქტობრივად არ აქვს ნავობის და ბუნებრივი აირის საკუთარი საბადოები, ამიტომ, ნავობპროდუქტების და აირის (ბუნებრივის და თხევადის) იმპორტის ხვედრითი წილი მთლიანი იმპორტის მოცულობაში ძალიან მნიშვნელოვანია და 2011 წელს შეადგენდა 16,3% (12,9 + 3,4%) (1503 მლნ ლარი + 390 მლნ ლარი<sup>13</sup>) [13, გვ. 136]. ამასთან, რა თქმა უნდა, ნავთობპროდუქტების ადგილობრივი წარმოება და გადამუშავება უმნიშვნელოა და მისი ხვედრითი წილი მრეწველობის მთლიან გამოშვებაში ბოლო წლებში არ აღემატებოდა 0,01%. ამ პირობებში ძალიან მნიშვნელოვანია ელექტროენერგიის საკუთარი გამოშვების ზრდა, ამასთან, ზრდა უნდა იყოს მიღწეული არა იმპორტირებული ენერგომატარებლების გამოყენების ხარჯზე, არამედ განახლებადი რესურსების (უპირველეს ყოვლისა, ჰიდროენერგიის) გამოყენებით. ელექტროენერგიის (უფრო სწორედ “ელექტროენერგიის, აირის და წყლის წარმოების და განაწილების”) გამოშვების ხვედრითი წილი მრეწველობის მთელ გამოშვებაში 2011 წელს შეადგენდა 13,8% (888,3 მლნ ლარი). ე. ი. ენერგეტიკულ ბალანსში მნიშვნელოვანი ზომის საკუთარი წარმოება საქართველოს გააჩნია მხოლოდ ელექტროენერგეტიკაში და ენერგიის უზრუნველყოფის კუთხით ქვეყნის იმპორტ-ექსპორტის სალდოს გაუმჯობესება შესაძლებელია ძირითადად ჰიდროენერგეტიკის წინმსწრები განვითარებით. როგორც ვიცით, ამჟამად საქართველოში უფრო მეტი ელექტროენერგიის გამოშვება ხდება იმპორტირებადი ენერგომატარებლების (ძირითადად, ბუნებრივი აირის) გამოყენებით, რადგანაც წინა პერიოდში, წარმოების პოსტსაბჭოური ვარდნის შემდეგ, ჰიდროენერგეტიკის განვითარებას არ ექცევდა ყურადღება (ამასთან, უკანასკნელ ათ-

<sup>13</sup> ექსპორტის და იმპორტის მოცულობის დარგების ადგილობრივ გამოშვებასთან შედარების მიზნით, სტატისტიკური მონაცემები პროდუქტების აგრეგირებული ჯგუფების მიხედვით, საგარეო ვაჭრობის კრებულიდან გადაყვანილია აშშ-ის დოლარებიდან ლარებში, 2011 წელს არსებული კურსის (1,65) შესაბამისად.

წლეულში მნიშვნელოვანი სახსრები მიიმართებოდა არააუცილებელი ობიექტების მშენებლობაზე). ასევე, ამჟამად ბევრ ქვეყანაში (უპირველეს ყოვლისა, გერმანიასა და აშშ-ში) მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებები ელექტროენერგიის გამომუშავებაში მზის ბატარეების (ელემეტების) მეშვეობით, რაზეც უნდა იქნეს მიქცეული ყურადღება საქართველოს სტრუქტურულ-დარღობრივ პოლიტიკაში, კერძოდ, საქართველოს ენერგეტიკის განვითარების სტრატეგიის განხილვისას.

ახლა განვიხილოთ სტრუქტურული მონაცემები კვების პროდუქტების სფეროში. საკვების პროდუქციის ექსპორტის და იმპორტის მოცულობა ჰარმონიზებული სისტემის აგრეგირებული სასაქონლო კარების მიხედვით [17, გვ.250-255] მოცემულია ოთხ პოზიციაში (სტრიქონში): 1) ცოცხალი ცხოველი და ცხოველური წარმოების პროდუქტები; 2) მცენარეული წარმოების პროდუქტები; 3) ცხიმები და ზეთები; 4) კვების მზა პრდუქტები, სასმელები, თამბაქო. რომ გვერდებს დაახლოებითი წარმომგენა შესაბამის დარგებში გამოშვების და ექსპორტ-იმპორტის ბალანსის შესახებ, სოფლის მეურნეობაში (თვეზეჯერასთან, სატყეო მეურნეობასა და ნადირობასთან ერთად) გამოშვებული პროდუქციის მოცულობა უნდა შევადაროთ ექსპორტისა და იმპორტის პირველი და მეორე აღნიშნული პოზიციების ჯამებთან, კვების მრეწველობის გამოშვება კი (სასმელებსა და თამბაქოს პროდუქტებთან ერთად) ექსპორტის და იმპორტის მესამე და მეოთხე აღნიშნული პოზიციების ჯამებთან. 2011 წელს პროდუქციის გამოშვებამ სოფლის მეურნეობაში შეადგინა 2674 მლნ ლარი [17, გვ.153]. მათ შორის, მემცნარეობის პროდუქცია – 1009,7 მლნ ლარი, მეცხოველეობის – 1620,4 მლნ ლარი. იმპორტის მოცულობა პირველი ორი ხსენებული სტრიქონის მიხედვით იყო 910 მლნ ლარი (იმპორტის მოელი მოცულობის 7,8%), ექსპორტის მოცულობა კი – 374,9 მლნ ლარი, ანუ იმპორტი ამ პოზიციების მიხედვით 2,4-ჯერ აღემატება ექსპორტს. კვების მრეწველობაში (სასმელებისა და თამბაქოს პროდუქტების წარმოების ჩათვლით) გამოშვებამ შეადგინა 2161,6 მლნ ლარი (მოელი მრეწველობის გამოშვების 33,6%, შედარებისათვის, 1990 წელს კვების მრეწველობის წილი იყო 38,9% [1, გვ.236-237]). მესამე და მეოთხე სტრიქონების მიხედვით იმპორტმა შეადგინა 1059,6 მლნ ლარი, ე.ი. დარგის ადგილობრივი გამოშვების 49% (მოელი იმპორტის 9,1%), ექსპორტი კი 364,2 მლნ ლარი (მოელი ექსპორტის 10,1%). ე. ი. შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ საკვები პროდუქტების იმპორტს უკავია მნიშვნელოვანი წილი

მთელი იმპორტის მოცულობაში (17,9%), ამ დარგებში გამოშვებული პროდუქციის ექსპორტით მიღებული შემოსავლები კი არ ახდენენ საკვები პროდუქციის იმპორტის კომპენსაციას: საკვები პროდუქტების იმპორტი 2,6-ჯერ აღემატება ექსპორტს. კეთის პროდუქტების უზრუნველყოფელ დარგებში წარმოების ძლიერი დაცვმა, რა თქმა უნდა, მოხდა 90-იანი წლების დასაწყისში. მაგრამ, სოფლის მეურნეობაში მდგომარეობა თანდათანობით გარეულწილად გამოსწორდა და 2005 წლისათვის ადგილობრივი წარმოების შედარებით მაღალი დონე იყო მიღწეული, მაგრამ 2005 წლის საგადასახადო რეფორმის განხორციელების შემდეგ აგრარული და კვების მრეწველობის წარმოების კოორდინაციაში დაშეებული იყო რიგი შეცდომა, კერძოდ, საგადასახადო რეგულირებასა და ფასწარმოქმნის კოორდინაციაში, ასევე, ხდებოდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების უცხოელებზე გაუაზრებელი მიყიდვა, სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკაში კი – ევროკავშირის შესაბამისი ორგანიზაციების მოთხოვნების იგნორირება. კველაფერს ამას მოჰყვა კვების პროდუქტების ადგილობრივი წარმოების მკვეთრი დაცვმა (ცვრლად იხ. [23; 24]). კვების მრეწველობის გამოშვების შედარებით მაღალი ხელდროითი წილი მრეწველობის მთლიან გამოშვებაში კი შეიძლება აისხნას იმით, რომ, ჯერ ერთი, საერთოდ, ამჟამად მთელი მრეწველობის გამოშვება არც ისე დიდია (მაგალითად, 1990 წლისათვის შედარებით), მეორე, ბევრი საკვები პროდუქტი იწარმოება იმპორტული ნედლეულისაგან, ამასთან, ხშირად, დაბალი ხარისხის. ე. ი. ხდება ადგილობრივი წამოების ხელდეულის ჩანაცვლება იმპორტით, რაც ძალიან ავოწროებს ადგილობრივი წარმოებლების შესაძლებლობებს.

ეკონომიკის პოსტსაბჭოური ვარდნის დროს 90-ინი წლების დასაწყისში ძალიან შეიკვეცა წარმოება მსუბუქ მრეწველობაში. 1990 წლს მისი გამოშვების ხვედრითი წილი მთელ მრეწველობაში გამოშვებული პროდუქციის მოცულობაში იყო 23,6% [1, გვ. 236-237], მაგრამ შემდეგ ძალიან სწრაფად, თითქმის ნებანი დონემდე შეიკვეცა. ფეხსაცმლის და ტანსაცმლის წარმოების შეკვეცის მიზეზები გასაგებია. როგორც ვიცით, ამ დარგების პროდუქცია კონკურენტუნარო იყო და ამიტომ მოსახლეობა უპირატესად იმპორტულ პროდუქციის ყიდულობდა. მაგრამ, ამავე დროს, შეწყდა მუშაობა მსუბუქი მრეწველობის იმ საწარმოებშიც, რომლებიც უშვებდნენ კონკურენტუნარიან პროდუქციას (საქართველოში, მაგალითად, შეიკვეცა აბრეშუმის წარმოების მთელი ტექნოლოგიური ციკლი). ვნახოთ, რა

მდგომარეობაა მსუბუქ მრეწველობაში ამჟამად. სტატისტიკურ წელიწადებში მრეწველობაში პროდუქციის გამოშვების ამსახური ცხრილში [17, გვ. 140-141] მსუბუქი მრეწველობა წარდგენილია სამი სტრიქონით: 1) ტექსტილის წარმოება; 2) ტანსაცმლის და ა. შ. წარმოება; 3) ტყავის, ტყავის ნაწარმის და ფეხსაცმლის წარმოება. 2011 წელს ამ სტრიქონების მიხედვით ჯამურმა გამოშვებამ (ე. ი. გამოშვებამ მსუბუქ მრეწველობაში) შეადგინა 92,9 მლნ ლარი, რაც მრეწველობის მთლიანი გამოშვების 1,4% შეადგენს. ე. ი. 23 წლის განმავლობაში არ მოხდა ამ დარგის ახალი ტექნოლოგიების ბაზაზე თუნდაც ნაწილობრივი რეანიმაცია. ამდენად, არ არის გასაკვრი შესაბამისი პროდუქციის მნიშვნელოვანი იმპორტი 637,5 მლნ ლარის ოდენობით (შეჯამებულია შესაბამისი ცხრილის [17, გვ. 250-255] რამდენიმე სტრიქონი), რა თქმა უნდა, ექსპორტის მცირე მოცულობის პირობებში 54,4 მლნ ლარი. ე. ი. ამ დარგში იმპორტი აღემატება ექსპორტს 11,7-ჯერ, პროდუქციის ადგილობრივ გამოშვებას კი – 6,9-ჯერ.

პოსტსაბჭოური ვარდნის დროს სხვა დარგებთან შედარებით ნაკლებად დაზარალდა ქიმიური მრეწველობა (1990 წელს ქიმიურ და ნავთობქიმიურ მრეწველობაში გამომუშავებული პროდუქციის ხვდერითმა წილმა მთელ მრეწველობაში შეადგინა 4,9%), რადგანაც მოხერხდა საწარმოო გაერთიანება “აზოტის” და ზოგიერთი მცირე საწარმოს გადარჩენა. ბოლო პერიოდში შევიდა მწყობრში მეტალოპლასტიკატების ქარხანა<sup>14</sup>. 2011 წელს ამ დარგის გამოშვებამ შეადგინა 457,3 მლნ ლარი (მრეწველობის მთელი გამოშვების 7,1%), ექსპორტის მოცულობამ მიაღწია 377 მლნ ლარს, იმპორტი კი გაცილებით მეტი იყო – 841,6 მლნ ლარი. უფრო ნაკლებია რეზინის და პლასტიმასის ნაწარმის წარმოება – 116,8 მლნ ლარი, ამასთან, პოლიმერული მასალების იმპორტის მოცულობა იყო 486,6 მლნ ლარი, ექსპორტი კი – 7,6 მლნ ლარი. ე. ი. ქიმიური და პოლიმერული პროდუქციის მიხედვითაც ექსპორტ-იმპორტის სალდოს მაჩვენებელი ასევე ძალიან არასახარბიერია, ამასთან, იმპორტი ამ დარგების მიხედვით ასევე მნიშვნელოვნად აღემატება საკუთარ (ადგილობრივ) წარმოებას.

<sup>14</sup> გაუგებარია, სტატისტიკურ ანგარიშგებაში სად არის აღრიცხული მისი პროდუქცია: ქიმიურ, პლასტიმასისა თუ მეტალურგიულ წარმოებაში.

შედარებით დიდი წილი მრეწველობის მთლიან გამოშვებაში უკავია მეტალურგიულ წარმოებას. ლითონის მზა ნაწარმის წარმოებასთან ერთად, ამ დარგის გამოშვებამ 2011 წელს შეადგინა 996,3 მლნ ლარი (მრეწველობის მთელი გამოშვების 15,5%). ამასთან არაძირფასი ლითონების და მათი ნაწარმის იმპორტმა შეადგინა 942,5 მლნ ლარი, ექსპორტმა კი – 877,2 მლნ ლარი. მაშასადამე, ამ დარგში, სხვა დარგებთან შედარებით, მდგრმარეობა უფრო სახარბიელოა, მაგრამ ეს დარგიც მოითხოვს გაფართოებას და მოდერნიზაციას. კერძოდ, თანამედროვე პირობებში რკინის ბევრი პროდუქციის ჩანაცვლება ხდება მეტალოპლასტიკური კონსტრუქციებით, ამიტომ, საჭიროა ამ მიმართულებით ახალი სიმძლავრეების შექმნა.

საქართველოში პოსტსაბჭოურ გარდაქმნამდე კარგად იყო განვითარებული სამშენებლო მასალების მრეწველობა. 1990 წელს ამ დარგში გამომუშავებული პროდუქციის ხვედრითი წილი მთელი მრეწველობის გამომუშავებული პროდუქციის მოცულობაში იყო 5,3% [1, გვ. 236-237]. ამჟამად სტატისტიკურ მონაცემებში ცალკე გამოყოფილი არ არისეს დარგი. “დანარჩენი არალითონური ნაკეთობების წარმოებაში” [17, გვ. 140-141], სამშენებლო მასალების გარდა, ჩათვლილია ზოგიერთი სხვა პოზიციაც, მაგალითად, კერამიკული ჭურჭელი. მიუხედავად ამისა, შეიძლება ამ დარგის ადგილობრივი გამოშვების და იმპორტ-ექსპორტის შეფასება. 2011 წელს “დანარჩენი არალითონური მინერალური ნაკეთობების წარმოების” გამოშვებამ შეადგინა 606,6 მლნ ლარი (მრეწველობის მთლიანი გამოშვების 9,4%). ამასთან, იმპორტმა პოზიციის “ქვის, თაბაშირის, ცემენტის, აზბესტის და ა. შ. ნაწარმი, კერამიკული ნაწარმი, მინა და მისი ნაწარმი” მიხედვით შეადგინა 187,3 მლნ ლარი, ექსპორტმა კი – 12,6 მლნ ლარი. ე. ი. ამ პოზიციის (სამშენებლო მასალების წარმოება) მიხედვით, მრეწველობაში შედარებით ხელსაყრელი მდგომარეობაა, დარგი დაახლოებით 75%-ით უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის მოთხოვნებს სამშენებლო მასალებში, და, გონივრული სამრეწველო პოლიტიკის ჩატარების შემთხვევაში, აქ სწრაფად შეიძლება ექსპორტ-იმპორტის სალდოში დადებითი შედეგის მიღწევა.

ასევე არასახარბიელო მდგომარეობაა დარგებში, რომლებიც დაკავშირებულია ხე-ტყის დამუშავებასა და გადამუშავებასთან. დარგების მიხედვით მრეწველობაში გამომუშავებული პროდუქციის ცხრილში [17, გვ. 140-141] ასეთი პროდუქციის გამოშვება მოცემულია სამ პოზიციაში: 2011 წელს “ხე-ტყის

დამუშავებაში და მერქნის, ხისა და კორპის ნაწარმის წარმოებაში (ავეჯის გარდა)" გამოშვებამ შეადგინა 88,5 მლნ ლარი (2010 წელს – 26,6 მლნ ლარი); "ქადალდის მასის, ქადალდის, მუჟაოსა და მათი ნაკეთობების წარმოებაში" – 45,0 მლნ ლარი (2010 წელს – 27,6 მლნ ლარი); "ავეჯისა და სხვა დაჯგუფებებში დანარჩნი პროდუქციის წარმოებაში" (სამწუხაროდ, მონაცემები ავეჯის შესახებ ცალკე არ არის მოცემული) – 84,6 მლნ ლარი (2010 წელს – 54,8 მლნ ლარი). სამივე პოზიციაში 2011 წელს გამოშვებაში დაფიქსირდა დიდი ნახტომი. დაახლოებით ასეთივე პოზიციების მიხედვით შევაჯამეთ მონაცემები ექსპორტის [13, გვ. 37, 38, 39, 58] და იმპორტის [13, გვ. 85, 86, 87, 88, 121] შესახებ 2012 წლისათვის (პროდუქციის დირებულების ლარებში გადაყვანით): "ხეტეუ დამუშავებული, ფილები, ფანერა, მერქანი, ხის სამშენებლო მასალები, კორპის ნაწარმი და სხვ." – 38,6 მლნ ლარი ექსპორტი და 172,2 მლნ ლარი იმპორტი; "ქადალდი, ცელულოზა, ნაწარმი ქადალდისა-გან (ნაბეჭდი პროდუქციის გარდა) და სხვა" – 17,6 მლნ ლარი ექსპორტი და 153,8 მლნ ლარი იმპორტი; "ავეჯი" – 19,1 ექსპორტი და 179,8 მლნ ლარი იმპორტი. როგორც ჩანს, ამ დარგებშიც ძალიან არასახარბიერო მდგომარეობაა. მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი წარმოების მონაცემები მოცემულია 2011 წლისათვის, ექსპორტ-იმპორტის მონაცემები კი 2012 წლისათვის, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ იმპორტის მოცელობა ამ პოზიციებით რამდენჯერმე აღემატება აღგილობრივ წარმოებას და, შესაბამისად, ექსპორტის მოცელობას და ამ პოზიციების ხარჯზეც მნიშვნელოვნად იზრდება ექსპორტ-იმპორტის უარყოფითი სალდო.

საინტერესო მდგომარეობაა სატრანსპორტო საშუალებების ექსპორტ-იმპორტი. ადგილობრივი წარმოების მცირე დონის პირობებში (პოზიცია „სხვა სატრანსპორტო საშუალებები“ – 157,7 მლნ ლარი), სატრანსპორტო საშუალებების ექსპორტის 2011 წელს შეადგინა 901,8 მლნ ლარი, იმპორტმა კი 2228,7 მლნ ლარი (მთელი იმპორტის 19,1%). საქმე ისაა, რომ ექპორტის და იმპორტის მაჩვენებლებში ჩათვლილია რეექსპორტირებული მსუბუქი მანქანების საფასური, რომელმაც 2011 წელს შეადგინა 444,8 მლნ აშშ დოლარი, ანუ 733,9 მლნ ლარი. ამიტომ, მთლიანი ექსპორტის და იმპორტის უფრო ობიექტურ შეფასებას მივიღებთ (როგორც ამ დარგში, ასევე მთლიანად ეკონომიკაში) იმ შემთხვევაში, თუ გამოვაკლებთ შესაბამისი იმპორტის და

ექსპორტის მაჩვენებლებიდან მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტის თანხას.

ეს რაც ეხება სატრანსპორტო საშუალებებს, რომელთა უმეტესი ნაწილი, რა თქმა უნდა, მიეკუთვნება მაღალ ტექნოლოგიებს. როგორი მდგომარეობაა სხვა მაღალი ტექნოლოგიების (სამომხმარებლო ნაკეთობების ან საწარმოო მოწყობილობების) წარმოებაში საქართველოში? დარგების (ეკონომიკური საქმიანობის სახეების) მიხედვით მრეწველობაში გამოშვებული პროდუქციის მოცულობის ცხრილში [17, გვ. 140-141] მაღალი ტექნოლოგიების გამოშვება (სატრანსპორტო საშუალებების გარდა) მოყვანილია შემდგე პოზიციებში: “მანქანებისა და მოწყობილობების წარმოება”, “საოფისე მოწყობილობებისა და გამოთვლითი ტექნიკის წარმოება” (0 ლარი), “ელექტრონული მანქანებისა და ელექტრომოწყობილობების წარმოება”, “აპარატების წარმოება რადიოს, ტელევიზიისა და კავშირგაბმულობისათვის”, “სამედიცინო ტექნიკის ნაწარმის, საზომი საშუალებების, ოპტიკური ხელსაწყოებისა და აპარატურის, საათების წარმოება”. ამ პოზიციებში მოყვანილი ადგილობრივი გამოშვების ჯამური მოცულობა უდრის 94,7 მლნ ლარს, რაც მრეწველობის მთელი გამოშვების მხოლოდ 1,47% შეადგენს. იმპორტისა და ექსპორტის მონაცემები ამ მიმართულებით შესაბამის ცხრილებში [17, გვ. 250-255] მოთავსებულია პოზიციებში: “მანქანები, მოწყობილობები, მექანიზმები; ელექტრონული მოწყობილობა და ა.შ.” და “სხვადასხვაგაგრი ინსტრუმენტები და აპარატურა”. ამ პოზიციების ჯამური იმპორტი შეადგენს 1297,2 მლნ ლარს (მთელი იმპორტის 11,1%), ექსპორტი კი – მხოლოდ 87,8 მლნ ლარს (მთელი ექსპორტის 2,24%). ამ მაღალტექნოლოგიური დარგების მიხედვით საქართველოს ეკონომიკაში ყველაზე არასახარისიელო მდგომარეობაა, თვითქმარობის ხარისხი ყველაზე დაბალია: ყოველ წელს საჭიროა ახალი ინფორმაციულ-ტელეკომუნიკაციური და სხვა ნაკეთობების და მოწყობილობის იმპორტირება, ამასთან, შეუძლებელია ამ იმპორტის კომპენსირება ამ კლასის დარგების (მაღალტექნოლოგიური) პროდუქციის გამოშვებით და ექსპორტით. რაც 1990 საქართველოში იწარმოებოდა მაღალტექნოლოგიური ნაკეთობები ნაწილობრივ იმ დროისათვისაც მოძველებული იყო (მაგრამ იმ დროისათვის კონკურენტუნარიანი საქონელიც იწარმოებოდა – სატვირთო ავტომანქანები, თვითმფრინავები, ტელეფონურები და სხვა). მაგრამ თანამედროვე პერიოდისათვის იმდროინდელი მაღალტექნოლოგიური წარმოების ძირითადი ნა-

წილი უიმედოდ მოძველდა (მაგალითად, მაგნიტოფონები, ტელევიზორები, გამოთვლითი ტექნიკა და ა.შ.). მრავალი ნაკეთობა ამჟამად სხვა ტექნოლოგიურ ბაზაზე კეთდება. გაჩნდა ბევრი პროდუქტი, მოწყობილობა, დაფუძნებული საერთოდ ახალ ტექნოლოგიურ ბაზაზე. ამასთან, მსოფლიოში ქვეყნებს შორის მწვავე კონკურენცია მიმდინარეობს შესაბამისი საწარმოების ქვეყანაში განლაგებისათვის. ამ თვალსაზრისით საქართველოს ბოლო პერიოდამდე არ პქონდა მოწინავე მაღალ-ტექნოლოგიური ტრანსეროვნული კორპორაციების საწარმოების მოწვევის შედარებით მიმზიდველი შეთავაზებები.

## **2. დარგობრივი სტრუქტურის ნაკლოვანებები და პროგრესული დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბების ზოგადი მიმართულებები**

უპირატეს პირობებში, როგორც ადგილობრივი, ისევე უცხოელი ინგენიერების მოზიდვისათვის, შემდეგი ქვეყნები იმყოფება: 1) ქვეყნები, რომლებშიც საკვაბსა და სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პროდუქციაზე (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, საცხოვრებელი, ელექტროენერგია) შიდა ბაზაზზე ფასები უფრო მცირეა, ვიდრე საშუალოდ მსოფლიოში, რადგანაც ამ შემთხვევაში კომპანიები ეკონომიას აკეთებენ შრომის ანაზღაურების ხარჯზე და, მაშასადამე, პროდუქციის რეალიზაციისას სხვადასხვა ქვეყანაში უფრო მეტ მოგებას დებულობენ (იმისათვის, რომ ქვეყანაში სხენებულ პროდუქციაზე ფასები იყოს ნაკლები, ვიდრე საშუალოდ მსოფლიოში, საჭიროა, სასოფლო -სამეურნეო პროდუქციის ძირითად სახეებში ქვეყანა იყოს თვითუზუნველყოფადი და, ასევე, თანდათანობით იზრდებოდეს ენერგორესურსებით თვითუზუნველყოფის შედარებით მაღალი დონის მნიშვნელობა); 2) სულ უფრო და უფრო მიმზიდველი ხდება კომპანიებისათვის ქვეყნები, რომლებსაც შედარებით იაფი ელექტროენერგიის წარმოების პოტენციალი გააჩნია; 3) მრავალმოსახლეობიანი ქვეყნები, რომლებსაც გააჩნიათ ტევადი ბაზები, აშენებული საწარმოების მიერ, გამოშვებული პროდუქციის შესაძენად (ეს პირობა აქტუალურია, უპირველეს ყოვლისა, ტრანსნაციონალური კომპანიების საწარმოების მოზიდვისათვის); 4) ქვეყნები, რომლებსაც გააჩნიათ ადგილობრივი მეწარმეების დახმარება-წახალისების ქმედითი მექანიზმი, განსაკუთრებით, მიმართული ახალი ტექნოლოგიების ათვისებისა და შესაბამისი პროდუქციის სტაბილური წარმოების ხელშეწყობაზე (ამასთან, დიდი მნიშვნელობა აქვს გა-

მოშვებული პროდუქციის სტაბილური ექსპორტის შესაძლებლობის არხებობას); 5) ქვეყნები, რომლებსაც გააჩნიათ შედაგათიანი საგადასახადო და ხელსაყრელი საორგანიზაციო პირობები (რომელიც ან კანონმდებლობით დგინდება, ან განისაზღვრება ქვეყნის მთავრობასა და კორპორაციის ხელმძღვანელთა შორის დადებული ხელშეკრულებით). მაგრამ ეს უკანასკნელი პირობა ამჟამად ნაკლებად მუშაობს, რადგან კორპორაციები თავისი საწარმოების განთავსებისას უპირატესობას აძლევს იმ ქვეყნებს, სადაც პირველი სამი პირობა დაცული.

1. ენერგიის გამომუშავებელ და ენერგომატარებლების მწარმოებელ დარგებში ქვეყანას მნიშვნელოვანი შესაძლებლობები (რომელთა რეალიზაციას შეუძლია დადებითი შედეგის მოტანა ენერგობადანისის იმპორტ-ექსპორტის სალდოს გამოსწორებაში) გააჩნია მხოლოდ ელექტროენერგეტიკაში. ამასთან, საკუთარი ქვანანშირის გამოყენებით ელექტროენერგიის გამომუშავება ამჟამად არ არის აქტუალური (პროცესის შედარებითი სიძირის გამო). ე. ი. ენერგეტიკის სფეროში საქართველოში შესაძლებელია მხოლოდ (მირითადად) პიდროელექტროენერგეტიკის განვითარება (თუ არ ჩავთვლით მზის ბატარეების გამოყენების შესაძლებლობას, რომელთა წლილი ელექტროენერგიის გამომუშავებაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების შემთხვევაში შეიძლება იყოს 10-15%). ამასთან, პიდროელექტროენერგეტიკის განვითარებას 1990 წლიდან 2012 წლამდე არ ეძღვოდა არავითარი ყურადღება. ამჟამად, ახალი მთავრობის მიერ მუშავდება პიდროენერგეტიკის განვითარების სტრატეგია და ფაქტობრივად დაიწყო მისი თანდათანობითი რეალიზაცია. მაგრამ, მხოლოდ მცირე და საშუალო ჰესების აშენებით, რომელთა ჯამური სიმძლავრე (იმ პროექტების, რომელთა რეალიზაცია შეიძლება ეკოლოგიური მოთხოვნების გათვალისწინებით), სავარაუდო არ აღემატება 500-700 მეგავატს (შედარებისათვის: თურქეთში ამჟამად შენდება 4800 მგვ სიმძლავრის რამდენიმე ატომური ელექტროსადგური). ამიტომ, ჩვენი აზრით, გარდაუვალია ხუდონპესის აშენება, მაგრამ ამისათვის საჭირო დაფინანსების გონივრული წყაროების მონახვა. მ. სააკაშვილის ხელისუფლების მიერ განსაზღვრული ხელშეკრულების პროექტის რეალიზაცია ქვეყანას დააყენებდა ინვესტორი კომპანიის მიმართ ძალიან არასახარბიელო გრძელვადიანი ვალდებულებების წინაშე. მაგალითად, დ. მირცხულავას (ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი) სტატიაში აღნიშნულია, რომ ხუდონპესის მოედი წლიური გამომუშავებიდან (1 მლრდ

500 მლნ კვტ/სთ) მხოლოდ 20% მიეყიდება მთავრობას ზამთრის ოთხი თვის განმავლობაში შედავათიანი ტარიფით 5,84 ცენტად (დღეისათვის 9,6 თეთრი) (შედარებისათვის: წელს პიკურ დროს რუსეთიდან იმპორტირებული ქნერგიის ფასი იქნება 9,5 აშშ ცენტი/კვტ/სთ-ზე). ამასთან, ავტორი სავსებით სამართლიანად წერს, რომ “საწარმოების კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია შედარებით იაფი ელექტროენერგია” [10]. ზემოთ ჩვენც აღვნიშვნეთ, რომ ქვეყანაში საწარმოო ინგესტი-ციების მოზიდვის სტიმულირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია იაფი ელექტროენერგია. ამიტომ, აუცილებელია ხელშეკრულებაში ისეთი პირობის დადგება, რომ მთელი ელექტროენერგია ქვეყნის ბაზობზე გაიყიდება შედარებით დაბალი ტარიფით, რადგანაც ჰესებზე გამომუშავებული ელექტროენერგიის თვითღირებულება, როგორც წესი, დაბალია (მაგალითად, ენგურებულებზე გამომუშავებული ელექტროენერგიის თვითღირებულებაა 1,18 თეთრი კვტ/სთ [10]). ამასთანავე, იმისათვის, რომ მომავალში მოგება ქვეყანაში დარჩეს, მიზანშეწონილია, ხელშეკრულება ძირითად ინვესტორთან დაიდოს “თანაინვესტირების ფონდში” მიღებული წესებით (იხილეთ მესამე პარაგრაფი) და თანაინვესტორმა, რამდენიმე წლის შემდეგ დაიწყოს პროექტიდან გასვლა (როგორც ეს გათვალისწინებულია იმავე თანაინვესტირების ფონდის წესებით) ძირითადი პაკეტის სახელმწიფოსათვის მიყიდვით (რადგანაც ხუდონჰესი სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტია). საქართველოს ტერიტორიაზე სხვა დიდი სიმძლავრის ჰესის აშენების ეკონომიკურად რეალური ვარიანტი არ არსებობს (მდინარე რიონზე პიპოთეზურად შეიძლება საქართველოში ყველაზე დიდი ჰესის აშენება, მაგრამ ამისათვის საჭირო წყალსაცავის გაჩენა გამოიწვევდა უკიდურესად მაღალ ეკონომიკურ და ეკოლოგიურ ზარალს, კერძოდ, წყალსაცავით დასაფარავ ტერიტორიაზე მოხდებოდა რიგი მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტი და საუკეთესო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები). ასევე შეიძლება 1-2 საშუალო ზომის ჰესის (100-150 მგვ) მშენებლობისათვის ადგილის მონახვა.

2. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამჟამად საქართველოს ეკონომიკაში მაღალტექნოლოგიური დარგების პროდუქციის გამოშვებას ძალიან უმნიშვნელო ხევდრითი წილი უბავია (პოსტსაბჭოურ ვარდნამდე მისი წილი შედარებით მნიშვნელოვანი იყო). რა თქმა უნდა, არ შეიძლება მცირე ქვეყანაში მრავალი მიმართულების მაღალტექნოლოგიური დარგის შექმნა.

მაგრამ საჭიროა რამდენიმე მიმართულების არჩევა და ამ მიმართულების მიხედვით შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება. ამასთან, უნდა მოიძებნოს როგორც წინათ არსებული რამდენიმე დარგის საწარმოების ახალ ტექნოლოგიურ ბაზაზე რეანიმაციის (მაგალითად, ჩარხმუნებლობაში), ასევე რომელიმე ახალი დარგის საწარმოების ჩამოყალიბების გზები. თანამედროვე საწარმოო ტექნოლოგიების მოზიდვა ადგილობრივი მეწარმეების მიერ და სრული საწარმოო ციკლის ათვისება ძალიან რთული პროცესია და შეუძლებელია სათანადო სახელმწიფო კოორდინაციის გარეშე. განსაკუთრებით მნელია საკუთარი მსხვილი წარმოების ჩამოყალიბება ინფორმაციულ-ტელეკომუნიკაციური პროდუქციის გამოშვებისათვის, რაღაც, ასეთი საწარმოებით შევმოიტანოთ გაჯერებულ ქვეყნებს შორისაც მიმდინარეობს კონკურენცია ასეთი საწარმოო ტექნოლოგიების შემდგომი მოზიდვისათვის. მაგრამ ეს არ გამორიცხავს მცირე ქვეყნების მიერ თანამედროვე მაღალტექნოლოგიური მსხვილი კომპანიის შექმნის შესაძლებლობას (მაგალითად, ფინეთის “ნოკია” შედის მსოფლიოს უმსხვილესი კომპანიების რიცხვში). ამჟამად ძალიან გართულდა ასევე მაღალი ტექნოლოგიების მოზიდვა ქვეყნებში წამყვანი კორპორაციების საწარმოების განლაგების სახით, რაღაც ამისათვის მსურველ ქვეყნებს შორის ასევე მიმდინარეობს მწვავე კონკურენცია.

აქედან ჩანს, რომ მაღალტექნოლოგიური დარგების წარმოების გაფართოების ამოცანა მცირე ქვეყანაში თანამედროვე პირობებში ძალიან რთული ამოცანაა და ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა დახვეწილი დარგობრივ-სტრუქტურული (უფრო ადრინდელი ტერმინოლოგიით “სამრეწველო”) პოლიტიკის არსებობა, რომლის განხორციელების გამტარებლები უნდა იყვნენ როგორც შესაბამისი სახელმწიფო ორგანიზაციები, ასევე – ბიზნესწრების წარმომადგენლები ან მსხვილი კერძო სტრუქტურები (ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია თანაინვესტირების ფონდის ფუნქციონირება, რომელმაც დაიწყო მოქმედება საქართველოში – ეს, შეიძლება ითქვას, სამრეწველო პოლიტიკის მნიშვნელოვანი კლავია, რომელშიც მონაწილეობენ კერძო სტრუქტურები).

როგორც ითქვა, საჭიროა ახალ ტექნოლოგიურ ბაზაზე ზოგიერთი ტრადიციული მაღალი ტექნოლოგიის რეანიმაცია. ახალი დარგებიდან კი ინფორმაციულ-ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიების ზოგიერთი მიმართულების განვითარებისათვის

არჩევასთან ერთად (მაგალითად, ტელემონიტორების წარმოების რეანიმაცია – წინათ საქართველოში იყო ტელეკიზორების მწარმოებელი ქარხანა, მაგრან რადგან ამჟამად მონიტორები მზადდება ახალ ტექნოლოგიურ ბაზაზე, შესაბამისი წარმოება შეიძლება ახალ დარგად იქნეს მიჩნეული), ჩვენი აზრით, უფრო მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს სხვა მაღალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული პროდუქციის წარმოებას, რომელიც მსოფლიოში ჯერ არ იწარმოება ძალიან ფართო მასშტაბებზე (კ.ი. საწარმოო სფერო მსოფლიოში ჯერ არაა გაჯერებული შესაბამისი საწარმოებით), მაგრამ სხვადასხვა ქვეყანაში შეიმჩნევა ასეთი პროდუქციის უფრო ფართო მოხმარების ტენდენცია. მაგალითისათვის მოყიფვანთ შემდეგ გააზრებას. როგორც ზემოთ აღინიშნა, ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში დაიწყო მზის ელემენტების მეშვეობით გამომუშავებული ელექტროენერგიის მოელი ელექტროენერგიის გამომუშავებაში ხვდრითი წილის შესაბრენევი ზრდა (განსაკუთრებით გამოირჩევა გფრ-ი). ამიტომ, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი იქნებოდა ქვეყანაში თანამედროვე ტიპის მზის ელემენტების წარმოების ჩამოყალიბება, მეწარმეთა შესაბამისი სტიმულირებისა და მზის ელემენტების გამოყენებაზე მიმართული პარალელური სახელმწიფო პროპაგანდის (როგორც ეს ხდება, მაგალითად, აშშ-სა და გფრ-ში) საფუძველზე. კ. ი. საჭიროა ახალი მაღალტექნოლოგიური პროდუქტების წარმოებისა და გამოყენების მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვება და სერიოზული ანალიზის შედეგად ამა თუ იმ ახალი პროდუქტის ქვეყანაში წარმოების მიზანშეწონილობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

3. დარგების შემდეგი ჯგუფია სოფლის მეურნეობა და ძირითადად მისი პროდუქციის გადამუშავებაზე დაფუძნებული დარგები, კ.ი. კების მრეწველობა და მსუბუქი მრეწველობა. როგორც ზემოთ მოყვანილი ანალიზიდან ჩანს, ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დარგების პროდუქციით ქვეყნის ოკითურულგელყოფის მდგომარეობა ასევე არასახარბიელობა. ამ დარგების არასაკმარისი განვითარების მიზეზები და სიტუაციის გამოსწორების გზები ჩვენ მიერ მოცემულია რამდენიმე ახალ სტატიაში [6; 7; 23; 24].

4. დარგების ჯგუფი, რომლებიც ძირითადად აწარმოებენ პროდუქციას შუალედური მოხმარების ან გადამუშავებისათვის: მეტალურგია, ქიმიური მრეწველობა, პოლიმერული მასალების (პლასტმასის, რეზინის წარმოება და ნაწარმი) მრეწველობა,

მეტალოპლასტიკების წარმოება, სამშენებლო მასალების მრეწველობა. ამ პროდუქციაზე მოთხოვნა მსოფლიოში სტანდარტულ იზრდება (განსაკუთრებით, სასუქებზე, მეტალოპლასტიკებზე, სამშენებლო მასალებზე) და, მიუხედავად იმისა, აქვს ძველიას საწყისი ნედლეული წარმოებისათვის ამ დარგებში თუ არა, ამ დარგების განვითარების მიმართულებების გრინგული არჩევის შემთხვევაში, შედარებით მოკლე პერსპექტივაში ჯამური ექსპორტ-იმპორტის სალდო ამ დარგების პროდუქციის მიხედვით შეიძლება გახდეს დადებითი, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად, ყოველი სხენებული დარგის მიხედვით, ასეთი სალდო ამა თუ იმ ზომით უარყოფითია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იქნეს ისეთ აქტუალურ მიმართულებას, როგორიცაა მეტალოპლასტიკური მასალებისა და მათგან საგნების წარმოება, ასევე – ხარისხიანი სამშენებლო მასალების წარმოება, მათ შორის საექსპორტო მიწნებისათვის.

5. ხე-ტყის მასალებს და მისი გადამუშავებით მიღებულ ნაკეთობებს (ხის სამშენებლო მასალები, ავეჯი, ქაღალდი და ა.შ.) უკავია მნიშვნელოვანი ადგილი ეკონომიკის დარგებისა და მოსახლეობის მოთხოვნების უზრუნველყოფაში, ამასთან, როგორც ზემოთ არის ნაჩვენები, ლომის წილი ამ მომარაგებაში უკავია იმპორტირებულ საქონელს. ამიტომ, შესაბამისი ადგილობრივი წარმოების განვითარება წარმოადგენს იმპორტჩანაცვლებისა და დადებითი სტრუქტურული ეფექტის მიღწევის სტრატეგიის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიმართულებას. სამწუხაროდ, 1990-2012 წწ. მოედი პერიოდის განმავლობაში საქართველოში ხშირად მიმდინარეობდა ხე-ტყის უკონტროლო ჩეხება და დაუმუშავებული მორების საზღვარგარეთ გატანა. ამის შედეგად ამ დარგების ნედლეულით მომარაგებისათვის არჩევითი ჩეხების შესაძლებლობები მნიშვნელოვნად შემცირდა. ამიტომ აქ საჭიროა დაუმუშავებელი ხე-ტყის იმპორტის პაზაზე ადგილობრივი წარმოების, უპირველეს ყოვლისა, ავეჯის წარმოების, სწრაფი განვითარება. ასევე, პერსპექტივაში გადამამუშავებელი წარმოების საკუთარი ხე-ტყით უფრო ფართო უზრუნველყოფისათვის საჭიროა არსებული ტყის მასივების შესაბამისი მოვლა, ასევე, როგორც ეს ამჟამად ხდება ბევრ ძველიაში, სწრაფად მზარდი ხეების პლანტაციების შექმნა (მაგალითად, ევეალიატის, კოლხეთის ჭაობების პერიმეტრზე).

6. დადებითი სტრუქტურული ეფექტის მიღწევაში გარკვეული წვლილი შეიძლება შეიტანოს მომსახურების ზოგიერთმა დარგმა, უპირველეს ყოვლისა, ტურიზმმა, რომლის

წინმსწრებმა განვითარებამ შეიძლება მოახდინოს მნიშვნელოვნები დადგბითი ძვრები ექსპორტ-იმპორტის სალდოში (უცხოური ტურისტების ქვეყანაში მომსახურება ფაქტობრივად მომსახურების ექსპორტს წარმოადგენს). ამ დარგის განვითარების პერსპექტივები ცალკე კვლევების საგანია და სხვადასხვა ასპექტის მიხედვით სიღრმისეულად გაშუქებულია ქ. ქველაძის ნაშრომებში [ქველ. და სხვ.]. გარკვეული შესაძლებლობები უცხოელების მომსახურებაში ასევე აქვს განათლების სისტემას.

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ საქართველოს ეკონომიკის “სტრუქტურული გადაორიენტირება” [22, გვ. 69] უნდა მიმდინარეობდეს შემდეგი მიმართულებებით<sup>15</sup>: 1) ჰეს-ების აშენების ხარჯზე ელექტროენერგეტიკის სიმძლავრეების გაზრდა. ასევე, გვირ-ის და აშშ-ის მაგალითზე ორიენტაციით მზის ელემენტებზე დამყარებული სიმძლავრეებით გამომუშავებული ელექტროენერგიის მთლიან ელექტროენერგეტიკულ ბალანსში ხვდრითი წილის თანდათანობით, დაახლოებით, 10%-მდე მიყვანა; 2) მაღალტექნოლოგიური დარგების მიერ გამოშვებული პრდუქციის ხვედრითი წილის მიზერული დონიდან საგრძნობ დონემდე დაუვანა. ამისათვის საჭიროა განვითარების რამდენიმე მიმართულების არჩევა როგორც რომელიმე ტრადიციული დარგის რეანიმაციის საფუძველზე (მაგალითად, ახალი ტექნოლოგიების ბაზაზე მრავალპროფილიანი ჩარხმებული ქარხნის აშენება; თანამედროვე ტელემონიტორიზაციის ქარხნის აშენება და სხვა), ასევე ახალი დარგების ჩამოყალიბების გზით, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ არჩეული წარმოების ნიშა მსოფლიოში არ იყოს გადამეტ-გაჯერებული (მაგალითად, თანამედროვე მზის ბატარეების წარმოების დაფუძნება ან საკუთარი მეწარმეების ძალებით შესაბამისი საწარმოო ტექნოლოგიების იმპორტირების საფუძველზე, ან უცხოური კორპორაციის მოწვევით); 3) სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მომიჯნავე დარგების კოორდინირებული გაფართოება მათი იმპორტჩანაცვლებითი და ექსპორტორიენტირებული ფუნქციების ზრდით [6; 23; 24]; 4) სოფლის მეურნეობასთან მსუბუქი მრეწველობის მომიჯნავე დარგების წარმოების რეანიმაცია, რაც უპირველესი რიგის ამოცანაა [7; 23; 24]; 5) ქიმიური, პოლიმერული, მეტალურგიული, მეტალოპლასტიკების და

<sup>15</sup> ამ ნაშრომში ვიხილავთ მხოლოდ დარგობრივ სტრუქტურას, მაგრამ სტრუქტურულ შინაარსში შედის სხვა მახასიათებლებიც, მაგალითად, საწარმოების სტრუქტურა ზომის მიხედვით.

სამშენებლო მასალების წარმოების ისეთი დაჩქარებული განვითარება, რომ გარკვეულ პერიოდში ამ დარგებისათვის დამახასიათებელი პროდუქციის მიხედვით ჯამური ექსპორტი იმპორტის სალდო დადგბითი გახდეს; 6) ხე-ტყის გადამამუშავებელი ქარხნების განვითარება, უპირველეს ყოვლისა, ავეჯისა და ხის სამშენებლო ნაკეთობების წარმოებაში; 7) მომსახურების დარგების განვითარება მათი ექსპორტორიენტირებული და იმპორტჩანაცვლებითი შესაძლებლობების გაზრდაზე ორიენტაციით.

### 3. პროგრესული დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბების გზები: სტრუქტურულ-დარგობრივი პოლიტიკა და მისი ინსტრუმენტები

ის ფაქტი, რომ 1990-იანი წლების დასაწყისში, ეკონომიკის გარდნის შემდეგ, როდესაც გაქრა (ან ძალიან შეიგვეცა) ეკონომიკის ბევრი დარგი, დიდი ხანი, ფაქტობრივად 2013 წლამდე, არ ხდებოდა ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის თანამდევრული გაუმჯობესება, ბევრადაა განპირობებული ეკონომიკური განვითარების მექანიზმის კოორდინაციის ნაკლოვანებებით და არასრულყოფილებით. ყველაზე დიდი ნაკლია ის, რომ საქართველოში აქამდე არაა ჩამოყალიბებული სტრუქტურულ-დარგობრივი პოლიტიკა და, შესაბამისად, მისი კოორდინაციის თანამედროვე პირობებისადმი აღმდგარული ეკონომიკური მექანიზმები.

ჯერ კიდევ 1990-იან წლებში, ჩვენ მიერ განვითარებული და წარმატებულად განვითარებადი ქვეყნების გამოცდილების შესწავლის საფუძველზე, დასაბუთებული იყო ქვეყანაში სამრეწველო პოლიტიკისა და მისი რეგულირების მექანიზმის არსებობის აუცილებლობა (განვითარებულ ქვეყნებში ასეთი მექანიზმები მოიცავს საფინანსო-საკრედიტო და საფინანსო-საბიუჯეტო ინსტრუმენტებს, დარგების მიხედვით განვითარების სტრატეგიის ჩამოყალიბებას ან, ზოგიერთ ქვეყანაში, ინდიკატურ დაგეგმვას, ასევე, ინსტიტუციურ დონისძიებებს, მათ შორის სპეციალური კანონების შემოღებას და სხვა) [4; 5; 8; 26; 27]. ზოგიერთი ეკონომისტი თვლის, რომ თანამედროვე პირობებში სამრეწველო პოლიტიკა მის თავდაპირველ გაგებაში არ არსებობს (იხ., მაგ., [21, გვ. 17, 19]). მაგრამ ეს არ არის სწორი. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ ძალიან შეიზღუდა სამრეწველო პოლიტიკის ისეთი ინსტრუმენტების გამოყენება, როგორიცაა სახელმწიფოს მიერ პროდუქციის ექსპორტის სა-

ფინანსო მხარდაჭერა, ან სოფლის მეურნეობაში პროდუქციის მოცულობის ზრდაზე მიმართული სუბსიდიების სახით სახელმწიფო საფინანსო მხარდაჭერა (მაგრამ დაშვებულ ფარგლებში ბევრი სახელმწიფო ამჟამადაც მიმართავს ასეთ ღონისძიებებს). მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიზანდასახულობებით ასევე გარკვეული ზომით შეიზღუდა ადგილობრივი წარმოების სატარიფო დაცვის მექანიზმები. მიუხედავად ამისა, ყველა განვითარებულ და წარმატებულად განვითარებად ქვეწებს ამა თუ იმ სახით გააჩნია სტრუქტურულ-დარგობრივი განვითარების პოლიტიკა და მისი რეალიზაციის მექანიზმები, სადაც კოორდინაციისათვის გამოიყენება საფინანსო-საკრედიტო ბერკეტები, საგადასახადო სტიმულირებისა და ფასწარმოქმნის კოორდინაციის ინსტრუმენტები, თანამედროვე პირობებისადმი შესატყვისი ინსტიტუციური მოწესრიგების ღონისძიებები (უკანასკნელ პერიოდში ინტერესი სამრეწველო პოლიტიკის განხორციელების მიმართ გაიზარდა პოსტკომუნისტურ ქვეწებშიც (იხ., მაგ., [28]). ამასთან, თანამედროვე პირობებში ასეთი პოლიტიკა და მისი რეალიზაციის მექანიზმები უფრო დახვეწილ ფორმებს იღებს. ასეთი სტრატეგიის და მისი განხორციელების მექანიზმის არსებობა კიდევ უფრო საჭიროა პოსტსაბჭოური ქვეწინის პირობებში, რადგანაც ამის გარეშე, ქვეწებს შორის მიზანშეწონილი რეალური ინვესტიციების მოზიდვისათვის გამწვავებული კონკურენციის პირობებში, ეფექტიანი დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბება (უფრო სწორედ, ეფექტიანი სტრუქტურის აღდგენა ახალი მოთხოვნების გათვალისწინებით) შეუძლებელია.

საქართველოში კი 2004წ. შემდეგ, საგადასახადო სისტემის შედარებით მიზანშეწონილ რეფორმირებასთან პარალელურად, დაიწყო ეპონომიკური განვითარების კოორდინაციის ზოგიერთი იმ ინსტრუმენტის ან გაუქმება, ან არასწორი გამოყენება, რომელიც უკვე არსებობდა. მაგალითად, გაუქმდა ინდიკატური დაგვგმვის მექანიზმი (თუმცა მიზანშეწონილი სტრუქტურულ-ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობი სრულფასოვანი მექანიზმის გარეშე ინდიკატური დაგეგმვით დასახული მაჩვენებლების მიღწევა მაინც შეუძლებელი იქნებოდა). ბევრი დარღვევა იქნა დაშვებული სხვა, განსაკუთრებით ინსტიტუციურ მექანიზმებში. მაგალითად, ხდებოდა საკუთრების უფლების ხელყოფა, 2004 წლიდან დაწყებული, მსხვილმასშტაბიანი პრივატიზაცია ხდებოდა კანონმდებლობის სრული დარღვევით, ანტიმონოპოლიური რეგულირების დარღვევის

შემთხვევებმა განაპირობა კონკურენციის შეზღუდვის მრავალი ფაქტი, არასწორი საკანონდებლო ინიციატივების გატარების საფუძველზე დამქირავებლებსა და დამქირავებლებს შორის მოხდა ურთიერთობების ისეთი დამახინჯება, რომელიც აშკარად არ შეესაბამება ევროკავშირის მოთხოვნებს შრომითი ურთიერთობების რეგულირების შესახებ [11, გვ. 34-40]. არ ხორციელდებოდა ღონისძიებები სასურსათო უსაფრთხოების დასაცავად და სოფლის მეურნეობის განვითარების სათანადო კოორდინაცია საგადასახადო და საფინანსო-საკრედიტო ინსტრუმენტების მეშვეობით [23; 24]. გახშირდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების უცხოელებზე მიყიდვა, რაც ძალიან ნეგატიურად მოქმედებს ადგილობრივი ფერმერების სამეურნეო შესაძლებლობებზე და, მუდმივი ზომების მიუღებლობის შემთხვევაში (როგორც ვიცით, ასეთ მიყიდვაზე ერთწლიანი მორატორიუმი დაწესდა), სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების უცხოელებზე შემდგომმა მიყიდვამ შეიძლება გამოიწვიოს ადგილობრივი მოსახლეობის აყრის ახალი ტალღა (აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან გამოდენის შემდეგ). ყველაფერმა ზემოაღნიშნულმა ნეგატიურად იმოქმედა დარღობრივ სტრუქტურაზე, რის გამოც ქვეყნის ეკონომიკა უფრო ნაკლებად თვითგმარისი გახდა (თვითგმარობის დონე ყველა პროდუქტის ჯგუფის მიხედვით კიდევ უფრო შემცირდა).

საქართველოში ახალი ოანამედროვე საწარმოები მთელი პოსტკომუნისტური პერიოდის განმავლობაში ჩნდებოდა მხოლოდ იშვიათად, ამიტომ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის ტემპები ძალიან დაბალი იყო. მართალია, მ. სააკაშვილის მთავრობის ხელისუფლებაში მოსვლის პირველ წლებში მშპ-ის ზრდის ტემპები შედარებით მაღალი იყო (2005-2010წ 8-10% წელიწადში), მაგრამ ეს ტემპები მიღწეული იყო ძირითადად არა თანამედროვე ინდუსტრიული მშენებლობისა და ბიზნესის შესაბამისი განვითარების ხარჯზე, არამედ ისეთი სხვადასხვა მოსახვენებელი ობიექტების მიზანშეუწოდელი მშენებლობის ხარჯზე, რომლებსაც არ შეეძლო წვლილის შეტანა ხანგრძლივი მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფასა და საკვანძო მაკროეკონომიკური ინდიკატორების გაუმჯობესებაში (სამართლიანობისათვის უნდა აღვნიშნოთ, რომ გარკვეული წარმატებები იყო მიღწეული გზების მშენებლობასა და საყოფაცხოვრებო და საწარმოო ინფრასტრუქტურის ზოგიერთი სხვა ობიექტის მშენებლობაში). მშპ-ის ზრდის საფინანსო უზრუნვე-

ლეიონგა ხშირად უცხოური კრედიტების და შენობებისა და ნაგებობების პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლების ხარჯზე, შემდეგ კი, აგრეთვე, უცხოელ მოქალაქეებზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მასობრივი მიყიდვის ხარჯზე ხდებოდა (უკანასკნელი სოფლის მეურნებაში დაცემისა და სურსათის იმპორტის მკვეთრი ზრდის აუცილებლობის ერთ-ერთი მიზეზი გახდა). იმის შემდეგ კი, როდესაც გაყიდვისათვის დანიშნული ობიექტების რეზერვი შემცირდა და აუცილებელი გახდა მნიშვნელოვანი სახსრების მიმართვა საგარეო ვალდებულებების მომსახურებისათვის, ბუნებრივია, დაიწყო მშპ-ის ზრდის ტემპების დაჭვებითება. ახალმა მთავრობამ მემკვიდრეობით კი მიიღო ისეთივე, მეტწილად რუტინულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული, ჩამორჩენილი წარმოება, არავგაჭრიანი არათვითებარი (იმპორტი რამდენჯერმე აღემატება ექსპორტს) დარგობრივი სტრუქტურა. მაგრამ ახალი და უახლესი ტექნოლოგიების ათვისების, ახალი დარგების შექმნისა და მიზანშეწონილი ტრადიციული დარგების მოდერნიზაციისა და განახლების გარეშე შეუძლებელია თანავედროვე ეფექტიანი ეკონომიკის ჩამოყალიბება, თანამედროვე თვითკმარი დარგობრივი სტრუქტურის ფორმირება.

მაშასადამე, მ. სააკაშვილის მთავრობის მიერ დიდი პერიოდის განმავლობაში შეზღუდული საფინანსო რესურსები მეტწილად ისეთი პროექტების დაფინანსებაზე იხარჯებოდა, რომელთა განხორციელების შედეგად ეკონომიკის სტრუქტურა უფრო ცალმხრივი და უფრო ნაკლებად თვითკმარი ხდებოდა. ძალიან ნათლად ასახა ეს ვთიარება ბიძინა ივანიშვილმა: “ეკონომიკა იმართებოდა არასწორი მეთოდებით და ის ზრდა რაც ციფრულით მიღწეული იყო, მიღწეული იყო ძირითადად სახელმწიფო სტრუქტურების აქტიურობით და ერთი კაცის გადაწყვეტილებების შედეგად. ნაწილი სახელმწიფო ინვესტიციების ეფექტურად ხორციელდებოდა. მხედველობაში მაქს ის პატარა ინფრასტრუქტურული მშენებლობები, რომელსაც სახელმწიფო ახორციელებდა, ხოლო სხვა დანარჩენი მშენებლობები, კერძოდ, ქუთაისის პარლამენტის, ბათუმის თაუერის, ახაკლის აკვა-პარკი და სხვა მსგავსი შენობები უხარისხო იყო” [2].

ამ ყველაფერმა, ასევე საგარეო ვალების მომსახურებაზე მიმართულმა სახსრების ზრდამ, ახალ მთავრობას პირველ პერიოდში ძალიან გაურთულა ეკონომიკაში სიტუაციის გამოსწორების საქმე. ამასთან, უკვე გადადგმულია რიგი ნაბიჯი ეკო-

ნომიკური მდგომარეობის მოსაწესრიგებლად. გაზაფხულზე სერიოზული საქმიანობაა გაწეული სოფლის მეურნეობის გამოსაცოცხლებლად, რაც, ჩვენი აზრით, უკვე სექტემბერ-ოქტომბერში დადგებითად იმოქმედებს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებზე, გადადგმულია რიგი ნაბიჯი ეკონომიკის ზრდის ხელშეწყობაზე ორიენტირებული ფონდების ჩამოყალიბებისათვის. 2013 წლის ოქტომბერში პატრიარქის ინიციატივით დაწესდა მეტად საჭირო ტყის გამწვანების ფონდი. “ეკონომიკის სამინისტრო და ეკონომიკური გუნდი უახლოეს მომავალში წარმოადგნენ ეკონომიკის განვითარების შუავადიან გეგმას” [2].

საინვესტიციო სასახლების უკმარისობის პირობებში ქვეყნის დარღობრივი სტრუქტურის გაუმჯობესებისათვის მეტად ხელსაყრელია თანაინვესტირების ფონდის ფუნქციონირება, რომელიც თანამდებობებით “დასავლური პრაქტიკისა და სტანდარტების გათვალისწინებით ჩამოყალიბდა” საქართველოში (აქ და ამ აბზაცში ქვემოთ მოყვანილია ამ ფონდში მონაწილე ინვესტორთა მოსაზრებები ფონდის სარგებლიანობისა და ფუნქციონირების პრინციპების შესახებ, გაშუქებული სტატიურში [9; 18]). ეს ფონდი ფაქტობრივად წარმოადგენს სტრუქტურულ-დარღობრივი პოლიტიკის რეალიზაციის ახალ თანამედროვე ინსტრუმენტს. ფონდში მონაწილე გამოცდილ ინვესტორებს შეუძლიათ საინვესტიციო პროექტების სათანადო შეფასება და საიმედო პროექტების არჩევა, ასევე ფონდი იზიარებს რისკებს პროექტში მონაწილეობის ფაზლებში (25-75%). ამასთან, “დაარსების 5-7 წლის განმავლობაში ფონდი იწყებს პროექტებიდან გასვლას, კონკრეტულად მაშინ, როცა შესაძლებელი იქნება პროექტში არსებული წილის: I. რომელიმე პარტნიორზე გასხვისება; II. სტრატეგიულ თუ ფინანსურ ინვესტორზე გასხვისება ან III. ადგილობრივ ან საერთაშორისო ბაზებზე პირველადი საჯარო შეთავაზება”. ასეთი ტიპის ინვესტირების უპირატესობა ისაა, რომ “განსხვავებით პროექტის საბანკო სესხით დაფინანსების შემთხვევისა, როცა ბანკი ითხოვს პროცენტისა და ძირის წინასწარ გაწერილი გრაფიკის მიხედვით დაფარვას, ფონდი ამ შემთხვევაში ბიზნესს სხვა მოქნილობას სთავაზობს, კომპანიაში დებს ფულს, იზიარებს რისკებს და ინვესტირებულ სახსრებზე არ ითხოვს საპროცენტო გადასახადს”. ჩვენი აზრით, თანაინვესტირების ფონდის კიდევ ერთი უპირატესობა ისაა, რომ პროექტში მონაწილე მსხვილ ინვესტორებს შეუძლიად უზრუნველყონ მსოფლიო ბაზრების თავის ნიშებში დაშვება (შეღწევა) მათი მონაწილეო-

ბით შექმნილი ახალი კომპანიების პროდუქციის რეალიზაციის სათვის. ცხადია, ასეთი ფონის მონაწილეობით ქვეყანაში უზრუნველყოფილი იქნება კაპიტალურ დაბანდებათა განხორციელების მნიშვნელოვანი ნაწილი, მაგრამ ეს არ გამორიცხავს ბევრ ქვეყანაში აპრობირებულ სახალმწიფო და კერძო სტრუქტურების მონაწილეობით საინვესტიციო (განვითარების) ბანკის ჩამოყალიბების აუცილებლობას.

ჩვენ ნაშრომებში უპარ მოყვანილია რიგი შეთავაზება დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფის შესახებ საერთოდ [3; 8; 20 და სხვა], ასევე, სოფლის მეურნეობის და მრეწველობის მომიჯნავე დარგების განვითარების კოორდინაციის შესახებ [6; 7; 23; 24]. ქვემოთ მოყვანილია კიდევ რამდენიმე წინადაღება მკონმიქის განვითარების კოორდინაციის მექანიზმის ისეთი მხარეების სრულყოფის შესახებ, რომლებიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ეკონომიკის ეფექტიანი თანამედროვე დარგობრივი სტრუქტურის ფორმირებას:

1. საჭიროა სტრუქტურულ-დარგობრივი პოლიტიკის სტრატეგიის შემუშავება. ინდიკატური დაგეგმვის ადდგენა თავისთავად არაფერს არ შეცვლის თუ არ იქნება განსაზღვრული განვითარების კოორდინაციის ინსტრუმენტები და მათი მოქმედების გზები. სახელმწიფო მხარდაჭერისა და ხელშეწყობის გარეშე თანამედროვე პირობებში შეუძლებელია ეკონომიკის ეფექტიანი დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბება;

2. დარგების ჯგუფების მიხედვით (მაღალტექნოლოგიური დარგები, ენერგეტიკა, კვების მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მომიჯნავე დარგები, მსუბუქი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მომიჯნავე დარგები, სამშენებლო მასალების წარმოების დარგები და ა. შ.) შიგ დარგობრივ ჯგუფებში განსაზღვრული და დასაბუთებული უნდა იყოს განვითარების ყველაზე საჭირო მიმართულებები. განსაზღვრული უნდა იყოს, თუ რას მოიტანს ამა თუ იმ დარგის წინმსწრები განვითარება იმპორტჩანაცვლების თვალსაზრისით, ექსპორტის ზრდისა და საერთოდ მეურნეობის თვითკმარისობის დონის ამაღლების თვალსაზრისით; გარკვეული უნდა იყოს ბიზნესის თვითდაფინანსებისა და დაკრედიტების შესაძლებლობები კონკრეტული სავარაუდო პროექტების მიხედვით, განვითარების ხელშეწყობის კოორდინაციის ბერკეტები, საჭირო ტრანსეროვნული კორპორაციების საწარმოების მოზიდვის შესაძლებლობები; საინვესტიციო რისკების შესამცირებლად წინასწარ შეფასებული უნდა იყოს ამა თუ იმ ახალი სავარაუდო პროექტის

მიხედვით წარმოებული პროდუქციის გასაღების შესაძლებლობანი და ა. შ.:

3. მიზანშეწონილია, რომ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ზოგიერთი დარგის განვითარებისა და გაჯანსაღების ხელშეწყობისათვის მიღებულ იქნეს სპეციალური კანონები (მაგალითად, როგორც იაპონიაში), საერთო კანონებში კი (მაგალითად, საგადასახადო კანონმდებლობაში) დაფიქსირდეს ინოვაციური და ინკუსტიციური საქმიანობის წახალისების საერთო გამოყენების ბერკეტები (მაგალითად, როგორც შვედეთში);

4. სახელმწიფო და კერძო სახსრების გამოყენების საფუძველზე შეიქმნას “განვითარების (საინვესტიციო) ბანკი” და მუდმივი “განვითარების ფონდი” და მათი ფუნქციონირების პრინციპები გაფორმებული იყოს კანონმდებლობაში. ასეთი სტრუქტურები, თანაინვესტირების ფონდთან ერთად, უზრუნველყოფს საქართველოში საინვესტიციო აქტიურობის მაღალ დონეს.

### **გამოყენებული დიტერატურა**

1. აბესაძე რ., არევაძე ნ. საქართველოს ეკონომიკა XX საუკუნის 90-იანი წლების მიჯნაზე. – თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო მრომების კრებული. ტომი IV. თბილისი, 2011.

2. ბიძინა ივანიშვილი მიიჩნევს, რომ ეკონომიკურ ვარდნასთან დაკავშირებით სპეციულაცია მიღის. – ინტერნეტი: 04-09-2013, მაგ.: [www.interpressnews.ge/](http://www.interpressnews.ge/)-ში.

3. ბურდული ვ. განვითარების ნეოინდუსტრიულ ტიპზე გადასვლა. – წიგნში: საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ზოგიერთი მიმართულება (მოსაზრებები, წინადაღებები, რეკომენდაციები). რედაქტორი რ. აბესაძე. – თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2013.

4. ბურდული ვ. სამრეწველო პოლიტიკა: რეალიზაციის ინსტიტუციური უზრუნველყოფა და ეკონომიკური მექანიზმი. – საქართველოს “მაცნე”. ეკონომიკის სერია, 1996, №1-2.

5. ბურდული ვ. გარეგაონომიკური ურთიერთობები და სამრეწველო პოლიტიკა. – ქ. პოლიტიკა, 1999, №3.

6. ბურდული ვ., დათუნაშვილი ლ. სოფლის მეურნეობისა და მომიჯნავე დარგების განვითარების ზოგიერთი ასპექტი. – წიგნში: საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვი-

თარების ზოგიერთი მიმართულება (მოსაზრებები, წინადადებები, რეკომენდაციები). რედაქტორი რ. აბესაძე. – თბილისი, თსუ პაარა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2013.

7. ბურდული ვ., ქავთარაძე თ. სოფლის მეურნეობისა და მსუბუქი მრეწველობის მომიჯნავე დარგების განვითარება. – წიგნში: საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ზოგიერთი მიმართულება (მოსაზრებები, წინადადებები, რეკომენდაციები). რედაქტორი რ. აბესაძე. – თბილისი, თსუ პაარა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2013.

8. ბურდული ვ. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მექანიზმი და მისი პრაქტიკული რეალიზაციის გზები (საქართველოს მაგალითზე). თავი VI. ქვეყნის სამრეწველო პოლიტიკა და მისი რეალიზაციის რეგულირება. – თბილისი, მეცნიერება, 2004 (დისერტაცია – 1998 წ.).

9. თანაინვესტირების ფონდი. ყველა კარგ პროექტს დავაფინანსებთ. 07-10-2013. ქვეყანაში 6 მლრდ ლოდ. მოცულობის პირდაპირი ინვესტიციები განხორციელდება (ქ. ტუხიაშვილი). [www.kvirispalitra.ge/economic/18928-thanainvestirebis-fondi-yvela-karg-proeqts-davafinansebt.html](http://www.kvirispalitra.ge/economic/18928-thanainvestirebis-fondi-yvela-karg-proeqts-davafinansebt.html)

10. მირცხულავა და: ხუდონპესი ბიუჯეტში 20 წელიწადში 410 მილიონი დოლარის მოგების გადასახადს შეიტანს. 30 სექტემბერი/2013. ინტერნეტში.

11. პაპავა ვ. შეცდომები, საფრთხეები და მათი დამდევის რეკომენდაციები. – წიგნში: საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ზოგიერთი მიმართულება (მოსაზრებები, წინადადებები, რეკომენდაციები). რედაქტორი რ. აბესაძე. – თბილისი, თსუ პაარა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2013.

12. საქართველოს ეროვნული ანგარიშები 2011 (სტატისტიკური კრებული), თბილისი, 2013.

13. საქართველოს საგარეო ვაჭრობა. 2012 (სტატისტიკური პუბლიკაცია), თბილისი, 2013.

14. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2009 (სტატისტიკური პუბლიკაცია) – საქართველოს ეროვნული სტატისტიკური სამსახური. თბილისი, 2010.

15. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2011 (სტატისტიკური პუბლიკაცია) – საქართველოს ეროვნული სტატისტიკური სამსახური. თბილისი, 2012.

16. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2012 (სტატისტიკური პუბლიკაცია) საქართველოს ეროვნული სტატისტიკური სამსახური. თბილისი, 2013.
17. საქართველოს სტატისტიკური წელიწდებული: 2012 / საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. – თბილისი, 2013.
18. ქარჩავა თ. თანაინვესტირების ფონდში უკვე 6 მილიარდი ღოლარია აკუმულირებული. 2013-09-30. [www.for.ge/view.php?for\\_id=27126&cat=1](http://www.for.ge/view.php?for_id=27126&cat=1)
19. ქველაძე ქ. ინოვაციების პოლიტიკა ტურიზმის განვითარებაში. – პროფ. გ. პაპავას დაბადებიდან 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული პონფერენციის მასალების კრებული: “პოსტკომუნისტური ქვების ეკონომიკის აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე”. თბილისი, 2013.
20. Burduli V., Abesadze R. Sectoral, Technological, and Institutional-Organizational Structures of the Georgian Economy: Development Issues in the Context of Globalization. – The Caucasus & Globalization. Journal of Social, Political and Economic Studies. Volume 7. Issue 1-2. CA&CC Press. SWEDEN, 2013.
21. Ананьин О., Хайтулов Р., Шестаков Д. Вашингтонский консенсус: пейзаж после битв. – МЭиМО, 2010, №12.
22. Беридзе Т. Национальная экономическая модель: альтернатива глобализации? – Кавказ & Глобализация. Журнал социально-политических и экономических исследований. Том 1 (3). CA&CC Press. ШВЕЦИЯ, 2007.
23. Бурдули В. Генезис и пути преодоления аграрного кризиса в Грузии. – Proceedings of Materials of International Scientific-Practical Conference Dedicated to the 90-th Birth Anniversary of Professor George Papava: Actual Problems of Economies of Post-Communist Countries at Current Stage. Tbilisi: 2013.
24. Бурдули В., Датунашвили Л. Согласованное развитие смежных отраслей сельского хозяйства и промышленности – важное условие преодоления аграрного кризиса. – В сб.: Bioeconomy and Sustainable Development of Agriculture. Proceedings of II International Scientific-Practical Conference. Tbilisi: Ivane Javakhishvili Tbilisi State University, 2013.
25. Бурдули В. Пути развития отраслевой и технологической структуры экономики страны в условиях глобализации. – Ekonomisti (ekonomisti), 2012, #3.

26. Бурдули В., Церетели Г. Проблемы динамизации экономического развития Грузии. – Известия АН Грузии. Серия экономики. 1999, №3-4.
27. Бурдули В., Церетели Г. Финансовая система Грузии и проблемы развития и структурной организации производства. – Известия АН Грузии. Серия экономики. 1998, №4.
28. Калинин А. Построение сбалансированной промышленной политики: вопросы структурирования целей, задач, инструментов. – Вопросы экономики, 2012, №4.
29. ОЭСР: Ускорение роста ВВП в РФ возможно лишь в случае структурных реформ. – Интернет. Новости Google. 19 ноября 2013 г.

*Vakhtang Burduli*

**THE SHORTCOMING OF SECTORAL STRUCTURE OF  
ECONOMY OF GEORGIA AND THE WAYS OF  
ITS IMPROVEMENT**

**Annotation**

The paper analyzes the sectoral structure of economy of Georgia. The modern industrial structure of Georgia is extremely inefficient: the export-import balance in the context of main sectors of economy is very negative; the level of self-sufficiency of economy is very low. In the paper the ways to improve the sectoral structure of economy with a focus on achieving near-term positive structural effect are outlined and justified. It is shown that to achieve this objective in the country should be structurally sectoral policy and instruments of coordination of its implementation.

*George Berulava*

**INTER-FIRM INFORMAL RELATIONS AND  
THEIR IMPACT ON FIRM'S PERFORMANCE**

The experience of transition economies shows that one of the key issues in the process of a market transformation of centrally-planned system is a creation of consistent and reliable institutional framework (World Bank, 2001; World Bank, 2002). The importance of the proper institutional framework for economic development stems from its ability to shape incentive structure of economic agents, which influences their investment and innovation decisions (Johnson, McMillan and Woodruff, 2002). According to North (1990), the existing difference in economic development levels among countries can be explained by the differences in an institutional envi-

ronment, which involves both formal and informal rules of governing of a market economy. The lack of such institutions results in various types of market frictions, which hamper productive performance of firms in transition. In particular, market frictions such as the shortage of market information about partners and improper legal system of contract enforcement have a substantial impact on the efficiency of inter-firm relations (McMillan and Woodruff, 1999). In the absence of sound formal institutions of contract enforcement, businesses in transition employ informal relational mechanisms of governance based on trust. Though the importance of such trust-based relations for firms in transition economies is emphasized in a significant number of academic papers its affect on economic performance of firms remains relatively unstudied. Do firms that rely on trust in dealing with their partners are better off than firms that don't trust their partners? Despite its importance there is no empirical answer to this question to the moment. One of the reasons of the lack of empirical studies of this problem is the methodological difficulty related to determination of the causal link between trust-based governance and business performance.

The present paper seeks to fill this gap by exploring the effects of trust-based relations on business performance of firms in transition economies. To overcome the methodological problem of the causality identification, propensity score matching techniques (Rosenbaum and Rubin, 1983) is employed in the paper. The results of this study are intended to improve the understanding of the consequences of trust-based relations for the business performance of firms in transition economies, and thus they extend the existing theoretical framework.

The key element of informal or relational governance is the trust (Bradach and Eccles, 1989). The concept of trust that underlies relational contractual arrangements is based on social norms and personal relations (Lewis, 1985). Heide and John (1992) show that norms play a very important role in structuring economically efficient relationships between independent firms. They argue that supportive norms have significant economic value when specific assets need to be safeguarded. Mitigating possibility for opportunistic behavior and reducing uncertainty, trust reduces pressure toward vertical integration (Granovetter, 1985). Macaulay (Macaulay, 1963) in his preliminary study of non-contractual relations in business found that the norms of keeping commitments impose obligations on parties to transactions at the cost of damaging personal relationships. Arrow emphasizing the role of trust as a control mechanism defines it as "...an important lubricant of a social system" (Arrow, 1974; p. 23). He states that "...In the absence of trust, it would become very costly to arrange for alternative sanctions and guarantees, and many opportunities deriving from mutually beneficial co-

operation would have to be forgone." (Arrow, 1969; p. 62). The role of informal trust-based institutions takes on special significance for firms operating in transition economies. Such institutions allow firms to cope with the issues of high transaction costs, uncertainty and scarce information in dealing with their partners and thus facilitate smooth functioning of the economies in transition.

The performance of trust-based informal institutions in transition economies has been explored in a number of studies. Raiser, Allan and Steves (2004) based on the data from a large survey of firms across 26 transition countries examine the determinants of trust in the transition process. Using 'the level of prepayment demanded by suppliers from their customers in advance of delivery' as a proxy for trust they confirm earlier findings that trust is higher where firms have confidence in third party enforcement through the legal system. Other findings of the study can be summarized as follows: the fairness and honesty of the courts are a more important determinant of inter-firm trust as compared to the courts' efficiency or ability to enforce decisions; networks based around personal ties – family and friends – and business associations are important determinants of the development of trust, while business networks based on enterprise insiders and government agencies are not; country-level effects are significantly more important factors of inter-firm trust than are firm-level effects. Berulava and Lezava (2008) using data from a sample of Georgian manufacturing enterprises find that trust along with traditional dimensions of transaction cost economics (asset specificity and uncertainty) has a significant impact on the choice of exchange governance mode. They discovered that trust produced by informal institutions such as networks comprised from friends and relatives as well as from business associations play important role in facilitating relationships between manufacturers and distributors in Georgia. Steer and Sen (2010) study the role of informal and formal institutions behind the growth of private sector in Vietnam. They show that firms have increasingly taken on risks in their transactions in spite of weak formal institutions. According to the results of the study, informal institutions remain important as mechanisms of risk management even as the economy matures and new formal institutions gradually develop.

McMillan and Woodruff (1999) examining trade credit issues in Vietnam find that in a weak contract enforcement environment, informal institutions serve as a substitute to a legal system. In particular, business network formed by relatives or friends functions as important source of information, thus generating trust and promoting exchange. Similarly, the survey of managers of privately-owned manufacturing firms in Russia, Ukraine, Slovakia and Romania provides evidence that relationship con-

tracting works as a substitute for the courts (Johnson, McMillan and Woodruff, 1999). The same time, the authors find that though relational contracting was the basis of the most transactions in all of the countries, the law also did matter. The study results suggest that information from other economic agents, long period of cooperation and high switching costs support trade credit.

Though trust-based relational contracting is generally viewed as substitutes for complex contracts in interorganizational exchanges, there is some evidence that formal contracts and relational governance function as complements (Poppo and Zenger, 2002). Using data from a sample of information service exchanges, Poppo and Zenger (2002) find empirical support for the proposition that formal and informal relations complement each other.

Summarizing, the existing research reveals that trust-based contracting can work as a substitute or complement for legal institutions, thus reducing transaction costs and facilitating exchange between firms. However, the same time the literature acknowledges that such type of relationships can cause some inefficiency in firm's performance as well. For instance, McMillan and Woodruff (1999) argue that informal relationships come with efficiency costs, since better exchange opportunities from economic agents outside of the network could be lost. Similarly, according to Johnson, McMillan and Woodruff (1999), relational contracting along with aiding contract can bring some inefficiency. Thus the question of interest is the net result of the trust-based relation's affect on the business performance. Are firms better off when they are engaged in informal relations with partners or the opposite statement is true?

Despite its importance, to the moment the overall impact of informal contract relationships on the firm's performance remains relatively unstudied in economic literature. The existing studies of trust-based relations focus mainly on exploration of its determinants and various types of governance structures, while economic consequences of such relationship received very sparse attention from academicians. The lack of the interest from academicians to the empirical studies of the link between relational contracting and firm's performance can be explained by the distinctive emphasis within existing relevant theories as well as by methodological difficulties. According to Sako (2002) the functionalist approach of transaction cost economics (TCE) paradigm shifts attentions of researchers from outcomes of relational contracting to its determinants. She states that according to TCE researchers "...whatever governance structure exists is best for the organization given its environment and circumstances." (Sako, 2002; p.93) Notwithstanding of the above arguments, we believe that the identification

of whether the trust-based contracting represents the best governance option for firms in transition economies still is topical. This paper aims to shed light on exactly this issue by exploring the effect of trust-based relations on various indicators of firm's performance in transition economies. In particular the main research question of the paper is as follows

- Do firms employing trust-based relations perform better in terms of productivity, innovations, and sales than firms not relying on such institutions?

To get the answer on this question, first of all let's consider the ways in which trust-based relationships can improve firm's functioning. Sako (2002) emphasizes three mechanisms through which trust may enhance business performance. First, trust-based relationship allows for reducing of transaction costs and thus it ensures the most efficient governance structure. Second, trust stimulates investments in specific assets, which in turn guarantees future returns and productivity growth. Third, trust encourages orientation towards joint problem solving in such matters as cost reduction, innovation, management promoting thus continuous learning and enhancement. Based on the empirical study of automotive industry in Japan and USA the author shows that supplier's trust of customers generally is associated with its better performance in terms of costs, profit margins, just-in-time (JIT) delivery and joint problem solving (Sako, 2002). Similarly, Dyer (1996) based on the results of his empirical study, emphasizes asset co-specialization and lower transaction costs (which are outcomes of trust-based hybrid/alliance governance structures) among the factors that provide Japanese automotive firms with competitive advantage over their U.S counterparts.

Helper and Sako (1995) examine the links between trust-based relationship and business performance. The authors show that long-term, closely linked relationships have performance advantages for automakers and their suppliers in both the United State and Japan. Dyer and Wujin Chu (2003) in their study of the relationship between supplier trust in the buyer and transaction costs and information sharing in supplier-automaker exchange relationships in the U.S., Japan, and Korea, find that perceived trustworthiness reduces transaction costs and is correlated with greater information sharing in supplier-buyer relationships. The authors argue that trust is unique as a governance mechanism because it not only minimizes transaction costs, but also has a mutually causal relationship with information sharing which also creates value in the exchange relationship. The relational contracting proved its efficiency in transition economic environment as well. Hendley, Murrell, and Ryterman (1998) in their study of transactional strategies of Russian enterprises found that during transition, strate-

gies that use trust have a critical importance as well as personal relationships.

Based on the review of the results of existing studies, the research hypothesis of the paper can be formulated as follows: ***employing informal trust-based relations improves overall performance of firms in transition economies.***

It worth to mention, that though the existing empirical studies reveal positive association between informal relationships and firm's performance they say nothing about the causal link between these variables. Is trust a cause of a better business performance? Or is the reverse causation true. This question remains unanswered to the moment. Among the methodological issues mentioned above, the problem of identification of the direction of the causal link between trust-based relations and business performance is a prominent one. Exactly this methodological problem explains for the most part why this link remains relatively unstudied to the moment. In this paper we plan to overcome the problem of identification of the causal link between trust-based relations and business performance by employing propensity score matching procedure (PSM) (Rosenbaum and Rubin, 1983).

In particular, we address this problem by using propensity score matching method to establish counterfactuals for firms that provide trade credit to their customers, and matching these companies with similar firms that don't trust their customers based on characteristics that affect both the probability of choice for providing trade credit and business performance outcomes. Specifically, we employed covariates that reflect trust of economic agents to the legal system as well as to information provided by networks from friend, relatives, colleagues, partners, business associations and government agencies; degree of competition and pressure on the firm to innovate from customers, domestic and foreign competitors; variables that reflect experience of the firms in dealing with partners and a couple of financial indicators; industry and country controls. The study was conducted using data from a large survey of firms across 28 transition economies.

The main contribution of this study is that it provides new empirical insights into the causal link between trust-based relations and business performance of firms in transition economies. The results of the study suggest that informal trust-based institutions of contract governance represent an important way for enhancing of business performance in transition economies. To say distinctly, our findings indicate that in transition economies trade credits positively affect the business performance of firms. In particular, trust-based relations are associated with increased sales. They provide incentives for more intensive innovation activities and ensure higher labor productivity rates. The firms that trust their partners are characterized by

larger proportions of reinvested profits as well. The main explanation of these findings is that developing of trust among economic agents allows for reduction of transaction costs, stimulates learning and continuous improvement; makes incentives for innovative activities (Sako, 2002) and thus it helps firms in enhancing of their overall business performance. Though, trust-based relations always contain a potential threat of inefficiencies that can arise when low-cost new entrant is excluded (McMillan and Woodruff, 1999), our results suggest that in the end such relationships are beneficial for firms in transition.

The data used in the analysis is well-balanced that makes the results of the study more reliable. However, the sensitivity test indicates that while the estimated effects of trade credit on some indicators of business performance is quite robust, its impacts on the other outcomes are rather sensitive to hidden bias. Another limitation of the study is that it employs only one proxy for trust-based relations and a limited number of performance outcomes indicators.

Thus, for the future research, we propose to investigate the causal links between trust-based relationships and business performance using alternative methods, including instrumental variables technique; employing various proxies for trust and diverse outcome variables. This will allow to supplement the propensity score matching procedure used in this study and to verify the robustness of our findings.

### References

1. Arrow, K.J. (1969) “The Organization of Economic Activity: Issues Pertinent to the Choice of Market versus Non- Market Allocation,” in: *The Analysis and Evaluation of Public Expenditures: The PBB-System*, Joint Economic Committee, 91-st Cong., 1-st sess. (Washington D.C.: Government Printing Office).
2. Arrow, K.J. (1974) *The Limits of Organization* (New York: Norton).
3. Becker, S.O., and M. Caliendo (2007) “Sensitivity analysis for average treatment effects”, *The Stata Journal*, 7(1), 71-83.
4. Berulava G. and D. Lezhava (2008) “The Impact of Trust on the Mode of Transaction Governance between Manufacturer and Distributor: Evidence from Georgia”, *Eurasian Journal of Business and Economics*, Volume 1, № 2 (November), pp.1-32.
5. Bradach, J.L. and R.G. Eccles (1989) “Price, Authority, and Trust: From Ideal Types to Plural Forms,” *Annual Review of Sociology* 15, 97–118.

6. Dyer, J. H. and W. Chu (2003) “The Role of Trustworthiness in Reducing Transaction Costs and Improving Performance: Empirical Evidence from the United States, Japan and Korea.” *Organization Science*. Jan/Feb, Vol. 14 Issue 1, pp: 57-68.
7. **Dyer, J. H.** (1996) “Does Governance Matter? **Keiretsu** Alliances and Asset Specificity as Sources of Japanese Competitive Advantage.” *Organization Science*. Nov/Dec96, Vol. 7 Issue 6, pp: 649-666.
8. Granovetter, M. (1985) “Economic Action and Social Structure: The Problem of Embeddedness,” *The American Journal of Sociology* **91** (3), 481–510.
9. **Heide, J. B.** and G. **John** (1992) “Do Norms Matter in Marketing Relationships?” *Journal of Marketing*, Vol. 56 Issue 2, pp: 32-44.
10. Helper, S. and M. Sako (1995) “Supplier Relations in the Auto Industry in Japan and the USA: Are they Converging?” *Sloan Management Review*, (Spring), pp: 77-84.
11. Hendley, K., P. Murrell, and R. Ryterman (1998) “Law, Relationships, and Private Enforcement: Transactional Strategies of Russian Enterprises,” *WDI Working Paper* No.72, November.
12. Johnson S., J. McMillan and C. Woodruff (1999). “Contract Enforcement in Transition,” *CESifo Working Paper Series, WP №211*.
13. Johnson S., J. McMillan and C. Woodruff (2002). “Property Rights and Finance,” *American Economic Review*, Vol. 92 (5), pp. 1335-1356.
14. Lewis, D.J. and A. Weigert (1985) “Trust as a Social Reality,” *Social Forces* **63** (4), 967–985.
15. Macaulay, S. (1963) “Non-Contractual Relations in Business: A Preliminary Study,” *American Sociological Review* **28** (1), 55–67.
16. McMillan, J. and C. Woodruff (1999) “Interfirm Relationships and Informal Credit in Vietnam,” *Quarterly Journal of Economics*, No. 114, November, 1285–1320.
17. North, D. C. (1990). *Institutions, Institutional Change and Economic Performance*. Cambridge: Cambridge University Press.
18. Poppo L. and T. Zenger (2002) “Do Formal Contracts and Relational Governance Function as Substitutes or Complements?” *Strategic Management Journal*, 23, pp. 707-725.
19. Raiser, M., R. Allan, and F. Steves (2004) “Trust in Transition: Cross Country and Firm Evidence,” *Working Paper* No.640 (Ann Arbor: The William Davidson Institute, University of Michigan).
20. Rosenbaum, P. R., and D. B. Rubin (1983) “The Central Role of Propensity Score in Observational Studies for Causal Effects,” *Biometrika*, Vol. 70(1), pp. 41-55.

21. Sako, M. (2002) "Does Trust Improve Business Performance?" in: Christel Lane and Reinhart Bachmann, eds., *Trust Within and Between Organizations: Conceptual Issues and Empirical Applications* (Oxford: Oxford University Press).
22. Steer, L. and K. Sen (2010) "Formal and **Informal** Institutions in a Transition Economy: The Case of Vietnam." World Development, Vol. 38 Issue 11, pp: 1603-1615.
23. World Bank (2001). *World Development Report 2002: Building Institutions for Markets*. The World Bank, Washington DC.
24. World Bank (2002). *Transition – The First Ten Years: Analysis and Lessons for Eastern Europe and the Former Soviet Union*. The World Bank, Washington DC.

*George Berulava*

## **INTER-FIRM INFORMAL RELATIONS AND THEIR IMPACT ON FIRM'S PERFORMANCE**

### **Annotation**

The purpose of this paper is to analyze the impact of trust-based relations on firm's performance in transition economies. The trade credit variable is used as a proxy of trust-based relations and the propensity score matching method is employed to establish causal link between relational governance and business performance in the study. The research is conducted using data from a large survey of firms across 28 transition economies. The results of the study suggest that informal trust-based institutions of contract governance represent an important way for enhancing of business performance. To say distinctly, our findings indicate that in transition economies trade credits positively affect firms' sales growth. They provide incentives for more intensive innovation activities and ensure higher labor productivity rates. The firms that trust their partners are characterized by larger proportions of reinvested profits as well. The main contribution of this paper is that it provides new empirical insights into the causal link between trust-based relations and business performance of firms in transition economies.

**სოლომონ პავლიაშვილი  
ზურაბ გარაგანიძე  
გლობალიზაცია და ენერგეტიკული პოლიტიკის  
თანამედროვე გამოწვევები**

თანამედროვე გლობალიზაცია წარმოადგენს მსოფლიოს განვითარების თვისებრივად ახალ მოვლენას, რომელიც მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს. სწორედ გლობალიზაციისათვისაა დამახასიათებელი ეროვნული და გლობალურ-კონიმიკური ურთიერთობების აღგილების გადანაცვლება. გლობალიზაციის განვითარებასთან ერთად იზრდება საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების წამყვანი, პრიორიტეტული როლი. დღეს უფრო მეტად მნიშვნელოვანია მსოფლიო ეკონომიკური სისტემების ერთიანი წესის შემცვევება და მისი დანერგვა-გატარება თითოეული ქვეყნის ეკონომიკაში. თუმცა ეს პროცესი საკმაოდ რთულია და ძლიერი ქვეყნების ეკონომიკური სისტემებიც მნელად გაუსება გლობალური ეკონომიკის მოთხოვნებს. ხშირად ამ მიმართულებებით უშეალოდ არიან ჩართული საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები. დასამალი არ არის, ზოგჯერ მათ საქმიანობას, გლობალიზაციის პროცესების დაჩქარების მიზნით ცალკეული ქვეყნების მიმართ (პირველ რიგში პოსტკომუნიკაციური) თავსმოხვეული და ძალდატანებითი ხასიათი აქვს, რაც ხშირად პოზიტიურის ნაცვლად უდავოდ ნებატიურის მომტანია.

გლობალიზაცია არის პროცესი, რომელიც ასახავს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების წინაშე წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის ერთიანი გზების ძიებას. ეს შეიძლება იყოს როგორც ეკოლოგიური, სასურსათო, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა სფეროების მომცველი. ერთი შეხედვით გლობალიზაციის იმანენტური ბუნება სხვა არაფერია, თუ არა ეკონომიკების ერთიანი სოციალური ორიენტაცია. “გლობალიზაცია ქმნის თანამშრომლობის ახალ ფართო არეალს, სადაც პოლიტიკურ ბარიერთა გაუქმების შედეგად იქმნება კონკურენციის მანამდე არნახული პირობები“ [2, გვ. 372].

გლობალიზაციის პროცესი ხასიათდება მთელი რიგი ფაქტორებით, რომელთაგან შეიძლება გამოვყოთ ტრანსნაციონალური ქსელების განვითარება, საფინანსო სფეროს სწრაფი გლობალიზაცია, ინფორმაციულ ტექნოლოგიათა განვითარება და მსოფლიო ეკონომიკების ლიბერალიზაცია (ეს უკანასკნელი ბოლო 5 წელიწადია მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გამო

ხშირად ნაკლებადაა გამოხატული). რაც კველაზე მნიშვნელოვანი და ოვალურისაცემია, მიმდინარეობს ინტეგრაციული რეგიონული ეკონომიკური ბლოკების ჩამოყალიბება. “დღეისათვის უახლოესი ტექნოლოგიების 80% იქმნება ტრანსნაციონალური კორპორაციების მიერ, ხშირ შემთხვევაში მათი საქმიანობა მათვე მთავრობების საქმიანობის აღეკვატურია” [4, გვ. 41].

დასამალი არ არის, რომ თანამედროვე მსოფლიო ინტეგრაციას, გლობალიზაციის პროცესს, გააჩნია როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური მხარეებიც. ამერიკელი მეცნიერის ი.ვალერ შტაინის აზრით, “გლობალიზაცია სხვა არაფერია, თუ არა თანამედროვე სინამდვილის უდიდესი შეცდომა, სახელი-სუფლებო დაჯგუფებების მიერ თავსმოხვევული სიცრუე, ანუ პროცესი, რომელიც არ წარმოადგენს თვისებრივად ახალ მოვლენას” [12, გვ. 15]. გლობალიზაციის ნეგატიური ბუნების მკაფიო გამოხატულებაა ასე გაწელილი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, რომელიც ფაქტობრივად “დომინოს პრინციპით” მეტ-ნაკლებად მოედო სხვადასხვა კონტინენტებსა თუ ქვეყნების ეკონომიკებს. სწორედ ამიტომაც, ჯერ კიდევ სიღრმისეულად ვერ გაერკვა მსოფლიო თანამედროვე ეკონომიკური კრიზისის წარმოშობის მიზეზებსა თუ მის თავისებურებებში. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ქვეყნის ადგილს განსაზღვრავს ადამიანისეული კაპიტალის ხარისხი. დღეისათვის გლობალიზაცია მასშტაბურ გავლენას ახდენს ეპონომიკური ურთიერთობების მთვლ კომპლექსზე და ხელს უწყობს გლობალური კონკურენციის ჩამოყალიბებას [5, გვ. 28].

თანამედროვე გლობალიზაციის თავისებურებანი დიდ გავლენას ახდენს ნერგებიკული დერეფნების განვითარების ხასიათზე. მათ შორის ეს გავლენები განსხვავებულია რეგიონებისა და ქვეყნების ტერიტორიების მიხედვით. პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისები სწორედ მთავარი განმსაზღვრულია ენერგომატარებლების ფასების, მიღსადენების მშენებლების და ზოგადად ახალი ენერგო ტრანსნაციონალური კომპანიების ჩამოყალიბების. “დასამალი არ არის, რომ იმ მრავალრიცხოვან გამოწვევათა შორის, რომელთა გადაჭრა აუცილებელია დღევანდელ საქართველოში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკის საიმედო და უსაფრთხო ენერგოუზრუნველყოფა” [7, გვ. 175]. ცნობილია, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან ძალზე აქტუალური გახდა სათბობ-წიაღისეულით მდიდარი კასპიისპირეთისა და ცენტრალური აზიის მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში ინტე-

გრაცია. “ენერგორესურსების მოზიდვის ალტერნატიული წევრების განვითარებისათვის ევროკავშირი აქტიურ ნაბიჯებს დამატს და სამხრეთკავკასიის სატრანზიტო კორიდორი ერთ-ერთ ასეთ აქტიურ ბაზად განიხილება“ [3, გვ. 245]. საქართველოს გეოპოლიტიკურმა მდგომარეობამ იგი მოაქცია გლობალურ ინტერესთა სფეროში, “გეოპოლიტიკური მდებარეობით საქართველო წარმოადგენს ხიდს დასავლეთსა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის, ამიტომ ცდილობს დაიკავოს საბუთარი გეოპოლიტიკური სტრატეგიის აღეკვაზური ადგილი მსოფლიო ცივილიზაციის პროცესებში და ამით ხელი შეუწეოს დია ეპონომიკის განვითარებას” [1, გვ. 32].

ჩვენს კვლევაში ვეცადეთ წარმოგვედგინა თუ როგორი სპეციფიკით ხასიათდება და რა ტენდენციებია დღევანდებ მსოფლიო გლობალურ ენერგეტიკულ სივრცეში, როგორია ენერგეტიკული პოლიტიკის თანამედროვე გამოწვევები.

ბოლო წლებში ენერგეტიკის სფეროში მოხდა გლობალური კატაკლიზმები - “ფუკუსიმას” ატომური სადგურის აგარია იაპონიაში, მექსიკის ყურეში BP-ს პლატფორმის ხანძარი, “არაბული გაზაფხულის” ამბოხებები, რამაც ევროპის ენერგომომარაგება შეაფერხა. მათი გავლენით გამწვადა მილსადენების კონტროლის, მათი ახალი მარშრუტების ხელმისაწვდომობის, ეკოლოგიურად სუფთა გაზით დენის სხვა წყაროების ჩანაცვლების პრობლემები. აღნიშნულის ფონზე, ზემოგებას “დახარბებული” ხოდი ქვეყნა თავისი აფილირებული კომპანიებით იწვევენ ენერგეტიკული ბაზების მონოპოლიზაციას და რეგიონალიზაციას, რაც გალობალური გაზის ბაზრის ფორმირებას უშლის ხელს.

სირიის კონფლიქტის მიზეზი ერთი მხრივ, “არაბული გაზაფხულის” გამოძახილია, მეორე მხრივ კი, ესაა გზის ძიება გაზის გლობალური, მონოპოლიებისაგან თავისუფალი ბაზრის ჩამოყალიბებისაკენ. ეს გზა საქართველოზეც გადის, ვინაიდან სამხრეთ კავკასია ევროკავშირის გაზმომარაგების დივერსიფიკაციის ერთ-ერთი მარშრუტია. ეს მარშრუტი მოიცავს: ბაქო-თბილისი-ჯეიპანის და ბაქო-სუფსას ხავთობსადენებს, “სამხრეთკავკასიურ გაზსადენს” (ბაქო-თბილისი-ერზერუმი), ასევე მომავალი ევროკავშირის “სამხრეთის გაზის დერეფნის» (მათ შორის: “ნაბუქო-უესტი”, “ტრანსადრიატიკული გაზსადენი”, “ინტერკონექტორი თურქეთი-საბერძნებო-იტალია” და “თეთრი ნაკადი”), აზერბაიჯანი-თურქეთის “ტანაპის” გაზსადენის (“სამ-

ხრეთკავკასიური გაზსადენის” გაგრძელება) და აზერბაიჯანისაქართველო-რუმინეთი-უნგრეთის “აგრის” (LNG) პროექტებს.

ამასთან, აზერბაიჯანის “შაჰ-დენიზი 2”-ის გაზის ევროპაში ტრანსპორტირების ტენდერის შედეგები უკვე ცნობილია - «ნაბუქო-უესტიანი» კონკურენციაში გაიმარჯვა «ტრანსადრიატიკული გაზსადენის» - «ტაპ» პროექტმა. შესაბამისად ამ ტენდერის გავლენა საქართველოზე უკვე საგრძნობია. საქართველოსთვის პრინციპული მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუ ამ კომპანიებიდან რომელი გაიმარჯვებდა, ვინაიდან "შაჰ-დენიზი 2"-ის გაზის ნებისმიერ შემთხვევაში გატარება, 2014 წლიდან ქვეყანას დამატებით 2 მლრდ დოლარის ინვესტიციებს მოუტანს. აქედან 400 მლნ დოლარს ადგილობრივი კომპანიები მიიღებენ. ამასთან, გარდა იმისა, რომ ინვესტიციები დასაქმებასა და საგადამსხდელო ბალანსის გაუმჯობესებაზე იქონიებენ დადებით გავლენას, მათი განხორციელებით შექმნილი გაზსადენი გაზმომარაგებასაც გააუმჯობესებს. საქმე ისაა, რომ 2012 წ. ქვეყანაში იმპორტირებული იყო დაახლოებით 1.96 მლრდ კუბმეტრი გაზი. ამით მისი გაზზე მოთხოვნის 40-50% კაფეიფილდებოდა, დანარჩენი დეფიციტია. “შაჰ-დენიზი 2”-ის გატარებით თბილისი, პროექტის პირველივე ეტაპზე (2018 წელს დაგეგმილია 16 მლრდ კუბმეტრი გაზის ტრანზიტი), მიიღებს მთელ საჭირო გაზზე ხელწვდომას [9]. ამასთან, ამერიკული ფიქლების გაზის ევროპაში იმპორტის დაწყებამ, ერთი მხრივ, და სირიის სამოქალაქო ომმა, მეორე მხრივ, შესაძლოა ნებაზიურად იმოქმედონ ზემოადნიშნული პროექტების განხორციელებაზე, და მაშასადამე საქართველოზე, თუმცა იმავდროულად, შეიძლება ხელი შეუწყონ გაზის თავისუფალი გლობალური ბაზრის ჩამოყალიბებას.

ისტორიულად, გაზის საბადოებისა და გაზსადენების კონცენტრაცია მოხდა რამდენიმე ქვეყნის ხელში. გლობალურ ბაზრებზე ენერგომატარებელების მოთხოვნა-მიწოდების მექანიზმი ცვლილებები იმითავ გამოწვეული, რომ ბუნებრივი გაზი მხოლოდ ახლახან, სულ რაღაც 30 წელია, გახდა საწვავის ერთ-ერთი ძირითადი სახეობა. მისი დიდი ნაწილი (დაახლოებით 88-90%) მომწოდებლიდან მომხმარებლამდე გრძელვადიანი კონტრაქტებით, პირდაპირ გაზსადენებით მიეწოდება – გვერდს უვლის რა ფასტარმოქმნის საბაზრო მექანიზმს.

გლობალურ და რეგიონულ პროცესებზე გაზით ვაჭრობის გავლენა, საწვავის სხვა სახეობებთან შედარებით, ნაკლებადაა შესწავლილი. ამიტომ, საინტერესოა გეოეკონომიკური

წინააღმდეგობის ანალიზი, (ა) გაზის ბაზრის მონოპოლიზაციის; და (ბ) თავისუფალი ფასტარმოქმნისა და თხევადი ან დაჭირებლური გაზის “სპოტური” (LNG, CNG - სპეციალური ტანკერებით ე.ი. მცირე პარტიებით გადატანა) ბაზრის განვითარების თვალსაზრისით.

ამ ორი წინააღმდეგობრივი ტრენდის შემცეველი თანამედროვე გაზის ბაზარი თანდათან გამყიდველის (მონოპოლისტის) ბაზრიდან მყიდველის ბაზრად იქცევა. ამის მიზეზია ის, რომ მიწოდება, რომელიც დღეს არასაკმარისი ნამდვილად არ არის, დროთა განმავლობაში უფრო მოიმატებს. ამას განაპირობებს ენერგობაზრის განვითარების სამი სავარაუდო სცენარი:

- უახლოეს მომავალში აშშ-დან ფიქლების გაზის ეპრო-  
აპში ექსპორტის დაწყება. უკვე ამჟამად ხდება აშშ-სთვის გან-  
კუთვნილი ინდონეზიის, ნიგერიის, კატარის, ტრინიდადის და  
ტრობაგოს თხევადი და დაგირსლული გაზის ტანკერების ეპრო-  
აპში ექს გადამისამართება;

- ჩინეთსა და აღმოსავლეთ კერძოპაში ფიქლების გაზის მოპოვება სერიოზულ ბიზნესად გადაიქცევა, რაც რუსელი გაზის ბაზრის პოზიციებს შეარყევს;

ტრი იქნება. ეს მოთხოვნა, არსებული პროგნოზით, 2035 წლამდე 1350 მლრდ კუბმეტრამდე გააგრძელებს ზრდას. ამ მომენტისათვის აზია გაზის მოხმარებაში უკან ჩამოიტოვებს ჩრდილოეთ ამერიკის - ეწ. OECD Americas-ს ქვეყნებს (კანადა, მექსიკა, ჩილე და აშშ).

აშშ-ს ფიქლების გაზის ევროპაში იმპორტის დაწყებამ, ანუ პირველმა სცენარმა, შესაძლოა კასპიისპირეთში დღეს მოქმედი BP-ის, “ექსონმობილის”, “შევრონის”, “ტოტალისა” და სხვა დასავლური კომპანიების მხრივ, რეგიონის ნახშირწყალბადებისადმი და შესაბამისად “დერეფინისადმი” ინტერესი გაანელოს. მათი ინტერესების სფერო სავარაუდოდ, აზიის ბაზებისკენ გადაინაცვლებს.

მეორე სცენარიც რეალისტურია. საჭმე ისაა, რომ ევროპის ენერგეტიკული პოლიტიკის ერთ-ერთი პრობლემა – აღიალობრივი ფიქლების გაზის უსაფრთხოების საკითხი გადაწყვეტილია. 2013 წლის 27 მარტს გამოიცა ევროპავშირის “მწვანე დოკუმენტი”, რომელიც ევროპის 2030 წლამდე კლიმატისა და ენერგეტიკის პორგნოზს მოიცავს. ენერგეტიკის ევროკომისარმა ბ. ეტინგერმა, ამ დოკუმენტის გამოსვლასთან დაკავშირებით მიუთითა, რომ ფიქლების გაზი არის აბსოლუტურად უსაფრთხო და მისი ევროპის ბაზარზე გამოჩენა გაზს გააიაფებს. აშშ, რომელიც ამ გაზს იყენებს, შიდა ბაზარზე მას ევროპის ფასთან შედარებით, უკვე ოთხჯერ იაფად ყიდის [8].

მართალია, ამჟამად მექანიკური ირანისა და სირიის ირგვლივ არსებულ დაძაბულობას უკავშირდება, მაგრამ სამივე სცენარი უახლოეს წლებში სავარაუდოდ, მაინც განხორციელდება, რაც გაზის მიწოდებას გაზრდის. თავის მხრივ ეს, ევროპავშირის “სამხრეთის გაზის დერეფინის” პროექტებთან ერთად, მონოპოლიზაციის წინააღმდეგ იქნება მიმართული. ამ მხრივ ყველაზე აქტუალურია მსოფლიოს უდიდესი გაზის საბადოს – ირანის “სამხრეთის ფარსის” ანუ ყაბარის “ჩრდილოეთის თაღის” (ეს საბადო ორი ქვეყნის ოფშორულ საზღვარზეა და ირანში ერთი სახელი, ყაბარში კი მეორე ჰქვია) გაზის გლობალურ ბაზრებზე თავისუფალი ტრანსპორტირების პრობლემის გადაწყვეტა.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, 2013 წლის თებერვალში ყაბარის დედაქალაქ დოპაში, სირიელ ოპოზიციონერებსა და აშშ-ს, საუდის არაბეთს, თურქეთს და ყაბარს შორის ხელი მოეწერა საიდუმლო შეთანხმებას. ამ ხელშეკრულებით, ბ. ალ-ასადზე ოპოზიციის გამარჯვების შემთხვევაში, ყა-

ტარს უფლება მიეცემა, სირიის ტერიტორია გამოიყენოს ტრანზიტული გაზსადენის გასაყვანად ხმელთაშუა ზღვის სანაპირომდე, ანუ “ჩრდილოეთის თაღის” საბადოდან, ეკროპის გაზმომარაგებისათვის. ექსპერტების აზრით, ეს, სავარაუდოდ, ნიშნავს, რუსული “ნაკადების” ახალი კონკურენტული მარშრუტის გაჩენას.

ამის პარალელურად, აშშ-ში “ფიქლების რევოლუციის” გავლენით, ადრე ამ ქვეყნისთვის განკუთვნილი იაფი თხევადი გაზის ევროპაში იმპორტის ზრდის გამო, რუსეთს სულ უფრო უჭირს ეფროკავშირის გაზის ბაზარზე პოზიციების შენარჩუნება. დღეს უკვე თითქმის ყველა ევროპულ ქვეყანას გააჩნია თხევადი გაზის ტერმინალები. ამასთან ირანი, ნახშირწყალბადების ექსპორტზე დასავლეოის სანქციების და მზარდი ადგილობრივი მოპოვების პირობებში, სულ უფრო მეტად ინტერესდება თხევადი გაზის ახალი საექსპორტო მარშრუტებით.

ამ მიზნით მოსკოვი და თეირანი, 2014 წელს, “გაზის ექსპორტიორი ქვეყნების ფორუმის” (GEFCF - წევრი ქვეყნებია: ალჟირი, ბოლივია, ეგვიპტე, ეკვატორიული გვინეა, ირანი, ლიბია, ნიგერია, ომანი, ყატარი, რუსეთი, ტრინიდადი და ტობაგო, არაბთა გაერთიანებული საემიროები და ვენესუელა. ხოლო ნიდერლანდები და ნორვეგია დამკვირვებლების სტატუსით სარგებლობენ. ფორუმის გენერალური რუსული “სტროიტრანსგაზის” დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლეონიდ ბოხანოვსკი) სამიტზე, აპორებენ დაამტკიცონ ამ “ფორუმის” ახალი წესდება. ამ დოკუმენტით წევრ ქვეყნებს (“ოპეკის” მსგავსად) შესაძლებლობა მიეცემათ უკვე არა მილსადენებით, არამედ მონოპოლიური ფასწარმოქმნით გააკონტროლონ გაზის გალობალურ ბაზარზე ბუნებრივი აირის მოპოვების და თხევადი ან დაჭირებლული აირის წარმოების კვოტები და ფასები. ამით მოხდება “ფორუმის” (GEFCF) ტრანსფორმაცია “გაზის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციად” (OGEC), ანუ “გაზომებად”.

სხვათა შორის, ჯერ კიდევ 2006 წლის ნოემბერში, ჩრდილო-ატლანტიკური გაერთიანების მრჩეველები სამხედრო კავშირს აფრთხილებდნენ, რომ რუსეთის ნებისმიერ მცდელობაზე, შექმნას “ბუნებრივი აირის OPEC” - საწინააღმდეგო ზომები უნდა მიიღონ, რათა რუსეთმა ეკროპაზე გავლენის გადლიერება გერ შეძლოს. მაშინ “ნატოს” ექსპერტების კონფიდენციალური კვლევის შედეგები 26 წევრი ქვეყნის ელჩებს დაგზავნა. დოკუმენტი მათ აფრთხილებდა რუსეთის მიერ ალჟირ-

თან, ყატართან, ცენტრალური აზიის ქვეყნებსა და ირანთან ერთად გაზის კარტელის შექმნის თაობაზე. „ნატო“ ეკონომისტთა საბჭოს განცხადების თანახმად, რუსეთი ენერგოპოლიტიკას საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის ბორტად იყენებს, განსაკუთრებით, საქართველოსა და უკრაინასთან მიმართებაში. სხვათა შორის, ნიგერია, ყატარი და „ფორუმის“ წევრი კიდევ რამდენიმე ქვეყანა, ამგვარი კარტელის შექმნის იდეას მაშინვე თავშეკავებით შეხვდნენ.

ამრიგად, თუ ბოლო 2-3 წელიწადში ზემოთ განხილული აშშ-ს „ფიქლების რეგოლუციის“ გამო, დაისახა მოპოლიური-დან თხევადი/დაჭირხლული გაზის (LNG/CNG) „სპოტურ“ ბაზარზე გადასვლის ტენდენცია, ახალი კარტელის (OGEC) წარმოქმნა გლობალურ გაზის ბაზარს ისვე იმ მონოპოლიურ „ჭაობში“ დაბრუნებს, რომელიც „სპოტური“ ბაზრისა და ალტერნატიული ენერგეტიკის განვითარებას დიდ პრობლემებს შეუქმნის.

ჯერ კიდევ 2000-იან წლებში, მსოფლიოში მესამე დაზღვრილი გაზის მარაგების მქონე ყატარმა, აქცენტი თხევადი გაზის მიწოდების ზრდაზე გააკეთა. თხევადი გაზის ტანკერებით ექსპორტმა ეს პატარა, ახლოადმოსავლური ქვეყანა, გასაძების ბაზრების დივერსიფიკაციის თვალსაზრისით, გადააქცია გლობალური ენერგობაზრის დამოუკიდებელ მოთამაშედ. მაგრამ, მისი გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, ამ ქვეყნის შემოსავლის წყაროები დიდად არის დამოკიდებული სპარსეთის ყურეში უსაფრთხოების შენარჩუნებაზე.

რეგიონში სრულმასშტაბიანი კონფლიქტის დაწყების შემთხვევაში, თეირანი იმუქრება ორმუზის სრუტის გადაპეტვით, სრუტის რომლის გავლითაც მიემართებიან ატარგას-ის ტანკერები. ამის გამო ყატარი, საუდის არაბეთის მსგავსად, ცდილობს განავითაროს სრუტის გეერდის ამქცევი ინფრასტრუქტურა. ამის მკაფიო მაგალითა, ახლახან დასრულებული გაზსადენი გაერთიანებული საემიროებისა და ომანის გავლით, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, ადვილად შეიძლება ომანის ყურემდე იქნეს მიევანილი. მაგრამ, ეს მიღსადენი ყატარს საგარაუდოდ, ორმუზის სრუტის დაპეტვით მიყენებულ ზარალს ვერ აუნაზღაურებს. ამიტომ, დაახლოებით 2008 წლიდან, ყატარის ხელისუფლება ახალ პროექტზე – ევროპისკენ მიწისზედა გაზსადენის აგებაზე ზრუნავს, რომლის რესურსები შეიძლება „ჩრდილოეთის თაღის“ მდიდარ საბაზოებში მოიძიოს. ამით ყატარი, ჯერ ერთი, „დაასწრებს“ სანქცირებულ ირანს ამ სა-

დავო საბადოს ათვისებას; მეორეც, ეპროპისკენ მიმართული გაზის დამოუკიდებელი მარშრუტის არსებობით, თავს აარიდებს ახალი კარტელის – OGEC-ის წევრობას, რომელშიც დომინანტები, სავარაუდოდ, რუსეთი და ორანი იქნებიან.

ამასთან, ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ცვლილებების ფონზე, ყატარისთვის სავსებით რეალურია მიწისზედა გაზსადენის სამივე საგრანზიტო ქვექნის – საუდის არაბეთის, ოორდანისა და სირიის მხრივ მშენებლობის ნებართვის მიღება. გაზსადენით სირიისა და ოორდანის დაინტერესება აშკარაა, რადგან ისინი ნავთობისაგან განსხვავებით, გაზის დეფიციტს განიცდიან. ამასთან, ერ-რიადისა და ამანის, აშშ-ს ნაცვლად, უკვე ეპროპისკენ შებრუნებისა და რეგიონის ახალი რეალიების გათვალისწინებით, გაზსადენის აგებაში ერთადერთი დაბრკოლება ბაშარ ალ-ასადის რეჟიმია.

ამ მარშრუტის განხორციელებაში სირია მნიშვნელოვანი რგოლი კიდევ იმ მიზეზითაა, რომ მის ტერიტორიაზე შეიძლება არა მარტო ყატარის, არამედ ყველატის გაზმაც გაიაროს. ქაიროს ახალი მთავრობა, დამატებითი შემოსავლების მისადგად, დაინტერესებულია ბუნებრივი აირის ევროპაში მიწოდებით. ამ პროექტის წარმატების შემთხვევაში, „ძმები მუსლიმანების“ მთავრობას ადარ ეყოლება გაზის ერთადერთი მყიდველი ისრაელი, თავს აარიდებს ეგვიპტე-ისრაელის გაზსადენის გაუთვებელ აფეთქებებს და ადარ მოუწევს ამ ქვეყანაში იაფი გაზის ექსპორტისათვის მუდმივი თავის მართლება. ამდენად გასაკვირი არაა, რომ დოპასა და ქაიროს შორის, სირიის ოპოზიციის მხრდაჭერის საკითხში, სრული ურთიერთგაგება ჩამოყალიბდა.

სირიის გავლით, თავისი ნახშირწყალბადების ხმელთაშუა ზღვის სანაპირომდე მიტანის, ყატარის მსგავსი გეგმები აქვს ირანსაც. მაგრამ ის აქცენტს სირიის ახლანდელ კლანზე აკეთებს. ერაყის ს. ჰუსეინის მტრული რეჟიმის დამხობის შემდეგ, თეირანს გაუზიდა მმართველი ნური ალ-მალიქის შიიტური მთავრობის იმედი, რათა ერაყის გავლით სირიაში გადამისამართოს თავისი ნახშირწყალბადები, რითაც მას მსოფლიო ბაზარზე გასვლის პერსპექტივა ექმნება. ხმელთაშუა ზღვის ნაპირზე თავისი გაზის მიყვანით, ირანს უზნდება იმის შანსი, რომ დასავლეთის სანქციების მიუხედავად, მესამე ან მეოთხე „ხელის“ შემავლობით, მოახერხოს თავისი ენერგომატარებლების რეალიზაცია.

ამ მიზნით ჯერ კიდევ 2011 წლის ივლისში ირანს, ერაყსა და სირიას შორის გაფორმდა წლიურად 40 მლრდ კუბმეტრის სიმძლავრის, 10 მლრდ დოლარად ღირებული “შეგობრობის გაზსადენის” მშენებლობის მემორანდუმი. ამ გაზსადენის ირგვლივ უკვე კონკრეტული სამშერივი “ჩარჩო-ხელშეკრულება” 2013 წლის თებერვლის ბოლოს იქნა ხელმოწერილი.

ზემოაღნიშნული არგუმენტი ირანს ბაშარ ალ-ასადის რეუიმის ისეთ მხარდაჭერად აქცევს, რომ თეირანი არ ერიდება მას დიად დაეხმაროს ფულით, მოხალისეებითა და პოლიტიკური მხარდაჭერით. თუმცა, როდის შეიძლება “შეგობრობის გაზსადენის” პროექტის დაწყება სირიაში მიმდინარე სისხლის-მდვრელი სამოქალაქო ომის პირობებში, ჯერ გაურკვეველია.

სირიის კონფლიქტში ირანის გვერდით მოაზრება რუსეთიც. ბაშარ ალ-ასადის გამარჯვების შემთხვევაში, რუსეთი, როგორც “მსხენელი”, გადამწყვეტ როლს შეასრულებს სირიის გავლით ახლო აღმოსავლეთის ნახშირწყალბადების უკროპისკენ ტრანსპორტირებაში. მაშასადამე, აშშ-დან ფიქლების გაზის ექსპორტის დაწყებამდე, “გაზპრომი” შეინარჩუნებს მონოპლიურ მდგომარეობას ეკრაპის ბაზარზე. ეს მისოვის აუცილებელია, ვინაიდან კონკურენციაში ის აუცილებლად დამარცხდება.

ადმოსავლეთ სტერიტუ ზღვის შელფზე გაზის საბადოების მქონე ისრაელი (რომელზეც რუსეთს, ბოლო დროს, გარკვეული ზემოქმედების ბერკეტები გაუჩნდა) ასევე შესაძლოა, თეორიულად რუსეთ-სირია-ერაყირანის გაზის კონსორციუმის პოტენციურ წევრად წარმოვიდგინოთ. სავარაუდო, ისრაელს ამ კონსორციუმით თავისი გაზის ეკრაპაში, თურქთის გვერდის ამქცევი მარშრუტით ტრანსპორტირების იმედი აქვს.

თურქეთმა შეიძლება ბევრად უფრო კონსტრუქციული როლი შეასრულოს ირანული გაზის სირიის გავლით ტრანსპორტირებაში. ევროკავშირის “სამხრეთის გაზის დერეფნის” ეს პოტენციური აღტერნატივა ანკარამ შესაძლოა გამოიყენოს როგორც “საჯილდაო ქვა” ეკროკავშირში გაწევრიანებაზე ბრიუსელთან მიმდინარე მრავალწლიან დაპირისპირებაში. ამასთან, თურქეთზე სირიის კონფლიქტის ნეგატიური ზეგავლენა, სავარაუდოდ, მისი მხრიდან შეასუსტებებს აზერბაიჯანისაქართველო-რუმინეთი-უნგრეთის «აგრის» პროექტისადმი ოპონირებას. ამიტომ არის შანსი, რომ «აგრის» განხორციელება, რომელიც დამტკიცებულ გრაფიკს უკვე ნახევარი წლით ჩა-

მორჩება, დაწქარდეს. თუმცა, გამორიცხული არ არის, რომ აზერბაიჯან-თურქეთის «ტანაპის» პროექტის წარმატების ფონზე, ამჯერად აზერბაიჯანში შენელდა «აგრისადმი» ინტერესი. ამასთან, სავარაუდოდ ამ ინტერესის შენელების გამოხატულებაა ის, რომ ჩვენს ხელთ არსებული გადაუმოწმებელი ინფორმაციით, ბრიტანელების მიერ მომზადებულ ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებაში, ადრე შეთანხმებული მარშრუტი: «სოკარის» ულევის ტერმინალი (BST Ltd.) – კონსტანცია, იცვლება ახალი მარშრუტით: ფოთი (საქართველო) - მიდია (რუმინეთი).

საეციალისტებს მიაჩინათ, რომ ზემოაღნიშნული პროცესების აქტუალიზაციის გამო, იცვლება აშშ-ს პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში. კერძოდ, “ფიქლების რევოლუციის” დაწყების შემდეგ, ვაშინგტონის ინტერესები რეგიონის მიმართ, თანდათან ნაკლებად დაუგავშირდება ენერგეტიკას.

ამრიგად, 2014 წლისთვის, სავარაუდოდ ჩამოყალიბდება გაზის გლობალური ბაზრის კარტელური მონოპოლია, - OGEC. ამით გლობალური გაზის ბაზარი კვლავ გამყიდველის ბაზრის სახეს მიიღებს. პროდასავლურ ყატარს და საუდის არაბეთს მასში გაწევრიანება არ სურთ და ცდილობენ “ჩრდილოეთ თაღის” საბადოდან, სირიისა და იორდანიის გავლით, ახალი გაზსადენი ააგონ.

კარტელის შექმნა ასევე გამოიწვევს ირანის “სამხრეთ ფარსიდან”, ერაყისა და იმავე სირიის გავლით ხმელთაშუა ზღვის სანაპიროსეკნ, “მეგობრობის გაზსადენის” აგების დაწერებას. ამით კარტელის მომხრეები ყატარის და საუდის არაბეთის ახალი გაზსადენის აგების შეფერხებას შეეცდებიან. მოსკოვი, სავარაუდოდ, OGEC-ის იდეის მომხრე, სირიის ბ. ალ-ასადის მთავრობასა და ირანს დაუჭერს მხარს. ეს განხევთქილებას შეიტანს “გაზის ექსპორტიორი ქვეყნების ფორუმში” (GECF), რამაც, სავარაუდოდ, შეიძლება ყატარის და მისი მხარდამჭერების მიერ “ფორუმის” დატოვება და გაზის ბაზრების დამოუკიდებელი წვდომის გზების მიების აქტუალიზაცია გამოიწვიოს.

ზემოაღნიშნულის გამო, ახლო აღმოსავლეთის გაზის ტრანსპორტირების მარშრუტების ცენტრში მყოფი სირიის ტერიტორიაზე დაპირიპირება კიდევ უფრო გამწვავდება, რაც რუსეთის ინტერესებშიც შედის. ვიდრე ყატარი, თურქეთი, ირანი და ეგვიპტეთი სირიის საკითხზე ერთმანეთთან არაგვენ ურთიერთობებს, „გაზპრომი“ აგრძელებს თავის მეგაპროექტებს, - „ჩრდილოეთის ნაკადს“ (მიმდინარეობს მესამე და მეოთხე

მიღების დამატებაზე მსჯელობა) და „სამხრეთის ნაკადს“ (წყალქვეშა სექციის მშენებლობა ახლა იწყება).

ამასთან, თუ რესერი მოახერხებს სირიაში ომის დასრულებამდე და ეპროპული „სამხრეთის გაზის დერეფნის“ პროექტების განხორციელებამდე, თავისი მიღსაღენების აგებას, ის, სავარაუდოდ, შეინარჩუნებს ეპროპის ბაზარზე მონოპოლიურ მდგრადობას, რაც მისი ბიუჯეტის შევსებისათვის ერთიანულად აუცილებელია. ამიტომ, მოსკოვის პოზიციაა სირიის კონფლიქტის დაკონსერვება პრინციპით - „რაც უარესი, მით უკეთესა“.

თუ ახლო აღმოსავლეთში მოვლენები ზემოაღნიშნული სცენარებით განვითარდება, შეგვიძლია დაგასტვნათ, რომ სირიაში სამოქალაქო დაპირისპირების ესკადაცია მოსალოდნებლია 2014 წლის შემდეგ. ეს უკავშირდება გაზის კარტელური მონოპოლის, - OGEC-ის შექმნას. მისი შექმნისა და „შეგობრობის გაზსაღენის“ მშენებლობის ჩასაშლელად ყატარი, საუდის არაბეთი, თურქეთი, ეპროპშირი სავარაუდოდ, გააგრძელებენ სირიის ოპზიციის მხარდაჭერას. ამასთან, ყატარის „ჩრდილოეთ თაღის“ გაზსაღენის ზემოთ განხილული პროექტის განხორციელება ისევე გაზის კარტელის საწინააღმდეგო და მისი გლობალური ბაზრის შექმნისაპერ გადადგმული სერიოზული ნაბიჯი იქნება. ექსპერტების აზრით, თურქეთის სირიის მოვლენებში ჩართულობამ შეიძლება შეაფერხოს „აზერბაიჯან-თურქეთის“ „ტანაპის“ გაზსაღენის პროექტი და სტიმული მისცეს აზერბაიჯანი-საქართველო-რუმინეთი-უნგრეთის „აგრის“ (LNG) პროექტის იმპლემენტაციას.

სავარაუდოდ, აშშ დიად არ ჩაერთვება სირიის კონფლიქტში. საშუალოვადიან პერსპექტივაში, ვაშინგტონს თავისი ფიქლების ნავთობის და გაზის ექსპორტის სავარაუდოდ, 2016-2020 წლებში დაწყების კვალიბაზე, სულ უფრო ნაკლებად დააინტერესებს ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის (და მაშასადამე, „სამხრეთის გაზის დერეფნის“, როგორც მისი სატრანზიტო მარშრუტის) რეგიონების გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური გამოწვევები. აღსანიშნავია, რომ „სამხრეთის გაზის დერეფნას“ ეწ. არატრადიციული გაზის რესურსების განვითარებაც ემუქრება.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. გეგეშიძე ა. გეოპოლიტიკა. ობილისი, 1999.
2. იაკობიძე დ. გლობალური დინამიზმის ქართული

სინამდვილე. თბილისი, 2011.

3. პავლიაშვილი ს. ტრანსპორტი და კომუნიკაციები. // საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, „სიახლე”, 2012.

4. პავლიაშვილი ს. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და გლობალიზაციის თავისებურებანი. საერთაშორისო პრაქტიკული კონფერენციის მასალები. თსუ, 2012, 6-7 აპრილი.

5. პავლიაშვილი ს. გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. თსაუ, 2013.

6. პაპავა ვ. არატრადიციული ეკონომიკა. 2011.

7. ჩომახიძე დ. ენერგეტიკის განვითარების თავისებურებები დამოუკიდებელ საქართველოში. // შრომები. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. №10, 2012.

8. Euractiv 2013. *Oettinger: Investment in building renovations is a priority*. Viewed 31 May, 2013. <http://www.euractiv.com/energy-efficiency/oettinger-investment-energy-effi-news-513371?utm>.

9. Naturalgaseurope 2013, *BP in Georgia: Interview with Neil Dunn*. Viewed 21 June 2013. <http://www.naturalgaseurope.com/interview-neil-dunn-bp-georgia-shah-deniz>.

10. Pavliashvili S. *Zigzags of Inflation in Post-Soviet Georgia*. Academy Press, San Francisco, 2011.

11. Rbc-daily 2013. «Газпрому» аукнется «сланцевая революция». Viewed 28 June 2013. <http://rbcdaily.ru/tek/562949986687136>".

12. Валерштайн И. Глобализация или переходной период. Экономические стратегии. М., №2, 2000.

13. Газета.Ru 2013. *Российский бюджет испытали на сланцевый прорыв*. Viewed 20 May 2013. <http://www.gazeta.ru/business/2013/04/11/5252025.shtml>.

*Solomon Pavliashvili  
Zurab Garakanidze*

## **THE GLOBALIZATION AND CONTEMPORARY CHALLENGES FOR THE ENERGY POLICY**

### **Annotation**

That is the time of strengthening the Global gas market's transnational interconnections. For this purpose, Iran and Russia are going to approve the charter of the GECF - the Forum of the Countries - Exporters of Gas at the summit in Tehran scheduled in 2014. This would allow the GECF member countries to control (similar to OPEC) the pricing and the

quotas of gas production in the world markets, transforming GECF into the Organization of Gas Exporting Countries (OGEC). The appearance of such new cartel would promote the building of a new gas pipelines from Qatar through Syria to the coast of Mediterranean and from Iran (South Pars giant gas field) via Syria to the same destination. At the same time, Russia started building her new subsea (Black Sea) South Stream gas pipeline to the EU in late 2012. As the major members of the GECF – Qatar and Iran are trying to export their own gas to the EU market. Syrian territory has already become the main obstacle of this endeavour, which, in turn, could cause tensions among the GECF members. Russia as the active member of the GECF would support Damascus and Tehran in their plans on the one hand, but on the other, it is clear that any new gas pipeline built to carry gas to the coast of the Mediterranean and further to EU, contradicts the South Stream – a personal project of RF President V. Putin. Given these developments, the best option for Moscow would be the continuation of recent clashes in the Middle East.

### **რეგაზ ჯავახიშვილი სამსაორთო კოფენციალის ზრდა ოღოროც პოსტსაბჭოური ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი მიმართულება**

ცნება პოტენციალი წარმოსდგება ლათინური სიტყვისგან (potentia - ძალა), რაშიც იგულისხმება განსაზღვრული საშუალებები, წყაროები, მარაგები, რომელთა მობილიზება და ამოქმედება შესაძლებელია მიზნის მისაღწევად, გეგმის განსახორციელებლად, ამოცანის გადასაწყვეტად [6, 174]. ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში საკმაოდ დამკვიდრებულია ისეთი ტერმინები, როგორიცაა: „ეკონომიკური პოტენციალი”, „საწარმოო პოტენციალი”, „შრომითი პოტენციალი”, „მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი”, „საექსპორტო პოტენციალი” და სხვ. თუმცა, აღნიშნული ცნებების შინაარსის შესახებ მეცნიერ-მკვლევართა ერთიანი შეხედულება საბოლოოდ ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული.

ეკონომიკურ ლიტერატურაში საკმაოდ დამკვიდრებულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, ეკონომიკურ პოტენციალში იგულისხმება მოცემული მომენტისათვის გამოუყენებული შესაძლებლობები, რომელთა გამოყენება შეიძლება პერსპექტივაში. ასეთი მიღვომა გარკვეულწილად სწორია, მაგრამ მთლიანობაში იგი არასრული და არაზუსტია. ჩვენ სავსებით

ვიზიარებთ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ეკონომიკურ პოტენციალში იგულისხმება როგორც სახეზე არსებული, ისე მომავალში ასამოქმედებელი რეზერვები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეკონომიკური პოტენციალი გაგებული უნდა იქნეს, როგორც მიღწეული დონისა და გამოუყენებული შესაძლებლობების ერთობლიობა [3, 71].

ეკონომიკური პოტენციალის განსაზღვრას საფუძვლად უდევს როგორც წარმოებული პროდუქტის, ისე გაწეული მომსახურების მოცულობა, რომელიც გვიხასიათებს საზოგადოების მიერ დაგროვილ სიმდიდრეს. მას, როგორც ეკონომიკურ კატეგორიას, გააჩნია თავისი ობიექტები და სუბიექტები შინაარსი. პირველში იგულისხმება საზოგადოებრივი და პირადი მოთხოვნილებების დაგმაყოფილებისთვის წარმოებული მატერიალური დოვლათი, ხოლო მეორეში – დაგროვილი შრომის გამოყენებისა და საწარმოო პროცესების მართვის სუბიექტები უნარი და შესაძლებლობები. ამასთან, ეკონომიკური პოტენციალის ობიექტები შინაარსი უფრო მეტად ვლინდება საწარმოო პოტენციალში, ხოლო სუბიექტები – მართვის პოტენციალში.

ზემოაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ეკონომიკური პოტენციალი არის მატერიალური წარმოების და მომსახურების სფეროში არსებული რესურსების, მათი გამოყენებული და გამოუყენებელი შესაძლებლობების ერთობლიობა, რომელზედაც არსებითადაა დამოკიდებული ქმენის ეკონომიკური განვითარების დაჩქარება და მოსახლეობის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის დონის ამაღლება. ამდენად, ეკონომიკური პოტენციალი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური კატეგორია, რომელიც გადამწყვეტ როლს ასრულებს როგორც ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარებაში, ისე მოსახლეობის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში.

ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია მისი საექსპორტო პოტენციალი, რომელშიც იგულისხმება მოცემულ ქვეყანაში წარმოებული მატერიალური დოვლათისა და მომსახურების რაოდენობა, რომლის გაზიარება მას შეუძლია მოცემული მომენტისათვის საზღვარგარეთ და მისი საერთაშორისო ბაზრებზე რეალიზაცია. ეკონომიკური პოტენციალის მსგავსად, საექსპორტო პოტენციალიც მოიცავს როგორც ექსპორტის ფაქტორივად

მიღწეულ დონეს, ისე მისი ზრდის ჯერ კიდევ გამოუყენებელ შესაძლებლობებს.

ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის განმსაზღვრელია მისი ეკონომიკური პოტენციალი. იგი არსებითადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორია ქვეყნის ბუნებრივ-რესურსული, საწარმოო, ინფრასტრუქტურული (როგორც საწარმოო, ისე სოციალური), ინფორმაციული და ორგანიზაციული პოტენციალი. ეკონომიკური პოტენციალის მაჩვენებელთა სისტემაში მას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აღგილი უკავია, რომელზედაც არსებითადა დამოკიდებული ქვეყნის სავალუტო რესურსების მობილიზება და საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა.

საექსპორტო პოტენციალის გამოყენების მიღწეული დონე აისახება ქვეყნის საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვის, კერძოდ, მისი ექსპორტის მოცულობის მაჩვენებელში, რომელიც გვიხასიათებს მოცემული ქვეყნიდან საზღვარგარეთ გატანილი და საერთაშორისო ბაზრებზე რეალიზებული საქონლისა და მომსახურების რეალურ სურათს. საექსპორტო პოტენციალის ზრდას დიდი როლი აქვს ნებისმიერი ქვეყნის, განსაკუთრებით კი გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების, კერძოდ, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყნის ხელისუფლებამ არაერთი ღონისძიება გაატარა საგარეო ვაჭრობის განვითარების მიმართულებით, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის განვითარებასა და მისი საექსპორტო პოტენციალის ზრდას, რაც ნათლად ჩანს 1-ლი ცხრილის მონაცემებიდან.

### ცხრილი 1

**საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარებისა და  
საექსპორტო პოტენციალის გამოყენების მაჩვენებლები  
2000-2012 წწ. [7]**

(მლნ აშშ დოლ.)

წელი	ბრუნვა სულ	ექსპორტი		იმპორტი		სალდო + -	ექსპორტოთ იმპორტის გადაფარვის %
		ბრუნვა	%	ბრუნვა	%		

2000	1032,2	322,8	31,3	7094,0	68,7	-386,5	45,5
2005	3357,2	866,2	25,8	2490,9	74,2	-1624,7	34,8
2006	4674,0	993,0	21,2	3681,0	78,8	-2688,0	27,0
2007	6447,2	1232,4	19,1	5214,5	79,9	-3982,4	23,6
2008	7800,6	1496,4	19,2	6304,8	70,5	-4809,1	23,7
2009	5500,1	1630,5	20,5	4369,5	79,5	-3238,9	25,8
2010	6934,6	1677,5	24,2	5257,1	78,8	-3979,6	31,9
2011	9246,9	2189,1	23,7	7057,8	76,3	-4868,7	31,0
2012	10220,0	2377	23,3	7842,0	76,7	-5465,0	30,3

მონაცემებიდან ჩანს, რომ ქვეყნის საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვა, ზოგიერთი წლების გამოკლებით, სისტემატიური ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ამასთან, ქვეყნის საქონელბრუნვის ზრდა უმეტესწილად იმპორტის ხარჯზე ხორციელდება. მიუხედავად ექსპორტის აბსოლუტური მაჩვენებლის გარევეული ზრდისა, ზრდის დაბალი ტემპების გამო, საქონელბრუნვის მთლიან ჯამურ მაჩვენებელში, მოცემული პერიოდის მანძილზე, მისი ხვედრიწილი 31,3%-დან 23,3%-მდე შემცირდა, რაც ქვეყნის საექსპორტო შესაძლებლობების გამოყენების დაბალ დონეზე მიუთითებს.

ქვეყნის ექსპორტი განსაკუთრებით შემცირდა 2005-2009 წლებში. კერძოდ, დროის ამ მონაკვეთში იგი 25,8%-დან 20,5%-მდე დაიცა, რაც, უწინარეს ყოვლისა, რუსეთის მიერ საქართველოსათვის გამოცხადებული ცალმხრივი სავაჭრო ემბარგოთი, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომითა და საქართველოს ეკონომიკაზე გლობალური ეკონომიკური კრიზისის გაფლენით უნდა აიხსნას. ბოლო პერიოდში კი, თუმცა უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც გარევეულწილად შეიმჩნევა ქვეყნის ექსპორტის გამოცოცხლება, მისი საექსპორტო პოტენციალის გამოყენების დონის ამაღლება და ექსპორტიმპორტის თანაფარდობის გაუმჯობესება.

ექსპორტისა და საექსპორტო პოტენციალის გამოყენების დაბალი მაჩვენებლების გამო ქვეყნას აქვს დიდი უარყოფითი სავაჭრო სალდო, რომელიც, აგრეთვე, ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2000-2012 წწ. იგი 14-ჯერ და მეტად გადიდდა და 5,5 მლრდ ლოდარს მიაღწია.

ცხადია, საქართველოს ექსპორტის ასეთმა არასახარბიელო მდგომარეობამ და უარყოფითი სავაჭრო სალდოს დიდმა ზრდამ ცუდი გაფლენა იქნია ქვეყნის სავალუტო რესურსებისა

და ბიუჯეტის ფორმირებაზე, მოსახლეობის კეთილდღეობის დონის გაუმჯობესებაზე. თუმცა, ბოლო პერიოდში, განხორციელებული დონისძიების შედეგად მოხდა ქვეყნის ექსპორტის დივერსიფიკაცია, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად შეიცვალა მისი გეოგრაფია. 2006 წლამდე საქართველოს მთავარი საგაჭრო პარტნიორი იყო რუსეთი, რომლის წილად მოდიოდა ქვეყნის საგარეო ვაჭრობის ბრუნვის 16%. 2006 წლიდან კი, ცნობილი მიზეზების გამო, საქართველოდან რუსეთში საქონლის ექსპორტი მკვეთრად მცირდება. თუ 2005 წელს იგი 17,8%-ს უდრიდა, 2006 წლის პირველ ნახევრში ის 4,3%-მდე, ანუ 4-ჯერ და მეტად შემცირდა. ამჟამად ექსპორტის მიხედვით საქართველოს კულტურული დიდი პარტნიორებია აზერბაიჯანი, თურქეთი, სომხეთი, ყაზახეთი, აშშ და კანადა, სადაც რეალიზდება ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის 56%-ზე მეტი.

ექსპორტის დივერსიფიკაციასთან ერთად გარკვეული ცვლილებებით ხასიათდება მისი სტრუქტურაც. ამჟამად ქვეყნის ექსპორტში პირველ ადგილზეა მსუბუქი ავტომობილები (24,6%, რეექსპორტი) შემდეგ მოდის ფეროშენადნობები, აზოტვანი სასუქები, ოქრო, თხილი და კაკალი, რომელთა წილად მოდის მთლიანი ექსპორტის თითქმის ნახევრარი (48,7%), ხოლო 10 უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფის წილი ექსპორტში 60%-ს აღემატება. ამასთან, საქართველო მსოფლიო ბაზარზე უფრო მეტად ნედლეულსა და ნახევარფაბრიკატებს ყიდის, რომელთა ფასი მზა პროდუქციასთან შედარებით, გაცილებით დაბალია.

ქვეყნის ექსპორტში ჯერ კიდევ მცირეა მზა ნაწარმი, მათ შორის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამაუშავებელი მრეწველობის პროდუქცია, რომლის წარმოების ეკონომიკური პოტენციალი საქართველოს რეალურად გააჩნია. აღარაფერს ვამბობთ მაღალკონკურენტულიან მეცნიერებატეგიად პროდუქციაზე, რომელიც, გასაგები მიზეზების გამო, ქართული საექსპორტო საქონლის ჩამონათვალში ამჟამად თითქმის არ არსებობს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისეთ საექსპორტო საქონელს, როგორიცაა ჯართი, რომელიც წლების განმავლობაში პირველ ადგილზე იყო და ამჟამადაც მას მნიშვნელოვანი პოზიცია უკავია, სამომავლო პერსპექტივა არ გააჩნია. იგი „გაჭირვების“ ექსპორტია და ბიზნესის ნორმალურ რეჟიმში ჩაყენების შემდეგ ჯართის ბიზნესი აზრს დაკარგავს.

ქართულ ექსპორტში ბოლო წლებში გაჩნდა ახალი სასაქონლო პოზიცია – ქართული ცხვრის ექსპორტი, რომე-

ლიც რამდენიმე წლის წინ თითქმის არ არსებობდა. ქართული ცხვრის შეძენით დიდად დაინტერესდნენ ჩვენი მახლობელი ქვეყნები – ირანი, ერაყი, თურქეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაფარი და სხვ. 2009-2012 წწ. საქართველოდან ექსპორტირდა 63,5 მლნ დოლარზე მეტი ღირებულების ცხვარი. ეს მაშინ, როცა საქართველოს აქვს ხორცისა და ხორცპროდუქტების დიდი დეფიციტი. სახელმწიფომ უფრო მეტად უნდა იზრუნოს ქვეყანაში მეცხვარეობის განვითარების გზით ამ დეფიციტის დაძლევაზე. ეს იმითიცაა განპირობებული, რომ ცხვრის სულადობა ქვეყანაში წლიდან წლამდე მცირდება და ამჟამად იგი შეადგენს მხოლოდ 742,6 ათას სულს [7].

ქვეყნიდან ცხვრის ექსპორტი თუ ასე გაგრძელდება, ადვილი შესაძლებელია თუშურმა ცხვარმაც იგრვე ბედი გაიზიაროს, რაც ქართულ რუს ფუტკარს დაემართა, რომელიც ამჟამად გადაშენების პირასაა. სამომავლოდ, არაა გამორიცხული, საჭირო შეიქმნას საქართველოში სხვა ჯიშის ცხვრის შემოყვანა და მის მომრავლებაზე ზრუნვა. ამის ნიშნები ამჟამად ქვეყანაში უკვე არსებობს. 2011-2012 წლებში საქართველოში შემოყვანილ იქნა 1,6 მლნ დოლარამდე ღირებულების ცხვარი [7].

ბოლო პერიოდში საქართველომ ექსპორტის დივერსიფიკაციისა და საექსპორტო პოტენციალის რეალიზაციის ზრდის კურსი აიღო დასავლეთის (უწინარეს ყოვლისა, ევროკავშირის) ქვეყნებზე. რა თქმა უნდა, ეს უდავოდ, სწორი მიმართულებაა, რომელიც მომავალში უფრო უნდა გაფართოვდეს და გაღმავდეს. ამასთან, ეს სრულებითაც არ ნიშნავს დსტ-ს (მათ შორის რუსეთის) ბაზრებზე უარის თქმას. ამ მიმართულებით კრალიცია „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის-თანავე გადაიდგა პირველი ნაბიჯები, რის შედეგადაც მიმდინარე წლის ზაფხულში უკვე დაიწყო ქართული პროდუქციის რუსეთის ბაზარზე გატანა. უახლოეს მომავალში ეს პროცესი მიიღებს შეუქცევად ხასიათს, რაც, უდავოდ ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის როგორც საგაჭრო-ეკონომიკური, ისე სხვა უფრო შნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარებას.

როგორც უკვე ითქვა, ქვეყანას აქვს ძალზე დაბალი საექსპორტო მაჩვენებელი, რაც ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს მისი საექსპორტო პოტენციალის გამოყენების დაბალ დონეზე. ეს კი განპირობებულია იმით, რომ საქართველოში მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ბევრი დარგი, რომელიც

ადრე განსაზღვრავდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და საექსპორტო პოტენციალის დონეს, სადღესოდ ფაქტობრივად აღარ, ან ძალზე დაბალ დონეზე ფუნქციონირებს. ამის მთავარი მიზეზია ეკონომიკური რეფორმების განხორციელებისა და ეკონომიკის მართვის პროცესში დაშვებული შეცდომები, რის შედეგადაც ქვეყნის ეკონომიკაში განიცადა დიდი გარდნა. კერძოდ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების ამჟამინდელი დონე უტოლდება გასული საუკუნის 90-იანი წლების მიღწეული დონის დახლოებით 80-85%-ს [5, 7].

განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა ეკონომიკის ისეთი სასიცოცხლოდ აუცილებელი დარგი, როგორიცაა სოფლის მეურნეობა. ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში ქვეყანაში მნიშვნელოვნად შემცირდა ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მოცულობა, რაზეც ნათლად მეტყველებს მუ-2 ცხრილის მონაცემები.

## ცხრილი 2 ძირითადი სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება საქართველოში 1990-2012 წლ. [5,7]

(ათ. ტონ.)

პროდუქციის დასახელება	1990	2012	2012	
			%-ობით 1990 წელთან	წელთან
1. მარცვლეული	693,1	357,7	51,6	
2. კარტოფილი	293,8	252,0	85,7	
3. ბოსტნეული	443,2	200,0	45,1	
4. ხილი	591,2	157,9	26,7	
5. ყურძენი	691,0	144,0	20,8	
6. ციტრუსები	283,1	77,0	27,2	
7. ჩიის ფოთოლი	501,7	-	-	
8. ხორცი	163,3	42,5	26,0	
9. რძე (ათ.ლიტრ.)	702,5	474,0	67,3	
10. კვერცხი (მლნ ცალ)	810,2	589,5	72,7	

მონაცემებიდან ჩანს, რომ ბოლო პერიოდში სახეზეა სოფლის მეურნეობის განვითარების დონის მკვეთრი შემცირება. ეკონომიკის ამ დარგში, სადაც დასაქმებულია ქვეყნის მოსახლეობის თითქმის ნახევარი, იქმნება მშპ-ს მხოლოდ 8,4%. შემცირება განსაკუთრებით დიდია მარცვლეულის, ბოსტნეულის, ხილის, ყურძნის, ციტრუსებისა და ხორცპროდუქტების

წარმოებაში. ქვეყანა, რომელიც მოწინავეთა რიგებში იყო ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოებაში (1990 წ. მან შეადგინა 501,7 ათ. ტ.), ამჟამად მისი მოთხოვნის თითქმის 100% იმპორტით იფარება. საქართველო ყოველწლიურად მოიხმარს დაახლოებით 850 ათ. ტონა ხორბალს, გასულ წელს კი ჩვენ ვაწარმოეთ სულ 80 ათ. ტონა, ანუ ხორბლით ოვითუზრუნველყოფამ შეადგინა დაახლოებით 9%. ეს მაჩვენებელი ასევე დაბალია ბოსტნეულის (76%), ხორცის (74%, მ.შ. ფრინველის ხორცის-24%) წარმოებაში. ეს მაშინ, როცა ქვეყანას თავისუფლად შეუძლია ბევრი იმპორტირებული საქონლის დიდი ზომით აღგილობრივი წარმოების პროდუქციით ჩანაცვლება, თუ სრულიად იქნება გამოყენებული აღგილზე მათი წარმოების შესაძლებლობები.

საქართველოს აქვს შესანიშნავი ბუნებრივ-კლიმატური პირობები. აგროსამრეწველო სექტემბერში არსებული მდიდარი ტრადიციები იძლევა ფართო სპექტრის უნიკალური სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვანისა და პროდუქციის გადამუშავების დიდ შესაძლებლობებს. ქვეყანა მდიდარია, აგროკულტურულობით, საძოვრებით, ტყით. საქართველოს აქვს საკმაო ოდენობის წიაღისეული სიმდიდრეები – მარგანეცი, ქვანახშირი, მარმარილო, დარიშხანი, ვერადი ლითონები და სხვ. ამ დარგების აღორძინების საფუძველზე ქვეყანას შეუძლია მნიშვნელოვნად დააჩქაროს ეკონომიკური განვითარება და გაზარდოს საექსპორტო პოტენციალი. ეს მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგადაც დასტუდება, სადაც გამოიკვეთა ექვსი ასეთი დარგი: მესილებია, მებოსტრენიბა, ლინიის, საშენი მასალების, ტანსაცმლის, მედიკამენტებისა და სამედიცინო მოწყობილობის წარმოება, რომელთა განვითარება შეიძლება მიღწეულ იქნეს, უწინარეს ყოვლისა, ამ დარგებში უცხოური ინვესტიციების მოზიდვით [2, 154, 158].

ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ზრდას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მისი ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფა. ენერგო და მასალატევადი დარგების ნაცვლად, ქვეყანამ კურსი უნდა აიღოს მაღალტექნოლოგიური და მეცნიერებატევადი დარგების განვითარებაზე. დღეს მსოფლიო ბაზარზე დიდი მოთხოვნაა კომპიუტერულ, კერძოდ პროგრამულ მომსახურებაზე, მონაცემთა დამუშავებასა და მის ტექნიკურ უზრუნველყოფაზე, რისი განვითარების შესაძლებ-

ლობები ქვეყანას რეალურად გააჩნია. საჭიროა სახელმწიფოს ქმედითი დახმარება ამ დარგების სწრაფი აღორძინებისათვის.

გარდა ამისა, საქართველოს აქტს სატრანსპორტო-საკომუნიკაციო და ტურისტული მომსახურების ზრდის დიდი პოტენციალი. ქვეყანას აქტს უნიკალური საკურორტო-რეკრეაციული რესურსები და ისტორიული ძეგლები. ამასთან, საავტომობილო, სარკინიგზო, საზღვაო, საპარკი და მილსადგნი ტრანსპორტის მშენებლობის, რეკონსტრუქცია-გადაიარაღების სამუშაოების დაჩქარების, საკომუნიკაციო და გზების მოწესრიგების შემთხვევაში (ამ მიმართულებით უკვე ბევრი რამ გაკეთდა და ასეთი სამუშაოები ახლაც გრძელდება) მნიშვნელოვნად გაიზრდება მათი გამტარუნარიანობა, ფუნქციონირების უფექტიანობა და კონკურენტუნარიანობა, რის შედეგადაც ქვეყნას რეგიონში შეუძლია გახდეს ტურისტული და სატრანსპორტო-საკომუნიკაციო მომსახურების უნიშვნელოვანები ცენტრი.

ბოლო პერიოდში საქართველომ საგარეო ვაჭრობის განვითარების კურსი აიღო დასავლეთის, პირველ ყოვლისა, ევროკავშირის ქვეყნებზე. კარგა ხანია ევროკავშირთან საქართველო სარგებლობს პრეფერენციების განზოგადებული სისტემით. გარდა ამისა, 2005 წელს ჩენი ქვეყანა გახდა „GSP-ის ახალი სქემის, ბენეფიციარი. ოუ მანამდე ევროკავშირის ბაზარზე ჩვენ შეგვეძლო უბაჟოდ შეგვეტანა 330 დასახელების საქონელი, ახალი სტატუსის შემდეგ იგი 7200-მდე გაიზარდა. ამასთან, საქართველო შეუერთდა ეუთო-ს და მისი საკაჭრო პარტნიორი ქვეყნების ვაჭრობის ტექნიკური რეგულირების სისტემას, რაც წინ გადადგმული ნაბიჯია საქართველო-ევროკავშირს შორის საგაჭრო ბარიერების შემცირების, ბიზნესგარემოსა და ბიზნესურთიერთობების გაუმჯობესების გზაზე. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ევროკავშირის ბაზარი (განსაკუთრებით სასურსათო) საქმაოდ მაცრი, მომთხოვნი და მაღალკონკურენტუნარიანია. იქ მოსახვედრად, სატარიფო ბარიერთან ერთად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასატარიფო ბარიერების გადალახვა, რაშიც იგულისხმება სტანდარტიზაციის, სერტიფიკაციისა და აკრედიტაციის სისტემების, აგრეთვე, ვეტერინარული და ფიტოსანიტარული, სურსათის ეკოლოგიური სისუფთავისა და უკნებლობის სტანდარტების დაცვა. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება რეალურად ამ ბაზარზე შედწევა და დამკვიდრება.

საექსპორტო პროდუქციის წარმოების გადიდებასა და ექსპორტის სტიმულირებაში მნიშვნელოვანი როლი მისი დაკრედიტების სრულყოფას ეპუთვნის, სადაც ჯერ კიდევ ბევრი გადაუჭრელი პრობლემაა, რომელთაგან აღსანიშნავია საკრედიტო რესურსების დიდი დეფიციტი, მაგალით საპორტუნგო განაპეტები, შედავათიანი კრედიტების სიმცირე და მათი ხელმიუწვდომლობა. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში უპვე დიდი ხანია არსებობს საექსპორტო პროდუქციის წარმოებისა და ექსპორტის შედავათიანი დაკრედიტების სისტემა. სახელმწიფო უნდა იზრუნოს დაკრედიტების ასეთი სისტემის, საკრედიტო რესურსების მოზიდვის, მათი ხელმისაწვდომობისა და ეფექტიანი გამოყენების სისტემის შექმნაზე. პარალელურად საჭიროა საექსპორტო კრედიტების სადაზღვეო სისტემის ფორმირება, სადაც სადაზღვეო ფუნქციების შესრულება, სახელმწიფოსთან ერთად, შექმნებათ პერძო სადაზღვეო კომპანიებსაც.

გარდა აღნიშვნელისა, ექსპორტის ხელშეწყობასა და სტიმულირებაში მნიშვნელოვან როლს საგადასახადო დაბეგვრის სისტემა ასრულებს. მიუხედავად გადასახადების არაერთგზის გადასინჯვისა, ქვეყანაში საგადასახადო განაკვეთების დონე მაინც მაღალია, რაც მეწარმეთა სამართლიან უგმიყოფილებას იწვევს. დაბეგვრის სისტემაში არსებული ნაკლოვანებები წარმოადგენს ქვეყანაში როგორც საერთოდ მეწარმების, ისე განსაკუთრებით ექსპორტზე ორიენტირებული დარგების განვითარების სერიოზულ დამაბრკოლებელ ფაქტორს. ამასთან, მნიშვნელოვანია ექსპორტიორებისათვის საგადასახადო შედავათების მიცემა, რაც მნიშვნელოვან სტიმულს მისცემდა მათ საექსპორტო საქმიანობას.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და მისი საექსპორტო პოტენციალის ამაღლება დიდადაა დამოკიდებული უცხოური ინვესტიციების მოზიდვასა და მათ ეფექტიან გამოყენებაზე. ბოლო წლებში ქვეყანაში მათი შემოსვლა იზრდება. მარტო 2000-2012 წლებში ინვესტიციების ჯამურმა მაჩვენებელმა 7 მილიარდ ლოდარს გადააჭარბა. ამასთან, საჭიროა მათი მიზანმიმართული და ეფექტიანი გამოყენება. სამწუხაროდ, ქვეყანაში საინვესტიციო რესურსების დიდი ნაწილი (თითქმის ნახევარი) სახელმწიფო მმართველობის, საერთო და პირადი სარგებლობის აქტივების, კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების მიზნით გამოიყენება. მატერია-

ლური წარმოების სფეროში (კერძოდ, ექსპორტზე ორიენტირებულ დარგებში) კი მათი რაოდენობა ძალზე მცირეა. ამას ემატება ისიც, რომ სხვა არხებით შემოსული საპრედიტო-საფინანსო რესურსების დიდი ნაწილი ძირითადად სამომხმარებლო ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებას ხმარდება, რაც სათანადო არ ასტიმულირებს ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური ტემპებით განვითარებასა და მისი საექსპორტო პოტენციალის ზრდას.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და საექსპორტო პოტენციალის ამაღლების სტრატეგია უნდა ეფუძნებოდეს, ბუნებრივ-ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, ეკონომიკის რაციონალური დარგობრივი სტრუქტურისა და საგარეო ვაჭრობის პრიორიტეტების სწორ განსაზღვრას. ქვეყანაში მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული მაპროფილებელი დარბების განვითარების, მაღალკონკურენტულიანი პროდუქციის წარმოებისა და მსოფლიო ბაზრებზე გასვლის დიდი შესაძლებლობები. ამ საქმეში საჭიროა სახელმწიფოს აქტიური ჩარევა, სათანადო ეკონომიკური და ადმინისტრაციული ბერკეტების ამოქმედება, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის დონის ამაღლებას, ქართული საექსპორტო პროდუქციის დირსების, მისი ეკოლოგიური სისუფთავის უზრუნველყოფასა და პროპაგანდას.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ასათიანი რ. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგრმარეობა XXI საუკუნის მეორე ათწლეულის დასაწყისში, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტ. 10, ობ., 2012.

2. კაკულია მ. საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი გაჭრობის შესაძლო მაკროეკონომიკური ეფექტი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტ. 8, ობ., 2010.

3. ყუფუნია გ. საქართველოს ეკონომიკა, ობ., 2010.

4. ჯავახიშვილი რ. საქართველოს საგარეო საგაჭრო ურთიერთობების სრულყოფა გლობალიზაციის ეპოქაში, ქურნ. „ეკონომისტი”, №5, 2012.

5. საქართველო ციფრებში 1990 წელს. ობ., 1991.

6. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 8, ობ., 1984.

7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის  
მონაცემები.

*Revaz Javakhishvili*

## THE GROWTH OF EXPORT POTENTIAL AS AN IMPORTANT DIRECTION IN THE DEVELOPMENT OF POST-SOVIET ECONOMY

### Annotation

Export potential is an important part of the economic potential, in which is meant the country's available production capacity of goods and services for the purpose of export and sales to international markets. It includes the unit of exports reached and the level of unused capacity of export growth in the future.

Achieved level of export potential of Georgia /Export/ is characterized by some kind of growth. However it is not used properly its real potentials. Country has unique natural economic aspects for the development of a number of export-oriented industries and especially for the development of agriculture. The government should provide adequate administrative and economic capability for the development of the mentioned fields, which will significantly contribute to the further improvement of the country's export potential.

### ნაწელი არეგადე მოწველობის განვითარების პრობლემები საქართველოში

საქართველოს მრეწველობაში ახლა არსებული მდგომარეობა ძალზე დამაფიქრებელია. იმ დარგებს შორის, რომელთაც ქვეყნის ეკონომიკის ტრანსფორმაციითა და გლობალური ეკონომიკური კრიზისით განპირობებულმა ვითარებამ განსაკუთრებით დიდი პრობლემები შეუქმნა, მრეწველობა მართლაც გამორჩეულია ეკონომიკის არა მარტო სხვა დარგებთან, არამედ პოსტკომუნისტურ ქვეყნებთან შედარებითაც კი. დამოუკიდებლობის აღდგენიდან განვლილი 20 წელზე შეტი სხის განმავლობაში საქართველოს მრეწველობამ ვერ შეძლო XX სის 90-იან წლებში არსებულ დონემდე მიახლოება, განვითარებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მაშინ, როცა ეს ყველა პოსტკომუნისტურმა სახელმწიფომ წარმატებით მოახერხა და წინაც წავიდა. როგორც ჩანს, დარგში ბევრი ისეთი პრობლემა და-

გროვდა, რომლის არათუ გადაწევება, არამედ გამოვლენაც კი დროში საკმაოდ დაგვიანდა.

ცნობილია, რომ სამრეწველო ინდუსტრიის განვითარება კაცობრიობის ისტორიაში კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობების აღმოცენება-დამკვიდრებას უკავშირდება. ისტორიული გამოცდილების თანახმად, ინდუსტრიული განვითარების პროცესი საკმაოდ ხანგრძლივი და წინააღმდეგობრივი ხასიათისა იყო თითქმის ყველა ქეყანაში და იოლად არსად ჩატარებულა, იქაც კი, სადაც მისი განვითარებისათვის ხელშემწყობელი პირობები ყოველთვის არსებობდა, თანაც მრავალფეროვანი და სხვადასხვა დროს საკმაოდ განსხვავებული.

ისტორიული თვალთახედვით, აკად. პ. გუგუშვილის მიხედვით, საქართველოში მრეწველობა (იგულისხმება შინა მრეწველობა) უძველეს პერიოდშიც ყოფილა განვითარებული, ჯერ კიდევ ძვ. წ. VI საუკუნეში, როცა კოლხეთმა და იბერიამ დიდ წარმატებას მიაღწია სოფლის მეურნეობის, მრეწველობის და ვაჭრობის განვითარებაში. სპილენძისა და ბრინჯაოს იარაღების პარალელურად უკვე ვრცელდებოდა ადგილობრივი წარმოების რეინის იარაღები, რაც დიდ დაწინაურებას მოასწავებდა მიწათმოქმედებასა და ხელოსნობაში, ..... აღსანიშნავია, რომ კოლხერი საფეიქრო მრეწველობის ნაწარმი – სელის ქსოვილები საუკეთესოდ ითვლებოდა იმდროინდელ ქსოვილობში [1]. თუმცა, ეკონომიკისა და სახელმწიფოებრიობის განვითარება ხშირად ფერხდებოდა და ნადგურდებოდა გაუთავებული თავს მოხვეული ომებითა და შემოსევებით, რაც დიდი ხნით აბრკოლებდა ეკონომიკის განვითარებასა და წინსვლას. რუსეთთან მიერთების შემდეგ (1801), დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის დაგარგვის ფასად საქართველომ თავიდან აიცილა უცხო ქვეყნების შემოსევები, მაგრამ ფაქტობრივად, ასევე, უცხო ქვეყნის კოლონიად და მისი არაკონკურენტიანი საქონლის გასაღების ბაზად იქცა [2] „რუსეთი დაინტერესებული იყო, რომ საქართველო გადაექცია იაფი ნედლეულის წყაროდ თავისი ფაბრიკა-ქარხებისათვის“ [3]. ცარიზმის პერიოდში საქართველოში ბევრი პრობლემა არსებობდა მსხვილი მანქანური წარმოების განვითარების თვალსაზრისით, რაც შეეხება წვრილი წარმოების განვითარებას, ცარიზმი მას ხელს არ უშლიდა და ზოგ შემთხვევაში აქტებდა კიდეც, განსაკუთრებით ისეთ დარგებში, რომლებიც დამყარებულნი იყვნენ

ადგილობრივი ნედლეულის, განსაკუთრებით სოფლის-მეურნეობრივი ნედლეულის დამუშავებაზე და ამზადებდნენ ისეთ პროდუქტებს, რომელთაც დიდი გასავალი ჰქონდათ რუსეთის შიდა ბაზრებზე. მსხვილი კაპიტალისტური წარმოება კი ვითარდებოდა უმთავრესად ადგილობრივი მომპოვებელი მრეწველობის ისეთ დარგებში, როგორიცაა სპიდენტისა და ქანახშირის, მარგანეცისა და სხვა სახის წიაღისეულის დამუშავება [1].

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში, გასული საუკუნის ოციანი წლებიდან დაწყებული 1990 წლამდე, მრეწველობა საპმარი ინტენსიურად ვითარდებოდა, შედეგად 1990 წლისათვის საქართველოში ფუნქციონირებდა 1365 სამრეწველო საწარმო, საქართველო ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკებს შორის მრეწველობის განვითარების დონით მერვე ადგილზე იმყოფებოდა და ინდუსტრიულად საშუალოდ განვითრებულ ქვეყნად ითვლებოდა, აწარმოებდა 11,5 მლრდ ლარის პროდუქციას, უზრუნველყოფდა ქვეყნის ეროვნული შემოსავლის 40% და იქ დასაქმებული იყო 459,4 ათასი კაცი, მ.შ. მომპოვებელ მრეწველობაში 31,3 ათასი (6,8%) და და დამმუშავებელში 428,1 ათასი (93,2%), ქვეყანა ერთ სულ მოსახლეზე აწარმოებდა 241 კგ ფოლადს, 202 კგ მზა ნაგლის, 5,9 კგ ქიმიურ ბოჭქოს, 236 კგ ცემენტს, 5კგ ძეხვეულს, 3 დკლ ლვინოს და ა.შ. [4], თუმცა პრობლემები მრეწველობის განვითარებაში იმ პერიოდშიც და შემდგომაც მრავლად იყო, განპირობებული იმით, რომ:

1. მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურა არაოპტიმალური იყო, რამდენადაც მისი ფორმირების საფუძველი არა საკუთრივ საქართველოს ინტერესები, არამედ სსრკ ერთიანი სამეურნეო კომპლექსის ინტერესები იყო. შედეგად, უპირატუსად ვითარდებოდა საკავშირო მნიშვნელობისა და სპეციალიზაციის დარგები და ძალზე სუსტად ადგილობრივი მნიშვნელობის დარგები, კერძოდ, სათბობ-ენერგეტიკული მრეწველობა, სამშენებლო მასალების, სამრეწველო და სასურსათო საქონლის წარმოება.

2. მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ტექნოლოგიების ხათვლით, ფიზიკურად და მორალურად მოძველებული იყო, ზოგჯერ თვით დამონტაჟების პროცესშიც კი, რამდენადაც ზოგიერთი ქარხნის მანქანა-მოწყობილობები და ტექნოლოგიური ხაზები სხვა ადგილებიდან დემონტაჟებული საწარმოებიდან იყო მოტანილი და ახალ ადგილზე დამონტაჟებული, მათი განახლება კი ინტენსიურად ვერ ხორციელდებო-

და, განსაკუთრებით გასული საუკუნის 90-იან წლებში და წარმოქბაში მაშინ არსებული მანქანა-მოწყობილობების თითქმის 30% ათიდან ოც წლამდე და უფრო მეტი ასაკის იყო მთელ მრეწველობაში და თითქმის 40% მანქანათმშენებლობასა და ლითონდამუშავებაში. ამასთან, ზოგიერთ საწარმოში თუ მაინც ინერგებოდა ახალი ტექნიკა, მისი ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრების მიღწევა ვერ ხერხდებოდა გამოყენების არასაკმარისი დონის, კონსტრუქციული ნაკლოვანებებისა და არცოუკოველთვის მაღალი ხარისხის გამო. აგრეთვე, კაპიტალადგურვილობის მზარდი ტემპის მიუხდავად (რომელიც ძირითადად ტრადიციულ ტექნიკურ საფუძვლზე ხორციელდებოდა), შეიმჩნეოდა მისგან შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის არა მხოლოდ ჩამორჩენა, არამედ ამ ჩამორჩენის სულ უფრო მატების ტენდენცია. ე.ი. ახალი ტექნიკის დანერგვა, რომლის გამოყენებასაც თითქოს უნდა უზრუნველევე წარმოების ინტენსივიკაცია და კაპიტალუგუგების ამაღლება, მნიშვნელოვანწილად იქცა არსებული ტრადიციული ტექნიკის გაფართოებულ კვლავწარმოებად და დადებითი ზეგავლენა ვერ მოახდინა წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაზე.

3. დაქვეითებული იყო როგორც ცოცხალი, ისე განივთებული შრომის ეფექტიანობა, შედეგად, დაცემული წარმოების ეფექტიანობა და წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობა. ამ უკანასკნელმა ახალი პრობლემები წარმოშვაპროდუქციის გასაღებაში, რასაც დაქმატა XX საუკუნის ბოლოს ეკონომიკის ტრანსფორმაციით განპირობებული კრიზისი, შიდა და გარე უარყოფითი ფაქტორების ნაირფეროვანი ერთობლიობა, რამაც მრეწველობის ბევრი დარგი მოლიანად გაანადგურა, ბევრი კი განადგურების პირას მიიყვანა. დაწყებული ნგრევითი პროცესის მთავარი მიზეზი, მთლიანად ეკონომიკასა და ეკონოდ მრეწველობაში განპირობებული იყო როგორც გარეშე ძალების პოლიტიკური, სამსედრო და ეკონომიკური მოქმედებით ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ, ისე საქართველოს ხელისუფლებისა და მთლიანად საზოგადოების უზნარობით, დაეცვათ ქვეყნის ინტერესები, რომელიც გამოიხატა მათი საქმიანობის არასისტემურობით, ფრაგმენტულობით, ეროვნული ინტერესების განუსაზღვრელობით, სახელმწიფო დონეზე ქვეყნის განვითარების სტრატეგიის უქონლობით, სახელმწიფო ინტერესებთან შედარებით კერძო ინტერესების პრიორიტეტით, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სიძნელეებით და სხვა. აღსანიშნავია, რომ ზრდის ტემპების შემცირება მრეწ-

ველობაში ჯერ კიდევ 1985 წელს დაიწყო, როცა წარმოებული პროდუქციის მოცულობა წინა წლის დონეზე დარჩა, ხოლო 1990 წელს წარმოებული პროდუქციის მოცულობა მხოლოდ 1985 წლის დონეს შეესაბამებოდა. აქვე მხედველობაში მისაღებია ის ფაქტი, რომ წარმოების დაცემის ტემპი ნიველირდებოდა მიწერებისა და ფასების ზრდის ხარჯზე, ამიტომ, სინამდვილეში, ის ბევრად მეტი იყო. 1990 წელს პროდუქციის ცალკეული სახეების მიხედვით ის 30-54%-მდე დაუცა. მაგალითად, მანგანუმის მაღნის წარმოებამ წინა წლის მიმართ 24% შეადგინა, მანქანათმშენებლობის პროდუქციამ 9-21%, საშენი მასალების წარმოებამ 15-30%, მსუბუქი და კვების მრეწველობის მიხედვით, შესაბამისად 5-23% და 3-36%. 1991 წელს დაცემის ტემპი უფრო მკვეთრად გაიზარდა და ცალკეულ თვეებში 19.3% (ნოემბერში) და 31.5% (ოქტომბერში) მიაღწია. მთლიანად წელიწადში კი სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა 22.6%-ით შემცირდა. 1992 წელს მდგომარეობა გაუარესდა, მუშაობა შეწყვიტა საწარმოთა თითოების ნახევარმა. კრიზისით განპირობებულმა ვითარებამ სრულებით შეცვალა მრეწველობის როლი და ადგილი საქართველოს ეკონომიკაში, თუ 1990 წელს მრეწველობა უზრუნველყოფდა მშპ-ის 22.9%-ს, დასაქმების 25.3%-ს და ინვესტიციების 31.5%-ს, კრიზისის პერიოდში მისი როლი შესამნევად დაჭვეოთდა. მაგალითად, მთლიან შიდა პროდუქტში 9.3%-მდე, დასაქმებაში 4.3%-მდე და ინვესტიციებში 26.8%-მდე.

პერიოდი 1990 წლიდან 1995 წლამდე, საქართველოს მრეწველობაში შეიძლება შეფასდეს, როგორც კატასტროფულად დაღმავალი, რომლის დროსაც მრეწველობის მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობა ყოველწლიურად მცირდებოდა. ეს იყო პერიოდი, როცა საქართველოში გაბატონდა უწესრიგობა, ძარცვა-გლეჯა, ფიზიკური და სულიერი უბედურებები, უსასხრობა, დანაზოგისაგან მოსახლეობის სრული “გათავისუფლება” და მასობრივი დეგრადაცია.

წარმოების დაქვეითების მასშტაბებმა და დამანგრეველმა ხასიათმა ქვეყნის საწარმოო პოტენციალის არნახული დაცემა გამოიწვია, რომელიც, შეიძლება ითქვას, უფრო მძიმე იყო, ვიდრე “დიდი დეპრესიის” დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში. ქვეყანაში დაირღვა წონასწორობები მოხმარებასა და წარმოებას, დაზოგვასა და მოხმარებას, ექსპორტსა და იმპორტს შორის და ა.შ., გაწყდა ეკონომიკური კავშირები ქვეყნის შიგნით და გარეთ, ნედლეულის, ენერგეტიკული რესურსების, მასალების მომწოდებლებთან, ასევე, მზა პროდუქციის გასაღების

ბაზრებთან. კოლოსალურ მასშტაბებს მიაღწია ონფლაციამ, კორუფციამ, კრიმინალურმა საქმიანობამ, ხალხის ქონების დატაცებამ და განიავებამ, რასაც მოპყვა ეპონომიკის კრიმინალურაცია, საზოგადოების ზნეობრივი კრიზისი, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის რდვევა, სამოქალაქო ომი, ათი ათასობით ადამიანის საცხოვრებელი ადგილიდან განდევნა და ა.შ. [5].

უკველწლიურად მცირდებოდა წარმოებული პროდუქციის მოცულობა, მაგალითად, 1995 წელს მრეწველობამ გამოუშვა 1990 წელს წარმოებული პროდუქციის (რომელიც, როგორც ვნახეთ, საუკეთესო ნამდვილად არ ყოფილა) შემოლოდ 14%, ისიც მარტოდენ დირებულებით მაჩვენებლის მიხედვით. შემცირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გადამამუშავებელ მრეწველობაში იყო – 10-ჯერადი. მდგომარეობა მცირედ გაუმჯობესდა 1996-2000 წლებში, როცა იწარმოვა 1990 წლის დონის 19.4%, ანუ 5-ჯერ ნაკლები. პროდუქციის წარმოების ცალკეული სახეების მიხედვით ნატურალურ მომსახურებაში მდგომარეობა კატასტროფული იყო, მაგლითად, 2000 წელს, 1990 წლის დონესთან შედარებით, წარმოებული იყო არამაღნეული მასალების 1.36%, ნახშირბადიანი ფერომანგანუმის 7.5%, სილიკომანგანუმის 7.5%, ჩასაძირი ელექტროძრავების 4.96%, მაგისტრალური ელმაგლების 4.6%, ლითონმჴრელი ჩარხების 0.19% და ა.შ.

4. პრივატიზაცია მთლიანად ქვეყანაში და განსაკუთრებით მრეწველობაში მოუმზადებლად და დარღვევებით იყო ჩატარებული. პრივატიზაციის მეთოდებისა და მიმართულებების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მასობრივი პრივატიზაციის პროცესში სახელმწიფო საკუთრება ძალზე შემცირებული ფასებით გაიყიდა. აშკარად და დიდი ოდენობით მიყენდა ის ყოფილ პარტიკულარებს, ხელისუფლებასა და მასთან დაახლოებულ პირებს, სახელმწიფო მოხელეებს. გაიყიდა ყველაფერი, რისი გაყიდვაც შესაძლებელი იყო, თითქოსდა პრინციპით, რომ აღბული თანხებით გაჩერებულ საწარმოთა ამოქმედება განხორციელებულიყო, სინამდვილეში არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა. მომგებიანი ობიექტები მირითადად ფარულად გაიყიდა და ეს ყველაფერი ცალკეული ოჯახური კლანებისა და მათი ახლობლების ხელში მოხვდა.

პრივატიზაცია იმ დროს დაიწყო, როცა მოსახლეობის მიერ შემნახველ სალაროებში დაგროვილი ფული მთლიანად გაუფასურებული იყო და ამიტომ პრივატიზაციის პროცესში მისი ჩართვა შეუძლებელი აღმოჩნდა.

მრეწველობაში პრივატიზაცია ძირითადად 1993 წელს დაიწყო და 1993-1994 წლებში პრივატიზებულ იქნა 198 სამრეწველო ობიექტი, 1995-2002 წლებში – 264, მ. შ. ცალკეული წლების მიხედვით: 1995 წელს – 12, 1996 წ. – 50, 1997 წ. – 30, 1998 წ. – 27, 1999 წ. – 18, 2000 წ. – 12, 2001 წ. – 15 და 2002 წ. – 9. 2003 წ. დაიწყო ახალი ეწ. „აგრესიული პრივატიზაცია“, რომელიც აქტიურად მიმდინარეობდა მრეწველობაში. 2012 წლამდე პრივატიზებულ იქნა სამრეწველო საწარმოთა თოთქმის 85%, მ.შ. ისეთი მსხვილი საწარმოები, როგორიცაა სს „მაღნეული“, „ჭიათურმანგანუმი“, „ტყიბულნას შირი“, „რუსთავის აზოტი“, მეტალურგიული კომპინატი, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა და სხვა. 2012 წლის მდგომარეობით, საქართველოში პრივატიზებულია სულ 27 ათასამდე მცირე, საშუალო და მსხვილი ობიექტი, მარტო 2003-2012 წლებში მიღებულია 3106 მილიონი ლარი, მხოლოდ 2011 წელს – 245 მილიონი. აღნებული მილიონები მოხმარდა ძირითადად ბიუჯეტის შეგხებასა და არა გაჩერებულ საწარმოთა ამოქმედებას [6].

პრივატიზებულ საწარმოთა შერის ყველაზე ცუდ მდგომარეობაში ნელოვან აუქციონებზე შეძენილები აღმოჩნდა, რამდენადაც მათი მეპატრონები მესაკუთრეებად ვერ ჩამოყალიბდნენ და გაჩერებული საწარმოების აღდგენა-ამუშავების კონკრეტული ღონისძიებებისა და იქ ფულის დაბანდების ნაცვლად სწრაფად იზრუნეს უმტკიცნებულოდ მათი თავიდან მოშორებასა და კაპიტალად გადაქცევაზე. მსხვილი საწარმოები დაანაწევრეს, პატარ-პატარა საწარმოებად გადაკეთებეს, რაც ქვეყანაში გაიყიდა – გაყიდეს, დანარჩენი, მ.შ. მანქანა-მოწყობილობები დაჭრეს და საზღვარგარეთ ჯართად გაყიდეს. სწორედ ამისი მაჩვენებელი იყო საექსპორტო საქონლის ჩამონათვალში, წლების მანძილზე, შავი ლითონის ჯართის პირველ პოზიციაზე ყოფნა. ზოგიერთი საწარმოს შენობა-ნაგებობებიც დაანგრიეს და გამოთავისუფლებული მიწის ნაკვეთები საცხოველი სახლების მშენებლობისათვის გაასხვისეს. შედგად, ქვეყანას, და კერძოდ მრეწველობას, აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენეს.

საქართველოს მრეწველობის მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობა (მოქმედი ფასებით) 2000-2011 წლებში 3.3-ჯერ გაიზარდა, თუმცა, 1990 წლის დონეს ჯერ კიდევ (45 პროცენტული პუნქტით) ჩამორჩება. თუ ინფლაციასაც გავითვალისწინებოდეთ, ეს ჩამორჩენა მით უფრო საგრძნობი იქნება. 1990 წელს წარმოებული პროდუქციის ზოგიერთი სახეობა განხილულ პე-

რიოდში საერთოდ არ იწარმოებოდა, მაგალითად, ლითონური ფერო-მანგანუმი, ცვლადი დენის ელექტროძრავები, მცირე სიმძლავრიანი ელექტროძრავები, ქიმიური ბოჭკო, ლითოფფონი, თუკი, და ა.შ. ზოგიერთი კი იწარმოებოდა ძალიან მცირე მოცულობით. მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა მრეწვლობის დარღობრივმა სტრუქტურამაც, თუ 2000 წელს სამთო-მომპოვებელ მრეწვლობაზე მოდიოდა 6.6 პროცენტი, დამშევებელზე 54.7 %, ელექტროენერგიის, გაზისა და წყლის წარმოება-განაწილებაზე 38.7%, 2010 წლის მიხედვით ეს მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენდა 5.3%-ს, 76.8%-ს, და 17.9%-ს. 2011 წელს კი 5.2%-ს, 78.9%-ს და 15.9%-ს.

როგორც ვხედავთ, საქართველოს მრეწველობაში არსებული მდგომარეობა ძალზე სავალალოა, არადა სომ საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ვევლა ქვეყანაში მრეწველობის განვითარების დონე და მასშტაბი წარმოადგენს სამხედრო და ეკონომიკური უსაფრთხოების მთავარ კრიტერიუმს, “უსაფრთხოების ზღვარის დარღვევის შემთხვევაში ეკონომიკა კარგავს დამოუკიდებლად ფუნქციონირებისა და ოვითგანვითარების უნარს, კონკურენტუნარიანობას საშინაო და საგარეო ბაზრებზე. იგი ხდება ტრანსნაციონალური მონოპოლიის ობიექტი, იზრდება კორუფციისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები, აღებ-მიცემობაზე და ვაჭრობაზე დაფუძვნებული ეკონომიკა კი არასდროს იქნება “უსაფრთხოები” [7]. განა მსოფლიოს განვითარებულმა ქვეყნებმა თავიანთი უპირატესობები, უპირველეს ყოვლისა, მოსახლეობის შემოსავალების ზრდის მიმართულებით, მრეწველობისა და კონკურენტული უპირატესობების განვითარებით არ მოიპოვეს? სომ ცნობილია, რომ “თანამედროვე პირობებში ქვეყნის კონკურენტული უპირატესობები ეფუძნება არა ბუნებრივ, კლიმატურ ან გეოგრაფიულ ფაქტორებს, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ინტელექტუალური, კვალიფიციური შრომის, მეცნიერებატევადი წარმოებისა და პროდუქციის უპირატესობებს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ კონკრეტული უპირატესობა საბოლოო ჯამში გამოიხატება შრომის ნაყოფიერებით, ეფექტურობით, დამატებული დირებულებით, რაც ყველაზე უფრო მაღალია გადამშევებელ მრეწველობაში. მართალია, თანამედროვე მრეწველობის ხვედრითი წილი მშპ-ში შემცირდა და შესაბამისად ამაღლდა ინფორმაციული სექტორის ხვედრითი წილი თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს მრეწველობის როლის დაკინებას. ჯერ ერთი, როგორც აღვნიშნეთ,

ეფუქტიანობა მრეწველობაში მაღალია; მეორე, მრეწველობა ქმნის წარმოების ინდუსტრიალიზაციისა და ინფორმატიზაციის შესაძლებლობებს. ავტომატიზებული და ინფორმაციული წარმოების საშუალებებს და ტექნოლოგიებს. და ბოლოს, მესამე, მართალია, ვითარდება წარმოების ბიოლოგიზაცია, მაგრამ ბიოლოგიური ხედლებულის გადამუშავება მაინც მრეწველობაა, ბიოლოგიური მრეწველობა... საქართველომ უნდა უზრუნველყოს თავისი ეროვნული ინტერესები ინტელექტუალური და ინდუსტრიული წარმოებით [8].

საქართველოს მრეწველობაში არსებულ პრობლემებს, რომლებზედაც ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, ბოლო პერიოდში ბევრი სხვა პრობლემაც დაემატა, რომელთა შორის, ჩვენი აზრით, უმთავრესია ის, რომ:

1. საქართველოს არ გააჩნია სამრეწველო განვითარების სტრატეგია;

2. მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მის ბევრ დარგსა და ქვედარგში ფაქტობრივად განადგურებულია;

3. მისი საშინაო ბაზრის მოცულობა ძლიერ მცირეა და ისიც უცხოური პროდუქციით გავსებული, საგარეო ბაზრების უმეტესობა კი დაკარგულია;

4. დიდი სირთულეებია ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით, რამდენადაც არაჯანსაღი საინვესტიციო კლიმატისა და საკუთრების დაცვის მიმართულებით წარმოქმნილი სიძნელეების გამო, წინა ხელისუფლების პერიოდში ძლიერ შემცირდა ქვეყანაში ინვესტიციების შემოდინება. არადა, ქვეყანას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აუცილებლად სჭირდება ახალი, მაღალტექნიკურ და ტექნოლოგიურ საფუძვლებზე დაფუძნებული მრეწველობის განვითარება, რამდენადაც, თუ საქართველომ უახლოეს პერიოდში ეს ვერ მოახერხსა, ის კიდევ დიდხანს დარჩება განვითარებად ქვეყნის სტატუსით და, შესაძლოა, მას თავი ვერც ვერასოდეს დააღწიოს. უნდა ითქვას იმაზეც, რომ საქართველოს, ნარევის მიუხედავად, ჯერ კიდევ გააჩნია მრეწველობის განვითარების შესაძლებლობები. ეს, უპირველეს ყოფლისა, ეხება მის ბუნებრივ რესურსებს, კვალიფიციურ მუშახელს და სამეცნიერო პოტენციალს. ამასთან დაკავშირებით, საშუალო და, განსაბუთოებით, გრძელვადიან პერსპექტივაში, სამრეწველო განვითარების სტრატეგიის შესაბამისად, აუცილებელი იქნება ქვეყანაში აქტიური სამრეწველო პოლიტიკის განხორციელება, ამისათვის კი, სამთავრობო დონეზე, შესაბამისი კვლევების საფუძველზე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

- ხელისუფლების მხრიდან მრეწველობის (განსაკუთრებული გადამძუშვავებელი) პრიორიტეტულ დარგად აღიარება;

- იმ დარგებისა და ქვედარგების ჩამონათვალის დაზუსტება, რომელთა პროდუქციაზე მოთხოვნა უახლოეს ბაზრებზე ფიქსირდება და რომლის წარმოება საქართველოს შეუძლია ან მომავალში შევძლება;

- ინვესტორებისათვის შესაბამის გადამძუშვავებელ დარგებში სახსრების დაბანდებისათვის გარკვეული შეღავათების დაწესება;

- ეკოლოგიაზე ზიანის მიუყენებლად ელექტროენერგეტიკის წინმსწრები ტემპებით განვითარება, უპირატესად მცირე და საშუალო ჰესების მშენებლობისა და არატრადიციული რესურსების გამოყენების საფუძველზე;

- მანქანამშენებლობაში მაღალტექნილოგიური და მეცნიერებატევადი დარგების განვითარებისათვის უპირატესი მინიშვნელობის მინიჭება;

- ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის დარგებიდან იმ დარგების შემდგომი განვითარებისათვის ხელშეწყობა, რომლის ნედლეული (ბარიტი, კალციტი, ცერლიტი, გუმბრინი და ა.შ.), ნაწილობრივ კადრები და სამრეწველო სიმძლავრეები ქვეყანას ჯერ კიდევ გააჩნია (სამთო ქიმია, ქიმიური ბოჭკო, მინერალური სასუქები);

- ფრიად მნიშვნელოვანია შავი და ფერადი ლითონების მეტალურგიის საწარმოების ფუნქციონირება, რამდენადაც მიმდინარე რეგიონებში ამ სახის პროდუქციაზე მოთხოვნის დაკმაყოფილება ყველაზე უკეთ საქართველოს შეუძლია;

- სამშენებლო მასალების წარმოებისათვის საქართველოს შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება, ცალკეულ კარიერებზე გაცემული და აუმოქმედებელი ლიცენზიების სახელმწიფოს მიერ უკან გამოსყიდვა და მათი ფუნქციონირების განახლება;

- ხეტყის, ხისდამძუშვავებელი და ცელულოზა-ქადალდის მრეწველობის სანედლეულო რესურსების შეზღუდულობის გამო ხის მორების უკონტროლო ჭრისა და უცხოელებზე მიყიდვის აკრძალვა, რამდენადაც საქართველოს ტყებში უნდა დაიბრუნოს ნიადაგდაცვითი, წყალმარებულირებელი და საბუროტო ფუნქცია.

განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაშ სამრეწველო ინდუსტრიის განვითარება, წვეულებრივი, მსუბუქი და კეგების მრეწველობის განვითარებით დაიწყო, რამდენადაც ისინი

სწრაფი უკუგებით და შედარებით მცირე კაპიტალდაბანდებით ხასიათდებიან, სასურველია, საქართველომაც გაიზიაროს ეს გამოცდილება, ამისათვის კი საჭირო იქნება:

- მსუბუქი მრეწველობის განვითარებისათვის სანედლეულო ბაზის გაძლიერება და მისი რაციონალური გამოყენება, ახალი სახის ნედლეულისა და მასადების ძიებასთან ერთად მათი ხარისხის გაუმჯოებელების პირობებში;

- კვების მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობის სანედლეულო მრავალფეროვნებისა და ეკოლოგიური სისუფთავის გათვალისწინებით, მისი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება და იმპორტირებული კვების პროდუქტების აღილობრივი წარმოების პროდუქტებით თანდათანობით ჩანაცვლება [2].

ამ და ბევრი სხვა ღონისძიების განხორციელება ხელს შეუწყობს საქართველოს მრეწველობაში არსებული ზოგიერთი პრობლემის გადაწყვეტას, იმპორტზე დამოკიდებულების შემცირებას, მოსახლეობის დასაქმების ამაღლებას, სიღარიბის დაძლევას და საქართველოს ჩაგრომას ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების რიცხვში.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სახალხო მეურნეობა 1921-1961. თბ., 1961. პაატა გუგუშვილის რედაქციით, გვ. 4, 83.

2. 6. არეგაძე, მრეწველობის განვითარების ასპექტები საქართველოში, წიგნში “პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე”, თსუ, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, პროფ. გიორგი პაპაგას დაბადებიდან 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის მასალები, თბ., 2013, გვ. 103-104.

3. საქართველოს ეკონომიკა, მთ. რედაქტორი როზეტა ასათიანი, თბილისი, გამოცემლობა “სიახლე”, 2012, გვ. 12.

4. რ. აბესაძე, დ. ჩომახიძე, “მრეწველობა”, წიგნში “საქართველოს ეკონომიკა”, მთ. რედაქტორი პროფ. რ. ასათიანი, თბ. გამომცემლობა “სიახლე”, 2012, გვ. 163.

5. გ. მალაშხია, “ეკონომიკური კატასტროფა, რეანიმაციული პროცესი და სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა”, სესაედსპსკი, საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში, შრ. კრებული, ტ. IV, თბ., 1999, გვ. 191-195.

6. ს. პავლიაშვილი, “სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის თავისებურებები და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები საქართველოში”, წიგნში “პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე”, თსუ, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, პროფ. გიორგი პაპავას დაბადებიდან 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის მასალები, თბ., 2013, გვ. 47-51.

7. ი. მესხია, რეალური სექტორის აღორძინება-განვითარება, ქვეყნის ეკონომიკის უსაფრთხოების გარანტი, ჟ. “მაკრო-მიკრო ეკონომიკა”, 1999, №11-12, გვ. 29.

8. თ. ჩიკვაიძე, “საქართველოს ახალი პარადიგმა, მდგრადი და უსაფრთხო განვითარების სტრატეგია XXI საუკუნისათვის”, წიგნში “საბაზო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში”, სესაედსპსკი, შრ. კრებული ტ. II, 1997, გვ. 72.

*Nanuli Arevadze*

## PROBLEMS OF INDUSTRY DEVELOPMENT IN GEORGIA

### Annotation

The paper revealed the development of industry issues and presented its analysis of developments in different periods, especially till the nineties of XX century and modern periods. The report concludes in its structure nonoptimal disability of material-technical basis, decrease of the efficiency of production, the mistakes made in the privatization of pre-crisis period, even worsened in the current period, total destruction of material-technical basis in many fields and the sub-fields, lack of industrial development strategy, lack of an internal market and the financial resources, difficulties in attracting investments and others. Substantiates the importance of industrial development for country's economic security and a set of its solution in some direction.

*აზიეთ სისვაძე*

დარმობის უასტორთა ოატიგალური პომინაცია:

თეორიულ-მეთოდოლოგიური ასამშტი

პრობლემის ტრადიციული გადაწყვეტა. წარმოების ფაქტორთა ოპტიმალური კომბინაციის არსებობის შესაძლებლობა თეორიულად დასაბუთებულია, მაგრამ პრობლემა პრაქტიკულად ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი. კერძოდ, თეორიულ

ანალიზში ერთმანეთს უდარებენ თითოეულ რესურსზე მათი ერთეულის ფასებსა და შესაბამისი ფაქტორის საზღვრით პროდუქტებს. ამასთან ცხადია, რომ ბიზნესმენი ძვირადღირებულ რესურსს მეორე იაფი რესურსით ანაცვლებს. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე ფორმის პირობებში ძვირადღირებული შრომა იაფი ტექნიკით იცვლება. პრობლემის ტრადიციული გადაწყვეტის პირობებში შენაცვლების კოტურიუმს წარმოადგენს შრომისა და კაპიტალის საზღვრითი პროდუქტების მაჩვენებელთა ჯამური რესურსტევადობის მინიმუმი:

$$E_{KL} = E_K + E_L = \min \quad (1)$$

სადაც,  $E_{KL}$  არის შრომისა და კაპიტალის საზღვრითი პროდუქტების მაჩვენებელთა ჯამური რესურსტევადობა;  $E_K$  – კაპიტალის საზღვრითი (ნამატი) პროდუქტის ღირებულების ერთ დარჩე ნამატი კაპიტალის ღირებულება ანუ კაპიტალის საზღვრითი პროდუქტის კაპიტალტევადობა;  $E_L$  – შრომის საზღვრითი პროდუქტის შრომატევადობა.

თეორიულად მიჩნეულია, რომ წარმოების ფაქტორთა ისეთი კომბინაცია, რომელიც ფიქსირებული სამეცნიერ შედეგის მიღებას წარმოების ფაქტორთა მინიმალური დანახარჯებით უზრუნველყოფს, განსაზღვრულია ტოლობით:

$$\frac{\Delta Y_K}{\Phi_K} = \frac{\Delta Y_L}{\Phi_L} \quad (2)$$

პროპორციის ერთ-ერთი თვისების თანახმად:

$$\frac{\Delta Y_K}{\Delta Y_L} = \frac{\Phi_K}{\Phi_L}$$

(2) პროპორცია გვიჩვენებს, რომ წარმოების ფაქტორთა ოპტიმალური კომბინაციის პირობებში ამ ფაქტორთა საზღვრითი პროდუქტები ისე შეეფარდება ერთმანეთს, როგორც მათი ფასები<sup>16</sup>.

განხილული მეთოდის ნაკლს შეადგენ ის გარემოება, რომ, ჯერ ერთი, კაპიტალისა და შრომის საზღვრითი

<sup>16</sup> გ. დოლანი. მიკროეკონომიკა. მოსკოვი, 1994, გვ. 153 (თარგმანი ინგლისურიდან რუსულ ენაზე); ეკონომიკა. ა.ს. ბულატოვის რედაქციით. მოსკოვი, 2006, გვ. 201-205 (რუსულ ენაზე); ე. ხარაიშვილი და სხვები. მიკროეკონომიკა. თბილისი, 2008, გვ. 147-148.

პროდუქტები მეცნიერული აბსტრაქციის შედეგია და, ამდენად, ბიზნესის პრაქტიკაში არ ადირიცხება, ხოლო მათი გამოთვლა საკმაოდ შრომატევადია; მეორე, მეთოდი კაპიტალისა და შრომის ოპტიმალური სიდიდეების განსაზღვრას არ ითვალისწინებს.

წარმოების ფაქტორთა ოპტიმალური კომბინაციის განსაზღვრა საწარმოო ფუნქციების გამოყენებით. ავტორის აზრით, წარმოების ფაქტორთა ოპტიმალური კომბინაციის მათემატიკურად დასაბუთებული და პრაქტიკულად გამოყენებადი მეთოდის შექმნა სავსებით შესაძლებელია კობადუგლასისა და ტინბერგენის საწარმოო ფუნქციების საფუძვლზე. ამასთან, კობადუგლასის ფუნქცია საშუალებას იძლევა, ამოცანა გადავწყვიტოთ სტატიკური ფორმით, დროის მოკლევადიან პერიოდში, როგორც მიმდინარე წლის საგეგმო ამოცანა. ტინბერგენის საწარმოო ფუნქციით კი შესაძლებელია, პრობლემა დინამიკაში პროგნოზული სახით გამოვიკვლიოთ.

დროის მოკლევადიანი პერიოდისათვის ეკონომიკური ამოცანა შემდეგნაირად ჩამოყალიბდება:

განვსაზღვროთ წარმოების ფაქტორების – კაპიტალისა და შრომის ოპტიმალური მნიშვნელობანი და, შესაბამისად, მათი ისეთი ოპტიმალური კომბინაცია – კერძოდ, შეფარდება

$$F = \frac{K}{L},$$

რომელიც უზრუნველყოფს კობადუგლასის საწარმოო ფუნქციით განსაზღვრული ფიქსირებული მაქსიმალური სამუშაოები შედეგის მიღებას და საწარმოო რესურსების გამოყენების ხარჯების მინიმუმის პირობებში.

**ამოცანის მიზნის ფუნქცია:** ამოცანის რეალურობისათვის დაცული უნდა იქნეს შემდეგი აუცილებელი პირობები: **პირველი**, მიზნის ფუნქციაში კაპიტალი და შრომა თანაზომადნი უნდა იყონ შეფასების თვალსაზრისით. ე.ი. ორივე მათგანი გამოხატული უნდა იყოს ერთი და იმავე მაჩვენებელში. ასეთი კი მათი ღირებულებითი შეფასებაა; **მეორე**, ღირებულებითი სახით გამოხატული კაპიტალი და შრომა თანაზომადნი უნდა იყონ დროშიც. კერძოდ, თუ გამოყენებული შრომის ოდენობას გამოვხატავთ წლის მასშტაბით – დასაქმებულთა რაოდენობის გამრავლებით საშუალო წლიურ ხელფასზე, მაშინ, ამავე წლიურ მასშტაბში უნდა გამოიხატოს კაპიტალიც. ეს უკანასკნელი კი მრავალი წლის მანძილზე გამოიყენება და ამდენად, ერთწლიან განზო-

მიღებაში ვერ ეტევა. ამიტომ საწარმოო ფუნქციაში უნდა აისახოს მისი წლიური ცვეთის დირებულება. ამ თვალსაზრისით, შრომის ფასი გამოიხატება საშუალო წლიური ხელფასით, ხოლო კაპიტალის ფასი – ამორტიზაციის საშუალო წლიური ნორმით; **მესამე**, შრომისა და კაპიტალის დირებულებითი შეფასება სრულად უნდა შეესაბამებოდეს დასმული ამოცანის მიზნებს.

განხილულ გარემოებათა გათვალისწინებით, კაპიტალის დირებულებითი შეფასება, გამოსახული წლიური ცვეთის ხარჯების (ამორტიზაციის) ფორმით, შემდეგი ფორმულით გამოითვლება:

$$C_K = a_k \times K$$

სადაც,  $C_K$  არის ძირითადი საწარმოო კაპიტალის წლიური ცვეთის დირებულება;  $a_k$  – ამორტიზაციის საშუალო წლიური ნორმა;  $K$  – ძირითადი საწარმოო კაპიტალის საშუალო წლიური დირებულება.

გამოყენებული შრომის წლიური შეფასება იქნება:

$$C_L = w_l \times L$$

სადაც,  $C_L$  არის შრომის წლიური დანახარჯები;  $W_l$  – ერთი მომუშვის საშუალო წლიური ხელფასი;  $L$  – წარმოებაში დასაქმებულ მუშაյთა რაოდენობა – პერსონალი.

აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით გადასაწყვეტი ამოცანა შემდეგნაირად დაკონკრეტდება:

განვსაზღვროთ ფირმის ძირითადი კაპიტალის ( $K$ ) და დასაქმებულთა ( $L$ ) ოპტიმალური მნიშვნელობანი, შესაბამისად

კი მათი ისეთი ოპტიმალური კომბინაცია  $\varphi^* = \frac{K^*}{L^*}$ , რომელიც უზრუნველყოფს მაქსიმალური ფიქსირებული მოცულობის საქონლის წარმოებას, განსაზღვრულს კობა-დუგლასის საწარმო ფუნქციით<sup>17</sup>:

<sup>17</sup> იხ. დიტერატურა საწარმოო ფუნქციის შესახებ: დ. ნატროშვილი, ლ. გიორგაშვილი, გ. ჯაშაშვილი. მათებატიკა ეკონომისტებისათვის. თბილისი, 2008; გ. ბ. კლაინერი. საწარმოო ფუნქციები. მოსკოვი, 1986 (რუსულ ენაზე); ნ.

$$Y = AK^\alpha L^\beta, \quad (3)$$

სადაც ( $\alpha + \beta = 1$ ) იმ პირობით, რომ რესურსების ერთობლივი მიმდინარე დანახარჯების ამსახველი მიზნის ფუნქცია მინიმალურ მნიშვნელობას მიიღებს:

$$C_{KW} = a_k \cdot K + w_l \cdot L = \min \quad (4)$$

სადაც  $C_{KW}$  შრომისა და კაპიტალის ერთობლივი მიმდინარე დანახარჯებია.

წარმოდგენილ მიზნის ფუნქციაში ამორტიზაციის საშუალო წლიური ნორმა შეიძლება ორი ხერხით გამოითვალის. პირველი, როგორც საშუალო შეწონილი სიდიდე და მეორე, ამორტიზაციის წლიური ანარიცხების ჯამის გაყოფით ძირითადი საწარმოო კაპიტალის საშუალო წლიურ ღირებულებასთან.

ასევე, საშუალო წლიური ხელფასი გამოითვლება, როგორც საშუალო შეწონილი სიდიდე ან ხელფასის წლიური ფონდის შეფარდებით დასაქმებულთა საშუალო წლიურ რიცხოვნობასთან.

**დასაქმებულთა ოპტიმალური რიცხოვნობა:** წარმოების თითოეული ფაქტორის ოპტიმალური ზომის დადგენის მიზნით კობა-დუგლასის საწარმოო ფუნქციის საფუძველზე განვსაზღვროთ მათი მნიშვნელობანი და ჩავსვათ (4) მიზნის ფუნქციაში.

დავიწყოთ პერსონალის ოპტიმალური სიდიდით. კობა-დუგლასის ფუნქციიდან გამოვთვალოთ კაპიტალის სიდიდე და ჩავსვათ იგი მიზნის ფუნქციაში, რაც საშუალებას მოგვცემს, ის ერთ უცნობზე –  $L^{-\eta_j}$  დავიყენოთ:

$$K^\alpha = \frac{Y}{AL^\beta}, \quad \text{საიდანაც,}$$

$$K = \left( \frac{Y}{AL^\beta} \right)^{\frac{1}{\alpha}}$$

მიღებული ფორმულიდან გამომდინარე, შრომასა და კაპიტალს შორის უკუპროპორციული დამოკიდებულება არსებობს.


ბ. ბარკალოვი. საწარმოო ფუნქციები ეპონომიტური ზრდის მოდელებში. მოსკოვი, 1981 (რუსულ ენაზე); ლ. ლ. ტერეხოვი. საწარმოო ფუნქციები. მოსკოვი, 1974 (რუსულ ენაზე).

ბობს – დასაქმებულთა რაოდენობის ზრდის პირობებში კაპიტალის ხიდიდე მცირდება. ამ გარემოების გათვალისწინებით ძირითადი საწარმოო კაპიტალის ცვეთის წლიური ხარჯები იქნება:

$$C_K = a_k \times \left( \frac{Y}{AL^\beta} \right)^{\frac{1}{\alpha}}$$

მიღებული გამოსახულებიდან გამომდინარეობს, რომ ძირითადი საწარმოო კაპიტალის ცვეთის წლიური ხარჯებსა და დასაქმებულთა რაოდენობას შორის უპუპროპორციული დამოკიდებულება არსებობს. კერძოდ, დასაქმებულთა რაოდენობის ზრდის პირობებში ცვეთის წლიური ხარჯები მცირდება (იხ. გრაფიკი 1). ცხადია, ამავე პირობებში შრომის წლიური ხარჯები გაიზრდება, რადგან  $C_L = w_l \times L$  (იხ. გრაფიკი 2).

გრაფიკი 1. ცვეთის წლიური ხარჯების დამოკიდებულება დასაქმებულთა რაოდენობაზე




ამრიგად, დასმული ამოცანის მიზნის ფუნქციას შემდეგი სახე აქვს:


$$C_{KL} = a_k \cdot \left( \frac{Y}{AL^\beta} \right)^{\frac{1}{\alpha}} + w_l \cdot L = \min \quad (5)$$

მიზნის ფუნქციის შესაბამისი მრუდი ჩამოყალიბდება მასში შემავალი ხარჯების გრაფიკების კომბინაციის საფუძვლზე (იხ. გრაფიკები 3 და 4). გრაფიკიდან ჩანს, რომ დასაქმებულთა რაოდენობის ზრდასთან დაკავშირებით ერთობლივი ხარჯები ჯერ მცირდება, მათი  $L^*$  კრიტიკული მნიშვნელობისათვის აღწევს მინიმალურ დონეს, ხოლო შემდეგ კვლავ იზრდება.

**გრაფიკი 3. შრომისა და ცვეთის ერთობლივი ხარჯების დამოკიდებულება დასაქმებულთა რაოდენობაზე**



**გრაფიკი 4. შრომისა და ცვეთის ერთობლივი ხარჯების მრუდი**



წარმოდგენილი მიზნის ფუნქციის საფუძველზე  $L$ -ის ოპტიმალური მნიშვნელობის გამოსათვლელად გამოყენებულ იქნა მასში შემავალი ხარჯების გატოლების მეთოდი და განხორციელდა შესაბამისი გარდაქმნები:

$$a_k \left( \frac{Y}{AL^\beta} \right)^{\frac{1}{\alpha}} = w_l \cdot L; \quad \frac{a_k \cdot Y^{\frac{1}{\alpha}}}{A^{\frac{1}{\alpha}} \cdot L^{\frac{\beta}{\alpha}}} = w_l \cdot L$$

მიღებული გამოსახულებიდან გამომდინარეობს, რომ:

$$a_k \cdot Y^{\frac{1}{\alpha}} = A^{\frac{1}{\alpha}} \cdot w_l \cdot L^{1+\frac{\beta}{\alpha}} = A^{\frac{1}{\alpha}} \cdot w_l \cdot L^{\frac{1}{\alpha}}.$$

$$\exists \cdot 0. \quad a_k \cdot Y^{\frac{1}{\alpha}} = A^{\frac{1}{\alpha}} \cdot w_l \cdot L^{\frac{1}{\alpha}}$$

გამოვაცალკევოთ საძიებელი  $L$  ცვლადი თავისი ხარისხი:

$$L^{\frac{1}{\alpha}} = \frac{a_k \cdot Y^{\frac{1}{\alpha}}}{A^{\frac{1}{\alpha}} \cdot w_l} = \frac{a_k}{w_l} \cdot \left(\frac{Y}{A}\right)^{\frac{1}{\alpha}}$$

ტოლობის ორიგე მხარის  $\alpha$  ხარისხში აკვანით მივიღებთ, რომ პერსონალის ოპტიმალური მნიშვნელობა შემდეგი ფორმულით გამოითვლება:

$$L^* = \left( \frac{a_k}{w_l} \right)^\alpha \cdot \frac{Y}{A} \quad (6)$$

ანალოგიური მეთოდითაა შესაძლებელი გაპიტალის ოპტიმალური ზომის დადგენაც.

კაპიტალის ოპტიმალური მოცულობა. კაპიტალის ოპტიმალური მნიშვნელობის დადგენის მიზნით კობა-დუგლასის საწარმოო ფუნქციიდან დასაქმებულთა რაოდენობა  $L$  გამოკითვალოთ  $K$ -ს საფუძველზე და მისი მნიშვნელობა ჩაესახოთ დახარჯების (მიზნის) ფუნქციაში:

$$L^\beta = \frac{Y}{AK^\alpha}, \quad \text{b} \circ \text{o} \text{f} \text{o} \text{b} \text{o} \text{f},$$

$$L = \left( \frac{Y}{AK^\alpha} \right)^{\frac{1}{\beta}}$$

როგორც ვხედავთ, მოცემულ შემთხვევაშიც კაპიტალის სიდიდესა და დასაქმებულოთა რაოდენობას შორის უცუპროპორციული დამოკიდებულება არსებობს.

ამ პირობებში მიზნის ფუნქცია შედეგ სახეს მიიღებს:

$$C_{KL} = w_l \cdot \left( \frac{Y}{AK^\alpha} \right)^{\frac{1}{\beta}} + a_k \cdot K = \min \quad (7)$$

საძიებელი  $K$  ცვლადის ოპტიმალური მნიშვნელობის დასაღებელია ერთმანეთს გაგუტოლოთ მიზნის ფუნქციაში შემავალი საბირისპირო მიმართულებით მოძრავი ხარჯები და მოვახდინოთ შესაბამისი მათემატიკური გარდაქმნები:

$$\begin{aligned} w_l \cdot \frac{Y^{\frac{1}{\beta}}}{A^{\frac{1}{\beta}} \cdot K^{\frac{\alpha}{\beta}}} &= a_k \cdot K \\ w_l \cdot Y^{\frac{1}{\beta}} &= a_k \cdot A^{\frac{1}{\beta}} \cdot K^{\frac{\alpha+1}{\beta}} = a_k \cdot A^{\frac{1}{\beta}} \cdot K^{\frac{\alpha+1}{\beta}} = a_k \cdot A^{\frac{1}{\beta}} \cdot K^{\frac{1}{\beta}} \end{aligned}$$

გამოვაცალებელოთ საძიებელი ცვლადი თავისი ხარისხით:


$$\begin{aligned} K^{\frac{1}{\beta}} &= \frac{w_l \cdot Y^{\frac{1}{\beta}}}{a_k \cdot A^{\frac{1}{\beta}}} = \frac{w_l}{a_k} \cdot \left( \frac{Y}{A} \right)^{\frac{1}{\beta}} \\ \text{ე. ი. მიიღება, რომ: } K^{\frac{1}{\beta}} &= \frac{w_l}{a_k} \cdot \left( \frac{Y}{A} \right)^{\frac{1}{\beta}} \end{aligned}$$

თუ ტოლობის ორივე მხარეს აგებენთ  $\beta$  ხარისხში, მივიღებთ, რომ ძირითადი საწარმოო კაპიტალის ოპტიმალური სიდიდე შემდეგი მარტივი ფორმულით განისაზღვრება:

$$K^* = \left( \frac{w_l}{a_k} \right)^\beta \cdot \frac{Y}{A} \quad (8)$$

ამოცანის მიზნის ფუნქციის შესაბამისად კაპიტალის ზრდის პირობებში წარმოების ფაქტორთა ერთობლივი მიმდინარე ხარჯების ცვლილების დინამიკა ნაჩვენებია მე-5 გრაფიკზე, საიდანც ჩანს, რომ მხოლოდ კაპიტალის ოპტიმალური დონე (ცხადია, რომ ამავე პირობებში ოპტიმალური უნდა იყოს დასაქმებულთა რაოდენობაც) უზრუნველყოფს წარმოების ფაქტორთა ერთობლივ მინიმალურ ხარჯებს.

**გრაფიკი 5. წარმოების ფაქტორთა ერთობლივი ხარჯების ცვლილება კაპიტალის ზრდის პირობებში**



წარმოების ფაქტორთა ოპტიმალური კომბინაცია და მისი ინტერეტაცია. გამოთვლის შედეგების შესაბამისად, წარმოების ფაქტორთა ისეთი საუკეთესო კომბინაცია, რომელიც მათი მინიმალური დანახარჯების პირობებში წინასწარ განსაზღვრული შედეგის მიღებას უზრუნველყოფს, ამ ფაქტორთა ოპტიმალური მნიშვნელობების შეფარდებით გამოთვლება:

$$\frac{K^*}{L^*} = \frac{\left(\frac{w_l}{a_k}\right)^\beta \cdot \frac{Y}{A}}{\left(\frac{a_k}{w_l}\right)^\alpha \cdot \frac{Y}{A}} = \frac{w_l^\beta \cdot w_l^\alpha}{a_k^\beta \cdot a_k^\alpha} = \frac{w_l}{a_k}$$

ამდენად, წარმოების ფაქტორთა ოპტიმალური თანაფარდობა შედეგი მარტივი ფორმულით განისაზღვრება:

$$\varphi^* = \frac{K^*}{L^*} = \frac{w_l}{a_k}, \quad (9)$$

სადაც,  $a_k$  არის ამორტიზაციის საშუალო წლიური ნორმა;

$W_l$  – სამრეწველო-საწარმოო პერსონალის საშუალო წლიური ხელფასი.

ეს იმას ნიშნავს, რომ:

ფირმაში წარმოების ფაქტორების – კაპიტალისა და შრომის ოპტიმალური კომბინაცია მიიღწევა მაშინ, როდესაც კაპიტალი ისე შეეფარდება შრომას, როგორც ერთი მომუშავის საშუალო წლიური ხელფასი ამორტიზაციის საშუალო წლიურ ნორმას.

გამოყლის შედეგების შესაბამისად წარმოების ფაქტორთა მინიმალური მიმდინარე დანახარჯები იქნება:

$$\begin{aligned} C_{KL} &= a_k \cdot \left( \frac{w}{a_k} \right)^\beta \cdot \frac{Y}{A} + \\ w_l \cdot \left( \frac{a_k}{w_l} \right)^\alpha \cdot \frac{Y}{A} &= \frac{Y}{A} \left[ a_k \cdot \left( \frac{w_l}{a_k} \right)^\beta + w_l \cdot \left( \frac{a_k}{w_l} \right)^\alpha \right] = \\ &= \frac{2 a_k^\alpha w_l^\beta Y}{A} = \min \end{aligned}$$

ამრიგად, მიიღება, რომ წარმოების ფაქტორთა ოპტიმალური კომბინაციის პირობებში საქონლის მაქსიმალური ფიქსირებული მოცულობის საწარმოებლად საჭირო კაპიტალისა და შრომის მინიმალური მიმდინარე დანახარჯები შეადგენს:

$$C_{KL}^* = \frac{2 \cdot a_k^\alpha \cdot w_l^\beta \cdot Y}{A} = \min \quad (10)$$

წარმოების ფაქტორთა ოპტიმალური კომბინაციის (9) მაჩვენებელს სხვა ეკონომიკური შინაარსიც გააჩნია. იგი, ერთი მხრივ, შრომის ოპტიმალურ კაპიტალშეიარაღებას განსაზღვრავს, ხოლო მეორე მხრივ, გვიჩვენებს ინვესტიციებს ოპტიმალურ მოცულობას, რომელიც საჭიროა ბიზნესის მოცემულ დარგში ერთი სამუშაო აღილის შესაქმნელად. აღნიშნულის გარდა, რამდენადაც წინასწარ განსაზღვრული საქონლის წარმოების მაქსიმალური მოცულობა წარმოების ფაქტორთა

მინიმალური დანახარჯების პირობებში მიიღწევა, ბუნებრივია, მათი ოპტიმალური კომბინაცია, სხვა თანაბარ პირობებში, მაქსიმალური მოგების შიდებასაც უზრუნველყოფს.

ნაშრომის ავტორის მიერ დამუშავებული წარმოების ფაქტორთა ოპტიმალური პარამეტრების გამოსათვლელი საბოლოო შედეგობრივი ფორმულები საჭმაოდ მარტივია, ხოლო შესაბამისი გაანგარიშებებისათვის საჭირო ინფორმაცია ადვილად მოსაპოვებელი. ამის გამო, შემოთავაზებული მეორების გამოყენება ბიზნესის პრაქტიკაში რაიმე სირთულეს არ წარმოადგენს.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. ი. ანანიაშვილი. ეკონომეტრიკა. თბილისი. 2008.
2. ნ. ბ. ბარკალოვი. საწარმოო ფუნქციები ეკონომიკური ზრდის მოდელებში (რუსულ ენაზე). მოსკოვი, 1981.
3. დ. ნატროშვილი, ლ. გიორგაშვილი, გ. ჯაშიაშვილი. მათემატიკა ეკონომისტებისათვის. თბილისი, 2008.
4. ეკონომიკური თეორიის კურსი. მ. ჩეპურინის რედაქციით (რუსულ ენაზე). კიროვი, 1995.
5. ლ. ნ. კოვალევა. მრავალფაკტორული პროგნოზირება დინამიურ მწერივთა საფუძველზე (რუსულ ენაზე). მოსკოვი, 1980.
6. კ. დ. ლიუჟისი. ეკონომიკურ მაჩვენებელთა პროგნოზირების მეთოდები (თარგმანი ინგლისურიდან რუსულ ენაზე). მოსკოვი, 1986.
7. რიმლერი. განვითარების ანალიზის ეკონომეტრიკული მეთოდები (თარგმანი უნგრულიდან რუსულ ენაზე). მოსკოვი, 1979.
8. ა. სისვაძე. ეკონომიკური თეორია: მიკროეკონომიკა, მაკროეკონომიკა, მეგაეკონომიკა, ნაწილი I. თბილისი, 2010.
9. ლ. ლ. ტერეხოვი. საწარმოო ფუნქციები (რუსულ ენაზე). მოსკოვი, 1974.
10. ე. მ. ჩეტირკინი. პროგნოზირების სტატისტიკური მეთოდები (რუსულ ენაზე). მოსკოვი, 1977.
11. ტ. შატელეხი. თანამედროვე ეკონომეტრიკული მეთოდები (თარგმანი რუმინულიდან რუსულ ენაზე). მოსკოვი, 1975.

*Aziko Sisvadze*

## **OPTIMAL COMBINATION OF PRODUCTION FACTORS: THEORETICAL-METHODOLOGICAL ASPECT**

### **Annotation**

On the basis of Cobb-Douglas production function the article analyses a new efficient method of definition of an optimal combination of labor and capital providing maximum output of production in the conditions of minimum expenditures.

The privilege of the method is the simplicity of final formulation and low labor-intensity of practical calculation. Thus, its use in practical business is quite possible. Besides, the index of optimal combination of production factor reflects optimal capital-equipment of labor and at the same time shows optimal volume of investments, necessary for the creation of one working place in the given sector of business.

### **გიორგი ბრუებაძე სამშენებლო კომპალექსის პროგრესული დარგობრივი სტრუქტურის ვორმირების საპითხები**

საქართველოში მშენებლობა ერთ-ერთი სწრაფად მზარდი დარგია, იგი სტაბილურად და დინამიურად ვითარდება. მიუხედავად ზოგიერთი შეფერხებისა, მშენებლობა მაინც გრძელდება და ისიც მაღალი ტემპით. მშენებლობის სექტორის წლილი მშპ-ში %-ობით 2012წ. 7,3 პროცენტია. ამ სფეროში დასაქმებულია 45611 კაცი, რომელთა საშუალო თვიური ხელფასი 1076,8 ლარია.

უნდა აღინიშნოს, რომ მშენებლობა უფრო ფართო ცნებაა. იგი მოიცავს არა მარტო ბინამდებლობას, სადაც 2008 წლიდან მცირე ჩავარდნა იყო, არამედ – გზების, ხიდების, წყალსამაგრ სამუშაოებს, საწარმოებისა და ფირმების, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტების, პიდროველექტროსადგურების და სხვა ობიექტების მშენებლობას, ადგენარესტაციას და ა.შ.

ბევრი ახალი შენობა და ნაგებობა აშენდა ბოლო წლებში საქართველოში, მაგრამ კიდევ უფრო მეტი აშენდება მომავალში. ბევრი ახალი სახლი, ფირმა, ქარხანა, ელექტროსადგური გვჭირდება ჩვენ. ამიტომ, რაც შეიძლება სწრაფად უნდა მიმდინარეობდეს მშენებლობა. თუ ადრე ჩვეულებრივი სახლის მშენებლობას 2-3 წელი უნდებოდნენ, ქარხნის აშენებას კი 10,

ახლა ეს ტემპები შემცირებულია. ეს შესაძლებელი გახდა ახალი ტექნოლოგიებისა და ახალი მასალების გამოყენებით, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ შენობა-ნაგებობები უნდა აშენდეს მკვიდრად და უნდა იყოს სეისმომედვეგი, რომ დიდხანს გაძლოს და, რაც მთავარია, უნდა აიგოს იაფად. ამის საშუალებას კი იძღვვა ის ახალი ტექნოლოგიები და ის სამშენებლო მასალები, რომლებიც დღეს მზადდება საქართველოში ან შემოდის საზღვარგარეთიდან. მშენებლობის განვითარებასთან ერთად გაიზარდა სამშენებლო მასალების წარმოება და იმპორტი. ბევრი მასალა მზადდება ადგილობრივად, მაგალითად ბლოკი, ცემენტი, გაჯი, აგური, კრამიტი, ხის თუ მეტალობლასტიკის კარ-ფანჯრები, რკინის ნაკეთობები, მაგრამ ბევრი ახალი თანამედროვე მასალა შემოდის საზღვარგარეთიდან. ეს ეხება განსაკუთრებით ლაქ-საღებავებს, ელექტრო-საკაბულო და სხვა მასალებს. ასევე შემოდის უცხოეთიდან თანამედროვე სამშენებლო ტექნიკა, რომელიც დიდ გავლენას ახდენს მშენებლობის ტემპებსა და ხარისხზე.

საქართველოში მშენებლობას ახორციელებს მრავალი კერძო სამშენებლო კომპანია. მაგრამ, საქართველოსთვის სპონსორია ის, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან რეგიონული ინფრასტრუქტურის კეთილმოწოდებასა და აღდგენა-რესტავრაციაზე ძალზე დიდი თანხები გამოიყოფა, 900 მილიონზე მეტი. მშენებლობას ახორციელებენ ტენდერებში გამარჯვებული კერძო კომპანიები.

მშენებლობის ზედამხედველობისა და კოორდინაციის მიზნით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ, ადრე არსებული ურბანიზაციისა და მშენებლობის დეპარტამენტის მაგივრად შეიქმნა სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტი. ამ დეპარტამენტის ამოცანებში შედის:

სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო საქმიანობის სფეროში პოლიტიკის შემუშავება, გატარება, კოორდინაცია, მართვა და მონიტორინგის განხორციელება.

სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო საქმიანობის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის, მათ შორის, ტექნიკური რეგულირებისა და სტანდარტების შემუშავების ინიცირება, ორგანიზება, ანალიზი, დანერგვა და შესრულების მონიტორინგი.

ტრანსასაზღვრო, ქვეყნის, რეგიონული და ადგილობრივი დინების სივრცითი დაგეგმარების მარეგულირებელი დოკუმენ-

ტექნიკური მომსახურების ინიციატივით, მომსახურების მომსახურების მონიტორინგი.

ქვეყნის შიდა ტერიტორიის ფიზიკური განვითარებისა და სივრცითი დაგეგმარების მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი სტრატეგიების განსაზღვრა.

სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო საქმიანობის სფეროში საერთაშორისო, სახელმწიფო და რეგიონული პროგრამების განხორციელებაში მონაწილეობა.

სახელმწიფო, აგრძნომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ოკითმმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობა, სამშენებლო და სივრცითი დაგეგმარების კუთხით პროგრამებისა და პროექტების ინიციატივა, შემუშავება, კოორდინაცია, მონიტორინგი და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

სარეკრიაციო ტერიტორიებზე და განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონებში მინათსარგებლობის გენერალური გეგმებისა და მშენებლობის რეგულირების გეგმების შემუშავების ორგანიზება და შეთანხმება.

სარეკრეაციო ტერიტორიებზე მშენებლობის ნებართვის გაცემის ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მიღება.

ქვეყნის მასშტაბით მიწის მართვის პოლიტიკის განხორციელების პროცესში მონაწილეობის მიღება კომპეტენციის ფარგლებში. სივრცითი დაგეგმარების ამოცანების განსახორციელებლად მეთოდოლოგიის შემუშავება დაპარტიკულარიზაციის ან მასთან შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ და ადგილურბრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის ხელშეწყობა დამგეგმარებელი ჯგუფების ჩამოყალიბებაში, მათი კოორდინაცია და შესასრულებელი სამუშაოების მონიტორინგი.

ქვეყნის მასშტაბით სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტების განვითარების წლიური ანგარიშის მომზადება და გამოქვეყნება.

საცხოვრისის მდგრამარებობის გაუმჯობესების მიზნით, სათანადო კვლევების საფუძველზე, წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

საცხოვრისი სექტორის მახასიათებლების შედგენა, სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო საქმიანობის სფეროში პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში საზოგადოებისა და ბიზნესის სექტორის ჩართულობის უზრუნველყოფა.

სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო საქმიანობის სფეროში საგანმანათლებლო, მათ შორის სპეციალისტების

გადამზადების პროცესის ხელშეწყობა და ამ სფეროს სპეციალისტების პროფესიული კვალიფიკაციის რეგულირებაში მონაწილეობა.

განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის პროექტების სავალდებულო ექსპერტიზის ჩატარებისათვის სპეციალისტების კანდიდატურების განხილვა, შეთანხმება, ექსპერტთა ერთიანი რეესტრის წარმოება და მისი საჯაროობის უზრუნველყოფა.

სამშენებლო საქმიანობის სფეროში თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით ახალი ტექნილოგიების, საშენი მასალების წარმოების განვითარებისა და დანერგვის ხელშეწყობა.

ქვეყნის მასშტაბით სამშენებლო სფეროს განვითარების მონაცემთა ბაზის წარმოება, წლიური ანგარიშების მომზადება.

სამშენებლო სფეროში საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, შეხვედრების, სემინარების, კონფერენციების ორგანიზება და გამოცდილების დანერგვა.

სამშენებლო სექტორის განვითარების უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა ქვეყნის ტერიტორიის სივრცითი დაგეგმარების, სამშენებლო საქმიანობისა და მათ განხორციელებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება.

სამშენებლო საქმიანობის მარეგულირებელი კანონდებულობის სრულყოფის მიზნით შემუშავდა „სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ პროექტი, რომლის მიზანია საქართველოს ტერიტორიაზე სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგება ერთიანი პრინციპებისა და მირითადი დებულებების საფუძველზე. „კოდექსი“ დაარეგულირებს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე საერთო დაგეგმარებასთან, სამშენებლო საქმიანობასთან და მათ განხორციელებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს. „კოდექსის“ პროექტი უახლოეს მომავალში წარედგინება განსახილველად საქართველოს მთავრობას.

სამშენებლო საქმიანობის ტექნიკური რეგულირების მიზნით სამინისტროსა და USAIB-ის EPI-ის პროექტის მიერ ქართულ ენაზე ითარგმნა საერთაშორისო სამშენებლო კოდი (IBC). სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტი ახორციელებს „ევროკოდების“-ს (ევროპის სამშენებლო სტანდარტების ერთიანი სისტემა) თარგმნას,

ითარგმნა ევროკოდი 2 (ბეტონის კონსტრუქციების დაპროექტება) და ევროკოდი 8 (სეისმომედუმ კონსტრუქციების დაპროექტება).

სამშენებლო საქმიანობის ტექნიკური რეგულირების მოწესრიგების მიზნით მიმდინარეობს საერთაშორისო სამშენებლო კოდების – ტექნიკური რეგლამენტაციებისა და სტანდარტების შესწავლა, მათი ანალიზი, რაც საშუალებას მოგვცემს საუკეთესო მსოფლიო პრაქტიკის გამოცდილების გათვალისწინებით და მათი საქართველოს პირობებთან ადაპტაციის შემდგომ, შემუშავდეს ეროვნული სამშენებლო წესები.

დამყარებულია მტიდრო კონტაქტები და მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობა USAID-ის EPI-ის პროექტთან G12-ის სამხრეთ კავკასიაში სამართლისა და იუსტიციის რეფორმის პროექტთან, გაეროს ევროპული ეკონომიკური კომისიის განსაზღვრისა და მიწის მართვის კომიტეტთან, გაეროს პაბიტარის პროგრამასთან, მსოფლიო ბანკთან.

სამინისტრო ასევე მიზნად ისახავს თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებისა და დანერგვის სელშეწყობას მშენებლობის უსაფრთხოების და ენერგოეფექტურობის მიმართულებით.

ბოლო ხანებში საქართველოში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ძალზე სწრაფად ვითარდება მშენებლობის ის სფეროები, როგორიცაა გზების, ხიდების, რკინიგზების, აეროპორტების, გველი შენობა-ანაგებობების რესტავრაცია. ამის გარდა, დიდი თანხები იხარჯება რეგიონულ ინფრასტრუქტურულ პროექტებში.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2013 წელს გამოყოფილი აქვს 901 მილიონი ლარი.

სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით, მიმდინარე წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, საგაზეთო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე დაიხარჯა 64814793,2 ლარი, რაც 115%-ით მეტია გასული წლის შესაბამის მაჩვენებელზე. ასევე მზარდი მაჩვენებელია დაფიქსირებული გზების მოვლა-შენახვაზე. აქ 65,7% არის გადაჭარბება შარშანდელთან შედარებით.

ინტენსიურად მიმდინარეობს ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობა. ამ ეტაპზე სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამ მონაკვეთზე. პირველი კვარტლის მონაცემებით, ავტომაგისტრალის მშენებლობის მიმართულებით დაფი-

ნანსებულია 170%-ით მეტი ღირებულების სამუშაო, ვიდრე გა-სულ წელს ამავე პერიოდში.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გზების მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის გამოცხადდა 65 ტენდერი საერთო ღირებულებით 54 მლნ ლარი.

გარდა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ბიუჯეტისა, რომლითაც სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები ხორციელდება, საქართველოს მუნიციპალიტეტები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დამატებით მიღებენ თანხებს იმისათვის, რომ ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემები მოგვარდეს. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 643 პროექტი დაფინანსდება, ხოლო პროექტების ჯამური ოდენობა 200 მლნ ლარამდე.

ფონდიდან გამოყოფილი თანხის დიდი ნაწილი მუნიციპალური გზების რეაბილიტაციას მოხმარდება, ამისთვის გამოიყოფა 114 მლნ ლარამდე და ამ თანხით საქართველოს მასშტაბით 277 პროექტი დაფინანსდება. ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის გამოყოფილია 10 მლნ ლარზე მეტი, რითაც 56 პროექტი განსახორციელდება, ხიდების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 11 მლნ 500 ათასი ლარამდე და დაფინანსდება 38 პროექტი. წელისა და კანალიზაციის მოწესრიგებისათვის დაიხარჯება 40 მლნ ლარამდე და დაფინანსდება 215 პროექტი. სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებზე გამოყოფილია 25 მლნ ლარი და დაფინანსდება 57 პროექტი.

დაგეგმილია მესტიაში წელის გამწმენდი ნაგებობის, რეზერვუარის და დისტრიბუციის ქსელის მშენებლობა. პროექტი, სავარაუდოდ, 2015 წელს დასრულდება.

ევროპის საინვესტიციო ბანკის პროექტის მიხედვით, 28 მუნიციპალიტეტში დაგეგმილია წყალმომარაგების სისტემების გაუმჯობესების პროექტები. ეს ქალაქებია: აბაშა, სენაკი, ხობი, ოზურგეთი, ონი, ბაღდათი, ჭიათურა, ზესტაფონი, თერჯოლა, ტყიბული, ქარელი, ხაშური, დუშეთი, ლიქანი, წალკერი, ასპინძა, ახალციხე, გურჯაანი, სიღნაღი, ახმეტა, ყვარელი, ლაგოდეხი, საგარეჯო, თელავი-კურდლელაური, წნორი, წალკა, ბოლნისი, თეთრიწყარო;

ახალი სამგორის დასახლებაში სართიჭალის სათავე ნაგებობიდან მიმავალი მაგისტრალის რეაბილიტაცია;

- ქ. ზესტაფონში ცენტრალური კანალიზაციის კოლექტორის რეაბილიტაცია;

- ქ. დუშეთში „სანახშირის“ სათავე ნაგებობაზე ახალი პორიზონტალური დრენაჟის მოწყობა;
- ქ. ახალციხეში კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაცია და ურაველის სათავე ნაგებობის საქლორატორო სადგურის მოწყობა;
- ქ. მარნეულის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია, ცენტრალური სადაწწერი მაგისტრალური მილისა და შიდასაქალაქო გამანაწილებელი ქსელის რეაბილიტაცია;
- ქ. ოზურგეთში მდ. ბეჟუის კალაპოტში დაბრუნების მიზნით წყალსადენის დრენაჟისა და მაგისტრალური წყალმდენის ნაპირდაცვითი სამუშაოები;
- ქ. თელავში მდ. თურდოს კალაპოტისა და მაგისტრალური მილსადენის დამატებითი ნაპირდაცვითი სამუშაოები;
- ქ. ქუთაისში ფარცხენაყანების სათავეზე არსებული 800მ<sup>3</sup> და 300მ<sup>3</sup>-იან წყალშემკრებ სალექარებში ფილტრაციის საწინააღმდეგო სამუშაოები;
- ქ. სენაკში ნოსირის სათავე ნაგებობის საქლორატორო სადგურისა და ჭ=500მ<sup>3</sup> რეზერვუარის რეაბილიტაცია.
- ქ. წყალტუბოში სათავე ნაგებობიდან ახალი ქსელის მოწყობა სოფელ მაღლაკის მოსახლეობისათვის;
- თიანეთის მუნიციპალიტეტში შიგა გამანაწილებელი ქსელების რეაბილიტაცია;
- ქ. ხონში, ქ. სამტრედიაში, ქ. ჩხოროწყუში, ქ. ამბროლაურში, ქ. თანეთში სათავე ნაგებობების საქლორატორო სადგურების რეაბილიტაცია;
- ქ. ყაზბეგში სათავე ნაგებობის, ცენტრალური სადაწწერი მილსადენისა და შიგა გამანაწილებელი ქსელების რეაბილიტაცია;
- ქ. გორში ვარიანის სათავე ნაგებობიდან მომავალი ცენტრალური მაგისტრალის ამორტიზებული მონაკვეთის რეაბილიტაცია ("ვერხებების" ლტოლვილთა დასახლება);
- დაბა ფასანაურში წყალმომარაგების ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- სოფელ ნუკრიანში ჭაბურღილის მოწყობა;
- ხაშურის მუნიციპალიტეტის ცხრამუხის სასმელი წყლის სათავე ნაგებობის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია;
- შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ბაკურიანის სერვისცენტრის ოფისის მშენებლობა;

- შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ სამეცნიერო-ზემო სეანეთის რეგიონული ფილიალისა და ფოთის სერვისცენტრის სათავო ოფისის მშენებლობა;

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაიოტურში პატიმრებისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებამდე მისაყვანი წყალსადენისა და წყალარინების სისტემის სამშენებლო სამუშაოები;

- ქ. ლაგოდექში შრომის ხევში ნაპირდაცვითი სამუშაოები;

- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მდინარე ორაგვის დელის წყალმიმდების ნაგებობის რეაბილიტაცია;

- ქუთაისში მიმდინარეობს ორი სატუმბო სადგურის რეაბილიტაცია; 4 ახალი რეზერვუარის მშენებლობა (15000 მ<sup>3</sup>). გადამცემი მაგისტრალური მილსადენის და სადისტრიბუციო ქსელის მშენებლობა 52 კმ; 40000 ცალი მრიცხველის მონტაჟი. პროექტი დასრულდება 2016 წელს.

#### ცოთი:

მიმდინარეობს ნაბადაში ახალი სატუმბო სადგურის მშენებლობა 14 ტუმბოთი, საერთო სიმძლავრით 3,703 მ<sup>3</sup>/სთ; ახალი მართვულთხა ფორმის რეზერვუარის (53,000 მ<sup>3</sup>) მშენებლობა ნაბადას ტერიტორიის აღმოსავლეთით; 3,380 მ<sup>3</sup>/სთ სიმძლავრის ახალი ტუმბოების და 22 კმ მილების მონტაჟი; ახალი წყლის გამწმენდი ნაგებობის (სიმძლავრე 20.75 მლნ/დღე) პროექტირება, მშენებლობა და ექსპლუატაციაში გაშვება, პერსონალის ტრენინგი. პროექტი დასრულდება 2016 წელს.

ანაკლიაში პროექტით დაგეგმილია 8 000მ სიმძლავრის რეზერვუარის მშენებლობა დარჩელში, ახალი სატუმბო სადგურის მშენებლობა საერთო სიღილით 348 მ<sup>3</sup>/ჰ, გადამცემი მაგისტრალური ხაზის მშენებლობა ორი ჭაბურღლილიდან (კახათის და ინგირის) ახალ რეზერვუარამდე დარჩელში, რომლის სიგრძეც არის დაახლოებით 14 კმ. ასევე დარჩელის რეზერვუარიდან განმუხურის და ანაკლიას ქსელებამდე დაახლოებით 8 კმ მილმდენის მშენებლობა; ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა. პროექტი სავარაუდოდ დასრულდება 2015 წელს.

პროექტი ანაკლია ითვალისწინებს 122 კმ წყალსადენის და წყალარინების ქსელის მოწყობას. 650 ინდივიდუალური მრიცხველის მოწყობას, 40 კანალიზაციის გადამქანი სადგურის მშენებლობას.

პროექტი მესტია ითვალისწინებს წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელის რეაბილიტაციას. პროექტი 2013 წლის ოქტომბრის თვეში დასრულდება.

ეკონომიკის საინვესტიციო ბანკის მიერ განხორციელებული პროექტი ლანჩხუთში ითვალისწინებს ლაშისღელები დრენაჟის შეცვლას, 500მ<sup>3</sup> რეზერვუარის საშიბერო საკანის შეკეთებას. მიღსადენის და ჩამკეტი არმატურის შეცვლას, საქლორატოროს მოწყობას, ხარჯმზომების დაყენებას, სანიტარული დობის მოწყობას 467გ/მ. ორაგვის დელის სათავეზე რეზერვუარის საშიბერო საკნის შეკეთებას. მიღსადენის და ჩამკეტი არმატურის შეცვლას, არსებულ საქლორატოროში აქტივიზებული მარილით საქლორატოროს მოწყობას. სანიტარული დობის მოწყობას 185გ/მ. სადაწნეო ქსელის შეცვლას დ=200მმ სიგრძით 1350გ. ქ. ლანჩხუთში გამანაწილებელი ქსელის შეცვლას 47,

პროექტი სართიჭალა ითვალისწინებს გამანაწილებელი ქსელის მოწყობას სიგრძით 33გმ, 2 სატუმბო სადგურის მოწყობას 2-2 ტურბო აგრეგატით, საქლორატოროს და 1000გ<sup>3</sup> ტევადობის რეზერვუარის კაპიტალურ შეკეთებას, სკადას სისტემის მონტაჟს, დრენაჟის 350გ/მ 50ლ/წ და გაბიონების მოწყობას.

პროექტი წალენჯიხა ითვალისწინებს სათავიდან დ=219მმ ფოლადის მიღის შეცვლას სიგრძით 5გმ, გამანაწილებელი ქსელის შეცვლას 11,125გ. 270 ინდივიდუალური მრიცხველის მონტაჟს, საქლორატოროს კაპიტალური მიღის მონტაჟი.

პროექტი ზესტაფონი ითვალისწინებს "ხოხოულას" სათავე ნაგებობების რეაბილიტაციას, გამანაწილებელი ქსელების რეაბილიტაციას, "ზაპოროგიეს" ქუჩაზე არსებული სატუმბის რეაბილიტაციას და სადაწნეო მიღის შეცვლას

პროექტი ბაღდათი ითვალისწინებს გამწმენდი ნაგებობების შენებლობას, სალექარის რემონტს, საქლორატოროს რემონტს, 50გ<sup>3</sup> რეზერვუარის მშენებლობას, საყარაულო ჯიხურის რემონტს, ინდივიდუალური მრიცხველის მონტაჟს-750ც.

პროექტი ტყიდული ითვალისწინებს გამანაწილებელი ქსელების რეაბილიტაციას 2,5 კმ, გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაციას, 250გ<sup>3</sup> და 2000გ<sup>3</sup> რეზერვუარების რეაბილიტაციას და სკადას სისტემის დანერგვას.

პროექტი მარტვილი ითვალისწინებს სათავიდან ქალაქის ქსელადგ პოლიეთოლენის მიღის შეცვლას დ=200მმ 7700გ, საქლორატოროს რეაბილიტაციას, პოლიეთოლენის მიღის მონტაჟს სოფელ სერგიეთში 2400გ, საყარაულო ჯიხურის, 12 მრავალსართულიანი სახლის გამრიცხველიანებას.

პროექტი ჭიათურა ითვალისწინებს 150მ<sup>3</sup> რეზერვუარის მშენებლობას, "ლეგუბინის" სატუმბოში 3 აგრეგატის შეძენას და მონტაჟს, "თირის" სატუმბოში 2 ტუმბო აგრეგატის შეძენა-მონტაჟს, თირში საქლორატოროს მშენებლობას და წყალსაღენის ქსელის მოწყობას სიგრძით 7,8კმ.

პროექტი ასპინდა ითვალისწინებს 300მ<sup>3</sup> ტევადობის რეზერვუარის მშენებლობას, სათავე ნაგებობის მოწყობას, დ=200მმ 15კმ სიგრძის ფოლადის სადაწწევ მილსადენის და 6კმ სხვადასხვა დიამეტრის პოლიეთოლენის მილების მოწყობას.

პროექტი ქარელი ითვალისწინებს შიდა გამანაწილებელი ქსელის მოწყობას სიგრძით 32კმ და 1000ც ინდივიდუალური მრიცხველის მონტაჟს.

პროექტი ოზურგეთი ითვალისწინებს ფოლადის მილის ჩადებას კ. მეგრელიძის ქ. დ=219მმ 2200მ, პოლიეთოლენის მილის ჩადებას ლესელიძის ქ. დ=160მმ 410მ, I სატუმბოში უნდა დამონტაჟდეს 3 ახალი ტუმბო, II-ში 2 ახალი ტუმბო, საქლორატოროს რეაბილიტაციას.

პროექტი ჩოხატაური ითვალისწინებს 30 კმ გამანაწილებელი ქსელის მონტაჟს, სალექარის და სატუმბი სადგურის მშენებლობას.

პროექტი ითვალისწინებს წყალსაღენის ქსელის მოწყობას სიგრძით 14,4კმ, კანალიზაციის სისტემის მოწყობას, 25000 მ<sup>3</sup> რეზერვუარების რემონტს და 2ც. ტუმბო აგრეგატის შეძენას, "მიწაწითელას" სათავე ნაგებობის სრულ რეაბილიტაციას, სკადას სისტემის მონტაჟს, ხომულის ზონის წყალსაღენის ქსელის რეაბილიტაციას "გოზდაჩიდან" "ყაზბეგის" რეზერვუარამდე დ=35მმ პოლიეთოლენის მილის შეცვლას სიგრძით 2570მ.

პროექტი სურამი ითვალისწინებს ახალი სათავე ნაგებობის და სატუმბოს აშენებას სოფ. ცხრამუხას ტერიტორიაზე, შიდა გამანაწილებელი ქსელის მშენებლობას საერთო სიგრძით 32კმ, მაგისტრალური ქსელი დ=273მმ ფოლადის მილით სიგრძით 8600გ/მ, აშენებას, 2ც. 1000მ<sup>3</sup> ტევადობის რეზერვუარის და თანამედროვე ტიპის საქლორატოროს მშენებლობას.

პროექტი კასპი ითვალისწინებს შიდა გამანაწილებელი ქსელის მოწყობას სიგრძით 52კმ, 3000მ<sup>3</sup> რეზერვუარის კაპ. რემონტს, 1000მ<sup>3</sup> ახალი რეზერვუარის მშენებლობას, ახალი სატუმბოს შენობის შეკეთებას, დანადგარების შეცვლას და საქლორატოროს რეაბილიტაციას, სკადას სისტემის მონტაჟს, 2000ც ინდივიდუალური მრიცხველის მონტაჟს.

სასურველი იქნებოდა თუ სახელმწიფო და თბილისის  
მერია გააგრძელებდა თბილისის ოკუპაციის გეგმას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მშენებლობის ვადების დაცვას, ვინაიდან მისი დაუცველობა იწვევს სამშენებლო კომპანიების ნდობის დაკარგვას მოსახლეობის მხრივ, რაც გამოიწვევს მოთხოვნილების დაცვას ბინათმშენებლობაში.

ასევე სასურველია, ახალი ტექნოლოგიების გამოყენების ხარჯზე, მშენებლობაში სეზონურობის დაძლევა, რაც უფრო მეტი ხალხის დასაქმების საშუალებას მისცემს სამშენებლო კომპანიებს მთელი წლის განმავლობაში.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მონაცემები 2013 წ.
2. ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს მონაცემები 2013 წ.
3. გ. ბრეგვაძე – თსუ. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული IV; V.
4. გ. ბრეგვაძე. სამშენებლო სექტორის ფორმირების საკითხი. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული 2013, გვ. 404.

*George Bregvadze*

## **THE ISSUES OF FORMATION OF PROGRESSIVE BRANCH STRUCTURE OF CONSTRUCTION COMPLEX**

### **Annotation**

This work analyzes the questions of progressive branch structure formation in the construction sector. Are analyzed new approaches and problems in this sector.

**მარინა ჩავლეთშვილი  
მარიამ ლუკაშვილი  
ნინო კოგზირიძე  
ბიოგაზის გამოყენების პოტენციალი საქართველოში**

თანამედროვე მსოფლიოში დიდი პოპულარობით სარგებლობებს აღმართავს ენერგიული ენერგიის რესურსების ათვისება და განვითარება. ბიოლოგიური რესურსებით შესაძლებელია მივიღოთ განახლებადი ენერგია გარემოსათვის ნაკლებად უსაფრთხო საშუალებებით. მსოფლიოში განვითარებულმა პროცესებმა, კერძოდ გლობალურმა მცოდნებით მდგომარეობამ და ენერგიის წყაროების ამოწურვადობის საშიშროებამ მიგვიყვანა მანამდე უკვე არსებული საშუალებების ხელახლა წარმოჩენამდე.

სულ უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს ენერგიის არატრადიციული რესურსები: მზე, ქარი, ბიომასა, წყალი და ა.შ., რომელთა შორის აღსანიშნავია ბიომასა. იგი ერთ-ერთი ისეთი ენერგეტიკული რესურსია, რომელიც გამოიყენებოდა ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში და ხელმეორედ „აღმოჩენილია“ ჩვენს დროში. სწორედ, ბიომასა და მისი საშუალებით წარმოებული ბიოგაზია განხილული წინამდებარე ნაშრომში. ბიოგაზის ენერგია არის ნებისმიერ ორგანულ ნივთიერებაში: ფოთოლი, ბალაზი, პირტყევის ნარჩენები, ნეშომბალა. იგი წარმოიქმნება ბიომასაში მეთანის დუღილის შედეგად.

ბიოგაზის დანერგვა და გამოიყენება მეტად მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკისთვის. განსაკუთრებით, აგრარული სექტორის, კერძოდ, ხელს შეუწყობს სოფლად ცხოველების პირობების გაუმჯობესებას. ბიოგაზის წარმოებისათვის მრავალი ხელშემწყობი ფაქტორი არსებობს. ყველა-სათვის ცნობილია, რომ საქართველო მთავრორიანი ქვეყანაა და მესაქონლეობას მეტად განვითარების პოტენციალი აქვს. აქ მრავლად მოიპოვება განახლებადი ენერგიის წყარო – ბიომასა. მისი საშუალებით შესაძლებელია ბიოლოგიურად სუფთა ენერგიის წარმოება შედარებით ნაკლები დანახარჯებით. საქართველოში უფასო გაზის მიღება შეუძლია ნებისმიერ სოფლად მცხოვრებ ოჯახს, რომელსაც თუნდაც 2-3 სული საქონელი მაინც ჰყავს. ასევე ბიოგაზი გვეხმარება მოვაგვაროთ ნარჩენების გადამუშავებისა და განთავსების პროცესები. სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი დებულებები განაპირობებს ბიოგაზის წარმოების აქტუალობას საქართველოში.

**ბიოგაზის უპირატესობა.** სოფლის მეურნეობისათვის მნიშვნელოვანია სისუფთავის დაცვა და პიგიენური პირობების გაუმჯობესება, რასაც ხელს უწყობს ბიოდანადგარი. იგი ერთგვარი ბუნების დამცველია, რადგან ბიოდანადგარში ნადგურდება სხვადასხვა დაავადებების (ტიფი, ქოლერა) გამომწვევი ბატჩერიები. ეს ხელს უშლის მათ გავრცელებას. ასევე ოჯახს აღარ აწუხებს ბიომასის არასასიამოვნო სუნი და დაცულია გარემოში ვეპალური მასების გავრცელებისაგან, წყლის დაბინძურებისაგან და ა.შ. ბიოგაზის დანადგარი გარემოს ინტერესებსაც იცავს. მისი გამოყენებით მცირდება ტყის ჩეხვა, ნიადაგის ეროზია, მეწყერი და ა.შ. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, იგი ანელებს კლიმატის გლობალურ დათბობას, რადგან მისი წვისას მეთანი ბუნებაში კი არ იჭაბრება, არამედ მისი „დაჭერა“ და სურვილისამებრ გამოყენება ხდება.

ბიოგაზი ძირითადად სოფლის მეურნეობაში გამოიყენება, თუმცა საზღვარგარეთ მას იყენებენ ავტომობილებშიც. მაგ., “Volvo” და “Scania” აწარმოებენ ავტობუსებს, რომელთა ძრავები ბიოგაზის საწვავზე მუშაობები. ასეთი ავტობუსები ძირითადად შევიცარის ქალაქებში დადიან. საინტერესოა, რამდენადაა დანერგილი უცხოეთში ბიოგაზის წარმოება. ამ მხრივ გამოირჩევა ჩინეთი, სადაც სოფლის მეურნეობაში ენერგიაზე მოთხოვნის 30% ბიოგაზით ქმაყოფილდება. ინდოეთში დღეში 12-18 მდნ. მ³ ბიოგაზი იწარმოება. ბიოგაზის წარმოება წარმატებით ხორციელდება ნეაალში, ტაილანდში, კორეაში, ფილიპინებში, ისრაელში, თურქეთში, ავსტრალიაში, ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიასა და სხვა ქვეყნებში. არსებული მონაცემების თანახმად, ევროპაში მეფრინველების ფაბრიკების უმეტესობა სათბობად ბიოგაზს იყენებს.

**ბიოგაზი ქართულ რეალობაში და მისი ეპონომიკური შეფასება.** მნიშვნელოვანია გავეცნოთ საქართველოში ბიოგაზის წარმოების არსებულ მდგომარეობას. 1994 წლიდან აშენებულია 400-ზე მეტი ბიოდანადგარი 26-მდე რაიონში, კერძოდ: თერჯოლის, ხობის, ჩხოროწყვეს, წალენჯიხის, ზუგდიდის, ყაზბეგის, კასპის, მცხეთის, ლანჩხუთის და სხვა რაიონებში [2].

BP-სა და USAID-ის გამოთვლებით, მეცხოველეობისა და მეფრინველების ნარჩენების სრული ენერგეტიკული ღირებულება 6,9 მლრდ. კვტ/სთ-ის და 734 მლნ მ³ ბუნებრივი აირის გავივალენტურია [4]. ეს კი მიმდინარე პერიოდში საქართველოში იმპორტირებული ბუნებრივი აირის 36,8% შეადგენს (734

მლნ გვ/1933 მლნ გვ) [5]. ბიოგაზის წარმოების პოტენციალი საქართველოში შეგვიძლია განვიხილოთ კონკრეტული მაგალითის საფუძველზე. კონკრეტულად ანალიზი ჩავატარეთ მესაქონლეობის ფერმაში – „თელეთის სანაშენე მეურნეობა“. შევეცადეთ გამოგვეთვალა არსებული რაოდენობის პირობებში რა დანახარჯები ექნება ფერმას ბიოდანადგარის დამონტაჟებისათვის და რა არის მისი აღტერნატიული დანახარჯი. გამოთვლისათვის მხედველობაში მივიღეთ საქართველოში ბიოდანადგარების „მშენებელი კომპანიის „ბიოგნერგიის“ გამოცდილება და ვეწვიეთ თელეთის სანაშენე მეურნეობას, რომელთა დაყრდნობით წარმოვადგინეთ ანალიზი.

საქართველოში „თელეთის სანაშენე მეურნეობა“ ერთ-ერთი მსხვილი მესაქონლეობის ფერმაა. აქ 200-ზე მეტი სული საქონლი ჰყავთ. ფერმერის ინფორმაციით, დღეში საშუალოდ ერთი სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი 20 კგ ექსტრემენტებს გამოყოფს. ე.ი. დღიურად სულ - 4ტ (20\*200=4ტ) ნაკელის მიღებაა შესაძლებელი. მის გადასამუშავებლად საჭიროა 40ტ<sup>3</sup> მოცულობის ბიოდანადგარის აშენება [6], რომელიც დღეში 120-160 მ3 ბიოგაზს იძლევა. ეს 780-1040 კგტ/სთ ელექტროენერგიის ეკვივალენტურია. მიმდინარე მონაცემებით კი ფერმა დღეში საშუალოდ 152-190 კგტ/სთ ელექტროენერგიას მოიხმარს. ე.ი. ფერმას რჩება დამატებითი რესურსები, რომელიც შეუძლია გამოიყენოს საწარმოო პროცესის გაუმჯობესებისათვის, დაიწყოს პროდუქტის ასორტიმენტის გაფართოება. ასევე, შესაძლებელია ბიოდანადგარიდან მიღებული ბიოსასუქით ნაკლები დანახარჯებითა და გაზრდილი ეფექტიანობით მოყვანის საქონლისათვის საკვები მცენარეები; თავად გადაამუშაოს რძე და ბაზარს მიაწოდის არა ნედლეულის სახით, არამედ საბოლოო პროდუქტის, რმის პროდუქტის სახით; ან შესაძლოა ხორცპროდუქტების დამუშავებაც განხორციელდეს.

მნიშვნელოვანია აღტერნატიული დანახარჯი, კერძოდ, რისი დათმობა უწევს ფერმას ბიოდანადგარის დამონტაჟების შემთხვევაში. სანდო წყაროებზე დაყრდნობით, ელექტროენერგიაზე თელეთის ფერმის წლიური დანახარჯი საშუალოდ არის 9 600-12 000 ლარი. ბიოდანადგარის აშენება კი ჯამში 100 000 ლარი ჯდება და საშუალოდ 20 წლის განმავლობაში მუშაობს გამართულად. აქედან გამომდინარე, ბიოდანადგარის დამონტაჟების შემთხვევაში ფერმერს პირველი წლების

განმავლობაში დიდი ფიქსირებული და დაბალი ცვალებადი დანახარჯები ექნება, ხოლო ელექტროენერგიის შემთხვევაში – ყოველთვიურად მაღალი ცვალებადი დანახარჯები. დანადგარის დანახარჯს ფირმა გამოისყიდის 8-10 წელიწადში (100 000/9 600=8; 100 000/12 000=10). სანაცვლოდ, იგი მომდევნო წლის განმავლობაში ელექტროენერგიას 10-12 (20-10=10; 20-8=12) უფასოდ მიიღებს. ამასთან, ფერმერის რენტაბელობა იზრდება ბიოსასუქის მიდებით და ასევე სუფთა გარემოს შენარჩუნებით.

ქართული რეალობის პირობებში სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ბიოდანადგარების გავრცელებას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება, რადგან იგი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას უწევს ხელს. ბიოდანადგარი შეიძლება დაინერგოს მცირე საოჯახო მეურნეობებშიც. მაგალითად, ავიღოთ საშუალო ზომის 4-5 კაციანი ოჯახი, რომელსაც 5 სულამდე საქონელი ჰყავს. ამ შემთხვევაში უკეთესი იქნება 1 მ<sup>3</sup> მოცულობის მეზოფილური დანადგარის აშენება. 1მ<sup>3</sup> მოცულობის დანადგარიდან შესაძლებელია დღეში 1,3 მ<sup>3</sup> გაზის მიღება. გაანგარიშების თანახმად, 1 მ<sup>3</sup> ბიოგაზი 3,5 კგ შეშის ეკვივალენტურია [4] ე.ი. დღიურად 4,55 კგ შეშა ანაზღაურდება. გამომუშავებული ენერგიის გამოყენება შესაძლებელია როგორც ცხოველების და სახცოვრებლის გათბობაზე, ასევე სააბაზანოს ცხელი წყლისათვის ან ელექტროენერგიის მისაღებადაც. დანადგარის დამონტაჟების ღირებულება 1000 ლარია, რომლის გამოსყიდვა შესაძლოა მოხდეს 1 წელში [6] ექსპლუატაციის დანარჩენი პერიოდი კი, 10 წელი მაინც, უფასოდ ემსახურება საოჯახო ფერმას.

ბიოდანადგარი, ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების განვითარებას. მიღებული გაზი შეიძლება გამოყენებულ იქნეს სათბურებში ზამთარის განმავლობაში კიტრის, პომიდვის, მწვანილის ან სოკოს წარმოებისათვის. ამდენად, ზამთარში სოფლის მეურნეობას შეუძლია თავად შექმნას პროდუქტი და მიიღოს შემოსავალი. აღსანიშნავია ისიც, რომ ბიოდანადგარიდან სპეციალური მეთოდით მიღებული ნახშირორჟანგი პერმეტულ სივრცეში მოთავსებული ხილის ლპობის პროცესს ანელებს. ეს თვისებაც შეიძლება წარმატებით იქნეს გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო მაღლუჭადი პროდუქტის შენახვისა და ტრანსპორტირებისათვის.

ფერმერს შეუძლია, ბიოგაზის ენერგია რძის პროდუქტების გადამუშავებისათვისაც გამოიყენოს, რადგან მისთვის

რძეზე მეტად რენტაბელურია რძის პროდუქტები. საშუალოდ 1 სული საქონლის წველადობა 5 ლიტრია დღეში. გლეხს ურჩევნია მზა პროდუქციის გაყიდვა უფრო მაღალი ფასების გამო, რადგან ოფიციალური მონაცემებით გლეხი 1 ლიტრ რძეს მხოლოდ 40-50 თეთრად აბარებს, მაშინ, როდესაც ფერმები 1 ლიტრ რძეს საშუალოდ 1 ლარად აბარებენ. ფასთა სხვაობის რამდენიმე მიზეზი არსებობს:

- ფერმაში რძის მიღების დროს მაქსიმალური სისუფთავეა დაცული, რასაც ვერ ვიტყვით შინამეურნეობების მიერ მიღებულ რძეზე, სადაც ადამიანი უშუალოდ მონაწილეობს მის მიღებაში (წველაში);

- სეზონურობა: კერძოდ, გლეხის პირუტყვს ზამთარ-ზაფხულ რძე არ აქვს, რაც ამცირებს მის ფასს;

- ფერმის ძროხები დაცულნი არიან დაავადებისაგან, დროულად ხდება მათი აცრა;

- შეჯვარებასაც დიდი ყურადღება ექვება. კერძოდ: თელეთის ფერმაში მკაცრად არის დაცული შეჯვარების პირობები, ხოლო გლეხები ამას ვერ აკონტროლებენ ან არც აქცევენ ყურადღებას, რაც რძის ხარისხს დაბლა სწევს და გარკვეულ გადაგვარებებსაც იწვევს.

შინამეურნეობების მიერ წარმოებული რძის ოდენობა დღეში 4-5 საქონლის პირობებში საშუალოდ 16-20 ლიტრია, საიდანაც ნაწილი მოხმარებაზე მიღის, ხოლო ნაწილით რძის პროდუქტები მზადდება და ადგილობრივ ბაზარს მიეწოდება. თუ შინამეურნეობები ბიოდანადგარს დაამონტაჟებენ, მათი დანახარჯები შემცირდება ენერგიაზე და გაეზრდებათ მოგება.

საქართველოს მაღალმითიან რეგიონებში უკვე არის რამდენიმე ასეთი დანადგარი და იგი წარმატებით გამოიყენება. ეს სოფლად მცხოვრები მოსახლეობისათვის დიდი შედაგათია. გარდა ენერგიის უფასოდ მიღებისა, ბიოდანადგარის გამოყენებით შესაძლებელია განახლებადი ენერგიის წყაროების ადგილზევე გამოყენება, რაც ამცირებს მანძილს საბოლოო მომხმარებლებამდე და ასევე თვითღირებულებას. ეს კონკურენტუნარიანი რძის პროდუქტის წარმოების საშუალებას მისცემს გლეხს.

**დასკვნა.** საქართველოში აგრარული სექტორის განვითარების ხელშეწყობისთვის პრიორიტეტულია ბიოგექნლოგიების, კერძოდ კი ბიოგაზის დანადგარების დანერგვა-გავრცელება. მისი განვითარებისთვის მრავალი ხელშეწყობი ფაქტორია,

რომელთაგან მნიშვნელოვანია კოველწლიურად განახლებადი ბიომასის რესურსი, რომლის ათვისებითაც, USAID-ის მონაცემებით, შესაძლებელია სოფლის მეურნეობის ენერგომოთხოვნილების 14–17%-ით უზრუნველყოფა [4] ბიოდანადგარების მასიური დანერგვა მნიშვნელოვნად შეამცირებს ტყის ჩეხვას. 3–6 სულ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყის ნაკეთობა მომუშავე ბიოდანადგარის ექსპლუატაციისას 1 ჰა ტყის რესურსი იზოდება. „თელეთის სანაშენე მეურნეობაში“ ბიოდანადგარის დამონტაჟება დაზოგადა 34–67 ჰა ტყის რესურსს.

გარდა აღნიშნულისა, საქართველოს სოფლის მეურნეობაში დანახარჯების ეკონომიკისა და ეკოლოგიური მდგრძალებების გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან მასტიზულირებელი პოლიტიკის გატარება. კერძოდ:

➤ აუცილებელია ჩამოყალიბდეს გარკვეული ინსტიტუტი, რომლებიც ხელს შეუწყობენ რეგიონებში ბიოგაზის პოპულარიზაციას, ფერმერების მომარაგებას საჭირო რესურსებითა და მომსახურებით, მხარს დაუჭერენ კვლევითი სამუშაოების განხორციელებას და ა.შ.

➤ აუცილებელია, გაიცეს შედავათიანი კრედიტები ბიოდანადგარების ასაშენებლად; მნიშვნელოვანია დარგის სუბსიდირება, რათა საქართველოში შეიქმნას პირობები და უკეთ განვითარდეს ბიოტექნოლოგიები სოფლის მეურნეობაში.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ა. ბიწაძე. ბიოგაზის დანადგარის აშენების რეგომენდაციები მცირე ფერმერული მეურნეობისათვის. თბ., 2000.
2. ა. ბიწაძე. ბიოგაზის დანადგარის აშენება და ექსპლუატაცია, თბ., 2008
3. „ბიოგაზი: რეტროსპექტივა და მიმოხილვა“ Winrock International/ USAID-ის „ენერგეტიკის განვითარება სოფლიდ“ პროექტის ფარგლებში მომზადებული ანგარიში; (საქართველო, 2007).
4. ბროშურა „ბიოგაზი საოჯახო მეურნეობებში“, SAID, BP, EUROPEAN BANK, OSCE, EEC, WINROCK.
5. „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის“ ანგარიში 2012.
6. [www.bioenergy.ge](http://www.bioenergy.ge)
7. [www.gnerc.org](http://www.gnerc.org)
8. [www.internalself.wordpress.com](http://internalself.wordpress.com)

*Marina Chavleishvili*

*Mariam Lukashvili*

*Nino Kovziridze*

## THE POTENTIAL OF BIOGAS USE IN GEORGIA

### Annotation

The paper presents biomass and economic consequences of biogas produced through its. The support factors for biogas production, potential opportunities , its social effects are analyzed.

Biogas analyzed in Georgian reality, its advantages, based on the specific data its economic assessment is calculated for a particular household. Taking into consideration the exercised analysis the conclusions and suggestions are offered.

*Натела Какауридзе*

*Дали Чахвашили*

## ИНВЕСТИЦИОННАЯ ПОЛИТИКА И ИНВЕСТИЦИОННЫЙ КЛИМАТ РЕГИОНА

Решению одной из важнейших проблем обеспечения экономического роста в регионе способствует поступательное повышение инвестиционной активности. Рост инвестиционной активности влияет на эффективность производства и предпринимательства, устранение дефицита инвестиционных ресурсов и т.д. То есть, инвестиционная активность и экономический рост взаимообусловлены. Главной особенностью инвестирования в Грузии является тот факт, что страна имеет уже созданную и достаточно развитую производственную и культурно-территориальную инфраструктуру по сравнению с другими субъектами региона. Другой особенностью инвестирования в стране является наличие диверсифицированной экономической и стабильной безопасной внутренней среды, что обеспечивает высокую финансовую стабильность и сравнительно невысокие риски осуществления инвестиционной деятельности.

Реформы и инициативы, осуществленные правительством Грузии после 2003 года с целью улучшения инвестиционной среды, принесли положительные результаты, что было подтверждено международными исследованиями и оценками. В 2005 году в Грузии прямые иностранные инвестиции составили 449,8 млн. долларов

США (в 2004 году – 499 млн. долларов США). Определенное снижение по сравнению с прошлым годом было вызвано завершением строительства нефтепровода Баку-Тбилиси-Джейхан, хотя объем других инвестиций (не связанных с нефтепроводом) по сравнению с 2004 годом возрос на 44 млн. доллара США – с 139 миллионов долларов США до 183 млн. долларов США. В 2006 году прямые иностранные инвестиции в Грузии составили 1190 млн. долл. США, что на 740,2 млн. долларов США превышает показатель предыдущего года; в 2007 году – 2014,8 млн долл. США (по сравнению с 2006 годом рост составил 824 млн. долл. США); в 2008 году – 1564 млн. долл. США (по сравнению с 2007 годом объем уменьшился на 450 млн. долл. США); в 2009 году – 658,4 млн. долл. США (по сравнению с 2008 годом объем уменьшился на 905,6 млн. долл. США); в 2010 году – 814,0 млн. долл. США (что на 24% больше, чем в предыдущем году); в 2011 году – 1117,2 млн. долл. США; в 2012 году – 865,2 млн. долл. США.

Значительной особенностью является наличие в стране развитой среды привлечения инвестиций. Развивается финансовый рынок и рынок инвестиционно-строительных услуг для осуществления инфраструктурных проектов и различных строительных работ, которые производятся ощутимыми темпами в крупных туристических комплексах и на побережье Черного моря, где размещены гостиницы международного уровня. Все эти особенности характеризуют инвестиционный климат страны как благоприятный.

Перспективы развития инвестиционного процесса в регионе связаны с двумя основными источниками: государственные ресурсы (средства бюджетов и внебюджетных фондов) и частный капитал (собственные ресурсы предприятий и организаций, отложенные средства населения, иностранные инвестиции). Применяется система мер, направленных на увеличение притока инвестиций в экономику страны:

- государственная поддержка инвестиционной деятельности (включая предоставление налоговых льгот);
- создание прозрачной процедуры осуществления инвестиционной деятельности;
- создание механизма работы с инвестиционными проектами.

Серьезным шагом вперед стал стратегический план приоритетных направлений и первоочередных проектов, в продвижении которых страна заинтересована до такой степени, что использует для этого определенные финансовые стимулы. Эти проекты иногда осуществляются из внебюджетных источников,

причем первоначальные затраты, составляющие, как правило, менее 1% от стоимости инвестиционных объектов, употребляются на подготовку инвестиционных предложений, то есть на информацию, привлекающую потенциальных инвесторов.

Объем прямых инвестиций поступивших из стран Евросоюза в Грузию составил в 2006 году 407,1 млн. долл. США, что на 163,4 млн. долл.. США превышает показатель предыдущего года. Несмотря на номинальный рост, доля Евросоюза в общих инвестициях резко снизилась как в годовом, так и квартальном разрезе. Причиной этого было вступление строительства Южно-Кавказского (Шах-Денизи) газопровода в завершающуюся фазу. В 2007 году объем прямых инвестиций, поступивших в Грузию из стран Евросоюза составил 1132,7 млн. долл. США, что на 725,6 млн. долл. США превышает показатель предыдущего года; в 2008 году - 476,6 млн. долл. США (по сравнению с предыдущим годом объем уменьшился на 656,0 млн. дол. США); в 2009 году – 224,1 млн. долл. США (по сравнению с предыдущим годом объем уменьшился на 252,5 млн. долл. США); в 2010 году - 248,2 млн. долл. США; в 2011 году за январь-июнь - 142,7 млн. дол. США.

За счет средств бюджета разрабатываются бизнес-планы инвестиционных проектов, проводится экспертиза экономической эффективности инвестиционных работ, обучаются сотрудники в области проектного финансирования, что позволит в ближайшем будущем реализовать большое число инвестиционных проектов, привлечь инвестиции и организовать новые рабочие места. Созданный порядок разработки инвестиционных проектов существенно увеличивает привлекательность страны для инвестиций во все виды инфраструктур. Немаловажную роль в привлечении реальных инвестиций в экономику региона играют различного рода программы, выставки и другие мероприятия в исторических городах: Мцхета, Тбилиси, Сигнахи, Ахалцихе и другие. На улучшение инвестиционного климата оказывает влияние ярмарка-презентация инвестиционных проектов. Основной задачей ярмарки является проведение целого комплекса мероприятий, направленных на приток инвестиций в реальный сектор экономики, создание новых рабочих мест, развитие малого предпринимательства, решение социальных и других проблем.

Формированию благоприятного инвестиционного климата способствовал ряд конкурентных преимуществ, которые позволили привлекать иностранных и отечественных инвесторов. Грузия имеет уникальное геополитическое и геоэкономическое положение, являясь

связующим звеном между Западом и Востоком. Она имеет выход к Черному морю, чем и вызвана актуальность строительства морских портов, специализированных транспортно-технологических терминалов в Поти, Батуми и Анаклии. Наряду с крупными и средними фирмами практически всех отраслей промышленности в стране имеются разные виды транспортной инфраструктуры, железнодорожные магистрали, в том числе в строящейся железнодорожная магистраль всемирного значения Карси-Ахалкалаки, которая напрямую связывает с Европой автомобильные дороги, воздушное сообщение, морские водные пути, оптоволоконные линии связи. В Грузии имеются богатые природные ресурсы, что дает возможность заготавливать первосортную древесину. К другим видам ресурсов относятся марганец, уголь, глина, гранат, известняк, песок, мрамор и т.п. Значительные водные ресурсы позволяют развивать промышленность и энергетику. Широко развивается и будет расширяться дальнеे туристический бизнес, чему способствует историко-культурный потенциал региона.

На территории 69,7 тыс.кв.км сосредоточены более двенадцати тысяч памятников истории и культуры, из которых 5 тысяч находятся под охраной государства. С 1994 года четыре из них вошли в список памятников мирового значения Юнеско. Это – древнейший город Грузии – Мцхета, Гелатский монастырский комплекс (XI в.), храм Баграти в Кутаиси (XI в.) и архитектурный ансамбль в Ушгули. Отдельную группу достопримечательностей составляют высеченный в скале пещерный город Вардзия и Греми (XVIIв.) Значительны курортные ресурсы Грузии: 102 курорта и 182 курортных мест с перспективой дальнейшего развития, большое количество минеральных лечебных вод.

Конкурентным преимуществом является высококвалифицированный кадровый и научный потенциал. Для инвесторов привлекательным фактором является инвестиционная законодательная база, охватывающая следующие основные направления: развитие регионального инвестиционного законодательства и нормативно-правовой базы в сфере поддержки предпринимательства; формирование информационной открытости региона; создание развитой специализированной рыночной инфраструктуры, поддерживающей инвестиционный процесс; реструктуризация предприятий с целью повышения их инвестиционной привлекательности и конкурентоспособности.

Согласно «Political Risk Atlas 2013», опубликованной британской компанией «Maple croft», оценивающей инвестиционные

риски, Грузия находится в категории «Medium Risk», что указывает на тот факт, что страна стала еще более привлекательной для инвесторов.

В результате исследований «EBRD» 2012 года в вопросе институционального развития, Грузия среди развивающихся стран считается самой успешной в регионе (Восточная Европа и Кавказ) вместе со странами Балтии.

### **Использованная литература**

1. Бланк И.А., Основы инвестиционного менеджмента. В 2-х томах. М., «Омега-Л», 2008
2. Инвестиционная деятельность. Под ред. Г.П.Подшиваленко и Н.В.Киселевой. М.:КНОРУС, 2005
3. Валикуров Л.С., Казакова О.Н., Управление инвестиционной деятельностью. М.:КНОРУС, 2005
4. Маренков Н.Л., Основы управления инвестициями. Едториал УРСС, 2007
5. Балдин К.В. Инвестиции: Системный анализ и управление. М.:Дашков и К, 2006
6. Брукинг Э. Управление интеллектуальным капиталом: проблемы и решения. <http://www.intelcapital/brooking.php>
7. Financial Management. Theory and Practice. South-Western. Thomson Learning. Unites States, 2005
8. William N Goetzmann. An Introduction To Investment Theory. Yale School of Management. New York, 2005
9. [http://mfa.gov.ge/index.php?lang=id=GEO&sec\\_id=77](http://mfa.gov.ge/index.php?lang=id=GEO&sec_id=77)

*Natela Kakauridze  
Dali Chakhvashvili*

### **THE INVESTMENT POLICY AND INVESTMENT CLIMATE IN THE REGION Annotation**

In the paper we examine the impact of increased investment activity in the efficiency of production and business. The main feature of investing in Georgia is the fact that the country has already created and well-developed industrial, cultural and territorial infrastructure compared to other actors in the region. Another feature of investing in the country is to have a diversified economic and security stability of the internal environment that provides high financial stability and relatively low risks of the investment activity.

The work presents the results of the reforms implemented by the Georgian government to improve the investment environment. A major step forward was the strategic plan priorities, and the priority projects in progress which the country concerned to the extent that it uses for certain financial incentives. From the budget of developed business plans of investment projects is examined economic activities, employees are trained in project financing, which will in the near future to implement a large number of investment projects to attract investment and to organize new workplaces.

For investors attractive factor is the investment legal framework, covering the following main areas: the development of a regional investment legislation and the regulatory framework in the field of business support, the formation of transparency of the region, the creation of a market developed specialized infrastructure to support the investment process, the restructuring of enterprises to increase their investment attractiveness and competitiveness. All this greatly increases the attractiveness of the country for investment in all types of infrastructure.

### **ელექტროგანერაციის მრომის ანაზღაურების სფეროში არსებული დეფორმაციების შესახებ სამართველოში**

თანამედროვე პირობებში, როდესაც საქართველო შრომით ურთიერთობების რეგულირების არსებული სისტემის ნგრევისა და სრულიად ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბების ამოცანების წინაშე დგას, თავისთვად, ინტერესს წარმოადგენს იმის გარკვევა თუ რა მიმართულებებით მოხერხდა ქვეყანაში შემოსავლების პოლიტიკისა და შრომის ანაზღაურების სისტემის რეგულირების (უშადო, ანუ პირდაპირი და არაპირდაპირი) პოლიტიკის რეალიზაციის ამოცანების გადაწყვეტა და რა უნდა გაკეთდეს მომავალში.

თუ ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრებიდან ამოგალთ, ნათელი ხდება, რომ ქვეყანაში ამ ამოცანების გადაწყვეტა ვერ მოხერხდა, რაზეც პირდაპირ მიუთითებს მთლიანი შიდა პროდუქტის შემოსავლების ფორმირების ანგარიშის მონაცემები, რომლის მიხედვითაც 2011 წელს შრომის ანაზღაურების ხევდრითი წილი მშპ-ში მხოლოდ 32% იყო, მაშინ როდესაც მთლიანი საოპერაციო მოგება 35%-ს, წმინდა შერეული შემოსავლები 19%-ს, გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე 15,4%-ს, ხოლო შემოსავლების პირველადი განაწილების ანგა-

რიშის მიხედვით შრომის ანაზღაურების ხედრითი წილი მთლიან ეროვნულ შემოსავალში 32,8%-ს შეადგენდა<sup>18</sup>. ცხადია, აღნიშნული მონაცემები ნაოლად მიუთითებს საქართველოში დეფორმირებული შრომის ბაზრისა და შრომის ანაზღაურების სისტემის შესახებ, რომელიც რადიკალურად განსხვავებულია მთლიანი შიდა პროდუქტის შემოსავლების მიხედვით განაწილებისა და ეროვნულ შემოსავალში ხელფასის ხედრითი წილის შესახებ მსოფლიოში არსებული მდგომარეობისაგან, სადაც ხელფასის კვოტა (დასაქმებულთა ანაზღაურების პროცენტული წილი მთლიან ეროვნულ შემოსავალში) 70% პროცენტის ფარგლებში მერყეობს<sup>19</sup>.

აღნიშნული გარემოება შემოსავლების პირველად განაწილებაზე მოქმედი სახელმწიფო რეგულირების როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი ინსტრუმენტების (მექანიზმების) არარსებობით ან დეფორმირებული მექანიზმების გამოყენებით არის განპირობებული, რომლის ძირითადი მიზეზები აღნიშნულ სფეროში გატარებული რეფორმების არააღვევატურობასა და შრომის კანონმდებლობაში უნდა ვეძიოთ. შრომითი ურთიერთობების რეგულირების მიმართულებით გატარებული რეფორმის საწყის ეტაპზე ცალსახად უნდა ითქვას, რომ სახელმწიფომ რამდენადმე თავი გაართვა შრომის კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებისა და წესრიგის ჩარჩოპირობების შექმნის ამოცანებს, რომლის საფუძველსაც “საქართველოს შრომის კოდექსი”<sup>20</sup>, 1997 წლის 10 დეკემბრის საქართველოს კანონი “კოდექტიური ხელშეკრულებისა და შეთანხმების შესახებ”<sup>21</sup>, 1998 წლის 30 ოქტომბრის საქართველოს კანონი “კოდექტიური შრომითი დავის მოწესრიგების წესის შესახებ”<sup>22</sup>, ასევე შრომითი ურთიერთობების რეგულირების პროცესებში ტრიაპარტიზმის პრინციპების დამკვიდრება და სახელმწიფოს, პროფესიონალური და დამსაქმებელთა გაერთიანებებს შორის გენერალური ხელშეკრულების შესახებ კანონმდებლობის ამოქმედება, “დასაქმების შესახებ” საქართველოს

<sup>18</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.

<sup>19</sup> Н. Грегори Менкью. Макроэкономика. Общая редакция Р.Г. Емцова, И. М. Албеговой, Т.Г. Леоновой. Изд. Московского Университета, 1994, стр. 75.

<sup>20</sup> საქართველოს შრომის კოდექსი. თბილისი 2006 წლის 25 მაისი.

<sup>21</sup> საქართველოს კანონი «კოდექტიური ხელშეკრულებისა და შეთანხმების შესახებ». 1997 წლის 10 დეკემბერი.

<sup>22</sup> საქართველოს კანონი “კოდექტიური შრომითი დავის მოწესრიგების წესის შესახებ”. 1998 წლის 30 ოქტომბერი.

კანონის მიღება, ასევე შრომის დაცვის სფეროში გატარებული რეფორმები წარმოადგენდა, თუმცა თამამად შეიძლება ითქვას, რომ შესაბამისი პროცესის პოლიტიკის ინსტრუმენტები აშკარად არაადეკვატური იქნ.

რეფორმის საწყის ეტაპზე გაწეული ეს ძალისხმევა რეფორმის შემდგომ ეტაპებზე მთლიანად იქნა უარყოფილი. პირველ რიგში, 2006 წლიდან შრომის კანონმდებლობის ლიტერალიზაციისა და შესაბამისად, საქართველოს შრომის კოდექსის ახალი რედაქციის შემთხვების შედეგად გაუქმდა ისეთი მოქმედი საგანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, როგორიცაა: 1997 წლის 10 დეკემბრის „საქართველოს კანონი კოლექტიური ხელშეკრულებისა და შეთანხმების შესახებ“; 1998 წლის 30 ოქტომბრის საქართველოს კანონი „კოლექტიური შრომითი დაცვის მოწესრიგების წესის შესახებ“; 2001 წლს 28 სექტემბრის საქართველოს კანონი „დასაქმების შესახებ“<sup>23</sup>, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 16 ნოემბრის N3106 ბრძანება „შრომის ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ აგრეთვე გასაუქმებელი საკანონმდებლო აქტების საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები<sup>24</sup>, რამაც საქართველო 90-იანი წლების დასაწყისში არსებულ მდგომარეობას დაუბრუნა და ხელახლა, ცარიელი სივრცე დატოვა ავტონომიური სატარიფო ხელშეკრულებების საფუძველზე წესრიგის ჩარჩოპირობების შექმნისა და რეალიზაციისათვის. სახელმწიფო პოლიტიკის მიღმა დარჩა შემოსავლების გადანაწილებაზე მოქმედი ეკონომიკური პოლიტიკის ისეთი უმნიშვნელოვანების მიმართულებების ამოქმედება, როგორიცაა კონკურენციის პოლიტიკა, შრომის ბაზრის პოლიტიკა, შრომის დაცვა და ქონების პოლიტიკა. რეფორმის ვერც ერთ ეტაპზე ქვეყანაში ვერ მოხერხდა დასაქმების აქტიური პოლიტიკის, ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და უმუშევართა მომზადება-გადამზადების დონისძიებათა რეალიზაცია და ამ მიმართებით სამთავრობო დაპირებები

<sup>23</sup> საქართველოს კანონი „დასაქმების შესახებ“. 1084 – II, 2001 წლის 28 სექტემბერი.

<sup>24</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 16 ნოემბრის N310 6 ბრძანება «საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მმართველობაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - შრომის ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ».

მხოლოდ ცალკეული კამპანიური ხასიათის ღონისძიებებით შემოიფარგლა. შესაბამისად, სტაბილურად მაღალია უმუშევრობის დონე, რაც მთლიანად ქვეყანაში 16–17%-ს აღემატება. 1998–2011 წლებში ქვეყანაში 1,2-ჯერ შემცირდა დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა და 2011 წლისათვის 632 ათასი კაცი შეადგინა. დასაქმებულთა საერთო სტრუქტურაში 62%-ს თვითდასაქმებულები შეადგენენ. 1998 წლის 12,4%-დან, 2009 წელს 16,9%-მდე გაიზარდა უმუშევრობის დონე, 2011 წელს კი 15,1% შეადგინა. განსაკუთრებით მაღალია უმუშევრობის დონე ქალაქებში, სადაც იგი 27%-მდე აღწევს. რეალურ მდგომარეობას ნაკლებად ასახავს სოფლად უმუშევრობის დონე, რომელიც სოფელ ადგილებში უმუშევრობის დონის განსაზღვრის დეფორმირებული მეთოდოლოგიის (სოფლად დასაქმებულად ითვლება ის, ვინც მიწის ნაკვეთს ფლობს) გამო 6,5 %-ს შეადგენს <sup>25</sup>, რაც აშკარად არ შეესაბამება სოფლად არსებული უმუშევრობის მდგომარეობას. არსებულ სიტუაციას ამიმებს სატარიფო რეგულირების არაპირდაპირი ინსტრუმენტების უმოქმედობა, რის მიზეზსაც კონკურენციის პოლიტიკისა და პირველ რიგში კი შრომის ბაზრისა და განათლების პოლიტიკის სფეროში არსებული ჩავარდნები წარმოადგენს.

თუ დაგუბრუნდებით სახელმწიფო რეგულირების როლს, შემოსავლების პირველადი განაწილების პროცესებში სახელმწიფოს მხოლოდ იქ შეუძლია ჩაერთოს, სადაც თვითონ არის სატარიფო ხელშეკრულების მხარე. ამდენად, იგი მოიცავს დონისძიებათა სისტემას საჯარო სექტორში შრომის ანაზღაურების სისტემის დასარეგულირებლად. აღნიშნული ამოცანის რეალიზაცია სახელმწიფოს მიერ ქვეყანაში ჩამოყალიბებული ეკონომიკური ზრდის კალობაზე შედარებით უფრო აქტიურად ხორციელდებოდა. კერძოდ, რეფორმის საწყის ეტაპზე რიგი დონისძიებები გატარდა საბიუჯეტო სფეროში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების სისტემის რეგულირების მიმართულებით, რომლის ძირითად ამოცანასაც შეადგენდა შემოსავლების დონის სოციალურ-ეკონომიკური დასაბუთება, მოსახლეობის შემოსავლებში შრომის ანაზღაურების ხვედრითი წილის ამაღლება, შრომის ანაზღაურების სრულყოფის გზით შრომის მოტივაციის პირობების შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის შედარებით სტაბილურობის პირობებში 1996–1999 წლებში ეროვნულ კონ-

<sup>25</sup> <sup>8</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.

მიკაში დასაქმებულთა საშუალო ხელფასი 5-ჯერ, მინიმალური ხელფასი კი 3,3-ჯერ გაიზარდა, ხელფასი, როგორც სამუშაო ძალის ფასი, წინანდელზე (რეფორმამდელ პერიოდთან შედარებით) ნაკლებად უკავშირდებოდა საარსებო საშუალებების ღირებულებას და ვერ უზრუნველყოფდა სამუშაო ძალის არათუ გაფართოებულ, არამედ მარტივ კვლავწარმოებასაც კი. საკმარისია აღინიშნოს, რომ 2000 წლის საშუალო ხელფასი, საარსებო მინიმუმის 75.1% -ს შეადგენდა მაშინ, როდესაც მინიმალური ხელფასი მხოლოდ 17.5% იყო. ხელფასების დაბალი დონით იყო განპირობებული ის, რომ შემოსავლების საერთო სტრუქტურაში ხელფასის წილი 40 პროცენტს არ აღემატებოდა. ხელფასს დაკარგული ჰქონდა მასტიმულირებელი ფუნქცია და იგი გადაიქცა ერთგვარ სოციალურ გასაცემლად, რომელიც არ იყო დაკავშირებული დახარჯული შრომის რაოდენობასა და ხარისხთან. 2000 წლისათვის ეროვნულ ეკონომიკაში დასაქმებულთა მინიმალური ხელფასი საშუალო ხელფასის 23.2% იყო<sup>26</sup> მაშინ, როდესაც სოციალური ორიენტაციის საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში აღნიშნული თანაფარდობა არანაკლებ 40, ხოლო ეკროპის სოციალური ქარტის შესაბამისად კი 68 პროცენტს შეადგენს<sup>27</sup>.

ეკონომიკური ზრდის კვალობაზე ხელფასების საერთო დონის ამაღლება და მისი მიახლოება საარსებო მინიმუმთან «ვარდების რევოლუციის» შემდგომ გახდა შესაძლებელი. ამასთან, რეფორმის მოძღვანო ებაზე ქვეყანაში არსებული შრომის ანაზღაურების სისტემის დაფორმირების საფუძველი გახდა განხორციელებული ცვლილებები, რომელიც ითვალისწინებდა ანტიკორუფციული ღონისძიებების დანერგვის მოტივაციის გაძლიერების მიზნით საჯარო სექტორის მაღალ ჩინოსანთა შრომის ანაზღაურების მნიშვნელოვან ამაღლებას და მკეთრ დაცილებას შედარებით დაბალი რანგის თანამშრომლების ხელფასებთან, ასევე სახელმწიფო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად გარდაქმნის კვალობაზე საჯარო დაწესებულებათა კომერციალიზაცია, რაც ქვეყანაში როგორც ძირითადი ხელფასების, ასევე პრემიებისა და დანამა-

<sup>26</sup> საქართველოს სტატისტიკური წელიწლეული 2005, თბილისი 2006 წ. საქართველოს სტატისტიკური წელიწლეული 2008<sup>28</sup> საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი, 2008.

<sup>27</sup> საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 2001-2005 წლების ინდიკატური გეგმა. თბილისი, 2001.

ტექნიკური და მასში გამოიხატა, რითაც მნიშვნელოვნად იქნა დამახინჯებული შრომის მოტივაციისა და თანაბარ შრომაზე თანაბარი ანაზღაურების კონსტიტუციური ნორმები. შესაბამისად, საქართველოში სახეზეა შრომის ანაზღაურების სისტემაში ჩამოყალიბებული ანომალიები, რასაც ანალოგი არ გააჩნია მსოფლიოს თითქმის არც ერთ ქვეყანასთან. ჩვეულებრივ შემთხვევაში, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, შრომის ფასი შრომის ბაზარზე სამუშაო მაღაზე მოთხოვნა/მიწოდებას შორის ჩამოყალიბებული თანაფარდობის საფუძველზე დგინდება და ქვეყანაში ჩამოყალიბებული ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე, შრომის ფასს კერძო სექტორი აყალიბებს. სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების რეგულირება კი ხდება კერძო სექტორში ჩამოყალიბებული ხელფასის დონის კვალდაკვალ, შესაბამისად სახელმწიფო სექტორში ხელფასის დონე ჩამორჩება კერძო სექტორში ხელფასის დონეს და კვალდაკვალ მისდევს მას, რათა არ დაირღვეს სახელმწიფო სექტორში კვალიფიციური კადრების მოზიდვის სტიმულები და ხელი შეეშალოს სახელმწიფო სექტორიდან კვალიფიციური კადრების გადინებას. ამ მხრივ საქართველოში შექმნილი სიტუაცია სრულიად განსხვავებულია. აღმასრულებელ ხელისუფლებაში დაწესებული მაღალი ხელფასები ხშირად რამდენჯერმე აღემატება კერძო სექტორში ჩამოყალიბებულ ხელფასებს. სახელმწიფო დაწესებულებებს მინიჭებული აქმო თავისუფლება, მათ ხელში არსებული გამოთავისუფლებული სახსრების ხარჯზე გაზარდონ ხელფასები ისე, რომ ხშირ შემთხვევაში არ არის დაცული თანაბარ შრომაზე თანაბარი ანაზღაურების პრინციპი. რის გამოც თვით აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებს შორის ხელფასების დონე მკვეთრად არის დიფერენცირებული, რომ არაფერი ვთქვათ რანგებს შორის თანაფარდობაზე, რაც იმ გარემოებითაც არის განპირობებული, რომ ქვეყანაში არ არსებობს შრომის ანაზღაურების რეგულირების სისტემა. ხელფასების რეგულირებაში სისტემა-წარმომქნელ როლს ვერ ასრულებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, რომლის ერთ-ერთ უმთავრეს ფუნქციასაც ერთიანი სატარიფო ბადის მეშვეობით ქვეყნის აღმასრულებელ ხელისუფლებაში შრომის ანაზღაურების სისტემის რეგულირება და ამ მიზნით შესაბამისი ჩარჩო-კანონმდებლობის შექმნავება წარმოადგენს.

როგორც სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს 2011 წელს მთლიანად ეროვნულ ეკონომიკაში დასაქმებულთა საშუალო ხელფასი 636 ლარს შეადგენდა, რაც 1,6-ჯერ ჩამორჩებოდა სახელმწიფო მმართველობის სფეროში დასაქმებულთა ნომინალური საშუალო თვიური ხელფასის შესაბამის მაჩვენებელს. ხელფასის დონე განსაკუთრებით მაღალი იყო საფინანსო საქმიანობის (1386,3 ლარი), ასევე ელექტროენერგიის, აირის, წყლის წარმოებისა და განაწილების (877,0 ლარი), ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროებში (873,8 ლარი), რაც ამ უკანასკნელ სფეროებში მონოპოლიური სტრუქტურების არსებობითა და მოსახლეობისათვის მომსახურების ტარიფების დაუსაბუთებელი ზრდით შეიძლება აიხსნას. ხელფასების დონე სახელმწიფო მმართველობის სფეროში (998,8 ლარი) 1,6-ჯერ აღემატება მთლიანად ეროვნულ ეკონომიკაში დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასისა და თითქმის 3-ჯერ აღემატება ასევე სახელმწიფო სექტორში, კერძოდ კი, განათლების სფეროში არსებულ მაჩვენებლებს (319,6 ლარი დროის იმავე პერიოდში).<sup>28</sup> ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ხელფასების უკიდურესად დაბალი დონე მეცნიერებაში. პირობებში, როცა ქვეყანაში არ არის დაღვენილი მინიმალური ხელფასი, ხელფასებს შორის მკვეთრი განსხვავება შრომის ანაზღაურების სისტემის რეგულირების მექანიზმების უმოქმედობაზე მიგანიშნება.

დაურეგულირებელი იყო შრომის ბაზარზე დაბალკონგურენტუნარიანი სამუშაო ძალისა და შრომის ანაზღაურების სფეროში გენდერული თანასწორობის შენარჩუნების პირობები. როგორც სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს, 2011 წლისათვის დაქირავებით დასაქმებულ ქალთა საშუალო თვიური ხელფასი 460,2 ლარს შეადგენდა, რაც 1,4-ჯერ ჩამორჩებოდა ეროვნულ ეკონომიკაში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების მაჩვენებლებს და 1,7-ჯერ ნაკლები იყო ეროვნულ ეკონომიკაში დასაქმებული მამაკაცების საშუალო თვიური ხელფასის ოდენობაზე<sup>29</sup>. საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის ეროვნულ მაჩვენებელს 1,02-ჯერ ჩამორჩება სამეწარმეო სფეროში დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფას<sup>30</sup>. მაშინ, როდესაც იმავე პერიოდისათვის არასამეწარმეო სფე-

<sup>28</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.

<sup>29</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.

<sup>30</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.

როში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი 658,1 ლარს შეადგენდა და შესაბამისად მაღალი იყო აღნიშნული მაჩვენებელი საქმიანობის სახეების მიხედვითაც<sup>31</sup>.

ჩამოუყალიბებელი და დაურეგულირებელია დაბალკონტურენტუნარიანი სამუშაო ძალისა და ინვალიდთა დასაქმების მექანიზმები და პროგრამები. არ არის ჩამოყალიბებული თანაბარ შრომაზე თანაბარი ანაზღაურების კონსტიტუციური მოთხოვნის რეალიზაციის მექანიზმები.

შრომის ანაზღაურების სისტემის მნიშვნელოვან კომპონენტს კომპენსაციების სისტემა წარმოადგენს<sup>32</sup>. ზოგადად, იგი შეიძლება კატეგორიზებულ იქნეს ორგვარად: პირველი, ეს არის ფულადი ანაზღაურება, რომელიც შეესაბამება ხელფასს (შრომის ანაზღაურებას); მეორე, იგი მოიცავს კველა სახის გასაცემელს, რომელსაც მომჟმავე იღებს. კომპენსაცია ორი სახისაა: ფულადი (რომელიც შეიცავს ხელფასს, საათობრივ ანაზღაურებას და პრემიას) და არაფულადი კომპენსაცია.

თუ გადავხედავთ საქართველოში არსებულ მდგომარეობას, აშკარად დავინახავთ, რომ აქ არსებული სიტუაცია კომპენსაციების სისტემის მოქმედების თვალსაზრისითაც დამატიქტრებელია. საქართველოში თითქმის იგნორირებული იყო ზეგანაკვეთური მუშაობისათვის ანაზღაურების ფორმები, რაც აღნიშნული საკითხის საკანონმდებლო დონეზე დაურეგულირებლობით იყო განპირობებული. მაშინ, როდესაც საბიუჯეტო სექტორში გაცემული შეუზღუდავი და არანორმირებული პრემიები, ხშირ შემთხვევაში მრავალჯერადად აღემატება ხელფასს, აშკარა კორუფციულ მომენტებს შეიცავს და მთლიანობაში დაცილებულია პრემიის, როგორც ერთდროული ანაზღაურების შინაარსისაგან.

ჯერჯერობით საქართველოში ნაკლებად არის განვითარებული არაფულადი კომპენსაციის ფორმები, რომელიც მნიშვნელოვან ფაქტორად არ ითვლებოდა წარსულში. არაფულადი კომპენსაცია, ჯანმრთელობის დაზღვევის და საპენსიო კომპენსაციის ფორმით, სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს კვალიფიციური კადრების მოზიდვისა და დაქირავების პროცესებში. ბოლო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა აჩვენებს კველა სახის დაზღვევის მზარდ ტენდენციებს. თუმცა,

<sup>31</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.

<sup>32</sup> Patrick J. Montana, Ph.D. and Bruce H. Charnov, Ph.D., J.D. Management, Fourth Edition by Barrons's Educational Series, Copyright 2008, New York pp. 218.

საქართველოში მათი მასშტაბები ჯერ კიდევ მცირეა, გამომდინარე საქართველოს სინამდვილიდან, საჭიროა, მენეჯერებმა აჩვენონ დასაქმებულებს თავიანთი ორგანიზაციის არაფულადი კომპენსაციის პროგრამების ფასეულობა.

არაფულადი კომპენსაცია მოიცავს: ჯანმრთელობის დაზღვევას (პოსპიტალური, ძირითადი სამედიცინო, დენტალური, ოპტიკური, სმენის და ა.შ. სუეროებში), საკონსულტაციო პროგრამებს კანონმდებლობაში დახმარების ფორმით, დასაქმებულთა შეილებისათვის ბავშვთა დღიური მოვლის ცენტრების გასწინას, სწავლებისა და დახმარების პროგრამებს, სპეციალური ჯილდოებისა და დასაქმებულთა წახალისების პროგრამების სისტემას, სოციალური უზრუნველყოფის, უუნარობის სახელმწიფო და უმუშევრობის შენატანების განვითარებას, საპენიო შენატანებს და სხვა. საზღვარგარეთის თითქმის ყველა ქვეყანაში არაფულადი კომპენსაცია ხელფასზე დახარჯული ყოველი დოლარის 20-დან 40 პროცენტამდე შეადგენს; ამავე დროს დამატებით 20-დან 40 ცენტამდე ისარჯება იმავე დასაქმებულზე არაფულადი გასაცემლის სახით<sup>33</sup>.

ფაქტორები, რომლებიც მოქმედებს კომპენსაციაზე და რომლებიც განხილულ უნდა იქნეს მენეჯმენტის მიერ, მოიცავს სამუშაო ძალის მიწოდებასა და მასზე მოთხოვნას შორის არსებულ თანაფარდობას, მუშაოთა გაერთიანებების როლს, კომპანიის უნარს, გადაიხადოს ხელფასი და მის ნაყოფიერებას (პროდუქტიულობას), ასევე სახელმწიფო რეგულაციების სისტემის ქმედუნარიანობას.

შრომის ანაზღაურების სისტემის ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მუშაოთა გაერთიანებები. როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, მუშაოთა გაერთიანებებს ტრადიციულად ძლიერი ზეგავლენა გააჩნიათ განსაზღვრული დარგის მუშებზე. ხელფასისა და გასაცემლების განსაზღვრული დონე ხშირად მუშაოთა ორგანიზაციების მიერ წარმოქმული გაფიცვებისა და, აქედან გამომდინარე, მენეჯმენტზე ზეგავლენის შედეგს წარმოადგენს. ეს მიმართულება საქართველოში უკანასკნელ პერიოდში სულ უფრო მეტად სტიქიურად იკიდებს ფეხს და რეგულირების მიღმა არის დარჩენილი. ამ მხრივ უნდა ამაღლდეს საქართველოს პროფესი-

<sup>33</sup> Patrick J. Montana, Ph.D. and Bruce H. Charnov, Ph.D., J.D. Management, Fourth Edition by Barrons's Educational Series, Copyright 2008, New York. pp. 218.

შირების, როგორც სატარიფო ავტონომიური ხელშეკრულებების სუბიქტის როლი ხელფასების დონის ჩამოყალიბებასა და სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების ოპონირებაში, რათა ამ მიმართებით განვითარებული პროცესები ქვეყანაში არ გახდეს უმართავი.

მნიშვნელოვანი ფაქტორია კომპანიის გადახდისუნარიანობა და მისი მწარმოებლურობა. ბუნებრივია, მომგებიან საწარმოს შეუძლია უფრო მაღალი ხელფასის გადახდა ვიდრე არამომგებიანს. წარმატებული კომპანია იხდის მიმდინარე განაკვეთს, მაგრამ წარუმატებულ კომპანიას იმავე შესრულებულ სამუშაოზე იმავე დონის ხელფასის გადახდის უნარი არა აქვს. ასეთ შემთხვევაში მუშები ტოვებენ კომპანიას და იწყებენ სამუშაოს ქებნას. საწარმოს გადახდისუნარიანობა მის შრომის ნაყოფიერებაზე არის დამოკიდებული. კომპენსაციასთან დაკავშირებული პაკეტის შემცვევება ადამიანური რესურსების მართვის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს. ვინაიდან კომპენსაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, საბაზო ხელფასები ან ცვალებადი წამახალისებული განაკვეთები დასაქმებულთა რანჟირებას გულისხმობს, ყოველთვის არსებობს ცალკეული მუშების ხელფასების დამახიჯების პრობლემა. ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა სწორედ იმ მიზნით არის შემოღებული, რომ დარეგულირდეს აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების პროცესები. ხოლო მენეჯმენტმა კი მუდმივად მხედველობაში უნდა იქნიოს სწორედ ეს საკანონმდებლო ნორმები, რათა დარწმუნებული იყოს, რომ მისი საკომპენსაციო პაკეტი იმუშავებს ეფექტურად, როგორც დასაქმებულთა მოტივაციის საშუალება.

მოქმედი შრომის კანონმდებლობის შესაბამისად, აკრძალულია დისკრიმინაცია სამუშაოსთან დაუკავშირებელი ისეთი ნიშვნების მიხედვით, როგორიცაა რასა, ფერი, რელიგია, სქესი ან ეროვნული წარმომავლობა. აკრძალულია ისეთი სახის დისკრიმინაცია, როგორიცაა არათანაბარი მოპყრობა. ხელმძღვანელს, დამქირავებელს, უფლება არა აქვს არათანაბარი მოუქცეს მუშებს. არსებობს საკანონმდებლო პრინციპები, რომელებიც ეფექტურად იყენებენ ანაზღაურების სხვადასხვა სტანდარტებს სხვადასხვა ჯგუფების წასახალისებლად. ზოგჯერ დამსაქმებლებს პრაქტიკაში აქვთ გამოყენებული არაკანონიერი მეთოდები როცა მათ არსებითად სხვადასხვა ზეგავლენა აქვთ სხვადასხვა ჯგუფებზე (ეთნიკური, სექსუალური, პოლიტიკური, ეროგნული და სხვა ნიშნის მიხედვით),

რომლებიც არათანაბარ პირობებში აყენებენ დასაქმებულებს. საერთაშორისო პაქტი ადამიანის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, რომელსაც საქართველო 1994 წლიდან არის მიერთებული, კრძალავს ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში დისკრიმინაციის ზემოაღნიშნული ფორმების ყოველგვარ გამოვლინებას. ამდგნად, უნდა აღიკვეთოს დამსაქმებელთა ყოველგვარი ქმედება, რომელიც ნებისმიერი ნიშით არათანაბარ პირობებში აყენებს ქვეყანაში დასაქმებულებს.

შრომის ანაზღაურების სისტემის რეგულირების საკითხები ეკონომიკაში მიმდინარე მრავალმხრივი პროცესების შედეგია. დამაიმულებელია ამჟამად შრომის მოქმედ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები, მხედველობაში გვაქს “საქართველოს შრომის კოდექსის”<sup>34</sup> ახალი რედაქციის მიღება და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების ამოქმედება, რომლის თანახმადაც არსებითი ცვლილებები იქნა შეტანილი ინდივიდუალური და კოლექტიური ხელშეკრულებების დადების პირობებში, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების, ანაზღაურებადი შვებულების, დროებითი შრომისუნარობის პერიოდში შრომის ანაზღაურების, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის დროს შრომის ანაზღაურების წესისა და პირობების, აგრეთვე კოლექტიური ხელშეკრულებების დადების საგანონმდებლო ნორმებში, რომელთა ფონზე შესაძლებელი უნდა გახდეს ქვეყნის შრომის ანაზღაურების რეგულირების სისტემაში არსებული ჩავარდნების აღმოფხვრა და შრომის ანაზღაურების სამართლიანი, საბაზო ურთიერთობების აღეკვატური სისტემის ჩამოყალიბება.

*Elene Chikovani*

## ABOUT DEFORMATIONS IN LABOR REMUNERATION SYSTEM OF GEORGIA

### Annotation

Article focuses on deformations in labor remuneration system of Georgia. Main causes of deformations define. Analyses main directions of the reform conducted in the field of labor remuneration system since gain-

<sup>34</sup> საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ორგანულ კანონში «საქართველოს შრომის კოდექსი» ცვლილებების შეტანის შესახებ.

729-III. ქუთაისი, 12 ივნისი 2013 წ.

ing of independence. Evaluates direct and indirect policy measures performed by the government towards the realization of income policy. The necessity of improvement of the order and process policy instruments in the aim of further perfection of the labor remuneration regulation system is substantiated. The ways of improvement of labor compensation system in the country are given.

თინა ჩხეიძე  
ლია დვალიშვილი  
ფქლის რესურსების დაცვის პროგლემა და  
მისი გადაჭრის გზები საქართველოში

წყალი ადამიანისათვის უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი რესურსია, იგი ბიოსფეროში სასიცოცხლო ფუნქციას ასრულებს და მასზეა დამოკიდებული ცოცხალი სამყაროს განვითარება. წყალში ჩაისახა და განვითარდა სიცოცხლე. წყალი მონაწილეობს ყველა იმ პროცესში, რომელიც მიმდინარეობს როგორც დედამიწის ზედაპირზე, ისე მის წიაღში.

წყალმა დასაბამიდან უდიდესი გავლენა იქონია ადამიანის კულტურის ფორმირებასა და ცივილიზაციის განვითარებაზე. წყალზე გადაადგილების საშუალებების შექმნამ გააფართოვა ადამიანის გეოგრაფიული და ზოგადი ცნობიერება. მდინარები ხელს უწყობდა ადამიანთა მიგრაციას და განსაზღვრავდა დასახლებათა ხასიათს, მათი საქმიანობის ფორმირებას, ბევრ რეგიონში წყალს დათოურ სიწმინდედ მიიჩნევენ. დღეს ადამიანი არანაკლებ არის წყალზე მიჯაჭვული, იგი უდიდეს როლს ასრულებს ადამიანის ყოფა-ცხოვრებაში. გამოიყენება სასმელად, სამკურნალოდ, დასასვენებლად. წყლის რესურსები მთლიანად განსაზღვრავს დასახლების სიმჭიდროვეს, სარწყავი სისტემის განვითარებას, ტრანსპორტის სახეობას, თევზის მოპოვებას, მიწათმოქმედების უფლებიანობასა და მთლიანად გლეხის საქმიანობას.

დედამიწაზე არ არსებობს არც ერთი ისეთი ცოცხალი არსება, თუნდაც ის იყოს პრიმიტიული, რომელიც თავის შემადგენლობაში არ შეიცავდეს წეალს და შეეძლოს მის გარეშე არსებობა. ნებისმიერი მცენარეულობის შემადგენლობაში 80-99% წეალია, ხოლო ცხოველის მასის 75% წეალი შეადგენს. წელის ბალანსის დარღვევას ადამიანის ორგანიზმი ძლიერ მწვავედ განიცდის. სხეულის მასასთან შედარებით 6-8% წე-

ლის დაკარგვა იწვევს მძიმე შედეგს – გულყრას, ხოლო 10-12% წყლის დაკარგვისას კი გულის გაჩერებას.

თავისი თვისებებით წყალი უნივერსალურია, იგი არის მონაწილე ყველა ტექნოლოგიური პროცესის, მის გარეშე შეუძლებელია მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობის მუშაობა. ქალაქად და სოფლად იგი მთავარი სანიტარია, წყლით მტვრისა და ტალახისაგან წმენდენ, ასუფთავებენ ქუჩებს, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ სადაც არ არის წყალი იქ არ არის სიცოცხლე.

ბუნებრივი წყალი მოიცავს და ქმნის ადამიანის მთელ ცხოვებას, არ არსებობს ისეთი ბუნებრივი სხეული, რომელიც ისეთი ხარისხით განსაზღვრავდეს საზოგადოების წყობას, ცხოვებას, არსებობას, – წერდა ა.კ. ვერნადსცკი – როდესაც აღნიშნავდა წყლის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ადამიანისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულებაში, რომელმაც თანამედროვე ეპოქაში გლობალური გეოლოგიური მასშტაბები მიიღო [7].

დედამიწის ფართობის უდიდესი ნაწილი წყლით არის დაფარული და იგი წარმოდგენილია ოკეანების, ზღვების და კონტინენტური წყალსაცავების სახით, დედამიწის ფართობის 510,0 მლნ კვადრატული კილომეტრი, რომლის 71%, ანუ 362,1 მლნ კვადრატული კილომეტრი უკავია მსოფლიო ოკეანებს, რაც წყლის რესურსის სიუხვის და ამოუწურვადობის ილუზიას ქმნის, სინამდებილეში ჰიდროსფეროს საერთო მარაგის (1388,1 მლნ კუბური კილომეტრი) 17,5%, ანუ 1353,3 მლნ კუბური კილომეტრი სამეურნეო საქმიანობებისათვის გამოუსადეგარია მისი მარილიანობის გამო. ხოლო მტკნარი წყლის წილად, რომელიც ბუნებაში მდინარეების, მყინვარების, მიწისქვეშა წყლების, ბუნებრივი და ხელოვნური წყალსაცავების სახით არსებობს, მხოლოდ 2,5%, ანუ 34,7 მლნ კუბური კილომეტრია. აქედან კიდევესათვის გამოიყენება მტკნარი წყლის საერთო მოცულობის მხოლოდ 12%, ანუ 4,16 მლნ კუბური კილომეტრი რაც ნათლად მოწმობს მტკნარი წყლის მსოფლიო პრობლემას.

საქართველო მდიდარია წყლის რესურსებით. მის ტერიტორიაზე 26 060 მდინარე მიედინება, საქართველოს მდინარეები მიეკუთვნება ორ ძირითად აუზს, რომელსაც ლისის ქედი ყოფს. შავი ზღვის აუზს მიეკუთვნება დაახლოებით 18 109 მდინარე, ეს საქართველოს მდინარეთა საერთო რაოდენობის 70%-ია, ხოლო კასპიის ზღვის აუზს – 7 951 მდინარე (30%). საქართველოში 860 ტბაა, უმეტესობა ძალიან პატარაა, ამიტომ ტბების

საერთო ფართობი 170 კმ<sup>2</sup> არ აღემატება (ქვეყნის ტერიტორიის 0,29%). ფართობით ყველაზე დიდია ფარავნის ტბა, მოცულობით ტაბაწყურის ტბა, სიღრმით კი რიწის ტბა. საქართველოს დასავლეთიდან აკრაგს შავი ზღვა, რომლის სანაპირო ზოლის სიგრძე საქართველოს ფარგლებში 315 კმ-ია.

მიუხედავად იმისა, რომ დედამიწის უმეტესი ნაწილი წყლით არის დაფარული, თანამედროვების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წყლის რესურსების უკმარისობა წარმოადგენს. მოსახლეობის ზრდამ და მრეწველობის სწრაფმა განვითარებამ მთევზანა იქამდე, რომ წყლის უკმარისობას განიცდის არა მარტო ის ქვეყნები, რომლებსაც წყალი აკლდათ, არამედ ის ქვეყნებიც, რომლებიც წყლით უზრუნველყოფილად ითვლებოდნენ.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ წყლის უკმარისობა არ არის დამოკიდებული დედამიწაზე წყლის სიმცირეზე და არც წყლის ბუნებრივი წრებულების შეფერხებაზე. წყლის საერთო დეფიციტს ადგილი აქვს მისი წყაროების თანდათანობით დეგრადაციისა და დაბინძურებების გამო. ამის მიზეზია წყლის ობიექტების არასაკამრისად გაწმენდილი ჩამდინარე წყლებით და სამრეწველო ნარჩენებით დაბინძურება, ბუნებრივი და წყალშემცრები ფართობების შემცირება, ტყის მასობრივი განადგურება, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების არასწორი მორწევა და ა.შ.. წარმოების ჩამდინარე წყლები აბინძურებენ ამჟამად აშშ თითქმის 1/3 მდინარეებს. მდინარეების გაჭუქირება ბოლო 70 წლის განმავლობაში 10-ჯერ გაიზარდა. თუ წყალი დაბინძურებულია ადამიანისათვის მავნე შხამებით მაშინ, დიდი ალბათობაა იმისა, რომ შეიქმნას ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიში სიტუაცია და ისინი დაავადდნენ (მაგ., მდ. მისისიაში და მის შენაკადებში ბანაობა აკრძალულია, ასევე ბოლნისის რაიონში კაზრეთის ტერიტორიაზე (სადაც ხდება ოქროს მოპოვება) ჩამდინარე მდინარეშიც აკრძალულია ბანაობა და ასევე მიმდებარე ტერიტორიის მოსახლეობაში მაღალია სიმსივნერი დაავადებების მაჩვენებელი და, ბუნებრივია, გაზრდილია სიკვდილიანობაც).

უოფა-ცხოვრებაში მოხმარებული წყლის რაოდენობა განსხვავდება როგორც რეგიონების, ისე ცხოვრების დონის და წყლით უზრუნველყოფის ხარისხის მიხედვით. იგი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით დღვე-დამეში სამი ლიტრიდან შვიდას ლიტრამდე მერყეობს. მაგ., თუ აფრიკის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი უდრის 30-70 ლიტრს, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებ-

ში 150-200 ლიტრია, საქართველოში 250 ლ, მოსკოვში კი 650 ლ.

წყლის ძირითადი მომხმარებელი სოფლის მეურნეობაა. დიდი რაოდენობის წყალი იხარჯება მორწყვაზე, რის გამოც იზრდება აორთქლება, იზრდება ატმოსფეროში წყლის რაოდენობა, რომელიც ზოგ რაიონში იწვევს უხვ ნალექიანობას, ასევე დიდი რაოდენობის წყალს აორთქლებენ ხელოვნურად შექმნილი წყალსაცავები.

წყალის ხარჯვის სტატისტიკა 1 ტონა სას. სამ პროდუქციაზე შემდეგნაირია:

1 ტონა შაქრის ჭარხლის მისაღებად საჭიროა 130-160 მ<sup>3</sup> წყალი.

1 ტონა ხორბილის მისაღებად 800-1200 მ<sup>3</sup> წყალი.

1 ტონა თივის მისაღებად 1000-1600 მ<sup>3</sup> წყალი.

1 ტონა ბამბის 4000-5000 მ<sup>3</sup> წყალი.

1 ტონა ბრინჯის მოსაცავად 5000-7000 მ<sup>3</sup> წყალი.

მსოფლიოში სოფლის მეურნეობის წყლის ხარჯი 1900 წელს თუ იყო 350 კუბური კილომეტრი, 1975 წელს გახდა 2100 კმ<sup>3</sup>, ხოლო 2000 წელს გაიზარდა 3400 კმ<sup>3</sup>-მდე, ამავე პერიოდში წყალმომარაგება გაიზარდა 30 კმ<sup>3</sup>-დან 63 კმ<sup>3</sup>-მდე.

ასევე დიდი რაოდენობით წყალს მოიხმარს მრეწველობა მაგ. 1 ტონა ფოლადის გამოსახობობად საჭიროა 250-330 კმ<sup>3</sup> წყალი, 1 ტონა ქაღალდის საწარმოებლად 550 კმ<sup>3</sup>-დან 750 კმ<sup>3</sup>-მდე წყალი, ხოლო 1 ტონა ხელოვნული ბოჭკოს საწარმოებლად 470-730 კმ<sup>3</sup>. განსაკუთრებით სწრაფად იზრდება წყლის ხარჯი TEC და AEC-ის გაცივებაზე.

დღეისათვის მთელ რიგ რეგიონებში ბუნებრივი წყლების დაბინძურებამ და დაბინძურებული წყლების გაუწმენდავად მდინარეებში ჩაშვებამ მიგვიყვანა წყალსატევებისა და წყალსადინარების ეკოლოგიურ სისტემათა დეგრადირებამდე და სუფთა სასმელი წყლის რესურსების კატასტროფულ შემცირებამდე. მაგ., 1975 წლიდან 1990 წლამდე ევროპაში სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების მოცულობამ საგრძნობლად იმატა და შეადგინა წყლიწადში 300კგ-დან (იტალია) 500კგ-მდე (ფინეთი) ერთ სულ მოსახლეზე.

საქართველოში ზედაპირული წყლების ძირითადი დამაბინძურებელია კომუნალური სექტორი (ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების კანალიზაციის ჩამდინარე წყლები), ასევე დაბინძურების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს სამრეწველო ლო ობიექტები.

სულ, ჩამდინარე წყლებთან ერთად, საქართველოს ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩაშვებულია 11,8 ათასი ტონა ორგანული ნივთიერება (მათ შორის მდ. მტკვრის აუზში 8,9 ათასი ტონა, შავი ზღვის აუზში კი 2 878 ათასი ტონა), 151 ტონა ნაკონდპროდუქტები (მათ შორის მდ. მტკვრის აუზში 3 ტონა, შავი ზღვის აუზში კი 148 ტონა), 24 089 ათასი ტონა შეწონლი ნაწილაკები (მათ შორის მტკვრის აუზში 15 843 ათასი ტონა, შავი ზღვის აუზში კი 8 246 ათასი ტონა), 506 361 ტონა ამონიუმის აზოტი (მათ შორის მდ. მტკვრის აუზში 480 164 ტონა, შავი ზღვის აუზში კი 26 197 ტონა). [3]

სექტორების მიხედვით დაბინძურებული ჩამდინარე წყლების ჩაშვება ნაწილდღება შემდეგნაირად:

- წყალმომარაგება – კანალიზაციის სექტორი 344,1 მლნ მ<sup>3</sup> წყალი (ანუ 67%).

- თბოენერგეტიკა – 163,8 მლნ მ<sup>3</sup> წყალი (31%).

- მრეწველობა – 9,6 მლნ მ<sup>3</sup> წყალი (2%).

არანაკლებ სახიფათოა წყლის სითბური გაჭუჭყიანება. ტბებისა და მდინარეების წყალში მცხოვრები ფლორა და ფაუნა (ნელი წრებრუნვით) იღუპება იქ მოხვედრილი უხვი რაოდენობის ქიმიური ნივთიერებებით, მაგ., სასუქებით, სხვადასხვა ნარჩენებით და ა.შ. ქალაქის კანალიზაციიდან და მრეწველობის ნარჩენებიდან გროვდება დიდი რაოდენობის ორგანული მასა, რომლის სრწა იწვევს ჟანგბადის შემცირებას, გოგირდ-წყალბადის წარმოქმნას და დროთა განაბალობაში წყალსაცავი „კვდება“. წყალსაცავის დაბინძურების 1/3 მოდის დვარცოფებზე, რომელსაც ჩააქვს ჩამონარეცხი მინდვრებიდან და დასახლებული პუნქტებიდან.

ბევრი ზღვისპირა ქვეყანა ზღვებსა და ოკეანეებში მარხავს წარმოების ნარჩენებს, რადიაქტიულ ნივთიერებებს, საყოფაცხოვრებო ნაგავს. წარმოების შლაკები ხშირად შეიცავს მძიმე მეტალებს, რომლის 32-40% ორგანულ ნივთიერებებს წარმოადგენს და ხელს უწყობს მეტალების დაგროვებას ხსნად მდგომარეობაში. ამ ნივთიერებების ნაწილი წყალში იხსნება და აურესებს წყლის ხარისხს, უხსნადი ნაწილი კი იღებება, ამდვრევს წყალს და უცვლის მას ფერს.

განსაკუთრებით საჭიროა აღინიშნოს ზღვებში რადიოაქტიური ნარჩენების დამარხვის შესახებ, მათი დამარხვის მიზანია მათი იზოლირება დასახლებული პუნქტებისაგან იმდენი დროით, რა დროც არის საჭირო რადიოაქტიური ნივთიერების

დაშლისათვის. ეს მეოდი გამოყენებული აქვს მრავალ ქვეყანას.

ზღვაში დაგროვილი რადიოაქტიური ნივთიერება, რომელიც სპეციალურად არის იქ დამარხული ან ატომური გემჟბის კატასტროფის შედეგად არის დაგროვილი, იწვევს მსოფლიო თანამეგობრობის შეშფოთებას. პირველად ასეთი დამარხვა განახორციელდა 1946 წელს აშშ-მა წყნარ ოკეანეში 80 კმ დაშორებით კალიფორნიის ნაპირებიდან. ამასვე იყენებდა ინგლისიც. მყარი რადიოაქტიური ნარჩენების ჩაყრა თანდათან გახშირდა ატომური ელსადგურების გამრავლებასთან ერთად.

განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაშია ის ზღვები, რომლებშიც დამაბინძურებელი ნივთიერებებით დაბინძურებული მდინარეები ჩაედინება.

ამ მხრივ არასახარბიელო ეკოლოგიური მდგომარეობაა შავ ზღვაზეც. შავი ზღვის ეკოლოგიური მდგომარეობის შესასწავლად ინგლისელი ჰიდრობიოლოგის ლორენსისმის სელმდგვანელიბით სტამბულის ბაზაზე შეიქმნა შავი ზღვის გარემოს დაცვის პროგრამა 25 მლნ.-ანი ბიუჯეტით, რომლის მიზანი იყო შავი ზღვის მდგომარეობის გამოკვლეევა და მისი გასუფთავებისათვის დონისძიებათა დასახვა. ამ პროექტის რეალიზაციაში მონაწილეობა მიიღო ექსპერტების სახელმწიფო საქართველომ, რუსეთმა, უკრაინამ, რუმინეთმა, ბულგარეთმა და თურქეთმა.

შავ ზღვაზე შეიმჩნევა საგანგაშო ეკოლოგიური მდგომარეობა, მის ირგვლივ მდებარე თითქმის ათივე სახელმწიფოს მიერ ხდება სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები-დან დიდი რაოდენობით დამაბინძურებელი ბიოგენური ნივთიერებების ჩაშეება, თუ ათვლას დავიწყებთ ორმოცდაათიანი წლებიდან, თითქმის 10-ჯერ გაიზარდა შავ ზღვაში ჩაშვებული ნაგვის რაოდენობა.

ბუნებრივი წყლების სისუფთავის შენარჩუნებისათვის ბრძოლის გადაჭრა დაკავშირებულია მთელ რიგ სირთულეებთან და, პირველ რიგში, ჩამდინარე წყლების მოცულობის სიდიდესთან.

ბუნებრივი წყლების დამაბინძურებელი წყაროებია:

1. ატმოსფერული ნალექები, რომლებიც შეიცავს პაერი-დან ჩამორცებილ სამრეწველო პოლუტანტებს.

2. სამრეწველო ჩამდინარე წყლები, რომლებიც შეიცავს შავი მეტალურგიის, ქიმიურ, ხე-ტყის, ნავთობმრეწველობის ნარჩენებს.

3. ქალაქის ჩამდინარე წელები, რომლებიც შეიცავს საყოფაცხოვრებო ჩანადენს, დეტენგეტებს და სხვა დამაბინძურებლებს.

დამაბინძურებლები, რომლებიც შეიძლება აღმოჩნდეს სასმელ წელში:

**ნავთობი:** შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის ნავთობი წარმოადგენს ოკეანის ყველაზე მეტად გავრცელებულ და, ამავე დროს, ყველაზე მდგრად გამჭუქრიანებელს. ნავთობპროდუქტები სერიოზულ გავლენას ახდენს წელის გარემოსა და მის ბინადარზე. მსოფლიო ოკეანის წელებში ნავთობპროდუქტების ყოველწლიურმა მოხვედრამ ამჟამად მიაღწია 10 მლნ ტონას.

წელში მოხვედრისას ნავთობი გადაეკვრება წელის ზედაპირს თხელი აპის სახით (1 ტ ნავთობი ქმნის 12 კმ<sup>2</sup> აპკს). წელის ზედაპირზე წარმოიქმნება ემულსიური ფენა – ნავთობი/წელი, რომელიც ხელს უშლის აერაციას წელსა და ჰაერს შორის. აპის ქვეშ კველა ორგანიზმი იხსრობა. ფრინველებში ნავთობთან კონტაქტი იწვევს ბუმბულის შეწებებას.

გარდა ამისა, ნავთობის თხელი აპი, როგორც ფილტრი, თავს უყრის მთელ რიგ ტოქსიკურ ნივთიერებებს, პესტიციონებს, მძიმე მეტალებს, რომლებიც დიდ საშიშროებას წარმოადგენენ ბიოტის ცხოველმოქმედებისათვის.

მდინარეებიდან ზღვის წელებში ტოქსიკური ნივთიერებების მოხვედრამ შეიძლება გამოიწვიოს იქტიოფაუნის მასობრივი მოწამვლა. მაგ., 1965 წელს ქ. სქევენინგთან (ნიდერლანდები) სპილენძით მოწამვლის გამო რეგისტრირებულია თევზის მასობრივი დაღუპვა; 1969 წელს მდინარე რაინში (გვრ) თევზის მოწამვლა დაკავშირებულია წელში ქლორინებული პესტიციონების მოხვედრით. ბოლო დროს ორგანული ნივთიერებების დიდი ჯგუფი აღმოჩნდა ზედაპირულად აქტიურ ნივთიერებებში (ზან), ანუ დეტერგენტები. დეტერგენტები კარგად ისხნება წელში და ამიტომ შეიძლება დიდ მანძილზე იქნეს გადატანილი წელის დინებით.

ნავთობის ტოქსიკური ზეგავლენა ზღვის ბიოტაზე მეტად ძლიერი და მრავალფეროვანია. დაგიწყოთ იქიდან, რომ ნავთობის თხელი აპის არსებობა თითქმის ჩვეულებრივი მოვლენა გახდა მსოფლიო ოკეანის სანაპიროებისათვის, რაც წელის ზედაპირთან ახლო ფენებში მობინადრე თევზის ქვირითის დაღუპვისა პირდაპირი მიზეზია. ნავთობის აპი იზოლაციას უკუთებს ატმოსფეროს ჰაერის შესვლას წელის სიღრმეში. ნავთობი

მკვეთრად ცვლის ზღვის ორგანიზმების თანასაზოგადოებას და ამცირებს მათ ნაირგვარობას. ასევე ახდენს პათოლოგიურ ეფექტს, წარმოიქმნება სიმახინჯეები, სიცოცხლისუუნარო ფორმები, შეიმჩნევა ორიენტაციის დაღვევა, სასუნთქი სისტემის კანცეროგენიზმის გაზრდა. ყველაზე მეტად მგრძნობიარეა ახალგაზრდა თაობა – განვითარების აღრეულ სტადიაზე. და კოსტენისკის კვლევებით შავი ზღვის ნავთობით მეტად დაბინძურებულ რაიონებში აღმოჩნდა 80% სამრეწველო თევზის და დუპული ქვირითი [7].

ზღვების დაბინძურება ხელს უშლის თევზის მიგრაციას მათი ქვირითის დაყრისას, ასევე ბიოტის ქსოვილში მოხვედრილი მძიმე მეტალები საკვებად საშიში ხდება. ხამანწერის ორგანიზმში თუ არის მოხვედრილი მძიმე მეტალები, მისი საკვებად გამოყენება საშიშია, ის იწვევს შთამომავლობის აპარატის დაზიანებას, ფრინველები კარგავენ წყალზე თავის შეკავშირის უნარს და სწრაფად იღუპებიან გადაცივებისაგან.

პესტიციდები სასოფლო-სამუშაოებზე წარმოქმნან ხვდებიან წყალსაცავებში და წარმადგენენ ეკოლოგიური სისტემისათვის მაღალტოქსიკურ ნაერთებს. ქლორ-ორგანული პესტიციდები [DDT], როგორც მდგრადი ფიზიკურ-ქიმიური დაშლი-სადმი, მუდამ არის ზღვის წყალში. ასე მაგალითად, მათი კონცენტრაცია ატლანტის ოკეანის ჩრდილო ნაწილში აღწევს  $10^{-9}$ -  $10^{-10}$  გ/ლ.

ბუნებრივი გარემოს დაბინძურების შედეგად აღამიანის მიერ მოხმარებულ წყალში შეიძლება მოხვდეს როგორც შხამქიმიკების (პესტიციდების), ისე სასუქის სახით გამოყენებული ნივთიერებები დიდი რაოდენობა. მაგ., მილსადენის წყალში, რომელსაც იყენებს აშშ მოსახლეობა, აღმოჩნდა 50 სხვადასხვა პესტიციდი. გრუნტის წყალში აღმოჩნდილ კანცეროგენების 23 ორგანული ნაერთიდან 5 ლითონია, რაც გახვდება ნაგავსაყრელებზე, ტბორ-დამგროვებლებსა და მშთანთქავ ჭაბურღლილებში სამრეწველო ნარჩენების ხანგრძლივი შენახვის შედეგად.

ნაკელის (150-160 ჰ ჰექტარი) სისტემატიური გამოყენება იწვევს გამოყენებული წყლის დაბინძურებას, რაც აისახება აღამიანისა და მცენარის ქსოვილში ნიტრატული აზოტის შემცველობის მომატებაში.

ასევე დიდი ხნის დაგროვილი შახტის ნაფარი ქვები მიწისქვეშა წყლების მინერალიზაციის ხარჯზე (0,5 გ/ლ) იხსნება, მარილები გამოაქვს წყალს და აბინძურებს მას.

**მძიმე მეტალები** – მეტად საყურადღებოა მძიმე მეტალებით წყალსაცავების დაბინძურების შემთხვევები. ყველაზე მეტად გვხვდება კალიუმი, სპილენი, ვერცხლის წყალი. 0,001 მლ/გ კონცენტრაციაც კი მოქმედებს პლანქტონურ ორგანიზმებს. ყოველ- წლიურად ბიოსფეროში ხვდება 1,5-2 ათასი ტონა ვერცხლის წყალი, 3,5 ათასი ტონა ტყვია, 566 ათასი ტონა სპილენი.

გარემოში მძიმე ლითონები, მათ შორის მაღალტოქსიკური, ყველაზე ხშირად გვხვდება წყალსატევებში სამრეწველო ნარჩენების ჩაშვების დროს, რომლებიც არ არის სათანადოდ გაწმენდილი.

ადამიანისა და ცხოველის, ასევე მცენარისათვის მძიმე მეტალების ტოქსიკურობის ხარისხი თანაბარი არ არის. ისინი აზიანებენ ბიორბიჯებებს 1 მლგ კონცენტრაციის დროსაც კი. მაგ., კადმიუმის 0,001-0,3 მლგ კონცენტრაციის დროს თევზები იღუპებიან (ის მოქმედებს ღვიძლზე, თირკმელზე, კუჭქვეშა და ფარისებრ ჯირკვალზე).

**ტყვია** ყოველწლიურად ატმოსფეროში გამოიყოფა 1 მილიონი ტონა. დაბინძურების წყაროა ეთილიზებული ბენზინი და თამბაქოს ბოლო. სასმელ წყალში მისი არსებობის 0,04 მლგ კონცენტრაციის დროს ხდება ადამიანის ქრონიკული მოწამვლა.

გრელანძიაში ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ დახსნოვებით XVIII საუკუნის შუა პერიოდში წარმოქმნილ ყონულში ტყვიის შემცელობა 25-ჯერ უფრო მაღალი იყო, ვიდრე ჩ.წ.-ა. VIII საუკუნეში შექმნილ ყინულში. 1750 წლიდან ტყვიის დაგროვება გრელანძიის მყინვარებში მუდმივად იზრდებოდა, ხოლო XX ს. 40-იანი წლებიდან უფრო გაძლიერდა და გრძელდება დღესაც.

ტყვიის დაგროვებაში დიდ როლს ასრულებს მცენარეები, რომლებიც ტყვიას იღებენ არა მარტო ატმოსფეროდან, არამედ ნიადაგიდანაც. ტყვია ადმოჩნილია სალათის ფოთლებში, პარკოსნების ფოთლებში, კარტოფილსა და სტაფილოში. ტყვიით მოწამვლა იწვევს ცენტრალური ნერვიული სისტემის დარღვევას, თავის ტკივილს, მეხსიერების დარღვევას, ჰალუცინაციებს, თირკმელისა და მომნელებელი ტრაქტის დაზიანებას.

**ვერცხლის წყალი** – ვერცხლის წყალი და მისი ნაერთები ძლიერი მომწამვლელია. თუ ის მოხვდა სასმელ წყალში იწვევს სიკვდილს, დღე-ღამეში 75-300 მლგ სასიკვდილო (სულემა).

დამღუპველად მოქმედებს ვერცხლის წყალი თევზებსა და წყლის სხვა ორგანიზმებზე 0,006-0,01 მლგ იწვევს დამბლას, მსედველობისა და სმენის მოშლას.

ცნობილია მინამატას კურის (იაპონია) სანაპიროს მოსახლეობის მასობრივი მოწამვლა 1953 წელს ვერცხლის წყლით დაბინძურებული თევზისა და ზღვის სხვა პროდუქტების გამოყენების შედეგად. დაბინძურების წყაროდ იქცა ქიმიური ფაბრიკა, სადაც ვერცხლის წყალს იყენებდნენ კატალიზატორად. ამ კატასტროფამ მიიღო მინამატას კატასტროფის სახლებიდან, ხოლო მოწამვლამ მინამატას დაავადება.

ბუნებრივი წარმოშობის შსამები. წყალმცენარების მიერ გამოყოფილი შსამები დიდ როლს თამაშობს წყლის სარისხისა და ადამიანის ბიოლოგიურად სრულფასოვან ფორმირებაში.

ასევე შეიძლება ტოქსიკური ნივთიერებები გამოყოს პლანქტონმა. ადამიანთან ეს შეამო ხვდება პლანქტონში მობინადრე თევზების, ხამანწების, მოლუსკებისა და სხვათა ჭამით. ამიტომ უნდა ვიცოდეთ, რომ წყალსაცავიდან სასმელი წყალი არ ავიდოთ მისი სანაპირო (თხელი) ზედა ნაწილიდან სადაც პლანქტონი ვითარდება. ფიტოპლანქტონი ვითარდება როგორც მტკნარ, ისე მდაშე წყალში. ამიტომ საჭიროა თავიდან ავიცოლოთ ევტონიკაცია -ე.ი. წყალსაცავების ისეთი ნივთიერებებით დაბინძურება, რომლებიც წყალმცენარეებისათვის ქმნიან სასურველ გარემოს (მაგ., სასუქები).

უნგრეთის წყალსაცავიდან აღებული „აყვავებული“ წყლის ნიმუში გამოვლინდა ტოქსიკური ციანობაქტერიები, რომლის 200 მლგ/კგ თაგვებს კლავს 1 - 4 საათში.

საქართველოს წყლების დაბინძურების ძირითადი წყაროებია: საწარმოო და სამედიცინო დაწესებულებების ჩამდინარე წყლები.

დაბინძურების დიფუზური წყაროებია: სასოფლო-სამეურნეო ფართობებიდან და საყოფაცხოვრებო პოლიგონებიდან (ნაგავსაყრელებიდან) ჩამონადენები.

კომუნალური კანალიზაცია ზედაპირული წყლების ბაქტერიოლოგიურ დაბინძურებებს იწვევს, გარდა ამისა, ასეთ წყლებში იზრდება ორგანულ ნივთიერებათა და ფოსფატებით დაბინძურების ხარისხი. საქართველოში კველაზე მეტად არიან დაბინძურებული შემდეგი მდინარეები:

მტკვრის აუზში:

- მდ. მტკვარი ქ. გორის, ბორჯომის, თბილისის, რუსთავის ქვემოთ.

- მდ. ვერე ქ. თბილისის ფარგლებში.
- მდ. ალაზანი ქ. თელავის ქვემოთ.
- მდ. ალგეთი ქ. მარნეულის ქვემოთ.
- მდ. სურამელა ქ. ხაშურის ქვემოთ.

**კომუნალური კანალიზაციით დაბინძურებულია შავი ზღვის აუზი:**

- მდ. რიონი ქ. ქუთაისის ქვემოთ და ქ. ფოთის ფარგლებში.

- შავი ზღვის წყლები აჭარასა და აფხაზეთი.

ქვევნის წყლის რესურსებზე სერიოზულ უარყოფით გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობა და მინერალური სასუქების გამოყენება.

წყალსატევების ერთ-ერთი პოტენციური დამაბინძურებელია მეცხოველეობისა და მეფრინგველეობის ფერმებიდან გაუწმენდავი ჩამდინარე წყლები. როგორც ძველი, ისე ახლად შექმნილი ფერმები არ არიან აღჭურვილი ეფექტური გამწმენდი ნაგებობით, ნაკელის შემკრები და უტილიზაციის სისტემებით.

წყლის რესურსების დაბინძურების ერთ-ერთ ღიფუზზე წყაროს წარმოადგენს ქალაქების ნაგავსაყრელები და პოლიგონები. როგორც წესი, ისინი არ არიან აღჭურვილი მიწისქვეშა წყლების დაბინძურების თავიდან აცილების საშუალებებით.

საქართველოსათვის პრობლემატურია აგრეთვე ის ტრანსნაციონალური პროექტები, რომლებიც ამჟამად განხორციელების პროცესშია. ბაქო-თბილისი-ჯგუპის მშენებლობა ზრდის შიდაწყლების დაბინძურების რისკფაქტორებს როგორც თავად მშენებლობის პროცესში, ისევე მშენებლობის შემდეგ. ამ მხრივ საფრთხის ქვეშ არის ბორჯომ-ბაკურიანის წყალშემკრები ზონა და სოფელი დაგვარა, ასევე წალკის წყალსაცავი.

წყლის რესურსების ქიმიური ნივთიერებებით დაბინძურების წყაროს წარმოადგენენ ფარმაცევტული და კოსმეტიკური საწარმოები, საყოფაცხოვრებო ქიმია, ანუ ჰაუზპოლდები (სარეცხი ფხვნილები და სინთეტიკური საღებავები).

საქართველოში, საერთოდ ბოლო წლებში, ვერ ხერხდება წყლის დაბინძურების რეალური მონიტორინგი, რისი მიზეზიც სანიტარული სამსახურებისა და შესაბამისი საანალიზო ლაბორატორიების არასრულყოფილი ბაზა.

**თვითგაწმენდა –** წყლის რესურსები ხასიათდება შესანიშნავი თვითგანახლების უნარით.

პიდროსფეროს თვითგასუფთავება დაკავშირებულია ნივთიერების წრებრუნვასთან. წყალსაცავში იგი უზრუნველყოფილია იქ მობინადრე ორგანიზმის ცხოველმოქმედებით.

უკველი წყალსაცავი წარმოადგენს ცოცხალ ეკოსისტემას, სადაც არსებობენ მცენარეები, სპეციფიკური ორგანიზმები, მათ შორის ის მიკროოგანიზმები, რომლებიც მუდმივად მრავლდებიან და კვდებიან. თუ წყალში მოხვდა ბაქტერიები ან ქიმიური ნივთიერება, თვითგამწენდის პროცესი სწრაფად მიმდინარეობს და წყალდასატევი აღიდგენს პირვანდელ მდგომარეობას. წყალსატევის თვითგამწენდის პროცესი მრავალგვარი და მრავალფეროვანია. პირობითად იგი შეიძლება დავაჯგუფო ქიმიურ, ფიზიკურ და ბიოლოგიურ გაწმენდად.

ფიზიკურ ფაქტორში თვითგამწენდას განსაზღვრავს შემოსული დამაბინძურებლის განზავება და გახსნა. მდინარის სწრაფი დინება, უპირვევლეს ყოვლისა, გამჭუქურიანებელი მასის განზავებას (გადარევას) და კონცენტრაციის შემცირებას უწყობს ხელს. უხსნადი ნივთიერების დალექვა და დაწდომა უზრუნველყოფს წყალსაცავის გაწმენდას. ასევე მიკროორგანიზმები, სიმძიმის ძალით ან სხვა ნაწილაკებზე მიმარებით იღექმიან წყალსაცავის ფსკერზე და მერე მიდის სხვა პროცესი. ფიზიკური ფაქტორების ინტენსივობა ხელს უწყობს მიკროორგანიზმების სწრაფ განადგურებას. გამონაკლისს წარმოადგენს დაბალი ტემპერატურა. დაბალ ტემპერატურაზე, პირიქით, მიკროორგანიზმები და ვირუსები დიდხანს ინარჩუნებენ თვის თვისებებს.

არსებოთ თვითგამწენდ საშუალებას მიეკუთვნება მზის ულტრაიისფერი სხივები. ეს სხივები პირდაპირ სასიკედილოდ მოქმედებს პროტოკლაზმის ფერმენტებზე, ცილებსა და მიკრობების უჯრედებზე, ის მოქმედებს არა მარტო ბაქტერიებზე, არამედ სპორებსა და ვირუსებზე.

პიდროსფერო აერთიანებს ყველა თავისუფალ წყალს, რომლებსაც შეუძლიათ გადაადგილება მზის სხივური ენერგიისა და გრავიტაციის ძალით გადავიდეს ერთი მდგომარეობიდან მეორეში. დედამიწის წყლები მუდმივ, განუწყვეტელ მოძრაობაშია. წყლის წრებრუნვა აერთიანებს მთლიანობაში ბიოსფეროს ყველა ნაწილს და ქმნის ჩაკეტილ წრეს „ატმოსფეროდედამიწა-ოკეანე“. იგი უზრუნველყოფს წყალსაცავის აქტივობას, რომელიც პიდროსფეროს სხვადასხვა ნაწილში არაერთგვაროვანი ძალით იცვლება.

გამოთვლილია, რომ წყლის ბიოლოგიური წრებრუნვა ზღვების, ტბების, მდინარეების და ა.შ. 2 მილიარდ წელიწადში ერთხელ ხდება, სწორედ იმდენ ხანს, რაც სჭირდება მას გაიაროს პლანეტის ცოცხალ ორგანიზმში. ასე რომ, თანამედროვე პიდროსფერო არის პროდუქტი არა მარტო დღევანდელი ცოცხალი ორგანიზმების (ცხოველმოქმედებისა, არამედ ასევე გარდასული გეოლოგიური კარქების პროდუქტიც.

დედამიწაზე წყალი განიცდის მუდმივ მოძრაობას, მდინარეებში წყლის ცვლა მიმდინარეობს საშუალოდ წელიწადში 30-ჯერ, ე.ი. ყოველ 12 დღეში. გამდინარე ტბების წყლები იცვლებიან ყოველ ათწლეულში, ხოლო გაუმდინარის 200-300 წელიწადში. მსოფლიო ოკეანის წყლის განახლება საშუალოდ 3000 წელიწადში ერთხელ ხდება.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ბუნებათდაცვითი ამოცანაა – შევუნარჩუნოთ პიდროსფეროს თვითგაწმენდის უნარი.

**წყლის რესურსების დაცვა** – ამრიგად, წყლის რესურსებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის ხელსაყრელი საყოფაცხოვრებო პირობების უზრუნველსაყოფად, ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირების, გარემოს შენარჩუნებისათვის და ა.შ. აქედან გამომდინარე, მოსახლეობის, მრეწველობის, ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის წყლით უზრუნველყოფა იყო და ამჟამადაც არის ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანა ქვეყნის ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ წყლის უცმარისობა (მსოფლიოში ორ მილიარდზე მეტი ადამიანი განიცდის წყლის უკმარისობას, მათზე მოდის დავაადებათა და სიკვდილიანობის 80%) არ არის დამოკიდებული დედამიწაზე წყლის რესურსების სიმცირეზე და არც წყლის ბუნებრივი წრებრუნვის შეფერხებაზე. ძირითადი საკითხი ის არის, თუ როგორ მოიხმარს ადამიანი და როგორ უფრთხილდება მას. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში შექმნილი წყლის საერთო დაფიციტს ადგილი აქვს მისი წყაროების თანდათანობითი დეგრადაციისა და დაბინძურების გამო.

წყლის რესურსების მართვა საქართველოში კანონებით: „გარემოს დაცვის შესახებ“, „წყლის შესახებ“, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“, „საქართველოს ზღვების, წყალსაცავებისა და მდინარეთა ნაკირების რეგულირების და საინჟინრო დაცვის შესახებ“, გარემოს დაცვის სამინისტროს ნორმატიული აქტებით რეგულირდება.

წყლის რესურსების მართვის ნაწილია წყლის რესურსების (ზღვების, მდინარეების და წყალსაცავების) დაცვა გაჭუჭყიანებისაგან. წყლის გაჭუჭყიანებასთან ბრძოლა არ უნდა ავურიოთ წყლის გასუფთავებასთან. წყლის გასუფთავება წარმოადგენს წყლის გამოსაყენებლად მომზადების პროცესს საყოფაცხოვრებო ან სამრეწველო მიზნებისათვის. ჩამდინარე წყლების გასუფთავების მიზანია წყლის ობიექტების დაცვა გაჭუჭყიანებისაგან, რათა შეიძლებოდეს მათი გამოყენება სასმელად, სამურნეო საქმიანობისათვის.

წყლის დაცვის დონისძიებათა დაგეგმვისას და განხორციელების დროს უზრუნველყოფილი უნდა იყოს წყლის ობიექტები დანაგვიანების, დაბინძურების, დაშრეტის და სხვა უარყოფითი ზემოქმედებისაგან, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაქმოს მოსახლეობის ჯანმრთელობას, შეამციროს თვეზის მარაგი, გააუარესოს წყალმომარაგების პირობები და გამიწვიოს წყლის ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური თვისებების გაუარესება, ბუნებრივი თვითგამჭვნდის უნარის დაქვეთება, წყლის პიდროლოგიური და პიდროგეოლოგიური რეჟიმის დარღვევა და სხვა.

წყლის დაცვის რეჟიმის დარღვევება – წყლის სხვადასხვა სახის დაბინძურება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა კოდექსის მიხედვით ისჯება შესაბამისი ჯარიმით (მუხლი 58).

ბრძოლა გაჭუჭყიანებასთან მიმართულია მისი თვისებების აღდგენისაკენ, რომელიც დაკარგული აქვს გამოყენების დროს, მერე ეს წყალი შეიძლება ჩავუშვათ ისევ ბუნებრივ წყალსატევში.

არჩევენ 2 სახის გამჭუჭყიანებელს:

1. ქალაქები, რომელთა ჩამდინარე წყლები ხვდება ბუნებრივ წყალსატევებში კანალიზაციის მილებით. ასეთ წყლებს „სტაციონარულს“ ანუ წერტილოვანს უწოდებენ.

2. მეორე სახის გამჭუჭყიანებელები ახასიათებს სოფლებს. ამ შემთხვევაში ჩამდინარე წყლები ბუნებრივ წყალსაცავებში ჩაედინება ფართო ზედაპირით. შეიძლება ეს იყოს მდინარის, ტბის ნაპირი. მათ ხახოვან ანუ არაწერტილოვანს უწოდებენ.

ცალკე შესწავლის საკითხია ნაკობით დაბინძურებული ზღვებისა და ნიადაგების გასუფთავება.

ბოლო წლებში ნავთობით და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებამ პროგრესული ხასიათი მიიღო, რაც უკავშირდება ნავთობპროდუქტების გამოყენების ზრდის მასშტაბებს.

ნავთობის მოპოვება წყალმარჩხს (ჟელფურ) ზოლებში ყოველწლიურად იზრდება. იზრდება ნავთობმზიდი ტანკერების რაოდენობაც, იზრდება ტექნიკური ავარიებიც არა მარტო საბადოებსა და ტანკერებზე, არამედ წყალქვეშა მიღლსადენებზეც. ყოველწლიურად იღვრება რამდენიმე მიღლიონი ტონა ნავთობი, მისი ფენა ათასობით კვადრატულ კილომეტრზე გრცელდება.

ნავთობპროდუქტები სხვადასხვა გზით ხვდებიან ზღვებში. ერთ-ერთი დაბინძურების წყაროა ნავთობმზიდი ტანკერები. მაგ., გრანდიოზული ავარია ტანკერ „AMOKO KADAK“-ზე 1978 წ. ბრუტანსა და კუნძულ უესანს შორის. რის შედეგადაც ვოწრო სანაპიროს წყლის ზოლი 50-60 მეტრის სიღმეზე ნავთობით დაბინძურდა და მისი გასუფთავება 65 მლნ დოლარი დაჯდა. ბოლო 10-15 წლის განმავლობაში უამრავი ტანკერის ავარია აღინიშნა.

მდინარეებით და სხვა ზედაპირული წყლებით მსოფლიო ოკეანში ხვდება 6 მილიონი ტონა ისეთი სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენები, რომლებიც ნავთობპროდუქტებს შეიცავს.

ოფიციალური მონაცემებით [7], საზღვაო სამთომომპოვებელი წარმოების ერთი წლის მთლიანი პროდუქცია შეფასდა 60-70 მილიარდ დოლარად, ნავთობის გადაზიდვა საზღვაო ტრანსპორტით კი იძლეოდა 40 მილიარდ დოლარს, ხოლო ამ დროს დაღუპილი თვეზე (ეს ცილოვანი საპეტიო, რომლის უპმარისობა მრავალი განვითარებადი ქვეყნის ბავშვებში, განსაკუთრებით საბავშო ასაკში, ხშირ შემთხვევაში, იწვევს მოურნებულ გონიეროვან ჩამორჩენილობას ან იხოცებიან შიძმილის გამო) შეფასდა 10 მილიარდ დოლარად.

ცნობილია, რომ ცხოველურ ცილებს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ადამიანისათვის და მსოფლიო კაცობრიობის მიერ მოხმარებული ცილების 1/6-ს თვეზი იძლება. ცნობილია ისიც, რომ ზღვის ბიოპროდუქტიულობა თანდათან მცირდება, რისი მიზეზიც ზღვებისა და ოკეანების ნავთობით დაბინძურებაა, რომელიც ზღვებში იღვრება მისი ტრანსპორტებისა და წყალმეჩერ ზონებში ნავთობმომპოვებელი სამუშაოების ჩატარების დროს. მიუხედავად სასიცოცხლო მნიშვნელობის ცილოვანი პროდუქტის (თვეზის) დიდი რაოდენობით დანაკარგებისა, ნავთობით ზღვების გაჭუჭყიანება და შესაბამისად ზღვის ბინადართა რაოდენობის შემცირება თანდათან მატულობს.

რადგან მრეწველობის საქმიანობის მომგებიანმა სფეროებმა მნიშვნელოვნად გაუსწრო წინ გარემოს დაცვით მეცნიერებებს და პრაქტიკული საქმიანობის სფეროებს, რომლებსაც დღესვე არ მოაქვთ მოგება, ამიტომ, წმინდა ეკონომიკური მიდგომა საჭიროა შეიცვალოს ეკოლოგო-ეკონომიკური მიდგომით. ფასი, გამოხატული ფულად ერთეულში, და ადამიანის სიცოცხლის მნიშვნელობა ამ და მსგავს შემთხვევებში მკვეთრად განსხვავებულია.

ნავთობით გაძუშვიანებული წყლების გასუფთავება წარმოებს სხვადსხვა წესით. გამოყენებულია როგორც ქიმიური, ისე ფიზიკური და მექანიკური მეთოდები მაგ., დისპერგენტების ზემოქმედებით, მმიმე ფრაქციის დალექცა. ჰიდრობიოლოგიური მეთოდი გამოიყენება წყლის ზედაპირზე ნავთობის დაწვით. ქიმიური დაშლა, აორთქლება და სხვა. არსებობს სპეციალური „ბუნების დამცავი ფლოტი“. მაგ., ჯერ კიდევ 1981 წელს შავ ზღვაზე იყო გამოცდილი „სვეტლომორი“, გემი, რომელიც ასუფთავებდა წყლის ზედაპირს ნავთობისაგან, რომლის მწარმებლურობა დღვ-დამეში იყო 400 ტონა ნავთობის გაწმენდა.

როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, ნავთობის მექანიკური შეგროვება უფრო ეკოლოგიური და ეკონომიურია, რადგან არა ვითარი გარანტია არ არსებობს იმისა, რომ ქიმიური დამშლელები არ გამოიწვევს რაიმე ტოქსიკურ ზემოქმედებას ზღვის იქტიოცენოზზე, გარდა იმისა, რომ ამ დროს იკარგება ძვირფასი ნედლეული (ნავთობი).

მიუხედავათ იმისა, რომ ყოველა დონისძიება ტარდება ზღვების გაძუშვიანებისაგან დასაცავად, ყველაზე კარგ დამცავ საშუალებად მაინც გაფრთხილება მიიჩნევა. ამიტომ არის საჭირო წარმოების უნარების ტექნოლოგიის გამოყენება, ჩაკუტილი წრის ტექნოლოგიის დანერგვა და სხვა.

ზედაპირული წყლების ძირითადი დამბინძურებელი, როგორც აღვნიშვნთ, კომუნალური სექტორია (ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების კანალიზაციის ჩამდინარე წყლები). დღევანდელი მდგომარეობით არც ერთ ნაგებობას არ შეუძლია საპროექტო ხარისხის შესაბამისად უზრუნველყოს ჩამდინარე წყლების გაწმენდა. წყლის ბიოლოგიური გაწმენდა არც ერთ ქალაქში არ ხდება, ხოლო პირველადი მექანიკური გაწმენდა ხდება ქ. თბილის-რუსთავის რეგიონში გამწმენდ ნაგებობაზე. აქედან გამომდინარე, შედეგად ზედაპირული წყლის ობიექტებში მნიშვნელოვანი დაბინძურებება აღინიშნება.

კანალიზაციის ცენტრალიზებული სისტემები საქართველოში 45 ქალაქშია აშენებული, მაგარმ ისინი არადამაკმაყოფილებელ ტექნიკურ მდგრამარეობაში იმყოფებიან, კომუნალური გამწმენდი ნაგებობები აშენებულია 33 ქალაქში, საერთო-საპროექტო სიმძლავრით 1640,2 ათასი მ<sup>3</sup>/დღ. ბიოლოგიური ტიპის გამწმენდი ნაგებობები აშენებულია 26 ქალაქში საპროექტო სიმძლავრით 1476,6 ათასი მ<sup>3</sup>/დღ.

ძირითადი გამწმენდი ნაგებობა აშენებულია 1972 – 1986 წწ.-ში. დღეისათვის ვერც ერთი გამწმენდი ნაგებობა ვერ უზრუნველყოფს ბიოლოგიურ გაწმენდას.

როგორც ადგნიშვნეთ, საქართველო მდიდარია წყლის რესურსებით. საქართველოს უმეტესი მდინარეები, ნაკადულები, წყაროები სათავეებს იდგბს საქართველოს მთებში, კარის უზრად სუფთა გარემოში, ამიტომ თავიდან ისინი არ არიან დაბინძურებულები და არ საჭიროებენ დაცვის გამჭუჭყიანებლებისაგან, რამაც ხელი შეუწყო ბოლო წლებში „წყლის ბიზნესის“ გააქტიურებას. დღეისათვის ათასობით ლიტრი მტკნარი და მინერალური წყალი გადის საქართველოდან ექსპორტზე.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სასმელი წყალი გადის ექსპორტზე, საქართველოს მთელ რიგი რეგიონები სასმელი წყლის დეფიციტს განიცდის, რაც არა წყლის რესურსების სიმცირის შედეგია, არამედ მათი არარაციონალურად გამოყენებისა. გ. გაჩერილადის მიხედვით, ოუ ცივილიზაციული ქავების დიდ ქალაქებში ერთ სულ მოსახლეობა დღე-დღამეში 300-500 მ<sup>3</sup> წყალი ისარჯება, ეს მაჩვენებელი თბილისში 1300 მ<sup>3</sup> უტოლდება (ეს უზარმაზარი ნაკადი შემოდის თბილისში და მერე დანგრეულ, დაუანგრეულ სისტემებში იკარგება) [5]. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოს ბევრ დასახლებულ პუნქტამდე და სოფლამდე არ არის მიყვანილი სასმელი წყლის მიღსადენები.

წყლის რესურსების დაცვა ნიშანვს, მოინახოს ბუნებაში ის ზღვარი, რომელსაც არ უნდა გადავაბიჯოთ, რათა წყალმა მოახერხოს ბუნებისაგან მინიჭებული თვითგაწმენდის უნარის განხორციელება. უნდა დადგინდეს, როგორია ამა თუ იმ ბუნებრივი ჩამდინარე წყლის ის მაქსიმალური რაოდენობა, რომლის ათვისებაც არ შეუძლიათ, რათა იგი არ გადაიქცეს ბოროტების მატარებელ წყალვარდნილად. მთავარია, წყლის ხარჯი მუდმივად არ აღემატებოდეს მისი რეზერვების შევსების სიჩქარეს.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. www.financial.ge/.../ 1618
2. www.kalmaxi.ge – საქართველოს აკვაკულტურის განვითარების ზოგადი –  
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – წყლის რესურსები 2010წ.
4. www.icode.ge/2012/04/ საქართველოს წყლის რესურსები.
5. ო. გუგუშვილი. მწვანე ალტერნატივა. 2007.
6. Чиков. Минеральные ресурсы ложа Мирового океана. М., 1983.
7. А. Амстиславский. Плюс море культуры. ж. ЧиП, №11, 1985.
8. Боголюбов. Экология. М., 1997.
9. А. Авакян. Неиссякаемый источник. ж. ЧиП, №9, 1983.

*Tina Chkheidze*

*Lia Dvalishvili*

### THE PROBLEM OF WATER RESOURCES AND ITS SOLUTIONS IN GEORGIA

#### Annotation

The article shows the importance of water resources to improve the well-being of mankind. Where there is no water there is no life. In recent decades, the world has been drinking water shortage.

The article shows that the water shortage is not caused by a lack of water resources, but the pollution of water resources and its drain. Therefore, the water is unsuitable for domestic use. Pollutants are given in references.

The article discusses the types of water pollution and the ways and methods of cleaning water resources. Provision of population with drinking water was and is the country's primary task.

**ლინა დათუნაშვილი**  
**სასურსათო უზრუნველყოფის ზოგიერთი პარტნერი**  
**საქართველოში**

ისტორიული გამოცდილებით დასტურდება, რომ სასურსათო პრობლემის გადაჭრა, როგორც ადამიანების ფიზიკური გადარჩენის პირობა, გვევლინება ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად, რომელიც ხელს უწყობს ცალკეული ქვეყნის სოციალური და ეკონომიკურ-პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფას, რამდენადაც სურსათი წარმოადგენს ადამიანის სასოციალურო უზრუნველყოფის მთავარ კომპონენტს. კაცობრიობის ისტორიას ახსოვს პერიოდები სტიქიური უბედურების და რიგი მიზეზების გამო, სხვადასხვა ქვეყანაში მძვინვარე შიმშილობის შედეგად როგორ ნადგურდებოდა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში მსოფლიოში მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის გარკვეული გაუმჯობესება შეიმჩნევა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოშიმშილეთა რაოდენობა თანამედროვე მსოფლიოში უკიდურესად მაღალია. ამგვარად, სასურსათო პრობლემა ერთ-ერთი უძველესია კაცობრიობის გლობალურ პრობლემათა შორის, რამდენადაც შიმშილი, ამ პრობლემის უკიდურესი გამოვლენა და დიდი სოციალური უბედურება, ადამიანებისათვის ცნობილი იყო უძველეს დროშიც.

მიუხედავად იმისა, რომ პრობლემა საუკუნეების მანძილზე არსებობდა, სასურსათო უსაფრთხოება, როგორც კაცობრიობისათვის ახალი გამოწვევა, მსოფლიო საზოგადოების მიერ აღქმული იქნა მხოლოდ გასული საუკუნის 70-იან წლებში. ტერმინი სასურსათო უსაფრთხოება შედარებით ახალია, იგი საერთაშორისო არენაზე იმ პერიოდში გამოჩნდა, როდესაც განვითარებულ ქვეყნებში სურსათის ჭარბი წარმოება შეინიშნებოდა, ხოლო განვითარებად ქვეყნებში შიმშილი სუფესია. ამ ფონზე ჩამოყალიბდა კაცობრიობისათვის ახალი საშიშროება, რომელიც გლობალურ ხასიათს იღებდა. იმის გამო, რომ პრობლემა გასცდა ცალკეული ქვეყნის ეროვნულ საზღვრებს, იგი საერთაშორისო საზოგადოების განხილვის საგნად იქცა [7].

1974 წლის დეკემბერში გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მოიწონა სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მიერ შემუშავებული საერთაშორისო ვალდებულება მსოფლიოში სასურსათო უზრუნველყოფის შესახებ, სადაც ტერმინი

„სასურსათო უსაფრთხოება“ ასევა განმარტებული: მსოფლიოს ყველა მცხოვრების გარანტირებული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მსოფლიო სასურსათო რესურსებზე იმ ოდენბით, რომელიც აუცილებელია აქტიური და ჯანსაღი ცხოველებისათვის.

1994 წლის გაეროს განვითარების პროგრამაში ტერმინი „სასურსათო უსაფრთხოება“ აღნიშნავდა კვების ძირითადი სახის პროდუქტებზე ხელმისაწვდომობას, რაც ითვალისწინებდა როგორც კვების პროდუქტების აუცილებელი რაოდგნობით არსებობას, ისე მათზე მოსახლეობის საკმარისი მსყიდველუნარიანობის შესაძლებლობას [5].

1996 წლის ნოემბერში მიღებულ იქნა რომის დეკლარაცია მსოფლიოს სასურსათო უსაფრთხოების შესახებ, რომელმაც დაადასტურა „თითოეული ადამიანის უფლება სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო სრულფასოვანი საკვები პროდუქტების ხელმისაწვდომობაზე, თითოეულის ადეკვატური კვების და სიცოცხლის ძირითადი უფლების შესაბამისად“ [6].

ვფიქრობთ, ცალკეული ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება გათვლილი უნდა იყოს კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალზე, მის ბუნებრივ კლიმატურ პირობებზე, ინფრასტრუქტურის რეალურ მდგომარეობაზე და მოსახლეობის კვების ტრადიციაზე. გარდა ამისა, შეიძლება გამოიყოს სასურსათო უსაფრთხოების ზოგიერთი კომპონენტი, რომელიც უფრო კარგად დაახასიათებს პრობლემის რეალურ სურათს, ესენია: ქვეყნაში სურსათის წარმოება და მოხმარება, ქვეყნის სასურსათო დამოუკიდებლობა, სასურსათო პროდუქტებით უზრუნველყოფის ხარისხი და იმპორტის მდგომარეობა, ასევე საკვები პროდუქტების ხარისხი და მათი ეკოლოგიური უსაფრთხოება. ასეთი მიღგომით შესაძლებელია უფრო უკეთ გაფანანალიზოთ სასურსათო უსაფრთხოების და შესაბამისად სასურსათო უზრუნველყოფის ეროვნული ხასიათი, რამდენადაც ეროვნულ დონეზე სასურსათო უსაფრთხოების უმნიშვნელოვანეს ინდიკატორს სურსათით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი წარმოადგენს, ეს უკანასკნელი კი ასახავს ამ ქვეყნის მოსახლეობის სურსათზე მოთხოვნილების დაქმაყოფილებას ადგილობრივი რესურსების მაქსიმალური გამოყენების ხარჯზე.

განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ქვეყანაში თანმიმდევრული აგრარული პოლიტიკის გატარებით შესაძლებელია სასურსათო უსაფრთხოების და შესაბა-

მისად სასურსათო უზრუნველყოფის მიღწევა, რაც სოფლად ფერმერთათვის ხელსაყრელი პირობების შექმნისა და იმპორტჩანაცვლებადი სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების განვითარებით იქნება შესაძლებელი.

სასურსათო უზრუნველყოფის პრობლემა ორი ასპექტით შეიძლება წარმოშვას: ესაა ფიზიოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური; პირველ შემთხვევაში, სასურსათო პროდუქტების გამოხატული დაფიციტის პირობებში, ადამიანის მიერ მოხმარებული სურსათო ისეთი მცირე და არაგალორიულია, რომ იგი ნაწილობრივ ან სრულად ვერ აღადგენს მის მიერ დახარჯულ ენერგიას. ასეთ პირობებში ადამიანი შიმშილობს და თუ ეს პროცესი ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს, მაშინ იგი იწვევს ადამიანის ორგანიზმის ცვეთას, დაუძლეურებას, დეგრადაციას და სხვა. ამ სახის სასურსათო პრობლემის წინაშე დგას როგორც განვითარებადი ქვეყნების, ისე საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რადგან ქვეყანაში შექმნილია ერთგვარი ჩაკეტილი წრე: წარმოების დაცემა – რეალური შემოსავლების შემცირება – უმუშევრობა, სიღარიბე და, აქედან გამომდინარე – შიმშილი. მეორე შემთხვევაში, სასურსათო უზრუნველყოფის სოციალურ-ეკონომიკური ასპექტი ვრცელდება როგორც განვითარებული ქვეყნების მოსახლეობაზე (განსაკუთრებით იმ ნაწილზე, რომლებმაც დროებით ან სუდ დაკარგეს სამუშაო, გახდნენ დაბალ შემოსავლიანები და შესაბამისად, ნაკლებმსყიდველუნარიანები), ისე საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილზე, რადგან ქვეყანაში მიმდინარე სოციალური და ეკონომიკური პროცესების ფონზე ადგილი აქვს მოსახლეობის ცხოვრების დონის დაქვეითებას, რის გამოც დარღვეული, გაუარესებული და შეცვლილია მოსახლეობის მოხმარების სტრუქტურა. თუ ადრე საქართველოში მოსახლეობის უდიდესი ნაწილის შემოსავლები თითქმის თანაბრად ნაწილდებოდა სურსათით უზრუნველყოფაზე, გრძელვადიანი საქონლის შექმნასა და დაგროვებაზე, დღეისთვის შემოსავლების უდიდესი ნაწილი ხმარდება სურსათის შექმნას, ხოლო მნიშვნელოვნად შემცირებულია გრძელვადიანი საქონლის შექმნა და დაგროვება. ეკონომიკის დაქვეითების გამო შემცირდა პირველადი მოხმარების საგნების წარმოება და გაიზარდა აღნიშნული საქონლის იმპორტი, რის გამოც მოსახლეობის ფულადი სახსრები ძირითადად უცხოური პროდუქციის შესყიდვას ემსახურება და იმპორტიორი ქვეყნის მოსახლეობის დასაქმებას უწყობს ხელს.

სასურსათო პრობლემა გლობალურ პრობლემათა კატეგორიას განეკუთვნება, რომლის შერბილება მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებთან. იმის გამო, რომ პრობლემა გლობალურია და თითოეულ ქვეყანაში მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესების შესწავლა გარკვეული ზომით აუცილებელია განხილული იქნეს მსოფლიო სისტემის განვითარების ძირითადი ტენდენციებისა და თავისებურებების კონტექსტში, ვფიქრობთ, პირველ რიგში ეროვნულ დონეზე უნდა გავაანალიზოთ და კომპლექსურად შევაფასოთ საქართველოში სასურსათო უსაფრთხოება, მთხოვთ უზრუნველყოფის და ამ პრობლემის შერბილების ზოგიერთი მიმართულება.

საქართველოში სოფლის მეურნეობა ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტული დარგია, რამდენადაც იგი უზრუნველყოფს ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნას სურსათზე და მრეწველობისას – ნედლეულზე. ცნობილი მიზეზების გამო (სამხედრო, ეკონომიკური და სოციალური პროცესები) დარგი ჯერ კიდევ არ არის გამოსული კრიზისული მდგომარეობიდან. ამასთან ერთად სოფლის მეურნეობაში არსებულ მდგომარეობაზე მოქმედებს რიგი ფაქტორები: მეურნეობები დაქუცმაცებული და ნატურალური ხასიათისაა. შეინიშნება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სიმცირე და საწვავ-საცხები მასალების მაღალი ფასი, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს არსებული ტექნიკის გამოყენების დაბალ დონეს. ასეთ პირობებში მაღალია სოფლად ხელით შრომის ხვედრითი წილი, შეზღუდულია ფერმერთა ფინანსური შესაძლებლობები და სხვა.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის პირველ ეტაპზე თანდათან დაიწყო საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრება. ეს პროცესი სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაშლისა და პრივატიზაციის გზით მიწის კერძო საპუთრებაში გადაცემით დაიწყო. განხორციელდა მიწის რეფორმა, მაგრამ მიწის რეფორმა მოუმზადებლად წარიმართა და ნაჩქარევად ჩატარებული მიწის პრივატიზაციის შედეგად, მიწაზე კერძო საკუთრების დამკვიდრებით აგრარულ სექტორში წლების მანძილზე ეფუქტიანი საბაზრო ინსტიტუტების შექმნა ვერ მოხერხდა, დანაწევრდა მიწის ფართობები, რაც სასაქონლო ფერმერული მეურნეობების განვითარების შესაძლებლობას არ იძლევა.

მოსახლეობის რაოდენობა და მათი სურსათით უზრუნველყოფის პრობლემა მჭიდროდ უკავშირდება მიწის რესურსების გამოყენების საკითხს, კერძოდ, მოსახლეობის სურსათზე მოთხოვნილების გადიდება მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობის ზრდას, რაც ორი მიმართულებით შეიძლება განხორციელდეს: ექსტენსიური, ანუ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობების გადიდებით და ინტენსიური – ერთსა და იმავე მიწის ფართობზე მეტი მინერალური და ორგანული სასუქების, ტექნიკისა და სხვა საშუალებების გამოყენებით, რაც ორივე შემთხვევაში გარემონტირდება.

სასურსათო უზრუნველყოფის ძირითადი რესურსის – სახნავი მიწის ფართობი ქვეყანაში ყოველწლიურად მნიშვნელოვნად მცირდება, რასაც ხელს უწყობს:

1) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება;

2) წყლისმიერი და ქარისმიერი ეროვნის გამო სახნავი მიწების სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან ამოღება;

3) საირიგაციო და სამელიორაციო სამუშაოების დაბალი დონე, რის გამოც ადგილი აქეს წყლის რესურსების დეფიციტს, სარწყავი ფართობების შემცირებას და სხვა. ამას ემატება სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობების დიდი მასშტაბით ბინამდებლობის, გზების და სხვა დანიშნულებით გამოყენება. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების კატეგორიაში გადაყვანა და შემდეგ ასეთი მიწების გასხვისების ფაქტები, რამაც ფართო მასშტაბი მიიღო და დღისთვის დიდ პრობლემას წარმოადგენს ისეთი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა.

2003-2012 წლებში 561,7 ათასი ჰა-დან 259,6 ათას ჰა-მდე შემცირდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნაოესი ფართობი ყველა კატეგორიის მეურნეობაში. მათ შორის მარცვლოვანი კულტურების (ხორბალი, ქერი, ჭვავი, სიმინდი, პარკოსანი კულტურები) ნაოესი ფართობი 184,1 ათასი ჰა-თი; კარტოფილისა და ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებისა 34,6 ათასი ჰა-თი; სხვა კულტურებისა 34,9 ათასი ჰა-თი; შესაბამისად იკლო ერთწლიანი კულტურების წარმოებამ ყველა კატეგორიის მეურნეობაში (ათასი ტონა) ხორბალი – 144,7; ქერი – 27,5; შვრია – 4,6; სიმინდის მარცვალი – 194,2; ლობიო – 3,6; ბაღჩეული კულტურები – 88,3; კარტოფილი – 173,2. მრავალწლიანი ბალახები – 98,9; ერთწლიანი ბალახები – 43,0.

საქართველოში სასურსათო უზრუნველყოფაზე მოქმედებს მრავალი ფაქტორი:

1. ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობა, რომელიც 2003-2013 წლებში 148 ათასით გაიზარდა.

2. მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურაში სოფლის მეურნეობის, მეტყველეობის, ნადირობისა და ოკუპაციის წილი, რომელმაც 2003-2012 წლებში 19,2%-დან 8,4%-მდე იკლო.

3. სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვებაში აღნიშნულ წლებში შემცირდა მემცნიარეობის ხვედრითი წილი 52%-დან 37%-მდე, ხოლო მეცხოველეობის ხვედრითი წილი 48%-დან 59%-მდე გაიზარდა.

4. აღნიშნულ პერიოდში თითქმის განახევრდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების წილი ოჯახური მეურნეობების ფულად შემოსავლებში შესაბამისად 14,4%-დან 5,9%-მდე.

5. იმავე პერიოდში დაფიქსირდა სასურსათო პროდუქტების საშუალო წლიური ფასის მატება (ლარი კგ-ში) ძრობის ხორცზე – 7,1; ღორის ხორცზე – 7,2; მოხარშულ ძეხვზე – 2,6; გაყინულ თევზზე – 2,3; იმერულ ყველზე – 4,1; ხორბლის ფეხილზე – 0,7. ასევე ზრდის ტენდენცია შეინიშნება კარტოფილის, კომბოსტოს, ხახვის, ვაშლისა და ხმელი ლობიოს ფასებში.

სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ფასების ზრდამ მნიშვნელოვნად განაპირობა 2003-2012 წლებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვების გადიდება (მიმდინარე ფასებში) 585,3 მლნ ლარით.

საქართველოში მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება ყველა კატეგორიის მეურნეობაში 2003-2012 წლებში შემცირდა – ხორცი დაკლული წონით (ათას ტონობით) – 60,9; რძე – 176,6; კვერცხი – 34,1; მატყლი – 0,2 ათასი ტონით. აღნიშნულ პერიოდში შემცირდა (ათასი სულით) მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა 113,7; ღორისა – 269,5; თხის – 39,0; ყველა სახის ფრინველის – 3041,5. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოდან 2010-2011 წლებში განხორციელდა 28,3 მილიონ დოლარზე მეტი ღირებულების ცხვრის რეალიზაცია, მისი სულადობა 2012 წელს 2003 წელთან შედარებით 59,4 ათასი სულით გაიზარდა, ასევე გადიდდა ფუტბოლის ოჯახის რაოდენობა 214,3 ათასი სკოთ, რაც კარგი ტენდენციაა. ამასთან, ქვეყანაში არამარტო დაბალია ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა,

არამედ ეს მაჩვენებლები შემცირების ტენდენციით ხასიათდებიან.

შემცენარეობისა და შეცხოველეობის პროდუქციის წარმოების რეალური მდგომარეობის ანალიზით ირკვევა, რომ ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი პარამეტრები დაბალია და წლების განმავლობაში შემცირების ტენდენციით ხასიათდება, რის საფუძველზეც შეიძლება აღვიშნოთ, რომ საქართველოში სასურსათო სექტორი დღეისათვის ვერ უზრუნველყოფს იმ რაოდენობის პროდუქტების წარმოებას, რომელიც დააკმაყოფილებდა მოსახლეობის კვების ფიზიოლოგიური ნორმებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ქვეყანაში არსებული სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გამო მოსახლეობის დიდი ნაწილის დაბალი შემოსავლები ვერ უზრუნველყოფს სამამულო წარმოების სურსათზე გადახდისუნარიანი მოთხოვნის საქმარის დონეს. ქვეყანაში იმპორტირებული სურსათი და კვების პროდუქტები უმეტესწილად სუბსიდირდება იმპორტიორი ქვეყნების მიერ, რის გამოც მნიშვნელოვანია ადგილობრივი საქონელმწარმოებელთა ფინანსური დანაკარგები, რაც ძირითადად ეხება მარცვლეულსა და შეცხოველეობის პროდუქციას. ქვეყნის შიდა ბაზარი გაჯერებულია გაყიდული იმპორტული ხორცით, რომელიც სპეციალურად მხოლოდ განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობისათვის არის გამიზნული და ამ სახის ხორცი იმპორტიორი ქვეყნების ბაზრების დახლებზე არასოდეს არ გამოაქვთ. აღნიშნული მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლა შეიძლება მხოლოდ სამამულო წარმოების ხარისხიანი და შედარებით დაბალი თვითღირებულების (შესაბამისად დაბალი ფასის) მქონე პროდუქციის წარმოებით, მაგრამ ამ მხრივ რიგი დაბრკოლება ექტნებათ როგორც მარცვლეულის წარმოებაში, ისე შეცხოველებაში დასაქმებულ ქართველ საქონელმწარმოებლებს. გავისხნოთ ხორბლის მაღალი მოსავლის (2001, 2004 წლებში) პირობებში როგორ გაჭირდა მოწეული ხორბლის დროული და ნორმალური რეალიზაცია იმის გამო, რომ ქვეყანაში წარმოებული ხორბლის თვითღირებულება და შესაბამისად ფასი მაღალი იყო იმპორტული ხორბლისა და ფქვილის ფასზე, ქართველმა ბიზნესმენებმა უპირატესობა იმპორტულ პროდუქციას მისცეს. რიგ შემთხვევაში ქვეყანაში წარმოებული მარცვლეული უფრო მაღალი ხარისხის არის იმპორტულ პროდუქციაზე, მაგრამ დაბალმა ფასმა მაინც შემოტანილი ფქვილის რეალიზაციას შეუწყო ხელი, ხოლო საქართველოში წარმოებული მაღალი

ხარისხის ხორბალი ფერმერების მიერ საფურაუედ იქნა გა-  
მოყენებული, რამაც მარცვლეულის მწარმოებელი ფერმერების  
იმედგაცრუება გამოიწვია.

ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება, რომელიც  
მკვეთრად შეინიშნება როგორც მთლიანად მსოფლიოში, ისე  
საქართველოში (ტექნიკის მასიური გაზევვა, რაც ინტენსიურად  
მიმდინარეობს ქვეყანაში), უარყოფითად მოქმედებს სასურსათო  
უზრუნველყოფაზე, რადგან ეკოლოგიურად არასრულფასოვან  
პირობებში რთულდება როგორც სასოფლო-სამეურნეო წარ-  
მოების განვითარება, ისე უარესდება წარმოებული პროდუქტის  
ხარისხი.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზა-  
ციის (FAO) მონაცემებით, 2010-2015 წლებში მოსახლეობის  
მოთხოვნილება სურსათზე 50%-ით გაიზრდება. მწვავე სასურ-  
სათო კრიზისი სურსათის იმპორტზე დამოკიდებული ქვეყნები-  
სათვის, მათ შორის საქართველოსათვის, განსაკუთრებით  
მნიშვნელოვანი იქნება. კვების პროდუქტებზე ფასების ზრდა  
2007 წელს დაიწყო და დღემდე გრძელდება. ფასების ზრდა  
ძირითადად მარცვლეულ კულტურებზე (ხორბალი, სიმინდი)  
დაფიქსირდა.

ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ საქართველოში მოსახ-  
ლეობის ფულადი შემოსავლების გარკვეული ზომით გადიდე-  
ბაც კი სურსათზე მოთხოვნის გადიდებას და სასურსათო  
პრობლემის გამწვავებას უწყობს ხელს. იზრდება ინფლაცია,  
რაც უარყოფითად მოქმედებს დაბალშემოსავლიანი ადამიანე-  
ბის შესაძლებლობაზე.

სასურსათო უზრუნველყოფის, ანუ სასურსათო პრობლე-  
მის შერბილება მოითხოვს როგორც სოფლის მეურნეობის  
პროდუქტების წარმოების ზრდას, მიწათმოქმედების კულტურე-  
ბის მოსავლიანობის და მეცხოველეობის დარგების პროდუქტი-  
ულობის ამაღლებას, ისე ეკოლოგიურად სუფთა და მდგრადი  
პროდუქციის წარმოების შესაძლებლობების რეალიზაციას.

საქართველოს მოსახლეობისათვის სურსათის ძირითადი  
წეაროა მარცვლეული (ხორბალი, სიმინდი), მცენარეული და  
ცხოველური ცხიმები, ფრინველისა და საქონლის ხორცონ  
ერთად თევზი და პარკოსნები, ასევე თაფლი, რომელიც გა-  
მოირჩევა ვიტამინებისა და მინერალური ნივთიერებების მაღა-  
ლი შემაღებილობით. ამას ემატება მრავალფეროვანი ხილი,  
ბოსტნეული, ბაღჩეული, კაკალი და სხვა ტრადიციული კულ-

ტურები – ჩაი, სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურები, ციტრუსები და სხვა.

FAO-ს მონაცემებით, საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების მაჩვენებელი კრიტიკულ ზღვარს ქვემოთ არის და ყოველ წელიწადს ქვეითდბა, რომ ქვეყანაში განვითარებადი ქვეყნების მე-5 ჯგუფიდან მე-6 ჯგუფში გადაინაცვლა და უდარიბესი ქვეყნების (სუდანი, კამერუნი) რიცხვშია [8].

აღნიშნული ორგანიზაციის მონაცემებით (2009), საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა სურსათის დღიური მოხმარების კალორიებით (2743 კკალ) როგორც ევროკავშირის (3456 კკალ), ისე სამხრეთ ევროპის ქვეყნებს (3403 კკალ).

ქვეყანაში ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია სამომხმარებლო კალათა, რომელიც ადამიანის ძირითადი ფიზიოლოგიური და სოციალურ-კულტურული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი სამომხმარებლო საქონლის და მომსახურების ნაკრებია, რომელიც დამოკიდებულია ეკონომიკის რეალურ შესაძლებლობაზე და რაც უფრო მრავალფეროვანია „კალათაში“ შემავალი კვების პროდუქტები, არასახურსათო საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი, მით უფრო მაღალია ცხოვრების დონე.

საარსებო მინიმუმი სამომხმარებლო კალათის დირებულებითი გამოხატულებაა, ფულადი სახსრების მინიმუმია, რაც აუცილებელია ადამიანის ქმედუნარიანობის შენარჩუნებისა და სამუშაო ძალის აღდგენისათვის. იგი გამოხატავს საზოგადოებრივად აუცილებელი ცხოვრების დონის ქვედა ზღვარს.

ქვეყანაში საარსებო მინიმუმის დირებულებაში სასურსათო და არასასურსათო ხარჯების შეფარდება 70:30 რაც ძალზე დაბალი ცხოვრების დონის მაჩვენებელია, რამდენადაც ეს შეფარდება განვითარებულ ქვეყნებში პირიქითაა და ამ ქვეყნებში სასურსათო დანახარჯები მთელი ხარჯის 15-20%-ს შეადგენს. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ საქართველოში სასურსათო კალათის რეკომენდებული ხორმები ხელოვნურად არის შემცირებული საარსებო მინიმუმის გაიაფების მიზნით, რისთვისაც სასურსათო კალათაში მნიშვნელოვნად შემცირებულია ძვირადღირებული და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროდუქტების – ცილებისა და ცხიმების და გაზრდილია შედარებით იაფი პროდუქტების ჩამონათვალი (მაგ., პურპროდუქტებზე მოდის საკვები რაციონის ენერგეტიკული დირებულების თითქმის 60%), რითაც დარღვეულია ადამიანის არსებობისა და

ცხოველმყოფელობისათვის აუცილებელი ფიზიოლოგიური ნორმები.

საქართველოში შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი 2012 წლის ბოლოსათვის 150 ლარს შეადგენდა, სადაც 70%-ს (109 ლარი) სურსათი, ხოლო 30%-ს დანარჩენი ხარჯები შეადგენდა. საარსებო მინიმუმის ღირებულებაში არასასურსათო საყოფაცხოვრებო ხარჯების მცირე მოცულობა, მნიშვნელოვნად გაზრდილი კომუნალური, სატრანსპორტო ხარჯებისა და ინფლაციის მაღალი დონის ფონზე, გვიჩვენებს, რომ ქვეყანაში რეალური საარსებო მინიმუმი დღეისათვის დადგენილ 150 ლარზე ბევრად მეტი უნდა იყოს.

2013 წლის სექტემბრიდან საქართველოში გაიზარდა პენსიის თანხა, რომელმაც 150 ლარი შეადგინა, რითაც მოხდა საარსებო მინიმუმის ღირებულებასთან მოსახლეობისთვის გაცემული პენსიების თანხის გარეკეული დაახლოება, რაც ახალი მთავრობის საქმიანობის ქარგი დასაწყისია, მაგრამ საქმარისი ნამდვილად არ არის. ქვეყნის მთავრობამ ახლო მომავალში უნდა გადახედოს თანაფარდობას სასურსათო მინიმუმის ღირებულებასა და საპენსიო უზრუნველყოფას შორის, რამდენადც პენსიონერები არიან ჩვენი საზოგადოების ყველაზე დარიბი და დაუცველი ფენა.

ქვეყანაში არა მარტო დაბალია ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება მოსახლეობის ერთ სულზე (კგ), არამედ 2003-2012 წლებში ფიქსირდება ამ მაჩვენებლის შემცირების ტენდენცია: ხორბლის წარმოებაში – 34კგ-ით; სიმინდის – 47კგ-ით; ხილის – 25კგ-ით; ყურძნის – 14კგ-ით; ხორცის – 16კგ-ით; რძის – 45კგ-ით; კარტოფილის – 42კგ-ით და ბოსტნეულის წარმოებაში – 6კგ-ით.

იმის გამო, რომ საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში მცირდება: სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობი, ერთწლიანი და მრავალწლიანი ძირითადი სახის კულტურების მოსაგალი და მოსაგლიანობა, მეცხოველეობის ცალკეული ქვედარგის პროდუქციის წარმოება, მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რაოდენობა და იზრდება სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ფასები და სურსათის იმპორტი, „რომელიც (2000-2012 წლებში ღირებულებით მაჩვენებელში) 8-ჯერ გაიზარდა“ [9]. საქართველოში ოვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი (რომელიც ძირითადი აქების პროდუქტების მარაგების, ადგილობრივი წარმოების იმპორტისა და ექსპორტის საწარმოო და პირადი მოხმარების,

ასევე მოსახლეობის რაოდენობის მონაცემების საფუძველზე გაიანგარიშება) სოფლის მეურნეობის ძირითადი სახის პროდუქტზე დაბალია და შემცირების ტენდენციით ხასიათდება. მაგალითად:

ქვეყნის მოსახლეობის ძირითადი საკვების – ხორბლის წარმოება წლიდან წლამდე მცირდება, შესაბამისად მცირდება ამ კულტურით მოსახლეობის თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი. მაგ. 2003 წელს ხორბალი 117,3 ათას ჰექტარზე დაითვა, მივიღეთ 225,4 ათასი ტონა მოსავალი, ამ წელს თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი 24% შეადგინა. 2012 წელს ხორბალი 50,0 ათას ჰექტარზე დაითვა, ხორბლის წარმოებამ 80,7 ათასი ტონა შეადგინა, ხოლო ხორბლით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი 9%-ს გაუტოლდა. ამ პერიოდში ხორბლის იმპორტი 780 ათასი ტონიდან 970 ათას ტონამდე გადიდდა. „ამჟამად საქართველოში წელიწადში დაახლოებით 800 ათასი ტონა ხორბალსა და ხორბლის ფქვილს მოიხმარებ. იმისათვის, რომ ადგილობრივმა წარმოებამ მოხმარების 35% უზრუნველყოს, სულ ცოტა 280 ათასი ტონა ხორბალი უნდა ვაწარმოოთ“ [4], რაც სავსებით შესაძლებელია, რამდენადაც ქვეყანას გააჩნია გარკვეული რეზერვი და საშუალება, რათა 280 ათასი ტონა ხორბალი აწარმოოს. ამის აღნიშვნის საშუალებას გვაძლევს ის ფაქტი, რომ 2001-2003 წლებში საქართველოში ხორბლის ადგილობრივმა წარმოებამ შესაბამისად 306 და 225 ათას ტონას მიაღწია.

შემცირებულია კარტოფილით, ბოსტნეულით, ხორცით, მათ შორის, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორის, ცხვრისა და თხის, ასევე ფრინველის ხორცით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი, შესაბამისად: 16%; 22%; 43%; 26,3%; 57%; 14%; 20%; გაზრდილია ყურძნით, რძითა და რძის პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი შესაბამისად 9% და 21%-ით; ხოლო უცვლელი დარჩა სიმინდითა და კვერცხით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი შესაბამისად 100% და 100%.

საქართველოს აგრარულ სფეროში შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების და ადგილობრივი წარმოების სურსათით მოსახლეობის თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლების მიზნით, დღეისათვის დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მემცნარეობისა და მეცხოველეობის იმ დარგების განვითარებას, რომლებიც მაქსიმალურად უზრუნველყოფენ მოსახლეობის მოთხოვნას სურსათზე. ამ ეტაპზე მარცვლეული კულტურების წარმოების ამაღლებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა

მიექცეს, რამდენადაც ქვეყანაში ყველა პირობა არსებობს ამ დარგის შემდგომი განვითარებისათვის. ამას ემატება ის ფაქტიც, რომ მსოფლიოში ბოლო წლებში მარცვლეულზე (ხორბალზე) ფასები გაიზარდა და ეს პროცესი სხვადასხვა მიზეზის გამო შეუქცევადია. ამიტომ მარცვლეული კულტურების აღგილობრივი წარმოების გადიდებით უნდა მივაღწიოთ ქვეყანაში მოსახლეობის მოთხოვნილების გარკვეული ზომით დაგმაყოფილებას (რამდენადაც პური და პურპროდუქტები არის საქართველოს მოსახლეობის ძირითადი საკვები). ამის გარდა, აუცილებელია მეცხოველეობის დარგების განვითარებისათვის სათანადო კურადღების მიქცევა. საქართველოში ძირითადად საძოვრული და არა ბაგური ტიპის მეცხოველეობა იყო განვითარებული, მაგრამ ქვეყანაში არასწორად განხორციელებული მიწის პრივატიზაციის გამო, ამჟამად მნიშვნელოვნად შემცირებულია საძოვრების ფართობი, რაც ამ დარგის განვითარებისათვის შემაფერხებელი ფაქტორია.

ქვეყანას, მისი განსაკუთრებული ნიადაგობრივი და ბუნებრივ-კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, დიდი შესაძლებლობები აქვს მაღალრენტაბელური კულტურების: ჩაის, ციტრუსების, სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების, ყურძნის, ხილისა და სხვათ განვითარებისათვის, რასაც ახლო წარსულის გამოცდილებაც გვიჩვენებს. ამასთან, მას გააჩნია გარკვეული პოტენციალი, ჩანანაცვლოს იმპორტი საკუთარი წარმოების კალის, თხილის, ხილის, ბოსტნეულის და საადრეო კარტოფილის სახით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სოფლის მეურნეობის ადგილობრივი ნედლეულის გადამამუშავებელი ახალი ტექნოლოგიური ხაზებით აღჭურვილი საწარმოების ამოქმედებით გაიზრდება თანამედროვე სტანდარტებით გათვალისწინებული კონკურენტუნარიანი კვების პროდუქციის, ხილის სხვადასხვა სახის ჯემების, მურაბების და წვენების წარმოება.

ამ პროცესს ხელი უნდა შეუწყოს სოფლის მეურნეობაში არსებული რეზერვების და შესაძლებლობების გამოვლენამ და ეფექტურმა გამოყენებამ, სოფლის მეურნეობის ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბებამ.

საბაზრო ეკონომიკის თანამედროვე ეტაპზე სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის უნდა ამაღლდეს სახელმწიფოს როლი, რომელიც უნდა განისაზღვროს ამ სფეროს დარგებისადმი დიფერენცირებულ მიდგომაში, პრიორიტეტების დადგენაში; მათზე სახელმწიფოს ხელშეწყობ ღინის-

ძიებათა ჩამოყალიბებასა და პრაქტიკულ რეალიზაციაში. დღესისათვის დაბალია სახელმწიფოს მიერ ამ დარგში სათანა-დო პროტექციონისტული და იმპორტშემზღვდავი ღონისძიებების სამართლებრივი ბაზა. ვაჭრობის ლიბერალურმა რეჟიმმა და ადგილობრივ საქონელმწარმოებელთა ფინანსური მხარდა-ჭერის შემცირებამ, სხვა მიზეზებთან ერთად, უარყოფითად იმ-ოქმედა სოფლად საქონელმწარმოებელთა საშუალო ფენის ჩა-მოყალიბების პროცესზე, რის გამოც მნიშვნელოვნად შეიზღუ-და ადგილობრივი სასურსათო პროდუქციის წარმოება.

ადნოშნული პრობლემების არსებობა ადასტურებს ქვეყა-ნაში სასურსათო უსაფრთხოების გაუარესების ტენდენციას და მწვავედ აუკირქვებს საქართველოში სურსათით ოვითუზრუნვე-ლეოფის გაუმჯობესებისათვის სათანადო სამთავრობო პოლი-ტიკის გატარების აუცილებლობის საკითხს, რისთვისაც მიზან-შეწონილად მიგვაჩნია სწორი და მეცნიერულად არგუმენტირე-ბული აგრარული პოლიტიკის შემუშავება მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პერიოდისათვის.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. ლ. დათუნაშვილი „მემცნარეობის განვითარების თა-ვისებურებები საქართველოში“. თხუ პაატა გუგუშვილის ეპო-ნომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, გ. IV. 2011
2. საქართველოს სოფლის მეურნეობა, სტატისტიკური კრებული. თბილისი, 2005
3. საქართველოს სოფლის მეურნეობა, სტატისტიკური კუბლიკაცია, თბილისი, 2013.
4. ელ. წიკლაური, გაზეთი „რეზონანსი“. მთელი კვირა, 2012 №141 (7073).
5. Аналитический вестник [Электронный ресурс]. 2002 №26. URJ: <http://www.mid.ru>
6. Римская декларация по всемирной продовольственному безопасности// АПК: Экономика управления. 1997, №2.
7. Филонова Т. Продовольственная безопасность: анализ факторов и их взаимосвязь. Москва. Власть. 2006, №12.
8. [sazogadoeba.ge/pastid](http://sazogadoeba.ge/pastid)
9. <http://www.geostat.ge>

*Lina Datunashvili*

## SOME ASPECTS OF FOOD PROVISION IN GEORGIA

### Annotation

In the article the food problem as the one of the oldest problem among the global ones of mankind and the attitude of international organizations toward this problem are studied.

As a food provision index is the most significant indicator of a food security at a national level, in the work the real state of Georgian agrarian sectors is analyzed. Namely: the decrease of squares sown with crops, the yield of the main kinds of annual and perennial crops, the production of a product in the different segments of a live-stock breeding, the quantity of an agricultural product produced per capita and the increase of the agrarian products' prices and import of food.

Because of the above-mentioned causes the food self-provision index on the main kinds of a product is low in Georgia and characterized by decreasing trends.

In the article the measures of alleviating the mentioned problem are elaborated.

### ზურაბ რევიშილი საქართველოს სოფლის მეურნეობის ირიგაციის პოლიტიკის აძლევაზე საპითხები

წყალი სიცოცხლის წყაროა, ხოლო ირიგაცია ცივი-  
ლიზაციის საფუძველი. ხელოვნური მორწყვა ეგვიპტეში 3000-ზე  
მეტი წლის წინათ იყო გამოყენებული. ჩინეთში მორწყვა  
ცნობილი იყო ჩვენს წ.ა.-მდე 2500-ზე მეტი წლის წინათ, მას  
უფრო ადრე ძველი შუმერები იცნობდნენ მესოპოტამიაში, მდ.  
ტიგრისის და ევფრატის აუზების ტერიტორიაზე. მორწყვის  
სისტემებს აქტიურად იყენებდნენ ძველ ეგვიპტეში, ინდოეთში.  
ძველი სარწყავი სისტემების ნაშთები შემორჩენილია მექსიკისა  
და აშშ-ს სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ტერიტორიებზე. ძველ  
საბერძნეთსა და შემდგომ რომში დაიხვეწა წყალსადგნების  
სისტემების მშენებლობა. კერძოდ, რომის წყალმომარაგებაში  
ტყვიის მიღებასაც კი იყენებდნენ.

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მორ-  
წყვა უძველესი დროიდან დაიწყო. დადგენილია, რომ აქ  
სასოფლო-სამეურნეო კულტურების მორწყვა ძველი წელთ-  
აღრიცხვის IV საუკუნეში ხდებოდა. კერძოდ ბერძენი მოგ-

ზაური და ფილოსოფოსი სტრაბონი (ძველი წ.ა. 64/63 და ახალი წ.ა. 23/24 წლები) საქართველოზე წერდა: „მორწყელია მდინარეებითა და სხვა წყლებით ესე ჰქეენა უფრო მეტად, ვიდრე ბაბილონი და ეგვიპტე“ [1, გვ. 32]. საქართველოშიც მრავლადაა შემონახული, როგორც ცნობები წყლის სარწყავად გამოყენების შესახებ, ასევე შემორჩენილია ძველი არხებისა და სპეციალური ნაგებობების ნაშთები. XII საუკუნეში თამარ მეფის თაოსნობით აშენებული იყო ალაზნის სარწყავი სისტემა, რომლის მაგისტრალური არხის სიგრძე 119 კმ-ს უდრიდა. ამ არხის სათავე მოწყობილი იყო მდინარე ალაზნის მარჯვენა ნაპირზე და როგორც სპეციალიტებმა გააღინეს, არხი ატარებდა 24 კუბ. მეტრ წყალს წამში და რწყავდა 53 ათას ჰა-ს [2, გვ. 17].

ძველი საქართველოს სარწყავი სისტემის განვითარების მწვერვალად XII საუკუნე მიიჩნევა, ამის შემდგომ გამუდმებულმა დაპყრობითმა ომებმა გაანადგურა არა მხოლოდ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, არამედ იმდროინდელი უძვირფასები კულტურული ძეგლები და ნაგებობანი და მათ შორის სარწყავი არხებიც. მტრებისაგან გაანადგურებული სარწყავი მეურნეობის აღდგენა და ახალი არხების მშენებლობა შესაძლებელი გახდა მხოლოდ მე-17 საუკუნეში ვახტანგ VI-ს მეფობის დროს. აღსანიშნავია, რომ ვახტანგ VI-ს ხელმძღვანელობით არა მხოლოდ სარწყავი მეურნეობის აღმშენებლობას ჩაეყარა საფუძველი, არამედ წყლით სარგებლობის სამართლებრივი საკითხების მოწესრიგებასაც. ვახტანგ VI-ის კანონები – „სამართალი ბატონიშვილისა ვახტანგისა“ – მოიცავს მთელ რიგ მუხლებს წყალთა მეურნეობის შექმნის, სარგებლობის, სახელმწიფოს (მეფის) უპირატესი უფლებისა, მორიგების და სხვა საკითხებთან დაკავშირებით [3, გვ. 512-524, 543].

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდგომ, ირიგაციის მიმართულებით პრატიკულად მეტად ცოტა რამ თუ გაკეთდა. ილია ჭავჭავაძეს თავის ნაშრომში ვრცლად მოპყავს 1880-1881 წწ.-ში. კავკასიაში მორწყვის საკითხების შემსწავლელი ექსპედიციის წევრის – ი. ვოეკოვის მოსაზრება: „დროა, დიდი ხანია დროა, ხელი მოვკიდოთ ამიერკავკასიაში რწყვის საქმეს. საჭირო არ არის ჩვენთვის ინდოეთის დაპყრობა – ჩვენ ჩვენი ინდოეთი გვაქვს ამიერკავკასიის ვაკეზედ, თუკი მოვიწადინებთ. მტკვარი და არაქსი ერთ მილიონ დახსიატინაზედ მეტ ადგილს მორწყავს, მერე დიდ ნაყოფიერ ადგილს. სარწყავი მიწები ძვირფას მცენარეს გაზრდიან, რწყვა

გააღონიერებს მიწებს და გააღიდებს მოცულობას იმდენად, რომ ორი, ზოგჯერ სამი მოსავალი მოგვივა. ყოველივე ამის გამო სარწყავი დესიატინა ფასს მოიმატებს და ას თუმანზე ნაკლები არ ეღირება“[4, გვ.68-69].

ამიერკავკასიაში 1890 წელს შეიქმნა წყლის ინსპექცია, რომელიც შემდგომ წყალთა სამართველოდ გადაკეთდა. იგი ახორციელებდა წყლის მეურნეობის მხოლოდ მეთვალყურეობას, ხოლო სარწყავი არხების მშენებლობები დამოკიდებული იყო კერძო პირების ინიციატივებზე. ამ პერიოდში (1864-1867 წწ.) საყურადღებოა ამიერკავკასიის მთავარმართებლის ბარიატინსკის მიერ სარწყავი არხების მშენებლობის პროექტების შესადგენად ინგლისელ მელიორატორ-ინჟინრების ბეჭის და გაბას მოწვევა. მათ შეადგინეს 23 სარწყავი არხის მშენებლობის პროექტი, რომელთაგან საქართველოში განხორციელდა მხოლოდ „ყარაყაის სარწყავი სისტემა“. ამ სარწყავი სისტემის მშენებლობა დასრულდა 1880 წელს, სათავე ნაგებობა მოწყობილი იყო თბილისის ქვემოთ მდ. მტკვარზე. აღსანიშნავია, რომ სათავე ნაგებობის მშენებლობის ადგილის არასწორი შერჩევის გამო ის ხშირად მოითხოვდა გადაკეთებას.

საქართველოს ამ პერიოდის სარწყავი სისტემა ძირითადად მოიცავდა პრიმიტიული წესით მოწყობილ სარწყავ არხებსა და რუებს, რომელთა რწყვის ეფექტურობა დაბალი იყო. ასეთი ძევლი გლეხური პრიმიტიული სარწყავი არხებით და მხოლოდ ერთი საინჟინრო ტიპის სარწყავი სისტემით საქართველოში 1914 წელს ირწყვებოდა მთლიანად 112400 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწა, შემდგომ საქართველოსთვის ისტორიულად რთულ პერიოდში სარწყავი ფართობი გარკვეულად შემცირდა და 1921 წელს მან შეადგინა 95000 ჰა [5, გვ. 48-49].

საქართველოს ბოლშევიკური რუსეთის მიერ ანექსიონისა და იძულებითი გასაბჭოოების პერიოდში, მიწისა და სარწყავი არხების ნაციონალიზაციის შემდგომ, დაიწყო საინჟინრო ტიპის სარწყავი სისტემების და არხების მოწყობა. აღმოსავლეთ საქართველოში შეიქმნა: ტირიფონის, სალოვისის, ვანაოის, სკრა-ქარელის, დოეს-გრაკალის, კეხვის, თეხი-ოკამის, ტაშისკარის, მუხრანის, ზედა სამგორის, ქვედა სამგორის, ალაზნის და სხვ. დასავლეთ საქართველოში შეიქმნა: საბჭოთა მაშველის, დანირ-ქვიტირის, მათხოვის, სვირი-აჯამეთის, დიმოროკითის, ძევრი-ეწერის და სხვ. რეკონსტრუირდა იქნა სოდანლულის, ტირიფონის, ხრამისა და დებედას სარწყავი

არხები და სხვ. ამ მიზანმიმართულ ქმედებათა შედეგად სარწყავქსელიანი და სარწყავი მიწის ფართობი 1940 წელს შეადგენდა 241 ათას ჰა-ს, 1950 წელს – 285 ათას. სარწყავქსელიანი ფართობი 1960 წელს შეადგენდა 340 ათას (ამავე დროს სარწყავი დაახლოებით შეადგენდა 325 ათას ჰა-ს); 1970 წელს – 385 ათას ჰა-ს (ამავე დროს სარწყავი ფართობი შეადგენდა დაახლოებით 350 ათას ჰა-ს). ქართველ მეცნიერთა აზრით, საქართველოს მთლიანი მოსარწყავი ფართობი, სადაც შესაძლებელი იყო იმ პერიოდში წყალსამუშავებელ ღონისძიებათა გატარება, შეადგენდა 1150 ათას ჰა-ს [5, გვ. 52, 54, 56].

ირიგაცია წარმოადგენს ნიადაგების გაუმჯობესების – მელიორაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას. სათანადო წყლის რეკიმის შექმნა, მოწესრიგება დიდ გავლენას ახდენს ნიადაგში ორგანული ნივთიერებების დაგროვებისა და დაშლის პროცესებზე. იგი ნიადაგის აერაციის, სითბურ და კერძის რეჟიმებზე აქტიურად რომ ზემოქმედებს, ამით ხელს უწყობს მიწის ნაყოფიერების ზრდას. წყლის რეჟიმის რეგულირება ხორციელდება მორწყვითი, გამწყლოვანებელი და დაშრობითი რეჟიმებით. ირიგაციის მიზანია ნიადაგში მცენარეთა განვითარებისათვის საჭირო ტენიანობის შექმნა, ტენის აორთქლების შემცირება, ნიადაგის მინერალიზაციის დაქვეითება.

მორწყვის შედეგად სასოფლო-სამუშავებელის მოსავლიანობა 20-50% და მეტად იზრდება. მრავალწლიანი დაკვირვებები გვიჩვენებს განსხვავებებს სხვადასხვა კულტურების მოსავლიანობაში სარწყავ და ურწყავ ფართობებში. ასე მაგალითად, გასული საუკუნის 70-იან წლებში გორის რაიონის სოფ. მეჯვრისხევის და გარდაბნის რაიონის სოფ. სართიჭალის მეურნეობებში (კოლმეურნეობები) მორწყვის გარეშე პექტარზე იღებდნენ 15-20 ცენტნერ სიმინდის მოსავალს, მორწყვის შედეგად კი მათ მიიღეს 47-60 ცენტნერი, ანუ 1,9-2,0 - ჯერ მეტი; გორის რაიონის სოფ. ხელოუბნისა და სიღნაღის რაიონის სოფ. მაჩხანის მეურნეობებმა საშემოდგომო ხორბლის ნაოვების ერთი ჰა-დან მორწყვის შედეგად მიიღეს 30-35 ცენტნერი, მოურწყველად უნდა აღებულიყო 15-20 ცენტნერი. გარდაბნის რაიონის მუხროვანის მეურნეობაში (საბჭოთა მეურნეობა) საშუალოდ 1 ჰა სარწყავი ფართობიდან „ავრორა“-ს ჯიშის ხორბლის მოსავალი 45-63 ცენტნერი მიიღეს. გურჯაანის რაიონის სოფ. კარდანახში, დიდი გვალვების მიუხედავად, მორწყვის შედეგად 74 ცენტნერი ნიორი აიღეს,

როდესაც მოურწყელად გათვალისწინებული იყო 40 ცენტ-ნერის მიღება. დასავლეთ საქართველოში ზემო იმერეთის ტერიტორიაზე, სადაც ძირითადად სიმინდის ნათესებს რწყავდნენ, მორწყლი ფართობიდან 2-ჯერ მეტ მოსავალს იღებდნენ. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ჩაის (დაწვიმებითი ხერხით) და ციტრუსების რწყვა, დაკირვებული ცხადყოფდა, რომ მორწყვის შედეგად 50-75%-ო იზრდებოდა მოსავლიანობა [5, გვ. 56-57]. აღსანიშნავია, რომ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში სასოფლო-სამეურნეო მიწების მორწყვა მწვავე აუცილებლობას წარმოადგენს, ხოლო დასავლეთ ნაწილში, ტენიანი კლიმატის მიუხედავად, გარკვეული კულტურების მორწყვა ასევე აუცილებელია ცხელი ზაფხულის პირობებში.

ირიგაციაში, მკვებავი წყაროს ხასიათის მიხედვით, განასხვავებენ რწყვის სახეებს: а) მდინარეების ან მდინარისეულ წეალსაცავებში დაგროვილი წყლით რწყვა; б) მცირე მოცულობის წეალსაცავებში დაგროვილი ადგილობრივი ჩამონადენი წყლით რწყვა; გ) გაზაფხულის პერიოდში შეგროვილი ადგილობრივი ჩამონადენით, სარწყავ ფართობზე დაბალი ზინულების ან დამბების მოწყობით (ლიმანური მორწყვა); დ) მიწისქვეშა წყლებით, რომელთა მოპოვება წარმოებს ჭებისა და წყალშემცრები გალერეების საშუალებით.

წყალი მკვებავი წყაროდან მიჰყავთ მოსარწყავ ფართობამდე და მასზე ნაწილდება სარწყავი სისტემების საშუალებით. სარწყავი სისტემა წარმოადგენს საჭირო ნაგებობით, არხებითა და მილსადენებით ადგურვილ ერთობლიობას. მკვებავი წყაროდან ამა თუ იმ წესით მიღებული წყლის გასანაწილებლად კეთდება სარწყავი ქსელი – მაგისტრალური, გამანაწილებითი და შედასამეურნეო არხები. ადგილის გაწყლოვანება წარმოადგენს ღონისძიებას, რომლის მიზანია წყლით სასოფლო-სამეურნეო სავარგულების უზრუნველყოფა. თანამედროვე ეტაპზე, ირიგაციის საინჟინირო-ტექნიკური და ეკონომიკური ოვალსაზრისით განხილვისას, განასხვავებენ წყლის მიწოდებას თვითდინებით და მექანიკური დანადგარების მეშვეობით. ამ უკანასკნელზე საუბრისას განიხილავენ წყლის სატუბი სადგურის სიმძლავრეს, წყლის აწევის სიმაღლეს, ელექტროენერგიის დანახარჯს და სხვ. აღსანიშნავია, რომ მექანიკური (სატუბი) საშუალებებით წყლის მიწოდება, თვითდინებით წყლის მიწოდებასთან შედარებით, ხასიათდება უფრო მაღალი საოპერაციო დანახარჯებით ხასიათდება.

სარწყავი სისტემის მართვა გულისხმობს ნიადაგის ტენიანობის დინამიკის საფუძველზე, მოსარწყავ ფართობზე არსებულ მცენარეთა წყლის საჭიროების რეჟიმის დადგენას, მკვებავი წყაროს რესურსის (დებეტის) განსაზღვრას და სარწყავი სისტემის ძირითადი სქემის შემუშავებას, რომელმაც წყლის მიწოდება უნდა უზრუნველყოს განსაზღვრულ ვადებში, სათანადო ხორმებით.

საირიგაციო სექტორის განვითარების დაგეგმვას, პრიორიტეტის განსაზღვრას, ეფექტიანობის გადიდების გზების ძიებას განსაკუთრებული ადგილი უქავია აგრარულ პოლიტიკაში. FAO-ს მოსენებაში აღნიშნულია, რომ: ეროვნული წყლის პოლიტიკები ცვალებადია, პროექტებიდან პოლიტიკებამდე, მაგრამ უცვლელია ტენდენცია მათი გარედებისა და, ასევე, აჩქარებისა [11, გვ. 296]. ქვეყნის საირიგაციო პოლიტიკა, ირიგაციის განვითარება, ობიექტები თუ სუბიექტები მიზეზების გამო, შეიძლება გარკვეული ხნით შეფერხდეს ან შეჩერდეს, მაგრამ აგრარული განვითარების აუცილებლობა განაპირობებს ირიგაციის აღორძინებისა თუ დაჩქარებული განვითარების საჭიროებას.

ირიგაციის პოლიტიკაზე საუბრისას უპირველესად გამოყოფენ სამ მიზანს: ეფექტურობას, სამართლიანობას და მდგრადობას [10, გვ. 203]. ირიგაციის ეფექტურობაზე საუბრისას, ფართო გაგებით, აქცენტი კეთდება წყლის რესურსების მაქსიმალურად კონსისტენტურად გამოყენებაზე სოფლის მეურნეობაში და მისი მიწოდების გადიდებაზე სხვა სექტორებისათვის, სადაც იგი მონაწილეობს უფრო მაღალი (მეტი) ღირებულების შექმნაში. უშაუალოდ ირიგაციის სექტორის ეფექტურობის გადიდება დამოკიდებულია წყლის რესურსების სათანადო მართვაზე (მენეჯმენტი), მის ოპტიმალურ დაგროვებას, განაწილებასა და დროულ მიწოდებაზე, ასევე დანაკარგების შემცირებაზე და ა.შ.

სოფლის მეურნეობის ირიგაციის ეფექტურობის გადიდების ფართო მიზანი უნდა დაიყოს ირიგაციის სექტორის ოპერაციულ ქვემიზნებად, სადაც გათვალისწინებული იქნება როგორც ირიგაციის მომხმარებელთა ინტერესები, ისე ფინანსური და ინსტიტუციური ხასიათის საკითხები. აღნიშნულმა ქვემიზნებმა უნდა მოიცვას: а) ირიგაციის განსაზღვრული გეგმის ეფექტიანობის ამაღლება; б) ირიგაციით შეტყიშებიულობის (ნაყოფიერების) მიღწევა, ე.ი. გამოყენებული წყლის ერთეულიდან მიღებული ეკონომიკური შედეგების

გაუმჯობესება; გ) დარიბი შინამეურნეობებისათვის, განსაკუთრებით ქალებისათვის, ირიგაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; დ) წარმოებული პროდუქციის ერთეულზე ფაქტობრივი წყლის მოხმარების შემცირება; ე) ირიგაციის მთლიანი დანახარჯების (ლირებულების) შემცირების უზრუნველყოფა; ვ) ეროვნულ ბიუჯეტში ირიგაციის ფისკალური ხარჯების შემცირება; ზ) გარემოსდაცვითი მდგრადობის გაუმჯობესება; ო) საირიგაციო სისტემების მდგრადობის ინსტიტუციური გაუმჯობესება და ა.შ.

სარწყავი წყლის სამართლიანი განაწილება ირიგაციის სისტემის ფარგლებში, მცირე მეურნეობებსა და დარიბ ფერმერებზე (გლეხებზე) წყლის თანაბრად (სამართლიანად) მიწოდება არის ირიგაციის განვითარებისა და მართვის მნიშვნელოვანი პრიორიტეტი. სარწყავი წყლის განაწილების სამართლიანობის მოთხოვნა საჭიროებს საგანგებო აღნიშვნას, რადგან პრაქტიკაში ხშირად ამაზე არ კეთდება აქცენტი. გლეხები თუ მცირე და საშუალო ზომის ოჯახეური მეურნეობები არ უნდა იყვნენ მოკლებულნი ამ აუცილებელი, სასიცოცხლო რესურსს. რიგი ქვეყნების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ხშირად, დარიბი ფერმერები არიან საირიგაციო სისტემის რიგის ბოლოში, მათ არასისტემატურად და არასათანადოდ მიეწოდებათ სარწყავი წყალი [11, გვ. 20].

ირიგაციის მდგრად ფუნქციონირებაში იგულისხმება მისი ფისკალური, ინსტიტუციური და გარემოსდაცვითი მნიშვნელობები. ქვეყნების მრავალ საირიგაციო გამოცდილებებში ინსტიტუციური ასპექტების მონაცემები არ არის წარმოდგენილი სათანადოდ, ეს ეხება როგორც წყლის მიმწოდებელთა სახელმწიფო დაწესებულებებს, ისე წყლის მომხმარებელთა გაერთიანებებს თუ ორგანიზაციებს. ირიგაციის გარემოსდაცვითი მდგრადი მნიშვნელობა მოიხსენიება უპირველესად, წყლის რესურსების სწორი ბალანსის მისაღწევად და მარილის სათანადო შემცველობით უზრუნველსაყოფად [10, გვ. 203]. ირიგირებული მიწების მრავალი ათასი ჰექტარი იკარგება ყოველწლიურად როგორც ნიადაგების ეროზიების, ჩამორეცხვების, ისე ნიადაგების დამარილიანების შედეგად. ადგილობრივი ფლორისა და ფაუნის სახეობები შეიძლება დაიკარგოს, თუ, მაგალითად, ირიგაციული სისტემის კონსტრუქციის შედეგად მოხდება ჭაობების ამოშრობა რიგ ადგილებში, ხოლო დაიტბორება სხვა ადგილები. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის რისკი შეიძლება ირიგაციასთან დაკავშირებული

გარემოსდაცვითი ინტერესის მიზეზი იყოს. ასე მაგალითად, საირიგაციო პროექტების შეიძლება შექმნას მაღარის ან სხვა დაავადებების გავრცელების საფრთხე. ზოგადად, ირიგაციას მოსდექს მნიშვნელოვანი თანამდევი პოზიტიური შედეგები. ის ხელს უწყობს სოფლებისათვის წყლის მიწოდებას და სანიტარიული მდგრამარეობის გაუმჯობესებას.

საქართველო მთიანი ქვეყანაა, რაც მისი კლიმატური და გეომორფოლოგიური პირობების მრავალფეროვნებას განაპირობებს. შავი ზღვის უშელო სიახლოვე, კავკასიონის ქედის მაღალი ნიშნულები და მისი სამხრეთული განშტოებები, განსაკუთრებით აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გამყოფი სურამის (ლიხის) ქედი, განაპირობებს პიდროგრაფიული ქსელის, მდინარეთა ჩამონადენისა და კლიმატის განსხვავებული პირობების ჩამოყალიბებას. საქართველოში არსებული 26060 მდინარიდან შავი ზღვის აუზს მიეკუთვნება 18109, ხოლო კასპიის ზღვის აუზს – 7951 მდინარე. დასავლეთ საქართველოს წყლის რესურსი მთლიანად შეადგენს 76,49 კუბ.მ-ს, აღმოსავლეთ საქართველოში – 26,17 კუბ.მ-ს. საბალანსო გაანგარიშების მიხედვით, დასავლეთ საქართველოში წყლის დეფიციტი არ არის; აღმოსავლეთ საქართველო კი ხასიათდება არიდული პირობებით, ამიტომ საჭიროებს ჩამონადენის დარეგულირებას. აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეების საშუალო წლიური ჩამონადენი 14,71 კუბ.მ-ს შეადგენს. 1981-1985წ. საშუალოდ წლიურად წყლის ობიექტებიდან აღებული წყლის მოცულობა შეადგენდა 4604 მლნ კუბ. მეტრს, რომლიდანაც სოფლის მეურნეობაზე მოდიოდა 49,8%; ამ პერიოდისათვის გამოყენებული წყლის მოცულობა 3697 მლნ კუბ. მეტრს შეადგენდა და წყლის გამოყენებაში სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი შეადგენდა 38,75%-ს[10, გვ.35-39]. მონაცემები გვიჩვენებს, რომ საქართველოში ერთ-ერთ მსხვილ წყალმომხმარებელს სოფლის მეურნეობა წარმოადგენდა.

საქართველოს ტერიტორიის რთული რელიეფი, დახრა-მულობა, გორაკ-ბორცვიანობა, ხშირი პიდროლოგიური ქსელი, მდინარის წყლის დონიდან სარწყავი ფართობების მაღალ ნიშნულზე მდებარეობა და სხვ. ყოველთვის არ იძლევა დიდი ფართობების მორწყვის საშუალებას წყლის მიუდგომდობის გამო. ამიტომ ასეთი ფართოებების მორწყვა მიზანშეწონილია მექანიკური მოწყობილობით აღჭურვილი სარწყავი საშუალებებით, რომელთა დახმარებით აღვილად ხდება სარწყავი

წყლის დიდ სიმაღლეზე აყვანა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მორწყვა. თვითდინებით მორწყვის სისტემების მაქსიმალურად გამოყენებასთან ერთად, რიგ ტერიტორიებზე აუცილებელია მექანიკური სარწყავი სისტემების გამოყენება. მთიან რაიონებსა და მთისწინების ზონაში დაქანებული ფერდობების მორწყვა მექანიკური საშუალებებით მაღალ ნიშნულზე აყვანილი წყლით და დასაწვიმებელი აგრეგატების მეშვეობით უნდა მოხდეს; ამასთან, დაწვიმებით მორწყვას დიდი უპირატესობა აქვს თვითდინებით რწყვასთან შედარებით. საქართველოს მიწების ფართობების მორწყვასთან ერთად, მეტად მნიშვნელოვანია სათიბებისა და საძოვრების წყლით უზრუნველყოფა. სათიბებისა და საძოვრების წყლით უზრუნველყოფა განაპირობებს მეცხოველეობის განვითარებას და პროდუქტიულობის გადიდებას.

საქართველოში სარწყავი და გასაწყლიანებული მასივები ძირითადად მოთავსებული იყო მშრალ ზონაში, სადაც აგმოსცერული ნალექები შედარებით მცირე რაოდნობით მოდის და ისიც მნიშვნელოვანი სეზონურობით ხასიათდება, განსაკუთრებით ივლისსა და აგვისტოში, როდესაც მცენარეებს წყალი ესაჭიროება ნაყოფისათვის, ცხოველებს კი სასმელად.

ამავე პერიოდში მდინარეები დიდი წყალმცირობით ხასიათდება, რის გამოც მათ აუზებში მოთავსებულ სარწყავ და გასაწყლიერებელ ფართობებს წყლით ვერ უზრუნველყოფნ. ამიტომ იმ ტერიტორიებზე, სადაც მდინარეთა ჩამონადენი ზაფხულის სეზონში მცირეა და წყალი კი აუცილებებლია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსარწყავად, სათიბებისა და საძოვრების გასაწყლიერებლად, უნდა მოხდეს მდინარეთა ჩამონადენის დარეგულირება, გაზაფხულზე წყალდიდობის და წვიმებით გამოწვეული წყალმოვარდნების ბაზაზე.

მდინარეთა წყალდიდობის წყლების დაგროვებისა და მისი შენახვისათვის ერთ-ერთ საუკეთესო ხერხს წყალსაცავების მოწყობა წარმოადგენს, მდინარეთა წყლიანობის გაზრდისათვის კი ხშირად მეზობელი წყალუხვი მდინარიდან მცირეწყლიან მდინარეში წყლის გადაგდებას მიმართავენ. საქართველოში მოქწყო წყალსაცავები: მდ. იორის აუზში – სიონის წყალსაცავი (330 მლნ კუბ.მ.), ნადარბაზევის ტბის (6 მლნ კუბ.მ.), მდ. პატარა ლიახვის აუზში – ზონკარის წყალსაცავი (35 მლნ კუბ.მ.), მდ. არაგვზე – ჟინვალის წყალსაცავი (520 მლნ კუბ.მ.), მუხრანის წყალსაცავი (6,5 მლნ

კუბ.მ.), მდ. ალაზნის აუზში – ჯოფოლოს წყალსაცავი (170 მლნ კუბ.მ.), ოლეს წყალსაშვიანი წყალსაცავი 250 მლნ კუბ.მ.). ასევე მდ. ხრამზე (160 მლნ კუბ.მ.), მდ. ასლანურზე – იფნარის წყალსაცავი (22 მლნ კუბ.მ.), მდ იორზე – ქვემო ყარაჯალის (80 მლნ კუბ.მ.), მდ თეძამზე –თეძამის (30 მლნ კუბ.მ.), მდ. ალგეთზე – ტბის წყალსაცავი(58 მლნ. კუბ.მ.) და სხვ.

1988 წლის მონაცემებით, საქართველოში მელიორირებული ფართობი მთლიანად შეადგენდა 989,5 ათას ჰა-ს. მათ შორის საწრყავი ფართობი შეადგენდა 469,3 ათას ჰა-ს, აქედან 328,6 ათასი ჰა(70%) ირწყვებოდა თვითდინებით, ხოლო 14,7 ათასი ჰა მექანიკური მორწყვით (სატუმბი სადგურების მეშვეობით). 357,9 ათასი ჰა შეადგენდა გაწყლოვანებული საძოვრები; აქედან 240 ათასი ჰა(67%) იყო მექანიკური გაწყლოვანებით. 162 ათასი ჰა დაშრობილი ფართობიდან 31,1 ათასი ჰა(20%) შრებოდა მექანიკური წესით (გადატუმბვით) [13].

1992 წლის მონაცემებით საქართველოში ირწყვებოდა 422 ათასი ჰა, ხოლო დაშრობა ხორციელდებოდა 130 ათას ჰა-ზე. ამ მიწებზე მოდიოდა ბოსტნეულის 75%, კარტოფილის 70%, მარცვლის 45%, ყურძნის 65%, ხილის 85%, და ა.შ. აღნიშნული ფართობების მორწყვას ემსახურებოდა 153 დიდი თუ მცირე სრწყავი სისტემა, მათ შორის 19 მაგისტრალური არხი, 35 სატუმბი სადგური, 134 ლოკალური არხი და ირიგაციული დანიშნულების 34 წყალსაცავი. კოლხეთის დაბლობზე ფუნქციონირებდა 10-მდე მაგისტრალური დამშრობი არხი და მრავალი სატუმბი სადგური [13].

ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოში განვითარებული მოვლენების მიზეზით მელიორაციის დარგის დაფინანსების მკეთრად შემცირების გამო, სამელიორაციო სისტემები ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა – დანალექშით ამოიგო ირიგაციული და სადორენაჟი მაგისტრალური არხები, პრაქტიკულად გაუქმდა შიდა სამეურნეო ქსელები, გაიძარცვა და გაპარტაბდა სატუმბი სადგურები, მწყობრიდან გამოსვლის საშიშროება შეექმნა ირიგაციული დანიშნულების წყალსაცავების კაშხლებს. 90-იან წლებში ფინანსური პრობლემებისა და სამელიორაციო სისტემებზე სარემონტო-საექსპლუატაციო და სარეკონსტრუქციო მნიშვნელოვანი ღონისძიებების ჩაუტარებლობის გამო დაიწყო პიდრობექნიკურ ნაგებობათ მწყობრიდან გამოსვლა, დაზიანება, რამაც გამოიწვია საირიგაციო და სადორენაჟო სისტემების მოშლა და ნგრევა, სარწყავი და დაშრობილი მიწების ფართობების მკვეთრი

შემცირება. აღნიშნული პროცესების შედეგად, კატასტროფულად შემცირდა როგორც სარწყავი მიწების, ისე დაშრობილი მიწების ფართობი. კერძოდ, 1992-2000 წლებში სარწყავი ფართობი შემცირდა 74%-ით, ხოლო დაშრობითი ფართობი 86%-ით; 2000 წელს სარწყავმა (წყალუხრუჯნებულყოფმა) ფართობმა, 1992 წელთან შედარებით, შეადგინა 57%, ხოლო დაშრობილმა ფართობმა – 54% (იხ. ცხრილი 1).

*ცხრილი 1  
მორწყული და დაშრობილი ფრთობების შემცირების დინამიკა  
1992-2000წწ. (ათასი ჸა), [9, გვ. 21,22]*

წელი	მორწყული ფართობი	დაშრობილი ფართობი
1992	422	130
1993	400	125
1994	400	120
1995	390	115
1996	350	110
1997	300	100
1998	299	80
1999	279	75
2000	242	70

„წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით (1997) განისაზღვრა წყალსარგებლობის ლიცენზირების სისტემა, წყლის, როგორც ბუნებრივ რესურსზე გადასახადისა და ფასიანი წყალსარგებლობის შემოდება. ამ კანონმა გარკვეული როლი შეასრულა საირიგაციო სისტემებით აღებული წყლის აღრიცხვის მოწესრიგებაში, რომელიც სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის მცდელობების მიუხედავად, მეტად დაბალ დონეზე იდგა. აღებული წყლის რაოდენობის გაზომვა და მისი მოცულობის დადგენა ხორციელდებოდა მხოლოდ დიდი მაგისტრალური არხის სათავე ნაგებობებიდან. გამანაწილებლებში და ლოკალურ არხებში წყლის ხარჯის დადგენა ხდებოდა წყლის ხარჯებსა და დონეებს შორის არსებული დამოკიდებულების ძველი მეთოდით – მრუდების გამოყენებით, რაც იძლეოდა დიდ ცდომილებას, ხოლო ხშირ შემთხვევაში არ იზომებოდა.

*ცხრილი 2*

საქართველოს სარწყავი ფართობის გადიდების გეგმა  
1987-2010წწ.-ში (ათასი ჰა) [12]

	საქართველო სულ:	აღმოსავლეთ საქართველო	დასავლეთ საქართველო
მოსარწყავი მიწის ფართობი:	1513	1128	385
არსებული სარწყავი (1.01.1987წ.)	448,1	390,2	57,9
გ.პ. -ოვითდინებით	324,7	278,5	46,2
-ძექანიკური	123,4	111,7	11,7
დაგეგმილი მატება 1987-1990წწ. -ახალი	16,1	16,1	-
-რეგონსტრუქცია	4,0	4,0	-
დაგეგმილი მატება 1987-2010წწ. -ახალი	286,1	286,1	64,0
-რეგონსტრუქცია	304,6	274,6	30,0
დაგეგმილი რწყვა 2010წ. სულ:	734,2	612,3	121,9
-ოვითდინებით	465,5	376,8	235,5
-ძექანიკური	268,3	235,5	32,8
არსებული (1.01.1987) მოსარწყავ ფართობთან, %- ში	30	35	15
დაგეგმილი (2010წ.) მოსარწყავ ფართობთან, %- ში	49	55	32

2001 წელს საქართველოს მთავრობამ თხოვნით მიმართა  
მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციას

(IDA) ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების რეაბილიტაციის პროგრამის განხორციელების თაობაზე. პროგრამის განხორციელება განისაზღვრა სამ ფაზად 12 წლიანი პერიოდით, რომლის განსახორციელებლად განისაზღვრა დაახლოებით 110 მლნ აშშ დოლარი, მ.შ. IDA-ს დაფინანსება 90 მლნ აშშ დოლარის ოდენობის ადაპტირებადი საპროგრამო კრედიტის გამოყოფა სამ ტრანზაქციად. პროგრამის ძირითად მიზანს შეადგენდა ირიგაციისა და დრენაჟის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და სოფლის მეურნეობის გრძელვადიანი განვითარებისათვის ინსტიტუციური საფუძვლის მომზადება. პროექტი მთლიანად ითვალისწინებდა თანამედროვე ტიპის სამელიორაციო ორგანიზაციების ჩამოყალიბებას 255 ათას პაზე, აქედან 125 ათას პაზე გათვალისწინებული იყო სამელიორაციო სისტემათა სრული, ხოლო 130 ათას პაზე მხოლოდ შიდასამაქურნეო ქსელის რეაბილიტაცია. პროექტს ეტაპობრივად უნდა მოეცვა გარანტირებული წევალუზრუნველყოფით და სათანადო მორწყვით (48 330 პა) სადრენაჟო სისტემების რეაბილიტაციის ზონაში, სათანადო დაშრობით და ფართობების დატბორვის რისკის შემცირებით (11 739 პა) და ასევე უნდა მოეხდინა ფერმერთა (ოჯახურ შინამუშარნეობათა) ორგანიზება, ინსტიტუციური გაერთიანება და სამელიორაციო ასოციაციების ფორმირება. ამ უკანასკნელ კომპონენტს უნდა მოეცვა 80 ათასი ოჯახური შინამუშარნეობა და 110 ათასი პა სასოფლო-სამუშარნეო საგარეულო. ამავე წელს საქართველოს მთავრობისა და IDA-ს მიერ გაფორმდა „ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროგრესი“ (პროგრამის I ფაზა) და ხელი მოეწერა საკრედიტო ხელშეკრულებას. IDA-ს მიერ გამოიყო 27 მლნ აშშ დოლარი შედაგათიანი კრედიტი (გადახდის ვადა 40 წელი, 0,75 საპროცენტო განაკვეთით, კრედიტის გრანტ ელემენტია 75,7%; საქართველოს თანამონაწილეობა შეადგენდა 5,5 მლნ აშშ დოლარის ეკვივალენტს (მთლიანი დირექტულების 17%-ს). ხელშეკრულების თანახმად, სამელიორაციო ასოციაციები-საოვის უზუფრუქტის წესით გადაცემული სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ქონება უნდა გათვალისწინებული ყოფილიყო ქონების გადასახადისაგან, ასევე უნდა შეტანილიყო ცვლილებები და დამატებები „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონში. აღნიშნული პროგრამის I ფაზა, რომელიც ითვალისწინებდა ფასიანი წევალუზრუნველყოფის დანერგვას და სახელმწიფო ბიუჯეტის თანდათანობით გათავისუფლებას

საექსპლუატაციო ხარჯებისაგან, განხორციელდა 2002-2006 წლებში. პროგრამის I ფაზით გათვალისწინებული იყო წყალმომსმარებელთა ასოციაციების ჩამოყალიბება და საირიგაციო სისტემების ძირითადი და შიდასამეურნეო ქსელების რეაბილიტაცია 16 ათას ჰა-ზე, დრენაჟის მომხმარებელთა ჩამოყალიბება, სადრენაჟო სისტემების ძირითადი და შიდასამეურნეო ქსელების რეაბილიტაცია 4 ათას ჰა-ზე, სამელიორაციო ასოციაციების ჩამოყალიბება და შიდა სამეურნეო ქსელის რეაბილიტაცია 40 ათას ჰა-ზე და სამელიორაციო ასოციაციების ჩამოყალიბება 50 ათას ჰა-ზე. აღსანიშნავია, რომ სამელიორაციო ასოციაციები ვალდებული იყვნენ სამმართველოსთვის გადაეხადათ მიღებული წყლის რაოდენობის შესაბამისი თანხა და ამდენად თვით ასოციაციები იქნებოდნენ დაინტერესებული მიღებული წყლის რაოდენობის სწორად დადგენაში. აღნიშნული პროგრამის I ფაზის დასრულების შემდგომ, საქართველოს იმდროინდელმა მთავრობამ, ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე, შეაჩერა პროგრამის განხორციელება. მხოლოდ 2013 წლიდან, კოალიცია „ქართული ოცნების“ მთავრობის ინიციატივების შედეგად, მსოფლიო ბანკის ხელშეწყობით განახლდა საირიგაციო სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ირიგაციის განვითარების გრძელვადიანი(1987-2010 წლები) გეგმით, საქარველოში მთლიანად გათვალისწინებული იყო 734,2 ათასი ჰა ფართობის მოწყვა, რაც შეადგინდა მთლიანად მოსარწყავი ფართობის 49%-ს; აქედან აღმოსავლეთ საქართველოში უნდა მოწყველიყო 612,5 ათასი ჰა, ანუ აქ მოსარწყავი ფართის 55%, ხოლო დასავლეთ საქართველოში – 121,9 ათასი ჰა, ანუ მოსარწყავი ფართის 32% (იხ. ცხრილი 2). აღნიშნული გეგმა მუშავდებოდა „საქართველოებრეგბი“-ს (ამჟამად შპს „წყალპროექტი“) და „მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის“ მაღალკალი-ფიციური საეციალისტების მიერ, მასში გათვალისწინებული იყო როგორც წყლის რესურსების დაკვირვების მრავალწლიანი მასალები, ასევე სოფლის მეურნეობის განვითარების, მისი პროდუქტიულობის ამაღლების პრიორიტეტები.

ამჟამად, აუცილებელია, არსებული რეალობის გათვალისწინებით, სოფლის მეურნეობის განვითარების გრძელვადიანი პროგრამის შემუშავება და მისი განხორციელების აუცილებელი კომპონენტის, ირიგაციის გაფართოების გრძელვადიანი პროექტის შემუშავება და ეტაპობრივი განხორ-

ციელება. ვფიქრობთ, უნდა აღდგეს და გაფართოვდეს როგორც მსოფლიო ბანკის აღნიშნული პროექტი, ისე საჭიროა ქვეყნის საბიუჯეტო რესურსების სულ უფრო მზარდი ნაწილის მიმართვა ირიგაციის განვითარებისა და სარწყავი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობების გადიდებისათვის.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ს. ქაუხეჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია (ცნობები საქართველოს შესახებ), თბ., 1957.
2. ი. კიკვიძე, მორწყვა ძველ საქართველოში, თბ., 1963.
3. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ი. დოლიძის რედაქციით, თბ., 1963.
4. ი. ჭავჭავაძე, თხ. ტ. VII, თბ., 1956.
5. 6. უკლება, საქართველოს სსრ წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენება სახალხო მეურნეობაში, თბ., 1977.
6. გ. ქობულია. საინჟინრო მელიორაცია, I ნაწ., მორწყვა. თბ., 1971.
7. 6. იაშვილი, მელიორაცია სოფლის მეურნეობაში, ტ. I, თბ., 1970.
8. В.И. Колесников. Экология и водные отношения Грузии, Тб., 1992.
9. ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტი, მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული, თბ., 2001.
10. გ. ვართანოვი, საქართველოს წყლის რესურსების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა. საერთაშორისო სამართლისა და მართვის ქართულ-ბრიტანული უნივერსიტეტი, თბ., 2009.
11. R.D. Norton, Agricultural Development Policy, Concepts and Experiences, John Wiley&Sons, Ltd, 2004.
12. FAO, „Water Policies and Agriculture, in the State of Food and Agriculture 1993, FAO of the Unite Nations, Rome, 1993.
13. „საქსახწყალპროექტი“-ს საარქივო მონაცემები.

## ACTUAL ISSUES OF GEORGIA'S AGRICULTURAL IRRIGATION POLICY

### Annotation

The paper shows causes of catastrophic collapse of irrigation system of last century's 90-th. The actual situation and existing problems of irrigation sector are analyzed in the article. Methodological principles are worked out and actual issues of irrigation policy's are shown. Irrigation resources, the ways and directions of irrigation development are determined according to the natural-climate characteristics of the country.

**როლანდ სარჩიმულია**  
**საქართველოს საბარეო გაჭრობის ბალანსი და**  
**მოსახლეობის დასაქმების ზრდის ოპტიმიზაციის პროცესი**

განხილულია საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული ოპტიმალურისა და ოპტიმიზაციის, პრივატიზებისა და პრივატიზაციის, როგორც ტერმინების დაზუსტებისა და გამოყენების საკითხები.

დასმულია პროდუქციის ექპორტისა და იმპორტის მომგებიანობის ოპტიმიზაციის ამოცანა და შედგენილია შესაბამისი ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი, სადაც ჩართულია საგარეო ვაჭრობაში პროდუქტების დაბადენსების, დეფიციტისა და გადაჭარბების განმარტებებზე ახლებური შეხედულებები.

ჩატარებულია მსჯელობა საქართველოს მოქალაქის თავისივე ქვეყნაში დასაქმების ორგანიზების და ქვეყნის რეგიონებში საგარეო ვაჭრობასთან უშუალოდ დაკავშირებული პერსპექტიული ფირმების ამოქმედების ეფექტიანობაზე.

1. **ტერმინების დაზუსტების საკითხები საგარეო ვაჭრობის ეკონომიკაში.** იგულისხმება გამოკვლეული იქნეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში ქვეყნებს შორის ვაჭრობის მასშტაბების გაფართოების გავლენა ეკონომიკური რესურსების გადაფასებაზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ გლობალიზაციის შესაბამისად საერთაშორისო ვაჭრობის განახლებული პროცესების მასშტაბები იზრდება, ურთიერთობის კულტურა იხვეწება და კვლევა ფართოვდება. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია ზარალი, ასე მაგალითად, ოპტიმალურისა და ოპტიმიზაციის, პრივატიზებისა და პრივატიზაციის ტერმინებში გაურკვევლო-

ბით გამოწვეული დანაკარგები, რომლებსაც დასახელებული სასრული რაოდენობის საქონელზე ცხადად წარმოიდგენენ. ისინი უშეალოდ მხოლოდ სავაჭროდ მიჩნეული საქონლის საგანზე არ მიანიშნებენ, არამედ მნიშვნელოვანია ტერმინების სიზუსტეში გარკვევა. ამ მხრივ, მათემატიკური აბსტრაქციით შეიძლება უფრო ზოგადი შემთხვევის განხილვა.

აზრის დასაზუსტებლად ჩავატაროთ მსჯელობა.

ვოქვათ,  $y$  სასრული  $G$  ელემენტების სიმრავლეს ეუფორის. მათში მაქსიმალური ან მინიმალური ელემენტი საუკეთესოა, ხოლო  $G$  თუ შესდგება უსასრულო სიმრავლის ელემენტებისაგან, მაშინ ოპტიმალურის ცნება საუკეთესოსთან შედარებით უფრო ფართოა, რაც ნიშნავს  $\underline{y} = \max \min y ;$   
 $\min \max y = \bar{y}$ ,  $G$  სიმრავლეზე, სადაც  $\underline{y}$  მინიმალური, ხოლო  $\bar{y}$  მაქსიმალური სიღიღეა, ორივე  $\underline{y}$  და  $\bar{y}$  ოპტიმალურია. ამ შემთხვევაში მათ საუკეთესოს ვერ დავარქმევთ. საზოგადოდ  $\underline{y} \leq \bar{y}$ .

თუ  $\underline{y} = \bar{y}$ , მაშინ იგი წონასწორობის პირობაა.

სულ სხვა ტერმინია „დაბალანსება“. იგი მეტწილად ბუდალტერიაში იხმარება. არ უნდა იქნეს ერთმანეთში არეული წონასწორობისა და დაბალანსების ტერმინები.

ეკონომიკის კონკრეტული ამოცანების შემთხვევაში  $G$  სასრული რაოდენობის ელემენტებისაგან შედგება. იგი რეალურად არსებობს, მაგალითად, სავაჭროდ გამოტანილი ერთგვაროვანი პროდუქტის რეკლამა შეიძლება იყოს: გვაქვს საუკეთესო პროდუქტი, ამ შემთხვევაში ტერმინი – ოპტიმალურის გამოყენება გაუგებრობას გამოიწვევს. თუმცა მოსალოდნელია ისიც, რომ ოპტიმალურისა და ოპტიმიზაციაზე მსჯელობა გრამატიკულ ბრუნვებში ჩაირთოს და ამით წაიშალოს განსხვავება, რაც პრივატიზებისა და პრივატიზაციის გაიგივებისას დიდ მასშტაბებში დანაკარგებს იწვევს [1].

ეკონომიკაში, ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღება შეზღუდვათა დაცვას სჭირდება. რამდენად მნიშვნელოვანია იგი ნათლად ჩანს ისეთი განმარტებიდან, როგორიცაა, რისკი ზარალის ალბათო-

ბაა (სადაც შეზღუდვების დაცვასაც გულისხმობენ. ზოგჯერ ამას უგულებელყოფენ, რაც პარალოგიზმია).

2. ექსპორტის იმპორტთან ოპტიმიზაციის პრობლემა საგარეო გაჭრობაში. გრეგორი მენქიუს მსჯელობის მიხედვით [2, გვ. 847], დაბალანსებული ვაჭრობა პროდუქციის ექსპორტის იმპორტთან ტოლობაა. ქვეყანაში სავაჭრო დეფიციტი იმპორტის ექსპორტზე, ხოლო სავაჭრო უპირატესობა ექსპორტის იმპორტზე გადაჭრობებაა.

პროდუქციათა ექსპორტისა და იმპორტის მომგებიანობის ერთმანეთთან დასაკავშირებლად დავსვათ ოპტიმიზაციის ამოცანა და წარმოვადგინოთ შესაბამისი ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი:

$$\bar{x}_k \geq 0 \text{ და } \underline{x}_k \geq 0, \quad k = \overline{1, p}, \quad (1)$$

$$\bar{x} = \sum_{k=1}^P \bar{x}_k, \quad \underline{x} = \sum_{k=1}^P \underline{x}_k, \quad (2)$$

$$c(\bar{x}) = \sum_{k=1}^P c_k \bar{x}_k \rightarrow \max, \quad (3)$$

$$c(\underline{x}) = \sum_{k=1}^P c_k \underline{x}_k \rightarrow \min, \quad (4)$$

სადაც  $\bar{x}_k$  არის  $k$ -ური სახეობის საექსპორტო პროდუქტის მოცულობა, ხოლო  $\underline{x}_k$  აღნიშნავს საიმპორტო პროდუქციას,  $p$  პროდუქციის საერთო რიცხვია.

(1)–(4) მოდელით ნაგულისხმევია ლარებში საგარეო ვაჭრობით მოგების მაქსიმუმის მიღება.

$\bar{c}_k$  და  $\underline{c}_k$  მოგებებია, რომლებიც  $k$ -ური პროდუქციის ექსპორტსა და იმპორტს აფასებენ ლარებში. ეს ისაა, რაც  $k$ -ური სახეობის პროდუქციის ერთეულზე მოდის.

(1)–(4) მოდელის მიხედვით დაბალანსებული ვაჭრობა ნიშნავს  $\bar{x} = \underline{x}$ . როცა  $\bar{x} < \underline{x}$ , მაშინ ქვეყანაში სავაჭრო დეფიციტია, თუ  $\bar{x} > \underline{x}$ , ეს სავაჭრო უპირატესობას ნიშნავს.

დაბალანსების ზოგად ამოცანაში (1)–(4) პირობების დაცვით საძიებელია  $\bar{x}_k$  და  $\underline{x}_k$ ,  $k = \overline{i, p}$ , როდესაც  $\bar{x} = \underline{x}$  და

$c(\bar{x}) = c(\underline{x})$ , რაც იდეალური შემთხვევაა, რომლის მიღწევის შესაძლებლობები დღევანდელი საქართველოს ეკონომიკას უახლოეს დროის პერიოდისათვის არ გააჩნია.

ყოველი ქვეყნის საგარეო გაჭრობის თავისებურებაა არა მარტო მოგების მაქსიმუმიაზე ზრუნვა, ამასთან, მნიშვნელობა ენიჭება ფულად ერთეულებში გამოსახული სავაჭრო პროდაქტების მიხედვით ექსპორტის იმპორტთან რაოდენობრივად გადაჭარების ზრდასაც.

თუკი ქვეყანაში ვაჭრობის გამაძლიერებელი რესურსები დეფიციტია, მაშინ მოგებაზე ზრუნვა იზღუდება და აუცილებელი ხდება მაღალი დონის ეკონომიკური ანალიზის ჩატარება. იგი ეყრდნობა მრავალმიზნობრივ ამოცანაში პარეტოს ოპტიმუმის გამოყენებას.

საქართველოს ეკონომიკისათვის პარეტოს ოპტიმუმი მოღიცირებული შინაარსით უნდა იქნეს წარმოდგენილი. იგი დინამიკური სახისაა, სადაც მოსახლეობის დასაქმების მაქსიმუმიაზე წინა პლანზეა წამოწეული და საგარეო ვაჭრობით მოგებაზე ზრუნვას ეყრდნობა.

3. უმუშევრობის შემცირებასთან დაკავშირებული დასაქმების პოლიტიკა და მისი გავლენა საგარეო ვაჭრობის ბალანსზე. იგი მოიცავს მოსახლეობის სასარგებლო შრომას, რაც შესაბამისი გასამრჯელოთი ფასდება, ხოლო ცხოვრების დონე ქვეყნაში შრომის ეფექტინობაზეც ქმნის ზოგად წარმოდგენას.

ყოფილ საბჭოთა კავშირში დაკანონებული იყო სახელმწიფოს მიერ შექმნილ სამუშაო ადგილებზე მოსახლეობის განაწილება და მათი საარსებო მინიმუმით ხელფასის გადახდა, რაც ოუკენის კანონის მოთხოვნებსაც აკმაყოფილებდა, მაგრამ ეს შემთხვევითი იყო.

საბაზრო ეკონომიკის გადასვლის თეორიამ გამოავლინა საბჭოთა კავშირის დასაქმების პოლიტიკის რიგი ნაკლოვანებები. აშკარა გახდა განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების კონკრეტული მიღწევები – შრომის მწარმოებლურობის მაღალი დონე, ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების პერსპექტივა და ა.შ.

ამ მიმართულებით პოსტსაბჭოთა საქართველოში თავისი მნიშვნელობით მიმზიდველი გახდა საბაზრო ეკონომიკით განპირობებული მოსახლეობის დასაქმების პოლიტიკა, თუმცა მბრძანებლურმა სისტემამ თავისუფალი მეწარმეობის განვითა-

რებას ამ მხრივაც საფუძვლები გამოაცალა, რამაც გამოიწვია ჩვენს ქვეყანაში დასაქმების დაბალი დონე, წარმოების ზარალიანობა და სხვა რიგი სიძნელეები.

დასაქმების საბაზრო ეკონომიკის მოდელი მოცემული აქვს იზა ნათელაურს ნაშრომში [3], სადაც განხილულია საბაზრო მექანიზმები დაყრდნობით მოთხოვნა-მიწოდების პროცესი, რომლებმაც დასაქმების ზრდასთან ერთად უნდა გამოიწვიონ უმუშევრობის შემცირება პოსტკომუნისტური საქართველოს საწარმოო რესურსების მუდმივი (ქრონიკული) დაფიციტის პირობებში [3, გვ. 11-12].

საქართველოსთვის დამახასიათებელი გახდა დროდადრო განახლებული წინააღმდეგობები, როდესაც მათ დაძლევაზე ზრუნვის ყოველი კონკრეტული შემთხვევაც კი ახალ მრავალმხრივ წინააღმდეგობებს ქმნის. მათ შორისაა მოსახლეობის დაუსაქმებლობა, მდიდარი და საშუალო ფენების რიცხოვნობის მცირე პროცენტი (რომელიც 10-20%-ს არ აღემატება), რაც, მთლიანობაში, სიღარიბის დაძლევის პრობლემაში ფიქსირდება.

ამასთან დაკავშირებით საიმედოა განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების დახმარებები და გლობალიზაციის სიკეთის პერსპექტივა ეკონომიკურად დამოუკიდებელი საქართველოსათვის.

განვითარებული ქვეყნების ეკონომიკა, როგორც დინამიკური სისტემა, მეტწილად მუდმივი მოძრაობის გაფლენით, წონასწორული მდგრმარეობისაგან გადახრილია. პოსტსაბჭოთა საქართველოში ეკონომიკური მეცნიერება ქვეყნის ექსპორტის იმპორტთან უპირატესობის მისაღწევად მდგრად მდგრმარეობაზე ზრუნვას ანიჭებს მნიშვნელობას, რომელსაც მოსდევს მრავალმხრივი სიკეთე, მათ შორისაა ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერება, მოსახლეობის დასაქმების ზრდა და უმუშევრობის შემცირება.

**4. დასაქმების პოლიტიკა საქართველოში.** იგი, ზრდასთან ერთად, მთავრობისაგან კონკრეტულ მიდგომას მოითხოვს, თანაც ისე, რომ სამუშაო ადგილების ზრდა უმუშევრობის შესამცირებლად წარიმართოს და უცხოეთში მდალაბაზდაურებადი სამუშაოს მაძიებელი ჩვენი მოქალაქე სამშობლოში დაბრუნდეს. ამ მხრივ საიმედოა ქვეყნის რეგიონებში პერსპექტიული ძლიერი ფირმების ამოქმედება; აქციების გამოყენებით ვაჭრობის პირობების შექმნა ისე, რომ გააქტიურდნენ საწარ-

მოები; პროდუქციის გამოშვებით მიღებული მოგება მიზანმიმართული იყოს მაქსიმიზაციისაკენ.

ამას სირთულეები ახლავს, განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნის რეგიონებში, მაგალითად, შეიძლება ასე ვიმსჯელოთ, რომ იშვიათია ისეთი აქციონერი, რომელსაც ფირმაში დასაბანდებდად საჭირო რაოდენობის აქციები გააჩნია, მაგრამ მცირე შესაძლებლობით იგი მხოლოდ რისკის მიედზე ვერ დარჩება, მით უფრო მაშინ, როცა მრავალმხრივი გაურკვევლობაა და აქციონერი რისკის შედეგიანობაში დარწმუნებული არ არის.

გარდა ზემოთ აღნიშნული ცალკეული სირთულისა, ყურადსალებია შედარებით მარტივი შემთხვევა, როცა ადამიანთა საზოგადოებისათვის დამახასიათებელია საქოველთაო კუთილდებისაკენ ლტოლვა, რაც საწყისებს იღებს ხელით შრომის ორგანიზების დახვეწასა და შრომის პროცესის რაციონალურ გამოყენებაში. მაშინაც მიზანმიმართული კაპიტალ-დაბანდები ხელს უწყობს შრომის მწარმოებლურობის ზრდას. შესაბამისი ეკონომიკური საქმიანობა შედარებით მცირე მასშტაბის ოპტიმიზაციით წარიმართება. ამას შეიძლება ახლდეს საქართველოს ვაჭრობისათვის დამახასიათებელი საქონლის მიმწოდებლის ან მომხმარებლის (მყიდველის), ან ორივეს ერთად წაგება. მისი მიზეზები ადგილი ასახსნელია და გამოცდილების შესაბამისად ვაჭრობის როგორი შემთხვევებითაც სარგებლობენ. მათი თავისებურებები დახასიათებულია ნაშრომში [4, გვ. 226-232].

21-ე საუკუნიდან საგარეო ვაჭრობა გლობალიზაციის პირობებში მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების პირობების შექმნას ხელს უწყობს მიმწოდებლის გამყიდველზე და მომხმარებლის (მყიდველის) ორივეს ერთდროული მოგებებით. წარსულში (იგულისხმება მე-20 საუკუნე), როცა თავისუფალი კონკურენცია მდგრადი არ იყო და მას გლობალიზაცია არ ახლდა, მაშინ ქვენის ეკონომიკის დაბალი დონე მეტილად განაპირობებდა მომხმარებლის ხარჯზე მხოლოდ მეწარმის მოგების მიღებას.

ზემოთ მოყვანილი საგარეო ვაჭრობის ეფექტიანობის შემთხვევები გლობალიზაციის პირობებში ნაწილობრივ დღეგანდელი საქართველოს ეკონომიკის სიძნელეებს ეხება. თუმცა ამ მიმართულებით მომავალი პერსპექტიულია, ხოლო ქვენის ამორფული მდგრმარეობა გამოწვეული იყო პოსტსაბჭოთა საქართველოს უსისტემო გარდაქმნით.

2000–2007 წლების პოსტკომუნისტურ საქართველოში სამთავრობო მონაცემებზე ჩატარებულმა ფიზუალურმა ფილტრმაც გამოავლინა ის, რომ ქვეყანაში დასაქმების დონე საშუალოდ 1%-ით მცირდებოდა, ხოლო მათთან უმუშევრობის დონის დამოკიდებულება არ ფიქსირდებოდა. კონკრეტული მონაცემები ადასტურებდა დასაქმებისა და უმუშევრობის დონეებს შორის კორელაციის თითქმის ნულთან ტოლობას. მაშინ უმუშევრობა დონში ზრდის მაღალი ტემპებით ხასიათდებოდა, თუმცა ამ ზრდას 2000–2012 წლების ცალკეულ შემთხვევებში კლებისა და ზრდის მონაცევლების დაბალი (თითქმის უმნიშვნელო) ტემპებიც ახლდა.

2003–2012 წლების საგარეო ვაჭრობაში პრივატიზაციის ობიექტების რაოდენობრივმა ზრდამ, ცხოვრების დონის გაუარესებასთან ერთად, პოსტსაბჭოთა საქართველოს მოსახლეობის დასაქმების შემცირება გამოიწვია.

საქართველოში სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების წარმატებულად ჩასატარებლად ისევ აუცილებელი გახდა ილია ჭავჭავაძის მაღალი დონის ხედვით შექმნილი დამრიგებლური რჩევების გათვალისწინება. იგი ცერდალურიდან კაპიტალიზმზე გადასვლის მეცნიერული კვლევის საფუძველზე სამოქმედო პროგრამის განახლება-გამოყენებას ეხება [5, გვ. 103–105]. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოსახლეობის გამდიდრებისაკენ გაუცნობიერებულმა ლტოლვამ 21-ე საუკუნის დასაწყისშიც ჩვენი ქვეყნა სიდარიბის მძიმე მდგომარეობაში დატოვა.

რამდენიმე ათეული წელია, რაც პოსტსაბჭოთა საქართველოსათვის დამახასიათებელი გახდა ეკონომიკური პარალოგიზმის უწყვეტი ნაკადების უარყოფითი გავლენა საბაზრო ეკონომიკის ნორმალიზებულ ორიენტაციასა და დემოკრატიზაციაზე [6]. მათზე დამაკვალიინებლად მოქმედებს ისეთი ეკონომიკური აზროვნება, რომელიც ორიენტირებულია აგრეთვე ქვეყანაში გამდიდრების ხარბი ლტოლვით დაავადებული ბიუროკრატების დასათრგუნად, რაც საგარეო ვაჭრობის შემთხვევაშიც გააქტიურებას მოითხოვს.

21-ე საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში აგრესიული მოსახლეობის მდიდარი ცენტრის კიდევ უფრო მეტად უსამართლოდ გასამდიდრებლად შეიქმნა პირობები, რამაც ხელი შეუწყის საშუალო და დარიბი ცენტრის კიდევ უფრო გადარიბებას, მათი დასაქმების შეზღუდვას და უმუშევრობის ზრდას. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ წინამდებარე და მისი მსგავსი ნა-

შრომები საქართველოში საგარეო ვაჭრობის ორგანიზებაზე დადგენით გავლენას მოახდენს, რაც პერსპექტიულია მოსახლეობის დასაქმების რიცხოვნობის ზრდითა და სიღარიბის დაძლევაზე ზრუნვით გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. რ. სარჩიმელია. პრივატიზება და სიღარიბის დაძლევის ზოგიერთი საკითხი საქართველოში. პ. გუგუშვილის ეპონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტ. III, თბილისი, 2010, გვ. 210-222.
2. გრეგორი მენქიუ. ეკონომიკის პრინციპები. თბილისი, „დიოგენი”, 2000 (თარგმანი), გვ. 846-849.
3. ი. ნათელაური. დასაქმების აქტუალური პრობლემები საქართველოში, პოსტკომუნისტური პერიოდი. თბილისი, 2009.
4. გ. ერქომაიშვილი, ე. ხარაიშვილი. ფირმის ეკონომიკა. თეორია და პრაქტიკა. გამომცემლობა „უნივერსალი”. თბილისი, 2011.
5. გ. კვარაცხელია. ილია ჭავჭავაძე და კაპიტალიზმის პრობლემები საქართველოში. გამომცემლობა „ინტელექტი”. თბილისი, 2012.
6. გ. პაპავა. საბაზრო ეკონომიკის ნორმალიზაციის საფუძვლები და დემოკრატია. ეკონომისტი, №1, 2009, გვ. 57-65.

*Roland Sarchimelia*

### **THE FOREIGN TRADE BALANCE OF GEORGIA AND THE PROBLEM OF EMPLOYMENT GROWTH OPTIMIZATION**

**Annotation**

The issues of the precise definition and use of the terms such as “optimal” and “optimization”, “privatizing” and “privatization” are considered in the article.

The problem of the optimization of export regarding import is raised, the impact of employment policy on the decrease of unemployment is characterized.

*Ната Даvlaшериძე*

## ТЕОРЕТИЧЕСКИЕ ПРОБЛЕМЫ СОВЕРШЕНСТВОВАНИЯ РЫНОЧНОЙ ЭКОНОМИКИ В ТРУДАХ НОБЕЛЕВСКИХ ЛАУРЕАТОВ

Лауреаты Нобелевской премии по экономике внесли значительный вклад в изучение рыночного хозяйства, в анализ фундаментальных проблем современной экономики, в разработку множества прикладных исследований в самых разнообразных областях экономической науки. Значительное место в работах нобелевских лауреатов посвящено изучению теоретических проблем совершенствования рыночной экономики.

Развитие рынка – это длительный процесс в экономической истории человечества. Со временем меняются границы, формы и конкретные функции рынка. Но на любой фазе своего исторического развития рынок выступает как особая сфера, в которой происходит обмен товаров, столкновение и согласование интересов производителей и потребителей. В той или иной степени тема развития и совершенствования рынка и рыночных отношений затрагивается многими лауреатами Нобелевской премии по экономике, но наибольшее внимание ей удалено в трудах таких выдающихся экономистов как, Пол Сэмюэлсон (Paul Samuelson), Фридрих Август фон Хайек (Friedrich August von Hayek), Милтон Фридман (Milton Friedman), Гарри Макс Марковиц (Harry Max Markowitz), Уильям Форсайт Шарп (William Forsyth Sharpe), Мер顿 Говард Миллер (Merton H. Miller) и др.

Фундаментальный вклад в разработку теории рыночной экономики внес первый американский нобелевский лауреат по экономике (Нобелевская премия за 1970 год - «за научную работу, развившую статическую и динамическую экономическую теорию и внесшую вклад в повышение общего уровня анализа в области экономической науки») Пол Сэмюэлсон, автор одного из самых популярных учебников – «Экономикс» («Economics: An Introductory Analysis», 1948), выдержавшего более 20 изданий, суммарные продажи по всему миру достигли 4 миллионов копий, книга переведена на 40 языков. Сэмюэлсон внес немало нового в разработку многих проблем рыночных отношений: теории цен, теории экономического цикла, принципов прикладной экономики, теории оптимального экономического роста и др. Основополагающей идеей служит выдвинутая Самуэлсоном идея «неоклассического синтеза» важнейших направлений экономической науки, им разработаны свои

усовершенствования в методологию, используемую во всех областях экономического анализа. Точное применение им математики в анализе фундаментальных экономических теорий выясвило те элементы, которые ограничивали эти теории, что повысило их способность отображать реальные мировые проблемы. Он является автором теории выявленных предпочтений потребителей. Согласно традиционному подходу теории потребителей, люди «максимизируют полезность» (стремятся добиться наибольшего удовлетворения своих потребностей), когда они покупают какие-либо товары или услуги. Эта теория не могла быть опровергнута, поскольку полезность, представляя собой качественную категорию, не может быть измерена. Сэмюэлсон, однако, доказал, что максимизация полезности может быть определена сравнением выбора потребителей перед изменением цен и после него. Потребители с рациональным поведением не будут покупать по новым, более высоким ценам те товары и услуги, которые они могли бы потребить по старым, более низким ценам. Этой теорией Сэмюэлсон открыл дорогу важным новым положениям теории индексов цен и измерения национального дохода.

Книга Сэмюэлсона «Основы экономического анализа» ("Foundation of Economic Analysis"), опубликованная в 1947 г., оказалась одним из наиболее значительных экономических произведений нашего века. Она послужила прочной основой для основного потока экономической теории. В «Основах экономического анализа», широко используя математический аппарат, дано обстоятельное изложение основных разделов теоретической экономики. В «Основах экономического анализа» высшая математика в соединении с анализом явилась исходным пунктом единого подхода к статической и динамической теории. В данной книге Сэмюэлсон утверждал, что в таких различных областях, как теория производства и потребления, теория международной торговли, государственные финансы, экономика благосостояния, практически все важные результаты могут быть получены при математическом выводе некоторых функций, подверженных ряду ограничений. Он также настаивал на том, что статистические предсказания экономической модели и ее динамическое поведение связаны между собой – это положение известно как принцип соответствия. Наиболее выдающимся его вкладом в экономическую науку явилась разработка им анализа стабильности. Анализ стабильности касается общей теории цен или динамической ситуации, в которой цены устанавливаются в условиях неравновесия, когда степень изменения цены определяется

превышением спроса над предложением. Этот анализ также нуждается в математической точности теории экономического цикла.

<b>ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლი-საოგის მომსახურების გაწევა</b>	305.3	456.0	583.6	663.3	628.0	887.8	1138.7	1226.2
<b>განათლება</b>	385.2	511.2	549.2	671.2	757.5	874.0	1050.0	1109.0
<b>ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება</b>	404.0	597.5	688.6	835.2	1021.4	1202.0	1275.5	1349.3
<b>სულ</b>	<b>4629.9</b>	<b>5805.3</b>	<b>6734.4</b>	<b>7807.7</b>	<b>7448.3</b>	<b>9302.9</b>	<b>10716.9</b>	<b>11465.3</b>

**წყარო:** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც ცხრილიდან ჩანს, მომსახურების სფეროში მთლიანი შიდა პროდუქტი დარგების მიხედვით საქართველოში 2012 წლისათვის 2005 წელთან შედარებით გაიზარდა 2,5-ჯერ. ცხრილის მონაცემები მოწმობს იმას, რომ საქართველოს ეკონომიკაში მომსახურების სექტორი სულ უფრო მეტად განმსაზღვრელი ხდება. იზრდება მომსახურების სფეროს მნიშვნელობა ეკონომიკისათვის. ამას ადასტურებს წარმოებული მომსახურების მოცულობის გადიდება. სერვისული მომსახურების განვითარება უშეალო, ხშირად კი განმსაზღვრელ გავლენას ახდენს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხზე, მისი თავისუფალი დროის ეკონომიკაზე.

მომსახურების სფეროს განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი უნდა გახდეს მცირე ბიზნესის განვითარებისა და განმტკიცებისადმი სახელმწიფოს აქტიური ხელშეწყობა, რადგან სწორედ მცირე ბიზნესს უკავია განმსაზღვრელი პოზიციები მომსახურების სფეროში. მცირე მეტარმეობის მნიშვნელობა სულ უფრო გაიზრდება მატერიალური წარმოების რესტრუქტურიზაციისა და მასში დასაქმებული შრომითი რესურსების რაოდენობის ზრდის პარალელურად.

სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში გატარებული სტრუქტურული გარდაქმნების ძირითადი კრიტერიუმია მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, რაც სათანადო ასახვას პოვებს მომსახურების სფეროში პრიორიტეტებისა და საქმიანობის შინაარსის განსაზღვრაში. მოცემული კრიტერიუმი, ჩვენი აზრით, პრიორიტეტული უნდა იყოს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მიმართულებების განსაზღვრის დროსაც.

ეკონომიკის გლობალიზაციისა და კონკურენციის ზრდასთან დაკავშირებით კომპანიები იძულებული არიან, მუდმივ ინოვაციურ მზაობაში დარჩენენ და იბრძოლონ ახალი იდეებისა და პროდუქტების შესაქმნელად. საგრძნობი ინოვაციური შედეგი უმთავრესად მიიღწევა ინოვაციათა მენეჯმენტსა და პროდუქტის დაპროექტებასა და განვითარებას შორის ეფექტიანი ურთიერთდამოკიდებულებების გზით, თუმცა მომსახურებათა ესა თუ ის მასასიათებელი არ იძლევა შესაძლებლობას, ინოვაციათა ტრადიციული ფორმები პირდაპირ იქნეს გამოყენებული სერვისებისათვის.

ჩვენს ქვეყანაში მომსახურების სფეროს განვითარების მდგომარეობისა და პერსპექტივების შეფასებისას ხაზი უნდა გავუსვათ მათ კავშირს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მდგომარეობასა და პერსპექტივებთან.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარათაშვილი ე., თაკალანძე ლ., მენეჯმენტი და ადმინისტრირება. თბ., 2011.
2. ბარათაშვილი ე., ქოქიაური ლ. მენეჯმენტის პრინციპები, სახელმძღვანელო, თბ., 2010.
3. გურაბანიძე ვ., შანიძე გ. გლობალური ბიზნესის მენეჯმენტი. ქუთაისი, 2013.
4. ქათამაძე გ., ქათამაძე დ. მომსახურების მარკეტინგი. თბ., 2013.

5. Manual of Statistics of International Trade in Services. // Union Nations, European Commission, OECD, International Monetary Fund, WTO // Geneva, Luxemburg, New York, Paris, Washington. 2000, c. 7.
6. www.geostat.ge

*Badri Gechbaia  
Gela Mamuladze*

## **MANAGEMENT PROBLEMS IN THE SERVICE SECTOR AND THE WAYS OF THEIR IMPROVEMENT**

### **Annotation**

Problems in the service management and tendencies are studied and researched in the article. It is noted that country's transitions to market economy formation of service sector is a time challenge and represent an objective necessity. It is studied and established that the development of service sector is conditioned by labour public distribution in service production and related economic system circle specializations, strengthening production material and non-material elements integration, scientific knowledge, accumulation of non-material forms and what is especially characterized with human factors noticeable priority. At the modern stage demand for the development of the services is beyond pure economic scope - expanding the range of services, which is directed on the human perfection, increase of his/her physical and intellectual potential, satisfaction of multilateral spiritual and social requirements.

*Дали Чахвашвили  
Натела Какауридзе*

## **ЭКОНОМИЧЕСКОЕ АСПЕКТЫ ЖИЗНЕННО НЕОБХОДИМЫХ ДОХОДОВ НАСЕЛЕНИЯ**

Уровень жизни населения сложная система. В последний период было сформулировано множество подходов к оценке уровня жизни населения, была заложена основа совершенно новой методологии анализа, но в мировой экономической литературе пока еще не разработан такой интегральный индикатор, который в совершенстве представит полную картину этой категории.

Для характеристики уровня жизни, для его экономико-статистического анализа используют не один, а целую систему социально-экономических показателей. В настоящее время для всех

стран рекомендована разработанная ООН система показателей оценки уровня жизни населения.

Величина получаемого денежного дохода в определенном смысле характеризует качество и стоимость индивидуального человеческого материала, статусное место человека в обществе, государстве и в мире. Для дифференциации доходов населения особое значение приобретает децильный коэффициент. Децильный коэффициент показывает разницу в величине среднедушевых доходов 10% самых богатых и 10% самых бедных людей в населении страны. Самое низкое значение этого коэффициента в Дании, Финляндии и Швеции - от 3 до 4, в Германии, Австрии и Франции - от 5 до 7, в Японии - 6, в США по разным источникам информации - от 12 до 15, в России от 15 од 16,5 в Бразилии - 39. Оптимальные значения этого коэффициента по мнению многих экономистов - 5-7.

Распределение доходов неравнoprавное в любой стране. В этом смысле не исключение и Грузия. В случае высокой дифференциации средние показатели, определяющие уровень жизни, такие как средняя зарплата, средние расходы, средний уровень доходов и другие скрывают разницу между различными слоями населения и не представляют реальную картину, что очень значительно для проведения социальных мероприятий в стране. Для решения этого вопроса статистика разработала сильнейший научный метод измерения дифференциации уровня жизни. Значительным инструментом анализа является разделение населения по среднедушевому уровню денежных доходов, который дает возможность сравнить друг с другом отделенные группы населения по денежным доходам.

Согласно отчету ООН 2012 года, которая изучает величину зарплаты занятого населения в мире, Грузия занимает лишь 59-ое место. Грузия по величине средней зарплаты (ежемесячно по 603 доллара США и по 20 долларов в день) отстает от Украины (686/23, Китая (656/22) и Мексики (609/20, зато немного опережает богатый нефтью и газом Азербайджан (596/20), Египет (548/18) и Таиланд (489/16), Армения (471/16), Молдавия (438/15) и такая экономически растущая страна, как Индия (295/10).

По заключению экспертов в настоящее время прожиточный минимум взрослого человека в Грузии ежемесячно составляет 150 лари, но для скемы из 4-х душ необходимо 270 лар. Реально такой семье для обеспечения погашения налогов и приобретения необходимых товаров личного пользования понадобится не менее 350 лар.

При рассмотрении фонда потребления как обобщающего показателя уровня жизни нужно учитывать, что в него входит материальное потребление в научных учреждениях, в сфере управления и в обороне, которое лишь косвенным образом влияет на благосостояние народа. Остальная часть фонда потребления представляет собой фонд потребления населения -показатель объема материальных благ в той или иной форме потребленных населением за год. Ясно, что он еще ближе стоит к понятию «уровень жизни», чем фонд потребления.

Большую часть доходов население получает в денежной форме. Денежные доходы включают оплату труда в денежной форме и денежные выплаты из общественных фондов потребления в виде пенсий, пособий и стипендий. Важнейшим показателем доходов населения, как, впрочем, и обобщающим показателем уровня жизни, являются реальные доходы, выражающие действительное материальное наполнение номинальных доходов населения.

Особое значение приобретают доходы, которые с определённой степенью допустимости можно отнести к карманным денежным средствам, значительная часть которых расходуется получателями сразу же после их поступления. Имеющиеся у людей ценности в виде жилой, производственной, коммерческой, земельной и др. недвижимости, движимые и нематериальные активы, банковские вклады, ценные бумаги и страховки, как атрибуты преимущественно богатых и очень богатых личностей, к карманным денежным средствам не желательно отнести.

Карманными доходами (денегами) человека и семьи условно считаются соответствующие помесячные суммы реальных денег, оказавшиеся в распоряжении рассматриваемых одиноких и семейных людей в качестве оплаты затраченного ими труда работодателями, результатов их собственной предпринимательской деятельности, а также всякого рода пенсий, пособий и субсидий. Эффективное управление именно этими доходами и особенно их месячными расходами на существование является актуальной и важнейшей тактической задачей получающих их людей и семей.

Ежемесячно поступающие конкретному человеку или конкретной семье доходы используются (осваиваются) в двух направлениях, называемых нами расходами на проживание (существование, потребление либо в просторечии – на жизнь) и на откладывание, накопление (сбережение), если такая возможность есть. Основными элементами расходов на существование являются затраты на пропитание, личные вещи и предметы быта; жилищно-

коммунальные расходы, затраты на транспорт, связь и интернет, расходы на проведение отпускных дней, затраты на образование, здравоохранение, спорт и культуру и прочие, включая и вредные привычки. Отдельная статья расходов – дети, иждивенцы, помочь родителям и родственникам, если таковые есть.

Получению дополнительных доходов и особенно снижению расходов на существование безусловно способствует работа на приусадебном и садово-огородном (дачном) участках, если таковые имеются.

Напишем элементарные соотношения, показывающие взаимосвязь месячных значений дохода ( $\Delta\Phi$ ), расходов ( $\Phi$ ) и накоплений ( $N\Phi$ ) отдельного человека и семьи:

$$\Delta\Phi = \Phi + N\Phi$$

Отсюда

$$N\Phi = \Delta\Phi - \Phi$$

Более корректно соотношение (1) можно записать в следующих видах:

$$\Delta\Phi = (\Phi - \Delta\Phi) + N\Phi$$

Или (3)

$$\Delta\Phi = (\Phi + \Pi\Phi) - \Phi$$

где  $\Delta\Phi$  и  $\Pi\Phi$  – соответственно экономия или перерасход средств  $\Phi$  в каждом конкретном случае.

Раскрытие скобок в соотношениях (3) позволяют записать их в форме:

$$\Delta\Phi + \Delta\Phi = \Phi + N\Phi$$

или (4)

$$N\Phi = (\Delta\Phi + \Delta\Phi) - \Phi$$

либо

$$\Delta\Phi - \Pi\Phi + \Phi + N\Phi$$

или (5)

$$N\Phi = (\Delta\Phi - \Pi\Phi) - \Phi$$

Как следует из соотношений (4) и (5), экономия на  $\Phi - \Delta\Phi$  равносильна получению дополнительного дохода, равного этой экономии и соответствующему увеличению величины  $N\Phi$ ; перерасход затрат  $\Phi$ , в свою очередь, равен сокращению части доходов, направляемых на накопление.

Для семей, вместо показателя  $\Delta\Phi$ , как указывалось выше, используется показатель месячных среднедушевых доходов  $\Delta\Phi_s$ , который определяют следующим образом:

$$\Delta\Phi_s = (\Sigma Dr + \Sigma Pp + \Sigma Dp) + \Sigma (L + C + Rv) / Чч$$

где  $Dr$  – доход п-го работающего человека, лар/мес.;

Пп – пенсия п -го пенсионера или инвалида, лар/мес.;

Дп – пособие на п-го ребёнка, лар/мес.

Л, С и Рв – соответственно льготы, субсидии и разовые выплаты, предоставляемые тем или иным семьям государством, с мест работы отдельных членов семейства, благотворительными фондами, родственниками и т.д.;

Ч – общее число членов семьи, чел.

Аналогичным образом устанавливают величину среднедушевого прожиточного минимума в семье.

Нетрудно увидеть, что соотношение (1) содержит два основных параметра (ДФ и РФ) и один дополнительный параметр (НФ) управления социально-экономическим и финансовым положением человека в обществе и в семье. Наиболее управляемым из указанных основных параметров управления является показатель РФ, так как его величина полностью зависит от управляющего этими расходами субъекта будь то одинокий человек или семья. Сумма поступающих человеку доходов ДФ не всегда зависит от его образованности и квалификации, желания, способностей и возможностей. Здесь главную роль играет окружающая среда, место работы, вид освоенного бизнеса, рыночная конъюнктура, уровень безработицы и многое другое. Поэтому управлять величиной ДФ намного труднее, чем затратами РФ. Переломить эту ситуацию коренным образом практически невозможно, но стараться что-то делать в этом направлении, искать себе достойное место работы с приемлемой оплатой труда, обязательно нужно.

Управление параметрами ДФ, РФ и НФ становится осуществимым только в том случае, если наложен соответствующий управленческий учет и контроль их величины (месячной – для ДФ и НФ и ежедневной с последующим суммированием нарастающим итогом – для РФ). Очень важно следить за тем, чтобы экономия ЭФ на расходах РФ не достигалась за счёт нанесения ощутимого ущерба здоровью, образованию и культуре человека или семьи. Всё, что делается при управлении величиной этого показателя должно быть в разумных пределах.

Денежный эквивалент прожиточного минимума систематически корректируется государством с учетом достигнутого уровня улучшения экономического состояния страны и фактического индекса инфляции денежных средств. Сегодня темпы роста показателя Пм, к сожалению, отстают от темпов роста расходов людей, что требует незамедлительного исправления.

**Основные показатели прожиточного минимума в Грузии  
в 2012-2013 годах по месяцам (лар/месяц)**

<b>2012 год</b>	<b>январь</b>	<b>февраль</b>	<b>март</b>	<b>апрель</b>	<b>май</b>	<b>июнь</b>	<b>июль</b>	<b>август</b>	<b>сентябрь</b>	<b>октябрь</b>	<b>ноябрь</b>	<b>декабрь</b>
Прожиточный минимум мужчины трудоспособного возраста.	157,2	156,2	155,3	154,1	150,1	149,0	146,5	145,5	149,0	150,6	150,5	149,1
Прожиточный минимум среднего потребителя	139,3	138,3	137,5	136,5	133,0	132,0	129,7	128,9	132,0	133,4	133,3	132,1
Прожиточный минимум средней семьи	263,7	262,0	260,5	258,5	251,8	249,9	245,7	244,1	250,0	252,6	252,5	250,1
<b>Тип семьи</b>												
Из 1 души	139,3	138,3	137,5	136,5	133,0	132,0	129,7	128,9	132,0	133,4	133,3	132,1
Из 2-х душ	222,8	221,3	220,1	218,4	212,8	211,1	207,6	206,2	211,2	213,4	213,3	211,3
Из 3-х душ	250,7	249,0	247,6	245,7	239,4	237,5	233,5	232,0	237,6	240,1	240,0	237,7
Из 4-х душ	278,5	276,6	275,1	273,0	266,0	263,9	259,5	257,8	264,0	266,8	266,6	264,1
Из 5-ти душ	313,3	311,2	309,5	307,1	299,2	296,9	291,9	290,0	297,0	300,1	300,0	297,1
Из 6-ти душ и более	370,4	367,9	365,8	363,1	353,7	351,0	345,1	342,9	351,1	354,8	354,6	351,3
<b>2013 год</b>												
Прожиточный минимум мужчины трудоспособного возраста.	150,7	149,2										

Прожиточный минимум среднего потребителя	133,5	132,2									
Прожиточный минимум средней семьи	252,7	250,4									
<b>Тип семьи</b>											
Из 1 души	133,5	132,2									
Из 2-х душ	213,5	211,5									
Из 3-х душ	240,2	237,9									
Из 4-х душ	266,9	264,4									
Из 5-ти душ	300,3	297,4									
Из 6-ти душ и более	355,0	351,6									

*Примечание:* лар – это денежная единица в Грузии, 1 доллар равен 1,65 лар.

Размер ежемесячно получаемого дохода бесспорно характеризует социально-экономическое и финансовое положение человека в государстве и обществе. Мизерный доход обрекает индивидуума на нищету и вырождение; сверхвысокий доход незаслуженно открывает богачу путь во власть, позволяет ему существовать в условиях вседозволенности, что не отвечает веками сложившимся нормам этики, нравственности и морали. В цивилизованном обществе каждый пятый человек не может и не должен жить в нищете.

В любой стране мира с существенной дифференциацией величины денежных доходов децильных и других групп трудоспособного и прочего населения затрагиваемый вопрос требует самого серьёзного внимания, всестороннего изучения, систематического мониторинга и соответствующего реагирования государства в виде установления приемлемого предела такой дифференциации при неусыпном контроле общества и всего народа за тем, чтобы этот предел не был превышен.

Проблема черезвычайной дифференциации доходов и расходов населения в нашей стране требует неотложного внимания и обязательного решения всеми возможными способами.

### **Использованная литература**

1. Именкова С.Д., Экономика и статистика фирм. М.:Финансы и статистика, 2000
2. Курс социально-экономической статистики: Учебник для ВУЗов, под ред. М.Г.Назарова. М.: Финстатинформ, 2004
3. [www.statistics.ge](http://www.statistics.ge)
4. [www.ukrstat.gov.ua](http://www.ukrstat.gov.ua)
5. [www.gks.ru](http://www.gks.ru)

*Dali Chakhvashvili  
Natela Kakauridze*

## **ECONOMIC ASPECTS OF ESSENTIAL INCOMES OF POPULATION**

### **Annotation**

The paper noted that the amount of money income received in a sense characterizes the quality and value of the individual human material, a status the individual's place in society, the state and the world. For income differentiation is especially important to the decile coefficient. The decile ratio shows the difference in the magnitude of income per capita of the richest 10% and poorest 10% of people in the population of the country.

The results showed that in the case of high differentiation averages determining the level of life, such as the average wage, the average cost, the average level of income and other hidden differences between different segments of the population and do not represent the real picture, which is very significant for social activities in the country. To address this issue statistics to develop a strong scientific method of measuring the differentiation of living. A major tool of analysis is the division of the population on average per capita cash income level, which allows you to compare each other some groups by cash income.

In any country with a significant differentiation of the value of cash income decile and the other working groups and other populations affected by the issue requires serious attention, a comprehensive study, systematic monitoring and appropriate response of the state in the form of establishing an acceptable limit for such differentiation under the vigilant control of society and the nation for that that this limit is not exceeded. Emergency problem of differentiation of income and expenditure in our country requires urgent attention and binding decision in all possible ways.

თენციზ ქავთარაძე

**აბრარული ოფორმა და მეცხვარეობის ბანკითარების  
პროცესები საქართველოში**

აგროსამრეწველო კომპლექსს საქართველოს ეროვნულ მეურნეობაში უმნიშვნელოვანესი აღგილი უჭირავს. ახლო წარსულში აქ იწარმოებოდა მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქციის 23%. თავმოყრილი იყო ძირითადი ფონდების 24%. იწარმოებოდა მოსახლეობის სამომხმარებლო საქონლის 32% [1].

საქართველოში დაწყებულმა აგრარულმა რეფორმამ დააჩქარა სოფლად საქართველოშისა და მეურნეობრიობის სხვადასხვა ფორმების ჩამოყალიბება, გადამამუშავებელი საწარმოების განსახლმწიფოებრიობის პროცესი, მოსახლეობისათვის დამატებით საკარმიდამო, საბადე და საბოსტნე ნაკვეთების გამოყოფა. ინტენსიური სავარგველების მთლიანი ფართობიდან 613500 ჰა, ანუ 58% პროგატიზებულია. შეიძლება ითქვას, რომ მიწის რეფორმა რაოდენობრივი თვალსაზრისით საკმაოდ სწრაფად წარიმართა, თუმცა ეკონომიკური თვალსაზრისით შედეგები არადამაქმაყოფილებელია.

მიწის რეფორმისა და პრივატიზაციის შედეგად საქართველოში მოხდა მიწის დანაწევრება. დაირღვა საყოველთაოდ მიღებული ნაკვეთის დაუნაწევრობის, განუყოფლობის პრინციპი; 1,25 ჰა საკარმიდამო ნაკვეთი ძალზე მცირება ტექნიკური და ეკონომიკური უფასებრიანობისათვის მაშინ, როდესაც აშშ ერთ ფერმერულ მეურნეობაზე საშუალოდ მოდის 190 ჰა მიწის ფართობი; 900 ათასი ფერმიდან საქართველოში, რომლებმაც თითო ჰა მიწის ნაკვეთი მიიღეს, მხოლოდ 10%-ს შეუძლია მცირება ტექნიკის შეძენა, როგორიცაა, მაგალითად 17-ლარიანი შესასეურებელი. რაც მთავარია, ადნიშნული ფართობი ხელს არ უწყობს კომერციულ წარმოებას. ხშირად მეურნეობა დაყოფილია რამდენიმე ნაკვეთად, რაც კიდევ უფრო ამცირებს წარმოების უფასებრიანობას. მწარმოებლისათვის ამჟამად აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ტექნიკა, სათესლე მასალა; ტექნიკის იჯარა (თუნდაც სამი წლით) ძვირია; საბანკო სისტემა ამ საკითხის მიმართ ჯერჯერობით ინტერესს არ იჩენს, რადგან კანონით იკრძალება სახელმწიფო გარანტიების გაცემა, ხოლო ფერმერებს არ გააჩნიათ გირაო. ასეთ ვითარებაში ევროკომისიის სასურსათო უზრუნველყოფის ექსპერტების თვალსაზრისით, სახელმწიფოს ძირითად

სტრატეგიულ მიზანს საშუალოვადიანი პერსპექტივისათვის მიწის ბაზრის ჩამოყალიბება უნდა წარმოადგენდეს, რათა მან ხელი შეუწყოს მეურნეობების კონსოლიდაციის პროცესს.

ჩვენი აზრით, მეურნეობების კონსოლიდაციის პროცესის მიღწევის მიზნით მიწის ბაზრის შექმნა და გაიგივება მიწების ყიდვა-გაყიდვასთან (სპეცუალური სპეციალისტების აზრით, მიწის ბაზრის ფორმირება იწყება მაშინ, როდესაც ქვეყანაში კომერციული ბანკების ქსელი განვითარდება იმ დონემდე, რომ ისინი შეძლებენ 20-25 წლის ვადით სესხის გაცემას ფერმერულ მეურნეობებზე).

საქართველოს ტერიტორიის 1061700 ჰა ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო სავარგულებია (ეს მაჩვენებელი არ მოიცავს სათბობებსა და საძოვრებს). ინტენსიური სავარგულების მთლიანი ფართობიდან 613500 ჰა (ანუ 58%) პრივატიზებულია, 293700 ჰა პეტრარი (27,6%) გაცემულია იჯარით. იჯარით გაცემული ფართობებიდან ფიქრობდნენ, რომ კერძო საკუთრებაში შეიძლება გადავიდეს 181,1 ათასი ჰა (51,7%) ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო სავარგული. გამოის, რომ იჯარას დაეთმობა მხოლოდ 14%.

ქვეყნის გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ისრაელისა და რიგი სხვა ქვეყნების მსგავსად ყიდვა-გაყიდვა (განსაკუთრებით უცხოელებზე) უნდა შეიცვალოს მიწის ხანგრძლივი დროით იჯარით გაცემით. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ამჟამად თითქმის იგნორირებულია სოფლად საიჯარო ურთიერთობების ფუნქციონირება, მაშინ, როდესაც აშშ-ში იჯარით მუშავდება სასოფლო-სამეურნეო მიწის სავარგულების 43%, პოლანდიაში შესაბამისად 95%, ხოლო ისრაელში 91% [5].

სოფლად დუხშირი ცხოვრების გამო ადგილი აქვს ჩალის ფასად მიწების უცხოელებზე გასხვისებას და მათზე მრავალ-რიცხვანი ოჯახების ჩამოსახლებას. შექმნილი არასა-ხარბიელო მდგომარეობის გამოსწორების მიზნით მიზან-შეწონილად მიგვაჩნია, დროულად შეიქმნას (ქვეყნის ხელმძღვანელობის ინიციატივით) ილიას სათავადაზნაურო ბანკის მსგავსი დაწესებულება, რომელიც შეისყიდიდა გასაყიდად გამზადებულ მიწის ფართობებს და შთამომავლობას შემოუწახავდა.

მეტად საინტერესოა საფრანგეთის გამოცდილება საიჯარო ურთიერთობათა განვითარების საუკუნენახევრიანი ისტორიით, რამაც დასავლეთ ევროპაში სასოფლო-სამეურნეო

იჯარის ყველაზე მოქნილი და ეფექტური სამართლებრივი მექანიზმი შექმნა. საქართველოში ფერმერული იჯარა მიგვაწნია სოფლის მეურნეობაში ახალგაზრდობის ჩართვის კარგ საშუალებად. იჯარა სამეურნეო საქმიანობაში ჩაბმის გარანტიას აძლევს მათ, ვისაც პირველდაწყებითი კაპიტალი არ აქვთ.

აგრარულ სფეროში მოქნილი და ეფექტური სამართლებრივი მექანიზმის ფუნქციონირების თვალსაზრისით (მიწის კადასტრის გარდა), საჭიროა მიწის აგრარული კოდექსის შემოღება, მაგალითად, ფრანგულ აგრარულ კოდექსში, რომელიც 1337 მუხლს მოიცავს, მარტო სასოფლო-სამეურნეო იჯარას ეხება 168 მუხლი, აქედან საქონლის იჯარას – 32, მონახევრეობისას – 7, მონახევრეობის გადაქცევას ფერმერულ იჯარად–5 მუხლი. ამას გარდა, მე-17 მუხლი, რომელიც აგრარული მეურნეობების სტრუქტურათა კონტროლს ეძღვნება, პირდაპირ ან ირიბად ეხება მოიჯარებს. კოდექსს თან ერთვის 1958 წლის დეკრეტი სასოფლო-სამეურნეო იჯარის პარიტეტული სასამართლოების შესახებ, რომელიც 33 მუხლს მოიცავს.

სოფლად რეფორმები, როგორც აღნიშნეთ, საქართველოში განხორციელდა ზედაპირულად, ისტორიული გამოცდილებისა და ტრადიციების, საზოგადოებრივი მენტალიტების გაუთვალისწინებლად, რის გამოც ქვეყანაში პოლიტიკური რეფორმების განვლილ პერიოდში წარმოება კატასტროფულად დაეცა. პრივატიზაციის პირველი ეტაპი დასრულებულად გამოცხადდა 1997 წლის 1 აპრილს. რაც შეეხება ნორმატიულ ბაზას, იგი დიდი დაგვიანებით, თითქმის პრივატიზაციის პირველი ეტაპის დასრულების ბოლოს შეიქმნა. მაგალითად, 1996 წლის 22 მარტს გამოქვენდა საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“, 1996 წლის 28 ივნისს – კანონი „სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის შესახებ“, 1997 წლის 7 აპრილს – „აგრარული პოლიტიკის კონცეფცია“ და ა.შ.

რეფორმის პირველ პერიოდში პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობა 25-30 წლის წინანდევლ დონემდე დაეცა, დაირდვა ჯოგის გენეტიკური სტრუქტურა. პრაქტიკულად განადგურდა ინდუსტრიულ საფუძველზე გადაყვანილი წარმოება მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში. მაგალითად, 2000 წელს, 1990 წლითან შედარებით, ცხვრის სულადობა

შემცირდა 1618,1 ათასი სულიდან 627,6 ათას სულამდე, ანუ 991 ათასი სულით (2,7%-ები).

საზოგადოებრივი მეურნეობების დაშლამ, მიწების საერთო-სახალხო საკუთრებად გამოცხადებამ, სოფლის სოციალური ინფრასტრუქტურის მოშლა, ასევე კასპიისპირეთში 200 ათასი პეტრარი საზამთრო საძოვრების დაგარგვა გამოიწვია, შირაქის, ელდარისა და ოკაზნის ზამთრის საძოვრების მასობრივმა პრივატიზებამ გამოიწვია მეცხვარეობის დარგის დიდი დაქვეითება. ვინაიდან მეცხვარეობა რენტაბელური და მოთხოვნადი დარგია, დიდი უურადდება უნდა მიექცეს სტაციონარული მეცხვარეობის განვითარებას განძის (ნინოშვინძის რაიონი) და ოკამის (ახალქალაქის რაიონი) მეცხვარეობის სამრეწველო კომპლექსებში. აქ მთელი წლის მანძილზე ცხვარი ერთი რაიონის ფარგლებში იმყოფება – ზამთარში ბაგაზე, ხოლო ზაფხულში საძოვარზე. ახალი ფერმების დაპროექტებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ადგილობრივი ბუნებრივი პირობები, მეცხვარეობის ორგანიზაციული ფორმები და წარმოების ტექნოლოგია. მეცხვარეობის განვითარების ინდუსტრიული ტექნოლოგიის ამოცანა მდგომარეობს შრომის წარმადობის მაქსიმალურ გადიდებაში, პროდუქციის წარმოების ზრდასა და ხარისხის გაუმჯობესებაში, აგრეთვე პროდუქციის თვითლირებულების მაქსიმალურ შემცირებაში. ეს ამოცანები უნდა განხორციელდეს წარმოების სპეციალზაციისა და კონცენტრაციის საფუძველზე, ცხვრის სადგომების რაციონალური მშენებლობის დანერგვით; კომპლექსური მექანიზაციისა და წარმოების რაციონალური ტექნოლოგიის გამოყენებით; მწყემსის შრომის ორგანიზაციის, ანაზღაურებისა და შრომისა და ყოფის პირობების ძირებული გაუმჯობესების საფუძველზე.

სპეციალისტების აზრით, ჯავახეთში, განძისა და ოკამის მეცხვარეობის სამრეწველო კომპლექსებში გასათვალისწინებელია ცხვრის შემდეგი პროდუქტიულობა: დედაცხვრის ცოცხალი წონა – 70 კილოგრამი, პირველი კლასის 70% სუფთა მატყლის გამოსავლიანობით (წლიური ნაპარსი – 5,0 კგ, ნაკოფიანობა – 125%, სასაქონლო რძის რაოდენობა – 40 კგ 7,4% ცხიმით); დადაცხვარზე ხორცის წარმოება – 56 კგ ცოცხალი წონით, მიმდინარე წლის მოზარდის ცოცხალი წონა 7 თვის ასაკში – 40 კგ, მისი ნაპარსი – 2 კგ 80% სუფთა მატყლის გამოსავლიანობით, ყოჩი მწარმოებლის ნაპარსი – 6

ებ. დედალი თოხლის ნაპარსი 2,3 კბ, მამალი თოხლის ნაპარსი 2,5 კბ [2].

ცხვრის პროდუქტიულობის აღნიშნული მონაცემების მიხედვით კომპლექსის ცხვრის საერთო სულადობაში 1 იანვრის მდგომარეობით ფარის სტრუქტურაში უნდა იყოს: დედა ცხვარი 5000 სული, ანუ 85,35%, ყოჩი მწარმოებელი – 20, ანუ 0,85%, საყოლი დედა თოხლი 800, ანუ 13,66%, მამალი თოხლი – 8, ანუ 0,14%. სათანადო გაანგარიშებით, მეცხვარეობის თითოეულ სამრეწველო კომპლექსში მატყლის საერთო წარმოება იქნება 39,66 ტონა, ანუ დედა ცხვარზე დაახლოებით 8 კილოგრამამდე; შესაბამისად ხორცის საერთო წარმოება იქნება 282,5 ტონა, ანუ დედა ცხვარზე 56 კილოგრამი, სასაქონლო რძის რაოდენობა კი 200 ტონა (ანუ 40 ტონა ცხვრის ყველი).

ჩვენი მოსაზრებით, კომპლექსის სრული შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის ფარგლებში მოწყობილი იქნება როგორც მეცხვარეობის წარმოება, ისე მისი მომსახურე პერსონალის ყოფა-ცხოვრება. ამიტომ მეცხვარეობის კომპლექსში ვთვალისწინებთ: მეცხვარეობის საწარმო სექტორს, საძოვრებისა და მემინდვრეობის საკეტმოპოვების სექტორსა და საცხოვრებელ სექტორს. პირველ ყოვლისა, გასათვალისწინებელია კომპლექსის მოსახლეობა, ანუ შტატები და მოსამსახურე პერსონალის ოჯახები. კომპლექსის შტატებში გათვალისწინებული უნდა იქნეს: კომპლექსის გამგე-ზოორგენიკოსი, ვეტფერმალი, მოანგარიშე, საწყობის გამგე, მექანიკოსი, სანიტარი, მეხანიკე, 31 მწერები, მათ შორის 24 ექსი სადედე ფარისათვის, თითოში თოხე-თოხე – ორი მოზარდის ფარისათვის, ხოლო 5 შემცვლელი და ა.შ. სულ 46 სამტატო ერთულით. კომპლექსის მოსახლეობამ უნდა შეადგინოს 230 კაცი. კომპლექსში გათვალისწინებული უნდა იქნეს ოჯახების ინდივიდუალური დასახლება, რათა ყველა ოჯახმა ბინასთან გამართოს ბადი, ბოსტანი: მოაშენოს პირუტყვი და ფრინველი, მოაწყოს საწყობი, გარაჟი და სხვა. ამიტომ კომპლექსში ინდივიდუალური მცხოვრებლებისათვის გათვალისწინებული უნდა იქნეს მოსახლეზე 0,25, ხოლო სულ 15 პექტრამდე მიწის ფართობი. საცხოვრებელ სექტორშო მოსახლე უზრუნველყოფილი უნდა იყოს: გათბობით, განათებით, გაზით, ტელეფონით, რადიო-ტელევიზიით. ამ სექტორში უნდა მოეწყოს კლუბი, უნივერსალური მაღაზია, საყოფაცხოვრებო მომსა-

ხურების სახლი, წყალსადენი, კანალიზაცია, გარეთა განათება, კეოლმოწყობილი გზები და სხვა. საცხოვრებელი სექტორის დამპროექტებლებმა საჭიროა, იხელმძღვანელონ იმ მოსაზრებით, რომ მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნეს კომუნალური, კულტურული, ჰიგიენური და ესთეტიკური პირობებით ქალაქის მცხოვრებლების დონეზე.

ჯავახეთში, როგორც ვიციო, ცივი დიდოოვლიანი და მკაცრი სანგრძლივი ზამთარია. ნოემბრიდან აპრილის ჩათვლით მინდვრებსა და საძოვრებზე ღრმა თოვლი დგვს. ყინვა აქ მყარია – ოც გრადუსამდე და უფრო დაბლაც ეცემა. ცხადია, ასეთ პირობებში ყველა სახის პირუტყვს, მათ შორის ცხვარს, ბაგაზე ინახავენ და ნოემბერ-აპრილის ჩათვლით, ექვსი თვის მანძილზე კვებავენ. ყველა სახის პირუტყვისათვის, მათ შორის ცხვრისათვის, თბილსა და კაპიტალურ ბინებს აშენებდნენ ქვისაგან, მათ შორის იატაკზე ფილაქას აგებდნენ. აქ ზამთრის განმავლობაში შემოღებულია დედისა და ბატნის ერთად შენახვის წესი დაბადებიდან საძოვარზე გასვლამდე. მაისში მთელი სულადობა გადავათ საძოვარზე, ჯერ სოფლის ახლოს, ხოლო შემდეგ, დაახლოებით იგნისის ბოლოს, ალტურ საძოვრებზე. პირველი ივლისიდან დედა ცხვრის ფარები უნდა მოთავსდნენ ძირითად საძოვრებზე, სადაც მორჩავი აგრეგატებით ცხვრის წველა პირველ აგვისტომდე გაგრძელდება. სექტემბერსა და ოქტომბერში ცხვარს კვლავ სასოფლო საძოვარზე ამყოფებენ, ხოლო ნოემბერში კვლავ ბატურ შენახვაზე აყენებენ. სამხრეთ მთიანეთში ჯავახეთის ცხვრის სახელწოდებით გავრცელებული ცხვარი მომთაბარე მეცხვარეობის ცხვართან შედარებით, მეტი წონით, მეტი სამატყლე პროდუქტიულობითა და ნაყოფიანობით, მით უმეტეს მეტი მერძეულობით გამოიჩინდა. ამგვარად, სამხრეთ მთიანეთის სტაციონარულ მეცხვარეობაში ბაგურ-საძოვრული შენახვის სისტემა იყო გამოყენებული და მას მეხორცულ-სამატყლე მერძეული მიმართულება ჰქონდა.

დღეს გარემოება საგრძნობლად შეიცვალა, ცხვრის დოლი აქ, ალბათ, საერთო ტენდენციის გამო ადრე ვადაზეა გადატანილი – თებერვალში, ხოლო ზოგჯერ იანვარშიც. ამიტომ ამჟამად ბატყანს სადგომში სამსა და მეტ თვეს ამყოფებენ, რის გამოც, სადგომებში აღინიშნება მასობრივი ხასიათის ბატკის მიერობული დააგადებანი მაღალი სიკვდილიანობით. ამასთან, ამ რაიონებში შემოიდეს ცხვრის დიდგაბარიტიანი სადგომები შეთავსებული სახურავით, რის

გამო ფარეხები ცივია და ამ მუცურნეობებში გაძლიერებულია დედისა და ბატქის გაციებით გამოწვეული დაავადებანი და სიკედილიანობა; ყველა ამ პირობათა გამო ცხვრის პროდუქტიულობის იმ უპირატესობას, რაც წარსულში ჰქონდა ჯავახეთის ცხვარს, მომთაბარე მეცხვარეობის ცხვართან შედარებით, დღეს უკვე ადგილი აღარ აქვს. პირიქით, ამ რაიონებში აღინიშნება ცხვრის დაწვრილება, განუვითარებლობა და პროდუქტიულობის მკვეთრი დაცემა. ამიტომ განძისა და ოკამის მეცხვარეობის სამრეწველო კომპლექსების მშენებლობაში გათვალისწინებული უნდა იქნეს აქ აღნიშნული ყველა როგორც ბუნებრივი, ისე წარმოების ტექნოლოგიის თავისებურებანი.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ჯავახეთში ინდუსტრიული მეცხვარეობის კომპლექსებისათვის შემდეგ ტექნოლოგიას ვთავაზობთ. ჯერჯერობით საჭიროა შეკინარჩუნოთ ცხვრის მოგების ერთი ვადა და იგი აპრილში გავითვალისწინოთ, რათა უზრუნველვყოთ ბატქის სადგომში რაც შეიძლება მოკლევადიანი შენახვა და ამით ბატქანს ავარიდოთ მიკრობული დაავადებანი, ხოლო საერთოდ უზრუნველყველობის ჯანმრთელი ბატქის გამოზრდა. ცხვარი უზრუნველყოფილი უნდა იქნეს თბილი სადგომებით, ეს კი უნდა გადაწყდეს სადგომების გაბარიტების შემცირებით. ასე მაგალითად, ფარეხის შიგნითი სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 2 მეტრს, თანაც აუცილებლად უნდა გაუქმოდეს დათბუნებული ჭერი და არავითარ შემთხვევაში შეთავსებული სახურავი, რამაც ამ რაიონებში ფართო გავრცელება მიიღო და სიცივის გამო მეცხვარეობას დიდი ზარალი აღგება.

მეცხვარეობის განვითარება დიდადაა დამოკიდებული პირუტყვის მტკიცე საკეთები ბაზის შექმნასა და განვითარებასთან. ამ მხრივ, ჯავახეთი მდიდარია ბუნებრივი სათიბ-საძოვრებით. მაგალითად, საქართველოს მთიან რაიონებში (22 რაიონი) ახალქალაქის რაიონში მოდის ზაფხულის საძოვრების 3,2 პროცენტი, ანუ 57711 ჰა, ნინოწმინდის რაიონშე შესაბამისად 8,8 პროცენტი, ანუ 81709 ჰექტარი. სათიბებს ახალქალაქის რაიონში უკავია მთიანი რაიონების სათიბების 2,02 პროცენტი, ანუ 3218 ჰექტარი, ნინოწმინდის რაიონში კი 6,1 პროცენტი, ანუ 7055 ჰექტარი.

ჯავახეთში ოკამისა და განძის სამრეწველო მეცხვარეობის თითოეულ ინდუსტრიულ კომპლექსში ცხვრის მთელი სულადობის საკეთებზე წლიური მოთხოვნილება (განგარი-

შებულია მეცხვარეობის უოფილი საკავშირო ინსტიტუტის ცხვრის კვების ნორმების მიხედვით) შეადგენს 4769 ტონა საკვებ ერთეულს. აქედან, მოელი ზამთრის მოთხოვნილება ოქტომბრიდან მაისამდე, შეადგენს 2700 ტონა საკვებ ერთეულს. მათ შორის საკვების საერთო მოთხოვნილების 75 პროცენტი ანუ 2025 ტონა საკვები ერთეული უნდა გაიხარჯოს ზამთრის საძოვრული საკვების სახით. დარჩენილი 25 პროცენტი, ანუ 675 ტონა საკვები ერთეული უნდა გაიხარჯოს ზამთარში ბაზური საკვების სახით. ჩვენი გაანგარიშებით, 1 ჰა სათიბზე 3 ტონა თივის დამზადების პირობებში, თითოეულ მეცხვარეობის კომპლექსს ზამთრისათვის 675 ტონა საკვები ერთეულის დასამზადებლად დასჭირდება 225 ჰექტარი სათიბი. ზამთრის საძოვრიდან 2700 ტონა საკვები ერთეულის მისაღებად—შესაბამისად, 675 ჰექტარი საძოვარი. საზაფხულო საძოვრის სახით თითოეულ კომპლექსს 2069 ტონა საკვები ერთეულის მოპოვების მიზნით დასჭირდება 689 ჰექტარი ზაფხულის საძოვარი, რის საშუალებაც თავისუფლად გააჩნია ჯავახეთის რეგიონს. მაგალითად, ახლო წარსულში, მესეხეთ—ჯავახეთის რეგიონში წარმატებით ფუნქციონირებდა: ნიალის საკვებწარმოების საზოგადოებრივი მეურნეობა, თრიალეთისა და საკვებმოპოვების გაერთიანებები. მაგალითად, თრიალეთის საკვებმოპოვების გაერთიანებამ 1988 წელს დათესა 846 ჰექტარი ერთწლიანი ბალახის ნარევი და დაამზადა 6349 ტონა მაღალხარისხის ხოვანი თივა, რომელიც გაუნაწილდა რესპუბლიკის 17 რაიონს, მათ შორის გაგრის კომპლექსს – 800 ტონა, თეთრიწყაროს კომპლექსს 1000 ტონა, სენაკის კომპლექსს – 350 ტონა და თვით ნინოწმინდის რაიონს – 13 ტონა და ა. შ. აღნიშნულ მეურნეობაში რენტაბელობამ 25 პროცენტი შეადგინა, ხოლო ჯავახეთის საკვებმოპოვების გაერთიანებამ აითვისა მისთვის გადაცემული 200 ჰექტარი ქვიანი საძოვარი, შეთესა მრავალწლიანი ბალახების ნარევი 1023 ჰექტარზე – ჩაატარა ძირეული გაუმჯობესება საძოვრისა და დაამზადა 945 ტონა თივა.

მეცხვარეობის სამრეწველო კომპლექსის საკვებით უზრუნველსაყოფად, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ საკვებწარმოებისათვის არსებული პირობები. პირველ რიგში, აუცილებელია, მთლიანად გამოვიყენოთ ბუნებრივი სავარგულების შესაძლებლობა, რომლის თავისებურებაც იმაში მდგომარეობს, რომ ნაკლები დანახარჯებით შეიძლება იაფი საკვების დიდი რაოდენობით მიღება. მით უმეტეს, რომ

ჯავახეთის მეცხვარეობაში ბუნებრივ საძოვრულ საკვებს საერთოდ დახარჯული საკვების სტრუქტურაში 80-90 პროცენტამდე ხვედრითი წილი უკავია.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ქავთარაძე თ. აგრარული რეფორმა საბაზო ეკონომიკის პირობებში და საქართველო; „მეცნიერება”, თბილისი, 2003.
2. ქუმსიშვილი გ. მომთაბარე მეცხვარეობის ტექნოლოგია ინტენსიფიკაციის საფუძველზე; „განათლება”, თბილისი, 1983.
3. ყამარაული ს. საქართველოს სსრ მეცხვარეობის ინტენსიფიკაციის საკითხები; „საბჭოთა საქართველო”, თბილისი, 1979.
4. წიკლაური ქ. მეცხოველეობა და ბიზნესი საქართველოს მაღალმოიანეთში; თბილისი, 2002.
5. კუნჭულია თ. საქართველოს სოფლის მეურნეობის საბაზო ეკონომიკაზე გადაყვანის პრობლემები; „მეცნიერება”, თბილისი, 1977.
6. ბედელური გ. მეცხვარეობის განვითარების პერსპექტივა დავით გარეჯში; რეცენზ. ელექტრ. სამეცნ. ჟურნალი, 2010, № 25.

*Tengiz Kavtaradze*

### AGRARIAN REFORM AND PROBLEMS OF SHEEP BREEDING DEVELOPMENT IN GEORGIA

#### Annotation

In this article is discussed the course of agrarian reform; are studied the causes of inefficiency of ongoing reform. It is established, that Agrarian reform began without legislative regulatory framework. Production collapsed, for instance, in 2000 compared with 1990 sheep livestock decreased by 2.7. It is researched, that as a result of land privatization was sold including foreigners a big portion of Shirakhi, Eldari and Alazani valley winter pastures. The development of sheep breeding was exposed to danger. To search the reserves of sheep breeding development the work for the first time is focused on the development of traditional sheep breeding – in Javakheti region. Are nominated the offers on the functioning of stationary sheep breeding industrial complex in Gandza and Okami. Are calculated sheep productivity, production manufacturing and food demand indicators in the sheep breeding industrial complex.

გამუქა ხუსკიგაძე  
ზურაბ ნოზაძე

**ტყლის რესურსების რაციონალური გამოყენების  
ეპონომიკური პროგლომები საქართველოში**

კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული სიმწვავით დგას მოსახლეობის ცხოვრების სათანადო ხარისხის უზრუნველყოფა სამრეწველო და საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის საჭირო წყლის რესურსების ადეკვატური მომარაგების გზით. მსოფლიო ეკონომიკის სტრუქტურის გარდაქმნა, გლობალური წყლის კრიზისის გათვალისწინებით, საერთაშორისო ვაჭრობაში ხელსაყრელ პირობებს უქმნის წყლის რესურსებით მდიდარ ქვეყნებს, ვინაიდან, ექსპერტებისა და ანალიტიკოსების შეფასებით, გარდაუვალია ფასებისა და მოთხოვნის ზრდა წყალტევად პროდუქციასა და სასმელ წყალზე.

ამჟამად, პლანეტაზე ათიდან ყოველი მეოთხე ადამიანი ცხოვრობს სასმელი წყლის დეფიციტის პირობებში. ექსპერტული შეფასებებით, 2025 წელს დედამიწის მოსახლეობის 2/3 მოუწევს ცხოვრება წყლის უკმარისობის რეჟიმში.

საქართველო მდიდარია წყლის რესურსებით და მას არ ემუქრება რაოდენობრივი ამოწურვის საშიშროება. მიუხედავად ამისა, საქართველოში ეკოლოგიურ პრობლემათა შორის განსაკუთრებული სიმწვავით დგას და აქტუალურია წყლის რესურსების დაცვისა და ოპტიმალური გამოყენების საკითხი. ამ საკითხის გადაჭრა ბევრად განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის შემდგომ სოციალურ-ეკონომიკურ და ეკოლოგიურ განვითარებას.

საქართველოს წყლის რესურსები მოიცავს 26 ათასამდე მდინარეებს (60 000 კილომეტრამდე სიგრძის) ჯამური მრავალწლიური ჩამონადენით 62,8 კმ<sup>3</sup>, 850 ტბას, 700 მყინვარს, 1400 მინერალურ წყაროს, შავი ზღვის სანაპიროს სიგრძე საქართველოს ფარგლებში 320 კმ-ია. ქვეყანა მდიდარია მიწისქვეშა წყლებით, რომელთა 95% მტენარია. მიუხედავად წყლის რესურსების ასეთი დიდი მარაგისა, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი განიცდის მის ნაკლებობას. ეს გამოწვეულია იმით, რომ წყლის რესურსების ტერიტორიული განაწილება, მათი გამოყენების თვალსაზრისით, ძალზე არახელსაყრელია და, ამასთან, ის ხასიათდება არარაციონალური მოხმარებით.

სპეციალურ ლიტერატურაში წყლის რესურსების გამოყენების ქვეშ იგულისხმება ორგანიზაციულ-სამართლებრივი, ტექნიკურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური ღონისძიებების სისტემა, რომლის დანიშნულებაა წყლის რესურსების შენარჩუნება და გარდაქმნა საზოგადოების ცხოვრებისათვის მათი ხელსაყრელი მდგრადი უზრუნველსაყოფად როგორც აწყოში, ისე მომავალში. წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება არის ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს წყლის რესურსების ეკონომიკურ-ეკოლოგიურად დასაბუთებულ გამოყენებას საზოგადოების მოთხოვნილებების დაკავშირებისათვის.

ცნობილია, რომ წყლის რესურსები საქართველოში არა-თანაბრად არის განაწილებული: თუ დასავლეთ საქართველოს ფართობი შეადგენს 33 ათას კმ<sup>2</sup>, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს – 37 ათას კმ<sup>2</sup>, სხვადასხვა გათვლებით, ერთ სულ მოსახლეზე დასავლეთ საქართველოში მოდის 20 ათასი მ<sup>3</sup> წყალი, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში კი 5 ათასი მ<sup>3</sup> წყალი. აღსანიშნავია, რომ საქართველოში აღებული წყლის 45% და ჩაშვებული წყლის 70% მოდის გარდაბნის რაიონზე, რომლის მახლობლადაც მდებარეობს ქალაქები: თბილისი და რუსთავი.

მაღალი წყალტევადობის საწარმოებისა და სხვა ობიექტების უმეტესი ნაწილის აღმოსავლეთ საქართველოში განლაგების ფაქტი რგოლურულად წარმოშობს ამ რეგიონში სეზონური ხასიათის მქონე წყლის დეფიციტს. ამის გამო აუცილებელი ხდება წყალსატევების მშენებლობა და ხელოვნური წყალსატევების შექმნა, რასაც ხშირად არახელსაყრელი ეკოლოგიური შედეგები ახლავს და ხელს უწყობს ეკოლოგიური წონასწორობის რდევებს. საქართველოს ზედაპირული წყლების მდგრადი ანალიზი აჩვენებს, რომ მათი გაჭუჭყიანების დონე ამჟამად მაღალია. გაჭუჭყიანების ძირითად წყაროებს წარმოადგენს:

1. შავი მეტალურგიის, ქიმიური მრეწველობის და სხვა ტიპის საწარმოთა ჩამდინარე წყლები, რომლებიც შეიცავს მინერალურ მარილებს, მჟავებს, აგრეთვე სხვა სახის გამაჭუჭყიანებლებს.

2. სადებავების, ხელოვნური ბოჭოს და სხვა საწარმოთა ჩამდინარე წყლები.

3. სამეურნეო-საყოფაცხოვრებო დანიშნულებით გამოყენებული ჩამდინარე წყლები (გამაჭუჭყიანებლები – აზოტი, ფოსფორი და სხვა).

4. სხვადასხვა სახის ნაკობროდუქტები (ცისტერნების, ტანკერების, ავტომანქანების რეცხვისას წარმოშობილი).

5. წყალსატევების თბური გაჭუჭყიანება ჩამდინარეცხლი წყლით, რომელიც შეიძლება არ შეიცავდეს მავნე ნივთიერებებს, მაგრამ წყლის ტემპერატურის მომატება ოწვეს წყლის ობიექტის ფლორისა და ფაუნის ცვლილებებს, რამაც შეიძლება მათი დაღუპვაც გამოიწვიოს. საერთოდ კი წყალსატევების გაჭუჭყიანება ორი სახისაა: მინერალური, რომლის წყაროებიცაა მძიმე მრეწველობის დარგთა ჩამდინარე წყლები (აბინძურებელი მჟავებით, მარილებით, ქვიშით და ა.შ.) და ორგანული (მათი წყარია ფერალური წყლები, ტყავის, ცელულოზაქალალდის საწარმოები).

წყლის რესურსების რაციონალური გამოყენების ერთეული ფაქტორია მეურნეობის სხვადასხვა დარგში წყლის გამოყენების მოცულობისა და დანაკარგების მაქსიმალური შეცირების ამოცანის გადაწყვეტა. ამგვარი ამოცანის გადაჭრა დაკავშირებულია ისეთ ღონისძიებათა სისტემის განხორცილებასთან, როგორიცაა:

- წყალტევად დარგებში მცირეწყლიანი და უწყლო ტექნოლოგიური ციკლების დანერგვა;

- სასოფლო-სამეურნეო საგარეულების მორწყვის ოპტიმალური ნორმების დადგენა;

- წყლის რესურსების გამოყენებისა და მოხმარების უკათესი კონტროლის მექანიზმების განსაზღვრა;

- სრულყოფილი მელიორაციული სისტემების შემუშავება და სამეურნეო საქმიანობაში რეალიზაცია და სხვა.

საქართველოში წყლის კველაზე დიდი დანაკარგები დაკავშირებულია სარწყავი სისტემების ექსპლუატაციასთან. ამჟამად საქართველოში სარწყავი მიწების ფართობი 0.4 მლნ ჰა-ს შეადგენს (მათგან 85% აღმოსავლეთ საქართველოშია). ცნობილია, რომ მეურნეობის კველა სხვა დარგისაგან განსხვავებით, რწყვა ხასიათდება დაუბრუნებელი წყალმოხმარების ძალზე მაღალი მაჩვენებლით. მასზე დაუბრუნებელი წყალმოხმარების 50%-ზე მეტი მოდის. სარწყავ სისტემებზე წყლის დანაკარგების 65-70% გამოწვეულია ფილტრაციით, 20-30% ტექნიკურ დანაკარგებზე მოდის, ხოლო 5% წყლის ზედაპირიდან აორთქმდება.

აღნიშნული დანაკარგები განპირობებულია იმ ნაკლოვანებით, რომლითაც ხასიათდება სარწყავი სისტემები. კერძოდ:

• რწყვის წყაროებს არ გააჩნიათ რეგულირებული ჩამონადენი;

• არასრულყოფილია წყლის მოხმარების აღრიცხვის კონტროლის მქანიზმი;

• სარწყავი სისტემის მარგი ქმედების კოეფიციენტი არ აღემატება 0.5-ს, სარწყავი არხების უმრავლესობაში წყლის დანაკარგები 50%-ზე მეტია;

• სარწყავი მიწების სრული რელიეფი რწყვის უთანაბრობას და წყლის ზედმეტ დანახარჯს იწვევს;

• მელიორაციული სისტემების ურავლესობა გამოსულია მწყობრიდან და საჭიროებს რეაბილიტაციას;

• სარწყავ სისტემებში არასაკმარისად მიმდინარეობს სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოები;

• არასაკმარისად არის დანერგილი რწყვის პროგრესული მეთოდები.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად რწყვის პროგრესულ მეთოდთაგან ვითარდება ეწ. დაწვიმების მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა, დაიზოგოს 10-15% წყალი ზუსტი დოზირებისა და დორული მიწოდების ხარჯზე. ჯერ-ჯერობით ამ მეთოდით მორწყელ მიწათა ფართობი 15% არ აღემატება. პერსპექტიულია ნიადაგქვეშა და წვეთოვანი რწყვა, რომელთა გამოყენებაც წყლის ხარჯებს 3-ჯერ ამცირებს. თუმცა ამ მეთოდის დანერგვას დიდი თანხები სჭირდება და მათი მოწყობა ტექნიკურ სიძნელეებთან არის დაკავშირებული.

სარწყავ მიწათმოქმედებაში მოწინავე ტექნოლოგიური ხერხების გამოყენებას მივყავართ წყლის მნიშვნელოვან ეკონომიკურ, რაც აუცილებელს ხდის წყალმომარაგების ნორმების გადახდვა-შემცირებას.

ჩვენს ქვეყანაში წყლის ერთ-ერთი ძირითადი გამოყენებელი მრეწველობა რჩება. მისი დარგებიდან აღსანიშნავია ენერგეტიკა, სადაც წყლის ძირითადი რაოდენობა თბოელექტროსადგურებზე გამოიყენება. მაგალითად, თბილისის თბოელექტროსადგურში გამოიყენება მრეწველობაში გამოყენებული წყლის 60%. სხვა დარგებიდან აღსანიშნავია ქიმიური მრეწველობა, შავი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, სათბობის და ნავთობგადამზუშავებელი მრეწველობა.

წყლის მოხმარების შესამცირებლად სამრეწველო ობიექტებში აუცილებელია წყლის ხარჯის ნორმირება და მკაცრი

აღრიცხვა, რაც წყლის ხარჯვის მნიშვნელოვან უკონომიას იძლევა.

სამრეწველო წყალმომარაგების დიდი ნაკლია ტექნიკური წყალმომარაგების სისტემის უქონლობა, რის გამოც სამრეწველო მიზნებისთვის ხშირად სასმელი წყალი გამოიყენება.

წყლის დაზოგვისა და რაციონალური გამოყენების მიზნით აუცილებელია სამრეწველო საწარმოების წყალმომარაგების ბრუნვითი, განმეორებითი და უწყლო სისტემის დანერგვა. საქართველოს სამრეწველო წარმოების წყალმომარაგების სისტემაში ბრუნვითი და ოანმიმდევრულად გამოყენებული წყლის ხარჯი 30% არ აღემატება. ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს ამგვარი სისტემის დანერგვა სამრეწველო საწარმოებში. შესაცვლელია არსებული დიფერენცირებული ტარიფები წყალზე. ყოველი საწარმო მატერიალურად უნდა აგებდეს პასუხს წყლის გაჭუჭყიანებაზე და არარაციონალურ გამოყენებისათვის.

საქართველოში წყლის რესურსების რაციონალური გამოყენების ეკონომიკურ პრობლემებს დიდწილად განაპირობებს მისი ადეკვატური ეკონომიკური შეფასების არარსებობა. მაშინ, როცა ამგვარი შეფასება წარმოადგენს:

- საწარმო ძალთა განთავსებისა და გაადგილების ოპტიმალური მიმართულებების შერჩევის ინსტრუმენტს;

- ეფექტიანი სამეურნეო გადაწყვეტილებების შერჩევის ბერკეტს;

- წყლის რესურსების რაციონალური გამოყენების საშუალებას;

- წყლის რესურსების ხარისხის ეკონომიკური რეგულირების საფუძველს;

- წყლის რესურსების დაცვის მნიშვნელოვან წინაპირობას.

- წყლის გამოყენების რაციონალიზაციისათვის მატერიალური სტიმულების შექმნის წანამდგრარს.

- წყლის რესურსების გამოყენებისა და მოხმარებისათვის გადასახადების დადგენის პრინციპების ჩამოყალიბების საფუძვლს და ა.შ.

წყლის რესურსების ადეკვატური ეკონომიკური შეფასების არარსებობა განაპირობებს სირთულეებს წყლის ობიექტების სარგებლობისათვის გადასახადების დაწესების პროცესში, მაშინ, როცა საბაზო ეკონომიკის პრინციპები ითვალისწინებს ამგვარი გადასახადების შემოღებას. წყალზე, როგორც ბუნე-

ბრივ რესურსზე, ფასების ფორმირების საკითხი საქართველოში ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია.

წყლის რესურსებით სარგებლობისათვის გადასახადების დაწესებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს წყლის ობიექტების აღგილმდებარეობა, კვლავწარმოების შესაძლებლობები, სამრეწველო საწარმოების აღგილსამყოფელი, მათი სტრატეგიული მნიშვნელობა და სხვა.

წყლის რესურსების რაციონალური გამოყენების ეკონომიკური პრობლემები, ძირითადად, როგორც წესი, წყლება სახელმწიფო რეგულირების გზით. კერძოდ, პროგნოზირებისა და დაგეგმვის მექანიზმების გამოყენებით. წყლის რესურსების რაციონალური გამოყენების პროგნოზირებისა და დაგეგმვის ძირითად ბაზას წარმოადგენს წყლის კადასტრი. წყლის კადასტრი წარმოადგენს ინფორმაციათა ერთობლიობას, რომელშიც შედის:

- მონაცემები წყლის რესურსებისა და წყლის ხარისხობრივი მახასიათებლების შესახებ;

- წყლის მომხმარებლებისა და წყლის გამომყენებლების აღრიცხვიანობის მაჩვენებლები;

- წყლის მომხმარებლებისა და წყლის გამომყენებლების მიერ მოხმარებული და გამოყენებული წყლის მოცულობის ამსახველი პარამეტრები.

საქართველოში წყლის რესურსების რაციონალური გამოყენებისა და დაცვის სფეროში პროგნოზირებისა და დაგეგმვის არასათანადო მექანიზმები და არასრულყოფილი წყლის კადასტრი ამნელებს წყლის რესურსების ეფექტური გამოყენების პერსპექტიული მიმართულებების განსაზღვრას.

მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, რომ წყლის რესურსების ამოწურვის საწინააღმდეგოდ და მიწისქვეშა და მიწისზედა წყლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ტარდება სხვადასხვა სახის ორგანიზაციულ-ტექნიკური და კოლოგიური ღონისძიებები. კერძოდ, ხორციელდება წყლის რესურსების სისუფთავის ხარისხის შენარჩუნება მექანიკური, ბიოლოგიური და ფიზიკურ-ქიმიური ხერხებით.

წყლის რესურსების ოპტიმალური გამოყენების ეკონომიკური პრობლემების თავიდან აცილებისა და მისი დაძლევის კუთხით არანაკლებ მნიშვნელოვანია მართვის ტრადიციული ფრაგმენტული მეთოდიდან ინტეგრირებულ მეთოდზე გადასვლა. სამეცნიერო ლიტერატურაში წყლის რესურსების მართვის ინტეგრირებული მეთოდი განიხილება, როგორც პროცესი, რო-

მელიც ხელს უწყობს წყლის რესურსების შეთანხმებულ გა-  
მოყენებას და მართვას სხვადასხვა რესურსებთან კავშირში.  
აღნიშნული საშუალებას იძლევა, მიღწეულ იქნეს სოციუმის  
ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობა ისე, რომ  
საფრთხის ქვეშ არ დადგეს სასიცოცხლოდ აუცილებელი  
გაოდენობა.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ გლობალური წყლის კრი-  
ზისი გარდაუდინებელი პრომოშობს მოთხოვნისა და ფასების  
ზრდას წყალტევად პროდუქციაზე. ამის გათვალისწინებით სა-  
ქართველოს ეკონომიკის მართვის ერთ-ერთი ძირითადი ამოცა-  
ნა უნდა გახდეს ამ კუთხით ეკონომიკის პერსპექტიული დარ-  
გების შერჩევა და მათი განვითარებისათვის ხელსაყრელი პი-  
რობების შექმნა.

ამჟამად, წყლის ბაზრის განვითარებასთან ერთად (თუმცა  
სკეციალისტთა ნაწილი თვლის), რომ ასეთი ბაზარი არ არსე-  
ბობს) აქტიურად ვითარდება წყლის დაცვითი ტექნოლოგიების,  
წყალდამზოგავი ტექნოლოგიებისა და წყალტევადი პროდუქ-  
ციის ბაზარი. ექსპერტების შეფასებით, უახლოეს ათწლეულ-  
ებში შესაძლებელია წყალტევადი პროდუქციის ექსპორტი-  
ორები აღმოჩნდენ ამჟამინდელი ნავთობის ექსპორტიონების  
მდგრადარეობაში. კველანაირი შეფასებებით, საქართველოს აქვს  
დიდი პოტენციალი, წყალტევადი პროდუქციის ბაზარზე დაიკა-  
ვოს წამყვანი პოზიციები.

ამჟამად, გამალებული მილიტარიზაციის, სასურსათო  
უსაფრთხოების და სხვა გლობალურ პრობლემებთან ერთად,  
ძალზე აქტუალურია მსოფლიოს სასმელი წყლით მომარაგების  
უზრუნველყოფის პრობლემა. „მრავალ ქვეყანაში სასმელ  
წყალზე მოთხოვნილება უახლოეს ათწლეულებში გაუსწრებს  
ნავთობზე მოთხოვნილებას“ – ნათქვამია დავოსტი ჩატარებულ  
მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე. ამავე ფორუმზე აღინიშნა  
აგრეთვე, რომ მსოფლიო ეკონომიკის განვითარება გამოიწვევს  
იმას, რომ სასმელ წყალზე მოთხოვნილება გაუსწრებს მოსახ-  
ლეობის ზრდის ტემპებს. მსოფლიოს სასმელი წყლით უზრუნ-  
ველყოფის საკითხი განაპირობებს იმას, რომ თანამედროვე პი-  
რობებში სულ უფრო და უფრო მეტ დატვირთვას იძენს მტკნა-  
რი წყლის, როგორც საბაზრო საქონლის განხილვა. მუშავდება  
საერთაშორისო სავაჭრო წესები და პირობები. იზრდება წყ-  
ლით ვაჭრობის სფეროში ჩართული ტრანსნაციონალური კომ-  
პანიების რაოდენობა.

საქართველო ფლობს კონკურენტუნარიანი მტკნარი წყლის საკმაოდ დიდ მარაგს, რომლის რეალიზაციითაც შესაძლებელია საკმაოდ დიდი გვონომიკური სიკეთის მიღება. მტკნარი წყლის კონკურენტუნარიანობას განაპირობებს მისი კვლავწარმოების უწყვეტი ციკლი და მაღალი სამომხმარებლო თვისებები. სხვადასხვა გაანგარიშებებით საქართველოს მიწისქვეშა მტკნარი წყლების პოტენციალი შედგენს მიახლოებით 580 მეტრ-კუბს წამში. საეციალისტები მიიჩნევენ, რომ აქედან ეკოსისტემის რღვევის თავიდან აცილების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია 305 მეტრ-კუბი წამში წყლის ექსპლუატაცია. ეს კი შედგენს დღე-დამეში 27 მილიარდამდე ლიტრ წყალს, რაც ექსპრეტების გათვლებით, ჰყოფნის მსოფლიო მოთხოვნის დაქმაყოფილებას. მაშასადამე, საქართველოს, სასმელი წყლის ექსპორტის შემთხვევაში, ასეულობით მილიონი ლარის საბიუჯეტო შემოსავლების მიღების პერსპექტივა გააჩნია.

არ შეიძლება არ შევეხოთ პრივატიზაციის საკითხებს წყლის რესურსების სფეროში. მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, რომ ამგვარი პრივატიზაციით მრავალი ქვეყნა დადგა მწვავე პრობლემების წინაშე. აღნიშნული განაპირობა იმან, რომ წყალი ასრულებს მნიშვნელოვან როლს სოციალურ და კულტურულ ურთიერთობებში და აქვს ეკოლოგიური ასპექტები, რომელთა დაცვა და უზრუნველყოფა სათანადო დონეზე, როგორც წესი, საბაზრო ძალებს არ შეუძლია.

მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოში იზრდება შეშფორტება სასმელი წყლის დეფიციტთან დაკავშირებით, რასაც აღრმავებს კლიმატის ცვლილების შეუქცევადი პროცესი და მოსახლეობის რაოდენობის განუხერელი ზრდა. წყლის დეფიციტი წარმოშობს სხვადასხვა ხასიათის დაძაბულობებს როგორც ქვეყნების შიგნით, ასევე ქვეყნებს შორის. ცხადია, ეპნომიკური ზრდის დაჩქარება იწვევს წყლის მოხმარების გადიდებას. ყალიბდება და აქტიურად ვითარდება წყალტევადი პროდუქციისა და სასმელი წყლის ბაზარი. შექმნილ სიტუაციაში საქართველოს (რომელიც ფლობს უზარმაზარ წყლის პოტენციალს) შესვლა და დამკვიდრება წყალტევადი და სასმელი წყლის ბაზარზე, მოითხოვს ამ ბაზრების შესწავლასა და ეროვნული წყლის რესურსების გამოყენების ეფექტიანი პოლიტიკის ჩამოყალიბებას.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Глюкова В.Г. Экономика природопользования. Москва, 2005.
2. Арбузов В.В. Основа экономики природопользования и охраны природы. Москва, 2003.
3. Гиусов Е.В., Бобылев С.Н., Новоселов А.И. Экология и экономика природопользования. Москва, 2004.
4. Шимова О.С. Основы экологии и экономики природопользования. Минск, 2001.
5. Маврищев В.В. Основы общей экологии. Минск, 2000.
6. Константинов В.М. Экологические основы природопользования. Москва, 2001.
7. Яндыганов Я.Я. Экономика природопользования. Москва, 2005.
8. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის, საქართველოს გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სტატისტიკური მასალები.

*Mamuka Khuskivadze*

*Zurab Nozadze*

## ECONOMIC PROBLEM OF RATIONAL USE OF WATER RESOURCES IN GEORGIA

### Annotation

In the article the analysis of existing state and economic problems of rational use of water resources are given. The concrete measures and directions, which improve the rational use of water resources and promotes the overcoming of economic problems, are suggested there.

*ნუნუ ქისტაური  
საქართველოს საბარეო ვაჭრობის პალაცის აღგილი და  
როლი საბადამზდელო პალაცის ანგარიშთა სისტემაზი*

საგადამხდელო ბალანსი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ფინანსურ დოკუმენტს. იგი მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტიცაა. მისი საშუალებით ხდება საგარეო ვაჭრობის ტენდენციების შესწავლა, რაც უშუალო კავშირშია სავალუტო კურსთან, წარმოების დონესთან, დასაქმებასა და მოხმარებასთან. მასში სისტე-

მატიზებული სახითაა ასახული მოცემული ქვეყნის საგარეო-ეკონომიკურ ოპერაციათა საერთო მონაცემები მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან მიმართებაში, მოცემული ქვეყნის დანარჩენ მსოფლიოსთან მიმდინარე რეალური და ფინანსური ნაკადები.

საგადამხდელო ბალანსის მაკროეკონომიკური დანიშნულება იმაშიც მდგომარეობს, რომ ლაკონურად ასახოს მოცემული ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა მდგომარეობა მის უცხოელ პარტნიორებთან. ის აგრეთვე ასრულებს ინდიკატორის როდს ფულად-საკრედიტო, საგადურო, საბიუჯეტო-საგადასახადო, საგარეო-სავაჭრო პოლიტიკის არჩევაში და სახელმწიფო დავალიანების მართვაში. იგი შედგება ორი ძირითადი განყოფილებისაგან: მიმდინარე ანგარიშისა და კაპიტალის ანგარიშისაგან (თუმცა ეკონომისტთა ნაწილი მესამე განყოფილებად თვლის ოფიციალური რეზერვების ბალანსს). მიმდინარე ანგარიშის ძირითადი ნაწილია საგაჭრო ბალანსი, რომელიც ასახავს ქვეყნებს შორის მატერიალურ ფასეულობათა გადანაწილებას და რომელიც სხვა ქვეყნის მაკროეკონომიკურ პოლიტიკაზე ზეგავლენის მოხდენის მნიშვნელოვანი არხია. ქვეყნებს შორის ფულადი ნაკადების მოძრაობა აისახება კაპიტალის ანგარიშში. ესაა ინვესტიციური კაპიტალის მოძრაობა (მაგ., ინვესტიციები აქციებსა და ობლიგაციებში). საგაჭრო ბალანსი წმინდა სხვაობაა ექსპორტსა და იმპორტს შორის, რომლის დადებითი სიდიდე, ანუ პროფიციტი ფასდება დაღებით მოვლენად, მაშინ, როცა საგაჭრო ბალანსის დეფიციტური მდგომარეობა ითვლება არახელსაყრელად. საგაჭრო ბალანსის დეფიციტი უარყოფითად მოქმედებს ეროვნული ვალუტის კურსზე, ვინაიდან ხდება ეროვნული ვალუტის გადინება ქვეყნიდან, რაც იწვევს ეროვნული ვალუტის კურსის დაცემას.

საქართველოში, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნისას, ეფუქტიანი საგაჭრო პოლიტიკის გატარება, მით უფრო დამოუკიდებლად, შეუძლებელი იყო. საბჭოთა იმპერიის დაშლისა და საქართველოს მიერ სახელმწიფო დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ აქაც, სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების მსგავსად, იწყება ეკონომიკური რეფორმები, რომლებიც ეწ. „შოკური თერაპიის“ მეთოდებით წარიმართა. სხვა მეტად მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად დღის წესრიგში დადგა ქვეყნის დამოუკიდებელი საგარეო საგაჭრო პოლიტიკის შემუშავება. 1992 წლს შემოდებულ იქნა ერთიანი საბაჟო ტარიფები. იმპორტი იბეგრებოდა 2, ხოლო ექსპორტი 8

პროცენტით. ბუნებრივია, ეს იმპორტის სტიმულირებას უწყობდა ხელს და ახმობდა სამამულო საწარმოო პოტენციალს. გამოდის, რომ ქვეყნის საგაჭრო პოლიტიკა თავიდანვე მცდარად შემუშავდა.

მას შემდეგ, რაც დამოუკიდებლობა მოიპოვა, საქართველოს დღემდე არც ერთი სამეურნეო პერიოდი არ დაუმთავრებია არათუ დადებითი, გაწონასწორებული საგაჭრო ბალანსითაც კი. დღესაც არსებობს მნიშვნელოვანი სხვაობა იმპორტისა და ექსპორტს შორის. ვითარებას ისიც ამძიმებს, რომ საქართველო ნომენკლატურაში დასახელებული პროდუქციის ძირითადი ნაწილი ნედლეულია. ეკონომიკურად ისეთი წარმატებული ქვეყანა როგორიც, მაგალითად, იაპონიაა, როგორც ვიცით, ახორციელებს ნედლეულის იმპორტს და მაღალმწარმოებლურობიდან გამომდინარე, მზა პროდუქციის მნიშვნელოვან ექსპორტს. საქართველოში შექმნილი სიტუაცია დიამეტრალურად განსხვავდება იქაური ვითარებისაგან – ვართ ნედლეულის ექსპორტითი და სხვა ქვეყანაში წარმოებული მზა პროდუქციის იმპორტითი, რაც საქართველოში არსებულ წარმოების დაბალ დონეზე მიუთითებს. 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ექსპორტის შემადგენლობაში მოწინავე პოზიციებს ინარჩუნებს ისეთი დასახელების პროდუქცია, როგორიცაა: ფეროშენადნობი, კაკალი, დამუშავებული ან ნახევრად დამუშავებული ოქრო, ჯართი, ცემენტი და ა.შ.

დღეს საქართველო იმყოფება ორმაგი დეფიციტის პირბებში, ანუ ისეთ სიტუაციაში, როდესაც ქვეყნის ეკონომიკაში ერთსა და იმავე დროს ორი დეფიციტია – ფისკალური (ანუ როცა ბიუჯეტი მეტს ხარჯავს, ვიდრე შემოსავალი აქვს) და საგადამხდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (ანუ დარღვეულია თანაფარდობა უცხოეთის ქვეყნების სასარგებლოდ). ორმაგი დეფიციტის პიპოთეზის მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები პირდაპირ აისახება ქვეყნის მიმდინარე ანგარიშის ბალანსზე და იწვევს მის გაუარესებას, ვინაიდან ჭარბი სახელმწიფო ხარჯები ჭარბ კერძო მოხმარებას იწვევს, ეს კი ამცირებს ეროვნულ დანაზოგს და აუცილებელს ხდის საგარეო ვალის აღებას. ფისკალური დეფიციტი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს იწვევს. საერთოდ მიჩნეულია, რომ ფისკალური კონსოლიდაცია აუცილებელი ზომაა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის გასაუმჯობესებლად. ხოლო მუდმივი და გრძელვადიანი სამთავრობო დეფიციტი ამცირებს ეროვნულ დანაზოგებს, რითაც მცირდება მიმდინარე

ანგარიშების ბალანსი. ეროვნული დანაზოგის კლება ნაწილობრივ შეიძლება განეიტრალდეს კერძო ადგილობრივი დანაზოგით, რაც საქართველოს არა აქვს. ამავე დროს, ფისკალური პოლიტიკის შერბილება საპროცენტო განაკვეთებს ზრდის (სახელმწიფო დანაზოგის კლება), რამაც ასევე, შეიძლება, ინვესტიცია განდევნოს. მოქნილი გაცვლითი კურსით ფისკალური დეფიციტი ვალუტას ამყარებს; აქედან გამომდინარე, ადგილობრივი საქონლის ფასი შედარებით მაღალია, რაც წმინდა ექსპორტს განდევნის.

ეკონომიკის ექსპრესის ნაწილი ექსპორტსა და იმპორტს შორის არსებულ ტენდენციას ქვეყნის ეკონომიკის სისუსტედ მიიჩნევს. მათი აზრით, იმპორტზე დამოკიდებულების ზრდა პრობლემას წარმოადგენს მაკროეკონომიკური სტაბილურობისთვის. თუმცა ამჟამად საქართველოში საწინააღმდეგო ტენდენცია შეიმჩნევა, ვინაიდან ლარის კურსი სტაბილურობით გამოირჩევა. უარყოფითი საგაჭრო სალდოს დაბალისება უცხოური ინვესტიციებით, გრანტებითა და ემიგრანტების მიერ გამოგზავნილი თანხებით ხორციელდება. ეკონომისტები უარყოფით საგარეო სავაჭრო ბალანსზე მეტ მნიშვნელობას ქვეყნის საგადამხდელო ბალანსს ანიჭებენ.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს საგადამხდელო ბალანსი დღემდე უარყოფითი სალდოთი ხსიათდება, რაც ძირითადად გამოწვეულია წარმოების განუვითარებლობით, ეკონომიკის განვითარების დაბალი დონით, 2006 წლის რუსეთის ემბარგოთი ქართულ საქონელზე, გადატანილი ომებით, მოსახლეობის ძირითადი ნაწილის დაბალი მსყიდველობისუნარიანობით, შიდა ბაზრის სიმცირით, საკმაოდ დიდი მოცულობის საგარეო ვალით და ა.შ.

ყოველივე ამან უმწვავესი გამოწვევების წინაშე დააყენა საქართველო, რაც უძლიერეს სტიმულს აძლევს ქართულ ეკონომიკას განვითარების თატიმისალური გზების მოქებნისა და შემდგომი განვითარებისათვის.

2012 წელს საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები ექსპორტის მიხედვით იყვნენ: აზერბაიჯანი, სომხეთი, აშშ, უკრაინა, თურქეთი, კანადა, ბულგარეთი, ყაზახეთი, ბელგია და იტალია. ამ ქვეყნების წილად მოდიოდა მთლიანი რეგისტრირებული ექსპორტის 74.6 პროცენტი.

საქონლის რეგისტრირებული იმპორტის მიხედვით უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები იყვნენ: თურქეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, ჩინეთი, გერმანია, რუსეთი, იაპონია,

ბულგარეთი, იტალია და რუმინეთი. აღნიშნული ქვეყნების წილად მთლიანი რეგისტრირებული იმპორტის 70.5 პროცენტი მოდიოდა.

დღეს გაჩნდა განსაკუთრებული შანსი, საქართველომ დაიბრუნოს მისთვის ტრადიციული და ამასთან უაღრესად მნიშვნელოვანი ბაზარი – რუსული ბაზარი. ქართული დვინო, მინერალური წყლები, ზოგიერთი ხილი და ბოსტნეული, თუმცა ჯერ კიდევ უმნიშვნელო რაოდენობით, მაგრამ უკვე გამოჩნდა რუსულ ბაზარზე. ეს საქართველოსათვის უმნიშვნელოვანები ნაბიჯია, რომლის სწორად წარმართვა და გადრმავება, ჩვენი აზრით, ჩვენი მთავრობის ერთ-ერთ განსაკუთრებულ ამოცანად უნდა იქცეს.

ექსპორტის განვითარება საქართველოსთვის უფრო მნიშვნელოვანი პრობლემაა, ვიდრე სავაჭრო დეფიციტის შეცირება. საქართველოში კი მეტად დაბალია ადგილობრივი წარმოების განვითარების ტემპი, დაბალი ხარისხის და, შესაბამისად, სუსტი კონკურენტუნარიანობის გამო გაძნელებულია მზა ნაწარმის რეალიზაცია. ამასთან, ექსპორტზე ორიენტირებული სავაჭრო კავშირების დამყარებას და მარკეტინგული გამოცდილების დაგროვებას დრო სჭირდება. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წარმოების იმ დარგების განვითარებას, რომელთაც მომავალში შეუძლიათ მნიშვნელოვანი საექსპორტო შემოსავლის მოგანა.

2012 წელს საქართველოს საგარეო გაჭრობის ზრდის ტემპი წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად (თითქმის სამჯერ) შენელდა და 10.5 პროცენტი შეადგინა; შედეგად, სავაჭრო ბრუნვა 10.2 მლრდ აშშ დოლარს გაუტოლდა. საგრძნობლად იქლო როგორც რეგისტრირებული ექსპორტის, ასევე იმპორტის ზრდის ტემპებმა, რაც შესაბამისად 8.6 და 11.1 პროცენტს შეადგენდა. ამავდროულად, იმპორტის წლიური ზრდა ექსპორტისას 596 მლნ აშშ დოლარით აჭარბებდა. 2012 წლის სავაჭრო დეფიციტი 5.5 მლრდ აშშ დოლარს გაუტოლდა, რაც ისტორიული მაქსიმუმია. ექსპორტით იმპორტის გადაფარვის კოეფიციენტი კი ბოლო სამი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად არ იცვლებოდა და 30 პროცენტის მიდამოებში მერყეობდა.

მიმდინარე ანგარიშის ყველაზე მსხვილი კომპონენტი, საქონლით ვაჭრობის ბალანსი, ერთმნიშვნელოვნად განაპირობებს მის უარყოფით სალდოს. მაღალი ზრდის ტემპი, რომელიც გვქონდა 2011 წელს როგორც საქონლის იმპორტის, ასევე

ექსპორტის შემთხვევაში, 2012 წელს საგრძნობლად შენელდა და, შესაბამისად, 14.3 და 7.6 პროცენტი შეადგინა. საქონლით ვაჭრობის დეფიციტი 20.6 პროცენტით გაუარესდა, რაც წინა წლების ტენდენციასთან შედარებით დაბალი მაჩვენებელია.

საგადამხდელო ბალანსის უარყოფითი სალდოს ერთ-ერთ დამაბალისებულ ელემენტად გვევლინება პირდაპირი ინვესტიციები (თუმცა ბოლო წლებში საქართველოში მათი შემცირების ტენდენცია შეინიშნება). უცხოური კერძო კაპიტალის შემოღინება ქვეანაში უპირატესად პირდაპირი კერძო ინვესტიციებით ხორციელდება, რომელთა დაბანდება წარმოებს უპირატესად შრომატევად (და არა მეცნიერებატევად, კაპიტალტევად და ტექნიკტევად) დარგებში.

2008 წლიდან დაწესებული, შემოსავლების ბალანსი უარყოფითი გახდა, ვინაიდან ამ ანგარიშის უარყოფითი კომპონენტის, საინვესტიციო შემოსავლების ზრდის ტემპი აღმატება დადგბითი კომპონენტის, შრომითი შემოსავლების ზრდას. ეს შედეგი ბუნებრივია მუდმივი სავჭრო დეფიციტის პირობებში, როდესაც დაფინანსება უცხოური კაპიტალის შემოღინებით ხდება, რაც თავის მხრივ აუარესებს ქვეყნის საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციას. ბოლო წლის განმავლობაში საქართველოს საინვესტიციო პოზიცია 14 პროცენტით გაუარესდა. აღსანიშნავია, რომ 2012 წელს შემოსავლების ანგარიშის უარყოფითი სალდო შემცირდა. ამის მიზეზია უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებზე დარიცხული შემოსავლების კლება, რაც განაპირობა უცხოური ინვესტირების საწარმოების შემცირებულმა მოგებამ.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, სწორად განისაზღვროს საინვესტიციო პოლიტიკის პრიორიტეტები. ეს საჭიროა იმიტომ, რომ მოკლევადიან პერიოდში მათმა დადგბითმა ზემოქმედებამ (მაგალითად, დასაქმების ზრდა, დარგების რეაბილიტაცია, საგადამხდელო ბალანსის დადგბითი სალდო), შესაძლოა, გრძელვადიან პერიოდში ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შეფერხება გამოიწვიოს (არაპრიორიტეტული დარგების განვითარების გამო).

დღემდე საგადამხდელო ბალანსის რეგულირების მაკროეკონომიკური პოლიტიკა უპირატესად სავჭრო, ფულად-საკრედიტო, საფინანსო-საგადასახადო პოლიტიკის გატარებას გულისხმობდა. მაგრამ თანამედროვე ეტაპზე წინა პლანზე გამოდის საგადამხდელო ბალანსზე სოციალური, ინსტიტუციური, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პოლიტიკის ზემოქმედების გათვა-

ლისწინება. ამისათვის მიზანშეწონილია, ინგესტიციების უპირატესად სოციალურ და ინოვაციურ სფეროებში განხორციელება. ამასთან, მრავალი ქვეყნის გამოცდილებით, სწორედ განათლების, საგაჭრო ლიბერალიზაციის, ტელეკომუნიკაციების, ქვეყნის ინსტიტუციური განვითარებითაა შესაძლებელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაღვენა.

ექსპორტის ზრდა, ძირითადად, სწორედ რეექსპორტის “დამსახურება”, თუმცა ამაში თავისი წელილი ადგილობრივმა პროდუქციამაც შეიტანა. იმპორტის მაჩვენებლის კლება კი გამოიწვია სამშენებლო მასალების იმპორტის შემცირებამ, რადგან ქვეყანაში არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ მშენებლობები შეფერხდა.

საგარეო ვაჭრობაზე გადამწყვეტ გავლენას ქვეყანაში არსებული საგაჭრო რეჟიმი ახდენს. საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, „ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს ლიბერალური საგარეო საგჭრო პოლიტიკა წარმოადგენს, რაც გულისხმობს გამარტივებულ საგარეო ვაჭრობის რეჟიმსა და საბაჟო პროცედურებს, დაბალ საიმპორტო ტარიფებსა და მინიმალურ არასატარიფო რეგულირებას”.

ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში საიმპორტო ტარიფები შემცირებულია 16%-იდან 3%-მდე, პროდუქციის დაახლოებით 85%-ზე კი ტარიფები საერთოდ გაუქმებულია. რაც შეეხება ექსპორტს, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ექსპორტი და რეექსპორტი საქართველოდან გათავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან, გარდა ამისა, ექსპორტი არ იძეგრება დღგ-თი.

ასეთი ლიბერალური დაბეგვრის რეჟიმშიც კი არ იცვლება ეკონომიკური სერათი. ამის მიზეზად ექსპორტები რამდენიმე გარემოებას ასახელებენ.

პირველი: ლიბერალურმა საგადასახადო რეჟიმმა ქვეყანა მიმზიდველი გახადა იმპორტიორებისათვის. ანუ, ჩვენთან მრავალნაირი დასახელების პროდუქტი შემოდის და ეს პროცესი მზარდია.

მეორე: ლიბერალური საგადასახადო რეჟიმი მართალია, ხელს უნდა უწყობდეს ქვეყნის ექსპორტს, მაგრამ არსებობს ხელის შემშლელი უფრო ძლიერი მიზეზები, რის გამოც ექსპორტის გაზრდა რთულია. მაგალითად, რადგან ქვეყანაში არ

არსებობს სურსათის უვნებლობაზე ეფექტური კონტროლის მქანიზმი, ჩვენ საკვები პროდუქტები მხოლოდ დსთის ქვეყნებში გაგვაქვს. გარდა ამისა, ექსპერტების თქმით, საქართველოში წარმოება იმდენად მწირია, რომ ჩვენ სხვა ქვეყნებში „გასატანი“ თითქმის არაფერი გვაქვს. ანუ, მხოლოდ ლიბერალური საგადასახადო რეჟიმით ექსპორტი არ იზრდება.

მიზეზი იმისა, თუ რატომ არ არის ექსპორტის ოდენობა მაღალი, დამოკიდებულია ადგილობრივი წარმოების განვითარებაზე. ჩვენთან რეალური სექტორის წილი ეკონომიკაში საკმაოდ დაბალია, ბოლო წლებში ის საგრძნობლად შემცირდა. რეალურ სექტორში შედის მრეწველობა თავისი მოპოვებით, დამუშავებით, ელექტროენერგეტიკით, ასევე სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა, მშენებლობა. საქართველოს რეალური სექტორი მოცულობით დიდი არ არის, მაგრამ აღრიცხვის ლოგიკით, წელიწადში დაახლოებით 20-25 მილიონია. ეს კი მოლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 27%-ია, დანარჩენი 73% კი მომსახურებაზე მოდის.

ექსპერტები მიუთითებენ, რომ საფაჭრო ბალანსის გაუმჯობესებისათვის ადგილობრივი წარმოების განვითარება უპირობო მოთხოვნაა. ქვეყნის რეალური, ანუ მწარმოებელი სექტორი სამუშაო ადგილებისა და დამატებითი დოვლათის შექმნის თვალსაზრისით ბევრად უფრო სტაბილურია, ვიდრე ნებისმიერი მომსახურების სფერო.

საქართველოში კი, ჯერჯერობით იმდენად მწირი სახეობის და რაოდენობის პროდუქტი იწარმოება, რომ ადგილობრივ ბაზარსაც კი ვერ უზრუნველყოფს. ამის შედეგი კი ისაა, რომ ექსპორტის მაჩვნებელი ვერ იწრდება, და მეორეც – ვერ იკლებს უმუშევრობის მაჩვნებელიც. ეს ქვეყანაში არსებული არანაკლებ მწავე პრობლემაა.

ქვეყნიდან გასული საექსპორტო პროდუქციის პირველ სამუშალში შედის - ავტომობილების რეექსპორტი, შემდეგ კი ფეროშენადნობებისა და ჯართის ექსპორტი. აღსანიშნავია, რომ ავტომობილების რეექსპორტმა წელს პირველად დაიკავა პირველი ადგილი, 2007 წლიდან მოყოლებული, ქვეყნიდან ექსპორტირებული პროდუქციის ჩამონათვალში პირველი ადგილი ფეროშენადნობებს ეკავათ,

რეექსპორტის დროს, ის, რაც შემოდის ქვეყანაში, ამ შემთხვევაში ავტომობილები, გადის კიდეც ქვეყნიდან, რადგან, როგორც ცნობილია, საქართველო ავტომობილებს არ აწარმოებს.

ავტომობილების რეექსპორტის შემდეგ მეორე ადგილი ფეროშენადნობების ექსპორტს უჭირავს. მესამე ადგილზე კი შავი ლითონების, ანუ კწ „ჯართის“ ექსპორტია, რაც საერთო ექსპორტის 8% შეადგენს. ათეულში შედის, აგრეთვე, ალკოლური სასმელები და მინერალური წყლები.

ქართული სახელმწიფოს ძირითად ამოცანად გვევლინება საექსპორტო საქმიანობისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა პროტექციონისტული ღონისძიებების მთელი კომპლექსის გატარებით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს თანამედროვე მსოფლიოში მიღებულ თამაშის წესებს, ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ეკონომიკის ინტერნაციონალიზაცია და გლობალიზაცია განაპირობებს საგარეო ვაჭრობის, კაპიტალის მოძრაობისა და სავალუტო-ფინანსური ურთიერთობების დიგრალიზაციის აუცილებლობას.

ასეთ პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იდენტ საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირება, იმ მექანიზმების შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს ექსპორტის განვითარებას და პასუხობს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მარეგულირებელ კანონებს.

იმის მიხედვით, ზღუდავს თუ ახალისებს საგარეო ვაჭრობას, განარჩევენ სახელმწიფო რეგულირების ორ ურთიერთსაპირისპირ ფორმას, პროტექციონიზმი და თავისუფალი ვაჭრობა. პირველი გულისხმობების იმპორტის შეზღუდვას სამამულო წარმოების სტიმულირების მიზნით, ხოლო მეორე ფორმის მიხედვით, ქვეყნები ერთმანეთთან ყოველგვარი აკრძალვებისა და შეზღუდვების გარეშე უნდა ვაჭრობდნენ. ქვეყნისთვის რომელია უფრო ხელსაყრელი? – ამ საკითხზე საზოგადოების აზრი ორად იყოფა, ერთი მხარე პროტექციონიზმს უჭერს მხარს, მეორე – თავისუფალ ვაჭრობას. თუ გადავხედავთ სტატისტიკას, საგარეო ვაჭრობის რეგულირებისადმი რომელი მიღეობა (თავისუფალი ვაჭრობა თუ პროტექციონიზმი) ჭარბობდა მსოფლიოში, გავაკეთებთ საინტერესო დასკვნას – თავისუფალ ვაჭრობას სიკეთე მოაქვს ქვეყნისთვის და, ამასთანავე, ქვეყანამ ვაჭრობის შეზღუდვაც შეიძლება გამოიყენოს ეფექტურად. მაგალითად, მე-20 საუკუნის განმავლობაში, მსოფლიო ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ხან ერთი ჭარბობდა, ხან მეორე. კერძოდ, 1930-1970 წლებში განმტკიცდა თავისუფალი ვაჭრობის ტენდენცია; 1970-ანი წლებიდან – პროტექციონიზმი; 1980-ანი წლებიდან კვლავ ლიბერალიზმი; 2011 წლიდან – პროტექციონიზმი და ა.შ. დღესდღეობით პროტექციონიზმი რჩება რეგულირების

ერთ-ერთ მთავარ ფორმად, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის პროდუქტების სამამულო წარმოების სტიმულირების საქმეში.

ამ დარგის პრობლემების კვლევასთან დაკავშირებული საკითხებით დაკავებული მეცნიერების დიდი ნაწილი თვლის, რომ ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში სახელმწიფო ნაკლებად უნდა ჩაერიცოს ეკონომიკაში, მათ შორის საექსპორტო-საიმპორტო საქმიანობაში. ამავდროულად, ამ დარგის პრობლემების კვლევით დაკავებული სხვა ექსპერტების მხრიდან ისმის რეკომენდაციები, რომ სახელმწიფომ უნდა დააწესოს შეზღუდვები უცხოური სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქციის შემოღინებაზე. ჩვენი პოზიცია ისაა, რომ სახელმწიფო აქტიურად უნდა აწარმოებდეს წარმოების რეგულირებას როგორც ეკონომიკური, ასევე სამართლებრივი და ორგანიზაციული ინსტრუმენტებით და ფირმების საერთაშორისო ბაზრებზე გასვლის სტიმულირებას. ამ ინსტრუმენტების უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს საწარმოების საექსპორტო-საიმპორტო საქმიანობის სატარიფო და არასატარიფო რეგულირება. ლოგიკურია, რომ სახელმწიფო რეგულირების ამ მექანიზმების ჩამოყალიბება განაპირობა საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებამ. სახელმწოდებები, გააანალიზეს რა საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციის უარყოფითი მხარეები, მივიღნენ ობიექტურ დასკვნამდე, რომ თავისუფალი ვაჭრობა ზოგ შემთხვევაში საფრთხეს უქმნის სამამულო წარმოებას და საჭიროა მისი რეგულირება, რათა ადგილი არ ჰქონდეს არაჯანსაღ კონკურენციას პროდუქტების დემაინგური ან სუბსიდირებული ფასებით იმპორტის გამო.

საერთაშორისო ვაჭრობაზე ზეგავლენას ახდენს ვალუტის კურსის ცვლილება. კერძოდ, კურსის გამეარებისას სარგებლობენ იმპორტიორები და ზარალდებიან ექსპორტიორები, ხოლო ვალუტის კურსის გაუფასეურებისას სარგებლობენ ექსპორტიორები და ზარალდებიან იმპორტიორები. ანუ ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილება გავლენას ახდენს საგარეო ვაჭრობის სალდოზე – მისი კურსის გაუფასეურება სტიმულს აძლევს ექსპორტს და ზღუდავს იმპორტს, რის კვალობაზეც მცირდება პასიური სალდო (ან იზრდება აქტიური სალდო). ეროვნული ვალუტის კურსის გაზრდისას კი ადგილი აქვს საპირისპირ ზემოქმედებას – იზრდება იმპორტი და მცირდება ექსპორტი, რის შედეგადაც იზრდება პასიური სალდო (ან მცირდება აქტიური სალდო).

მთავრობის მიერ ექსპორტის ხელშეწყობას საქართველოში 2012 წელს გამოკვეთილი დარგობრივი პრიორიტეტები ჰქონდა. მოქმედ სამთავრობო პროგრამაში აქცენტი ძირითადად სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტის ზრდაზე კეთდება. ერთ-ერთ სტრატეგიულ ამოცანად ამ სფეროში დაისახა ღვინის ექსპორტის მოცულობის ზრდა და ბაზრების დივერსიფიკაცია. 2015 წლისათვის ღვინის ექსპორტის დირებულება უნდა გაორმაგდეს, ხოლო წარმოება 50%-ით გაიზარდოს. ქართული ღვინის ექსპორტი ბოლო წლებში ზრდის ტენდენციით ხასიათდება და გამონაკლისი ამ მხრივ არც 2012 წელია. გარკვეული ძვრები შეინიშნება აგრეთვე ამ პროდუქციის საქართველოში ბაზრების დივერსიფიკაციის თვალსაზრისითაც. კიდევ ერთ სტრატეგიულ ამოცანად იქნა მიზნეული საქართველოს სიმინდის ექსპორტიორ ქვეყნად ჩამოყალიბება, თუმცა კ.წ. პიბრიდელი სიმინდის სახელმწიფო პროგრამის ჩავარდნის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ამ ამოცანის შესრულება უახლოეს წლებში ვერ მოხდება.

მთავრობა აგრარული პროდუქციის (მათ შორის მეცხოველეობის, მეცილეობის) ექსპორტის დივერსიფიკაციის მნიშვნელოვან დონისძიებად მიიჩნევს ლოჯისტიკური ცენტრების განვითარებას, რომელშიც შედის შესანახი მეურნეობა, პირველადი გადამუშავება, სორტირება, დახარისხება, შეფუთვა, საბითუმო ვაჭრობის ობიექტი და საცალო ვაჭრობის ობიექტი, კონგრენგრების საწყობი და ლაბორატორია. 2012 წელს რამდენიმე მსგავსი ლოჯისტიკური ცენტრი ამოქმედდა, მათ შორის დონორების მხარდაჭერითაც.

2012 წელს საქართველოს სავაჭრო პოლიტიკის მნიშვნელოვანი პრიორიტეტი იყო ”თავისუფალი და პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმების გამოყენების გაუმჯობესება, განსაკუთრებით მთავარ სავაჭრო პარტნიორებთან”, რაც სრულად შეესაბამება ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის მოთხოვნებს. საქართველოს მთავრობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმებას ევროკავშირთან და თურქეთთან არსებული თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების პირობების რეალიზებას.

თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება თურქეთთან (ძალაში შევიდა 2008 წლის 1 ნოემბერს). 2012 წლის 10 თვეს მონაცემებით ქართული ექსპორტი თურქეთში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 31.6%-ით დაეცა, რაც ნათლად ასახავს აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ჩამოყალი-

ბებულ ტენდენციას, რომლის მიხედვითაც თურქეთიდან შემოსული იმპორტის მოცულობა განუხელდად და საკმაოდ მაღალი ტემპით იზრდება, ქართული ექსპორტი კი ამ ქვეყნაში კლუბულობს. ამგვარი ვითარების ერთ-ერთ მიზეზად ექსპორტები თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ასიმეტრიულობას მიიჩნევენ ქართული მხარის საზიანოდ.

დასასრულ, ხაზგასმით გვიჩდა აღვნიშნოთ შემდეგი: სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნგრარესმა ილია II-მ რამდენიმე წლის წინ ერთ-ერთ თავის ეპისტოლებში აღნიშნა, რომ საქართველო აუცილებლად უნდა იქცეს ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელ და რეალიზატორ ქვეყნად, რაც ჩვენი ძველის ეკონომიკურ განვითარებას ძალიან მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს. ხოლო სულ ახლახან მან ზემოთ აღნიშნულ პროდუქციას სუფთა წყალიც დაუმატა.

ეკოლოგიურად სუფთა და ამავე დროს ხარისხიანი პროდუქცია და წყალი, ჩვეულებრივი სასმელი წყალი მსოფლიოში ძალიან დიდი დეფიციტია და ეს მართლაც იქნება შანსი საქართველოსათვის. იგი შეძლებს ამ სახის პროდუქციის მსხვილ ექსპორტიორნად იქცეს, პირველ ხანებში თუნდაც რეგიონში. სხვათა შორის არაოფიციალურად ეს უკვე ხდება. ცნობილია, რომ თურქეთი მშვენივრად ახერხებს საქართველოდან ხარისხიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ტონობით გაზიდვას და ასევე ტონობით უგარებისი, გრძელიფიცირებული საქონლის შემოზიდვას. უწმინდესის ეს რეკომენდაცია მეტად ყურადსაღებია, აუცილებლად მისაღებია და სერიოზულ მიღვომას მოიხოვს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ეროვნული ბანკის წლიური ანგარიშები 1998-2012.
2. ვანიშვილი მ., ვაშაკიძე ზ., კიკაჩიშვილი ნ., ჯუდელი გ. საქართველოს საგადასახდელო ბალანსის სტრუქტურისა და დინამიკის თავისებურებანი. თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2009, გვ. 75.
3. ვეშაპიძე შ., და სხვები. ქვეყნის საგადასახდელო ბალანსი და მისი შემადგენელი ნაწილები. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. თბილისი, 2008.
4. ლინდერტი პ. საერთაშორისო ეკონომიკა. თბილისი, „სიახლე“, 2001.

5. კანკია ნ. სავაჭრო ბალანსი – არსი და საქართველოს რეალობა. თბილისი, 2009.

6. მჭედლიძე გ. „როგორ ივსება საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი?“ თბილისი, 2012.

<http://www.radiotavisupleba.ge/content/article/24444661.html>

*Nunu Kistauri*

## THE PLACE AND ROLE OF TRADE BALANCE OF GEORGIA IN THE SYSTEM OF PAYMENT BALANCE

### Annotation

The role and place of trade balance in the system of payment balance are considered in the article.

The article also discusses the payment balance as the phenomenon reflecting the real integration of a country into the system of international relations and by data of which it is possible to evaluate the economic state and solvency of a country and to forecast expected economic crises by its data.


*ეთერ კაბულია  
მცირე და საშუალო გიზნესის განვითარების  
არსებული მდგრადარეობა და პერსამტივები საქართველოში*

ნებისმიერი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანების პირობას წარმოადგენს ბიზნესის (წარმოების) განვითარება, იგი არის ის ფუნდამენტი, რომელზეც დაფუძნებულია ქვეყნის ეკონომიკა. ბიზნესის ფორმებს შორის, როგორც განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან ჩანს, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების რეგულირების მეთოდებისა და სახელმწიფო მაკრომარეგულირებელი მექანიზმის დანერგვა, მთლიანობაში, განსაზღვრავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ წარმატებას.

მცირე და საშუალო ბიზნესის რეგულირების პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსათვის, სადაც დამოუკიდებლობის აღდგენიდან განვლილი 20 წლის განმავლობაში არაერთი ცდა განხორციელდა შრომითი ურთიერთობების რეგულირებასა და დასაქმებასთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკისა და მიდგომების ჩამოყალიბების მიმართულებით. მიუხედავად ამისა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ სფეროში ეფუქტური სახელმწიფო

პოლიტიკა დღემდე არ არის ჩამოყალიბებული. ეკონომიკის განვითარების ტემპების დაჩქარების, ეროვნული წარმოების განვითარების, უმუშევრობისა და სიღარიბის დაძლევის, შრომის პროგრესული ურთიერთობების ჩამოყალიბების მიზნით, მსოფლიო ეკონომიკურ ლიტერატურაში ერთ-ერთ არსებით პრიორიტეტად აღიარებულია მცირე და საშუალო ბიზნესი და, სწორედ ამდენად, ეფუძნება სახელმწიფო პოლიტიკად მიღებულია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სახელმწიფო მსარდაჭერა, რაც საქართველოში დღემდე უგულებელყოფილია.

მცირე და საშუალო ბიზნესისადმი სახელმწიფო მსარდაჭერის შედეგია ის, რომ აშშ-ი მთლიან დასაქმებულთა 65% მცირე ბიზნესშია დასაქმებული, ინგლისში – 49%; გერმანიაში – 80% [8]. ტაივანის ეკონომიკაში დომინირებს მცირე და საშუალო ბიზნესი და შეადგენს ფირმების საერთო რაოდენობის 98%-ს, სადაც დასაქმებულია შრომისუნარიანი მოსახლეობის 78%. უმუშევრობის დონის კველაზე მაღალი მაჩვენებელი ბოლო ოცი წლის განმავლობაში იყო 2001 წელს და უდრიდა 3,1%. [7], საქართველოში კი მთლიან დასაქმებულთა დაახლოებით 20%-ია მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებული. როგორც პირველი გრაფიკიდან ჩანს, ბოლო ათი (2003-2011) წლის განმავლობაში უმუშევრობის დონის მაჩვენებელი ზრდადი ტენდენციით ხასიათდება და ორნიშნა ციფრს ქვემოთ არ ჩამოსულა.



ცნობილია, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონის მახასიათებლად აღიარებულია: მთლიანი შიდაპროდუქციის (შპ), ინფლაციისა და უმუშევრობის შაჩვენებლები. ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდაპროდუქციის მაჩვენებელი ბოლო სამი წლის განმავლობაში ზრდადი ტენდენციით ხასიათდება. მისი სიდიდე 2009, 2010, 2011 წლების მიხედვით შესაბამისად შეადგენს 2455.2; 2623.0; 3215.4 აშშ დოლარს. ოუკენის კანონის მიხედვით თუ კიმსჯელებთ, უმუშევრობის დონის ყოველი 1%-ის ზრდა მშპ-ის დაახლოებით 2%-იან კლებას იწვევს [3]. ე.ი. იგი გვიჩვენებს სამუშაო ძალაში დაუსაქმებელთა წილის თითოეული პროცენტი რა დანაკარგს იძლევა ქვეყნის ეკონომიკისათვის და როგორ ზეგავლენას ახდენს ის მოსახლეობის (დაუსაქმებლის) სოციალურ-უსიქოლოგიურ, ეკონომიკურ მდგომარეობაზე. საქართველოში უმუშევრობის დონის მაჩვენებელი 2011 წელს, 2010 წელთან (16,3%) შედარებით, 1,2 პროცენტული პუნქტით კი შემცირდა, მაგრამ შეადგინა 15,1%. 2010 წელს, ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 31% იმუოფებოდა სიდარიბის ზღვარს ქვემოთ [7]. უმუშევრობის შემცირების მიზნით ქვეყანაში განხორციელებულმა სახელმწიფო პროგრამებმა და სხვა სახის დონისძიებებმა ჯერჯერობით სასურველი შედეგი ვერ მოგვცა. როგორც განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან ჩანს, აქ აღნიშნული პრობლემის მოგარებაში დიდი როლი უნდა ითამაშოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებამ და ქვეყნის ეკონომიკაში მისი კუთვნილი ადგილის დამკვიდრებამ.

მცირე ბიზნესის უდიდეს მნიშვნელობაზე მეტყველებს გასული საუკუნის 70-იანი წლების დიდი ბრიტანეთის მაგალითი, ამ წლებში დიდ ბრიტანეთს ეკონომიკური კრიზისის ტალღამ გადაუარა, შეიქმნა სამთავრობო კომისია, რამაც დაადასტურა დიდი ბრიტანეთის ჩამორჩენილობა კონკურენტებს შორის მცირე და საშუალო ბიზნესის ხარისხობრივ და რაოდენობრივ განვითარებაში. 1971 წელს გამოქვეყნდა მცირე ფირმათა გამოკვლევის ანგარიში, რომელიც ცნობილია, როგორც „ბოლტონის ანგარიში“. ანგარიში წერდნენ: „მაღალი დონის მცირე ფირმის კოეფიციენტი შეესაბამება ... პროდუქციის გამოშვების მაღალ დონეს. მცირე ბიზნესის სექტორის არაჯანსაღი მდგომარეობა წარმოადგენს ჩვენი, როგორც ინდუსტრიული ერის შედარებითი დაწინების სიმპტომს და გამომწვევ მიზეზებს“ [1]. სწორედ ეს ანგარიში

გახდა დიდი ბრიტანეთისათვის მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი სახელმწიფოებრივი მექანიზმის ფორმირების მიზეზი.

მცირე და საშუალო საწარმოები ბიზნესის ის ფორმებია, სადაც შესაძლებელია დასაქმდებს ნებისმიერი სამუშაო ძალა (როგორც მაღალი, ისე დაბალი კვალიფიკაციით და ა.შ.) და სამუშაო ძალის მიღმა დარჩენილი, რომელსაც შეუძლია იშრომოს (პენსიონერი, 15 წლამდე მოზარდი და ა.შ.). ამდენად, ის ეკონომიკაში უმუშევრობის შემცირების და შრომის სურვილის და უნარის მქონე მოსახლეობის დასაქმების მძლავრი იარაღია.

### არსებული მდგომარეობა

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების შესწავლა-განალიზებიდან ჩანს, რომ ამ მიმართულებით ქვეყანაში არცოუ ისე მცირე სამუშაოებია ჩატარებული როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორის წარმომადგენელთა, ასევე ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფონდების მიერ. ღონისძიებები იქითქენ იყო მიმართული რომ მოსახლეობას ბიზნეს-ინიციატივები გასჩენოდა.

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პრობლემატიკას სწავლობს და განიხილავს ქართველ მეცნიერთა, პრაქტიკოსთა და მკვლევართა დიდი ნაწილი. მცირე და საშუალო ბიზნესის გნივითარების საქმეში არსებული დაღებითი თუ უარყოფითი საკითხები მკითხველთა ფართო საზოგადოებისათვის განსახილველად ქვეყნის 10-ზე მეტ სამეცნიერო და პოპულარული ხასიათის უურნალს გამოაქვს. ამ საკითხებს ეძღვნება პუბლიკაციები ქვეყნის წამყვან გაზიერებში. სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებში ეწყობა ადგილობრივი და საერთაშორისო მნიშვნელობის კონფერენციები, მრგვალი მაგიდა. ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენებს ეძღვნება სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სამეცნიერო შრომების კრებულები, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა კვლევებს საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარების შესახებ. ბიზნესის, კერძოდ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მიმართულებით დამაკვალინებელ რეკომენდაციებს იძლევა მსოფლიოს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთა ხელმძღვანელობით (დაფინანსებით) სრულდება მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობი პროექტები. მიუხედავად ყოველივე ზემოთ თქმუ-

ლისა, მცირე და საშუალო ბიზნესმა ქვეყნის ეკონომიკაში ჯერ კიდევ ვერ დაიძგიდრა საპუთარი ადგილი. როგორც პირველი ცხრილიდან ჩანს, მცირე და საშუალო საწარმოების წილი ბრუნვაში და გამოშვებაში ჯერ კიდევ 20%-ს ვერ აღწევს.

***ცხრილი 1***  
**მცირე და საშუალო საწარმოების წილი  
მთლიან ბრუნვაში და გამოშვებაში (%)**

	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
ბრუნვა	24	22,5	23	18,7	14,5	15,6	15,6	16,1	19,5	17,0
გამოშვება	20,6	20,3	21,5	18,9	16,1	17,3	18,5	18,4	19,1	17,7

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, როგორც მეორე ცხრილიდან ჩანს, 2012 წელს საწარმოთა მთლიანმა ბრუნვამ 42048.0 მლნ ლარი შეადგინა. ამასთან, მთლიანი ბრუნვის 83.0% მსხვილ ბიზნესზე მოდის; 7.7 % – საშუალო ბიზნესზე, მცირე ბიზნესის წილი კი 9.3%-ია. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობა საწარმოს ზომის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: მსხვილი ბიზნესი – 57.1 %; საშუალო ბიზნესი – 13.8%; მცირე ბიზნესი – 29.1%. აქვე ნათლად ჩანს პროდუქციის გამოშვების, განაწილების სურათი მსხვილ, საშუალო და მცირე ბიზნესზე, იგი შესაბამისად შეადგენს: 82.3; 7.5 ; და 10.2%.

## ცხრილი 2


**საქართველო: საწარმოთა ზომების მიხედვით პრუნვა,  
პროდუქციის გამოშვება, დასაქმება, შრომის ანაზღაურება,  
შრომის მწარმოებლურობა (2008-2012)**

წლები		პრუნვა		პროდუქციის გამოშვება		დასაქმება		შრომის საშუალო თვიური ანაზღაუ- რება	შრომის გწარ- მოე- ბლუ- რობა
		მდნ ლარი	%	მდნ ლარი	%	გაცი	%		
2008	სულ	19650.7	100	10248.4	100	349 250	100	519.8	30 837
	მსხვი ლი	17228.8	89.8	8781.4	86.8	209 532	63.9	674.8	41 886
	საშუ- ალო	1454.3	6.9	939.6	9.1	74 443	22.2	298.8	12 971
	მცირე	967.6	3.3	527.4	4.1	65 276	13.9	209.1	9 141
2009	სულ	20302.2	100	11003.1	100	387 463	100	536.1	28 398
	მსხვი ლი	17136.9	84.4	8940.3	81.5	223 170	57.6	682.3	40 198
	საშუ- ალო	1701.2	8.4	1151.5	10.5	78 198	20.2	359.5	14 726
	მცირე	1464.1	7.2	881.3	8.0	96 087	22.2	273.2	10 237
2010	სულ	24400.7	100	13303.7	100	397 806	100	592.7	33 443
	მსხვი ლი	20469.2	83.9	10859.6	87.6	224 354	56.4	755.2	48 404
	საშუ- ალო	2350.3	9.6	1461.5	11.0	91 943	23.1	395.0	15 895
	მცირე	1981.2	6.5	982.6	7.4	81 500	20.5	312.9	12 055
2011	სულ	36726.2	100	19239.1	100	503 236	100	622.6	38 232
	მსხვი ლი	29435.0	80.1	15437.8	80.2	273 581	54.4	820.7	56 429
	საშუ- ალო	3839.6	10.5	2095.1	10.9	103 004	20.5	457.0	20 342
	მცირე	3451.6	9.4	1706.9	8.9	126 651	25.1	283.1	13 477
2012	სულ	42048.0	100	23096.0	100	534 340	100	714.3	43 219
	მსხვი ლი	34919.1	83.0	19002.5	82.3	305 340	57.1	928.2	62 234
	საშუ- ალო	3223.6	7.7	1740.2	7.5	73 661	13.8	528.1	23 624
	მცირე	3905.3	9.3	2353.3	10.2	155 396	29.1	338.1	12 144

**წყარო:** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საწარმოთა ზომების მიხედვით გამოშვებული პროდუქციის განაწილების სურათს გვაძლევს მეორე გრაფიკი, სადაც 278

ნათლად ჩანს მცირე და საშუალო ბიზნესში გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის მიუდებლად დაბალი დონე მსხვილ ბიზნესთან მიმართებაში.



**გრაფიკი 2**  
საწარმოთა ზომების მიხედვით პროდუქციის გამოშვება  
წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ამდენად, როგორც ჩანს, ქვეყანაში აქტიური ეკონომიკის 80-85% მოდის მსხვილ ბიზნესზე, ეს იმას ნიშნავს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესი, თამამად შეიძლება ითქვას, განვითარებული არ არის.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით [8], სპეციალური დაბეგვრის რეჟიმი ვრცელდება მიკრობიზნესის და მცირე ბიზნესის სტატუსის ქონების ფიზიკურ პირებზე. საშემოსავლო გადასახადებისგან გათავისუფლებულია მიკრობიზნესი, ხოლო მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი იძეგრება 5%-ით. 3%-ით იგი იმ შემთხვევაში დაიბეგრება, თუ ერთობლივი შემოსავლის 60% ხარჯი ექნება და შეძლებს ამის დოკუმენტურად დადასტურებას და, ასევე, თუ საქმიანობს მხოლოდ სპეციალური სავაჭრო ზონის ტერიტორიაზე. აღნიშნული კანონმდებლობით, მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსი განისაზღვრება ერთობლივი შემოსავლით კალენდარული წლის განმავლობაში და მისი სტატისტიკური სიდიდე მიკრობიზნესისათვის არ უნდა აღემატებოდეს 30 000 ლარს, ხოლო მცირე ბიზნესისათვის 100 000 ლარს. არ მიგანია მართებულად მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის მხოლოდ ერთი კრიტერიუმით განსაზღვრა, ზემოთ აღნიშნულ კრიტ-

რიუმთან ერთად, მათი სტატუსის განსასაზღვრად უნდა გამოვიყენოთ დასაქმებულთა (დაქირავებულთა) რაოდენობა, რომლის სტატისტიკური სიდიდე უნდა განისაზღვროს შესაბამისად: მიკრობიზნესისთვის – 10, ხოლო მცირე ბიზნესისათვის კი 20 კაცამდე. მიკრობიზნესს არუნდა ეკრძალებოდეს დაჭირავებული შრომა.

ქვეყანაში საბანკო სისტემაში არსებული მაღალი საპროცენტო განაკვეთები მცირე და საშუალო ბიზნესს (სერთოდ ბიზნესს) პრობლემას უქმნის ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის მხრივ: ამასთან, ქვეყანაში არ არსებობს მცირე და საშუალო ბიზნესზე სესხების გაცემის თავდებობის სახელმწიფო ინსტიტუტი.

### პერსპექტივები

მცირე და საშუალო ბიზნესში არსებული მდგომარეობით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის ხარისხსობრივი და რაოდენობრივი განვითარების მაღალი პოტენციალი გააჩნია. დღეს მცირე ბიზნესს ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტიაში უცავია მხრივ 9%, მაშინ, როცა განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი ხასიათდება 60-70%-ით.

მცირე და საშუალო საწარმოთა რიცხოვნობა ყოველ 1000 მცხოვრებზე მოდის დიდ ბრიტანეთში – 46; იტალიაში – 68; აშშ-ში – 74; იაპონიაში – 50; ყოფილ საბჭოთა სივრციდან რუსეთში – 6; ბელორუსის რესპუბლიკაში – 3[6]; საქართველოში, ჩვენი გაანგარიშებით, დაახლოებით 4-ის ტოლია. მცირე ბიზნესის ინტენსივობის ეს მაჩვენებელი იმდენად მცირეა, რომ აქ მცირე და საშუალო ბიზნესის რაოდენობრივი ზრდის დიდი პოტენციალი გააჩნია ქვეყანას.

დღეს, ქართული ეკონომიკის განვითარებისათვის, მაშინ, როცა ის გლობალიზაციის პირობებში აშენებს ეკონომიკის საბაზრო მუქანიზმს, აუცილებელია, ქვეყანაში შეიქმნას მცირე და საშუალო ბიზნესის რაოდენობრივი და ხარისხსობრივი განვითარების ხელშემწყობი ერთიანი მუდმივმოქმედი სახელმწიფო მექანიზმი. ქვეყანაში ამ მიმართულებით სახელმწიფოს მხრიდან გატარებული, ინიექციური და ლოკალური ხასიათის ღონისძიებანი ვერ იძლევა სასურველ შედეგს. ამის ნათელი მაგალითია საქართველო, აქ არსებული ეკონომიკური მდგომარეობა, უმუშევრობის და მიგრაციის მაღალი დონე.

დღეს ქვეყანაში ბევრი კეთდება კარგი, განსაკუთრებით ეკონომიკის ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიმართულებით,

ახლა აუცილებელია ქვეყანაში ისეთი ინსტიტუტების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს უმუშევრობის შემცირებას და ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის დაწესებული ტემპით აღორძინებას. ამის ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორად მიგვაჩნია მცირე და საშუალო ბიზნესი.

რა არის მცირე ბიზნესი? საქართველოში რა მაჩვენებლებით უნდა შეფასდეს იგი და როგორ განისაზღვროს ამ მაჩვენებლების სტატისტიკური სიდიდე? რა უშლის ხელს მის განვითარებას? რა უნდა გაკეთდეს, რომ იგი ნორმალურად ფუნქციონდეს და ქვეყნის ეკონომიკაში თავისი ადგილი დაიმკიდროს?

საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების არსებული მდგრამარეობის შესწავლიდან ჩანს, რომ ქვეყნის იგრძნობა მცირე ბიზნესის სამართლებრივი ვაკუუმი, სახელმწიფო მხარდაჭერი ორგანიზაციების არარსებობა; ანალიზიდან ჩანს, რომ სპეციროა ქვეყნის მცირე ბიზნესის სტრუქტურის სრულყოფა ეკონომიკური საქმიანობისა და რეგიონების მიხედვით. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ კითხვებზე სრულყოფილი პასუხი საქართველოში დღემდე არ არის გაცემული.

მსოფლიო განვითარებული ქვეყნების გამოცდილებამ და პრაქტიკამ ცხადყო, რომ ამ კითხვებზე პასუხის გაუცემლად ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობა შეუძლებელია.

აღნიშნული სიძნეების დაძლევის მიზნით მიგაჩნია, რომ უნდა განხორციელდეს შემდგენ სამუშაოები: ქვეყანაში უნდა შეიქმნას მცირე ბიზნესის განვითარების ერთიანი სახელმწიფო (მაკრომარეგულირებელი) მექანიზმი, რომელმაც უნდა მოიცვას ინსტიტუციური: სამართლებრივი, აღმინისტრაციული და ეკონომიკური ხასიათის დონისძიებანი

მცირე ბიზნესის განვითარების მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი სიცოცხლისუნარიანი ვერ იქნება, თუ, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრული არ იქნება მცირე ბიზნესის განვითარების შეფასების კრიტერიუმები და მცირე საწარმოს ზომები. ამ დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ არა რომელიმე სხვა ქვეყნის მონაცემებით, არამედ აუცილებელია, გავითვალისწინოთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში არსებული მდგრამარეობა.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე მიგვაჩნია, რომ საქართველოსათვის მცირე ბიზნესის განვითარების შეფასების კრიტერიუმად მიღებულ იქნეს: რეალიზებული პროდუქციის

წლიური მოცულობა; ბრუნვა; და საქმებულთა რაოდენობა; მცირე საწარმოთა საერთო რაოდენობა; მცხოვრებთა რაოდენობა ერთ მცირე საწარმოზე; 1000 მცხოვრებზე მცირე საწარმოთა რაოდენობა, ეკონომიკაში მისი როლის შეფასებისათვის (განსაზღვრისათვის) მცირე ბიზნესის ხვედრითი წილი: მშპ-ში, დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში, საწარმოთა საერთო რაოდენობაში; მცირე ბიზნესის საწარმოებში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი.

მცირე ბიზნესის განმარტება და მათი კრიტერიუმების სტატისტიკური სიდიდეების წვენებული შეფასება ასეთია: მიგგაჩნია, რომ მცირე ბიზნესზე საწარმოების მიკუთვნებისას უნდა ამოვიდეთ ქვეყნის მასშტაბიდან და მისი ეკონომიკური განვითარების დონიდან, ასევე დარგობრივი თავისებურებებიდან. კრიტერიუმებად უნდა ავიდოთ: დასაქმებულთა რაოდენობა და რეალიზებული პროდუქციის მოცულობა (ბრუნვის მოცულობა). მცირე ბიზნესისადმი საწარმოთა მიკუთვნების საკითხის გადასაწყვეტილ მიგგაჩნია, დარგების მიხედვით გავიანგარიშოთ საერთოდ ეკონომიკაში ერთ საწარმოზე მოსული ზემოაღნიშულ კრიტერიუმთა სიდიდეები. მცირე საწარმოს მიგადუონოთ ის, რომლის მაჩვენებლებიც ნაკლები იქნება საშუალოზე, საშუალოს – რომლის მაჩვენებლებიც ტოლი იქნება მიღებული საშუალო სიდიდისა, ხოლო მსხვილ საწარმოს – ის, რომლის მაჩვენებლებიც მეტი იქნება საშუალოზე. პერსპექტივის გათვალისწინებით, შესაძლებელია, მონაცემები შევცვალოთ საშუალო სიდიდეების ცვლილების შესაბამისად.

მცირე ბიზნესისადმი საწარმოთა მიკუთვნების კრიტერიუმების სიდიდეების გადამოწმება უნდა ხდებოდეს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების, ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების შესაბამისად. იგი შეიძლება მოიცავდეს 5–10 წლიან ინტერვალს [6].

საქართველოში უნდა შეიქმნას ინსტიტუტები: მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების აღმინისტრაცია; მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ერთიანი ეროვნული ფონდი, ეროვნული ტექნოპარკი. მცირე ბიზნესის მხარდასაჭერად საჭიროა შეიქმნას განმტოვებული ინფრასტრუქტურა, რომელიც მოიცავს: ბანკებს, სადაზღვევო, ლიზინგურ, ფაქტორინგულ, კონსალტინგურ, ვენტურულ, აუდიტორულ კომპანიებს, ბიზნესინკუბატორებს, სამრეწველო ტექნოლოგიურ ცენტრებს, საარბიტრაჟო სასამართლოს და სხვ.

## **სამართლებრივი რეგულირება**

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, „სახელმწიფო ვალდებულია, ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას”.

დღეისათვის, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში არ არსებობს მცირე ბიზნესის მარეგულირებელი სპეციფიკური საკანონმდებლო ბაზა.

მიგვაჩნია, რომ დღევანდველი მდგომარეობით, საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების საკანონმდებლო ბაზის ფორმირების მიზნით, უნდა მომზადდეს კანონთა შემდეგი პატი:

1. საქართველოს კანონი „მცირე ბიზნესის შესახებ”;
2. საქართველოს კანონი „მცირე საწარმოთა ურთიერთგარანტიების საზოგადოებათა შესახებ”;
3. საქართველოს კანონი „მცირე საწარმოთა ინოვაციური საქმიანობის შესახებ”;
4. საქართველოს კანონი „მცირე ბიზნესის სახელშეკრულების ურთიერთობათა რეგულირების შესახებ”;
5. საქართველოს კანონი „მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ”.

სახელმწიფო მხარდაჭერის ინფრასტრუქტურა უნდა მოიცავდეს მეწარმეების მოსამაზადებელ ცენტრებს; ბიზნესინტეპრეტორებს; ინოვაციურ ცენტრებს ან ტექნოპარკებს; სავაჭრო-სამრეწველო პალატებს (ცენტრალური, რეგიონული); მეწარმეობის მხარდაჭერ ფონდებს.

ამდენად, ქვეყნის განვითარებისათვის, უმუშევრობის შეცირებისათვის მთავრობის მხრიდან მთავარი აქცენტი უნდა გაკეთდეს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე. გლობალიზაციის ეპოქაში ეროვნული კონკურენტუნარიანობის სტრატეგიის მთავარ დასაყრდენს და მათძრავებელ ძალას წარმოადგენს თანამედროვე ტექნოლოგიებსა და ინოვაციებზე ორიენტირებული მცირე და საშუალო ბიზნესი. მსოფლიო პრაქტიკამ დამაჯერებლად აჩვენა, რომ მცირე საწარმოებს ნამდვილად შესწევთ უნარი, მოკლე დროში განახორციელონ ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნა. მცირე საწარმოთა ქსელის შექმნა უზრუნველყოფს მოსახლეობის დასაქმებას, ბაზარზე სასაქონლო მოცულობის ზრდას და მომხმარებელთა მომსახურებას. იგი ხელს უწყობს ეკონომიკაში ჯანსაღი კონკურენციის არსებობას, რაც განაპირობებს ეკონომიკის ყო-

ველმხრივ პარმონიულ განვითარებას. ისინი ერთპიროვნულად ემსახურებიან ქვეყნის რეგიონული ეკონომიკის გაუმჯობესებას.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. ნიდლი დ. ბიზნესის კონტექსტში. 2003.
2. საერთაშორისო ბიზნესი. ობ., გამომცემლობა „უნივერსალი“, 2011.
3. ჩიქობავა მ., კაპულია ნ. მაკროეკონომიკა. 2010.
4. ცენტრალური საინფორმაციო სააგენტო (CA).
5. ჯოლია გ. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. ობ., 2008.
6. რ. აბესაძე, ე. კაპულია. მცირე ბიზნესის განვითარების მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი საქართველოში. 2009.
7. ე. კაპულია. მცირე ბიზნესი და მისი როლი ქვეყნის განვითარებაში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომების კრებული, ტ. 4, ობ., „მეცნიერება“, 2004.
8. საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსი. ობ., 2011.
9. მ. თოქმაზიშვილი. მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების ხელშეწყობა (დირექტულებათა ზრდის განვითარება). ობ., 2011.
10. Мазоль С. Экономика малого бизнеса. Минск. 2004.
11. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი. EPRC
12. [www.heritage.ge](http://www.heritage.ge)
13. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)
14. [www.economy.ge](http://www.economy.ge)
15. [www.resonancedaily.com](http://www.resonancedaily.com) [7/22/2011]

*Eter Kakulia*

## **EXISTING STATE AND PERSPECTIVES OF THE DEVELOPMENT OF SMALL- AND MIDDLE-BUSINESS IN GEORGIA**

### **Annotation**

In the work an existing state of small- and middle-business of Georgia is studied and analized, the experience of the developed countries

of the world are given, statistical data are analyzed, existing gaps of the development of small- and middle-business of Georgia are presented.

In the second part of the work the perspectives of the development of small- and middle-business of Georgia and the measures of its promotion are given.

## **მურმან კვარაცხელია “სახალხო პაპიტალიზმის” იდეა ილია ჰავშავაძის ეპონომიკურ მოძღვანები**

ცნობილია, რომ კაპიტალიზმი საქართველოში XIX საუკუნის 60-70-იანი წლების მიჯნაზე ჩაისახა. ამისი ლოგიკური დასტური იყო ის პირველი მექანიკური ქარხანა, რომელიც თბილისში ინგლისელებმა 1865 წელს გახსნეს. ამ პერიოდს დაქმთხვა ფოთი-თბილისის რკინიგზის მშენებლობის დამთავრებაც, რამაც კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში შეუქცევადი პროცესი გახდა. უამრავი რკინიგზის სახელოსნოები გაიხსნა, რაც პირველ სერიოზულ ნაბიჯად შეიძლება ჩავთვალოთ მე-19 საუკუნის 80-იან წლებში, სადაც 1000-ზე მეტი მუშა იყო დასაქმებული და, საქართველოს გარდა, იგი მოელ კაგასიასაც ემსახურებოდა.

უკელაფერი ეს ილია ჭავჭავაძის თვალწინ ხდებოდა და მისი “ივერია” თითქმის ყოველდღე აშუქებდა ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარებისათვის ამ დიდმნიშვნელოვან პროცესს. ილია, როგორც ბრძენი და შორსმჭვრეტელი მოაზროვნე, მიხვდა, რომ ამ პროცესებს დადებითობან ერთად, ბევრი უარყოფითი შედეგიც შეიძლება მოეტანა ქვეყნისათვის. ამათგან განსაკუთრებით ორ ფაქტორს გამოყოფდა:

1. კაპიტალიზმი საქართველოში თავიდანვე ვითარდებოდა უცხო კაპიტალის ბაზაზე და ეს საბოლოოდ ქვეყნასა და ქართველ ერს, პოლიტიკურთან ერთად, სრულ ეკონომიკურ დაკაბალებას უმზადებდა.

2. კაპიტალიზმი, საბოლოო ჯამში, ისტორიულად, ერის მთავარი მწარმოებელი ძალის – გლეხობის თანდათანობით მოსპობას და გადაშენებას გამოიწვევდა.

აი, რას წერდა ილია ჭავჭავაძე 1887 წლის “ივერიაში”: “გლეხებაცის ბედი ბაზრის სათამაშოდ არ უნდა გავხადოთ... მისი შრომა და ჯაფა, მოწეული ჭირ-ნახული დაცული უნდა

იქნას მევახშეებისა და ქორ-ვაჭრებისაგან”<sup>35</sup>. ეს იყო გაფრთხილება, თუ რა შეიძლებოდა მოპყოლოდა ამ პროცესებს, რისგანაც ქვეყნა არც ჩვენს დროში არ არის დაზღვეული.

უკვე მაშინ გახდა აშეკრა, რომ თბილისი და საქართველოს სხვა ქალაქები კომპრადორული ბურუჟაზიის ხელში აღმოჩნდნენ, რომლებიც მონოპოლიურად განაგებდნენ ბაზარს. ამიტომ ილიამ მიზნად დაისახა სოფლად ისეთი “ამხანაგობების” შექმნა, რომელიც ამ ნებატიურ პროცესებს აღუდებოდა წინ. ამ პერიოდის ევროპაშიც ფართოდ გაიშალა კორპორაციული გაერთიანებების შექმნა სოფლის მეურნეობაში და ილია ჭავჭავაძემ აქტიურად დაიწყო ამ გამოცდილების გადმოდება და გაანაბლიზება საქართველოს საეკიფიკურ პირობებში. ამ მხრივ იგი ცდილობდა აქტიურად გამოეკენებინა საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველი მოღვაწენი.

პირველი, ვინც ჩასწევდა ამ იდეის დიდ მნიშვნელობას საქართველოს მომავალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარებისთვის, ნიკო ნიკოლაძე იყო. მან ერთ-ერთმა პირველმა განახორციელა ილიას “ამხანაგობების” იდეა დასავლეთ საქართველოში, კერძოდ კი, ჯიხაიშში. აქ შექმნილ კორპორაციას იგი საფრანგეთიდან ამარაგებდა მაშინდელი ეპოქისთვის მოწინავე სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, აგრეთვე ახალი სასოფლო-სამეურნეო კულტურების შემოტანით და დანერგვით. მაშინ დაიწყო ფართოდ ჩაის კულტურის დანერგვა-განვითარება, აგრეთვე, კწ. “ცოცხალი დობით”, რომელსაც დღესაც აქაურები “ნიკოლაძის დობებს” უწოდებენ.

განსაკუთრებით ინტენსიური კავშირუთიერთობანი დაამყარა ილიამ ინგლისსა და ირლანდიასთან, სადაც კორპორაციულმა აგრარულმა მოძრაობამ 90-იან წლებში ინტენსიური ხასიათი და დიდი გაქანება მიიღო. ამ დროს აქ მოღვაწეობდა XIX-XX საუკუნეების გამოხენილი ქართველი მოაზროვნე, ეკრაპაში დიდი აგტორიტეტის მქონე ვარლამ ჩერქეზიშვილი. ნიშანდობლივია, რომ მასა და ილიას შორის დამყარდა მეტად მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა. ამ პერიოდის “ივერიაში” სისტემატურად იბეჭდებოდა ამ ორი თანამოაზრის წერილები და სტატიები “ამხანაგობების” შექმნის დიდ მნიშვნელობაზე, რასაც ილია საქართველოში “სახალხო კაპიტალიზმის” ფორმირების გზად და საშუალებად მიიჩნევდა. ამ მიმართებით

<sup>35</sup> გაზ. „ივერია“, 1887წ. №150, 25 ივნისი.

90-იანი წლების “ივერიაში” 100-ზე მეტი პუბლიკაციაა გამოქვეყნებული.

ჩვენ აქ ყველა მათგანს ვერ შევეხებით (ეს კვლევის შემდგომი თემაა), მაგრამ შევეცდებით გავაანალიზოთ ისინიც, რომლებიც ამ “სახალხო კაპიტალიზმის” იდეურ და ეკონომიკურ დასაბუთებას შეიცავენ. აი, რას წერს 1893 წლის 25 ივნისის “ივერია”, რომელიც მიწისა და ხვნა-თესვის საკითხს აანალიზებს:

“მიწის დამუშავება უკან-უკან მიღის წლითიწლობით. სახნაფსათესის ფართობიც საკირველის სისწრაფით ცოტავდება... სოფლები ცარიელდება და მოსახლეობაც სულ უფრო და უფრო კლებულობს... გაურბიან სოფლის ცხოვრებასა და ქალაქ ადგილებს ეტანებიან... სოფლის მძიმე შრომას გაურბიან. ის უფრო ახალგაზრდობაში ხდება”<sup>36</sup>.

თუ გავაანალიზებოთ ასეთ მიღვომას, დავრწმუნდებით, რომ საუკუნეებები მეტი ხნის წინ არსებული პრობლემები დღესაც არ კარგავს აქტუალობას. დღევანდელი სოფლის მდგომარეობა დაახლოებით იმავე სიტუაციაშია იმ განსხვავებით, რომ ახლანდელი სოფლის მწარმოებელი ძალები განვითარებულ ქვეყნებში პოულობენ დაბალანაზდაურებად სამუშაო ადგილებს ოჯახის შესანახად. ცხადია, რომ თითქმის დღევანდელ ქართულ სოფელზეა დაწერილი ეს სიტყვები. მიზეზი მაშინაც და დღესაც ის არის, რომ “სოფლის შრომა დაუფასებელია და ამიტომ რჩენა და ცხოვრება ამ შრომით შეუძლებელია” – ასკნის იქვე ილია ჭავჭავაძე.

გამოსავალი და როგორც ილია ჭავჭავაძე წერს – “სოფლისა და გლეხობის საშველი რა არის?”.

წერილის შემდგომ ნაწილში ამ ანალიზის შემდეგ ნაჩვენებია ეს “საშველიც”. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ, ჯერ ერთი, აუცილებელია სოფლად სასოფლო-სამეურნეო კორპორაციების, ანუ “ამხანაგობების” შექმნა. ილია ხშირად ხმარობს ამ ტერმინს – “ამხანაგობა”, რომელიც დღეს რატომდაც კომუნისტური ტერმინოლოგია პგრიათ, ისე, როგორც სიტყვა – “ბჭობა” – “საბჭო”. რუსთაველის გენიალურ ქმნილებაში – “გეფხისტყაოსანშიც” ბევრგან გვხვდება ეს სიტყვები და ეს ამტკიცებს, რომ ისინი ძველი ქართული სალაპარაკო და სალიტერატურო ენიდან მომდინარეობს. ილიას ანალიზის არსი იმაში მდგომარეობს, რომ “ჩარჩულ კაპიტალს” უნდა დაფუძი-

<sup>36</sup> გაზ. “ივერია”, 1893 წ. 25 ივნისი.

რისპიროთ „შეერთებული ამხანაგობები”, რომლებიც გაერთიანებული შრომა-საქმიანობით გაცილებით მეტ წარმატებებს მიაღწევენ, ვიდრე “განცალკევებული შრომით”.

ამიტომ არის, რომ ამ პერიოდის „ივერიის“ თითქმის ყველა ნომერში, მათ მეოთხე გვერდზე ვხვდებით რედაქციის განცხადებებს და მოწოდებებს, რომ ადგილობრივმა „სოფლის თავისაცებმა“ იფიქრონ და იზრუნონ თავიანთ სოფლებში ამხანაგობის შექმნაზე. ილია ჭავჭავაძე პირდება მათ, რომ მისი ბანკი გამოუყოფს მათ გრძელვადიან და შედავათიან კრედიტებს, რათა ისინი არ ჩავარდნენ გაუმაძღარი მევასშეების ხელში (ახლა, დღევანდელ პირობებში ამ ფუნქციას შესანიშნავად ითავსებენ კომერციული ბანკები...). მაგრამ ილიამ ისიც იცის, რომ მარტო ეს დონისძიება არ კმარა თავისი იდეალის – „სახალხო კაპიტალის შექმნისათვის საქართველოში“. ამისათვის, კორპორაციული გაერთიანებების გარდა, აუცილებელია ახალი, ეკროპული, გაცილებით ეფუძული და რენტაბელური სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. „ეპროპის გარეშე ვერც ამ საქმეში წავალო წინ“ – წერდა იგი ამავე წერილში.

როგორც ცნობილია, ამ პერიოდში დაიძაბა ურთიერთობა რუსეთსა და ევროპას შორის, შეიკრა სამხედრო ბლოკები – „სამთა კავშირი“ და „ანტანტა“. ილიას მიაჩნდა, რომ ნებისმიერი ომი საქართველოს განვითარებას შეაფერხებდა და ამიტომ იგი ყოველთვის გამოიწოდა ომის გზით ნებისმიერი პრობლემის გადაწყვების წინააღმდეგ. ილიამ ბისმარკმდე გაცილებით ადრე თქვა ცნობილი ფრთიანი ფრაზა – რუსეთს ომი უომრად უნდა მოუგოთ. ამიტომაა, რომ ვერ ნახავთ ამ პერიოდის „ივერიის“ ვერც ერთ ნომერს, სადაც რამენაირად გამართლებული იყოს მილიტარიზაცია და საომარი რიტორიკა. ამ მხრივ აღსანიშნავია სტატია – „ეპროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი“:

„ერთა შორის დაუნდობლობა, ომი და სისხლისდვრა რომ კაცობრიობის ბედნიერებისა და კეთილდღეობის სულისშემხუთავი და დამდუცველია, ეს დიდი ხანია შეგნებული აქვთ მეცნიერებისა და მწერლობის წარმომადგენელთ. იმისდამიუხედავად, რომ ეს აზრი მეტად ადვილი გასაგებია, მთელი ეპროპა მუდამ პცდილობს, რომ ომისთვის მოქმიადოს. ამ განზრახვით ეპროპის სახელმწიფო არავითარს ხარჯსა და საშუალებას არა ჰქოგავა...“<sup>37</sup>.

<sup>37</sup> გაზ. „ივერია“, 1889 წ., 25 თებერვალი.

შემდეგ ილია ჭავჭავაძე წინასწარმეტყველებს, რომ ბოლოს ევროპაში დიდი სისხლისღვრა მოხდება, რომელსაც მილიონებით ადამიანი ემსხვერპლება (რაც მოხდა კიდევ 1914-1918 წლების I მსოფლიო ომში – მ.კ.). ამასთან, ილია იმასაც პროგნოზირებს და წინასწარმეტყველებს, რომ, ევროპისაგან განსხვავებით, ამერიკა “თოფ-იარაღში კი არა ჯდება”, არამედ ეკონომიკას ანგითარებს. ასეთი ვითარება, ხასგასმით აღნიშნავს წერილის დასკვნაში ილია ჭავჭავაძე, ბოლოს “მხედრობით გატაცებულს ევროპას კიდევ უფრო დასცემს ეკონომიურად და ამერიკას კი მსოფლიო მეთაურობას დაუქმევიდობს”. აი, როგორ ზუსტად იწინასწარმეტყველა დიდმა ილიამ მსოფლიო განვითარება ასი წლის წინ...

ეს საგაზეთო წერილიც და სხვებიც იმას გვიდასტურებს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ეკონომიკას დიდი ილია. ეს მუდამ უნდა გვასხოვდეს ჩეენ, რათა დღესაც გავითვალისწინოთ ეკონომიკის გადამწყვეტი მნიშვნელობა ქვეყნის სამომავლო განვითარებაში. ამიტომ ხამოაყალიბა ილიამ ასეთი მეტად მოკლე და ლაკონური, მაგრამ ამასთან შინაარსობრივად მეტად ღრმა და ტევადი ფორმულა – არ არსებობს ეროვნული სახელმწიფო ეროვნული ეკონომიკის გარეშე. კარგი იქნება, თუ მის ამ დებულებას გავიხდით სახელმძღვანელოდ დღევანდები გარდამავალი პერიოდის სახელმწიფოებრივ მშენებლობაში, მით უმეტეს, როცა ახალი ძალა ცდილობს სწორი რეფორმების გატაცებას ეკონომიკაში. აქ გასათვალისწინებელია ილია-სეული ნააზრევი, რომელიც მნიშვნელოვნად წაადგება დღევანდებლობასაც და მომავალსაც.

ამ მხრივ მეტად მდიდარ მასალას გვაძლევს 1898 წლის 29 ნოემბრის “ივერია”, სადაც დეტალურად არის გადმოცემული “ამხანაგობების” სტრუქტურა და მათი ფუნქციონირების ეკონომიკური პრინციპები. აქ ირლანდიის ერთ-ერთი აგრარული კორპორაციის მაგალითზე კონკრეტული მონაცემებისაგან შედგანილი გარკვეული ნახაზი და სტატისტიკური ცხრილებიც კი არის მოყვანილი იმის საიდუსტრიაციოდ, თუ რა დიდი მაღალი რენტაბელობა შეუძლიათ მოგვცენ “ამხანაგობებმა”, თუ მათ მასობრივად შეგქმნით საქართველოში.

იმავე წლის დეკემბრისა და 1899 წლის იანვარ-თებერვლის “ივერიის” ნომრებში კვლავ ინტენსიურად გრძელდება “ამხანაგური კორპორაციების” თემაზე წერილების გამოქვეყნება. მათი საერთო არსი იმაში მდგომარეობს, რომ ცალკეული “ამხანაგობების” შექმნიდან აუცილებელია გადა-

ვიდეთ მათი საერთო-ეროვნული სისტემის ფორმირებაზე. ეს იდეა განსაკუთრებით აქტიურ ხასიათს იღებს 900-იან წლებში. მაგალითად, 1900 წლის 12 ოქტომბერს უკვე ლაპარაკია “მოელი სამეურნეო კავშირის” შექმნაზე ცალკე დასავლეთ საქართველოსა და ცალკე აღმოსავლეთ საქართველოს მასშტაბებით. როგორც ჩანს, იღია ჭავჭავაძე დარწმუნდა, რომ აუცილებელია ოვითონ ამ ახალმა კორპორაციულმა გაერთიანებებმა ერთმანეთთან დაამყარონ მჭიდრო კავშირული ერთობანი, რათა კოორდინირება გაუწიონ თავიანთ ეკონომიკურ-ორგანიზაციულ და ფინანსურ საქმიანობას.

ეს პრობლემა ცალკე აკლევის საგანია, მაგრამ აქ გვინდა დასკვნის სახით აღვნიშნოთ, რომ იღიას ეს იდეა გათვალისწინებული უნდა იქნეს დღვევანდელი ახალი ხელისუფლების მიერ გამოცხადებული აგრარული პოლიტიკის განხორციელებაში. რაც უნდა დიდი და მასშტაბური ფონდები არ უნდა შეიქმნას, თუ ეს ყველაფერი სწორი კონცეპტუალური პრინციპებით არ იქნება წარმართული და განხორციელებული, სასურველ შედეგს ვერ მივიღებთ. ასეთი ეფექტური კონცეპტუალური მიღვიმის მიზანი იყო და მეცნიერულად დასაბუთებულ პრინციპებს კი იღია ჭავჭავაძე და მისი მემკვიდრეობის ანალიზი იძლევა. საჭიროა, ამას ყველაფერს მიზანმიმართული კვლევის ხასიათი მივცეთ.

*Murman Kvaratskhelia*  
**THE NOTION OF “PEAPLE CAPITALISM”  
IN ILIA CHAVCHAVADZE’S ECONOMIC DOCTRINE**  
**Annotation**

In the article Ilia Chavchavadze’s thought about “Peaple Capitalism” is given. The results of capitalism, carrying out of which could negatively influence the national peculiarities of the development of a country from the view-point of its rconomic independence are underlined.

The importance of the creation of agricultural associations by means of the development of corporations as the significant precondition of the revival of Georgian village and rural population is emphasized.

**ქლგუჯა კონჯარია  
დოკუმენტების როლი და მნიშვნელობა  
ბუღალტრულ აღრიცხვაში**

სამეურნეო აღრიცხვის სხვა სახეებისაგან განსხვავებით, ბუღალტრული აღრიცხვის ერთ-ერთი დამახასიათებელი თავი-სებურებაა, რომ იგი განიხილავს მხოლოდ იმ მოვლენებსა და ფაქტებს, რომლებიც აუცილებლად უნდა იყოს დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტაციით, ამდენად ბუღალტრული აღრიცხვა დოკუმენტური აღრიცხვაა.

ბუღალტრული აღრიცხვის უტყუარობის პრინციპის თანახმად, სამეურნეო სუბიექტის (საწარმოს) დაარსებიდან მიმდინარე პერიოდამდე განხორციელებული სამეურნეო ოპერაცია სათანადო წესით უნდა აისახოს.

დოკუმენტი (საბუთი) არის წერილობითი მოწმობა სამეურნეო ოპერაციის მოხდენის ფაქტის ან მისი მოხდენის უფლების შესახებ, ხოლო დოკუმენტაცია სამეურნეო ფაქტების შესახებ დოკუმენტების წარმოებას ნიშნავს.

დოკუმენტი სამეურნეო ოპერაციის შინაარს ასახავს. იგი იძლევა ინფორმაციას საწარმოს ეკონომიკური რესურსების რაოდენობის, მათი მართვისა და რაციონალური გამოყენებისათვის.

დოკუმენტები წარმოადგენს საფუძველს საწარმოს ვალდებულებათა დაფარვისა და შემკვეთებისა და მყიდვებულების მიმართ მოთხოვნების დაფარვაზე კონტროლის განხორციელებისათვის.

დამზადების, წარმოებისა და რეალიზაციის სტადიების სამეურნეო ოპერაციების მთლიანი, დროული და ზუსტი ასახვა მისთვის განკუთხილ ბლანქზე ან ქაღალდზე შესაძლებლობას გვაძლევს კონტროლი გაუწიოს თითოეულ სტადიაზე ფულად-მატერიალური და შრომითი რესურსების მიზნობრივი დანიშნულებით ხარჯვას, რაც განაპირობებს ეკონომიკის რეგულირებას. გარდა ამისა, დოკუმენტები უველაზე უებარი საშუალებაა სასაქონლო და ფულად-მატერიალური ფასეულობების დაცვა გაფლანგვა-განიავებისაგან, ხოლო ყოველივე ამას საბოლოო ანგარიშით, დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს თითოეული საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულებების სამეურნეო საქმიანობაში.

დოკუმენტს სამართლებრივი ძალა გააჩნია სამეცნიერო პროცესების მართვის, დაგეგმვის, კონტროლისა და ანალიზის საქმეში.

დოკუმენტი მოიცავს როგორც ეკონომიკურ, ასევე იურიდიულ ინფორმაციას. დოკუმენტი ეკონომიკური ინფორმაციის მატარებელსაც წარმოადგენს. დოკუმენტების საშუალებით ხორციელდება პირველადი დაგვირვება სამეცნიერო ფაქტებზე მათი შემდგომი დაჯგუფებისა და ციფრობრივ მაჩვენებლებში განზოგადების გზით.

ამრიგად, პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტი არის სათანადო წესით გაფორმებული წერილობითი მოწმობა მომხდარი სამეცნიერო ფაქტის შესახებ, რომელიც მას სამართლებრივ ძალას აძლევს.

ყოველ საჭირო შემთხვევაში საგამომძიებლო, პროცერატურის, სასამართლო და არბიტრაჟის ორგანოები, სისხლის სამართლისა თუ სამოქალაქო საქმეების გამოძიებისა და სადაცო საკითხთა კანონიერად გადაწყვეტისათვის, მიმართავთ სამეცნიერო აქტების სპეციალურ გამოკლევას, რომელიც ტარდება სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზის მეშვეობით.

იმის გამო, რომ საჭირო მოთხოვნების მიხედვით წერილობით გაფორმებული დასტური სამეცნიერო ოპერაციის იურიდიული უფლებამოსილების მატარებელია, იგი უტყუარ საფუძვლს წარმოადგენს მოცემული საწარმოს სხვა საწარმოებისადმი, დაწესებულებებისადმი, ორგანიზაციებისა და პირებისადმი წარმოშობილი დავის კანონიერად გადაწყვეტისათვის, სწორედ ამაში მდგომარეობს დოკუმენტების სამართლებრივი - დანიშნულება.

რამდენადაც დოკუმენტები ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახულ სამეცნიერო ფაქტებს იურიდიულ ძალას აძლევს, მას წარედგინება გარკვეული მოთხოვნები: სამეცნიერო ფაქტების ასახვის სიზუსტე და სისრულე, დროულობა და შინაარსის სიცხადე.

დოკუმენტების განსაკუთრებული მნიშვნელობა ბუღალტრულ აღრიცხვაში იმაში მდგომარეობს, რომ არც ერთი სამეცნიერო ოპერაცია, რომელიც დოკუმენტით არ არის გაფორმებული, ბუღალტრულ აღრიცხვაში არ შეიძლება აისახოს. ამით აისხება ის გარემოებაც რომ დოკუმენტაცია წარმოადგენს საწარმოს მთელი სამეცნიერო საქმიანობის პირველადი დაკვირვებისა და ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელ ელემენტს. ბუღალტრულ აღრიცხ-

ვაში დოკუმენტების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიგვითოთებს ის ფაქტიც, რომ ბუღალტრული აღრიცხვის ხარისხის დონე, პირველ ყოვლისა, განისაზღვრება დოკუმენტაციის ხარისხის დონით.

დოკუმენტებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საწარმოს ოპერატიული ხელმძღვანელობისა და მართვის საქმეში. დოკუმენტებში სამეურნეო ოპერაციები აისახება მათი შესრულებისთანავე. დოკუმენტები გვაცნობს როდის რამდენი რა შევიძინეთ, როდის რამდენი რა დავხარჯეთ, როდის რამდენი რა შევასრულეთ, როდის რამდენი რა ვაწარმოეთ და სხვა, რაც საშუალებას გვაძლევს, გეგმის შესრულების პროცესშივე გამოვავლინოთ შეფერხებები და გავატაროთ ქმედითი, ოპერატიული დონისძიებები.

დოკუმენტები საფუძველს წარმოადგენს აგრეთვე ფინანსური კონტროლისათვის. ფინანსური რესურსების ყოველი ცვლილება (მიღება თუ გასვლა) მისვლის განკუთვნილ დოკუმენტებში აისახება, საიდანაც ხათლად ჩანს მათი ყოველდღიური ცვლილება თანხომრივად და მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით. ეს შესაძლებლობას გვაძლევს, ყოველდღიური ფინანსური კონტროლი დავაწესოთ მათ მიზნობრივად და გეგმაზომიერად მიღებასა და ხარჯვაზე, უზრუნველვყოთ საგადამხდელო, საანგარიშსწორებო და საკრედიტო დისციპლინის მტკიცედ დაცვა.

დოკუმენტებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტური რევიზიისათვის. საწარმოთა საკუთრების დაცვის უმნიშვნელოვანეს საშუალებას წარმოადგენს წინასწარი, მიმდინარე და შემდგომი კონტროლი. წინასწარი კონტროლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ დოკუმენტის შემდგენი პირი პირადი პასუხისმგებლობით აწერს ხელს დოკუმენტს, რითაც ადასტურებს მასში მოცემული ოპერაციის სისწორეს და კანონიერებას, რაც აიძულებს მას, წინასწარ განსაჯოს და ისე დაამოწმოს დოკუმენტში მოცემული ოპერაციების კანონიერება.

შემდგომი კონტროლი ხორციელდება დოკუმენტური რევიზიის მეშვეობით, რომლის საფუძველსაც დოკუმენტები წარმოადგენს. ამიტომ უწოდებენ მას დოკუმენტურ რევიზიას. წინასწარი და მინდინარე კონტროლის დონე და ხარისხი მთელი სისრულით ვლინდება დოკუმენტური რევიზიის დროს, რომელშიც გადამწევები როლს სამეურნეო საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები ასრულებს.

დოკუმენტები დიდ როლს ასრულებს საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის საქმეში. ანალიზის მთავარი დანიშნულებაა საწარმო-სამეურნეო მაჩვენებლთა შესრულებასა და შეუსრულებლობაზე მოქმედი ფაქტორების გამოვლინება. ეს კი შეუძლებელია მხოლოდ ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგებით მონაცემებზე დაყრდნობით, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ საწარმო-სამეურნეო საქმიანობის კრებით მაჩვენებლებს.

დოკუმენტის შინაარსის ასახვა ხდება სამეურნეო ფაქტობის რეგისტრაციისა და სათანადო ზომის ერთეულებში გამოსახვის გზით. მასში ასახული სამეურნეო ფაქტების სისტორეს ადასტურებს პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერა.

ზოგიერთი დოკუმენტი სახელმწიფო უწყებათა მიერ შემუშავებული სტანდარტული ფორმით არის შექმნილი, რომელიც მკაცრ აღრიცხვას ექვემდებარება და დანომრილია, ზოგი კი თვით საწარმოში იქმნება განცხადების, მოხსენებითი და ახსნა-განმარტებითი ბარათების, ბრძანებების სახით.

დოკუმენტები დგება სამეურნეო ფაქტის მოხდენის მომენტი ან, თუ ეს შეუძლებელია, უშუალოდ სამეურნეო ოპერაციის დასრულებისას. დოკუმენტის მონაცემთა სისტორეზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს.

იმასთან დაკავშირებით, რომ საწარმოებში ხორციელდება მრავალი სხვადასხვა სახის და შინაარსის სამეურნეო ოპერაცია, შესაბამისად, დოკუმენტიც მრავალია. თითოეულ დოკუმენტს, კუთვნილი სამეურნეო ოპერაციის სრულყოფილად ასახვის მიზნით, უნდა გააჩნდეს მისთვის საჭირო ფორმალური ელექტრობი, რომლებსაც რეკვიზიტები ეწოდება.

რეკვიზიტები დოკუმენტებში მოცემული მაჩვენებლებია, რომელიც აუცილებელია შეივსოს განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების მონაცემებით. სამეურნეო ოპარაციების დიდი მრავალსახეობა განაპირობებს სააღრიცხვო დოკუმენტების სხვადასხვა ფორმის აუცილებლობას, რომლებიც შეიცავენ შესაბამის რეკვიზიტებს,

ნებისმიერი პირები დარიცხვის დოკუმენტი უნდა შეიცავდეს აუცილებელ რეკვიზიტებს: დოკუმენტის დასახელებას, შედგენის თარიღს, დოკუმენტის შემდგენი საწარმოს დასახელებას, სამეურნეო ოპერაციის შინაარსს, თანამდებობრივი პირისა და დოკუმენტის შემდგენის ხელმოწერას. მოცემული

რეკვიზიტების არსებობა პირველად დოკუმენტს აძლევს იურიდიულ ძალას.

სააღრიცხვო ინფორმაციის ოპერაციისა და დამუშავების ტექნოლოგიის ხასიათიდან გამომდინარე, პირველად დოკუმენტებში შეიძლება იქნეს ჩართული დამატებითი რეკვიზიტები, მაგალითად, დოკუმენტის ნომერი, საწარმოს მისამართი, სამეურნეო ოპერაციის განხორციელების საფუძველი და სხვა.

პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების შევსება უნდა პასუხობდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- უნდა შეიცავდეს სრულ და უტყუარ მონაცემებს;
- უნდა შეიცავდეს აუცილებელ რეკვიზიტებს;
- უნდა იყოს ფორმით, არითმებიკულად და არსებითად ადგილად შესამოწმებელი, შემოწმებულ და დამუშავებულ დოკუმენტებზე უნდა იყოს აღნიშვნა რათა გამოირიცხოს მათი ხელმეორედ გამოყენების შესაძლებლობა;
- უნდა შედგეს ისეთი საშუალებებით, რომ ჩანაწერების შენახვა უზრუნველყოფილი იყოს დროის ხანგრძლივი პერიოდისათვის.

პირველად დოკუმენტებში თავისუფალი სტრიქონი აუცილებლად უნდა იყოს ხაზგადასტული.

ბულალტერიაში შემოსული პირველადი დოკუმენტები ეჭვემდებარება აუცილებელ შემოწმებას. თავდაპირველად დოკუმენტი მოწმდება ფორმის მიხედვით (გაფორმების სისრულე და სისწორე, კველა აუცილებელი რეკვიზიტის არსებობა) შემდგომ დოკუმენტები მოწმდება შინაარსობრივად: კონტროლდება დოკუმენტირებული ოპერაციის კანონიერება, ცალკეული მაჩვენებლების ლოგიკური შესაბამისობა, არითმებიკული გაანგარიშების სისწორე.

აკრძალულია ისეთი პირველადი დოკუმენტის მიღება შესარულებლად და გასაფორმებლად, რომლებიც ეწინააღმდეგება ფულადი, სასაქონლო-მატერიალური საშუალებებისა და სხვა ფასეულობების მიღების, შენახვისა და ხარჯვის კანონმდებლობით დადგენილ წესებს. ასეთი დოკუმენტები უნდა გადაეცეს საწარმოს მთავარ ბუღალტერს (საწარმოს ხელმძღვანელს) გადაწყვეტილების მისაღებად.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ხორავა, კვატაშიძე, სრესელი. ფინანსური აღრიცხვა. თბილისი, 2002.

2. ქ. ხარაბაძე. ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები. თბილისი, 2007.
3. ქ. კუპრეგიშვილი. ბუღალტრული აღრიცხვის კურსი. თბილისი, 2002.
4. ი. მესხია, დ. მაღლაკელიძე, ნ. ვაშაკიძე. ბუღალტრული აღრიცხვა. თბილისი, 2011.
5. გ. თოდუა. ბუღალტრული აღრიცხვის თეორია. თბილისი, 2002.
6. ი. გოდერძიშვილი. ბუღალტრული აღრიცხვის თეორია. თბილისი, 1990.

*Elguja Konjaria*

## THE QUALITY AND THE VALIDITY OF DOCUMENTATIONS

### DEFINE THE LEVEL OF ACCOUNTING

#### Annotation

Documents and documentation do not exist without each other. With the help of documentation, initial and complete observation of the implementation time and place on the agri-operations take place.

Therefore accounting documents are the main and trustworthy source of getting primary accounting information and documentations are considered as basis of accounting.

Documents and documentation are the main tools for complete observations of agri-operations and for defining the specifications of each agri-acts.

**ნანა ბიბილაშვილი  
პოსტკომუნისტურ მუზეუმის დასამმაგის სახელმწიფო  
რეგულირების მირითადი მიმართულებები  
(საქართველოს მაბალითზე)**

დასაქმების პროცესთა რეგულირება თანამედროვეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალური პრობლემაა. სწორედ ამგვარ პროცესთა რეგულირება თამაშობს განმსაზღვრულ როლს ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესების, თითოეული მოქალაქის პროფესიული შესაძლებლობების ფორმირება-განვითარებისა და პოროგების ჩამოყალიბებასა და მის გამოვლენაში.

დასაქმებას, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური მოვლენაა, გააჩნია როგორც ეკონომიკური, ასევე დემოგრა-

ფიული და სოციალური შინაარსი. ეს, უმთავრესად, განპირობებულია იმით, რომ რამდენადაც დასაქმება დამოკიდებულია ეკონომიკურ და დემოგრაფიულ პროცესებზე, ის გვევლინება, როგორც სოციალური პოლიტიკის ნაწილი.

ცნობილია, რომ ამა თუ იმ ქვეყნის დასაქმების მდგრადი განვითარება, გარკვეულწილდად, ახასიათებს მისი ეკონომიკის განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის დონეებს.

დასაქმება ისეთი ურთიერთობების ერთობლიობაა, რომელიც განსაზღვრავს მოსახლეობის შრომით საქმიანობაში მონაწილეობის მასშტაბებს. იგი გვევლინება, როგორც შრომის ბაზრის რეგულირების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი და მოსახლეობის შრომის პროცესში ჩართვის განზომილების დახასიათებასთან ერთად, გამოხატავს არა მარტო მუშაკებზე არსებული საზოგადოებრივი, არამედ ისეთი პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხარისხს, როგორიცაა ანაზღაურებადი სამუშაო ადგილების პოვნისა და შემოსავლების მიღების სურვილები.

სპეციალურ ლიტერატურაში [1, 4, 7] დასაქმების ცნების ქვეშ იგულისხმება მოქალაქეთა ისეთი საზოგადოებრივად აუცილებელი საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია პირადი და საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან და რომელსაც, როგორც წესი, მოქვე შრომითი შემოსავალი.

საქართველოში დასაქმების შესახებ ამჟამად არსებული კანონის მიხედვით [2], დასაქმებულად ითვლება უცელა ის ფიზიკური პირი, რომელიც, პირადი და საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით, ეწვეა კანონით აუკრძალავ საქმიანობას და ანაზღაურებას იღებს ფულადი ან ნატურალური ფორმით.

ეკონომიკაში, დასაქმებულების შრომით საქმიანობაში ჩაბმის წესის მიხედვით, დასაქმებულთა სიმრავლე იყოფა შემდგა ჯგუფებად:

ა) დაქირავებული პირები. მათ მიეკუთვნებათ საპუთარი სამუშაო ძალის გაყიდვის შედეგად დასაქმებული პირები;

ბ) სამუშაოს მიმცემი. მათ მიეკუთვნებათ მეწარმეები, რომლებიც საკუთარი სამეწარმეო უნარის რეალიზებას ახდენებ;

გ) თვითდასაქმებულები. მათ მიეკუთვნებათ პირები, რომლებიც მუშაობენ საკუთარ საწარმოში ან საკუთარ მეურნეობაში მოგების ან ოჯახური შემოსავლის (ფულით ან ნატურით) მიღების მიზნით.

ადსანიშნავია, რომ საქართველოს გადაევანამ ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზრო ურთიერთობებზე, დასაქმების სფეროშიც მოითხოვა რეფორმების გატარება. მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით შემუშავდა დასაქმების ძირითადი პრინციპები, რომლებიც თავისებურად აისახა საქართველოს კონსტიტუციასა და ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დასაქმების შესახებ მიღებულ სპეციალურ კანონში.

**პირველი პრინციპის** მიხედვით, შრომა საქართველოში ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს გააჩნიათ უფლება, თავისუფლად განკარგონ წარმოებრივი და შემოქმედებითი შრომის საკუთარი უნარი.

**მეორე პრინციპი** გულისხმობს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას ქვეყნაში ისეთი პირობების შექმნაზე, რომლებიც აუცილებელია მოქალაქეთა შრომითი უფლებების რეალიზაციისათვის.

**მესამე პრინციპი** დასაქმების პრობლემების გადაწყვეტილადმი კომპლექსურ მიღვომას გულისხმობს. იგი ასახავს ყველა დონის სახელისუფლებო ორგანოების ქმედებათა კოორდინაციას; სახელმწიფო რეგულირებისა და საბაზრო თვითრეგულირების მექანიზმების ურთიერთქმედებას; ბიუჯეტების ფინანსური შესაძლებლობების, არასაბიუჯეტო ფონდების, აგრეთვე, საწარმოთა, საზოგადოებრივ გაერთიანებათა და მოქალაქეების სახსრების გამოყენებას; ეკონომიკური და სოციალური ეფექტიანობის მიღწევას სპეციალური პროგრამების ხარჯზე.

დასაქმებისა და შრომის ბაზრის რეგულირების პროცესებმა სპეციფიკური ნიშნები შეიძინა პოსტკომუნისტურ ქვეყნებში. ამ ქვეყნების მოსახლეობის დასაქმების სფეროებში ბოლო ათწლეულში სრულიად ახალი სიტუაციები შეიქმნა: შრომითი რესურსების თავისუფალი წესით დაქირავებისა და დათხოვნის საფუძვლებზე ფორმირდება დასაქმების ახალი მოდელები; შრომითი რესურსების გამოყენების სფეროში ვითარდება საბაზრო ურთიერთობები; სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში ადგილი აქვს უმუშევრობის დონის ზრდის ტენდენციას, ჩნდება შრომის სიჭარბე და სხვადასხვა სახეობის უმუშევრობა. აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყნებში მიმდინარე რეფორმებმა გამოიწვია შრომითი რესურსების სტიქიური გადანაწილება, რომლისთვისაც ძირითადად დამახასიათებელია თვითდასაქმებულების, ფორმალურად ან კომერციულ სექ-

ტორში დასაქმებულებისა და უმუშევრების ოდენობის გაზრდა, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობის მუდმივ შემცირებასთან ერთად.

აღსანიშნავია, რომ შრომის ბაზრის მართვა (როგორც დასაქმებაზე მოქმედი დონისძიებების ორგანიზებული სისტემა) უნდა წარმოადგენდეს პოსტკომუნისტურ ქვეყნებში მიმდინარე რადიკალური ეკონომიკური რეფორმების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას.

ცნობილია, რომ სახელმწიფო პოლიტიკისადმი კონკრეტული მიდგომის განხაზღვრა დასაქმების სფეროში ითვალისწინებს შრომის ბაზარზე თავმოყრილი ტენდენციების კვლევას, მათი ფორმირების მიზეზთა ანალიზს, აგრეთვე, ძალზე მწვავე და დამანგრევებლი უმუშევრების ფორმების გამოვლენას.

იმისათვის, რომ შრომის ბაზარზე პირობები გაუმჯობესდეს და მოხდეს საზოგადოების ყველაზე დაუცველი ფენების ხელშეწყობა, ჩვენი აზრით, აუცილებელია სახელმწიფო მიზანმიმართულად ჩაერთოს დასაქმებისა და შრომის ბაზრის სფეროებში (ანუ განხორციელდეს ამ სფეროების სახელმწიფო რეგულირება).

დასაქმების სფეროების სახელმწიფო რეგულირებისათვის საჭირო ძირითად დონისძიებებს აჯგუფებენ შემდეგნაირად:

1. რეგულირების მიმართულებების მიხედვით – სოციალური და ეკონომიკური შინაარსის დონისძიებები;

2. მათი გამოყენების შედეგად მოსალოდნებლი დროითი ეფექტების შინაარსის მიხედვით – მოკლე, საშუალო და სანგრძლივვადიანი დონისძიებები;

3. შრომის ბაზრის პროცესებზე ზემოქმედების გაუშუალოების ხარისხის მიხედვით – პირდაპირი და ირიბი (ანუ არაპირდაპირი) დონისძიებები;

4. შრომის ბაზრის გარკვეულ მხარეებზე ზემოქმედების მიხედვით – შრომითი რესურსების მიწოდების, შრომით რესურსებზე მოთხოვნისა და ხელფასის რეგულირებისათვის საჭირო დონისძიებები.

5. დონეების მიხედვით – მიკრო და მაკრო დონეების მარეგულირებელი დონისძიებები.

აღნიშნულიდან ცხადია, რომ ჩამოთვლილ ჯგუფებში შემავალი დონისძიებების ერთი ნაწილი დასარეგულირებელ ობიექტზე ახდენს პირდაპირ, ხოლო მეორე – კი არაპირდაპირ ზეგავლენას.

**პირდაპირი ზეგავლენის ღონისძიებებს** მიეკუთვნება სა-  
მუშაო ადგილების შექმნის, განათლების სფეროს, პროფესი-  
ული მომზადებისა და გადამზადების პროგრამები, ცვლილებე-  
ბი შრომის კანონმდებლობაში, რეგიონული პოლიტიკის სფე-  
როში ჩატარებული ღონისძიებები და სხვა.

**ირიბი (ანუ არაპირდაპირი)** ზეგავლენის ღონისძიებებს  
მიეკუთვნება უულად-საკრედიტო და საგადასახადო პოლიტიკა,  
მეწარმეების სუბსიდიორება, სამუშაოზე მოწყობილი უმუშევრე-  
ბის წარმოებრივი მომზადება-გადამზადებისა და სხვა ეკო-  
ნომიკური ხასიათის ღონისძიებები.

პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში,  
თანამედროვე პირობებში, მოსახლეობის დასაქმების სახელმ-  
წიფო რეგულირების სისტემის შემუშავების დროს, განსაკუ-  
თრებული ყურადღება უნდა მიექცეს დასაქმების პროცესებზე  
და შრომის ბაზარზე არსებულ სიტუაციაზე არა მარტო პირ-  
დაპირი, არამედ ირიბი ეკონომიკური ზეგავლენის ღონის-  
ძიებების გათვალისწინებას. ეს გამოწვეულია იმგვარი ფორმე-  
ბისა და მეთოდების კომპლექსური და პრიორიტეტული გამო-  
ყენების აუცილებლობით, რომლებიც დღევანდელ პირობებში  
იძლევიან საჭირო შედეგის მიღების საშუალებას. პრაქტიკა  
ცხადოფს, რომ რაც უფრო ოპერატორულ და ხანმოკლე ხა-  
სიათს ატარებს დასაქმების ესა თუ ის პრობლემა, მით უფრო  
დიდია მათი პირდაპირი ზეგავლენის ღონისძიებებით მოგვა-  
რების აღბათობა.

პოსტკომუნისტური ქვეყნების, კერძოდ საქართველოს  
სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დღევანდელი ვითარე-  
ბიდან გამომდინარე, დასაქმების რეგულირების სახელმწიფო  
პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, წვენი აზრით, უნდა  
წარმოადგენდეს:

— დასაქმების განვითარებისა და გაფართოებისათვის სა-  
ჭირო პირობების შექმნა ეკონომიკის ალტერნატიულ და არა-  
სახელმწიფოებრივ სექტორებში;

— სახელმწიფო სექტორის დასაქმების ღონის ვარირება  
ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და მისი სტრუქტურული  
გარდაქმნის ფაქტორებისა და ამოცანების შესაბამისად (აქ  
იგულისხმება დასაქმების მოქნილი და არატრადიციული ფორ-  
მების გავრცელებაც);

— მუშაკთა გამოთავისუფლების პროცესთა მართვა, სა-  
წარმოების ლიკვიდაციის, სანაციისა და რეორგანიზაციის,  
აგრეთვე სამუშაოდან დათხოვნილთა სოციალური დაცვის ღო-

ნისძიებების ურთიერთშერწყმის გზით (აქ იგულისხმება მოსახლეობის თვითდასაქმების სტიმულირებაც);

— კადრების პროფესიული მომზადების ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საბაზრო ურთიერთებითან და გაითვალისწინებს პოსტკომუნისტური ეკონომიკის სპეციფიკას (ეს მიმართულება გულისხმობს კადრების პროფესიონალური მომზადებისა და გადამზადების ცნობილი ფორმებისა და მეთოდების გაფართოებას და სრულყოფას);

— შრომისუნარიანი მოსახლეობის პროფესიული მობილურობის უზრუნველყოფა, უმუშევარ მოქალაქეთა და დაუსაქმებელი მოსახლეობის პროფესიული მომზადების მასშტაბების გაფართოებისა და ეფექტიანობის ამაღლება, აგრეთვე სამუშაოდან გამოთავისუფლებული მუშაკების წინმსწრები მომზადება და გადამზადება შესაბამის პროცესთა ორგანიზაციისა და განხორციელების გზით;

— უმუშევართა სოციალური დაცვის უზრუნველყოფა სახელმწიფოს განვითარების ყოველ ეტაპზე მიღებული გარანტიებისა და ნორმატივების შესაბამისად.

ამ მიმართულებებისა და მათი შესაბამისი დონისძიებების პრაქტიკული რეალიზაცია, ჩვენი აზრით, არა მარტო ხელს შეუწყობს პოსტკომუნისტური ქვეყნების (მათ შორის საქართველოს) დასაქმების სფეროებში ამჟამად არსებული სოციალური დაძაბულობის შემცირებას, არამედ შექმნის ამ ქვეყნების ეკონომიკური სფეროების განვითარების წინაპირობებს.

დასაქმების პროცესთა რეგულირების სახელმწიფო პოლიტიკის ზემოთ ჩამოთვლილი მიმართულებების პრაქტიკული რეალიზაციის მიზნით პოსტკომუნისტური ქვეყნების მთავრობებმა უნდა განახორციელონ შრომის ბაზრების სახელმწიფო რეგულირება შემდეგი ოთხი ძირითადი მიმართულებით:

1. დასაქმების დონის გადიდების და სამუშაო ადგილების ოდენობის ზრდის სტიმულირების პროგრამების რეგულირება;

2. სამუშაო ძალის მომზადებასა და გადამზადებაზე გამზნეული პროგრამების რეგულირება;

3. სამუშაო ძალის გაქირავების ხელშეწყობის პროგრამების რეგულირება;

4. უმუშევართა სოციალური დაცვისა და უმუშევრობის სოციალური დაზღვევის პროგრამების რეგულირება.

დასაქმების დონისა და სამუშაო ადგილების ოდენობის ზრდის სტიმულირების პროგრამების რეგულირებისათვის, ძირითადად, საჭიროა შემუშავდეს და განხორციელდეს ისეთი ქმედითი დონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ სამუშაო ადგილების ზრდას.

ამგვარი გზები და დონისძიებები შეიძლება პირობითად დაიყოს ორ ნაწილად:

1. სისტემური, ანუ კომპლექსური ხასიათის და
2. ცალკეული მიმართულებისა და შინაარსის მქონე გზები და დონისძიებები.

პირველში იგულისხმება ისეთი გზები და დონისძიებები, რომლებიც განკუთვნილია დასაქმების სფეროს მთლიანი ეკონომიკური სისტემის კომპლექსური გარდაქმნის მეშვეობით სრულყოფისათვის, ხოლო მეორეში კი – იმგვარი, რომლებიც გამიზნეულია დასაქმების სფეროს სრულყოფასთან მხოლოდ მისი, ან ერთი, ან რამდენიმე მომიჯნავე სფეროს გარდაქმნის მეშვეობით.

მაშასადამე, ცხადია, რომ მხოლოდ საერთო ეკონომიკური პროგრამების ჩარჩოებში შეიძლება გატარებულ იქნეს დასაქმების ეფექტიანი პოლიტიკა და შემუშავდეს შრომის ბაზრის რეგულირების ქმედითი მექანიზმი. ეს, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია იმით, რომ სწორედ ამგვარი ქმედებები იძლევა წარმოების სტაბილური და მდგრადი ზრდის საშუალებას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს შრომითი რესურსების რაციონალურ გამოყენებას და დასაქმების ეფექტიან დონეზე შენარჩუნებას.

ახლა შევეხოთ ცალკეული მიმართულებისა და შინაარსის მქონე გზებსა და დონისძიებებს, რომლებიც სამუშაო ადგილების ზრდის ხარჯზე დაარეგულირებენ დასაქმების პროცესებს.

პოსტკომიუნისტური ქვეყნებისათვის (მათ შორის საქართველოსათვის) ერთ-ერთ ამგვარ გზად მიგვაჩნია საერთო მაკროეკონომიკური დინამიკის სტიმულირება. პოსტკომიუნისტურმა სახელმწიფოებმა ამგვარი დინამიკის სტიმულირების განსახორციელებლად, ჩვენი აზრით, შეიძლება წარმატებით გამოიყენოს ისეთი სტრატეგიული გზებისა და დონისძიებების სისტემა, როგორიცაა:

– სახელმწიფო შეკვეთების გაფართოება (უპირველეს ყოვლისა, ეროვნული ეკონომიკის მდგრადირების განმსაზღვრელი საწარმოებისათვის);

- საადრიცხვო (დისკონტის) განაკვეთის შემცირება;
- საქონლისა და მომსახურების სფეროში უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის საჭირო პირობების შექმნა;
- საგადასახადო შედავათებისა და დოტაციის გზით ეროვნული ეკონომიკის ისეთი სტიმულირება, რომელიც გაითვალისწინებს ეროვნული და საერთაშორისო ბაზრების კონიუქტურის ცვლილებას და ექსპორტის გაფართოებას.

დასაქმების პროცესთა მარეგულირებელ ცალკეულ მიმართულებას შეიძლება მივაკუთვნოთ, აგრეთვე, მცირე მეწარმეობის, კერძოდ მცირე ბიზნესის განვითარება.

აღნიშნულ ქვეყნებში არსებულ დღევანდელ ვითარებაში, მცირე ბიზნესის აღორძინებისათვის პირველსარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკის ამ სექტორის გონივრულ და დიფერენცირებულ სახელმწიფო მხარდაჭერას, მისი მრავალუეროვანი ფორმების (ოჯახური ბიზნესის, ახალგაზრდული მეწარმეობის და ა.შ.) ერთმანეთისაგან განსხვავებულ, მაგრამ რაციონალურ დონეზე განვითარების მიზნით. ამჟამად გარკვეული პრიორიტეტები მცირე ბიზნესის განვითარების სფეროში შეიძლება მიენიჭოს სახალხო მოხმარების საქონლისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელ, აგრეთვე მომსახურების სფეროს უმრავლესი დარგების (განსაკუთრებით ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, რეკრეაციის) ობიექტებსა და კომპლექსებს.

პოსტკომუნისტური ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, რომ სამუშაო ადგილების კველაზე მეტი რაოდენობის შექმნა შეუძლია მცირე მეწარმეობის განვითარებას. მათ შორის აღსანიშნავია მისი ისეთი ფორმები, როგორიცაა: ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა, კომპერატივები, გლეხური (ფერმერული) მეურნეობები და ა.შ. ამიტომ, ბუნებრივია, რომ მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აღნიშნული ფორმების განვითარებას.

პოსტკომუნისტური ქვეყნების შრომის ბაზრების სახელმწიფო რეგულირების საქმეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს სამუშაო ძალის გაქირავების ხელშეწყობის პროგრამების შემსავებსა და მართვის პროცესებმა. აღნიშნული სახეობის პროგრამების შედგენა დაკავშირებულია უმუშევრებისათვის ისეთი ხარისხიანი ინფორმაციის მიწოდებასთან, რომელიც ითვალისწინებს არსებული სამუშაო ადგილების დახასიათებას. ამგვარი პროგრამების შედგენის პროცესი აგრეთვე უკავშირდება მუშაკთა გეოგრაფიული მიგ-

რაციოს უზრუნველყოფას. ამ მიმართულებით უნდა განხორციელდეს სამუშაო ადგილების ვაკანსიების შესახებ არსებული ინფორმაციის გაფრცელებისათვის საჭირო მოქნილი სისტემების შექმნა და მისი რეგულარული სრულყოფა, აგრეთვე აუცილებელია შრომითი მიგრაციის სტიმულირება და მასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება.

დასაქმების რეგულირების სფეროში სათანადოდ უნდა იქნეს გამოყენებული სოციალური დაზღვევის პროგრამების შემუშავებისა და მართვის შესაძლებლობებიც. სოციალური დაზღვევის გზით შექმნილი სპეციალური ფულადი სახსრები, ან მისი გარკვეული ნაწილი შეიძლება მოხმარდეს უმუშევართა სოციალური დაცვის საქმეს.

აღსანიშნავია, რომ დასაქმებისა და შრომის ბაზრის პროცესთა რეგულირების ზემოთ განხილული მიმართულებები, ძირითადად, მიეკუთვნებიან ამ პროცესთა სრულყოფის პირდაპირ საშუალებებს. მათ გარდა, ბუნებრივია, კიდევ არსებობს ირიბი საშუალებებიც. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება სახელმწიფოს საგადასახადო, ფულად-საკრედიტო და ამორტიზაციული პოლიტიკა. დასაქმებისა და შრომის ბაზრის პროცესთა სრულყოფაზე არც თუ ისე მცირე გავლენას ახდენს საჭირო საკანონმდებლო ბაზის შექმნა და სრულყოფა. აქ პირველ რიგში, ვგულისხმობთ კანონმდებლობას ქვეყნის მოსახლეობის დასაქმების, სოციალური უზრუნველყოფის, შრომითი ურთიერთობების, თანაბარი სამოქალაქო უფლებების და ა.შ. შესახებ.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. დასაქმების და უმუშევრობის ტენდენციები საქართველოში, "EPRC", ნოემბერი, 2011.
2. საქართველოს კანონი "დასაქმების შესახებ". თბილისი, 2001 წლის 28 სექტემბერი.
3. Буланов В. С. Современные проблемы занятости и безработицы. Москва, 1996.
4. Рынок труда. Москва, "ЭКЗАМЕН", 2000 (под общей ред. Буранова В. Ц., Волгина Н.А.).
5. Орешин В. П. Государственное регулирование национальной экономики. Москва, "ИНФРА-М", 2001.
6. Государственное регулирование рыночной экономики. Москва, "ДЕЛО", 2001.
7. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

*Nana Bibilashvili*

**THE MAIN DIRECTIONS OF STATE REGULATION OF  
EMPLOYMENT IN POST-COMMUNIST COUNTRIES  
(A GEORGIAN CASE)**

**Annotation**

At modern stage of the development of post-communist countries, including Georgia great attention is payed to the study of problems of state regulation of employment and labor market. The regulation is one of the key factors of normalizing the functioning of a social-economic sphere in post-communist countries, especially in Georgia.

According to the above mentioned the article is dedicated to the analysis of main aspects of state regulation of employment and labor market in these countries, including Georgia.

In the article the necessity of state regulation of employment and labor market of given countries is proved and the limits, main directions and the implementation tools and ways of such a regulation are defined.

**თიხათინ ქურდაძე  
შიდა ინდუსტიალიზაციისა და მისი მოზიდვის ბაზმჯოსისამასის  
პირითაღი მიმართულებები საქართველოში**

ქვეყანაში იქმნება სრულიად ახალი ეკონომიკური გარემო, ამიტომაც შიდა საინვესტიციო კლიმატის პრობლემა საჭიროა განვიხილოთ ისეთი ეკონომიკური ბერკეტების სრულყოფის საკითხებთან ერთად, რომლებიც პირდაპირ კავშირშია ინვესტიციების გაფართოებასთან. უნდა შეიცვალოს სახელმწიფოს დამოკიდებულება ეკონომიკისადმი, მცირე და საშუალო ბიზნესისადმი, ფისკალური და საინვესტიციო გარემოსადმი, რომელიც თანდათან თავისუფლდება სახელმწიფოს მარწუხებისაგან, ქვეყანაში გაბატონებული ელიტარული კორუფციისაგან. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკაში კოპაბიტაციის პროცესშია, საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მზადებამ და საკადრო ცვლილებებმა უარყოფითად იმოქმედა და გარკვეულწილად შეაფერხა კიდეც ეკონომიკური წინსვლა ყველა მიმართულებით. მართალია, შეუძლებელია დროის ასე მოკლე მონაკვეთში მაღალი ეკონომიკური მაჩვენებლების მყისიერად დაფიქსირება, მაგრამ ეს რეალობაა და დროებითი, რადგან ბევრი სიკეთე მაინც სახეზეა. საქართველოში გასული წლის 1 ოქტომბრიდან დაწყებულმა პოლიტიკურმა და ეკონო-

მიკურმა ცვლილებებმა განაპირობა რადიკალურად განსხვავებულ მაჩვენებლებზე გასვლა, ანუ ეკონომიკური დაღმასვლა, საგარეო და შიდა ინვესტიციების შემცირება და ა. შ. ამიტომ აქტიურად მოქმედ პოლიტიკოსთა და მეცნიერ-ეკონომისტთა პირდაპირი მოვალეობაა, შეიმუშაონ და შემოგვთავაზონ ისეთი წინადადებები და პრაქტიკული რეკომენდაციები, რომელიც შეუმსუბუქებს მთავრობის ეკონომიკურ გუნდს ამ მძიმე ტეირთს ყველა მიმართულებით, რასაც ამ შემთხვევაში შიდა ინვესტიციონების უფასო საკითხი წარმოადგენს.

ინვესტირების ეკონომიკური უფასო საკითხი მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან სწორედ საგარეო და შიდა ინვესტირება წარმოადგენს ამა თუ იმ ფინანსური პროექტით დაინტერესების საფუძველს. ამას ადასტურებს ინვესტირების კეინზიანური თეორია, რომელსაც საფუძვლად უდევს მოტივაცია – მოგების მიღება, იგი დაფუძნებულია მეწარმეთა ფსიქოლოგიაზე. დებენ რა ინვესტიციებს მეწარმეები, მოელიან მაღალ შემოსავლებს. ამასთან, არაა აუცილებელი მოსალოდნელი მოგება ემთხვეოდეს მიმდინარე მოგებას. მიმდინარე მოგებაზე დანამატი შეიძლება დაბალი იყოს, მაგრამ მეწარმეებმა შეიძლება მაინც მოახდინონ კაპიტალში ინვესტირება, რათა შეამცირონ თავიანთი საწარმოო დანახარჯი და ამით გააუმჯობესონ საწარმოო პოზიციები. ამრიგად, როგორც კეინზიანური სკოლის წარმომადგენლები თვლიან, ინვესტირების გადაწყვეტილება ეფუძნება მეწარმეთა შეფასებას, რომ რაიმე განსაზღვრული საინვესტიციო პროექტის განხორციელების შედეგად გაიზრდება მოსალოდნელი მოგება. ერთ-ერთი ყველაზე მოკლე და ლაკონური განმარტებაა, რომ ინვესტირება, ესაა – „დაგხმარჯოთ ფული დღეს, რომ მომავალში მივიღოთ უფრო მეტი თანხა“ და რომ ამ პროცესს ჩვეულებრივ, როგორც ვიციოთ, თან ახლავს ორი ფაქტორი - დრო და რისკი. ამ ორიდან დრო უფლია, ანუ ფინანსები, ხოლო რისკი არის პოზიცია ინვესტორისა დროსა და სივრცეში. აქედან გამომდინარე გასაგებია, რომ ყველა პროექტი დროს მოითხოვს ამიტომ ქართული სივრცე, ანუ რეალობა ხანგრძლივ პერსპექტივაზეა გათვლილი და მომავალი წლის მეორე ნახევრიდან უფრო თვალსაჩინო იქნება, მთავარია რისკის ალბათობა იყოს რაც შეიძლება დაბალი.

ყოველივე ამის შესახებ საუბრობს როგორც ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, ისე ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრები და წერენ: მოხდება ხარჯების გადანაწილება დარგებს შორის,

წინა ხელისუფლების მიერ დაწყებული ტენდერების დროში გადავადება საჭირო იურ კორუფციული გარიგებების გამო, რასაც გულმოდგინედ სწავლობს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი. მსოფლიოს განვითარების ბანკის ინფორმაციითა და პროგნოზით, იზრდება ნდობა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, მშპ 1%-ით იზრდება, 30 მილიონზე მეტი ინვესტიცია შემოვა, მომავალი - 2014 წლის პირველ ნახევრში წინა წელთან შედარებით, მაგრამ რეკონსტრუქციის ბანკმა ეკონომიკური ზრდის ტენდენცია 2013 წლის ბოლოსათვის 3-დან 2%-მდე შეამცირა, რაც არც ისე კარგი მინიშნებაა. ასე რომ, პროგნოზები ჯერჯერობით არც ისე საიმედოა. როგორც ცნობილია, 2014 წლის ბიუჯეტი დაგეგმილია 9 მილიარდით, შესრულება კი 8 მილიარდით. სწორედ შიდა ინვესტიციები იქნება საფუძველი ამ სხვობის მინიმუმამდე დაყვანისა და ეკონომიკური მაჩვენებლის ზრდისა, რომელსაც სახელმწიფო თავისი აღმშენებლობის პირველ ეტაპზე ირჩევს. ამ შემთხვევაში ინვესტორი განსაზღვრავს როგორც მიზნებს, ისე საინვესტიციო სახსრების მოცულობასაც. რამდენადაც რაციონალური ინვესტიციური სტრატეგიისათვის არსებობს პირდაპირი კაგშირი რისკსა და შემოსავლებს შორის, ამიტომ კონკრეტულ სიტუაციაში დიდი მოგების მიღების სურვილმა შეიძლება განსაზღვრული ალბათობით მიგვიყვანოს დიდ დანაკარგებამდე, რაზეც მუშაობს ქვეყნის მოელი ეკონომიკური გუნდი.

ამიტომაც, წინა წლების გამოცდილების გათვალისწინებით, ინვესტორების მიზნები უნდა ფორმირდებოდეს როგორც შემოსავლების, ისე რისკის გათვალისწინებითაც. ავიდოთ, თუნდაც უმუშევრობა, მას საკმაოდ ღრმა ფეხვები აქვს საქართველოში და სტატისტიკური დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით, 2003 წლიდან დღემდე დაახლოებით 150 ათას კაცზე მეტმა დაკარგა სამსახური, რეალურად თუ შევხედავთ სიტუაციას, ხელფასს იღებს მოსახლეობის მხოლოდ 30-35%, დანარჩენი კი თვითდასაქმებულია ან უმუშევარი. სწორედ ამისთვისაა საჭირო ინვესტიციების დაბანდება (განსაკუთრებით ქვეყნის შიგნით), ახალი ფაბრიკა-ქარხების ამოქმედება, დიდი თანხების გამოყოფა სოფლის მეურნეობის მიმართულებით და ა.შ., რადგანაც დღეისათვის ის ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგანაც სამუშაო ძალის 53% სწორედ სოფლადაა დასაქმებული. სახელმწიფო ბიუჯეტიდან კველაზე დიდი თანხები ამიტომ სოფლის მეურნეობაზე გამოყოფილი. დაახლოებით 50%-ით მეტი თანხაა დახარჯული სახელმწიფო ბიუჯეტიდან

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჯერჯერობით სახეზეა ეკონომიკური ვარდნა და შესაბამისად ცხოვრების დონეც დაბალია. ეს დროებითი მოვლენაა, ბიზნესს გაუწიდა იმედი, რომ პოლიტიკური ვითარება იქნება სტაბილური და ინვესტიციების ახალი ნაკადი წამოვა. ესაა თანაინვესტირების ახალი პროექტის პრეზენტაცია და მომავალის პერსპექტივები.

ამასთან ეკონომიკური სტაბილურობის მთავარ პირობას წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის არაინფლაციური ხასიათი. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ აქტუალობას იქნება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდის პრობლემა (საგადასახადო შემოსავლები). პირველად 1995 წლის 30 ივნისს იქნა მიღებული „საქართველოს კანონი უცხოური ინვესტიციების შესახებ“, რომელიც ხელსაყრელ მდგომარეობაში აყენებდა უცხოელ ინვესტორებს და არ ითვალისწინებდა და, სამწუხაროდ, უგულველყოფდა ინვესტორთა ინტერესებს უცხოელ ინვესტორებთან შედარებით. მეორე პრობლემა ის იყო, რომ საგადასახადო შედაგათები ენიჭებოდა ისეთ საწარმოებს, რომლებიც მხოლოდ ვაჭრობით იყვნენ დაკავებულნი. ადნიშნულიდან გამომდინარე, 1996 წლის 12 ნოემბერს მიღებულ იქნა „საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“. ამ კანონით პრიორიტეტი მიენიჭა ეროვნულ შიდა ინვესტირებას და იგი ასევე ხელსაყრელი გახდა უცხოური, ანუ საგარეო ინვესტირებისათვის, რაღაც მათ შორის არის ძალიან მჭიდრო კავშირი და ერთის წარმატება გარანტია მეორის განვითარებისთვისაც. ცნობილია, რომ უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ოვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სტაბილურ მაკროეკონომიკურ გარემოს, რაღაც იგი წარმატებული სამეწარმეო საქმიანობისა და ბიზნესის რეალიზაციის საწინაარია შიდა ინვესტირებისათვის.

ამჟამად მოქმედი ლიბერალური საგადასახადო კოდექსის საფუძველზე პირველ რიგში საჭიროა საგადასახადო ცვლილებების აპრობაცია სამეწარმეო სფეროში და, რა თქმაუნდა, მეწარმის აზრის გათვალისწინებით, მაშასადამე, საინვესტიციო სფეროდან სახელმწიფოს ფაქტობრივი გასვლა, რაც ამჟამად საქართველოში აღინიშნება, უფრო იძულებითი, ვიდრე სასურველი მოვლენაა. შიდა ინვესტირების გამოცოცხლებისთვის ძალიან საგულისხმოა ზემოაღნიშნული და ასევე პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაცია, რომ უახლოეს მომავალში იწყება დიდი ხნის წინ დაპირებული თანაინვესტირების

ფონდის საჯარო პრეზენტაცია. ფონდში მობილიზებული კაპიტალი – 56 მილიარდი ლარი თანაინვესტირებას გაუწევს ქართველ და უცხოელ ინვესტორებს. ფონდისთვის უმნიშვნელოვანესი მიმართულებები კი იქნება ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, წარმოება და ლოგისტიკა. ფონდის მესამეურები ამბობენ, რომ კერძო, პირდაპირი ინვესტიციების ფონდი დასავლეური პრაქტიკისა და სტანდარტების გათვალისწინებით განხორციელდება. ფონდში პროექტები უკვე განიხილება. მათგან უქვის პესი, ორი სასტუმრო, ერთი სოფლის მეურნეობის და წარმოების პროექტი. მათი ჯამური ღირებულება 5500-დან 5600 მილიონადევა, ცნობილია ისიც, რომ თანადაფინანსება 25%-დან 75%-მდე იქნება. თუმცა შესაძლებელია ფონდმა თავადაც დაიწყოს პროექტის განხორციელება და თანაინვესტორი შემდეგ ეტაპზე მოიძოოს. სახსრების მოზიდვის სხვა გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს სახელმწიფო საშინაო კალის შექმნა, რომელიც იქნება 400 მილიონი დოლარი, ხოლო მისი გასტუმრება მოხდება მომავალი წლის პირველ ნახევარში 600 მილიონი ლარის ოდენობით. სახელმწიფო სავალო გალდებულებების გამოშვება ფართოდ გამოიყენება მსოფლიოში ბიუჯეტის შექსბის, თავისუფალი ფულდადი სახსრების აკუმულირების, აგრეთვე კონკრეტული საინვესტიციო პროგრამების დაფინანსების მიზნით. ესაა ფასიანი ქადალდების ბაზარი, რომელიც ჯერჯერობით არაპოპულარულია თუნდაც სახელმწიფოს გალდებულებათა თბლივი კონკრეტული გამოშვების სახით. თუმცა ამის შესახებ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი მთავრობას არ უჩევს არც სეკვესტრს და არც კალის აღებას, არამედ მათი რჩევაა, გადაიხდოს სარჯები.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ზრდა პირდაპირ კავშირშია მშპ-თან, როცა მისი წინასწარ 6%-იანი ზრდის ნაცვლად, 2013 წელს იგი შემცირდება 2,5%-დან 3%-მდე, ეს ნიშნავს, რომ ბიზნესის აქტივობა და ინვესტიციების განთავსება შემცირდება და დღგ იმდენი გელარ ამოვა, რაც დაგეგმილი იყო. ამიტომ სრულიად ლოგიკურია, რომ წელს ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი გერ შესრულდება, ხოლო რამდენიმ თანხობრივად, წლის ბოლოსთვის გახდება ეს ცნობილი. ამჟამად დღის წესრიგშია თავისუფალი ვაჭრობის განვითარების პერსპექტივები, ამიტომ თბილისში ჩატარდა ფორუმი ევროკავშირის დაფინანსებით და აღმოსავლეთ ევროპის ინიციატივით, სადაც განიხილეს ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირების საკით-

ხები. ასევე საინვესტიციო პოტენციალის გაუმჯობესებისა ბიზნესისა და ბიზნესებისათვის, ენერგეტიკას, სოფლის მეურნეობას, ტურიზმსა და სხვა დარგებში. აქვე ძალიან მნიშვნელოვანია რუსეთთან ჩვენი ეკონომიკური კავშირების აღდგენის საკითხიც, როგორც უახლოესი და ყველაზე პერსპექტიული მეზობლისა. ძალიან შემატვოთებელია ისიც, რომ მონაცემები ეკონომიკური მაჩვენებლების შესახებ სრულიად განსხვავებულია, მერყეობს, რაც უფრო ამძაფრებს ეკონომიკური სტაბილურობის რეალურ სურათს. ყველას განსხვავებული ინფორმაცია და სიმართლე აქვს, რაც არასახარბიერო გარემოს ქმნის ინვესტიციებისათვის როგორც შინ ისე გარეთ.

ინვესტირების პროცესი – ეს ეტაპი მთავრდება ძირითად პორტფელში ჩართვისას, საჭირო ფინანსური აქტივების პოტენციური სახეების არჩევით. არჩევანის გაკეთებისას, სხვა მოსაზრებებთან ერთად, გასათვალიწინებელია ინვესტირების მიზანი, ინვესტირებული სახსრების მოცულობა და ინვესტორის, როგორც გადასახადების გადამხდელის სტატუსი. ყოველივე ამის გათვალისწინებით მოხდება გარკვეული ცვლილებების შეტანა საგადასახადო კოდექსში, მაგრამ, რადგანაც 2014 წლიდან ცხადდება სამწლიანი მონიტორიუმი საგადასახადო ცვლილებებზე, ამ ვადაში არაფერი არ შეიცვლება, თუ რამის შეცვლას დაპირებებზე, უნდა მივიღენ მეწარმესთან და აუქსნან, ყველაფერი წინასწარ შეათანხმონ, სტაბილურობის განცდა ბიზნესისათვის აუცილებელი პირობაა. ეს ცვლილებები მთელი სისრულით ამოქმედდება 2017 წლიდან. ესაა საგადასახადო კოდის შემოღება, ღოკუმენტაციის შესწავლის ხანდაზმულობის 6-დან 3-წლამდე შემცირება და ბიუჯეტის კანონზე განმარტებები ფინანსთა მინისტრის ნაცვლად პარლამენტზე გადამისამართდება მისი განხილვისას და ა.შ. ეს კიდევ ერთი ნაბიჯია ლიბერალური ეკონომიკური და საინვესტიციო გარემოს შესაქმნელად, მაგრამ აյ წნდება იმის საშიშროება, რომ ამან არ დააგნიონს ფინანსთა მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხი ქვეყნისა და მთავრობის წინაშე. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ლიბერალურ მიდგომებს შიდა ინვესტირებისას. მაგალითად, ასეთ დროს აზრი აქვს პრივატებირებული აქციების არჩევას იმ ინვესტორებისათვის, რომლებსაც აქვთ საგადასახადო შედავათები.

ინვესტორები, რომლებიც ავსებენ ეროვნული მეურნეობის იმ თავისუფალ სივრცეს, რომელსაც სხვადასხვა მიზეზით ვერ უზრუნველყოფს ეროვნული კაპიტალი, უკანასკნელთან მიმარ-

თებაში წარმოადგენენ „დამატებითს“. დამატებითი უცხოური ინვესტიციები შესაძლებელია ადგილობრივი კაპიტალის დაგროვების სიჭარბის პირობებშიც, თუ ისინი გადაღახავენ რომელიმე დარგში შედწევის ბარიერს. დამატებითი უცხოური ინვესტიციების ეფექტი მიმღები ქვეყნებისთვის დადებითია, რადგან ისინი ავსებენ ინვესტიციურ რესურსებს, ხელს უწყობენ ეკონომიკურ ზრდას. აქ საგულისხმოა მსოფლიოს ეკონომიკური ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული ანგარიშები, სადაც საქართველო ბიზნესის კეთებით მე-8 ადგილზეა განვითარებად ქვეყნებს შორის, ეს მეტყველებს იმაზე, რომ საინვესტიციო გარემო ჯერ კიდევ არაა მთლად სახარბიელო მდგრმარეობაში, თუმცა ზოგიერთ დარგში ეს მაჩვენებელი წარმატებულადაც შეიძლება ჩაითვალოს. ყველაფერს დრო უნდა, ახალი ხელისუფლების სწორი მიდგომები კი ამის გარანტია და ის, რაც ადგილობრივი (შიდა) ინვესტიციების ქვეშ იგულისხმება, ასევე სახელმწიფოს, ინსტიტუციური და კერძო ინვესტორთა ფინანსური რესურსების სახით, ხელსაყრელი პირობების არსებობის შემთხვევაში შეიძლება ჩაბმული იყოს საინვესტიციო პროცესში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების კუთხით. თვალსაზინოებისათვის იხილეთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული მაკროეკონომიკური პარამეტრები ცხრილის სახით.

ინვესტიციების მოცულობა წლების მიხედვით, მლნ ლარებში								
2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	
6018,00	8237,10	9491,60	10308,70	11618,60	1326,70	14563,10	16465,10	

ზოგადად სახელმწიფო ინვესტიციების არეალი საქმაოდ ფართოა, ის დამოკიდებულია როგორც სახელმწიფო საკუთრების მასშტაბებზე, ისე განვითარების პრიორიტეტების ამოცანებზე. განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებში სახელმწიფოს წილი ინვესტიციათა საერთო მოცულობაში 10-20%-ს შეადგენს. განვითარებად ქვეყნებში, სადაც სახელმწიფოს წილი ტრადიციულად უფრო მნიშვნელოვანია, სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებებში საერთო ინვესტიციების 40-60%-ია, ხოლო ზოგიერთ დარგში (ნავთობის მოპოვება და

გადამუშავება, ელექტროენერგიის წარმოებები და სხვა) 100%-მდე შეადგენს. საინვესტიციო პროცესში სახელმწიფოს პირდაპირი მონაწილეობის დროს არანაკლებ მნიშვნელოვანია რესურსების გამოყენების ეფექტურობის საკითხი. ასევე საგულისხმოა ისიც, რომ მკვეთრად უნდა გაზრდილიყო სახელმწიფო ბიუჯეტის თანხებიც, 2013 წელს მშპ-ს 6%-იანი ზრდის გათვალისწინებით იყო დაგეგმილი, თუმცა ეს რეალური გათვლა არ აღმოჩნდა და იგი მხოლოდ 2 ან 3%-ით გაიზრდება, აქვე უნდა კოქათ, რომ მშპ-ს გაანგარიშება ხდება სამი მეთოდით: წარმოების, შემოსავლების და საბოლოო მოხმარების მეთოდებით. ყველა ეს მეთოდი სწორედ შიდა ინვესტიციების გაძლიერებას ემსახურება, ამიტომ ბიუჯეტის ასიგნებები 9,009 მილიარდია. პროექტის მიხედვით ვალდებულებების კლება 584, 3 მლნ ლარს შეადგენს, საიდანაც 508,2 მლნ საგარეო, ხოლო 76,1 მლნ – საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვას მოხმარდება. ბიუჯეტის საპარლამენტო კომიტეტებში განიხილება მთავრობის ის პრიორიტეტები, როგორებიცაა: ჯანდაცვა, განათლება და სოფლის მეურნეობა. ჯანდაცვის დაფინანსება პროექტით 2,7 მილიარდი ლარი, სოფლის მეურნეობა - 290 მილიონი ლარი და ა.შ. სახელმწიფო ფინანსური რესურსების დაქსაქსვის და არამიზნობრივი გამოყენების სასიშროების არსებობის გამო მიზანშეწონილია, ინვესტირება მოხდეს კონკრეტული, მკვეთრად განსაზღვრული პროექტების დასაფინანსებლად. შიდა საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით, ასეთ პროექტებს შორის შეიძლება დაგვსახელოთ: ენერგეტიკის განვითარება, გზების მშენებლობა და რეკონსტრუქცია, კავშირგაბმულობის თანამედროვე სისტემის განვითარება, საფინანსო ბაზრის ინსტიტუციური სტრუქტურის ჩამოყალიბების მხარდაჭერა.

სახელმწიფო ინვესტიციების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტია განათლების სისტემა სადაც უკანასკნელ პერიოდში საქმაოდ დიდი ცვლილებები და წარმატებებია: უფასო სახელმძღვანელოები, უფასო სწავლება 14 სპეციალობის მიხედვით, უფასო ტრანსპორტი სკოლის მოსწავლეებისათვის, უფასო საბაზშვო ბაღები და სხვა უამრავი სიკეთე, რომელიც უკვე ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტმა და ყოფილმა განათლების მინისტრმა გ. მარგვალაშვილმა დაიწყო და დღესაც გრძელდება ამ რეფორმის სრულყოფა მოქმედი მინისტრის მიერ და საქმაოდ წარმატებულადაც. ასევე უნდა გაგრძელდეს წინა

წლებში დაწესებული შიდა ინვესტიციების განთავსება. ხოლო დღეისათვის სახეზეა გარკვეული ინვესტიციები და წარმატებები - განათლებას, სოფლის მეურნეობასა და ჯანდაცვაში.

რასაკვირველია, ყველაზე დინამიურად განვითარებულ ინსტიტუციურ ინვესტორებს შიდა ინვესტირებისას წარმოადგენენ საპენსიო და სადაზღვევო ფონდები და სასესხო ფონდები. საპენსიო და სადაზღვევო ფონდები ასეთი სრულიად განსხვავებული სახით წარმოადგენს სიახლეს ჩვენს ცხოვრებაში, როგორიც ეს მიღებულია განვითარებულ ქვეყნებში. პირველი საპენსიო ფონდი დაარსა კომპანია ენერალ ოტერსმა 1950 წელს. მას შემდეგ საპენსიო ფონდები სწრაფი ტემპით მრავლდებოდნენ მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ამჟამად აშშში დასაქმებული მოსახლეობის 40% მონაწილეობს ამა თუ იმ საპენსიო სქემაში. საპენსიო ფონდის აქტივები, რომელიც 1970 წელს შეადგენდა 170 მილიარდ დოლარს, ამჟამად აჭარბებს 3 ტრილიონ დოლარს. არა მარტო ამერიკის, არამედ მსოფლიოს ყველა განვითარებული ქვეყნების მაგალითზე დაყრდნობით, ძირებით ცვლილებები მიმდინარეობს დღეისათვის საქართველოში. იქმნება მსგავსი საპენსიო ფონდები, საშემოსავლო გადასახადიდან გარკვეული ოდენობის თანხა ავტომატურად გადაირიცხება, რის საფუძველზე უზრუნველი იქნება თითოეული მოქალაქის სიბერე სოლიდური პენსიონ და ასევე შიდა ინვესტირებაში თანამონაწილეობით.

70-იან წლებამდე აშშში საპენსიო ფონდები ახორციელებდნენ კონსერვატულ საინვესტიციო პოლიტიკას, იძენდნენ რა მხოლოდ ამერიკულ ობლიგაციებსა და აქციებს, მას შემდეგ ეს ორგანიზაციები გახდნენ მათობრავებელი ძალები, რომლებმაც დანერგეს მრავალი სიახლე საინვესტიციო ბიზნესში. მათ ჩადეს სახსრები საერთაშორისო კორპორაციების აქციებსა და ობლიგაციებში, წარმოებაში ფასიან ქაღალდებში და განახორციელეს სხვადასხვა აღტერნატურული დაბანდებები, როგორიცაა, ნავთობი, გაზი, ტყის ნაკვეთები და სარისკო კრედიტები მცირე საწარმოებზე. მსგავსი პრეცედენტები შეიძლება საქართველოშიც განხორციელდეს ამ რეფორმის გატარების შემდეგ. საქართველოშიც დაიწყება ამ საპენსიო და სადაზღვევო ფონდებიდან შიდა ინვესტირება ზემოთ ჩამოთვლილ დარგებში განთავსებაც. დაზღვევა კიდევ ცალკე განსაკუთრებული და დიდი თემაა, იგი წარმატებულად მიმდინარეობს საქართველოში საყოველთაო დაზღვევის სახე-

ლით. იგი მომავალშიც გაფართოვდება, გაიზრდება და განვითარდება.

შიდა ინგესტირების განთავსების ძალიან დიდი პერს-პექტივაა სასესხო ფონდებში. სასესხო ფონდების ფენომენი აქტივების ზრდის თვალსაზრისით უფრო შთამბეჭდავია, ვიდრე საპენიო და სადაზღვევო ფონდების ფენომენია. 1980 წელს ინგესტორებმა სასესხო ფონდში მხოლოდ 135 მილიარდი დოლარი განათავსეს. მაშინ მრავალი ინგესტორი სკეპტიკურად უყურებდა ამ ფონდებს, როგორც სპეკულირების ინსტრუმენტს, როგორც ეს არის დღეს ჩვენთან, მრეწველობა ჯერ კიდევ განიცდიდა დეპრესიას, რომელიც დაკავშირებული იყო მრავალი საინგესტიციო ფონდის ქრახთან 1973-74 წლებში ეპონომიკური კრიზისის დროს. დღეს კი თითქმის 2 ტრილიონი დოლარია ინგესტირებული სასესხო ფონდებში. ეს მონაცემები და პროცესი იმიტომ მოვიყენეთ თვალსაჩინოებისათვის, რომ მაგალითად, მიმდინარე წლის 29 მარტიდან დაიწყო შედავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში სესხების გაცემა, გაიცა დაახლოებით 160 მილიონი ლარი. იაფი ფულადი რესურსებით ათასობით ფერმერმა, მეწარმემ და გლეხმა ისარგებლა, ამ შემთხვევაში დაცულია ყველა კომერციული ინტერესი, როგორც ბანკის, ისე მსესხებლის, ხოლო სახელმწიფო სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს სახით, საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელოვანი წილის - 9-12%. ასე რომ, მსგავსი პროცესებია ქართულ ეპონომიკაში და ფულად-საკრედიტო სფეროშიც მიმდინარეობს, ამიტომ, მიუხედავად გარკვეული სიძნელებისა, ეს ფონდები, სხვა ფონდებთან შედარებით, ყველაზე წარმატებულია შიდა ინგესტირების უუთხით. მაგრამ წარუმატებელია ფასიანი ქადალდების ბაზარზე, რაც სრულიად ლოგიკურია საქართველოში არსებული ეკონომიკური მდგრამარეობითა და არასტაბილური პოლიტიკის გამო, ასევე, სანამ მთელი სიმძლავრით არ ამჟავდება სრულად ან ნაწილობრივ გაჩერებული ძველი და ასევე ახალი საწარმოებიც, რის იმედსაც იძლევა სწორედ ის აღნიშნული შედავათიანი აგროკრედიტები და თანაინგესტირების ფონდები. მიუხედავად ყველაფრისა, არის კომპეტენტური ექსპერტ-ეკონომისტების პროგნოზი, რომ ეკონომიკური ზრდა აუცილებლად იქნება მომავალი წლის მეორე ნახევრიდან, რისი ნიშნებიც საბანკო სისტემაში უკვე შეიმჩნევა.

ამასთან, ცალკე სახეობად უნდა განიხილებოდეს ინვესტიციები ადამიანურ რესურსებში (ინტელექტუალური ინვესტიციები), რომელიც გულისხმობს სახსრების დაბანდებას ყოველგვარ გამოგონებასა და სიახლეებში. ინტელექტუალური ინვესტიციების რეალიზაცია ბაზარზე შეიძლება განხორციელდეს შემდგენ ფორმებით: ლიცენზიების, ნოუ-პაუს, სასაქონლო ნიშნებისა და ა.შ. გამოყენების უფლების გაცემით; ნოუ-პაუს, ტექნოლოგიური გამოცდილებისა და ა.შ. გაყიდვა-გაცემით. სალიცენზიო შეთანხმებისგან ყიდვა-გაყიდვის ასეთ აქტზე ხელშეკრულებები იმით განსხვავდება, რომ ნოუ-პაუს მფლობელი არ ამბობს უარს მის გაყიდვაზე, მაგრამ ხელს იღებს მის პატენტირებაზე; ინჟინირებული მომსახურების გაწევით, ტექნოლოგიების გაცემით, საინვესტიციო თანამშრომლობის გზით, რომელთა ჩარჩოებში ხდება არა მარტო ყიდვა-გაყიდვა, არამედ მათი გაფრცელება კონსულტაციების, საეციალისტების მომზადების, ნახაზების გაცემისა და ტექნოლოგიური გაცელის სხვა გზებით.

სხვადასხვა საინვესტიციო კომპანიები თავის პოლიტიკაში განსხვავებულ მიზნებს მისდევენ, რასაც სხვაგვარად განსხვავებულ საინვესტიციო სტილსაც ეძახიან. ეს მათი ინდივიდუალურობის მახასიათებელია, რასაც აქვს როგორც დადგენითი, ისე უარყოფითი მხარეებიც. ამაზე საუბარი შეიძლება მხოლოდ საბოლოო შედეგების, ანუ მოგების მიხედვით. საინვესტიციო პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს ხლისაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნას, საჭიროა პქონდეს მაკროეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის განცდა, ინვესტორთათვის მომგებიანი ფინანსური და მონეტარული სისტემა. ასევე სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა.

### დასკვნა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმღები მხარისათვის ყველაზე მომგებიანია პირდაპირი ინვესტიციები. ისინი, ერთი მხრივ, ჰქიდრო კავშირშია ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებასთან, მოწინავე ტექნოლოგიების ამოქმედებასა და მენეჯმენტისა და მარკეტინგის თანამედროვე მეთოდების ათვისებასთან, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფო არ იღებს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვალდებულებებს და, საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ შიდა და საგარეო, ანუ უცხოური ინვესტიციების უფასებიანობა დამოკიდებულია

მოზიდული ინვესტიციების რაოდენობასა და ხარისხე და მიმღები ქვეყნის უნარზე, დროულად მოახდინოს ინვესტიციების აპრობირება; განათავსოს იგი იმ დარგებში და რეგიონებში, სადაც ისინი უფრო საჭიროა; უზრუნველყოს პროგრესული ტექნოლოგიების და მენეჯმენტის გამოყენება, რათა კაპიტალის მოზიდვით იქნეს მიღებული მაქსიმალურად დადგბითი შედეგები. ყველაზე არამომგებიანია „სხვა დანარჩენი ინვესტიციები“. საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღება მოიცავს ხუთ სტადიას: საინვესტიციო პოლიტიკის განსაზღვრა; ფინანსური ანალიზის განხორციელება; ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფორმირება; პორტფელის გადასინჯვა და პორტფელის ეფექტურობის შეფასება.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ვლადიმერ (ლადო) პაპავა. არატრადიციული ეკონომიქსი. თბილისი 2011.
2. ელდარ ისმაილოვი, ვლადიმერ (ლადო) პაპავა. „ცენტრალური ევრაზია“ - ახლებური გროპოლიტიკური გააზრება. თბილისი, გამომცემლობა ინტელექტი, 2012.
3. ვლადიმერ (ლადო) პაპავა. ნეროლეკონომიკის ზომბირება. თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2010.
4. ო. ბასილია, ა. სილაგაძე, ო. ჩიგვაიძე. პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბილისი, 2001.
5. Кейнс Дж. Общая теория занятности, процента и денег. Москва, 1978.
6. Финансовый менеджмент методы инвестирования капитала. М. Ф. Овсийчук, Л. Тейлора, Москва, ИНФРА-М, 1996.
7. [www.mof.ge](http://www.mof.ge)

*Tinatin Kurdadze*

### INTERNAL INVESTMENTS AND THE MAIN DIRECTIONS OF IMPROVEMENT OF THEIR ATTRACTION IN GEORGIA

#### Annotation

In the article the role and significance of internal investments are considered. The main directions and ways of improvement of their attraction in Georgia are determined.

**ქეთევან ქველაძე**  
**ტურიზმის მულტიკლიპატორული როლი**  
**ჩვეშნის პროგრესული დარბობირივი სტრუქტურის**  
**განვითარებაში**

ტურისტული რეგიონის განვითარებაში დიდ როლს ასრულებს ტურიზმის პოლიტიკის სწორი მართვა, რომელსაც რეგიონის ტურისტული სააგენტოებისათვის მოაქვს შემოსავალები, ტურისტებისა და მოგზაურებისათვის კი ტურისტული პროდუქტი და მომსახურება; ტურფირმის პერსონალი იღებს ხელფასს, მეწარმეები – მოგებას, ტურისტული ტერიტორიები კი ავსებს ბიუჯეტს საგადასახადო შემოსავლების ხარჯზე. ტურიზმი სტიმულირებს ტურპროდუქტის და მომსახურების დამატებით მოთხოვნას და დადებით გავლენას ახდენს რეგიონში ისეთი სახალხო დარგების განვითარებაზე, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად მონაწილეობს ტურისტული პროდუქტის და მომსახურების შექმნაში.

ტურიზმი განიხილება, როგორც სისტემა, რომელსაც გააჩნია თავისი საკუთარი რთული სტრუქტურა და ამავე დროს წარმოადგენს სახალხო ეკონომიკის სისტემის ნაწილს, რომელიც ურთიერთყავშირშია დარგობრივ სისტემებთან. ამ კონტექტში ტურიზმი განიხილება, როგორც „კომპლექსური“ დარგი, რომელიც დაფუძნებულია ტერიტორიის მთელი ეკონომიკური, კულტურული, ბუნებრივი, კკოლოგიური, ისტორიული პოტენციალის ინტეგრირებულ გამოყენებაზე, რომელიც მიზანიმიმართულად ახორციელებს სხვა დარგების საქმიანობა-განვითარებას.

ტურიზმი ვითარდება მრავალი ფაქტორის გავლენით: ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, დემოგრაფიული. ეკონომიკური ფაქტორი დამოკიდებულია მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაზე, სადაც პროდუქციის წარმოებასთან შედარებით შეიმჩნევა მომსახურების წარმოების განუხრელი ზრდის ტენდენცია, ასევე ყველა დარგში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება და მოსახლეობის შემოსავლების ზრდა.

ადსანიშნავია ის ფაქტი, რომ ტურიზმის გაგრცელების ეკონომიკური არეალი მრავალგანშტრებადია და მასში შექმნილი ერთი სამუშაო ადგილი ქმნის სულ მცირე ორ ახალ სამუშაო ადგილს მომიჯნავე დარგში, როგორიცაა ტრანსპორტი, მომსახურება, ვაჭრობა და სხვა. ტურიზმის შემოსავლების ერთი ერთეულით ზრდა იწვევს მომიჯნავე დარგში შემოსავლე-

ბის ორი ერთეულით ზრდას. ეს სფერო, რომელთანაც პირდაპირ თუ ირიბად დაკაგშირებულია მსოფლიოში დასაქმებული მოსახლეობის 10%, დადებით ზეგავლენას ახდენს დასაქმებაზე და ხელს უწყობს დანარჩენი დარგების განვითარებას. იგი შეიძლება დავახასიათოთ როგორც სახალხო მეურნეობის კომპლექსი და ის ინტეგრირებულია: 1. გაჭრობასა და მომსახურებასთან; 2. ენერგეტიკასა და ტრანსპორტან (საჰაერო, წყლის, საავტომობილო, სარკინიგზო და სხვა), კომუნიკაციასთან და გზებთან, ქვეყნის ინფრასტრუქტურასთან, მშენებლობასთან; 3. სოფლის მეურნეობასთან; 4. კვების მრეწველობასთან, სურსათისა და სასმელის წარმოებასთან; 5. ჯანდაცვის სისტემასთან, მედიცინასთან; 6. სადაზღვევო კომპანიებთან, საბანკო და საფინანსო ინსტიტუტებთან; 7. სასტუმროებსა და რესტორნებთან; 8. კულტურასთან, გაროობისა და სპორტის საშუალებებთან; 9. სუვენირების გაჭრობასა და სახალხო რეწვასთან; 10. ქვეყნის ეკოლოგიასთან; 11. ქვეყნის ბუნებრივ რესურსებთან; 12. კულტურული-ისტორიულ ძეგლებთან და მუნიციპალურ სამსახურთან; 13. ქვეყნის განათლებასა და მეცნიერებასთან, სასწავლო დაწესებულებებთან; 14. სასაზღვრო, საბაჟო სამსახურთან და სავიზო ფორმალობებთან; 15. ადმინისტრაციულ ორგანოებთან, ქვეყნის უსაფრთხოებასთან, სამართლებრივ ორგანოებთან; 16. სხვადასხვა საეციალიზებულ საწარმოებთან, რომლებსაც არ გააჩნიათ ნათლად გამოხატული ტურისტული ხასიათის „მეორადი“ დარგები (სატრანსპორტო მაქნათმშენებლობა, სათბობის მრეწველობა, საგზაო მშენებლობა), ასევე მომსახურების ფართო სფერო, რომლითაც სარგებლობს ტურისტი.

ქვეყნის ეკონომიკაზე ტურიზმის ფაქტორების ზეგავლენა შეიძლება იყოს პირდაპირი და ირიბი. პიდაპირი გავლენა გულისხმობს შედეგს ტურისტების შემოსავალების იმ დანახარჯებისა, რომლებიც ტურისტმა დახარჯა უშეალოდ ტურისტული მომსახურებისა და საქონლის შემნაზე. ტურიზმის პირდაპირი გავლენის დროს ტურისტის მიერ გაწეული ხარჯები იდება უშეალოდ ტურისტული საწარმოს წარმოებაში, ტურისტულ სექტორში მომსახურე პერსონალის მატერიალური ბაზის უზრუნველყოფაში და ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში. გარდა ტურისტული დანახარჯების პირდაპირი ეფექტის გავლენისა, არსებობს აგრეთვე ირიბი (არაპირდაპირი) გავლენა, ანუ “მულტიპლიკატორის ეფექტი”, რომელიც ძალაში შედის რეგიონში ტურისტული დანახარჯების ცირკულაციის შედეგად. ტურისტული საწარმოები, სადაც უშეალოდ შედის ტურისტების

ბის დანახარჯები, ასევე იძულებულნი არიან შეიძინონ საქონელი და მომსახურება ადგილობრივი ეკონომიკის სხვა სექტორში, მაგ., სასტუმროები სარგებლობენ შშენებლობის, ბანკების, სადაზღვევო კომპანიების მომსახურებით. ტურისტთა დანახარჯები ტურისტულ რეგიონში ზრდის შემთხვევლებს, რომელსაც, თავის მხრივ, მივყავართ ისეთ ჯაჭვთან, როგორიცაა „დანახარჯები-შემოსავლები-დანახარჯები“ და იგი გრძელდება მანამდე, სანამ ეს კავშირები არ ჩატეტავნ ჯაჭვს. გამომდინარე აქედან, ტურისტული დანახარჯების პირველადი შემოსავლების შეფასება მხელია, ვინაიდან მათგან გამომდინარეობს ტურისტული დანახარჯების შემდგომი ახალი ციკლი. მაგ., სასტუმროებში ტურისტთა მიერ გაწეული დანახარჯების ერთი ნაწილი ქმნის დამატებით დირექტულებას, ესე იგი ემსახურება სასტუმროს მიერ გაწეული საქმიანობის ანაზღაურებას. დანახარჯების მეორე ნაწილით სასტუმრომ უნდა მოიმარაგოს და შეიძინოს ინვენტარი და პროდუქტი მომავალი მომსახურების გასაწევად (პუნი, ხორცი, ხილი და ა.შ.). მესამე ნაწილი კი მიდის გადასახადების გადასახდელად (მოგების გადასახადი, ადგილობრივი გადასახადი და ა.შ.). შემდეგი ნაწილი კი იხარჯება იმპორტული საქონლის შესაძენად (გადინება იმპორტზე) და მოგების გადარიცხვაზე რეგიონის ან ქვეყნის გარეთ. სხვა-დასხვა პროდუქციის შეძენა იწვევს უფერს (შემოსავლების მიღებას, შეაღვდეური საქონლის შეძენას, ტრანსფერებს და გადინებას იმპორტზე) გამყიდველი მეურნეობებისათვის (მცხოვრებლები, ფერმერები, და ა.შ.). ეს პროცესები გრძელდება მესამე და მეოთხე რაუნდებით. თითოეული რაუნდით რეგიონული ოუკროვნული ეფექტი მცირდება. მომდევნო რაუნდებში წარმოქმნილ შემოსავლებს ეწოდება არაპირდაპირი შემოსავლები და ამ არაპირდაპირი ეფექტის გაფრცელების ხარისხი დამოკიდებულია რეგიონის ფირმების მიერ ერთმანეთისათვის საქონლის მიწოდების მოცულობაზე. სასტუმროში ტურისტთა დანახარჯების ზრდის შედეგად რაც უფრო მეტი სარგო და მოგება (პირდაპირ და არაპირდაპირი) მიიღება, მით იზრდება სამომხმარებლო ხარჯები და ეს აძლევს მუხტს შემდგომ ეკონომიკურ აქტივობას. ადსანიშნავია, რომ არაპირდაპირი შემოსავლების დანახარჯები არ ტოვებს რეგიონის საზღვრებს, ანუ არაპირითადი აქტივების ექსპორტი არ ხდება მოცემული ადგილის გარეთ. იგივე ეხება სხვა ტურისტულ ტურიტორიებსაც, სადაც ასევე არ წარმოებს ამ აქტივების იმპორტი, ესე იგი არაპირითადი ინდუსტრიის მიერ წარმოებული საქონელი და მომსახ-

ურება არ მონაწილეობს რეგიონთაშორის ვაჭრობაში და ექსპორტისთვის წარმოებული ტურპროდუქტი არ გადის ქვეყნიდან, პირიქით, მასში პოვებს რეალიზაციას. ტურპროდუქტის მომზარებელი თვითონ ჩამოდის რათა მიიღოს მისთვის საინტერესო ტურპროდუქტი ან მომსახურება.

არაპირდაპირი შემოსავლების დანახარჯების შეფასებას იძლევა მულტიპლიკატორის განსაზღვის მეთოდიკა და იგი გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ ტურიზმში დამატებითი დანახარჯებით განპირობებული დამატებითი შემოსავლების მოცულობის შესაფასებლად, რითაც იკვეთება მისი როლი დარგობრივი სტრუქტურის განვითარებაში. მულტიპლიკატორები აკონტროლებენ ტურისტული საქმიანობის მეორად ეკონომიკურ ეფექტს. მულტიპლიკატორები ასახავენ კონკრეტული რეგიონის ეკონომიკაში სექტორებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას. ისინი განსხვავებულია სხვადასხვა რეგიონებსთვის ადგილობრივი ეკონომიკის ხასიათისა და მისი ურთიერთკავშირების ხასიათის მიხედვით სხვადასხვა სექტორებთან.

მულტიპლიკატორის მნიშვნელობა (ლათ. multiplicator – მამრავლი, გამამრავლებელი) ეკონომიკურ მეცნიერებაში 1931 წელს ინგლისელმა ეკონომიკის მეცნიერმა რიჩარდ კანმა შემოიღო. ეს არის ამონაგები ტურისტული შემოსავლებიდან, რომლებიც დაიხარჯა ტურისტული პროდუქტისა და მომსახურების რეალიზაციის შემდეგ, ხოლო რეგიონის შემოსავალი კი ის გადასახადებია, რომლებიც მიღებულია ამ ამონაგებიდან და რჩება ამ რეგიონის განკარგულებაში. ტურისტების ფულადი სახსრები მუშაობს მთლიანად რეგიონის ეკონომიკაზე – როდესაც ტურისტული ფირმა იძენს რეგიონის ადგილობრივი წარმოების პროდუქტებს და მომსახურებას. ამ პროდუქციისა და მომსახურების გამყიდველი ფირმები ტურისტებისაგან მიღებული თანხებიდან გასცემენ სელფასებს თანამშრომლებზე, რომლებიც, თავის მხრივ ხარჯავენ მას საქონლის შესაძლებად, იხდიან მომსახურების ლირებულებას და ა.შ., მაგრამ თუ თანამშრომლები ან მუშები სელფასს ხარჯავენ იმპორტული საქონლის შეძენაზე ან უცხოეთში დასვენებაზე, მაშინ ხდება ციკლის ჩატეტვა და რეგიონიდან იწყება თანხების გაუოხვა. ტურისტული დანახარჯების სექმაზე პირდაპირი და ირიბი ეფექტის ერთობლიობის გავლენა განსაზღვრავს რეგიონის მთლიან ეკონომიკას. ჩვეულებრივ ტურისტის მთლიანი შემოსავლების მხოლოდ გარკვეული ნაწილი ერთვება ყოველ ციკლში დანახარჯების სახით. შემოსავლების გარკვეული ნა-

წილი ინახება ან გროვდება და გამოდის ეკონომიკური ბრუნვიდან, რადაც ნაწილი კი იხარჯება იმპორტზე რეგიონის გარეთ და შედის სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების სახით, ასე რომ შემოსავლები მცირდება ყოველი ციკლის დროს და ხდება სისტემიდან კაპიტალის გადინება.

ტურიზმი წარმოადგენს საზოგადოებრივი წარმოების ერთ-ერთ დარგს, რომელიც ხასიათდება მაღალი საზოგადოებრივი მნიშვნელობით და რომელიც გავლენას ახდენს სხვა დარგების განვითარებაზე. რეგიონულ ეკონომიკაზე მისი გავლენის შეფასებისათვის მულტიპლიკატორის გამოყენება სრულიად დასაშვები და კანონმიერი; მულტიპლიკატორი ეკონომიკური მაჩვენებელია, რომლის სიდიდე ახასიათებს იმ ხარისხს, რომელშიც საინვესტიციო მოთხოვნის ან თვით ინვესტიციების ზრდა წარმოქმნის პროდუქციის წარმოების მოცულობის ზრდას. მულტიპლიკატორის დაწვრილებითი ანალიზი ხორციელდება ეროვნულ ან რეგიონულ დონეზე, სახელმწიფო ან კერძო სექტორების ინვესტიციების ეფექტიანობის ანალიზის მიზნით.

ტურიზმის მულტიპლიკატორული გავლენა ვლინდება იმით, რომ მთლიანი საწარმოო პროცესის ჯაჭვის შედეგად ერთი ტურისტიდან შემოსავალი მეტია იმ თანხაზე, რომელიც მან დახარჯა მომსახურების ან საქონლის შეძენაზე. თუ დავაჯამებთ უკეთა ნაზარდს, ჯამობრივი ეფექტი საქონლისა და მომსახურების რაოდენობასთან დაკავშირებით, რომელზეც არსებობს მოთხოვნა უშუალოდ ტურისტებისაგან, ტურისტული ფირმებისაგან, ასევე სხვა საწარმოებისაგან, შეიძლება აღმოჩნდეს რამდენადმე მეტი ვიდრე პირველადი ეფექტი, რომელიც წარმოადგენს ტურისტული ბიზნესის უშუალო შედეგს. მულტიპლიკატორის მაჩვენებელსა და მნიშვნელობაზე ზეგავლენის ახდენს ტურისტული ტურიტორიის, რეგიონის სიდიდე (რაც უფრო დიდია რეგიონი მით ნაკლებია გადინება), ეკონომიკის სტრუქტურა, სექტორებს შორის ურთერთკავშირები, იმპორტის შემადგენელი, ტურისტული პროდუქტის ბუნება, ფირმებისა და საწარმოების ყოველწლიური ამონაგების მოცულობა; ტურიზმის ინფრასტრუქტურის მწარმოებელი საწარმოების მიერ გაწეული დანახარჯების სტრუქტურა (საქონლისა და მომსახურების შესაძენად გაწეული დანახარჯები), რეგიონული პროდუქციის მთლიანი მოცულობა და ა.შ.

მულტიპლიკატორის მნიშვნელობის შეფასებისას მნიშვნელოვანია არა მარტო მეთოდიკის არჩევა, ასევე მულტიპ-

კატორის სახეობის გარჩევა. თითოეული სახეობა ასრულებს სპეციფიკურ ფუნქციას: გაყიდვების მულტიპლიკატორი – ზომავს ტურისტების დანახარჯების ზრდის შედეგად ბიზნესის დამატებით ბრუნვებს. წარმოების მულტიპლიკატორი ტურისტების დანახარჯების ზრდის შედეგად დამატებითი წარმოების მოცულობას. შემოსავლების მულტიპლიკატორი – ზომავს ტურისტების დანახარჯების ზრდის შედეგად ეკონომიკაში წარმოქმნილ დამატებით შემოსავლებს (ხელფასი, არენდის გადასახადი, პროცენტები სესხიდან და ა.შ.), რომლებიც ხელს უწყობს და არეგულირებს რეგიონიში ეკონომიკურ განვითარებას. საერთო პოლიტიკისა და დაგეგმვის შემუშავებაში შემოსავლების მულტიპლიკატორი დიდ როლს ასრულებს, რადგანაც იგი იძლევა ინფორმაციას ეროვნული შემოსავლების შესახებ იმაზე ადრე, ვიდრე პროდუქცია ნაწარმოები და ჩართული ბრუნვაში. ტურიზმის ერთობლივი შემოსავლები საშუალებას გვაძლევს, შევაფასოთ ტურიზმიდან მიღებული პიდაპირი და ირიბი შემოსავლები, რომელიც მიიღება რეგიონში ტურისტული საქმიანობით. **დასაქმების მულტიპლიკატორი** – ახასიათებს ტურისტების დამატებითი დანახარჯების შედეგად შექმნილი საშუალო ადგილების რაოდენობას და ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ეკონომიკის დარგში. ტურიზმში სახსრები და საკურორტო-სანატორიუმის მეურნეობაში შველაზე შეტანა ეს მაჩვენებელია შესწავლილი. დასაქმების კოეფიციენტის მაჩვენებელი რეგიონების მიხედვით განსხვავდულია და დამოკიდებულია რეგიონების ეკონომიკურ ბაზაზე. თუ ეს კოეფიციენტი რეგიონისათვის შეადგენს 1,13 მეათედს, ეს ნიშნავს, რომ ქვეყანას შეუძლია უზრუნველყოს დამატებით 0,15 ადამიანის დასაქმება, რომელიც უშუალოდ დასაქმებულია ისეთი ტურისტული მომსახურების სფეროში, რომელიც მუშაობს ექსპორტირებულ მოთხოვნად ტურისტულ პროდუქტების დასაქმების კოეფიციენტი პირდაპირპროპორციულად არის დამოკიდებული როგორც მოსახლეობის ოდენობასთან, ისე შრომისუნარიანი მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან. ქვეყანაში (რეგიონში) მოსახლეობის ზრდასთან ერთად მატულობს დასაქმების კოეფიციენტის მაჩვენებელიც.

რეგიონში ტურისტული შემოსავლების ზრდის ტენდენციის შენარჩუნება დამოკიდებულია ადგილობრივი ეკონომიკის თვითგანვითარებასა და დამოუკიდებლობაზე. ტურისტული დანახარჯებიდან მაქსიმალური ეკონომიკური ეფექტის (შემოსავლების) მისაღებად აუცილებელია ტურისტული დანახარჯების

გამოყენებით ნაციონალური, ადგილობრივი მომსახურებისა და საქონლის რეალიზაციის გზით რაც შეიძლება მეტი ფონდების ადგილობრივ ეკონომიკაში ინვესტირება. თუ რეგიონს შესწევს უნარი, თვითონ აწარმოოს ისეთი ტურპროდუქტი და მომსახურება, რომელიც მოთხოვნადი და კონკურენტუნარიანია ტურისტულ ბაზაზე, მაშინ მულტიპლიკატორული ეფექტიც საკმაოდ მაღალი იქნება, ხოლო ფულადი სახსრების მაღალი გაუონვა და დიდი მოცულობის იმპორტის განხორციელება ხელს უშლის მასპინძელი ტურისტული ქვეყნების განვითარებას.

დღეისათვის საქართველოში გაუონვის მაღალი მაჩვენებალია, რაც გამოწვეულია ჩავარდნილი ადგილობრივი წარმოებით, სატრანსპორტო კომპანიების და სასტუმროს სფეროს დაბალპროდუქტიულობით, ინფრასტრუქტურული აღჭურვილობით უზრუნველყოფა მთლიანად დამოკიდებულია იმპორტული საქონლის შემოტანაზე და ა.შ.

ტურიზმის დარგის ფართო მულტიპლიკატორული ეფექტი პირდაპირპროცესულადაა დამოკიდებული ტურისტული ინდუსტრიის განვითარების ხარისხზე. როგორც აღვნიშნეთ, ტურიზმის სისტემა კომპლექსურ ფენომენს წარმოადგენს, სადაც ბევრი განსხვავებული მონაწილეა, ხოლო მოთხოვნამიწოდება გეოგრაფიულად განცალკევებულია, თუმცა წარმოება და მოხმარება ხდება ერთსა და იმავე ადგილზე. ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის საწარმოს, გარდა ძირითადი ელემენტებისა, რომლებიც ქმნიან ვიზიტორთა შთაბეჭდილებებს, ესაჭიროება უამრავი რესურსი და ფაქტორი. მაგ., მუშახელი ძირითადი ფაქტორია, ხოლო მიწოდების სხვა ფაქტორები მოიცავს: სურსათისა და სასმელის მწარმოებლებს, ადგილობრივ ხელოსნებს, აღჭურვილობის მწარმოებლებს და სხვა. მიმწოდებლები ასევე ტურიზმის მარკეტინგული არხებით დაკავშირებული არიან ტურისტებთან, რომლებიც ძირითადად შედგება: შეუამავლებისაგან (ტურპერატორები, საცალო ვაჭრები, შეხვედრებისა და კონვენციების დამგებმავები და სხვა); ხელის შემწეობებისაგან, რომლებიც ეხმარებიან ტურიზმის სისტემას ეფექტურად ფუნქციონირებაში (ინფორმაციის ხაკადი, მარკეტინგი, ფული, ცოდნა) და სხვა დამაკავშირებული ელემენტები, რომლებიც მოიცავს განსხვავებული ტრანსპორტის სახეობასაც. ტურისტულ ელემენტებს წარმოადგენს ატრაქციების მრავალფეროვნება (ძირითადი ბუნებრივი ატრაქციები, ხელოვნური ატრაქციები, მიზნობრივად აგებული ატრაქციები და ა.შ.).

ტურიზმის დამხმარე ელემენტებია ასევე ტურისტული მომსახურების სიმძლავრეები, რომელთაც ასევე სუპერსტრუქტურასაც უწოდებენ. დამხმარე ფაქტორები და რესურსები ეხმარებიან ან ქმნიან საფუძველს, რომელზეც შესაძლოა აღმოცენდეს ტურიზმის წარმატებული ინდუსტრია. ეს კატეგორია მოიცავს ელემენტებს, რომლებიც აუმჯობესებენ ტურისტული დანიშნულების ადგილის სახეს. სიმძლავრეების ნაკლებობა შეუძლებელს ხდის ტურიზმის განვითარებიდან სარგებლის მიღებას. სიმძლავრეების მთავარ კომპონენტს განთავსების სექტორი წარმოადგენს (რომლის ხერხემალს წარმოადგენს სასტუმროს სექტორი), რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს რაოდენობით და ხარისხით, რათა უზრუნველყოს ტურისტული დანიშნულების ადგილზე ჩაეუდი ტურისტების მოთხოვნა.

განთავსების გარდა, ყველა ტურისტული დანიშნულების ადგილზე არსებობს სურსათისა და სასმელით მომსახურების საჭიროება (რესტორნები, კაფეები, ბარები და ა. შ.). განთავსებასთან ერთად, სურსათითა და სასმელით მომსახურება შეადგენს ტურისტული ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს – სშირად 40%-ზე მეტს. მოგზაურებს ესაჭიროებათ ასევე ბევრი სხვა მომსახურება, ამისათვის არსებობს უამრავი სხვა სიმძლავრე, როგორიცაა მაღაზიები, სამკურნალო დაწესებულებები, აფთიაქები, ბანკები, საპარიკმახეროები, თეატრები, კაზინოები, კინოთეატრები, სპორტული და დასვენების მომსახურებები და სხვა. ეს სიმძლავრეები ემსახურებიან როგორც ტურისტებს, ისე ადგილობრივ მოსახლეობასაც.

ტურიზმის განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ დამხმარე კომპონენტს ინფრასტრუქტურის განვითარება წარმოადგენს. ტრანიციულად, ტურისტული დანიშნულების ადგილი შედგება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა (საავტომობილო გზები, რკინიგზა, ტურების სანტრანსპორტო მომსახურება, აეროპორტები, საკრუზო ტერმინალები, ადგილობრივი სატრანსპორტო ქსელები, ტაქსები და ავტობუსები) და კომუნალური მომსახურებისაგან (ელექტროენერგია, წყალმომარაგება, ჯანდაცვა, კავშირგაბმულობის ქსელი, ნაგვის გატანა და სხვა). სხვა კომპონენტებისაგან განსხვავებით, ინფრასტრუქტურა არ იძლევა შემოსავლებს – იგი ხარჯიანია; ამიტომ, ტურიზმის განვითარების გადაწყვეტილების მიღებისას ამ მომსახურების ღირებულება ტურიზმის სარგებელთან უნდა იქნეს შედარებული. ამდენად, ხშირად ინფრასტრუქტურაში სამთავრობო ინვესტიციები და ზოგჯერ კი ტურიზმის მდიდარ მატერიალურ-ტექნიკურ

ბაზას სტიმულირებას უწევს მცირე ბიზნესის მრავალი საწარმოს ინვესტირება. ტურიზმში საწყისი ინვესტიციები მომავალში დამხმარე დარგებში კიდევ უფრო მეტ ინვესტიციას მოიზიდავს. აქ შედის მსხვილი ინვესტიციები ძირითად ოტელებში, რესტორნებში, საცაჭრო ცენტრებში, აეროპორტებში, პორტებში და ა. შ. ტურიზმის ხარჯზე გაუმჯობესებული რეგიონის ინფრასტრუქტურით სარგებლობს ასევე ადგილობრივი მოსახლეობაც.

შეულტიპლიკატორული ეფექტის თეორია გვიხსნის წარმოების ერთ სფეროში დანახარჯთა მასტიმულირებელი გავლენის არსებობას წარმოების გაფართოებასა და მისი სხვა სფეროში დასაქმების ზრდაზე. მთლიანი რეგიონული პროდუქტის შემადგენლობაში ამ დადებით მზარდ ეფექტს მულტიპლიკატორული ეფექტი ეწოდება. ტურიზმთან მიმართებაში ეს არის რიცხვობრივი კოეფიციენტი, რომელიც სხნის რამდენჯერ გაიზრდება ან შემცირდება მთლიანი რეგიონული პროდუქტი ტურისტული ფირმების მოგების ზრდას ან შემცირებასთან დაკავშირებით.

ტურისტების რაოდენობის განსაზღვრისათვის აუცილებელია განისაზღვროს ადამიანთა მოთხოვნილება ტურისტულ მომსახურებაზე, რომელიც გამოწვეულია სხვადასხვა მოტივებით. სოციალური დაკვირვებებით, ტურიზმის მოტივად ჩაითვლება დასვენება, ექსკურსიები, გაროობა, შემუცნებითი ტურები, მკურნალობა, სპორტი, მომლოცველობა, სტუმრობა და საქმიანი ვიზიტები, არქიტექტურული ძეგლები, ისტორიულ-კულტურული მოვლენების ადგილები. კველა ამ ობიექტზე, სადაც მდგრადი აღრაქციის ეს თუ ის სახე, უნდა განისაზღვროს ტურისტების რაოდენობა, ტურისტული ნაკადი რეგიონში სხვადასხვა გზით შემოდის, იმისდა მიხედვით, რომელი სატრანსპორტო არტერიაა მისთვის მისადები. ზემოთ ჩამოთვლილი მოტივები საჭიროა დაჯგუფდეს ნიშნობრივ ჯგუფებად და ასევე უნდა გამოიკვეთოს რეგიონისთვის კველაზე მეტად გაგრცელებული ტურისტული მიმართულება.

აუცილებელია, რეგიონში მოხდეს სტატისტიკურად შესასწავლი ტურისტული დარგების მახასიათებლების ორგანიზება. თუკი გეგცოდინება რეგიონში ჩამოსული ტურისტების რაოდენობა, მათი სტუმრობის ხანგრძლივობა და მათ მიერ დღიურად დახარჯული ფულადი თანხა, მაშინ გაადვილდება ტურისტული მომსახურების რეალიზაციის ამონაგების გათვლა.

იმის გამო, რომ რეგიონის მთლიანი შიდა პროდუქტი მტკიცდება სახელმწიფო ორგანოების მიერ წინა პერიოდის მი-

ხედვით, მულტიპლიკატორის ეფექტის გამოთვლის მონაცემებად შეიძლება გამოვიყენოთ შემაფასებელი მაჩვენებლები. როგორც წესი, წინა წლების მონაცემთა მაჩვენებლებსა და ახალ მაჩვენებლებს შორის ცდომილების სიდიდე შეადგენს 3-5%-ს, რაც არსებითად არ აისახება მულტიპლიკატორის მნიშვნელობაზე.

თეორიულად, მულტიპლიკატორული ეფექტი ტურიზმში უდავოა, მაგრამ მისი გამოთვლის დროს ვაწყდებით გარკვეულ სიძნელეებს, აუცილებელია მოხდეს ჩამოსული ტურისტების ზუსტი სტატისტიკური აღრიცხვა. ეს შესაძლებელია, თუ ტურისტი მოგზაურობს თვითმფრინავით, მაგრამ თუ ის სხვა ქვეყნიდან შემოღის მანქანით ან მატარებლით, მაშინ მისი აღრიცხვა პრაქტიკულად შეუძლებელია. ამასთანავე, ასე შემოსული ტურისტი დამეს ათენებს ახლობლებთან, მეგობრებთან და ფულს ხარჯავს სუვენირების შესაძენად და ექსკურსიებისათვის. ვაქტობრივად, რეგიონში ყოველი ტურისტული დანახარჯის ეფექტის მიახლოებული გამოთვლა შესაძლებელია რეგიონში რეალიზებული მომსახურების, საქონლის, სასტუმროში დაკავებული საწოლების, ტურ-ფირმების მიერ გაყიდული ექსკურსიების მთლიანი მოცულობიდან, რაც საკმაოდ რთულია. ამიტომ, საჭიროა, შემუშავდეს ამ ინფორმაციების მოპოვების გარევეული მექანიზმები ორივე მხრიდან.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ დღეს საქართველოში ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას რეგიონული განვითარება წარმოადგენს. ჩვენი რეგიონების უდიდესი ტურისტული პოტენციალი საშუალებას იძლევა, რომ წარმატებით განვითაროთ აგროტურიზმი, სოფლის ტურიზმი, ეკოტურიზმი, ეგზოტიკური ტურიზმი, სათავებადასავლო ტურიზმი, ღვინის ტურიზმი და სხვა. ჩვენ პრიორიტეტს ამ შემთხვევაში ვანიჭებთ აგროტურიზმის და შემდგომში აგროტურისტული კომპლექსების განვითარებას, უკანასკნელი საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ რა როლი შეიძლება შესარულოს ტურიზმის მულტიპლიკატორულმა ეფექტმა რეგიონში პროგრესული დარგობრივი სტრუქტურის განვითარებაში და ეკონომიკის სხვადასხვა ურთიერთდაკავშირებული დარგების სტიმულირებაში. ჩვენი აგროტურიზმის კომპლექსური განვითარების უპირატესობას გამოვყოფთ, როგორც დამხმარე დარგს რეგიონებში სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის.

მსოფლიო ეკონომიკაში ადგილისა და როლიდან გამომდინარე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრუქტურია აგროტურიზმი და აგროტურისტული კომპლექსი, რომელსაც მოცულობისა და

ხვედრითი წილის ზრდის მკაფიოდ გამოხატული კანონზომიერება გააჩნია. შიდა დივერსიფიკაცია იძლევა საშუალებას, განხორციელდეს ისეთი ცვლილებები ძველ სტრუქტურებში, სადაც ადრე დამხმარე როლის შემსრულებელი დარგები ახალ ფორმირებებში გახდა წამყვანი ელექტრონური და წარმოების ინტეგრაციონი. მაგ., აგროტურიზმი აგროსამრეწველო კომპლექსში ტრადიციულად წარმოადგენს დამხმარე ქვედარგს, ხოლო აგროსამრეწველო და ტურისტული კომპლექსების გაერთიანებაში (რომელიც აერთიანებს სხვადასხვა მიმართულებებს: კულტურა, ჯანდაცვა, ეკოლოგია, ტრანსპორტი, სპორტი და სხვა) კი ის წარმოქმნის ახალ სტრუქტურულ სისტემას, რომლის დამაკავშირებელი რგოლია თვითონ აგროტურიზმის დარგი, გამომდინარე მისი მულტიპლიკატორული თვითებებიდან. ის ასევე ტურისტული რეგიონული ეკონომიკის ტრადიციული შემადგენერელი ნაწილია და დიდწილად განსაზღვრავს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლების ზრდას. 1972 წლიდან აგროტურიზმი ეკონომიკის პრაქტიკაში გამოიყო როგორც დარგი, სადაც ადამიანი ისვენებს სოფლის წიაღში და მონაწილეობას იღებენ სამეურნეო საქმიანობაში (მაგ., მონაწილეობა მოსავლის აღებაში). გამომდინარე იქიდან, რომ აგროტურიზმის სექტორი გამოიყენებს ბუნებრივ კულტურულ-ისტორიულ და რეგიონების სხვადასხვა რესურსებს, იგი ქმნის სპეციალურ კომპლექსურ ტურისტულ პროდუქტს, რომელიც უნდა მოიხმაროს ტურისტმა სოფლის ფარგლებში განთავსებისას. მცირე ქალაქებიც შედის რეგიონის სასოფლო დასახლებაში და შესაბამისად მათი ტურისტული რესურსები სოფლის რესურსებთან ერთად ქმნიან მთლიან ტურისტულ ტერიტორიას. აგროტურიზმი განთავსების ადგილას ტურისტებს სთავაზობს კომპლექსურ მომსახურებას დასვენების, კვების, საექსკურსიო გასეირნების, გასართობი დონისძიებების, სპორტული ღონისძიებების დროს; ასევე აქტიური ტურიზმით დასვენებას; მეთევზეობის, ნადირობის, ცხენოსნობის, ადგილობრივი რეწვის, კულინარიის შეთავაზებით ადგილობრივი წეს-ჩვეულებების გაცნობას.

აგროტურიზმი ინტეგრირებული დარგია სოფლის მეურნეობის სტრუქტურაში და ბევრ შემთხვევაში იგი სერიოზულ როლს ასრულებს მისი სტრუქტურის შექმნაში. აღსანიშნავია, რომ ტურიზმის დარგში ჩადებული საშუალებები და სახსრები რამდენადმე უფრო სწრაფად ამოიგება, ვიდრე ის საშუალებები, რომლებიც ჩაიდო სოფლის მეურნეობაში, რის გამოც იგი

სოფლის მეურნეობის კონკურენტი ხდება. მაგრამ, ის კონკურენტი არ გახდება იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა გამოიყენებს უკელა ბერკეტს და საშუალებას ტურიზმიდან შემოსავლების ოპტიმიზაციის და მაქსიმიზაციისათვის; გაითვალისწინებს უკელა დანახარჯს, რაც შეიძლება გამოიწვიოს მისმა განვითარებაში. ისინი დიდი ყურადღებით უნდა იქნენ შესწავლილი, რათა კარგად ჩავწვდეთ ოპტიმიზაციის პრობლემას, რომელიც დგას მიმღები ქავების წინაშე. აქ საჭიროა, ყურადღება გამახვილდეს ე.წ. ტურიზმის „მონოკულტურაზე“, მიწაზე, რესურსებზე, კაპიტალზე. ზოგჯერ კონკრეტულ შემთხვევაში ტურიზმი ჩაგრავს სოფლის მეურნეობას და ადგილობრივი მცხოვრებლების სხვა ტრადიციული შემთხველების წყაროს. ტურიზმის ინდუსტრიაში მაღალი ხელფასები იზიდავს ადამიანებს, რაც ხდება სოფლის მეურნეობიდან მუშახელის გადინების წყარო, შედეგად მცირდება სოფლის მეურნეობის პროდუქციის რაოდგნობა, მაშინ, როდესაც მასზე მოთხოვნა პირიქით იზრდება ისევ ტურისტების სარჯზე. ამავე დროს, ნაწილობრივ ან მთლიანად ირდვევა ცხოვრების ტრადიციული წესები და ასევე ბუნებრივი ლანდშაფტი მასიური ტურიზმის ცენტრებში, ტურიზმის „მონოკულტურა“ თვითონ არდვევს თავისი არსებობის საფუძველს, მაგრამ ოპტიმიზაციის პირობების დაცვის შემთხვევაში აგროტურიზმი, პირიქით, ასე ვთქვათ, გამწევ ძალადაც კი შეიძლება ჩაითვალოს ნახევრად დაშლილი სოფლის მეურნეობის სისტემისა. მრავალფეროვნება არის ეკონომიკური სტაბილურობის საფუძველი. აგროტურიზმის წარმომადგენლები წინასწარ გეგმავენ დამსვენებლების სასურსათო უზრუნველყოფას (რეგიონში ადგილობრივი სოფლის მეურნეობის წარმოების მოცულობის გაზრდის სარჯზე) და საშუალებების იმ ნაწილს, რომლებიც იდება აგროტურიზმის განვითარებით ძირითად სასოფლო წარმოებაში, რითაც ხდება ე.წ. სოფლის მეურნეობის დარგის თვითდაფინანსება.

აგროტურიზმი მიმართულია სხვადასხვა ტიპის სასაქონლო პროდუქციის წარმოებაზე და განთავსების წყაროდ ის იუქნებს აგროტურისტულ სოფლებს, აგროტურისტულ ცენტრებს, აგროტურისტულ კომპლექსებს. უკანასკნელი ახალი წარმონაქმნია პოსტკომუნისტური ქვეყნების აგროეკონომიკაში.

როგორც ადგნიშეთ, აგროტურისტული კომპლექსი წარმოადგნენს აგროსამრეწველო და ტურისტული კომპლექსების ერთობლიობას, სადაც აგროტურიზმი მათი დამაკავშირებელი რგოლია. იგი წარმოადგენს სისტემას, რომელიც აერთიანებს

სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო და სოციალური სფეროს ტურიზმს. მას შეძლია კერძო მეწარმეს მოუტანოს მაქსიმალური მოგება და გადაწყვიტოს მისი სოციალური პრობლემები. ამ კომპლექსში გაერთიანებულია ის სასოფლო და არასასოფლო დანიშნულების მიწები, გადამამუშავებელი საწარმოები და ინფრასტრუქტურა (გზები, ტრანსპორტი და სხვა.), რომლებიც განლაგებული სოფლის ტერიტორიაზე, აგრეთვე ტურისტული მნიშვნელობის მატარებელი ბუნებრივი რესურსები, ისტორიულ-კულტურული ძეგლები (საქართველოში 12 000 ისტორიული და ორქიტექტურული ძეგლია, 2400 მინერალური სამეურნალო წყალი, 150 მუზეუმი, 182 კურორტი, 19 ნაკრძალი და 7 ეროვნული პარკი. ქვეყანაში თავმოყრილია მსოფლიოში არსებული თითქმის ყველა სამედიცინო კურორტის ანალოგი სამეურნალო წყალი, უნიკალური ბუნებრივი კლიმატური პირობები).

აგროტურისტული კომპლექსი მოიცავს ასევე მომსახურების სფეროს, რომელიც სოციალური სფეროს შემადგენელი ნაწილია მონათესავე ისეთ ქვედარგებთან ერთად როგორიცაა ჯანდაცვა, კულტურა, საბინაო სფერო, ვაჭრობა, ტრანსპორტი, განათლების სფერო. ტურისტული მომსახურების მოთხოვნილება პირდაპირ კაშირშია მოსახლეობის შემოსავლების დონესა და გადამხდელუნარიანი მოთხოვნილების მაჩვენებელთან (სამწევებრივ, საქართველოში შეიმჩნევა გადამხდელუნარიანი მოთხოვნილების შემცირება, უფრო მეტიც, საექსპერტო მონაცემებით, იზრდება ტურისტული მომსახურების მდიდარ და დარიბ მომხმარებელის დიფერენციაცია, რაც უარყოფითად ზემოქმედებს ტურისტული სისტემის განვითარებაზე). აგროტურისტული კომპლექსის ფორმირების საფუძველს წარმოადგენს შესაბამისი მომსახურების წარმოებიდან აგროტურისტული მომსახურების, ცალკეული დარგებისა და ქვედარგების გამოყოფა. მომსახურების ეს სფერო, სხვა ქვედარგებთან ერთად, არის შემადგენელი ნაწილი სოციალურ-ეკონომიკური სფეროსი. ამასთან, აგროტურისტული კომპლექსი ფორმირდება ეკონომიკის სხვა სეგმენტების როგორც ფუნქციონალური, ისე დარგობრივი ურთიერთკავშირის ფარგლებში. კომპლექსის ფუნქციონირება სტიმულს აძლევს მონათესავე დარგების განვითარებას, რაც ხელს უწყობს ამ დარგში მნიშვნელოვანი მულტიპლიკატორული ეფექტის (სოციალურ-ეკონომიკური) მიღებას.

აგროტურისტული კომპლექსი აერთიანებს 4 სფეროს:  
პირველი სფერო – წარმოების საშუალებების წარმოება  
– ტურისტთა განთავსების საშუალების, სპორტული ინვენტა-

რის, მოწეობილობების, ტრანსპორტის. წარმოების ძირითადი საშუალებების განსაკუთრებულ წყაროს წარმოადგენს მიწა, სარეკრეაციო რესურსები;


მეორე სფერო – ტურისტული პროდუქტის წარმოება, მარშრუტების დაგეგმვა, ჩამომსვლელთა პროგრამების შემუშავება ან რეგიონული ტურიზმის უფრო ფართო განვითარების პროგრამის შედგენა;

მესამე სფერო – ტურისტული მარშრუტების ათვისება, საცდელი ტურების გამართვა;

მეორე სფერო – ინფრასტრუქტურის კომპლექსი: ტურების გატანა აგროტურისტულ ბაზარზე, სარეკლამო კამპანიის გამართვა, მონაწილეობის მიღება სხვადასხვა გამოფენებსა და ფესტივალებზე.

აგროტურისტულ კომპლექსში ერთვება აგრეთვე სოციალური სფერო: საცხოვრებელი, კულტურა, განათლება, სპორტი და სხვა, ასევე მოიცავს ისეთ არატრადიციულ ქვედარგებს: როგორიცაა მეთევზეობა, ნადირობა, საცხენოსნო სპორტი, საწყალოსნო-სპორტული, სატექნიკურიზმი, დამზადება-გადამუშავება და ა.შ. (სქემა 1) [2]. ჩვენ მიერ აღნიშნულ სქემაში შეტანილი ცვლილება განპირობებულია იმით, რომ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ნათლად წარმოგეხინა განათლებისა და ჯანდაცვის, კომუნიკაციის ადგილი და როლი აღნიშნულ კომპლექსში.

არატრადიციული სამეცნიერო საქმიანობა მოსახლეობას დააინტერესებს იმაში, რომ მათ ხელი მიჰყონ სამრეწველო მიზნით გარეული ფრინველებისა და ნადირის მოშენებას შიდა მეურნეობებში, შემდგომ კი ტურისტებისა და დამსვენებლები-სათვის გამართონ ნადირობის ტურები, ამ საქმიანობამ საკმაო გავრცელება პოვა ყოფილ იუგოსლავიაში, კანადაში, ავსტრიაში და ბევრ სხვა ქვეყანაში, რამაც ხელი შეუწყო მათი სამეწარმეო შემოსავლების ზრდას (საერთაშორისო შემოსავლების დონე 50-70% აღწევს), ასევე საინტერესოა თევზჭერის, ცხენოსნობის ტურების შეთავაზება. საქართველოში ნადირობის ტურებთან ერთად ასევე შეიძლება ტურისტებს შევთავაზოთ თექისა და ხალიჩების ქსოვის, მეაბრეშუმეობის, მეუწერების, თიხის დამუშავების და სხვა ტურები.



აგროტურიზმის განვითარება როგორც პირდაპირ, ისე ირიბად დაკავშირებულია რეგიონებში სოფლის მეურნეობისა და გადამშუშავებელი წარმოების აღდგენასა და განვითარებასთან.

აგროტურიზმის განვითარების ეფექტიანობას განაპირობებს 1 ჰა მიწის ფართობიდან მიღებული შემოსავალი, ეს კი შეიძლება გათვალისწინებული იყოს იმ რეგიონებში, სადაც არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები შეიძლება ტურისტული მიზნით იყოს გამოყენებული, მთო უმეტეს თუ მასზე არსებობს რაიმე კულტურული მემკვიდრეობის ტურისტული დირსშესანიშნაობა.

დღეს აგროტურიზმი აქტიურდ განვითარებადი დარგია. მსოფლიო პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ეკოროპაში, რომელიც დარგის განვითარების პიონერია, აგროტურიზმის განვითარება დაიწყო მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში მომხდარი ძირული ცვლილებების გამო (სოფლის მეურნეობის წარმოების კრიზისი, ტურპროდუქტების მორალური ცვეთა და მისი მოდერნიზაციის აუცილებლობა), ასევე საზოგადოებაში სოციალური ძვრების გამოც – ქონებრივი დაყოფა. აგროტურიზმის განვითარების ფაქტორად წარმოგვიდგა რესურსების არსებობა საზღვრისპირა რაიონებში და იმ ქვეყნებთან სიახლოვე, სადაც არის სხვა სოციალ-ეკონომიკური განვითარების დონე. ისეთმა წამყვანმა ქვეყნებმა, როგორიცაა იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი, საბერძნეთი, კვიპროსი და ა.შ., სადაც აგროტურიზმი განვითარების მაღალ საფეხურზეა, აგროტურიზმა განვითარების 2 კონცეფცია გამოიარა: **პირველ ეტაპზე**, რომელიც 20 წელი გაგრძელდა, ეს ტურისტული მიმართულება სოფლის მეურნეობის დამხმარე დარგად ჩამოყალიბდა. ძირითად ფერმერულ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან ერთად, ტურისტებისათვის მომსახურება თანმდევი პროცესი გახდა, რაც საშუალებას აძლევდა ფერმერებს, ნაკლები ინვესტიციებით და დანახარჯებით გაეუმჯობესებინათ ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობა. პირველ ეტაპზე მცირე სასოფლო-სამეურნეო საწარმოები – კერძო დამხმარე მეურნეობა, ფერმერული გლეხური მეურნეობები, სასოფლო-სამეურნეო სამომხმარებლო კოოპერატივები თავიანთი რისკისა და შიშის ფასად იწყებენ ტურისტული სასიათის სამეწარმეო საქმიანობას. ამ შემთხვევაში აგროტურიზმი ვითარდებოდა საკუთარი რესურსების ბაზაზე ყოველგვარი გარეგანი ინვესტიციების მოზიდვის გარეშე. თუმცა ტურისტთა ნაკადის მოზიდვის შესაძლებლობა მცირე იყო.

ტურისტული საქმიანობის შედგები ტუროპერატორებისა (ტურების დამუშავებით) და ტურაგენტების (საგზურების გაყიდვა) დახმარებით შედარებით უმჯობესდებოდა, მაგრამ პრაქტიკამ აჩვენა, რომ პოტენციური დამსვენებლებისათვის დასვენების ფორმების კარდინალური გაუმჯობესება გარდაუვალი იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში მოთხოვნა აგროტურისტულ მომსახურებაზე ისევ დაბალი იყო და მცირერიცხოვან მოყვარულთა დონეზე რჩებოდა განვითარების ტემპიც.

აგროტურიზმის განვითარების მეორე ეტაპი გვთავაზობს განვითარების კომპლექსურ ფორმას, სადაც ეს დარგი გამოიდის არა როგორც წარმოების დამხმარე, არამედ როგორც ერთერთი წამყვანი ბიზნესი, რომელიც უზრუნველყოფს რეკრეაციული მომსახურების მაქსიმალურ საშუალებებს, რომელიც თავის თავში მოიცავს ტურისტისთვის სოფლის ცხოვრების საინტერესო ასპექტებს. მაგ., ხელსაყრელი ეკოლოგიური და ესოფტიკური პირობების არსებობა, სოფლის ცხოვრებასთან შეგუების შესაძლებლობა და მისი გამრავალფეროვნება (ცხენით გასეირნება, მეთევზეობა და ა.შ.), ასევე ადგილობრივი წარმოების სასურსათო პროდუქტების ხელმისაწვდომობა, ადგილობრივი ეთნოგრაფიული და კულტურულ-ისტორიული ღირსშესანიშნაობების გაცნობა და ა.შ.. აგროტურიზმის მეორე ეტაპის განვითარება განაპირობა უფრო მეტად ორმა მიზეზმა: 1. ჰკვეთრად გაიზარდა ინტერესი ბუნებაში დასვენებისა და ეკოლოგიურად სუფთა სასურსათო პროდუქციის მიმართ. 2. შემცირდა ინტერესი სტანდარტული დასვენების ფორმების – „საპლიაზო“ ტურიზმისა და საქალაქო ექსკურსიების პროგრამების მიმართ.

ეს ორი ეტაპი ურთიერთგაგრძელებაა ერთი და იმავე პროცესისა და ამ ეტაპების განვითარების პრინციპით თთოქმის ყველა ქვეყნისთვის ერთია, თუმცა აგრარული ტურიზმის სექტორი მეტად მრავალფეროვანია და ყველა ტურისტულ ქვეყანას მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური აგროტურიზმული პროდუქტი გააჩნია, რომლის გათვალისწინება აუცილებელია აგროტურიზმის შემდგომი განვითარებისათვის. აგროტურიზმის განვითარებისათვის სახელმწიფო დახმარება ატარებდა სოციალურ ხასიათს და დღემდე სახელმწიფო დახმარების პოლიტიკა შეგნებულად ორიენტირებულია ეკონომიკურად ჩამორჩენილ რეგიონებზე. ასეთი პოლიტიკის საფუძველი არის ადგილობრივი აგრარული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის დაკარგვა და სოფლის მეურნეობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით მისი რესტრუქტურიზაციის აუცილებლობა, რამაც გა-

ნაპირობა მუშახელის შემცირება ძირითად წარმოებაში და მისი დეფიციტი სოფლის მკვიდრებში. ასეთ პირობებში აგროტურიზმი რჩება ეკონომიკური საქმიანობის ალტერნატიულ სახედ, რომელსაც შეუძლია მხარდაჭერა გაუწიოს ჩამორჩენილი რეგიონების შემოსავლებს.

დღეს მსოფლიოში აგროტურიზმის მიმართ გაზრდილმა ინტერესმა განაპირობა მისი საფუძვლიანი გარდაქმნა. წამყვან ტურისტულ ქვეყნებში იგი გადაიქცა ერთ-ერთ წამყვან ბიზნესად მთელი მისი კუთვნილი მოწყობილობით: რეკლამით, მარკეტინგით, კვალიოფიციური კადრებით, მზანდასახული პოლიტიკით და ა. შ. მსხვილი ინვესტიციების ხარჯზე მთლიანად შეიცვალა ტურისტთა განთავსების ობიექტები, რომლებიც უბრალო დასასვენებელი 3-4 ადგილიანი საოჯახო სახლებიდან გადაიქცა კეთილმოწყობილ მინისასტუმროებად და ტურისტულ კომპლექსებად, რომლებიც ტურისტებს აძლევს საშუალებას, დაკავდნენ სპორტით, ექსკურსიებით, გაისეირნონ ცხენით, დალაშქრონ მიმღებარე ტერიტორიები და მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა ბაზრობა-გამოფენებზე, მათ ასევე შეუძლიათ შეიძინონ სამახსოვრო სუვენირები. მაგ., იტალიაში შემუშავებულია 70 ღვინის გასტრონომიული პროფილის ტური. ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში აგროტურიზმი გახდა კონკურენტუნარიანი და დამოუკიდებელი მომსახურების სფერო, მეორე ტალღის ასეთი ლიდერები გახდნენ საერთაშორისო ტურიზმის ლიდერი ქვეყნები, მათ შორის საბერძნეთი და კვიპროსი, სადაც ტურიზმიდან ყოველწლიური შემოსავლები შეადგენს დახლოებით 12 მილიარდ აშშ დილარს და მშპ-ის 8%, ამ სექტორში დაკავებულია ქვეყნის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 20%. მათ ასევე გააჩნიათ სოფლად ორგანიზებული დასვენების საკუთარი პროგრამა.

გამომდინარე უცხოური ქვეყნების გამოცდილებიდან, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქართველოც აგროტურიზმის განვითარების ეტაპებს ისე გაივლის, რომ გათვალისწინებული იქნება ყოველი ტურისტული რეგიონის ტურისტული პროდუქტის სპეციფიკა და მოხდება მის წინაშე დასმული ამოცანის (აგრარული რეგიონის სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის იმპულსის მიცემა, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, უმუშევრობის, მიგრაციის და იმ ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრა, რომლებიც ანადგურებს სოფლების ეკონომიკას) განხორციელება, ასევე გაივლის ეროვნული აგროტურიზ-

მის განვითარების ისეთ ეტაპსაც, როდესაც შეიქმნება მთლიანი აგროტურისტული კომპლექსი.

დასავლეთ ევროპაში მისი წარმატებული განვითარება განპირობებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება-გადამუშავების ხელშეწყობით, რაც საქართველოში არ ხდება, ამიტომ ჩვენი ქვეყნისათვის უფრო ლოგიკური იქნება სოფლის მურნეობის წარმოებისა და აგროტურიზმის ერთობლივად განვითარება, რამდენადაც ადგილზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასები ბევრად დაბალია ქალაქის საცალო ვაჭრობის ფასებთან შედარებით, ამიტომ, თუ რეგიონებში გაწეული მომსახურება გაერთიანდება ადგილზე წარმოებულ სასოფლო-სამეურნეო საკებები პროდუქციის გასაყიდ ფასთან, მაშინ ბაზარზე მივიღებთ მაღალკონკურენტუნარიან იაფ ტურპროდუქტს. ასეთი ტიპის ერთობლივი წარმოება მაღალრენტიბულურია იმ შემთხვევაშიც კი, თუ ერთ-ერთი კომპონენტის წარმოება მეტ-ნაკლებად წამგებიანია.

საქართველოში აგროტურიზმის განვითარება სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით მაქსიმალური ეფექტის მომცემია იმ შემთხვევაში, თუ დარგის განვითარება წარიმართება არა სპონტანურად, არამედ ადგილობრივი რეგიონული, ეროვნული ან საერთაშორისო დონზე შემუშავებული გრძელვადიანი, თანმიმდევრული სტრატეგიული პროგრამებით და გეგმებით. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ გამხდარა სათანადოდ შესწავლის საგანი საქართველოში აგრარული ტურიზმის ფორმირების თავისებურებები, მისი ეფექტური განვითარება და ეკონომიკურ აგრარულ სექტორზე მისი გავლენა. ნაკლებადაა შესწავლილი აგროტურიზმის არსებითი მნიშვნელობა, ტურისტული მომსახურების მულტიპლიკატორული ეფექტი და მისი ეკონომიკური მხარე. ქვეყანაში არ არის შემუშავებული სახელმწიფო რეგულირების სრულყოფილი მეთოდები და არ არსებობს აგროტურიზმისა და აგროტურისტული კომპლექსის განვითარების მოდელი, შესაბამისად, არც სასოფლო ტერიტორიებისა და განსაკუთრებით ეს ექვება საზოგადოებრივი, ეკონომიკური და აგროეკონომიკური ქსელის ურთიერთდამოკიდებულების სპეციფიკას.

მიგვაჩნია, რომ:

1. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების პოლიტიკა ადგილობრივ რეგიონულ და ეროვნულ დონეზე წარმოადგენს აგროტურიზმის მამოძრავებელ ძალას. კერძოდ, ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პროგრამების შემუშავებისას გათვა-

ლისწინებული უნდა იქნეს აგროტურიზმის განვითარებისათვის ფუნანური დახმარების სხვადასხვა წყაროები, პირველ რიგში იგულისხმება ინვესტიციები.

2. საჭიროა მოხდეს დარგთაშორისი მიდგომის ანალიზი:

1. ტურისტული ობიექტების თანამედროვე მდგომარეობის შეფასება და 2. მისი განვითარების პერსპექტივების განსაზღვრა.

3. ასევე მივიჩნევთ, რომ საქართველოში სასოფლო ტურიზმის განვითარება შეუძლებელია მცირე, საშუალო და ერთობლივი საწარმოების განვითარების გარეშე. სწორედ ამ საწარმოების მცირე აგრობიზნესი შეიძლება გახდეს არა მხოლოდ აგრობიზნესის არამედ, ასევე მთაგორიანი რეკინგებისათვის ახალი და მივიწყებული დარგების განვითარების ფაქტორი, როგორიცაა, მაგ., მეხილეობა, მეცხოველობა, მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა, და სხვა.

4. აუცილებელია ასევე, მოხდეს ტურისტული ტერიტორიების ადმინისტრაციულ რაიონებად დაყოფა და მათთვის ბიზნესგეგმების შემუშავება, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება ტურისტული მომსახურების მიკროზონების სპეციალიზაცია, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი გახდება, სრული ოპტიმიზაციის ფარგლებში, ეკოლოგიური, ბუნებრივ-კლიმატური რესურსების, წყლების, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი, აგროტურისტულ და სხვა ტიპის ობიექტების ჩართვა. ამ ადმინისტრაციული მიკროზონების ურთიერთ-დაკავშირება კი მოხდეს სხვადასხვა ტურისტული მარშრუტების დაგეგმვით.

5. ყოველივე ზემოთ აღნიშნულთან ერთად, აუცილებელია, გათვალისწინებული იყოს მიმღები ტურისტული რეგიონების ადგილობრივი მოსახლეობის, ფერმერების აზრი, შესაბამისად მოხდეს მათი დაინტერესების და საგანმანათლებლო გადამზადების კურსების ჩატარება.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. <http://www.kmvline.ru/lib/turizm/42.php>
2. Организационно-экономические основы развития аграрного ...  
[www.dissers.ru/avtoreferati-dissertatsii-ekonomika/1/116.php](http://www.dissers.ru/avtoreferati-dissertatsii-ekonomika/1/116.php)
3. Комплексное развитие **туризма** в сельской местности  
[institutiones.com](http://institutiones.com/) > Анализ
4. Мультиликатор туризма - (КарНЦ) РАН  
[www.krc.karelia.ru/doc\\_download.php?...](http://www.krc.karelia.ru/doc_download.php?...)

6. მარგველაშვილი გ. ტურიზმის ეკონომიკა. თბილისი, 2012.

7. დოლიკაშვილი ლ., ჩებურიშვილი ნ., დვინჯილია გ. ტურიზმის ეკონომიკა. თბ., 2009.

8. ქველაძე ქ. აგროტურიზმის გავლენა რეგიონების აგროეკონომიკურ პოლიტიკაზე. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება, II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, შრომების კრებული, თბ., 2013.

9. Лекция 2. Экономические функции *туризма*  
[edu.dvgups.ru/METDOC/CGU/SOTS\\_KULT...TURIZM/.../2.htm](http://edu.dvgups.ru/METDOC/CGU/SOTS_KULT...TURIZM/.../2.htm)

*Ketevan Kveladze*

## THE MULTIPLICATOR ROLE OF TOURISM IN THE DEVELOPMENT OF COUNTRY'S PROGRESSIVE SECTORAL STRUCTURE

### Annotation

The paper considers tourism as a complex specific structure, which is interconnected with other economic sectors; As an economic sector, its multiplicator role is in determining the effectiveness of theoretical aspects of the progressive development of the economic sector. In particular, it focuses as a subsidiary sector, on multiplicator role of agritourism in the development of agriculture in regions and the revival of forgotten economic sectors of the local economy (Silkworm breeding, bee-keeping, local handicrafts, sheep breeding, clay production etc.)

თეა ლაზარაშვილი  
მედუსა მელაშვილი.  
შცხოური ინგესტიციები და მისი მოზიდვის გაუმჯობესების  
პირითადი მიმართულებები საქართველოში

გლობალიზაციის პირობებში თანამედროვე ეტაპზე უცხოური ინვესტიციების როლი მნიშვნელოვნად გაიზარდა. უცხოური ინვესტიციები, შიდა ინვესტიციებთან ერთად, აქტიურად მონაწილეობენ კვლავარმოების პროცესში და ეროვნული ეკონომიკების განვითარებაში.

უცხოური ინვესტიციები როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში ხორციელდება, მაგრამ, მათი მოზიდ-

ვის პოლიტიკა, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნებისათვის, ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი გახდა, რომლის მეშვეობითაც ცდილობენ უზრუნველყონ ქვეყნის ეკონომიკური ზრდა. უცხოური კაპიტალის მოდინება, პირველ რიგში, კონკურენტუნარიანობის წყაროს წარმოადგენს როგორც უცხოური ინვესტორების, ისე იმ ეკონომიკებისათვის, რომლებიც დატულობენ ამ ინვესტიციებს.

უცხოელი ინვესტორების ინტერესები მიმართულია საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკებში კაპიტალის ნაკადების უზრუნველყოფისაკენ. ეჭვგარეშეა, რომ საზღვარგარეთის კომპანიის ინვესტიციებმა უნდა უზრუნველყონ მათი ეკონომიკური საქმიანობის კონკურენტუნარიანობის ზრდა, რაც დაფუძნებულია მთელ რიგ უპირატესობებზე, რომლებიც საზღვარგარეთ მათი საქმიანობის განხორციელებასთანაა დაკავშირებული. თუკი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ინვესტიციების განმახორციელებელი კომპანიისათვის კონკურენტუნარიანობის წყაროს წარმოადგენს, მაშინ საინტერესოა, რა შედეგი მოაქვს მას იმ ქვეყნებისათვის, სადაც ეს ინვესტიციები ჩაიდება?

თავდაპირველ ეტაპზე განვითარებად ქვეყნებს უარყოფით დამოკიდებულება გააჩნდათ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმართ, რადგან მას ექსპლუატაციის ფორმად მიიჩნევდნენ, თუმცა უგანასწერებ პერიოდში ასეთი დამოკიდებულება მკეთრად შეიცვალა და განვითარებადი ქვეყნები უკვე აქტიურად ცდილობენ მოზიდონ რაც შეიძლება მეტი ინვესტიცია თავიანთ ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად. უცხოური ინვესტიციების გამოყენება იმისდა მიხედვით, თუ რა ფაქტორები მოქმედებენ, შეიძლება გახდეს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგის მომტანი. უცხოური ინვესტიციების მთავარ მიზანს კონკურენტუნარიანობის გაზრდის საფუძველზე შემოსავლების გაზრდა წარმოადგენს. ამ მიზნის რეალიზაციის გარეშე კომპანიებს არ ექნებოდათ ინტერესი, გაეფართოებინათ საზღვარგარეთ თავიანთი საქმიანობა. ამასთან ისიც უდაოა, რომ ნებისმიერი ქვეყანა, სადაც ხორციელდება უცხოური ინვესტიციები, დაინტერესებულია საკუთარი ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზებაში, რომლის სტრატეგიულ მიზანს ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება წარმოადგენს.

ინვესტიციების მიღებით გამოწვეული შედეგი, რომელსაც ქვეყნის ეკონომიკა აღწევს, შეიძლება სხვადასხვა პარამეტრებში აისახოს. თუმცა, მათგან მთავარი ის ფაქტია, რომ უცხოუ-

რი კაპიტალი ხელს უწყობს ოქსურსების გამოცემების მოცულობისა და ხარისხის გაზრდას და წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

შედეგს, რომელსაც დებულობენ ინვესტიციის მიმღები ქვეყნები, წარმოადგენს ინვესტიციის განხორციელებისათვის საჭირო კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილის დაფარვა. უცხოური ინვესტიციები აგრეთვე ხელს უწყობს სამამულო საწარმოების ინვესტიციების მოცულობის ზრდას და უცხოელ და სამამულო სამეურნეო სუბიექტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას.

სულ უფრო მეტად იზრდება უცხოური ინვესტიციების როლი კაპიტალის ოქსურსების ზრდაში, რაც მსხვილ კომპანიებს შორის კონკურენციის შედეგია.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებისას, დადგებითი შედეგი გამოიხატება სამუშაო ადგილების გაზრდაში.

როგორც ცნობილია, პროდუქციის კონკურენტუნარიანობა განვითარებად ქვეყნებში, განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, გაცილებით დაბალია, რაც ძირითადად იმ ტექნიკა-ტექნოლოგიებითაა გამოწვეული, რომელსაც ეს ქვეყნები გამოიყენებენ. სწორედ ტექნოლოგიებს მიიჩნევენ ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის მთავარ ფაქტორად.

ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ მსხვილი ტრანსნაციონალური კორპორაციები მოწინავე ტექნოლოგიების ყველაზე დიდი მწარმოებლები და მომსხმარებლები არიან, რაც მათ კონკურენტუნარიანობას განაპირობებს საერთაშორისო ბაზრებზე. ეს უპირატესობა კი მდგომარეობს იმაში, რომ დაგროვებული გამოცდილება და მთავარი ბაზრების დაყრობა საშუალებას აძლევთ მათ, მუდმივად განახორციელონ ახალი ტექნოლოგიების შემუშავება, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს მათი შემსავლების ზრდას.

მსოფლიო მასშტაბით, სამეცნიერო კვლევებზე, რომლებიც მოწინავე ტექნოლოგიების შექმნის საფუძველია, სულ უფრო მეტად იზრდება თანხები, ამიტომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით არა მარტო კაპიტალის, არამედ მოწინავე ტექნოლოგიების მოზიდვაც ხორციელდება ეკონომიკაში. ტრანსნაციონალური კომპანიების წვლილი მოწინავე ტექნოლოგიების მოზიდვაში იმ ქვეყნებისათვის, რომელთაც ამის ფინანსური საშუალება არ გააჩნიათ, ძალზე მნიშვნელოვანია ეკონომიკური მიღწევების გაზრდისათვის. აუცილებლად უნდა გავითვალის-

წინოთ ის ფაქტიც, რომ მოწინავე ტექნოლოგიები ეკონომიკური საქმიანობის უძებესობა სფეროებში იქმნება სწორედ განვითარებულ ქვეყნებში, სადაც ტრანსნაციონალური კომპანიების უდიდესი ნაწილია განლაგებული. ამიტომ, იმ ქვეყნებში, სადაც ტრანსნაციონალური კორპორაციები ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას, ჩნდება მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვის აუცილებლობა და რაც უფრო დიდია ამ ქვეყნებს შორის განვითარების დონე, მით უფრო პრობლემატური ხდება მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენება.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ უკანასკნელ პერიოდში ტექნოლოგიების გადაცემის პროცესი ურთიერთმხრივი გახდა, ანუ ტექნოლოგიების გადადენა ხდება როგორც სათავო კომპანიებიდან ფილიალებში, ისე ფილიალებიდან სათავო კომპანიებში. ამ კუთხით ტრანსნაციონალური კორპორაციები უკვე არა მარტო წარმოების ორგანიზებისა და განვითარებისათვის ახორციელებენ პირდაპირ ინვესტიციებს, არამედ სხვადასხვა სფეროებში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განსახორციელებლადაც, რა თქმა უნდა იმ პირობით, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ხორციელდება ინვესტირება, უნდა არსებობდეს საჭირო პრეტენციალი.

იგივე პრობლემა ჩნდება, როდესაც საკითხი ეხება მენეჯერული და ორგანიზაციული გამოცდილების გადაცემასაც. ტრანსნაციონალური კომპანიებიდან მათ ფილიალებზე, რომლებიც განლაგებულია სხვა ქვეყნებში, მენეჯერული და ორგანიზაციული გამოცდილების გადაცემა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე. თუ რამდენად მოხდება ამ გამოცდილების გადაცემა, უმეტესწილად დამოკიდებულია ინვესტიციების მიმღები ქვეყნის კულტურის, განვითარების დონეზე. თუკი სხვაობა ამ ქვეყნებს შორის საკმაოდ დიდია, მაშინ წარმატება შეიძლება უმნიშვნელო აღმოჩნდეს. ასეთ შემთხვევაში ინვესტორი კომპანიები იძულებული იქნებიან, განახორციელონ სპეციალური პროგრამების ორგანიზება დაქირავებული პერსონალის მომზადებისათვის და ა.შ.

როგორც აღვნიშნეთ, უცხოური ინვესტიციების ზემოქმედება ინვესტიციების მიმღები ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე, მეტ-ნაკლებად დადებითია, ზოგჯერ უარყოფითიც კი, რაც რიგი ფაქტორებითაა განპირობებული. მათ შორის მთავარს მაინც ტრანსნაციონალური კომპანიების მიერ გატარებული პოლიტიკა წარმოადგენს და ის ეკონომიკური პოლიტიკა,

რომელსაც ახორციელებს ნებისმიერი ინვესტიციის მიმღები ქვეყანა.

ქვეყნის საინვესტიციო კლიმატის ფორმირებისათვის უმნიშვნელოვანებს მაჩვენებლებს მიეკუთვნება ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობა და აქტივობა. საინვესტიციო მიმზიდველობა კი ისეთ მახასიათებლებზეა დამოკიდებული, როგორიცაა: საინვესტიციო რისკები და ქვეყნის საინვესტიციო პოლიტიკა.

საინვესტიციო აქტივობის ძირითად მაჩვენებლებს მიეკუთვნება: ფირმების ეკონომიკური პოტენციალის ზრდა, კაპიტალის კონცენტრაციის ზრდა, ახალი სიმძლავრეების შემოყვანის ზრდა, ზღვრული საინვესტიციო დანახარჯების შემცირება, ენერგორესურსებისა და მასალების ზღვრული მოხმარების შემცირება და სხვა.

ზოგადად საინვესტიციო კლიმატზე მოქმედ ფაქტორებს მიაკუთვნებენ: მაკროეკონომიკურ ფაქტორებს, საინვესტიციო პოტენციალს, ბუნებრივ-რესურსულ პოტენციალს, საფინანსო საკრედიტო პოტენციალს, ინფრასტრუქტურულ პოტენციალს, საკადრო პოტენციალს, სამეცნიერო-ტექნოლოგიურ და ინოვაციურ პოტენციალს, საბაზო გარემო ფაქტორებს და სოციალურ-კულტურულ ფაქტორებს.

იმისდა მიხედვით, თუ როგორია საინვესტიციო აქტივობა, რომელიც ქვეყნის განვითარების უმნიშვნელოვანების პირობაა, რომელზედაცაა დამოკიდებული ეკონომიკის ზრდის ტემპი, განპირობებულია იმით, თუ რამდენად ეფექტური მოვალეობის შემცირებულ ფაქტორების და სოციალურ-კულტურულ ფაქტორების და გამოყენებას.


ინვესტირების შედეგად მიიღწევა სამრეწველო პოტენციალის ფორმირება, სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევა, რაც, პირველ რიგში, ზრდის ქვეყნის კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ბაზარზე. მსოფლიო გამოცდილებამ დაგვანახა, რომ უცხოური ინვესტიციების მოზიდვა თითქმის ყოველთვის დადგებით ზეგავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. როდესაც ლაპარაკია ხელსაყრელ საინვესტიციო კლიმატზე, აქ იგულისხმება გეოგრაფიული, ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და სხვა პირობების ერთობლიობა. უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ერთ-ერთ საუკეთესო პირობად შეიძლება საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა ჩაითვალოს. ძალზე მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილებეს იმ გარემოებაზე, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი შიდა ინვესტიციებთან შედარებით საკმაოდ მაღალია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ქვეყანაში არ ხდება

დანაზოგების გადიდება, ან საკმაოდ დაბალია სამამულო ინვესტორთა მოტივაცია ქვეყნის შიგნით ინვესტირებისადმი.

პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა, რომლებიც 2012 წელს იქნა განხორციელებული საქართველოში, 912 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 205 მლნ აშშ დოლარით ნაკლები იყო.

### ღიაგრამა 1

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საქართველოში 2006-2012 წწ.  
(მლნ. აშშ დოლარი)




რეინვესტიციების ოდენობამ 2012 წელს მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 13% შეადგინა, რაც 16,8%-ით ნაკლებია წინა წელთან შედარებით.


პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეინვესტიცია საქართველოში 2006-2012 წწ.

	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
რეინვესტიციის წილი მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში (%)	5,4	2,4	4,9	-8,4	28,1	30,0	13,2

2012 წლისათვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 72 ქვეყნიდან იქნა განხორციელებული, რაც წინა წლებთან შედარებით გაუმჯობესებული მაჩვენებელია (2011 წელს – 65; 2010 წელს – 62 ქვეყანა). განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით, უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები 2012 წელს შემდეგნაირად განაწილდა:




უმსსველესი ინკასტორი ქვეყნების წილი 2012 წელს




საინტერესოა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი ეკონომიკის სექტორების მიხედვით: 2012 წელს ყველაზე მეტი ინვესტიცია ჩაიდო ენერგეტიკის სფეროში – 20%, შემდეგ მოდის დამამუშავებელი მრეწველობა – 18%, საფინანსო სექტორი – 18%, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა – 8%, მშენებლობა – 5%, უძრავი ქონება – 4%, დანარჩენი სექტორები – 27%.

უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინცესტიციები კაონომიკის  
სექტორების მიხედვით 2012 წელს




აუცილებელია ყურადღება გავამასვილოთ პირდაპირი უცხოური ინცესტიციების წილზე მშპ-ში. 2007 წელს პირდაპირი უცხოური ინცესტიციების წილი მშპ-ში 19,8% იყო, 2008 წელს – 12,2%, 2009 – 6,1%, 2010 – 7%, 2011 – 7%, 2012 – 5,8%.

რაც შეეხება 2013 წელს განსახორციელებელ ინცესტიციებს, წინასწარი მონაცემებით I და II კვარტალში უნდა განხორციელებულიყო 458,6 მლნ აშშ დოლარის ინცესტიცია, ხოლო ქვეყნების მიხედვით ინცესტიციები საქართველოში შემდეგნაირად განაწილდა. პირველ ადგილზე ლუქსემბურგი – 121 მლნ აშშ დოლარი, მეორეზე – ჩინეთი – 79 მლნ დოლარი, მესამეზე – ნიდერლანდები – 65 მლნ აშშ დოლარი, მეოთხეზე – ოურქეთი – 38 მლნ აშშ დოლარი, მეხუთეზე – აზერბაიჯანი – 22 მლნ აშშ დოლარი, მეექვესეზე – აშშ – 19 მლნ აშშ დოლარი, მეშვიდეზე – ყაზახეთი – 14 მლნ აშშ დოლარი, მერვეზე – შვეიცარია – 9 მლნ აშშ დოლარი და მცხერეზე – ვირჯინიის კუნძულები (ბრიტ.) – 5 მლნ აშშ დოლარი.



ხოლო სექტორების მიხედვით 2013 წლის II კვარტალში წინასწარი მონაცემებით 29% მოდის ენერგეტიკაზე, 25% – დამამუშავებელ მრეწველობაზე, 20% – ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობაზე, 17% – მშენებლობაზე, 6% – საფინანსო სექტორზე და 4% – დანარჩენ სექტორებზე.


**უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კუთხით მიხედვით 2013<sup>o</sup> წლის II კვარტალში**



ინვესტიციების მოცულობაშ 2012 წელს სულ 865 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 23%-ით ნაკლებია 2011 წელთან შედარებით. უკანასკნელი წლების განმავლობაში ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით ყველაზე აქტიური 2006-2007 წლები იყო, 2008 წელს ინვესტიციები მკვეთრად შემცირდა, რაც რუსეთ-საქართველოს ომით იყო გამოწვეული. 2012 წელს, მესამე კვარტალთან შედარებით, ინვესტიციების შემცირებას ექსპერტები წინასაარჩევნო პერიოდს უკავშირებენ. როცა ქვეყანაში პოლიტიკურად არასტაბილური მდგომარეობაა, ინვესტორები თავს იკავებენ ქვეყანაში ინვესტიციების განხორციელებისაგან, რადგანაც მაღალ რისკთან არის დაკავშირებული. განსხვავებული შეხედულებაა 2013 წელს განსხვრციელებელ ინვესტიციებთან მიმართებაში. ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ 2013 წელს ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით მნიშვნელოვანი წინსვლა იქნება, ზოგნი კი პირიქით, პესიმისტურ პროგნოზებს აკეთებენ და მიიჩნევენ, რომ არასტაბილური პოლიტიკური გარემო ინვესტირების თავშექავებას გამოიწვევს. კერძოდ, არჩევნების შემდგომი პერიოდი და ხელისუფლების შეცვლა ყოველთვის

პრობლემას უქმის ინვესტორებს, ამას ემატება ის გარემოებაც, რომ მსოფლიოში ჯერ კიდევ არ არის დასრულებული გლობალური ფინანსური კრიზისი, რაც მთლიანობაში საინვესტიციო ნაკლებობას განაპირობებს.

უმსხვილესი ინვესტორი ჭეკვების წილი 2012 წელს



საქართველო რომ აქტიურად ჩაებას მსოფლიო ეკონომიკურ ინტეგრაციაში და სათანადო კონკურენცია გაუწიოს სხვა განვითარებად ქვეყნებს, აუცილებელია რაც შეიძლება მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციის მოზიდვა. ამისათვის ერთმნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში უნდა შეიქმნას ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო, როთაც საქართველო უფრო მიმზიდველი გახდება სხვა ქვეყნებთან მიმართებაში.

მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესის კეთების სიადვილით საქართველოს ერთ-ერთი მოზინავე პოზიციები უკავია მსოფლიო ბანკის კვლევებით, ეს არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ინვესტიციის მოზიდვის კუთხით წარმატებები გარანტირებული გვექნება. ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვაზე უამრავი შიდა და გარე ფაქტორი ახდენს გავლენას, თუმცა ნებისმიერ მათგანზე ქვეყანას არ შეუძლია ზემოქმედების მოხდენა. მაგალითობად, გეოგრაფიული მდგრადი რესურსები და სხვა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საინვესტიციო კლიმატზე მოქმედ მაჩვენებლებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია: მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, საგარეო ვალი, პოლიტიკური სიტუაცია, საგადასახადო რეჟიმი, პოლიტიკური და ფინანსური რისკები და გეოპოლიტიკური მდებარეობა.

უურადსალებია ის ფაქტი, რომ ძლიან დიდი სხვაობაა პირდაპირი უცხოური ინგესტიციებისა და შიდა ინგესტიციების სიდიდეებს შორის, რაც იმაზე შიუთითებს, რომ ადგილობრივი საწარმოები დაბალმწარმოებლურობის გამო ვერ უზრუნველყოფენ საკუთარი ინგესტიციებით მყარი ბაზის შექმნას და ქვეყანას ისდა დარჩენია, რომ პირდაპირი უცხოური ინგესტიციების მოზიდვის ხარჯზე მოახდინოს ეკონომიკური ზრდა.

როდესაც ვლაპარაკობთ ეფექტიანი საინგესტიციო პოლიტის ჩამოყალიბებაზე, აუცილებლია გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ პირდაპირი უცხოური ინგესტიციების კონცენტრირება ქვეყნის რეალურ სექტორში განხორციელდეს, აგრეთვე გაიზარდოს რეინვესტირების სიდიდეც. ამისათვის მნიშვნელოვანია ქვეყანაში განხორციელდეს ისეთი პოლიტიკა, რომელიც, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს პირდაპირი უცხოური ინგესტიციების მოზიდვას ქვეყანაში და, მეორე მხრივ, გაზრდის შიდა ინგესტიციების სიდიდესაც. ყოველივე ეს ქვეყანაში კომპლექსური ღონისძიებების განხორციელებას მოითხოვს, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ფულად-საკრედიტო პოლიტიკა და საგადასახადო პოლიტიკა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ.

საჭიროა რიგი შედაგათების დაწესება ადგილობრივი მწარმოებლებისათვის, რათა მათვის ქვეყნის შიგნით ინგესტირება უფრო მიმზიდველი გახდეს, მნიშვნელოვანი უნდა შემცირდეს რეგიონების გავითარების დონეებს შორის სხვაობა, ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე ეკოლოგიური კუთხით საჭიროა განსაკუთრებული ზომების მიღება, რათა მინიმუმამდე შემცირდეს ქვეყანაში ეკოლოგიური ზიანი და ა.შ.

საბოლოოდ შეიძლება დაგასკნათ, რომ საინგესტიციო პოლიტიკა უნდა განხორციელდეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გეგმასთან მჭიდრო კავშირში, სადაც გათვალისწინებული იქნება ქვეყანაში არსებული მაკრო და მიკროეკონომიკური მდგრმარეობა და ის გარე ფაქტორები, რომლებიც ქვეყნის საერთაშორისო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე მოქმედებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანაში ვერ მოვიზიდავთ საჭირო რაოდენობის პირდაპირ უცხოურ ინგესტიციებს, რაც ეკონომიკური გაფითარების ზრდისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

## **გამოყენებული ლიტერატურა**

1. ქ. ბარათაშვილი, დ. მაგრაქველიძე. საქართველოში საინვესტიციო გარემოს სრულყოფის პრინციპები. თბილისი, 2009.
2. ვლ. პაპავა, ო. თაფლაძე. საქართველოს ეკონომიკური განვითარების ძირითადი ტენდენციებისა და პერსპექტივების შესახებ. ქ. “ეკონომისტი”, №2, 2013.
3. [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge).
4. [www.mfa.gov.ge](http://www.mfa.gov.ge).
5. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge).

*Tea Lazarashvili  
Medea Melashvili*

## **FOREIGN INVESTMENTS AND THE MAIN DIRECTIONS OF IMPROVEMENT OF THEIR ATTRACTION IN GEORGIA**

### **Annotation**

In the article the level of direct foreign investments is considered in the dynamic context. The positive and negative impacting on the attraction of direct foreign investments are analyzed. The World Bank's research on business doing in Georgia is studied and the ways of improvement of the attraction of direct foreign investments in the country are determined.

## **დაღი მაგრაქველიძე ჩვეულებრივი აქციების შეფასების გათვალისწინებულები**

ფინანსური ანალიზის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს არასათანადოდ შეფასებული ფასიანი ქაღალდების გამოვლენა. ფუნდამენტური ანალიზი შეიძლება გამოყენებული იქნა რომელ ერთ-ერთი მიღებომა ასეთი ქაღალდების მოძებნისადმი.

არსებობს არასათანადოდ შეფასებული ქაღალდების გამოვლენისათვის ფუნდამენტური ანალიზის გამოყენების მრავალი გზა. მათი ნაწილი პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებულია იმ მეთოდთან, რომელსაც შემოსავლის კაპიტალიზაციის მეთოდს (capitalization of income method of valuation) უწოდებენ. (1) ალგებრულად ( $V = \frac{P}{r}$ ) კაპიტალის ნამდვილი ღირებულება ტოლია მოსალოდნელი შემოსულობების და გადახდების დაყვანილი ღირებულებების ჯამის:

$$V = \frac{C_1}{(1+k)^1} + \frac{C_2}{(1+k)^2} + \frac{C_3}{(1+k)^3} + \dots = \sum_{t=1}^{\infty} \frac{C_t}{(1+k)^t}, \quad (1)$$

სადაც  $C_t$  აღნიშნავს მოსალოდნელ შემოსულობას ან გადახდას, რომელიც დაკავშირებულია დროის  $t$  მომენტში მოცემულ კაპიტალთან;  $k$  – დისკონტირების შებამისი განაკვეთია მოცემული სარისხის რისკის ფინანსური ნაკადებისათვის. ამ ტოლობაში დისკონტირების განაკვეთი ნაგულისხმევია მუდმივად დროის მთელ მანძილზე. რამდენადაც ჯამზე  $\infty$  ნიშანი აღნიშნავს უსასრულობას, მოლიანი მოსალოდნელი ფინანსური ნაკადი, დაწყებული უშუალოდ ინვესტირების მომენტიდან უსასრულობამდე,  $V$  განსაზღვრისას დისკონტირებული იქნება ერთი და იგივე განაკვეთით.

რამდენადაც ამა თუ იმ სახის ჩვეულებრივ აქციაში ინვესტირებასთან დაკავშირებული ფინანსური შემოსულობები ეს ის დივიდენდებია, რომლის მიიღებასაც აქციის მფლობელი ვარაუდობს მომავალში, ამდენად შეფასების გზასაც ასევე უწოდებენ დივიდენდების დისკონტირების მოდელს (*dividend discount model, DDM*). შესაბამისად  $C_t$ -ს ნაცვლად გამოიყენებენ  $D_t$ -ს დროის  $t$  პერიოდში მოსალოდნელი გადახდების აღსანიშნავად, რომელიც მოცემულ აქციასთანაა დაკავშირებული, ამის შედეგად (1) ტოლობა მიიღებს შემდეგ სახეს:

$$V = \frac{D_1}{(1+k)^1} + \frac{D_2}{(1+k)^2} + \frac{D_3}{(1+k)^3} + \dots = \sum_{t=1}^{\infty} \frac{D_t}{(1+k)^t} \quad (2)$$

მაგრამ ჩვეულებრივი აქციის ნამდვილი ფასის განსაზღვრისათვის (7) ტოლობის გამოყენებამ შეიძლება სირთულეები შექმნას. კერძოდ, იმისათვის რომ ამ ტოლობით ისარგებლოს, ინვესტორმა უნდა გამოიცნოს კულტა მომდევნო დივიდენდი. რამდენადაც ჩვეულებრივი აქციის ბრუნვის დრო შეუზღდავია, აუცილებელია უსასრულო გადახდების ნაკადის პროგნოზირება. თუმცა ეს გადაუჭრელ ამოცანად ჩანს, ზოგიერთი დაშვებისას ამას შეიძლება გაუმტკლავდეთ.

ეს დაშვება ძირითადად დაკავშირებულია დივიდენდების ზრდის ტემპთან. ვთქვათ, დროის  $t$  მომენტში ერთ აქციაზე დივიდენდი ტოლია ერთ აქციაზე დივიდენდის დროის  $t-1$  მომენტში ნამრავლის დივიდენდების ზრდის  $g_t$  ტემპზე:

$$D_t = D_{t-1}(1 + g_t), \quad (3)$$

რაც გავივალენტტურია

$$\frac{D_t - D_{t-1}}{D_{t-1}} = g_t. \quad (4)$$

დავიწყებთ ნულოვანი ზრის მოდელის უმარტივესი შემთხვევით. რომელიც გულისხმობს, რომ დივიდუნდის სიდიდე უცვლელი რჩება:

$$D_0 = D_1 = D_2 = D_3 = \dots = D_\infty$$

თუ ზემოთ აღნიშნულ გარაუდს გავითვალისწინებთ, (1) ტოლობის მრიცხველში  $D_t$  უნდა შეიცვალოს  $D_0$ -ით:

$$V = \sum_{t=1}^{\infty} \frac{D_0}{(1+k)^t}. \quad (5)$$

რამდენედაც  $D_0$  - ფიქსირებული რიცხვია, ის შეიძლება გავიტანოთ ჯამის ნიშის გარეთ:

$$V = D_0 \left[ \sum_{t=1}^{\infty} \frac{1}{(1+k)^t} \right]. \quad (6)$$

შემდეგ, მათი ანალიზის კურსიდან უსასრულო მწვრივების თვისების გამოყენებით, მივიღებთ, რომ  $R$  როცა  $k > 0$ :

$$\sum_{t=1}^{\infty} \frac{1}{(1+k)^t} = \frac{1}{k} \quad (7)$$

ბოლო ტოლობის გათვალისწინებით (6) ტოლობიდან ნულოვანი ზრდის მოდელისათვის მივიღებთ შემდეგ ფორმულას:

$$V = \frac{D_0}{k_0}. \quad (8)$$

რამდენედაც  $D_0 = D_1$ , ამდენად (8) ტოლობა კიდევ შეიძლება ასე ჩაიწეროს:

$$V = \frac{D_1}{k}. \quad (9)$$

*DDM*-ის სხვა სახესხვაობას წარმოადგენს მოდელი, რომელშიც ნავარაუდევია, რომ პერიოდიდან პერიოდამდე დივი-

დენდგბი გაიზრდება ერთნაირი პროპორციით, ე.ი. ზრდის ერთნაირი ტემპით. ამიტომ ასეთ მოდელს ხანდახან **მუდმივი ზრდის მოდელს** (*constant growth model*) უწოდებენ. ხაგარაუდევია, რომ წინა წლის ერთ აქციაზე დივიდენდები  $D_0$  გაიზრდება მოცემული  $g$  პროპორციით ისე, რომ მომავალ წელს მოსალოდნელი გადახდა იყოს  $D_0(1+g)$ . მოდევნო წელს მოსალოდნელია, რომ დივიდენდები იმავე  $g$  პროპორციით გაიზრდება კ.ი.  $D_2 = D_1(1+g)$ . რამდენადაც  $D_1 = D_0(1+g)$ , ამდენად ეს შემდეგის ეკვივალენტურია:  $D_2 = D_0(1+g)^2$ , ანუ ზოგადად:

$$D_t = D_{t-1}(1+g), \quad (10\alpha)$$

$$D_t = D_0(1+g)^t. \quad (10\beta)$$

მითითებული ვარაუდის თანახმად, (1) ტოლობაში უნდა  $D_t$  შეიცვალოს  $D_0(1+g)^t$ -ით:

$$V = \sum_{t=1}^{\infty} \frac{D_0(1+g)^t}{(1+k)^t}. \quad (11)$$

(11) ტოლობა შეიძლება გავამარტივოთ. რამდენადაც  $D_0$  ფიქსირებული რიცხვია, ის შეიძლება ჯამის ნიშნის გარეთ გავიტანოთ:

$$V = D_0 \left[ \sum_{t=1}^{\infty} \frac{(1+g)^t}{(1+k)^t} \right]. \quad (12)$$

შემდეგ, მათი ანალიზის კურსიდან უსასრულო მწვრივების თვისების გამოყენებით, მივიღებთ, რომ  $V = D_0 \frac{1+g}{k-g}$ :

$$\sum_{t=1}^{\infty} \frac{(1+g)^t}{(1+k)^t} = \frac{1+g}{k-g}. \quad (13)$$

უკანასკნელის გათვალისწინებით (12) ტოლობიდან მუდმივი ზრდის მოდელისათვის მივიღებთ ფორმულას:

$$V = D_0 \left( \frac{1+g}{k-g} \right). \quad (14)$$

რამდენადაც  $D_1 = D_0(1+g)$  , ამდენად (14) ტოლობა შეიძლება ასეც ჩაიწეროს;

$$V = \frac{D_1}{k - g} . \quad (15)$$

(14) ტოლობა შეიძლება გამოყენებული იქნას მუდმივი ზრდის დივიდენდების მქონე ქაღალდებში ინვესტიციების  $IRR$ -ს გამოსათვლელად. ამასთან,  $V$  -ს ნაცვლად ჩაისმევა აქციის მიმდინარე ფასი  $P$ ,  $k$  -ს ნაცვლად ჩაისმევა  $k^*$ . შედეგად მივიღებთ:

$$P = D_0 \left( \frac{1+g}{k^* - g} \right) . \quad (16)$$

სხვანაირად ეს შეიძლება ასე გადავწეროთ:

$$k^* = \frac{D_0(1+g)}{P} + g = \frac{D_1}{P} + g .$$

ჩვეულებრივი აქციების შეფასებისათვის  $DDM$ -ის შედარებით უფრო ზოგად სახესხვაობას წარმოადგენს **ცვლადი ზრდის მოდელი** (*multiple-growth model*). ამ მოდელის მთავარი თავისებულება – ეს მომავალში დროის პერიოდია ( $T$ -თია აღნიშნული), რომლის შემდეგაც მოსალოდნელია, რომ დივიდენდები გაიზრდება მუდმივი  $g$  ტემპით. ინვესტორს დივიდენდების პროგნოზირება უწევს  $T$  პერიოდამდე, მაგრამ, ამასთან, არ არის ნავარაუდევი, რომ ამ დრომდე ისინი შეიცვლება რაიმე განსაზღვრული კანონით. მხოლოდ  $T$  პერიოდის დაღგომის შემდეგაა ნავარაუდევი, რომ დივიდენდების ზომა მუდმივი ზრდის ტემპით შეიცვლება. სხვანაირად რომ ვთქვათ,  $T$  დრომდე თითოეული პერიოდისათვის ინვესტორი აკეთებს ინდივიდუალურ პროგნოზს დივიდენდების  $D_1, D_2, D_3, \dots, D_T$  სიდიდეებისათვის. ინვესტორი ასევე ახდენს  $T$  მომენტის დადგომის პროგნოზს. ნავარაუდევია, რომ დროის  $T$  მომენტის დადგომის შემდეგ დივიდენდები გაიზრდება მუდმივი  $g$  ტემპით, რაც ნიშნავს, რომ:


$$D_{T+1} = D_T(1+g);$$

$$D_{T+2} = D_{T+1} + 1(1+g) = D_T(1+g)^2;$$

$$D_{T+3} = D_{T+2} + 1(1+g) = D_T (1+g)^3$$

და ასე შემდეგ. ნახავ 1-ზე მოცემულია დივიდენდების სიდიდისა და ზრდის ტემპის დროითი დიაგრამა, რომელიც შეესაბამება ცვალებადი ზრდის მოდელს.

ცვლადი ზრდის მოდელით ჩვეულებრივი აქციის კურსის განსაზღვრისას საჭიროა დივიდენდების პროგნოზირებული ნაკადის დაყვანილი დირებულების გამოთვლა. ეს შემდეგნაირად შეიძლება გაკეთდეს: საერთო ნაკადის ორ ნაწილად გაყოფა, თოთოველი ნაწილის დაყვანილი დირებულების გამოთვლა და შემდეგ მათი შეკრება.



### ნახ. 1. დროის ხაზი ცვლადი ზრდის მოდელისათვის.

თავიდან აუცილებელია  $T$  პერიოდამდე,  $T$  პერიოდის ჩათვლით, გადახდილი დივიდენდების დაყვანილი დირებულების განსაზღვრა. აღვნიშნოთ ეს სიდიდე  $V_{T^-}$ -ით, მივიღეთ:

$$V_{T^-} = \sum_{t=1}^T \frac{D_t}{(1+k)^t}. \quad (17)$$

შემდეგ საჭიროა იმ პროგნოზირებული დივიდენდების დაყვანილი დირებულების გამოთვლა, რომელიც გადაიხდება დროის  $T$  მომენტის შემდეგ, ამისათვის გამოიყენება მუდმივი ზრდის მოდელი. თავდაპირველად ნავარაუდევია, რომ იწყება  $T$  პერიოდიდან და ინვესტორმა არ შეცვალა დივიდენდების დინამიკის მიმართ თავისი პროგნოზი. ეს ნიშნავს, დივიდენდები  $T+1$  ( $D_{T+1}$ ) პერიოდში და შემდგომ გაიზრდება მუდმივი  $g$  კოეფიციენტით. ამგვარად, ინვესტორი აქციებს განიხილავს, როგორც მუდმივი ტემპით მზარდს და მათი კურსი დროის

$T(V_t)$  მომენტში შეიძლება განისაზღვროს მუდმივი ზრდის მოდელით, რომელიც (15) ტოლობითაა მოცემული:

$$V_T = D_{T+1} \left( \frac{1}{k-g} \right). \quad (18)$$

$V_T$  შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთჯერადი შემოსულობა, რომელიც  $T$  პერიოდის შემდეგ დივიდენდების ნაკადის ტოლფასია, ე. ი. დროის  $T$  მომენტში დივიდენდების საწყისი შემოსულობები  $V_T$  დივიდენდების ნაკადის  $D_{T+1}, D_{T+2}, D_{T+3}$  და ა.შ. ეკვივალენტურია. ოუ ჩავთვლით, რომ ინვესტორი მდებარეობს დროის ნულოვან მომენტში, და არა  $T$  მომენტში, საჭიროა განისაზღვროს  $V_T$  შემოსულობების დაყვანილი დირებულება  $t=0$ -სთვის. ეს ხდება  $T$  დროის განმავლობაში  $k$  განაკვეთით მისი დისკონტირების გზით, საიდანაც ვიღებთ  $T$  პერიოდის შემდეგ გადახდილი ყველა დივიდენდის დაყვანილი დირებულების გამოსაანგარიშებელ ფორმულას დროის 0 მომენტში (აღნიშნული სიდიდე აღვნიშნოთ  $V_{T^+}$ -ით):

$$V_{T^+} = V_T \left[ \frac{1}{(1+k)^T} \right] = \frac{D_{T+1}}{(k-g)(1+k)^T}. \quad (19)$$

(17) ტოლობის საშუალებით  $T$  პერიოდის ჩათვლით ყველა გადახდების დაყვანილი დირებულების და (19) ტოლობით  $T$  პერიოდის შემდეგ ყველა გადახდების დაყვანილი დირებულების პოვნის შემდეგ, ამ ორი გამოსახულების შეკრებით, ვიღებთ აქციის დაყვანილი დირებულების გამოთვლის ფორმულას:

$$V = V_{T^-} + V_{T^+} = \sum_{t=1}^T \frac{D_t}{(1+k)^t} + \frac{D_{T+1}}{(k-g)(1+k)^T}. \quad (20)$$

(20) ტოლობით მოცემული ცვლადი ზრდის მოდელის შეფასების პროცედურა ილუსტრირებულია ნახ. 1-ზე.

ნულოვანი და მუდმივი ზრდის მოდელებში  $V$ -ს გამოსათვლელი ტოლობა ისე შეიძლება გადავწეროთ, რომ შესაძლებელი იყოს ამ სახის აქციებიში ინვესტირების შემოსავლიანობის შიგა განაკვეთის გამოთვლა. სამწუხაროდ, ცვლადი ზრდის მოდელისათვის (15ა), (15ბ)-ს მსგავსი მოხერხებული

ფორმულები არ არსებობს. ეს ცხადია, რამდენადაც  $IRR$ -ისათვის გამოსახულება მიიღება, თუ

$$V = V_{T^-} + V_{T^+} = \sum_{t=1}^T \frac{D_t}{(1+k)^t} + \frac{D_{T+1}}{(k-g)(1+k)^T}$$

განტოლებაში  $V$  -

ს  $P$ -თი და  $k$ -ს  $k^*$ -ით:

$$P = \sum_{t=1}^T \frac{D_t}{(1+k^*)^t} + \frac{D_{T+1}}{(k^*-g)(1+k^*)^T}. \quad (21)$$

მაგრამ ამ ტოლობიდან  $k^*$ -ს გამოსახვა ვერ ხერხდება.

მაგრამ ყველაფერი არაა დაკარგული. არსებობს ცვლადი ზრდის მოდელისათვის  $IRR$ -ის მარტივი შერჩევით გამოოვლის შესაძლებლობა. (21) ტოლობის მარჯვენა ნაწილი ტოლია დი-ვიდენდების ნაკადის დაყვანილი დირექტულების, რომლისთვისაც  $k^*$  გამოყენებულია დისკონტირების განაკვეთად. აქედან გამომდინარე, რაც მეტია  $k^*$ -ს მნიშვნელობა, მით ნაკლებია (21) განტოლების მარჯვენა ნაწილის მნიშვნელობა. შერჩევა იწყება  $k^*$ -ს რომელიმე საწყისი მიახლოებიდან. თუ (21) განტოლების მარჯვენა ნაწილის შესაბამისი მნიშვნელობა  $P$ -ზე მეტია, მაშინ ხდება  $k^*$ -ს მეტი მნიშვნელობის ჩასმა. პირიქით, თუ მიღებული მნიშვნელობა  $P$ -ზე ნაკლებია, მაშინ ჩაისმევა  $k^*$ -ს ნაკლები მნიშვნელობა. ამ პროცესის გაგრძელებით ინვესტორი ბოლო-ბოლო შეარჩევს  $k^*$  პარამეტრის ისეთ მნიშვნელობას,

რომლის დროსაც

$$P = \sum_{t=1}^T \frac{D_t}{(1+k^*)^t} + \frac{D_{T+1}}{(k^*-g)(1+k^*)^T}$$

მარჯვენა ნაწილი გაუ-

ტოლდება მარცხენას.  $k^*$ -ს შერჩევის ასეთი მეთოდის დროს შესაძლებელია კომპიუტერის გამოყენება. ელექტრონული ცხრილების უმეტესობა ასეთ მეთოდს შეიცავს.

ასეთი შეგვიძლია ვაჩვენოთ, რომ მუდმივი ზრდის მოდელი წარმოადგენს ცვლადი ზრდის მოდელის კერძო შემთხვევას. კერძოდ, თუ დავუშვებთ, რომ დროის მომენტ, რომლიდან ნაც უნდა დაიწყოს მუდმივი ზრდა, ნულის ტოლია, მაშინ:

$$V_{T^-} = \sum_{t=1}^T \frac{D_t}{(1+k)^t} = 0$$

და

$$V_{T^+} = \frac{D_{T+1}}{(k-g)(1+k)^T} = \frac{D_1}{k-g},$$

რადგან  $T = 0$  და  $(1+k)^0 = 1$ . რამდენადაც ცვლადი ზრის მოდელის შესაბამისად  $V = V_{T^-} + V_{T^+}$ , ადვილია იმის შენაშვნა, რომ  $T = 0$ -სთვის  $V = D_1 / k - g$  ეს ფორმულა მუდმივი ზრდის მოდელს შეესაბამება.

ინვესტორები ასევე იყენებენ დივიდენდების დისკონტირების ორ მოდელს, რომელებსაც ორეტაპიანი და სამეტაპიანი მოდელები ეწოდება. ორეტაპიანი მოდელი ვარაუდობს, რომ დროის რაღაც  $T$  მომენტისათვის არსებობს ერთი მუდმივი  $g_1$  განაკვეთი, შემდეგ დგინდება სხვა,  $g_2$ -ის ტოლი განაკვეთი. სამეტაპიანი მოდელი ვარაუდობს, რომ ერთი მუდმივი განაკვეთი მოქმედებს გარკვეულ  $T_1$  დრომდე, შემდეგ მოქმედება იწყებს მეორე განაკვეთი  $T_2$  დრომდე, ხოლო შემდეგ მოქმედებას იწყებს მესამე განაკვეთი.  $V_{T^+}$ -ით აღვნიშნოთ დივიდენდების დაყვანილი დირებულება იმის შემდეგ, რაც მოქმედება დაიწყო მესამე განაკვეთმა, ხოლო  $V_{T^-}$ -ით კველა დანარჩენი წინა დივიდენდების დაყვანილი დირებულება, მივიღებთ, რომ ორივე მოდელი წარმოადგენს ცვლადი ზრდის მოდელის კერძო შემთხვევას.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. W.F. Sharpe, G.J. Alexander, J.V. Bailey. Investments, Prentice Hall, Inc. 1999, Sixth edition.

2. ი. ქარცივაძე. მათემატიკური ანალიზი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1981, ტ. 1.

**MATHEMATICAL MODELS OF  
THE VALUATION OF COMMON STOCK**  
**Annotation**

There are many ways to implement the fundamental analysis approach to identifying mispriced securities. Some of them are either directly or indirectly related to what is sometimes referred to as the capitalization of income methods of valuation. This methods state that the “true”, or “intrinsic”, value of any asset is based on the cash flows that the investor expects to receive in the future from owning the asset. Because these cash flows are expected in the future, they are adjusted by a discount rate to reflect not only the time value of money but also the riskiness of the cash flows.

Valuing a share of common stock with the multiple-growth model requires that the present value of the forecast stream of dividends be determined. This process can be facilitated by dividing the expected dividend stream into two parts, finding the present value of each part, and then adding these two present values together.

The first part consist of finding the present value of all the forecast dividends that will be paid after time  $T$ . Denoting this present value by  $V_T$ , it is equal to:

$$V_{T^-} = \sum_{t=1}^T \frac{D_t}{(1+k)^t} \quad (1)$$

The second part consists of finding the present value of all the forecast dividends that will be paid after time  $T$  and involves the application of the constant-growth model. The application begins by imagining that the investor is not at time zero but is at time  $T$  and has not changed his or her forecast of dividends for stocks. As a result, the next period's dividend  $D_{T+1}$  and all those thereafter are to grow at the rate  $g$ . Because the investor would be viewing the stock as having a constant growth rate, its value at time  $T$ ,  $V_T$ , can be determined with the constant-growth model:

$$V_T = D_{T+1} \left( \frac{1}{k - g} \right) \quad (2)$$

One way to view  $V_T$  is that it represents a lump sum that is just as desirable as the stream of dividends after  $T$ . That is, an investor would find a lump sum of cash equal to  $V_T$ , to be received at time  $T$ , to be equally desirable as the stream of dividends  $D_{T+1}, D_{T+2}, D_{T+3}$  and so on. If the investor is at time zero, not at time  $T$ , the present value at  $t=0$  of the lump sum  $V_T$  must be determined. This present value is found simply by discounting  $V_T$  for  $T$

periods at the rate  $k$ , resulting in the following formula for finding the present value at time zero for all dividends after  $T$ , denoted  $V_{T+}$ :

$$V_{T+} = V_T \left[ \frac{1}{(1+k)^T} \right] = \frac{D_{T+1}}{(k-g)(1+k)^T} \quad (3)$$

Having found the present value of all dividends up to and including time  $T$  with Equation [1], and the present value of all dividends after time  $T$  with Equation [3], the investor can determine the value of the stock by summing up these two amounts:

$$V = V_{T-} + V_{T+} = \sum_{t=1}^T \frac{D_t}{(1+k)^t} + \frac{D_{T+1}}{(k-g)(1+k)^T} \quad (4).$$

### ელგუჯა მენაბდი შვილი თანამედროვე ოჯახის გავლენა დემობრაზიულ პროცესებზე

ოჯახი საზოგადოების დამოუკიდებელი უჯრედია, რომელიც მჭიდრო კავშირშია სხვა სოციალურ ინსტიტუტებთან. საზოგადოების ყოველი წევრი, დაბადების მომენტიდან სიცოცხლის ბოლომდე, სოციალურ სტატუსსა და ეთნიკურ მდგომარეობასთან ერთად, ფლობს ისეთ მახასიათებელს, როგორიცაა საოჯახო-ქორწინებითი მდგომარეობა. თანამეროვე ადამიანები, რომლებიც პირად ინტერესებს უპირატესობას ანიჭებენ, ოჯახს ქმნიან არა იმიტომ, რომ იგი საზოგადოებაში სასიცოცხლო მნიშვნელობის ფუნქციას ასრულებს, არამედ იმიტომ, რომ მიღიონობით ადამიანისათვის უდიდეს ღირებულებას წარმოადგენს ოჯახში და ოჯახურად ცხოვრება. და, როგორც ჩანს, ეს ადამიანები მართალები არიან, რადგან არ არსებობს სოციალური ცხოვრების არც ერთი ინდიკატორი, სადაც ბედინერი ოჯახის წევრები არ ავლენდნენ თავის უპირატესობას მარტოხელებთან შედარებით.

არაერთი სოციოლოგიური გამოკვლევა ამტკიცებს, რომ ოჯახი ჩვენი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენს. რა არის ღირებულება, რატომ ვამახვილებო მასზე უურადდებას, რა როლს თამაშობს ის საზოგადოებრივ ცხოვრებაში? ღირებულება აღნიშნავს ინდივიდის ან საზოგადოების ძირითად რწმენას და მიზნებს. სოციოლოგთა ნაწილი მას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს, მისი როლის შეფასებაში გამორჩეული ადგილი უკავია ამერიკელ სოციოლოგ

ტალკოტ პარსონს. მისი სტრუქტურულ ფუნქციონალიზმის თეორიის მიხედვით, ინტერიორიზებული “საერთო დირექულებები” გადამწყვეტ როლს თამაშის ნებისმიერი საზოგადოების სოციალურ ინტეგრაციაში. დირექულებითი ორიენტაციის სიმყარე და არაწინააღმდეგობრიობა განაპირობებს პიროვნების მთლიანობას, საიმედობას, განსაზღვრული პრიციპებისა და იდეალებისადმი ერთგულებას, იდეალებისა და დირექულებების სახელით ცხოვრებისეული პოზიციების აქტივობას და მიზნის მიღწევაში სიმტკიცეს<sup>38</sup>.

2003-2004 წლებში სოციოლოგიისა და დემოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა შევისწავლეთ საქართველოში მცხოვრებ რვა ეროვნებაში ყველაზე მნიშვნელოვანი დირექულება. ჩამონათვალში შეტანილი იყო 24 დირექულება, რომელიც შერჩეული იყო საეციალური გამოყვლევით. ეს დირექულებებია: თავისუფლება, კაცომოყვარეობა, მეგობრობა, ეროვნული კულტურა, მშობლიური ენა, პატიოსნება, სამშობლო, ოჯახი, რელიგია, ნათესაობა, კანონი, შრომა, განათლება, ზნერვეულება, მეცნიერება, ხელოვნება, წინაპარი, მეზობლობა, მრავალშეიღიანობა, ქალის პატივისცემა, ხელისუფლება, გართობა, ფული. დირექულებათა იერარქიის ანალიზია აჩვენა, რომ ყველა მათგანში რესპონდენტების უმეტესობაშ საკუთარი ეთნოსის ყველაზე მნიშვნელოვან დირექულებად დაასახელა “ოჯახი”. ქართველებში მათი წილი შეადგენდა რესპონდენტთა 89,19%-ს<sup>39</sup>. არა მხოლოდ ეთნოსის, არამედ პიროვნების მნიშვნელოვან დირექულებებს შორისაც ოჯახის როლი ძალიან მაღალია. მას ადასტურებს ქ. თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების გამოკვლევა<sup>40</sup>. სტუდენტთა დირექულებათა იერარქიაში ოჯახს მნიშვნელობით განსაკუთრებული ადგილი უკავია და მას ნდობის მაღალ ხარისხს ანიჭებენ. მათი დიდი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ოჯახის მნიშვნელობა მისი პიროვნების მირთადი ელემენტების ფორმირებაში განსაკუთრებით დიდია. ეს აღნიშნა როგორც გოგონების (95,4%)

<sup>38</sup> Девид джери, Джулия джери 2 1999. 431-432)

<sup>39</sup> ე. მენაბდიშვილი, დ. მენაბდიშვილი, სოციალურად მაინტეგრირებელი დირექულებები საქართველოს ეროვნებებში, პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „აღმაშენებელი“. 2010. №10. 73-80.

<sup>40</sup> თბილისის ექს უმაღლეს სასწავლებელში 2010 წელს გამოიკითხა 800 სტუდენტი.

ასევე ვაჟების (93,3%) საქმაოდ დიდმა ნაწილმა. ახალგაზრდობის უმეტესობა აღნიშნავს, რომ ოჯახი არის ის ადგილი, სადაც ყველაზე შეტად გრძნობს თავს კარგად (60,6%).

ამ გამოკვლევებიდან რამდენიმე წლის შემდეგ (2013) რესპონდენტებს კვლავ მივეცით დირებულებათა ჩამონათვალი, მხოლოდ ამჟერად ჩამონათვალში შედიოდა ხუთი დირებულება: მატერიალური მდგომარეობა, განათლება, კარიერა, ოჯახის შექმნა, შვილების ყოლა. ჩამოთვლილი დირებულებებიდან უნდა ამოერჩიათ სამი მათგანი და დაელაგებინათ ისინი მნიშვნელობის მიხედვით: ყველაზე მნიშვნელოვანი, მეორე მნიშვნელობის და მესამე მნიშვნელობის. ყველაზე მნიშვნელოვან დირებულებებს შორის ადგილები ასე განაწილდა: მატერიალური მდგომარეობა, ოჯახის შექმნა, განათლება, შვილის ყოლა, კარიერა. ე.ო. ოჯახს მნიშვნელობით უსწრებს მატერიალური მდგომარეობა. მეორე მნიშვნელობის დირებულებებს შორის: ოჯახის შექმნა, შვილის ყოლა, კარიერა, მატერიალური მდგომარეობა და განათლება. აქ კი ოჯახია პირველ ადგილზე. მესამე მნიშვნელობის დირებულებებს შორის: შვილის ყოლა, მატერიალური მდგომარეობა, ოჯახის შექმნა და განათლება. როგორც ვხედავთ აქ შვილის ყოლა და მატერიალური მდგომარეობა უსწრებს ოჯახის შექმნას.

### ცხრილი 1 ჩამოთვლილთაგან თქვენთვის რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი?

	ყველაზე მნიშვნელოვანი		მეორე მნიშვნელობის		მესამე მნიშვნელობის	
	აბს. მნ	%	აბს. მნ	%	აბს. მნ	%
მატერიალური მდგომარეობა	390	32,1	203	16,7	268	22,1
განათლება	257	21,2	148	12,2	137	11,4
კარიერა	103	8,5	216	17,8	193	15,9
ოჯახის შექმნა	271	22,4	345	28,5	233	19,2
შვილის ყოლა	191	15,8	300	24,8	381	31,4

ყველაზე მნიშვნელოვან დირებულებებს თუ განვიხილავთ სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში, აღმოჩნდება, რომ მამრობითი სქესის ყველა ასაკის რესპონდენტში პირველ ადგილზეა მატერიალური მდგომარეობა, ხოლო მეორეზე ოჯახი. გამონაკლისს წარმოადგენენ 18-დან 20 წლამდე ასაკის რესპონ-

დენტიბი, მათ მატერიალური მდგომარეობის მერე აირჩიეს განათლება, კარიერა, ოჯახი და შვილები. მდედრობითი სქესის რესპონდენტებში ჩამოთვლილი ღირებულებისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. მათთან ოჯახს მესამე ადგილი უკავია მატერიალური მდგომარეობისა და განათლების მერე. გამონაკლის აქაც 18-დან 20 წლამდე რესპონდენტები წარმოადგენენ. მათ ყველაზე მნიშვნელოვან ღირებულებებში პირველი ადგილი მიანიჭეს განათლებას, შემდეგ კარიერას, მატერიალურ მდგომარეობას და შვილებს (თანაბრად) და ბოლოს ოჯახს. ქალთა დამოკიდებულებას ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულებებისადმი თუ დავალაგებთ ასაკის ზრდის მიხედვით, ამგვარ სურათს მივიღებთ: 20-24 წელი – განათლება, კარიერა, მატერიალური მდგომარეობა, ოჯახი და შვილები; 25-29 წელი: მატერიალური მდგომარეობა, ოჯახი, განათლება, შვილები და კარიერა; 30-34 და 35-39 წლები – მატერიალური მდგომარეობა, განათლება, შვილები, ოჯახი და კარიერა; 40-44 წლები – შვილები, მატერიალური მდგომარეობა, განათლება, ოჯახი და კარიერა; 45+ – მატერიალური მდგომარეობა, ოჯახი, შვილები, განათლება და კარიერა.

ძალიან საინტერესო ტენდენცია გამოვლინდა ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულებების განხილვისას ქალაქების მიხედვით. ქუთაისისა და კასპში ყველაზე მნიშვნელოვან ღირებულებებს შორის პირველ ადგილზე დასახელდა მატერიალური მდგომარეობა, ხოლო თბილისში ოჯახი. თბილისში მეორე ადგილი დაიკავა მატერიალურმა მდგომარეობამ, ქუთაისში ოჯახმა, ხოლო კასპში განათლებამ. მესამე ადგილზე თბილისსა და ქუთაისში არის განათლება, ხოლო კასპში შვილის ყოლა. თბილისსა და ქუთაისში შემდეგ ადგილებზეა ჯერ შვილის ყოლა და მერე კარიერა, რაც შეეხება კასპს, აქ თანაბარი მაჩვენებელი აქვს კარიერას და ოჯახის შექმნას. ე. ი. კასპში ოჯახის შექმნას ყველაზე მნიშვნელოვან ღირებულებებს შორის ბოლო ადგილი უკავია.

## ცხრილი 2 ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულებები ქალაქების მიხედვით

	თბილისი		ქუთაისი		კასპი		სულ	
მატერიალური	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%

მდგომარეობა	149	24,7	158	39,5	83	39,6	390	32,2
განათლება	119	19,7	77	19,3	61	29,2	257	21,2
კარიერა	60	10	23	5,7	20	9,6	103	8,5
ოჯახის ჰექტარი	161	26,7	90	22,5	20	9,6	271	22,4
შვილის ყოლა	114	18,9	52	13	25	12	191	15,7

ამდენად, მოყვანილი გამოკვლევების შედეგების ანალიზის შედეგად ნათლად გამოჩნდა, რომ ქვეყნის მოსახლეობის უმცირესობა მნიშვნელოვან ღირებულებებს შორის პირველი ადგილი დაიკავა მატერიალურმა მდგომარეობამ, ე.ი. პიროვნულ ღირებულებებში უმთავრესი გახდა მატერიალური მდგომარეობა, რაც იმ პროცესების დოგირული შედეგია, რომელიც უკანასკნელი ოცი წელია საქართველოში მიმდინარეობს. ამასთან, საყურადღებოა ისიც, რომ ოჯახმა ქალი რესპონდენტების მნიშვნელოვან ღირებულებათა იერარქიაში უფრო დაბლა გადაინაცვლა, ვიდრე მამაკაცებში. თანაც, რაც უფრო ახალგაზრდები არიან ქალი რესპონდენტები, მით უფრო დაბლია ოჯახისა და შვილების, როგორც მნიშვნელოვანი ღირებულებებს ადგილი მათ საერთო ღირებულებათა იერარქიაში. ხშირ შემთხვევებში, ასაკის და სქესის გათვალისწინებით, ოჯახს გადაუსწრო არა მხოლოდ მატერიალურმა მდგომარეობამ არამედ, განათლებამ, შვილებმა და კარიერამ. საყურადღებოა ისიც, რომ გამოკითხული ქალაქებიდან მხოლოდ თბილისშია ოჯახი ყველაზე მნიშვნელოვან ღირებულებათა იერარქიაში პირველ ადგილზე. ხოლო ყველაზე ბოლოსაა კასპში.

სოციალური ღირებულებები კაცობრიობის კულტურის მიერ გამომუშავებული ზნეობრივი და ესთეტიკური იმპერა-

ტივებია. სოციოლოგიაში იგი უმთავრესად განიხილება საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ადამიანთა ქცევის სოციალურ-ნორმატიული ფუნქციით. სოციალური ღირებულებები წარმოადგენს ფუნდამენტურ ნორმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სოციალური სისტემის მთლიანობას.

ღირებულებითი ორიენტაცია პიროვნების შინაგანი სტრუქტურის დიდმიწვნელოვანი ელემენტია. იგი მოცემული ადამიანისთვის მნიშვნელოვანსა და არსებითს გამიჯნავს არამნიშვნელოვანისა და არაარსებითისაგან. ჩამოყალიბებული ღირებულებითი ორიენტაციები წარმოქმნიან ცნობიერების თავისებურ დერძს, რომელიც უზრუნველყოფს პიროვნების სიმტკიცეს, გარკვეული ტიპის ქცევისა და მოქმედების მექანიზმების მიმართებას გამოხატავს. ამით ღირებულებითი ორიენტაცია გამოდის დიდმიწვნელოვან ფაქტორად პიროვნების მოტივაციის დეპერმინირებისა და რეგულირების საქმეში<sup>41</sup>.

ინდივიდის ღირებულებები მარადიული და უცვლელი არ არის. ის განსაზღვრულია დროით, კულტურით და პიროვნული მახასიათებლებით. სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური გარემოს შეცვლა დასაბამს აძლევს საზოგადოებაში არსებული ღირებულებების შეცვლას. ბოლო პერიოდში მიმდინარე პროცესებმა მკვეთრად შეცვალა პოლიტიკური და სოციო-ეკონომიკური გარემო, რასაც, ბუნებრივია, ღირებულებათა გადაფიქტირება მოჰყვა. ეს კი უფრო გამოკვლეული უნდა იყოს ახალგაზრდებში, რადგან ეს თაობა განსხვავებულ პირობებში გაიზარდა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ღირებულებები არის სასურველი, ღრმად გამჯდარი სტანდარტები, რომლებიც განსაზღვრავენ მომავალ და ამართლებენ წარსულ ქმედებებს, მაშინ არ უნდა გაგვიკირდეს რომ ახალგაზრდებში ოჯახის და შვილების, როგორც ღირებულების, გადაფასებამ გამოიწვიოს მათი ქცევის შეცვლაც.

საზოგადოებისათვის თვალსაზრისით, ქორწინება უმნიშვნელოვანები ფუნქციის მატარებელ ინსტიტუტად იყო აღიარებული. ღირებულებების გადაფასებამ ამ ასაზრებაშიც ბზარი შეიტანა. გამოკვლევამ გამოავლინა ოჯახურ-ქორწინებით ურთიერთობებს შორის თანაცხოვრების ინსტიტუტისადმი ლოიალური დამოკიდებულების გაძლიერება. ასეთი ქმედება სულ უფრო დასაშვები ხდება. მნიშვნელობას

<sup>41</sup> Масионис, Социология, 2004. 110-114.

კარგავს წყვილის ქორწინების გარეშე ცხოვრების ნეგატიური პოზიციის დაცვა. რესპონძენტების უმეტესობა (53,1%) თვლის, რომ წყვილს შეუძლია ქორწინების გარეშეც იცხოვრონ ერთად. 16,9%-ს ამ საკითხისადმი გამოკვეთილი აზრი არ აქვს. რესპონძენტების 15,4% თავის პარტნიორთან ერთად ცხოვრობს იურიდიული და რელიგიური ქორწინების გარეშე. ასეთი ადმონიანდ მამაკაცი რესპონძენტების 18,9% და ქალის 12,7%.

ოჯახურ-ქორწინებითი ურთიერთობების მორალური იმპერატივის რეეგაზე მიღვანიშნა ქორწინების გარეშე ბავშვების დაბადებისადმი საზოგადოების დამოკიდებულებამ. შეიცვალა სქესობრივი ურთიერთობების ნორმები, არცთუ ისე ადრე დამკვიდრებული მორალური იმპერატივი, რომ სქესობრივ ურთიერთობასა და ბავშვის გაჩენას აუცილებლად წინ უნდა უძლოდეს ქორწინება, დღეს უკვე კარგავს მნიშვნელობას. ამას ადასტურებს ისიც, რომ: რესპონძენტებს უნდა გამოეხატათ მოსაზრება საკითხზე: გამართლებული იყო თუ არა ქორწინების გარეშე ქალის მიერ ბავშვის გაჩენა. პასუხის თრმა ვარიანტშია: “გამართლებულია, მაგრამ ჩვენი საზოგადოება ამისთვის ჯერ მზად არ არის”, და “გამართლებულია, თუ გათხოვების იმედი აღარ აქვს” თანაბარი მაჩვენებლით (26,5%) გაუსწრო ყველა სხვა პასუხები. ამგვარი ქცევა ყოველმხრივ გამართლებულად მიიჩნია რესპონძენტთა 14,6%-მა, ხოლო ყოველმხრივ გაუშართლებელია 21% და ზნეობრივად გაუშართლებელია 11,4%-სთვის.

რესპონძენტებმა ტოლერანტულობა გამოამჟღავნეს ქორწინების გარეშე ბავშვების გაჩენისადმი იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეს მათ ახლობელს ეხება. შეკითხვაზე: “თქვენმა ახლობელმა ქალმა (შეიძლი, და, ნათესავი, მეგობარი) ქორწინების გარეშე რომ გააჩინოს შვილი, როგორი იქნება თქვენი დამოკიდებულება მისდამი?” კატეგორიულად უარყოფითი პოზიცია გამოხატა მხოლოდ მცირე ნაწილში. “არ მოგუწონებ და გავწყვეტ მასთან ურთიერთობას” – 4,1%. არ მოუწონებს, მაგრამ ურთიერთობას არ გაწყვეტს 32,8%. ინდიფერენტული განწყობა გამოხატა 14,4%-მა, მათ აღნიშნეს, რომ არანაირი რეაქცია არ ექნებათ. მოუწონებს და ყველანაირად დაეხმარება 17,6%, ხოლო, როგორც არასასურველ ფაქტს შეებუება და ყველანაირად დაეხმარება 31,3%. ამგვარად, თუ ადრე ოჯახის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციად ითვლებოდა შვილების გაჩენა და აღზრდა, ახლა მოხდა რა დირებულებათა გადაფასება, იმატა ქორწინების გარეშე შობადობამ. რასაც ხელი შეუწყო საზო-

გადოების ლოიალურმა დამოკიდებულებამ ამ საკითხისადმი. რაც თავის მხრივ განაპირობა მორალური ნორმების ცვლილებამ. თუ ადრე თანაცხოვრება და ქორწინების გარეშე შობადობა ზნეობრივად გაუმართლებლად იყო მიჩნეული და ასეთი ქცევა საზოგადოებისაგან გაკიცხვას იმსახურებდა, ახლა მას ჩვეულებრივ მოვლენად აღიქვამებ. ამის ძირითადი მიზეზი კი არის ცვლილებები საზოგადოების ყველაზე მნიშვნელოვან დირექტულებებში. ამგვარად, ღირებულებათა გადაფასებამ, ოჯახის, როგორც მნიშვნელოვანი დირექტულების შეცვლამ მიგვიყანა ოჯახის მოდერნიზაციამდე.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ქ. მენაბდიშვილი, ლ. მენაბდიშვილი, სოციალურად მაინტეგრირებელი ღირებულებები საქართველოს ეროვნებებში, პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „აღმაშენებელი“. 2010. №10.
2. დევიდ ჯერი, ჯულია ჯერი 2 1999.
3. მასიონის, სოციოლოგია, 2004.

*Elguja Menabdishvili*

## CONTEMPORARY FAMILY'S INFLUENCE ON DEMOGRAPHIC PROCESSES

### Annotation

According to various sociological studies the family is the really important value for our society. But it's obvious that the values are not always eternal and unchangeable. They generally are determined by such factors as time, culture and personal features are. The changes in social, political and economical environment as usual give rise to the changes of values persisting in the society. The last processes have changed drastically the political and socio-economical environment, which was followed by the reappraisal of values. Material condition has become the first among the most important values of the entire population of the country. This fact seems the logical result of the processes going on in Georgia during the last 20 years. It's also important to stress the trend that the family, has shifted down among the most important values in the hierarchy more among the women respondents, than in men. Moreover for the younger women - respondents the more unimportant is the place of family and children as the main values in their general values of hierarchy. In most cases, according to the age and sex factors, the family is the next of not only to the financial condition, but also to the education, children and career. It's also important that among the cities (Tbilisi, Kutaisi, Kaspi) where the research was car-

ried out only in Tbilisi the family is the first among the most important values of hierarchy, while Kaspi is the last. The marriage was recognized as a carrier of the most important institution by means of family formation for society. This trend is showing signs of breaking up by the reappraisal of values. The respondents appeared tolerant towards the idea of born out of wedlock even in the cases of their relatives. The reappraisal of values, concerning the change of the family as the important value, have led us to the family modernization.

### **ლელა მენაბდიშვილი ქორწინების ფორმების დამოგრაფიული მნიშვნელობა**

ქორწინება კულტურული ფენომენია, რომლითაც ხდება პარტნიორთა შორის მეტ-ნაკლებად მუდმივი კავშირის სანქცირება და მათი შთამომავლობის ლეგიტიმაცია. ე.ი. ხდება ოჯახის დაკანონება. სწორედ ამიტომ მისი რაობა ოჯახთან მიმართებაში დგინდება. თუმცა მეოცე საუკუნიდან თავი იჩინა და სულ უფრო გაიზარდა თანაცხოვრების ინსტიტუტები. რომელიც თავიდან მიჩნეული იყო როგორც ქორწინების წინა პერიოდი, თუმცა იგი სულ უფრო გავრცელდა და სხვადასხვა სეგმენტი მოიცვა. თავიდან თანაცხოვრება ქორწინების წინაპირობად იყო მიჩნეული, ახლა ხშირ შემთხვევაში თვლიან კიდეც, რომ მან შეცვალა ქორწინება.

სოციოლოგების აზრით, თანამცხოვრებობა მხოლოდ 10% რჩება ერთად ბოლომდე ქორწინების გარეშე. ასეთი წყვილებისათვის თანაცხოვრება ქორწინების გრძელვადიანი აღტერნატივაა, ანუ ოჯახური ფუნქციების შესრულების ერთ-ერთი გზაა იმ სოციალურ ინსტიტუტებში ჩართვის გარეშე, რასაც ქორწინება აკანონებს<sup>42</sup>. თუ ორი ადამიანი სქესობრივ თანაცხოვრებას ეწევა და თუნდაც საერთო მეურნეობა აქვთ, ამით ოჯახი მაინც არ არის შექმნილი. ამ სახის კავშირი ოჯახის ფორმას იღებს ქორწინების ინსტიტუტით. ქორწინებით ორი ადამიანი პასუხისმგებლობას იღებს მათი საერთო ბედის თუ ყოფიერების მოწყობაში. ეს პასუხისმგებლობა თავს მოხვეული კი არ არის, არამედ საკუთარი ნებით ნაკისრი და ქორწინებით გაფორმებულია, რითაც საფუძველი ეყრდნობა ოჯახს. ქორწინება

<sup>42</sup> ქრებ კალტუნი, დონალდ ლაიტო, სუზენ კელერი, სოციოლოგია, 2007. 5-13, 2007, 388.

ოჯახის სანქცირებაა. იგი ძირითადად ორი ფორმით ხორციელდება: სამოქალაქო და საეკლესიო რეგისტრაციით. ორივე ერთ მიზანს ისახავს – ოჯახის შექმნას, წევილის შექროვებას ერთობლივი ცხოვრებისათვის, რათა მას მიანიჭოს კანონიერი ხასიათი. ქორწინება პარტნიორის მიმართ აღვეული ვალდებულება და პასუხისმგებლობაა.

ქორწინება აკავშირებს ქალს და მამაკაცს ოჯახური ცხოვრების, შეილების შობისა და აღზრდის მიზნით. სამოქალაქო ქორწინება საზოგადოების მხრივ ამ კავშირის კანონიერებას უზრუნველყოფს. მას იურიდიული ძალა აქვს, რასაც ვერ ვიტყვით რელიგიურ ქორწინებაზე. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ საზოგადოებაში რელიგიური ქორწინება მნიშვნელოვნად ითვლება. ეს არცაა გასაკვირი, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ქვეყნას მართლმადიდებლური სარწმუნოებისადმი მრავალსაუკუნოვანი ერთგულება გააჩნია. თვალს თუ გადავავლებთ 2002 წლის აღწერის მასალებს, რომლის მიხედვითაც ქვეყნის მოსახლეობის 88,6% ქრისტიანული აღმსარებლობისაა, მათ შორის კი 83,9% – მართლმადიდებელია, ხოლო ქვეყნის მკვიდრი ეროვნების – ქართველების 94,7%-ია მართლმადიდებელი, მაშინ ცხადი გახდება ჩვენი საზოგადოებისათვის რელიგიური ქორწინების დიდი მნიშვნელობა.

“ქართველების ცხოვრებაში რელიგიის გამორჩეული ადგილი უგავია, იმ ათ ღირებულებაში რომლებიც გამოკითხულებმა ქართველებისათვის ყველაზე მნიშვნელოვნად დასახელებს, რელიგიის მეორე ადგილი უკავია და პირველ ადგილზე დასახლებულ ღირებულებას – ოჯახს 22%-ით ჩამორჩება”<sup>43</sup>. რელიგიის გამორჩეული მნიშვნელობა მოქმედებს მომავალი მეუღლის არჩევაზე. რესპონძენტთა საქმარდ დიდი ნაწილი მიუთითებს მის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე საქორწინო პარტნიორის არჩევისას და მას უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს ვიდრე ეროვნებას.

### ცხრილი 1 მეუღლის არჩევის დროს მნიშვნელობა აქვს მის

	ეროვნება			სარწმუნოება		
	ქალი	ქაცი	სულ	ქალი	ქაცი	სულ

<sup>43</sup> კ. მენაბი შვილი, ქართველები ღმერთის მნიშვნელობის შესახებ. დისციპლინათაშორისო რესუბლიკური კონფერენცია ”ეროვნული და სარწმუნოებრივი იდენტობა”, 2004, 40.

ვეთანხმები	59,4	51,7	55,9	87,1	81,9	84,7
არ მაქვს გამოკვლილი აზრი	10,1	12,2	11,1	4,8	5,1	5,0
არ კეთანხმები	30,5	36,0	33,0	8,1	13,0	10,3

მეუღლეთა რელიგიური და ეროვნული პომოგამიურობა გულისხმობს დირექტულებებისა და ქცევის ერთგვაროვნებას. მაგრამ ეს უფრო მკვეთრად ჩანს ერთი რელიგიის წარმომადგენლებში. ნეიდ სმელზერი აღნიშნავს, რომ საერთო რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლების დაქორწინების უპირატესობა დასტურდება მათ შორის ქორწინების მადალი დონით. აღნიშნული ფაქტორის გავლენა გამოკვლეულ იქნა ვერბალური ქცევითაც “როდესაც ახალგაზრდებს ეკითხებოდნენ, მზად არიან თუ არა დაქორწინდნენ სხვა რწმენის წარმომადგენლებზე, ისინი დადებით განტურიბას ავლენენ, თუმცა ფაქტორივად სხვადასხვა რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლებს შორის ქორწინება მთელი ქორწინების მხოლოდ 6,4 პროცენტს შეადგენს”<sup>44</sup>. მაშინ როცა განსხვავებული ერის წარმომადგენელთა ქორწინება დაქორწინებულთა 10-15 პროცენტია.

ქრისტიანულ რელიგიაშიც ქორწინებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ახალი აღთქმის შვიდი საიდუმლოდან იგი ერთ-ერთ საიდუმლოდა მიჩნეული. ქორწინების საიდუმლოს უხილავი არსი იმაში მდგომარეობს, რომ დაქორწინებულები ღვთაებრივ მადლს აზიაროს, რომ ღმერთმა დაიცვას ზნეობრივ სიწმინდეზე დაფუძნებული მათი მომავალი ოჯახური კავშირი.

“ცხოვრებაში შესაწევნელად და კაცთა ნათესაობის გასაგრძობად კაცი და ქალი ირჩევს ერთიმეორეს, აღუთქვამენ ერთმანეთს ერთგულებას, იწყებენ ერთად ცხოვრებას და იწოდებიან ცოლ-ქმარად. ქმარი და ცოლი ეწევა ერთსა და იმავე უდელს – ოჯახობას, შვილების აღზრდას და სხვ. ამიტომაც ცოლ-ქმარი იწოდებიან კიდევ მეუღლებად. ქრისტიანული წესით ქალმა და კაცმა, რომელთაც ერთიმეორე აირჩიეს საუბანო ამხანაგებად და სურთ იუვნენ მეუღლეებად, ჯვარი უნდა დაიწეროს. ჯვარდაუწერლობა სჯულის წინააღმდეგია.

<sup>44</sup> Нeил Смелзер. Социология. 1994, 411.

ცოლქმრული კავშირის კურთხევა დვოის ნებაა”<sup>45</sup>. რადგან მართლმადიდებლისათვის ჯვრისწერას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ მას უფრო მაღლა აყენებს (მეტ მნიშვნელობას ანიჭებს) ვიდრე ქორწინების იურიდიულ გაფორმებას.

### ცხრილი 2 რესპონდენტთა დამოკიდებულება ქორწინების ფორმებისადმი (%)

	ვეთანხმები			არ მაქს გამოკვეთილი აზრი			არ ვეთანხმები		
	სულ	ძალი	ქალი	სულ	ძალი	ქალი	სულ	ძალი	ქალი
აუცილებელია, რომ ქორწინება გაფორმებული იყოს იურიდიულად	52,6	49,5	55,2	14,4	15,5	13,4	33,0	34,9	31,4
აუცილებელია საქალესიო ქორწინება იურიდიულად აღიარებული იყოს სახელმწიფოს მიერ	69,5	66,4	72,0	13,7	14,3	13,2	16,8	19,4	14,7

როგორც ცხრილში მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილის აზრით, აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან მოხდეს საეკლესიო ქორწინების იურიდიული აღიარება. ამ მოსაზრებას იზიარებენ ორივე სქე-

<sup>45</sup> ცოლქმრობა, შემდგენელი მღვდელი ნეხტორ ყუბანეიშვილი, 1899, 3-4.

სის რესპონდენტები. თუმცა სიხშირით ქაღლები ჭარბობენ მამაკაცებს. თუ გავიხსენებთ 2002 წლის აღწერის მასალებიდან მოყვანილ მონაცემებს, მივხვდებით, რომ რესპონდენტთა დაღუბითი დამოკიდებულება საეკლესიო ქორწინების იურიდიულად აღიარების შესახებ სავსებით დოგიკურია. ამასთან, აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ ხშირ შემთხვევაში წყვილი მხოლოდ რელიგიურ ქორწინებაში იმყოფება და რადგან ამგვარ ქორწინებას არ აქვს იურიდიული აღიარება, ეს ბევრ პრობლემას იწვევს. თუნდაც ის ფაქტი, რომ ამგვარი ქორწინებით მობილი ბავშვები რეგისტრირებული ქორწინების გარეშე შეძილებად ითვლებიან. მაშინ, როცა ქორწინების მდგრელმსახურებით დაქორწინებულები პასუხისმგებლობას კისრულობენ დათის წინაშე, რომ თანხმობით გაწევენ თავიანთი ცოლქმრული ცხოვრების ჭაპანს, განამტკიცებენ ქრისტეს რწმენას, განუხრებულად მისდევენ ქცევის დათავის მცნებებს სიტყვით და საქმით. სიყვარულის, ერთგულების, ურთიერთგაგების სანთლით მოსავს ამ კავშირს თვით ჯვრისწერის პროცედურული წესები: საკურთხეველთან ცოლქმრული ერთგულების პირობის დადება, მდგრდლის დალოცვა, ბეჭდების ურთიერთგაცვლა, საკმეველის ქმევა და სხვა ქორწინების საიდუმლო ახალშეუდლებულების აკისრებს, აგრეთვე, პასუხისმგებლობას, რომ იყოლიონ და აღზარდონ შვილები ქრისტეს შთამაგონებელი რწმენით. ჩაუნერგონ მათ სიყვარულის, სიკეთის, პატიოსნების ქრისტესმიერი თვისებები<sup>46</sup>.

გასაანალიზებელი საკითხისადმი სრული წარმოდგენა რომ შეგვექმნას, აუცილებელად ჩავთვალეთ შეგვესწავლა ამ მხრივ დაქორწინებულ რესპონდენტებში რეალურად რა მდგომარეობაა. მონაცემებით გამოიკვეთა, რომ ყველაზე მეტია იმ რესპონდენტების წილი, რომლებსაც გაფორმებულიც აქვთ რეგისტრირებული ქორწინება და ამავდროულად რელიგიურ ქორწინებაშიც იმყოფებიან. შემდეგ მოდის მხოლოდ რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი რესპონდენტები, მათ ჩამორჩებიან ის რესპონდენტები, რომლებსაც არც იურიდიულად და არც რელიგიურად არ გაუფორმებიათ თავიანთი ქორწინება. აქეე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი აღმოჩნდა არცოუ მცირე ნაწილი და სიხშირით გადაუსწრო მხოლოდ რელიგიურ ქორწინებაში მყოფ რესპონდენტებს.

<sup>46</sup> ლ. კოდუა, ქრისტიანული რელიგიის ზნეობრივი ფუნქცია. 1995, 142.  
370

### ცხრილი 3

#### დაქორწინებულ რესპონდენტთა განაწილება ქორწინების ფორმის მიხედვით (%)

	მამაკაცი	ქალი	ორივე სქესი
მხოლოდ რეგისტრირებულ ქორწინებაში	25,7	28,1	27,0
მხოლოდ რეგისტრირებულ ქორწინებაში	12,7	11,9	12,3
რეგისტრირებულ და რეგისტრირებულ ქორწინებაში	42,7	47,3	45,2
არც ერთში	18,9	12,7	15,4

ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ ის რესპონდენტები, რომლებიც თანაცხოვრებას ეწევიან ვი. არც იურიდიულად და არც რელიგიურად არა აქვთ ქორწინება გაფორმებული არცოუ ცოტა. ასეთი წყვილები ხშირად არაფრით განსხვავდებიან დაქორწინებული წყვილებისაგან. პყავთ შვილები, აქვთ საერთო მეურნეობა. ოჯახის წევრთა შორის არსებული ურთიერთობები არ არის უბრალოდ ერთად მცხოვრებ პირთა დამოკიდებულება. მისი წევრები არა მხოლოდ ყოფითი პრობლემებით და საკითხებით არიან ერთმანეთთან დაგავშირებულები, არამედ ეს ურთიერთობები თითოეული მათგანი-სათვის წარმოშობს გარკვეულ იურიდიულ შედეგებს, რაც თავისთავად მოითხოვს მათ სამართლებრივ მოწესრიგებას, რასაც მოკლებულია თანაცხოვრების ინსტიტუტი.

რესპონდენტების დიდ ნაწილს ქორწინება რელიგიურადაც და იურიდიულადაც გაფორმებული აქვს. საინტერესო მათი გაფორმების მხრივ რაიმე ტენდენცია ხომ არ იგვთება. ვცადეთ, გაგვერკვია რიგითობის მიხედვით როგორ მოხდა მათი გაფორმება. აღმოჩნდა, რომ რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილში ქორწინება ორივე ფორმით ერთდროულად მოხდა, ხოლი უმნიშვნელო სხვაობით (მხოლოდ 0,2 მეათედი) სამოქალაქო ქორწინება, დროში უსწრებს რელიგიურს.

### ცხრილი 4

#### რესპონდენტთა ქორწინების ფორმები რიგითობის მიხედვით (%)

	მამაკაცი	ქალი	ორივე სქესი
ჯერ ხელი მოაწერს და მერე ჯვარი დაიწერეს	8,7	11,6	10,3

ჯერ ჯგარი დაიწერეს და მერე ხელი მოაწერეს	8,0	11,6	10,1
ორივე ერთდროულად	83,3	76,8	79,6

საოჯახო ურთიერთობები წესრიგდება ზნეობრივი ნორმებით, ჩვეულებებით, რელიგიური წესებით და საოჯახო სამართლის ნორმებით. რელიგიური ქორწინების შემთხვევაში საოჯახო ურთიერთობებზე სამართლებრივი ნორმები ჯერჯერობით არ ვრცელდება. ვფიქრობთ, ეს საკითხი სასწავლოდ მოსაგვარებელია. მთ უფრო, რომ ეს საზოგადოების დაკვეთაა. ამასთან, ამ პრობლემის მოგვარებით თავიდან ავიცილებთ სტატისტიკურ მონაცემებში უზუსტობებს, რომლებიც უპავშირდება ქორწინების და შობადობის აღრიცხვას.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ლ. კოდუა, ქრისტიანული რელიგიის ზნეობრივი ფუნქცია. 1995.
2. ქრებ კალპუნი, დონალდ ლაიტო, სუზენ კელერი, სოციოლოგია, 2007. 5-13, 2007.
3. ე. მენაბდიშვილი, ქართველები დმერთის მნიშვნელობის შესახებ. დისციპლინათაშორისო რესპუბლიკური კონფერენცია „ეროვნული და სარწმუნოებრივი იდენტობა”, 2004.
4. ცოლ-ქრობა, შემდგენელი მდვდელი ნესტორ კუბანეიშვილი, 1899.
5. ჰეილ სმელზერ. Социология. 1994.

### *Lela Menabdishvili*

### DEMOGRAPHIC SIGNIFICANCE OF MARRIAGE FORMS

#### Annotation

Marriage is a cultural phenomenon by means of which the legalization of family takes place. Two main forms of its legalization exist: civil and religious registration. The aim of both are the same: family formation, affiliation of couples for mutual living to grant them legal recognition. Religion has the special importance throughout the Georgian society. The denomination preference is the main factor of influence for choosing the future spouse. The majority of respondents (84,7%) points out to the special significance of this factor while choosing the partner for wedding, this is the more significant factor than nationality (55,9%). The majority of respondents (69,5%) considers inevitable the religious marriage recognition by

a government institution in accordance with marriage laws of the jurisdiction.

The marriage of 45,25% of respondents is officially recognized as legally as well as religiously, but of 12,3% - only religiously. Many problems arise because of the fact that such type of marriage has not legal recognition. So this problem needs special attention as soon as possible. Besides it's the urgent request of the society. Herewith it will be the instrumental in solving the problem of statistical data inaccuracy connected with the marriage and birth registration.

### **ნანა მენაბდიშვილი შემოსავლების გავლენა ოჯახშრ ურთიერთობებზე**

ოჯახური სიმტკიცის ზნეობრივი საფუძველი ცოლქმრული სიყვარული, ერთგულება და ურთიერთპატივისცემაა. სიყვარული და ერთგულება იქ შეიძლება იყოს, სადაც საერთო სულიერი და ზნეობრივი იდეალებია, საერთო გემოგნება და მისწრაფება. თავის მხრივ, ზნეობის, გემოგნებისა და მისწრაფების ერთიანობას განაპირობებს კულტურის, ტრადიციის, აღმსარებლობის, განათლების, აზროვნების სიღრმის მეტნაკლები ერთიანობა. ერთად ცხოვრების პირობებში ხდება მათი გადაზრდა ხასიათის მსგავსება-თანხმობაში, რაც მყარი სიყვარულის და ერთგულების ყველაზე ძლიერი წეაროა.

სოციოლოგიური გამოკვლევები<sup>47</sup> ადასტურებს, რომ ოჯახის სიმტკიცის აუცილებელ პირობად საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს (98%) სიყვარულით ქორწინება მიაჩნია. მეუღლეთა ერთგულება ჩვენი რესპონდენტებისთვისაც უმთავრესია. მათ არ გაიზიარეს (98,5%) მოსაზრება, რომ “დაქორწინებულ წყვილთაგან ორივეს შეიძლება ჰყავდეს მეგობარი (საყვარელი).” ამ მოსაზრებას არ დაეთანხმა როგორც ქალი (98,3%), ისე მამაკაცი (98,7%) რესპონდენტების უმეტესობა. მათ ასეთივე პოზიცია დაიკავეს, როცა საქმე ეხებოდა მხოლოდ ქმრის ერთგულებას. განსხვავება ორივე მეუღლისა და ქმრის ერთგულებაში ძალიან დაბალია. მოსაზრება: “დაქორწინებულ

<sup>47</sup> ნაშრომში განხილულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მიერ 2013 წლის გაზაფხულზე ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგები. გამოკვლევა ჩატარდა ქ. თბილისში, ქ. ქუთაისსა და ქ. კასპში. გამოიკითხა 1212 რესპონდენტი.

წევილთაგან მხოლოდ ქმარს შეიძლება პყავდეს მეგობარი (საყვარეფი)“ არ გაიზიარა რესპონდენტთა 91,2%-მა. მამაკაცი რესპონდენტების 12,4% დაეთანხმა ამ მოსაზრებას, 83,5% კი არა. ქალი რესპონდენტების 97,4% ამ მოსაზრებას არ დაუთანხმა, ამდენად, აშკარად გამოკვეთილია საზოგადოების დადებითი დამოკიდებულება მეუღლეთა ერთგულებისადმი.

ტრადიციულად, ოჯახში მამაკაცი ასრულებდა “მარჩენლის” როლს, ხოლო ქალი ქმრისა და ბავშვების მოვლით იყო დაკავებული. დღეს მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. “ორთოდოქსული” ოჯახებიდან, სადაც ცოლი “სახლის დიასახლისია”, ქმარი კი “მარჩენალი”<sup>48</sup> მივედით თანამედრივე ოჯახებამდე, სადაც ორივე მეუღლე მუშაობს და ოჯახის მატერიალურ უზრუნველყოფას ორივე აგვარებს. ახლა ქალი ადარ არის დამოკიდებული ქმარზე, ხშირ შემთვევაში მისი შემოსავალი კიდევ აღემატება ქმრისას. ადრე ეს მიუღებლად და მამაკაცის დირსების შემდახავად ითვლებოდა, რადგან მიიჩნეოდა, რომ კაცი იყო “ოჯახის თავი”. საზოგადოების დამოკიდებულება ამ საკითხისადმი თანდათან შეიცვალა. რესპონდენტების 47,3% ოვლის, რომ თუ ქალს კაცზე მეტი შემოსავალი აქვს, ეს მათ ურთიერთობებზე ცუდად არ მოქმედებს. ამგვარი პოზიცია გამოხატა როგორც ქალი (46,8%), ისე მამაკაცი (47,9%) რესპონდენტების უმეტესობამ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რესპონდენტთა არც თუ მცირე ნაწილის (30,8%) აზრით, ეს ცვდად მოქმედებს მათ ურთიერთობაზე (მამაკაცები – 31,6%, ქალები – 30,1%).

თანამედროვე ოჯახებში მამაკაცის ოჯახური მოვალეობები გაიზარდა, ქალის კი შემცირდა. ცოლ-ქმარს შორის ოჯახური პასუხისმგებლობის უთანასწოროდ განაწილება უპვე უსამართლობად ითვლება და შეიძლება მეუღლეთა შორის კონფლიქტების მიზეზიც გახდეს. თანამედროვე საზოგადოებისთვის დამახასიათებელი “გაალიტარული” ოჯახი ცოლ-ქმარს შორის საოჯახო მოვალეობების სამართლიან განაწილებას, თითოეული პარტნიორის ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებას და თანაბარ პატივისცემას გულისხმობს. სოციოლოგიური გამოკვლევები ადასტურებს, რომ საზოგადოებაში გამოკვეთილია დადებითი დამოკიდებულება იმისადმი, რომ მეუღლეები ოჯახში ყველა საკითხს შეთანხმებულად უნდა წყვეტდნენ (94,3%), მათ შორის ქალი რესპონდენტების

<sup>48</sup> Гидденс Э. Социология. М., 1999. с. 372.

97,4% და მამაკაცების 90,5%. ოუმცა რეალურად რესპონდენტთა შორის ასეთი ოჯახები არცოუ ისე ბევრია (მამაკაცების 38,9%, ქალების 47,1%). ასევე დადგებითი დამოკიდებულებაა იმისადმი, რომ ქალსა და მამაკაცს ერთნაირი წვლილი უნდა შეჰქონდეთ საოჯახო საქმიანობაში (75,5%). ამ მოსაზრებას იზიარებს როგორც ქალი (78,9%), ისე მამაკაცი (71,3%) რესპონდენტების უმეტესობა. რეალურად ქორწინებაში მყოფ რესპონდენტთა ნახევარში (50,4%) ოჯახის მატერიალურ უზრუნველყოფას ახდენს მამაკაცი. 31,3%-ის შემთხვევაში ეს როლი ორივეს აკისრია, ხოლო ისეთი ოჯახები, სადაც ქალია „შემომზანი“ ძალიან მცირეა (4,4%). 13,9%-ის შემთხვევაში ამ ფუნქციას ოჯახის სხვა წევრი ასრულებს, ე.ო. მეუღლები მატერიალურად ოჯახის სხვა წევრებზე არიან დამოკიდებულნი, რაც, სავარაუდოდ, ზღუდავს მათ დამოუკიდებლობას.

დედობა და მამობა არა მხოლოდ დიდი ბედნიერება, არამედ დიდი პასუხისმგებლობა და სამუდამო მოვალეობაა. ტრადიციულად, ბავშვების აღზრდით ქალი იყო დაკავებული. გამოკვლევამ აჩვენა, რომ ამჯერადაც ყველაზე ხშირია ისეთი ოჯახები, სადაც ბავშვების აღზრდა ძირითადად დედის მოვალეობაა, თუმცა გაზრდილია ისეთი ოჯახების რაოდენობა, სადაც ეს ფუნქცია ორივე მშობელს აკისრია (28,4%). ჩვენს საზოგადოებაში ბავშვების აღზრდაში ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა ბებია-პაპა, მით უფრო, თუ ორივე მშობელი მუშაობს. ამჯერადაც რესპონდენტი ოჯახების მეხუთდეში ბავშვების აღზრდა ოჯახის სხვა წევრებს აკისრია.

ოჯახში წმინდა ქალური საქმეებია სახლის დალაგება, სადილის მომზადება. პროდუქტის ყიდვა ყველაზე ხშირ შემთხვევაში ქალის მოვალეობაა, თუმცა არცოუ მცირეა ისეთი ოჯახები, სადაც ეს საქმე თრივე მეუღლის ან მხოლოდ ქმრის ფუნქციაა. ქვემოთ მოცემულ ცხრილში კარგად ჩანს, რესპონდენტთა ოჯახებში როგორ განაწილდება საოჯახო საქმიანობა.

### ცხრილი 1

#### მოვალეობათა განაწილება ოჯახში

	ოჯახში ვის ეგალება (პროცენტებში)			
	მამაკაცი	ქალი	თანაბრად	სხვა წევრები
ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფა	50,4	4,4	31,3	13,9
ბავშვების აღზრდა	1,4	49,9	28,4	20,3

მოხუცებულებზე ზრუნვა	1,9	9,3	20,5	68,3
ყოველდღიური სადილის მომზადება	2,5	77,2	4,5	15,8
პროდუქტების ყიდავა	22,9	35,0	26,9	15,1
სახლის დაღიაგება	3,0	83,0	3,0	11,0
კომუნალური გადასახადების გადახდა	38,5	24,2	20,3	17,0

ცოდქმრობა ისეთი სოციალური ურთიერთობაა, რომლის დროსაც წმინდა პირადი გრძნობადი ლტოლვა გადაიქცევა მდგრად ურთიერთშეგუებად და ერთობლივ საქმიანობად. ცოქმრის სიყვარულსა და მეუღლეობის ამოცანების შესრულებაზე დიდადაა დამოკიდებული ოჯახის მდგრადობა. ურთიერთსიყვარული, მოვალეობის გრძნობა მეუღლისა და შეილების წინაშე (მეუღლისა და მშობლის როლის წარმატებით შესრულება); ზრუნვა ერთობლივი საცხოვრებლისა და საოჯახო მეურნეობისათვის; ერთობლივი სწრაფვა კარიერული წინსვლისათვის, პიროვნების სრული განვითარებისათვის; შრომის სამართლიანი განაწილება ოჯახში ხელს უწყობს ცოდქმრობის წარმატებას.

თუმცა ცოდქმრობის სრული წარმატება იშვიათია, რადგან თჯახს გააჩნია თავისი სპეციფიკური, მისოთვის დამახასიათებელი სირთულეები: მეუღლეებს შორის ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებები, წარმოდგენები, მოთხოვნილებები, ინტერესთა შეჯახება, რასაც თან ახლავს ძლიერი უარყოფითი ემოციები და რაც ხდება ცოდქმრული კონფლიქტების საფუძველი.

მეუღლეთა შორის კონფლიქტები განსხვავებული სასიათისა და შინაარსისაა. ის შეიძლება დაკავშირებული იყოს საკუთარი ”მე”-ს მნიშვნელობისა და დირსების გამომხატველ მოთხოვნილებათა დაუქმაყოფილებლობასთან, პარტნიორის მხრიდან უპატივცემლო დამოკიდებულებასთან, ერთ-ერთი ან ორივე მეუღლის სექსუალურ დაუკმაყოფილებლობასთან, მეუღლეთა შორის დადებითი ემოციების დეფიციტთან, ფინანსურ უთანხმოებასთან, საჯახო საქმის განაწილებასთან, ბავშვების აღზრდა-მოვლასთან, დასვენებისა და თავისუფალი დროს გატარების მოთხოვნილებებისა და ინტერესების

დაკმაყოფილებასთან, ერთ-ერთი მეუღლის მიერ ალკოჰოლისა და ნარკოტიკული საშუალებებისადმი დამოკიდებულებასთან<sup>49</sup>.

ჩვენ რესპონდენტებს შევთავაზეთ იმ მიზეზების ჩამონათვალი, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს მეუღლეებს შორის უკმაყოფილება. მათ ამ მიზეზებიდან უნდა აერჩიათ ყველაზე მნიშვნელოვანი, რიგით მეორე და რიგით მესამე მნიშვნელობის მიზეზები. გამოკითხვით მიღებული შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ ყველაზე მნიშვნელოვან მიზეზებს შორის პირველ ადგილზეა ალკოჰოლიზმი და ნარკომანია (27,2%), მეორეზე ეკონომიკური საკითხები (24,6%) და მესამეზე ოჯახისადმი უყურადღებობა (22%). მეორე მნიშვნელობის მიზეზებს შორის პირველ-მეორე ადგილები კვლავ უცვლელი იყო (ალკოჰოლიზმი და ნარკომანია 26,8%, ეკონომიკური საკითხები 20,6%). მესამე ადგილი კი ეჭვიანობამ დაიკავა (14,8%). რაც შეეხება მესამე მნიშვნელობის მიზეზებს, აქ პირველ ადგილზე 24,7%-ით ხასიათის შეუთაგსებლობა, მეორეზე ეჭვიანობა (15,3%) და მესამეზე ოჯახისადმი უყურადღებობა (15,2%) განაწილდა. ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილია სხვა მიზეზების პროცენტული განაწილება.

## ცხრილი 2

### თქვენი აზრით რა შეიძლება გახდეს მეუღლეთა შორის უკმაყოფილების მიზეზი? (%)

მიზეზები	ყველაზე მნიშვნელოვანი	მეორე მნიშვნელობის	მესამე მნიშვნელობის
ოჯახისადმი უყურადღებობა	22,1	12,8	15,2
ეკონომიკური საკითხები	24,6	20,6	14,3
მშობლები	1,2	2,6	3,1
ბავშვის აღზრდის საკითხები	1,3	3,1	4
ალკოჰოლიზმი, ნარკომანია	27,3	26,8	14,4
ეჭვიანობა	8,8	14,8	5,31

<sup>49</sup> Сысенко В. А. Супружеские конфликты. М., Финансы и статистика, 1983.

ხასიათის შეუთავსებლობა	10,6	14,5	24,7
ინტიმური საკითხები	4,1	4,8	9

მეუღლეთა შორის უქმაყოფილების მიზეზების ანალიზი მოვახდინეთ სქესის მიხედვით. აღმოჩნდა, რომ კაცები ყველაზე მნიშვნელოვან მიზეზებს შორის ყველაზე ხშირად ასახელებენ ოჯახისადმი უყურადღებობას (26,3%), შემდეგ ეკონომიკურ საკითხებს (24,4%) და ალკოჰოლიზმსა და ნარკომანიას (23,9%).

მეორე მნიშვნელობის მიზეზებს შორის პირველ ადგილზე ალკოჰოლიზმი და ნარკომანია (25%), მეორეზე კვლავ ეკონომიკური საკითხები რჩება (21%), მესამე ადგილს კი ეჭვიანობა იყავებს (14,6%). რაც შეეხება მესამე მნიშვნელობის მიზეზებს, აქ პირველი ადგილი ხასიათის შეუთავსებლობას უკავია (24,9%), მეორეზე ეჭვიანობაა (15,3%), ხოლო მესამე ადგილზე 14,8%-ით თანაბრად გავიდა ალკოჰოლიზმი, ნარკომანია და ოჯახისადმი უყურადღებობა.

ქალმა რესპონდენტებმა ყველაზე მნიშვნელოვან მიზეზებსა და მეორე მნიშვნელობის მიზეზებში პირველ-მეორე ადგილზე დაასახელეს ალკოჰოლიზმი, ნარკომანია (შესაბამისად 29,9% და 28,2%) და ეკონომიკური საკითხები (შესაბამისად 24,8% და 20,3%), ხოლო მესამე ადგილზე ოჯახში მეუღლეთა შორი უქმაყოფილების ყველაზე მნიშვნელოვან მიზეზებში დაასახელდა ოჯახისადმი უყურადღებობა (18,5%), მეორე მნიშვნელობის მიზეზებში კი ხასიათის შეუთავსებლობა (15,5%). მესამე მნიშვნელობის მიზეზებში ყველაზე ხშირად დასახელდა ხასიათის შეუთავსებლობა (24,7%), მეორეზე კვლავ ეკონომიკური საკითხებია (16,7%), მესამეზე კი ოჯახისადმი უყურადღებობა (15,5%).

ჯესი ბერნანდი თვლის, რომ დღეს პატრიარქატის პოზიცია მნიშვნელოვნად შესუსტდა, თუმცა ჩვენ მივეწვით, რომ ქმრები უფროსები, ძლიერები, პროფესიულ საქმიანობაში უფრო წარმატებული არიან ვიდრე ცოლები. მეუღლეთა რასობრივი მიკუთვნებულებისაგან დამოუკიდებლად, ნებისმიერი ქორწინება წარმოადგენს ორ განსხვავებულ მეუღლეობას: ქალის და ქაცის. ბერნარდის აზრით, არ არსებობს მამაკაცის დღეგრძელობის, ჯანმრთელობის და ბედნიერების იმაზე საუკეთესო გარანტი, ვიდრე ცოლია, რომელიც მზად არის მოელი თავისი ცხოვრება შესწიროს მეუღლეს, უზრუნველყოს

სტაბილურობა და წესრიგი ოჯახში. მკვლევარი თვლის, რომ ქორწინება ქალისთვისაც წარმატებული იქნება თუკი მამაკაცი არ იქნება მასზე დომინირებული და არ შეასრულებინებს მას მთელ საოჯახო საქმეს. გამოკვლევები ადასტურებს, რომ მეუღლები, რომლებიც ერთად ახდენენ ოჯახის მატერიალურ უზრუნველყოფას, ზრდიან შვილებს და უძღვებიან ოჯახს ფსიქოლოგიურად ბევრად უფრო ჯანმრთელები არიან სხვებთან შედარებით<sup>50</sup>.

წარმატებული ქორწინება საერთო სულიერ და ზნეობრივ იდეალებს, საერთო გემოვნებასა და მისწრაფებას ნიშნავს, როდესაც ოჯახური თანაცხოვრების პირობებში ხასიათის მსგავსება თანხმობაში გადადის. მეუღლეთა სიკვარული, ურთიერთპატივისცემა და მეგობრობა ოჯახს აქცევს იმ ადგილად, სადაც მეუღლეები სულიერ სიმშვიდეს განიცდიან. ცოლქმრობის სრული წარმატება საქმაოდ იშვიათია, რადგან ოჯახში უამრავი პრობლემა იყრის თავს, რომელიც გამოწვეულია როგორაც გარეგანი, ისე შინაგანი ძალებით. თუმცა პრობლემების არსებობა არ ნიშნავს ოჯახის აუცილებელ დეზორგანიზაციასა და დაშლას. ოჯახში მეუღლეთა შორის უთანხმოებები ხშირ შემთხვევაში მოგვარებადი და დავიწყებულია. ამაზე მეტყველებს ჩვენი რესპონძენტების კმაყოფილება მეუღლესთან ურთიერთობით. მათ უნდა შეეფასებინათ მეუღლესთან ურთიერთობით კმაყოფილება ათბალიანი სკალის მიხედვით, სადაც 0 აღნიშნავდა სრულიად უკმაყოფილოს, ხოლო 10 – სრულიად კმაყოფილს. მამაკაცებში კმაყოფილების საშუალო ქულა 9,5-ის ტოლია, ხოლო ქალებში – 9,2-ის.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Гидденс Э. Социология. М., 1999. С. 372.
2. Д. Ж. Масионис. Социология. 2004. С. 600-601.
3. Сысенко В.А. Супружеские конфликты. М., Финансы и статистика, 1983.

<sup>50</sup> Д. Ж. Масионис. Социология. 2004. С. 600-601.

*Nana Menabdishvili*

## **THE INFLUENCE OF INCOMES ON THE FAMILY RELATIONSHIPS**

### **Annotation**

The sociological research carried out this year confirmed the notion of the majority of the society (98%) that the marriage based upon the mutual love is the indispensable condition of stable family. The most important factor in family relations is the spouses fidelity to each other. The respondents (98,5%) don't agree with the idea of "having the extra-marital relationship of both of married couple". The same stand was among the respondents concerning the husband fidelity factor. 91,2% of them considers unacceptable of having the mistress for married man.

Society notion towards the husband as a "a bread-winner" has been changed gradually. 47,3% of respondents don't consider the women's higher income as a factor that adversely influences the relationships in family. It's also acceptable for them the mutual solution of the family issues (93,3%) by couples, but in reality there are not so many families with such ideas among the respondents (38,9% - men; 47,1% -women). There is also the general mood that wife and husband should have the equal contribution to the family activity (75,5%). In reality among the half (50,4%) of married respondents the men are still the major contributors of household income. in 31,1 % of families both are the contributors of family income, but there are less rare the families only 4,4% where a wife is a main contributor. Among 13,9% of the families financial maintenance is the responsibility of other family members. That is to say, the married couple are dependent on the other family members. Supposedly, this fact is pivotal in limiting of their independence. Among the most important factors diversely affecting the family relationships are the following: alcoholism and drug addiction (27,2%), economical issues (24,6%) and carelessness towards the family (22%).

*Зураб Микабериძე  
Намела Какауриძე*

## **МЕТОДОЛОГИЧЕСКИЕ И МЕТОДИЧЕСКИЕ ВОПРОСЫ ИЗМЕРЕНИЯ СТОИМОСТИ ОТКАЗА ОРУДИЙ ТРУДА**

Измерение стоимости отказа - одна из важнейших проблем экономической теории надежности. Трудность ее правильного и полного решения объективно обусловлена необходимостью

продолжить экономический анализ негативного влияния отказа орудий труда (технической системы) на все смежные с ним звенья. Здесь недопустим обычно применяемый на практике упрощенный подход, когда экономический расчет необоснованно ограничивается уровнем собственно орудий труда или ближайшего, пусть даже самого значительного, смежного с ним звена всей экономико-технологической цепочки, что сильно снижает качество и достоверность такого расчета, а значит и его практическую ценность.

Таким образом, важнейшим вопросом измерения стоимости отказа является системный подход, то есть необходимость рассматривать всю систему взаимосвязей данного орудия труда во всей связанной с ним экономико-технологической цепочке. В нашем исследовании мы рассматриваем методы расчета эффективности повышения надежности орудий труда, то есть технических систем.

Теория надежности определяет отказ как такое состояние изделия (орудий труда), при котором полностью или частично утрачивается его работоспособность. Но отказ это одновременно и событие, в результате которого нарушается или полностью утрачивается работоспособность изделия. Для экономической теории надежности отказ – это такое состояние изделия (технической системы), когда частичная или полная потеря им работоспособности приводит к потерям и дополнительным затратам как на уровне собственно изделия (технической системы), так и во всех технологически связанных с ним смежных звеньях.

Классификация отказов теоретически возможна по многим признакам, основные из которых приводятся ниже:

Катастрофический отказ – это событие, связанное с внезапной и полной потерей работоспособности орудий труда во время работы или движения, которое кроме экономических потерь и других видов ущерба характеризуется также несчастными или даже трагическими последствиями социального и/или экологического характера, часто необратимыми – например, гибель людей в авиакатастрофе, взрыв реактора АЭС, уничтожение орудий труда при взрыве и т.п.

Аварийный отказ – это событие, связанное с внезапной потерей (нарушением или полной утратой) работоспособности орудий труда во время работы или движения, которое также ведет к экономическим потерям и другим видам ущерба, но в меньших масштабах и характеризуется менее тяжкими последствиями социального и/или экологического характера, часто обратимыми.

Системный подход, который мы приняли в нашей работе, требует, чтобы в структуру цены отказа были бы включены все потери

и ущербы, связанные с данным отказом, то есть как поддающиеся экономической оценке, так и неподдающиеся ей. Следовательно, идеальная конструкция «цены отказа» должна была бы включать в себя не только количественные оценки, но и качественные характеристики всех потерь и ущербов, связанных с данным отказом. Однако по определению цена есть денежное выражение стоимости, что предполагает включение в структуру «цены отказа» только денежное выражение стоимости тех потерь, затрат и ущербов, которые прямо или косвенно (как, например, экономические оценки социальных результатов) поддаются экономической оценке и измерению. Что же касается качественных характеристик потерь, затрат и ущербов, то в силу их количественной неизмеримости они могут и должны выступать дополнительными, но отнюдь не второстепенными, характеристиками социально-экономических, экологических и других подобных им последствий отказа, хотя эти качественные характеристики и остаются за рамками собственно экономического расчета. Качественные характеристики «цены отказа» дают возможность более точно и правильно оценить и характеризовать все последствия данного отказа, выступают как дополнительная информация о его позитивных и негативных результатах, не вошедших в экономический расчет, делают картину социально-экономических и других последствий данного отказа более полной и всесторонней, позволяют принять эффективное решение по управлению надежностью орудий труда.

Поэтому в практических расчетах «цены отказа» мы включаем в ее структуру только стоимостные оценки и измерения потерь, затрат и ущербов, а также экономические (стоимостные) оценки и измерения социальных и/или экологических результатов, связанных с отказом данного орудия труда по всей его экономико-технологической цепочке:

$$C_{OT} = C_{ПЗ} + C_{ЭО},$$

где  $C_{ПЗ}$  – стоимостные оценки и измерения прямых затрат, потерь и ущербов, связанных с отказом данного орудия труда;

$C_{ЭО}$  – экономические (стоимостные) оценки и измерения социальных и/или экологических результатов, связанных с отказом данного орудия труда.

### **Литература**

1. Уильям Шарп. Инвестиции. М., ИНФА, 2007
2. Нуриев Р.М. Курс микроэкономики. М., 200
3. Плотницкий М.И. Микроэкономика. Минск, 2002

*Zurab Mikaberidze  
Natela Kakauridze*

**COST ASSESSMENT OF REFUSAL OF INSTRUMENTS OF  
LABOR**  
**Annotation**

There are no objective obstacles of a factor cost stirring to summation and economic estimates of measurement of social and ecological results. Moreover, such summation is just necessary for receiving a full and valid picture of measurement of expenses and results of work on compared options of investments and works. Practice of calculation of economic efficiency of investments and new equipment goes for a long time on this way.

*გიორგი შიქანაძე*  
**პორტს რესაუალიკა – ეკონომიკური ბანკითარების  
საშპერტო მაგალითი მსოფლიოში**

შეიძლება ითქვას, რომ დღევანდველ რეალობაში მსოფლიოსთვის ფენომენალურია სამხრეთ კორეა, მისი ეკონომიკური პოლიტიკა, ზოგადად პოლიტიკა, და განსაკუთრებული კურადღების ქვეშ ექცევა ეკონომიკური ზრდა, ქვეყნის მედეგობა კრიზისების მიმართ. თანამედროვე მსოფლიოში განსაკუთრებული კურადღების ქვეშ არის მოქცეული სწორედ ახალი ინდუსტრიული ქვეყნები, უპირველეს ყოვლისა, აღმოსავლეთ აზია. ბაზრების გლობალიზაციის პირობებში მსოფლიოში დაჩქარებულად იქმნება ახალი პრეცედენტები, ახალი სტანდარტები, ყალიბდება ეკონომიკური განვითარების ახალი მოდელები. თანამედროვე ტექნოლოგიურმა სისტემებმა და მეცნიერებლების პროგრესმა უკვე კონტროლს აღარ დაუქვემდებარა განვითარების ტემპები და მასშტაბები. იაპონიის, „აზიური ვეფხვების“ (სამხრეთ კორეა, სინგაპური, პონგონგი და ტაივანი) მიღწევებმა ეკონომიკაში, ასევე ჩინეთის ეკონომიკის განვითარების არნახულმა მასშტაბებმა ამ ქვეყნებს შესაძლებლობა მისცა, მსოფლიო ეკონომიკების ელიტაში შესულიყვნენ. მათ მსოფლიო ახალი გამოწვევების წინაშე დააყენეს და შექმნეს წარმატების უნიკალური პრეცედენტები.


იაპონიის ლიდერობა აზიურ ბაზარზე, როგორც ექსპორტზე ორიენტირებული ქვეყნისა, უკვე ახალი აღარაა, გარდა ამისა, 90-იანი წლების ფინანსური კრიზისიდან გამოსვლას

ქვეყანამ საქმაოდ დიდი დრო მოანდომა. ჩინური მოდელი, მართალია, დაფუძნებულია უწყვეტი ინოვაციურ ზრდაზე და სამრეწველო რევოლუციებზე, ბევრ ხარვეზს და დიდ რისკებს შეიცავს. ესაა იაფი მუშახელი, მისი მაღალი ექსპლუატაცია, სოციალური გარანტიების დაბალი დონე, პოლიტიკური რეფორმების არარსებობა, მოქველებული იდეოლოგიური პლატფორმა, მაღალი ეკონომიკური დანახარჯები.

ამ ფონზე, თითქმის 60-იანი წლების დასაწყისიდან, 40 წელიწადში, ქვეყანამ შეძლო თრ უკიდურესობაში ყოფილიყო, ყველაზე დაბალგანვითარებული აგრარული ქვეყნიდან მსოფლიოს ეკონომიკურ ორბიტაზე, ყველაზე მაღალგანვითარებული ინდუსტრიული ქვეყნა შეექმნა - ეს სამხრეთ კორეა. კორეის რესპუბლიკა საბაზრო ეკონომიკის მქონე მსოფლიოს სიდიდით მე-15 ქვეყანაა ხომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლით. ის არის მსოფლიოს დიდი G20 საპატიო წევრი. სამხრეთ კორეა დღესაც განვითარების პროცესშია, აქტიურად ავითარებს ბაზრებს გლობალური მიმართულებით, ატარებს რეფორმებს და უზრუნველყოფს მაღალ ეკონომიკურ შემთხვევალს. ის არის OECD (ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია) წევრი. სამხრეთ კორეა „აზიური ვეფხვების“ უძლიერესი წევრია. კორეის რესპუბლიკა მსოფლიოში ცნობილია ეკონომიკის განვითარების ყველაზე მაღალი ტემპებით, რომელიც 1960-დან 1990 წლამდე ფიქსირდებოდა. 2000 წლისთვის იყო ყველაზე სწრაფად მზარდი ქვეყანა აზიური ვეფხვების სხვა წევრებთან ერთად. თუმცა ჯერ ყველაფერი წინ არის, ქვეყანას ჯერ კიდევ განვითარებადი ქვეყნის სტატუსი აქვს.

## მსოფლიოს ლიდერები მშპ - 2012 წ.


16 244 600 000 000



### დიაგრამა 1

**წყარო:** World Bank Group

მაკროეკონომიკური მაჩვენებლების თვალსაზრისით კორეამ საკმაოდ შთამბეჭდავ მასშტაბებს მიაღწია: მშპ ნომინალური - 1,130 ტრილიონი აშშ დოლარი (მე-15 ადგილი მსოფლიოში) (იხ. დიაგრამა 1), PPP - 1,554 ტრილიონი (მე-12 ადგილი მსოფლიოში). მშპ ერთ სულ მოსახლეზე 32 020 აშშ დოლარი. რაც შეეხება პრიორიტეტულ სექტორებს, მშპ შემდეგნაირად ნაწილდება: სერვისი – 58%, ინდუსტრია – 39%, სოფლის მეურნეობა – 3% (იხ. დიაგრამა 2).



## დიაგრამა 2

წყარო: მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზა

ბოლო ათწლეულების განმავლობაში სამხრეთ კორეა მსოფლიოში ეკონომიკური ზრდის განსაკუთრებულად მაღალი ტემპებით გამოირჩეოდა, რომელიც მნიშვნელოვანწილად ინდუსტრიული ნაწარმის ექსპორტით იყო განპირობებული. ქვეყანას საერთაშორისო ბაზარზე და განსაკუთრებით კი დასაგლურ ბაზარზე, კონკურენტუნარიანი პროდუქციით გასასვლელად მნიშვნელოვანი კაპიტალდაბანდებები დასჭირდა.

მსხვილმა წარმოებებმა (Samsung, Daewoo...) აქტიურად განახორციელებს მასშტაბური ფინანსური ინვესტიციები ახალი პროდუქციის შემუშავებაში, სამარკო ნიშნების რეკლამირებაში მსოფლიო მასშტაბით და პროდუქციაზე მნიშვნელოვნად დაბალი საექსპორტო ფასის შენარჩუნებაში (იხ. ცხრილი 1).

ინვესტიციები, რა თქმა უნდა, მსხვილ საკრედიტო რესურსებს მოითხოვდა. დასავლებლი კრედიტორები სამხრეთკორეულ წარმოებებსა და ბანკებთან თანამშრომლობას განსაკუთრებულად სარფიანად თვლიდნენ, ვინაიდან ხედავდნენ, რომ სამხრეთ კორეის საექსპორტო პოლიტიკა ეფექტურად ხორციელდებოდა და არნახულ მასშტაბებს აღწევდა.

სამხრეთ კორეაში შეძლო, ერთ-ერთი დიდერი გამხდარიყო მსოფლიოში საავტომობილო, გემთმშენებელი, ფოლადის წარმოების, საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და ელექტრონიკის წარმოების სფეროში. ქვეყნამ პრაქტიკულად ნულიდან დაიწყო და უმოკლეს ვადაში შეძლო მსოფლიოში ცნობილი შეექმნა „ჩებოლები“ (chaebol<sup>51</sup>) ისეთები, როგორიც არის Samsung, LG და Hyundai. ცოტა მოგვიანებით უკვე აქცენტირება დაიწყო მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზეც.

<sup>51</sup> **ჩებოლი** - ოჯახების მიერ კონტროლირებადი კომპანიების მსხვილი ჯგუფი. ლიტერატურულად chaebol, განისაზღვრება Jay BOL ან chay bol, რაც გულისხმობს ბიზნესასოციაციას. კორეაში ჩებოლი იაპონიის მიერ ქვეყნის ანგელისამდე, 1910 წლამდე, არსებობდა და ის Chosun-ს დინასტიიდან იყო დაკაგშირებული. კვლაბუ მსხვილ და ძველ ჩებოლად კორეაში „Doosan“ მოაზრება 1896წ. ჩებოლები უმეტესწილად ქვეყნისთვის პოლიტიკური მნიშვნელობის იყო და ისინი მეტიდან სახელმწიფო საკუთრებების წარმოადგინდნენ. ამგვარი იურიდიული სტატუსი აპ ჩინ ხის მართველობის დროის განსაზღვრა. მან აღნიშვნული მიღებით დააფუძნა იაპონური „zaibatsu“-ს სისტემაზე, მათ შორის განსხვავება იყო მხრიდან კაპიტალის მიღების წყარო. ჩებოლებს არ გააჩნდათ საკუთარი ბანკი, ისინი მხრიდან სახელმწიფო ბანკების მხრიდან ფინანსდებოდნენ, სახელმწიფოსან განისაზღვრული გეგმების შესრულების შესაბამისად. ინვესტირება ხებოლდა სტორეგი იმ მმართველებებში, სადაც სახელმწიფო მიზანშეწონილად ჩაოცდიდა. მაშინ, როცა იაპონური „zaibatsu“-ს დაფუძნება ბანკებს შეეძლო.

თავის მხრივ, ჩებოლები რიგი პრივილეგიებით სარგებლობდნენ სახელმწიფოს მხრიდან. ჩებოლებმა კორეის ტექნოლოგიურ განვითარებაში განსაკუთრებული წლილი შეიტანეს. ასევე განსაკუთრებული როლი შეასრულეს ქვეყნაში კვლევებისა და განვითარების (R&D) საკონსენტოში. ამ თვალსაზრისით სამხრეთ კორეაში 70-იანი წლებისთვის განსაკუთრებული აქცენტი გააკვთა და განავითარა ტექსტილის წარმოება, გემთმშენებლობა და საზღვაო გადაზიდვები, ცემენტის, ფანერების წარმოება და მძიმე მრეწველობა.

ათწლეულებში სასრულოვნებელი კორეის არჩახელი წარმატება სტორეგ ჩებოლებს მოეწერება. რელურად აქ მხრიდან ის ჩებოლები იგულისხმება, რომელთაც სახელმწიფო გარანტიები და პრივილეგიები გააჩნდათ. მაშინ, როცა სხვა დანარჩენები ფინანსური სიმებულების გადალახვას შეეწირებ ან გაურთულდათ წარმატება და გადატეს იმდენად, რამდენადაც ჩებოლები პოლიტიკური მხარდაჭერით სარგებლობდნენ და ნაკლებად იყვნენ მხრიდან საკუთარი რესურსების იმედად, დამოკიდებული იყვნენ ქვეყნაში არსებულ პოლიტიკურ პროცესებსა და ქვეყნის მმართველობაზე. ათი მსხვილი ჩებოლოდან 1965 წლისთვის მხრიდან სამა შეძლო გადაჩნდნა და თავის შენარჩუნება, ესენი იყვნენ Samsung, LG და Ssangyong. შექმნილი პრიმდემებიდან გამომდინარე, საერთაშორისო საგადაუზო ფონდმა სამხრეთ კორეას რეკომენდაცია მისცა, რომ ჩებოლების სრული რეფორმა მოეხდინათ. თუმცა ეს არ იყო აღვილად განსახორციელებელი რეფორმა.

## ცხრილი 1

### ექსპორტ-იმპორტის მოცულობები ქვეყნების და პროდუქციის მიხედვით (2010)

ქვეპორტი			იმპორტი		
მოც.	ქვეყნები	პროდუქცია	მოც.	ქვეყნები	პროდუქცია
5482 გლობალურ აშშ და	ჩინეთი - 24.4% აშშ - 10.1% იაპონია - 7.1%	- ნახევარგამ- ტარები - უგაბელო ტელეკომუნი- კაციების აღჭურვილობა - მოტორები და მოტორია- ნი საშუალე- ბები - კომპიუტე- რები - ფოლადი - გემები - ნავთობექიმია	520.5 გლობალურ აშშ და	ჩინეთი - 16.5% იაპონია - 13.0% აშშ - 8.5% საუდ. არაბ. - 7.1% ავსტრალიი ა - 5.0%	- მანქანათმშე- ნებლობის დებალები - ელექტრონი- კა და ელექტროალ- ტურვილობა - ნავთობი - ფოლადი - სატრანს- პორტო აღჭურვილობა - ქიმიკატები - პლასტიკატი



წყარო: მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზა

#### ისტორია და წამატებული ეკონომიკური აქცენტები

1910-1945 წლებში კორეა იაპონიის კოლონია იყო. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მსოფლიოში ახალი გადანაწილება მოხდა, იაპონიამ, როგორც წაგებულმა ქვეყანამ, კორეის ნახევარკუნძულზე კონტროლი საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს დაუთმო. შესაბამისად, ქვეყანა 2 ნაწილად გაიყო. 3 წლის შემდეგ ორივე ნაწილმა გამოაცხადა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, უპირველეს ყოვლისა, ერთმანეთისგან. სწორედ ამან გამოიწვია კორეის ომი, რომელიც აშშ-ს, საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის პირდაპირი თუ არაპირდაპირი მონაწილეობით მიმდინარეობდა. საბოლოო ჯამში მივიღეთ ორი, ერთმანეთისგან აბსოლუტურად დამოუკიდებელი სახელმწიფო. ორივე მხარე იმყოფებოდა უმძიმესი ეკონომიკური და სოციალური სიდუხების პირობებში. ხაზი უნდა გაესვას, რომ კორეის გაყოფის შემდგომ მთელი ქვეყნის საწარმოო აქტივების დიდი ნაწილი დარჩა სწორედ ჩრდილოეთ კორეაში. სამხრეთ მხარე ყველაზე ჩამორჩენილი და სიღატაკის ზღვარზე იყო. ცხოვრების დონე ქვეყანაში უკიდურესად დაბალი იყო. ნებისმიერ საქმიანობაში ელემენტარული რისკი უდიდეს

ფუფუნებად და გამონაკლისად ითვლებოდა. მიუხედავად ამ პრობლემებისა, სამხრეთ კორეამ თავისი მთლიანი შიდა პროდუქტი 1962 წლიდან 1989 წლამდე, 30 წელზე ნაკლებ გადაში, 2,3-დან 205 მილიარდ აშშ დოლარამდე გაზარდა.

მოსახლეობის საშუალო წლიური შემოსავალი 87-დან 4830 ამერიკულ დოლარამდე, ქვეყნის ეკონომიკა საშუალოდ წლიური 8%-ით იზრდებოდა. თვალსაჩინოებისთვის საგულისხმოა სექტორებში დასაქმებულთა მაჩვენებლებისა და მათ მონაცემების შედარება წლების მიხედვით. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ნათლად ჩანს სამხრეთ კორეის ორიენტირებულობა აგრარულ მეურნეობაზე და უპყვებაზე. 1950-ის შედეგად 21-ე საუკუნის დასაწყისში მკვეთრად იკვეთება მომსახურების სფეროს პრიორიტეტებისა და განვითარების ტემპები (იხ. დიაგრამა 3).



### დიაგრამა 3

#### ინდუსტრიული სტრუქტურის ცვლილება

**წყარო:** კორეის განვითარების ინსტიტუტი (KDI – Korea Development Institute)

სამხრეთ კორეის განვითარების გეგმა აშშ-ს თანამონაწილეობით შემუშავდა 1954-1979 წლებში, ქვეყნის განვითარება

ბისთვის 1,5 მილიარდი ამერიკული დოლარი იქნა გამოყოფილი სუბსიდიის სახით. აღნიშნული რესურსები ძირითადად საარსებო სახსრებისთვის და უმეტესწილად იმპორტირებულ პროდუქციაზე იხარჯებოდა. გენერალი პაკ ჩონ ხიდროს (1961-1979), ადამიანი, რომელიც 1961 წელს სამხრეთ კორეის ხელისუფლებაში სამხედრო გადატრიალების გზით მოვიდა, ავტორია კორეის „ეკონომიკური სახწაულისა“. სწორედ მან გააკეთა ფსონი ეკონომიკის ინდუსტრიალიზაციაზე ექსპორტის მოცულობის ზრდის გათვალისწინებით. სწორედ ამ მიდგომით მოახერხა, უმსხვილესი ინვესტორები დაეინტერესებინა ქვეყანაში კაპიტალადაბანებების განსახორციელებლად.

სახელმწიფომ ფაქტობრივად თავის თავზე აიღო ეკონომიკის მართვა, ეკონომიკის მართვა ცენტრალიზებული გზით ხდებოდა. ქვეყანაში მუშავდებოდა გრძელვადიანი 5 წლიანი ეკონომიკური განვითარების გეგმები. პირადად პაკ ჩონ ხიდ რამდენიმე ათეული კორეული ფირმა შეარჩია სხვადასხვა დარგში, რომელსაც ის მეტ-ნაკლებად პერსპექტიულად მიიჩნევდა. ქვექნის მმართველობამ სწორედ ამ კომპანიებზე გადაწყვიტა აქცენტის გაკეთება და გამოუცხადა აქცენტური, ლია მხარდაჭერა - სახელმწიფო შეკვეთებით, საკრედიტო ლგოტებით, სახელმწიფო გარანტიებით, უცხოელ კრედიტორებსა და ინვესტიციებთან კავშირების დამყარების ხელშეწყობით. სახელმწიფოს მეთაურმა განსაკუთრებული აქცენტი გააკეთა ბიზნესის მფლობელების პიროვნულ მახასიათებლებზე, დაეხმარა მათ, შეექმნათ უმსხვილესი პოლინიგები „ჩებოლები“. გენერალი ცნობილი მებრძოლი იყო კორუფციის წინააღმდეგ და ის სამთავრობო სტრუქტურებიდან მკაცრად ითხოვდა დამორჩილებოდნენ სახელმწიფო ინტერესებს, სწორედ ამ პერიოდში ჩაეფარა საფუძველი და განვითარდა მსოფლიო ბრენდები - Hundai, Daewoo, Samsung, LG, KIA, SsangYong და ასე შემდეგ. პაკის მმართველობის განსაკუთრებულ დამსახურებად მიიჩნევენ, რომ ის თავს არ არიდებდა, შეემუშავებინა როგორი მობილიზებული ეკონომიკური პოლიტიკის მეთოდები და შესანიშნავად ახერხებდა მათ რეალიზებას ბაზრის განვითარების კვალდაკვალ.

„ეკონომიკური სახწაულის“ შედეგები, თუ როგორ მოახერხა უკიდურესი სიდუხეჲირის ზღვარზე მყოფმა ქვეყანამ განვითარების ტემპები აეკრიფა და გაესწრო მეზობელი ჩრდილოეთ კორეასთვის, ნათლად ჩანს მონაცემებში, რომელიც

ასახავს შემოსავლების მოცულობების დინამიკების შედარებას ერთ სულ მოსახლეზე ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას შორის (იხ. ცხრილი 2).

## ცხრილი 2 ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების მოცულობების დინამიკა

წლი	1960	1965	1970	1975	1980	2000	2009	2010	2012
სამხრეთ კორეა	83	106	242	574	1592	10841	17175	20759	>24000
ჩრდილოეთ კორეა	280	162	240	750	959	959	960	688	1000

წყარო: პიუნ ინ-ტაჟ - ლექც. კურსი, პრეზიდენტის მრჩევ. უნიფიკაციის მოლიტიკაში, ყოვ. უნიფიკაციის მინისტრი

მაშინ, როდესაც კორეა ქმნიდა „გვონომიკურ სასწაულს“, მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსი იყო მაღალი დისციპლინის მქონე იაფი მუშა ხელი, მათმა გაერთიანებამ მსხვილ კორპორაციებში, მართვამ გავლენიანი ქარიზმატული ლიდერების მიერ, თავისი შედეგი მოიტანა. სწორედ ამ აქცენტებმა გამოიწვია კორეის ეკონომიკის მასშტაბური, განუხერელი ზრდა 1997 წლამდე. ზუსტად, გასული საუკუნის 60-იან 90-იან წლებში ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპების გამო, ეკონომისტების ლექსიკონში, დამკვიდრდა ტერმინი „აზიური ვეფხვები“, რომელშიც მოიაზრებოდა სამხრეთ კორეა, სინგაპური, პონკონგი და ტაივანი. სახელმწიფო მმართველობა გამოიჩინა მობილურობით და სწრაფი ადაპტაციით მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებთან მიმართებაში, რაც ქვეყანას უფრო მოქნილსა და მობილურს ხდიდა და სიძინელების გადაღახვაც შედარებით ადვილად ხორციელდებოდა. 1997 წლის კრიზისის გადაღახვაც სწრაფად შეძლო და უკვე 1999 წლისთვის ეკონომიკამ პელავ დაიწყო ზრდა. ამავე წელს შეიქმნა ჯგუფი ფინანსთა მინისტრებისა და ცენტრალური ბანკების ხელმძღვანელებისაგან, რომელიც მსოფლიოს 20 მნიშვნელოვანი ქვეყნისგან დაკომპლექტდა - G20, სადაც სამხრეთ კორეაც დამსახურებულად მოხვდა.

### კრიზისი

1997 წლის ოქტომბრის შედეგებით სამხრეთ კორეის საწარმოებმა და ბანკებმა დაახლოებით 66 მილიარდი აშშ დოლარის მოცულობის მოკლევადიანი სესხი აიღეს (მათ შორის დაახლოებით 20 მილიარდი წლის ბოლომდე უნდა

დაფარულიყო). მაშინ, როდესაც კორეის ბანკის ოქროსავალუტო რეზერვები 30 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა, დასავლელი კრედიტორები და ინვესტორები პანიკაშ მოიცვა, რომ ვალების გადასახდელად ქვეყანას ელექტრონულად საქმარისი სახსრები არ აღმოაჩნდებოდა ვალების დასაფარად. აღნიშნული შიშები თავად სამხრეთკორელაციის მსესხებლების მხრიდანაც ფიქსირდებოდა. ინტენსიურად ხდებოდა უცხოური ვალუტის გამოსყიდვა, სარგებლობა იმით, რომ ადგილობრივი ვალუტის (ვონის) კურსი ფიქსირებული იყო ამერიკულ დოლართან მიმართებაში. ყველაშ ერთად დაიწყო ადგილობრივი საწარმოების აქციებისგან გათავისუფლება. საფონდო ინდექსი ივნისი-დეკემბრის პერიოდში 50%-ით დაიცა. 1997 წელს კორეის რესპუბლიკის ისტორიაში მოხდა ორი მსხვილი ბანკროტი – უმსხვილესი ფოლადის კომპანიის „Sambo Stell“ და შემდეგ საავტომობილო კომპანია KIA-ს გაკოტრება. იმავე წლის შემოდგომაზე კიდევ რამდენიმე „ჩებოლი“ დაიხურა. კრიზისში მყოფმა კომპანიებმა ვედარ მოახერხეს კრედიტის მომსახურება და ვალდებულებების გასტურება, შესაბამისად, კრიზისი საბანკო სფეროსაც გადაედო. ტაილანდის მხრიდან სავალუტო სპეციალისტთან შეტევის და აზიაში შექმნილი კრიზისული სიტუაციების გამო, დასავლეთის ბანკებმა შეწყვიტეს საკრედიტო ხაზების გახსნა მთელ რეგიონზე. მიუხედავად სირთულეებისა, ქვეყნის საკრედიტო SP რეიტინგი<sup>52</sup> მაიც არ შეცვლილ და „AA“ კვალიფიკირით იყო შეფასებული. ექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ კორეის რესპუბლიკა სწრაფად შეძლებდა კრიზისიდან თავის დაძვრენას. თუმცა, წლის ბოლომდე მოხდა ტაივანის დოლარის

<sup>52</sup> Standard & Poor-ის ქვეყნების კრედიტუნარიანობის და სესხების მომსახურების შეფასების ასეთ სისტემას იყენებენ, უმაღლესი შეფასება მათ სისტემაში

„AAA“ - უკიდურესად ძლიერი შესაძლებლობა, შეასრულოს ფინანსური ვალდებულებები,

„AA“ - ძალიან ძლიერი შესაძლებლობა, შეასრულოს ფინანსური ვალდებულებები,

„A“ - ძლიერი შესაძლებლობა, შეასრულოს ფინანსური ვალდებულებები, თუმცა არის რამდენადმე მგრძნობიარე არასასურველი ეკონომიკური პროცესების და გარემოებების მიმართ,

...

დევალგაცია, შემდეგ პონქონგის ბირჟაზე აქციების ფასების მკვეთრმა დაცემამ SP იძულებული გახდა, გადაეხედა რეიტინგისათვის და სამხრეთ კორეის საკრედიტო პოტენციალი A კოეფიციენტით განისაზღვრა. ქვეყანაში მძიმე სავალუტო კრიზისი დაიწყო. ინვესტორებმა დაიწყეს ქვეყნიდან გასვლა და კაპიტალის გატანა. კრიზისულ პერიოდში მთავრობამ მოსახლეობას მიმართა დასახმარებლად, რომ რეზერვების შესავაჭად გაეყიდათ ოქრო, ამ გზით 2,2 მილიარდი ამერიკული დოლარის მოცულობის 227 ტონა ოქრო შეგროვდა.


იმისათვის, რომ მსესხებლები და კრედიტორები შექმნილი ფინანსური სირთულეებისგან და ვალდებულებებისგან ეხსნა, რომ შეჩერებულიყო ადგილობრივი ვალუტის (ვინა) გაუფასურება, 1997 წლის 3 დეკემბერს საერთაშორისო სავალუტო ფონდმა (სსფ) მოლაპარაკებები აწარმოვა სამხრეთ კორეის ხელმძღვნელობასთან, ხელმძღვანელობისევე თხოვნით. ქვეყნის ისტორიაში ყველაზე მსხვილი მოცულობის კრედიტის – 57 მილიარდი აშშ დოლარის გამოყოფა მოხდა (21 მილიარდი თავად სავალუტო ფონდის წილი, დანარჩენი მსოფლიო ბანკმა, აზიის განვითარების ბანკმა, იაპონიამ და მსოფლიოს სხვა წამყვანმა კრედიტორმა ქვეწებმა გაიღეს). გადაწყდა, რომ აღნიშნულ თანხებს ქვეყანა 3 წლის განმავლობაში მიიღებდა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ უკვე ცნობილი გახდა, პანიკამ მაინც არ იყლო. 1997 წლის 16 დეკემბერს კორეის ბანკმა, რომელმაც დიდი ოდენობის რეზერვები დახარჯა ადგილობრივი ვალუტის ქურსის ფიქსირებისთვის დოლართან მიმართებაში, უარი განაცხადა კურსის ფიქსირებაზე და ადგილობრივმა კუპიურამ კატასტროფული სისწრაფით იწყო გაუფასურება, 2 თვეში 80%-ით გაუფასურდა. სსფ იძულებული გახდა, დაეჩქარებინა სესხის გამოყოფის პროცედურები და უკვე 1998 წლის 29 იანვრისთვის მოხდა 10 მილიარდი აშშ დოლარის ტრანზეს მიწოდება. ამავდროულად, კორეის მთავრობამ აქტიურად დაიწყო მოლაპარაკებები დასავლეთის წამყვან ბანკებთან ადგილობრივი ბანკებისა და საწამოებისათვის მოკლევადიანი სესხების რესტრუქტურიზაციის მიზნით (კონკრეტულად სესხებ 1-დან 3 წლამდე პროლონგაციაზე).

## გამოცოცხლების ფაზა

სამხრეთ კორეამ შეძლო მაქსიმალური ეფექტურობით გამოეყენებინა სსფ-ის რეკომენდაციები. მოხდა ფინანსური

სექტორის რესტრუქტურიზაცია, კორპორაციული სექტორის მართვის სტილის დახვეწა და ეფექტური ფორმირება, ამაღლდა კომპანიების გამჭვირვალობის დონე. განვლილმა კრიზისმა ერთგარი გაწმენდითი ხასიათიც კი შეიძინა. შეიცვალა „ჩებოლების“ მართვის სისტემა და მოხდა სტრუქტურული რეორგანიზაცია, რესტრუქტურის ოპტიმალური გადანაწილება ბიზნესის სფეროებს შორის, მენეჯერების კვალიფიკაციების ამაღლება, გაიზარდა საბანკო სისტემის მუშაობის ეფექტურობაც.


გაწეული დონისძიებების კვალობაზე, რა თქმა უნდა, სამხრეთ კორეის ეკონომიკაში დაიწყო გამოცოცხლების ფაზა. წარმოებისა და მომსახურების ექსპორტი 1998 წელს 13,3%-ით გაიზარდა, იმპორტის მოცულობა შემცირდა 22%-ით. წლის ბოლოსთვის სამხრეთ კორეის რეზერვები 52 მილიარდ აშშ დოლარს აღწევდა. ეროვნული ვალუტის კურსის დაცემა უკვე 1998 წლის მარტში შეწყდა. ინვესტორებმა კვლავ დაიწყეს ადგილობრივი საწარმოების აქციების შეძენა, ამას ქვეყნის მთავრობაზე სსფ-ის მოთხოვნებმაც შეუწყო ხელი, მომხდარიყო ლიბერალიზაცია, უცხოურ კაპიტალს შეეღწია ადგილობრივ ბაზარზე. კორეის ბანკმა შესაუსტა აგრესიული საკრედიტო პოლიტიკა, საბანკო პროცენტის მოცულობა 22%-დან წლიურ 14%-მდე შემცირდა 1998 წელს. კრიზისულ პერიოდში საგმაოდ საინტერესოა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპის ცვალებადობა (იხ. დიაგრამა 4).



დიაგრამა 4

სამხრეთ კორეის მშპ ზრდის ტემპები პროცენტებში  
წყარო: კორეის ბანკი (THE BANK OF KOREA)

უკვე 1998 წელს სამხრეთ კორეის რეზერვები აშშ დოლარში 62 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა. ახლა უკვე ბაზარზე დიდი რაოდენობით უცხოური ვალუტის გამო, კორეის ბანკი იძულებული გახდა, ვონის კურსის ზრდა დაერეგულირებინა. საინტერესო ფაქტია ის, რომ მიუხედავად არასაიმედო პროგნოზებისა 2000 წლისთვის, სამხრეთ კორეის გემთმშენებელმა ბიზნესმა არნახულ წარმატებებს მიაღწია და შეკვეთების არნახული მოცულობა მიიღო. საქმიან წრეებში იყო საუბარი, რომ ამ წელს კორეამ 15 მილიარდ 700 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის შეკვეთა მიიღო, რაც განპირობებული იყო მსოფლიოში საზღვაო გადაზიდვების ბაზრის გაზრდით და მნიშვნელოვანწილად კონკურენციის სისუსტით იაპონიისა და ევროპული ქვეყნების მხრიდან. აღნიშნულ დარგში შეკვეთების მოცულობა 1999 წელთან შედარებით 62%-ით გაიზარდა.



### გრაფიკი 1

წყარო: კორეის განვითარების ინსტიტუტი (KDI – Korea Development Institute

კრიზისის შემდგომ პერიოდში ახალი მთავრობის მიღებობები უფრო თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პრინციპების შესადარისი იყო, საშუალო ბიზნესისთვისაც უფრო

ხელსაყრელი პერიოდი დაიწყო. მცირე ბიზნესს მიეცა შედავათიანი კრედიტებით სარგებლობის შესაძლებლობა და მოხდა მიღებული კრედიტების რესტრუქტურიზაცია. შესაბამისად, ბანკებსაც მცირე და საშუალო ბიზნესთან თანამშრომლობის მეტი ინტერესი გაუჩნდათ. იზრდებოდა ახლადდარეგისტრირებული ბიზნეს-ობიექტების რაოდგნობა. სახელმწიფომ აქტიურად დაიწყო კონსალტინგური, ტექნიკური დახმარების, კადრების გადამზადების ცენტრების, საინვესტიციო ფონდების შექმნა მცირე და საშუალო ბიზნესის დასახმარებლად. სახელმწიფო ხელს უწყობდა ვაჭრობის განვითარებას როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ბაზარზე. ეწყობოდა გამოფენები და ბაზრობები. აღნიშნულმა დონისძიებებმა გამოიწვია ადგილობრივი მოსახლეობის დაკავება და ჩართვა, რამაც, თავის მხრივ, უზრუნველყო ქვეყანაში სოციალური კლიმატის გაჯანსაღება.

2007 წელს აშშ-ის იპოთეკური კრიზისი, მალე მთელი მსოფლიოს კრიზისში გადაიზარდა და ყველა განვითარებულ ქვეყნას მოედო. კრიზისმა 2008 წელს სამხრეთ კორეაზე განსაკუთრებით ცუდად იმოქმედა. თითქმის 4-ჯერ შემცირდა ინდუსტრიული წარმოება. თუმცა „აზიურმა ვეფხება“ შეძლო სირთულეებს გამკლავებოდა. კორეას დადებით შეფასებას აძლევდნენ, სადაც ფიქსირდებოდა, რომ 2010 წლისთვის ის განვითარების მაღალ ტემპებს მიაღწევდა. სამხრეთ კორეამ პროგნოზი სრულებით გაამართდა და 2010 წლის აპრილში საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიამ Moody's Investors Service კორეას რეიტინგი A2-დან A1-მდე აუწია („სამხრეთ კორეის ეკონომიკის განსაკუთრებული მდგრადობისათვის მსოფლიოს ფინანსური კრიზისის მიმართ“ – ქვეყანამ შეძლო, არ გაზრდილიყო შიდა ვალი და შეენარჩუნებინა კონტროლი ბიუჯეტის დეფიციტზე). მართალია არც ისე დიდი, თუმცა უპა 2009 წელს შეძლო 0.2% ეკონომიკის ზრდა ეწვენებინა. უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში ეს იყო სამხრეთ კორეისათვის ეკონომიკის ზრდის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, თუმცა უპა 2010 წლის პირველ კვარტალში უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში ეკონომიკის ზრდის ყველაზე მაღალი ტემპი დააფიქსირა. რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს მონაცემებით, ქვეყანამ 2010 წელს შიდა სავჭრო ბრუნვა 20%-ით გაზარდა. რაც შეეხება ექსპორტის მოცულობას, ის 2010 წელს, 2009 წელთან შედარებით, 3-ჯერ გაიზარდა. რა თქმა უნდა, იმ პერიოდისთვის პრობლემებიც

ფიქსირდებოდა ეკონომიკაში და ეს ძირითადად დაკავშირებული იყო სახელმწიფო კორპორაციების ვალის საერთო მოცულობის ზრდასთან. თუმცა მთავრობამ დაგეგმა პრობლემური კორპორაციების რესტრუქტურიზაცია, უმეტესწილად არაეფექტურ სარჯვით ნაწილზე აქცენტირებით.

საინტერესო ფაქტია ის, რომ 2009 წელს სამხრეთ კორეამ მიიღო სახელმწიფო პროგრამა ქვეყნის იმიჯის გამოსასწორებლად და ამისთვის წელიწადში 74 მილიონი აშშ დოლარი გამოყო. ძირითადი მიზანი იყო, გაზრდილიყო ქვეყნის მაჩვენებელი „ნაციონალური ბრენდები<sup>53</sup>“-ს რეიტინგში და ეს გულისხმობს 2015 წლისთვის ქვეყნის მე-15-ე ადგილს აღნიშნულ რეიტინგში.

### სახელმწიფოს როლი ქვეყნის განვითარებაში

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც სამხრეთ კორეის ეკონომიკური სახაულის განმაპირობებელი გახდა, ძლიერი და უფეხბური ხელმძღვანელობაა, გამოვლენილი ავტორიტარული მმართველობით, ნაცელად დემოკრატიული და პოლიტიკური ტრანსფორმაციისა და განსაკუთრებული აქცენტი ქვეყანაში ეკონომიკურ განვითარებაზე გაკეთდა.

სახელმწიფო აქტიურად იდებდა ახალ განვითარების და გადახედავდა უპერ არსებულს, მიიღებოდა მთელი რიგი პოლიტიკური ზომები მაქსიმალური მობილიზებისთვის, რომ გაზრდილიყო ექსპორტი, მომხდარიყო მსხვილი კაპიტალდაბანდებები, მოზიდულიყო უცხოური ტექნიკური და ინვესტიციები ნაციონალური ინტერესების შესაბამისად. მთავრობა, თავის მხრივ, მაქსიმალურად ცდილობდა, შეექმნა შესაბამისი სოციალური ინფრასტრუქტურა: გზები, ნაგებობები, პორტები, მაგისტრალები და სკოლები. ბიზნესი, საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებით, სახელმწიფოს ხშირად მიმართავდა რისკების საჭირო თავზე ასაღებად. ითხოვდა რომ, სახელ-

<sup>53</sup> Nation Brand Index – შემუშავებული ბრიტანელი ექსპერტის საიმონ ანხოლტის მიერ. შემუშავება ყოველწლიურად 2005 წლიდან. ინდექსი ითვალისწინებს, შეავასოს ქვეყნების ეფექტურობა ექვსი პარამეტრით: კულტურული მემკვიდრეობა, ადამიანური ფაქტორი (რეპუტაცია, რომელიც გააჩნიათ მცხოვრებლებს უცხოურში, ქსენოფობის მაჩვენებელი), ქვეყნის მიზიდველობა ტურისტებისთვის და ინვესტირებისთვის, ადგილზე წარმოებული პროდუქციის რეპუტაცია და სახელმწიფო მართვის ხარისხი. შეფასებები განისაზღვრება გამოკითხვების შედეგად, რომელიც წარმოებს სხვა ქვეყნებში.

მწიფო გამოსულიყო გარანტორად მსხვილი პროექტების ხარჯვით ნაწილთან დაკავშირებით. ქვეყნაში პირველი რიგის საზრუნავი ფულად-საკრედიტო და მონეტარული პოლიტიკის სტაბილურობა იყო. მნიშვნელოვანი სიძნელეების დროსაც ფულის მიმოქცევაზე, ინფლაციაზე, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფიციტზე არასდროს არ კარგავდა სახელმწიფო კონტროლის. საკვანძო როლს აქ თამაშობდა ის, რომ ფინანსურ და საკრედიტო სისტემაზე სახელმწიფოს მონოპოლია ჰქონდა. სახელმწიფოს ხელში ფინანსური და სავალუტო რესურსების კონცენტრაციაში საზოგადოებრივი საწარმოების ფორმირებაში მთავარი როლი ითამაშა. ამასთან, მთავარი ფსონი ყოველთვის კეთდებოდა ექსპორტზე, მსოფლიოს მასშტაბით. რესუბლიკამ დაიწყო ნაციონალური პროდუქციის ექსპორტის სუბსიდირება, ისინი სპეციალური საბანკო ლგოტებით სარგებლობდნენ. 70-იანი წლებისთვის უკვე საკანონმდებლო დონეზე განისაზღვრა 7 პრიორიტეტული დარგი:



**სქემა 1**

აღნიშვნული სექტორებისათვის სახელმწიფო რესურსების გამოყენება პრიორიტეტად განისაზღვრა, ისინი სარგებლო-

ბდნენ საგადასახადო შეღავაოებითა და სხვადასხვა საბანკო დათმობებით. ამავდროულად, სახელმწიფო მკაცრად არეგულირებდა პრიორიტეტული მიმართულებების კონკურენციულ უპირატესობას, ბაზრიდან უშევებდა ან უერთებდა მონათესავე და კონკურენტ, კერძო მფლობელებს. სახელმწიფო ხშირად მიდიოდა დანაკარგების პირდაპირ ანაზღაურებაზე.

აშენარა იყო, რომ სამხრეთ კორეის სახელმწიფოს როლი ქვეყნის ეკონომიკაზე დომინანტური იყო, ფაქტობრივად განმსაზღვრელიც. აქედან გამომდინარე, ჩნდება კითხვა - შეიძლება თუ არა სამხრეთკორეული კერძო კომპანიები განვიხილოთ, როგორც დამოუკიდებელი ერთეულები? აღნიშნული კითხვების დასმის საბაბს შემდეგი გარემოებები იძლევა:

1. კერძო სექტორის საქმაოდ მაღალი დაჭვებულება  
და სახელმ საშუალებები დამოუკიდებლად მოძიების ნაკლები  
თავისუფლება.


2. საექსპორტოდ წარმოებული პროდუქციის ხარისხს  
მკაცრად აკონტროლებს სახელმწიფო. მაქსიმალურად  
კონტროლდებოდა, რომ საერთაშორისო ბაზართან მიმართე-  
ბაში დაბალანსებული ყოფილიყო იმ პროდუქციის ფასები,  
რომლის იმპორტირებაც ქვეყანაში იზღუდებოდა ან იკრძა-  
ლებოდა.

3. ყოველთვიურად ქვეყნის პრეზიდენტი იწვევდა სხდომას ექსპორტის საკითხებთან დაკავშირებით. შეხვედრაზე განისაზღვრებოდა მსხვილი კონგლორმერატების საორიენტაციო დაგალებები.

4. სახელმწიფო მქანერად არგვულირებდა მუშახელის საკითხებს, რამაც საწარმოები სერიოზულ პრობლემებს აარიდა არაკეთადირიფიურ სამუშაო ძალასთან დაკავშირებით.

გარდა ნაციონალური საწარმოებისა, სახელმწიფო აქტიურად აკონტროლებდა ასევე უცხოური ინვესტიციების ნაკადებსაც. უნდა აღინიშნოს, რომ 1967 წლიდან 1986 წლის ჩათვლით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა, ზოგადად საინვესტიციო მასშტაბებთან მიმართებაში, მხოლოდ 2%-ით გაინისაზღვრებოდა. სამხრეთ კორეა არ იყო ორიენტირებული, ნებისმიერი უცხოური ინვესტიცია მოეზიდა, არამედ მხოლოდ ის, რომელიც ჯდებოდა მისი განვითარების საერთო ინტერესებში. ამგარად, ჩვენ ვიღებთ სამმხრივ მჭიდრო ალიანს-თანამშრომლობას სახელმწიფოს, ადგილობრივი კაპიტალისა და უცხოური კაპიტალის თანამონაწილებით. თუმცა, სამივე მხარის ინტერესების დაცვის

გარანტორად სახელმწიფო გვევლინება და, შესაბამისად, მისი გადაწყვეტილება სავალდებულო ხდება ყველა მხარისთვის.



**გრაფიკი 2**  
სამხრეთ კორეის მშპ ზრდის დინამიკა (მლრდ აშშ დოლ.)  
წყარო: World Bank Group

სამხრეთკორეული ეკონომიკის სასწაულში სახელმწიფოს დამსახურებად შეიძლება განისაზღვროს, რომ ის ეკონომიკის განვითარების საშუალო და გრძელვადიან გეგმებს, ასევე მიზნობრივ პროგრამებს განსაზღვრავდა. გამოწვევების წინაშე აყენებდა ნაციონალურ წარმოებებს კონკურენტებთან, აძლევდა დავალებებს და მისი შესრულების ვადებს. მაკაცრად აკონტროლებდა საოჯახო მეურნეობებს და ქვეყნის ეკონომიკისთვის არაჯანსაღ მოთამაშებს სწრაფად ანადგურებდა. საერთო ჯამში, სამხრეთ კორეის ეკონომიკა უნიკალურად შეიძლება განისაზღვროს, როგორც გეგმური და საბაზრო ეკონომიკების პარმონიზაციის საუკეთესო მაგალითი.

დღევანდელ რეალობაში სამხრეთ კორეის ეკონომიკური პრობლემა, რომელიც ზრდას აფერხებს, დაკავშირებულია დემოგრაფიულ პრობლემებთან. 2010 წელს ქვეყნის ფინანსთა მინისტრმა იონ ჯეუნგ-ჰუნმა საინტერესო აქცენტები წამოწია. ის აქცენტირებას აკეთებდა, რომ ქვეყანას უბრალოდ არ ჰყავს საქმარისი ადამიანები შესაბამისი სამსახურებისთვის. დაახლოებით 1.15 ბავშვი მოდის 1 ქალზე, სამხრეთ კორეის შობადობა არის ყველაზე დაბალი ყველა განვითარებულ ქვეყანას შორის.

## ჩებოლები

ეგრეთ წოდებული „ჩებოლები“ მძლავრი მრავალპროფილური, ექსპორტზე ორიენტირებული ჰილდინგები იაპონური „zaibatsu“-ს სტილზე იგებოდა. „ჩებოლებს“ არ გააჩნდათ საკუთარი ბანკი, მათი ფინანსირება ხდებოდა სახელმწიფო ბანკების მეშვეობით სახელმწიფოს გვემის შესაბამისად, კონკრეტული ამა თუ იმ საწარმოო მიმართულების განსავითარებლად. პაკს ქვეყანაში არანაირი რესურსი არ ჰქონდა, რომ რამდე სახის ბიზნესი დაწყო ან პროცესები ემართა. მისი ორიგინალობა და ნიჭი მდგომარეობდა იმაში, რომ მან შეძლო ირგვლივ შემოეკრიბა მისივე შეხედულებების ადამიანები, რომელთაც არანაირი გამოცდილება არ ჰქონდათ არამცოც იმ მოღელის აწყობის, რაც კორეაშ შექმნა, არამედ, საქმის წარმოების. ეკონომიკის განვითარება დაიწყო მსუბუქი მრეწველობის განვითარებით, პროდუქციისა, რომელიც ადგილად იყიდებოდა ექსპორტზე, საქმიანობა, რომელიც შეიძლება, ბევრ შრომას მოითხოვდა, თუმცა ნაკლებ პროფესიონალიზმს. 70-იანი წლებისთვის მიღებული გამოცდილების მობილიზება დაიწყო უპევ მძიმე მრეწველობის სფეროს განსავითარებლად, ასევე მაღალ-ტექნოლოგიური სფეროებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების წარმოების მიმართულებით.

როდესაც კორეის რესაუბლიკის ეკონომიკურ გამოცდილებაზეა საუბარი და კონკრეტულად „ჩებოლებზე“, მეცნიერები ციტირებები პაკის საქმიან შეხვედრებს და იმ პერიოდის მმართველობის სტილს. ვფიქრობთ, საინტერესო და აქცენტური იქნება ერთ-ერთი მაგალითის მოყვანა, ვინაიდან იკვეთება სახელმწიფოს დამოკიდებულება ბიზნესის, ეკონომიკური პოლიტიკის და, ზოგადად, რეფორმებისადმი: „ერთ დღეს პატმა ქვეყანაში მოქმედი ყველა წამყვანი ბიზნესმენი დაიბარა... დაიწყო დავალებების განაწილება და განსაზღვრა. მან განაცხადა, რომ სურდა მაღალებებისა და სახელმწიფო ეკონომიკური მოღელის შემუშავება, რომელსაც ექნებოდა ძალა, გამკლავებოდა იაპონიასთან კონკურენციას და სხვა ეკონომიკურ მონსტრებსაც...“

- ცოი შენ რა ბიზნესით ხარ დაკავებული?
- ბრინჯის წარმოებით და სათამაშო ბიზნესით.
- დაიწყებ გემების მშენებლობას. ისე უნდა ვქნათ, ბრიტანელები და ნორვეგიელები რჩევას გეკითხებოდნენ.
- მაგრამ, არ შემიძლია.
- მე დაგეხმარები. სახელმწიფო დაგეხმარება. თავიდან როცელი იქნება, მაგრამ ჩვენ გავიმარჯვებთ. მთავარია - შენ

დაეხმარო კორეას, რომ გაძლიერდეს და გავლენები მოპოვოს და სანაცვლოდ პატივი და უურადღება არ მოგაკლდება. უარს იტყვი - მაწყენინებ. გასაგებია?! კიმი დაიწყებს ტელევიზორების და მაგნიტოფონების წარმოებას, ჩო - ავტომობილების...“ [7].

როგორც ცნობილია, Hyundai-ს დამფუძნებელმა ჩუონ დჟუ ენ-მა 1948 წლიდან დაიწყო საქმიანობა მცირე ავტოგასამართი სადგურით. კომპანიამ პირველი მსხვილი შეკვეთა სამშენებლო სფეროდან მიიღო და ამ მიმართულებით მუშაობდა. ვიეტნამის ომის დროს შეკვეთა მიიღო აშშ ბაზა აეშენებინა. ამის შემდგომ მიიღო შეკვეთგბი დუბაისა და საუდის არაბეთის პორტების მშენებლობაზე. მხოლოდ ამის მერე, კომპანიამ ინტერესები გამოკვეთა უკვე მანქანათმშენებლობაში, გემების მშენებლობის, ასევე ელექტრონიკას და ტექნიკის სფეროში.

გემთშენებელი ფირმების საქმიანობა, რომლებიც თავიანთ პროდუქციას ასევე Hyundai-ს ბაზაზე ამუშავებდნენ, განსაკუთრებული წარმატებულობით გამოირჩეოდა და 10 წლის განმავლობაში ლიდერის პიზიცია ეჭირა მოედი მსოფლიოს მასშტაბით. მაშინ, როდესაც 60-იანი წლებისთვის სამხრეთ კორეაში მხოლოდ ხის თევზსაჭერი გემების მეტი სხვა გემი არ მოიპოვებოდა. უკვე 80-იანი წლებისთვის კორეამ მეორე ადგილზე გადაინაცვლა, თუმცა 2000 წლისთვის მსოფლიოში წარმოებული სატვირთო გემების წარმოების 35% სწორედ კორეის რესპუბლიკაზე მოდიოდა.

კომპანია Samsung-ის დამფუძნებელმა ლი ბენ ჩულმა საკუთარი ბიზნესი არც ისე დიდი ბრინჯის სარეცხი კომპანიიდან დაიწყო 1935 წელს. დღეისათვის Samsung-ის მირითადი ასორტიმენტია აუდიო და ვიდეოტექნიკა, ფოტოაპარატები, კომპიუტერები და გაყვანილობები. 1990 წლისთვის კომპანია გახდა წამყვანი საწარმო მსოფლიო ელექტრონიკის ბაზაზე, ტელეგაზორებისთვის ფერადი კინისკონკრეტული უმსხვილესი მწარმოებელი.

Samsung-ს თავისი შვილობილი კომპანიები გააჩნია: Samsung Electronics (მსოფლიოში უმსხვილესი საინფორმაციო ტექნილოგიების მწარმოებელი, შემოსავლების მიხედვით და მე-4-ე ადგილზე საბაზრო ლირებულებით)<sup>54</sup>, Samsung Heavy Industries

<sup>54</sup> <http://www.economist.com/news/briefing/21565617-bangladesh-has-dysfunctional-politics-and-stunted-private-sector-yet-it-has-been-surprisingly>

(մեռյալում մյուրյ և օգուդու ցյուրմիջնեցելու կոմպանիա)<sup>55</sup>, Samsung Engineering and Samsung C&T (և ամրայիշութեամսից էլու յոմքանիա)<sup>56</sup>, Samsung Life Insurance (մեռյալում մյ-14-յ և օգուցելու դամնեցեցու կոմպանիա)<sup>57</sup>, Samsung Everland (ընոծուածու շմցելյան, յնոյացածու արյու և ամերյան յուրյան) <sup>58</sup>, Samsung Techwin (և այլըն, և անցածմեցեցաւ դա և սամրալու առջարյանալու միարմայից էլու կոմպանիա)<sup>59</sup>, Cheil Worldwide (յշմուսացալյան մուեցատ մեռյալում 15-յ և արյացամու կոմպանիա)<sup>60</sup>.

յոմքանիա այլույշուած մյամառես կայցենիս մառալու և յայրյածու բյութունցու շենարհյեցեանց. մառալ ձասյենիսմցեցանաս ույեն կայցենիս յարուամույշու ցանցուարյան, առլութոյու մյուրուսա և այլույշու մոմարտյալյան.

յլյայիշրունոյու միարմայից էլու մյալյանացունալյան յոմքանիա LG 1958 վլուած օգյան և ատացյա. յորյուս մոյալու յայ օն եռու դաարսա կոմքանիա Lak Chemical Co. տացուած յոմքանիա որոյինթույնեցան օյո յումյույնու սամյալյից էլու սամյալյից էլու վարմոյեցեանց. դրուա ցանմացանան, վարմոյեցեու ցանցուարյեցանան յրտած, Lak Chemical Co յմնու ռամցունիյ շցուունու յոմքանիա և օվյան աեալու ըյինուուցոյեցեու և յումյուրու սամյալյից էլու վարմոյեցան. 1958 վլու 1 ոյինմեյրս յայ օն եռու յմնու սայուացեանան թյինու թյինոյու աեալու յոմքանիաս GoldStar (ոյրու զարսկացաց), րոմյանու դուցանցու դուցանցու հցենու ընոծուածու, րոցորու յոմքանիա յլյայ (LG Electronics). 1959 վլու ցամուցյան էուցելու սասթարյու էրուույկու յորյու յլյու ըրանիու ըացուումուցյան օյո. աարալյալյան զուարցու յոմքանիու յումյուրու վարմոյեցան (և անյին, և արյու և սամյալյից էլու և սեցա), րոմյանու ցամուուս Lucky-ս սացուրմու նոմնու. 1969 վլու եցյան յոմքանիու Lak Chemical Co ըյեթրյայիշութեացան և յոմքանիու դասաեցյան - և անցաւ յրիմյան Lucky Group. 1976 վլու ոյմնեցան էուցելու սամյցնույրու-յցուատու ըյեթրու, րո-

<sup>55</sup> [http://www.bloomberg.com/apps/news?pid=newsarchive&sid=aO0FeeTB6\\_0Y](http://www.bloomberg.com/apps/news?pid=newsarchive&sid=aO0FeeTB6_0Y)

<sup>56</sup> <http://enr.construction.com/toplists/Top-International-Contractors/001-100.asp>

<sup>57</sup> <http://money.cnn.com/magazines/fortune/global500/2009/industries/183/index.htm>

1

<sup>58</sup> <http://www.forbes.com/2002/03/21/0321feat.html>

<sup>59</sup> <http://investing.businessweek.com/research/stocks/snapshot/snapshot.asp?ticker=030000:KS>

<sup>60</sup> <http://www.kdbdw.com/bbs/download/162067.pdf?attachmentId=162067>

მელიც თანამშრომლობას იწყებს ცნობილ კომპანიებთან NEC, Siemens და Hitachi. 2013 წლის მონაცემებით, LG მსოფლიოში უმსხვილეს ელექტრომწარმოებლად გვევლინება Samsung Electronics-ს შემდეგ<sup>61</sup>. 2013 წლის მესამე კვარტლის მონაცემებით – მსოფლიოში მობილურების მწარმოებელ კომპანიებს შორის მე-4-ე ადგილზე<sup>62</sup>.

### ცხრილი 3

მსხვილი "ჩებოლების" საქმიანობის სფეროები					
ინდუსტრია	Hyundai	Samsung	LG	Daewoo	SK
მანქანათმშენებლობა	*	*		*	
ატმოსფერო	*	*		*	
კონსტრუქცია	*	*	*	*	*
საყოფაცხოვრებო ტექ.		*	*	*	
ფინანსური სერვისი	*	*		*	
ავტომ. სათ. ნაწილები	*	*	*	*	
ნავთობ გადამამუშავებ.	*		*		*
ნავთობქიმია	*	*	*		*
ნახვარგამტარები	*	*	*		
გეითმშენებლობა	*	*		*	
ტელეკომუნ. აღჭურვ.	*	*	*	*	
ტელეკომუნ. სევისი				*	*

წყარო: Thomas White International, Ltd. 2010

### „ჩებოლების“ კრახი

მსგავსი მოდელი, რომელიც შეიძლება არის შერწყმული სახელმწიფოს ფინანსებთან, დიდ გარდაუვალ პრობლემას შეიცავდა თავის თავში, ეს არის კორუფცია, როდესაც ბიზნესი პრობლემების გადასაჭრებლად იძულებული იყო, კონტაქტი დაემყარებინა სახელმწიფო ჩინოვნიკებთან. მართალია პაკი თავისი ასკეტურობით, პრინციპულობითა და შეუპოვრობით

<sup>61</sup> <http://www.bloomberg.com/news/2011-02-16/lg-aims-to-boost-television-market-share-with-3-d-web-connected-models.html>

<sup>62</sup> <http://www.gartner.com/newsroom/id/2623415>

აქტიურად ეწინააღმდეგებოდა კორუფციასა და სახელმწიფო დანაშაულებს, თუმცა მის ზურგს უკან კორუფციის საკმაოდ დიდი მასშტაბები ფიქსირდებოდა. აღნიშნულის მსხვერპლი რესპუბლიკის ერთ-ერთი პრეზიდენტიც კი გახდა. გაიზარდა რა „ჩებოლების“ გავლენები, პარალელურად მათი კონტროლის ეფექტური მქანიზმების დანერგვა გართულდა, მუშაობის პროცესში ხდებოდა მნიშვნელოვანი დარღვევები და შეცდომები. კომპანიებმა არარენტაბელურ პროექტებში დაიწყეს მსხვილი კაპიტალდაბანდებების განხორციელება, ხდებოდა რესურსების ფლანგები და არარაციონალური მართვა, რამაც გამოიწვია მათი ეფექტიანობის კლება. მათ იმდენად მასშტაბურად და გავლენიანად წარმოედგინათ საკუთარი თავი, რომ ვერ უშვებდნენ თუ შეიძლებოდა შეცდომა მოსკლოდათ ან გაბანკროტებულიყვნენ. საბოლოო ჯამში, ამ შეცდომებმა მნიშვნელოვანად შეუწყო ხელი ეროვნული ვალუტის გაუფასურებას და, საბოლოო ჯამში, კრიზისს კორეის რესპუბლიკაში.

### სოფლის მეურნეობა

მიწის რეფორმის შედეგად, ჯერ კიდევ 50-იან წლებში, ლიკვიდირებულ იქნა მსხვილი მიწათმფლობელობა და მემამულება, მიღებული მიწის რესურსი გადანაწილდა გლეხებს შორის. სამხრეთ კორეის თავისებურება ის არის, რომ მისი ტერიტორიის 2/3 მთიანი ტერიტორიაა. იმდენად დეფიციტურია მინდვრები და საგელე ტერიტორიები, რომ საძოვარი მიწები დიდ ფუფუნებად ითვლება. ამიტომაც, ქვეყანაში მეცხოველეობა არ არის განვითარებული. კორეული ფერმის საშუალო ზომა არ აჭარბებს 1,5 ჰას. სახელმწიფომ გადაწყვიტა მხარი დაეჭირა მცირე წარმოებებისა და საოჯახო მეურნეობებისთვის, გამომდინარე სოციალური ინტერესებიდან. სახელმწიფო გარანტიას იძლეოდა წარმოებული ბრინჯის შესყიდვასთან დაკავშირებით. საბაზრო ფასზე გაცილებით მაღალი დირებულებით ყიდულობდა მეურნეობებისგან ბრინჯს და გაპონება იმპორტზე. აღნიშნული პოლიტიკით სუბსიდიას უწევდა და ასტიმულირებდა ადგილობრივ წარმოებას და საოჯახო მეურნეობებს. დროთა განმავლობაში, თავისუფალი ბაზრის პრინციპებიდან გამომდინარე, „სავაჭრო ომების“ ზეწოლით, სახელმწიფო იძულებული გახდა ეტაპობრივად მოეხსნა მსგავსი შედაგათები მეურნეობებისთვის, რამაც ადგილობრივი

ფერმერების უქმაყოფილება გამოიწვია. თუმცა ისინი უკვე განვითარების ახალ ეტაპზე იყვნენ გადასულები.

### ატომური ენერგია

ატომური ელექტროსადგურების წარმოების მოცულობით ქვეყანა მსოფლიოს ქვეს უმსხვილეს მწარმოებელს შორის შედის. სამხრეთ კორეას 20 ატომური ბლოკი გააჩნია, ატომური ენერგიის განვითარების გეგმის შესაბამისად, 2020 წლისთვის მათი რაოდენობა 30-მდე გაიზრდება. პროგრამა ითვალისწინებს მშენებლობის მთელი ციკლის საკუთარი რესურსებით აშენებას.

### განათლება და მეცნიერება

კორეის რესპუბლიკამ არათუ ბევრი რამე გადაიდო იაპონიის წარმატებული მოდელიდან, არამედ საკმაოდ პროდუქტიული გამოდგა მათი შეცდომების ანალიზსა და შესწავლაში. ქვეყნის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ზუსტად განათლებისა და მეცნიერების განვითარება არის წარმატებული ეკონომიკური განვითარების ფუნდამენტური მესიჯი. ქვეყანაში 400-ზე მეტი უმაღლესი სასწავლებელი და კოლეჯია, 4 მილიონამდე სტუდენტი სწავლობს, რომელთაგან 32% განათლებას საინჟინრო მიმართულებით იღებს. სტუდენტების დიდი რაოდენობის გამო ქვეყანა ერთ-ერთი ლიდერია მსოფლიოში. სახელმწიფოს პარალელურად განსაკუთრებით მსხვილია კერძო კორპორაციების დაბანდებები ქმედიაში მეცნიერებისა და განათლების განსაკითარებლად. აქედან გამომდინარე, ყველაზე პრიორიტეტული მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაა და დაბანდებებიც სწორედ ამ მიმართულებით ხორციელდება.

დღეისთვის კორეა საკმაოდ სერიოზული გამოწვევის წინაშე დგას. საბოლოოდ, ქვეყანამ შედეგად ის მიიღო, რომ ჰყავს ძალიან ბევრი კარგი კადრი, რომლებიც უარს ამბობენ დაბალ ანაზღაურებად სამუშაოზე. ამ ყველაფერმა ქვეყნის ფერმები და საწარმოები ცუდ მდგომარეობაში ჩააყენა, პარალელურად კი უამრავი სტუდენტი ამთავრებს უნივერსიტეტს და ელოდება თავის ადგილს წამყვან დიდ კომპანიებსა და მთავრობაში.

შრომის ბაზრის მიმოხილვისას Wall Street Journal-ის ჟურნალისტს საინტერესო მაგალითი მოჰყავს - „სტუდენტმა პარკ ჯუნმა (სტუდენტი Hongik-ის უნივერსიტეტში Seoul-ში) გადაწყვიტა, რომ გადაედო უნივერსიტეტის დამთავრება 1 წლით

დასაქმების ბაზრის რთული მდგომარეობის გამო. "დღეს ვერავინ ამთავრებს უნივერსიტეტს ისე, როგორც ამას გეგმავდა," აცხადებს ის. "სტუდენტებმა გადადეს დიპლომის აღების თარიღი, რომ შეძლებ უკეთესი შანსი პქონდეთ დასაქმებისთვის". ბატონმა პარკმა, რომელიც 24 წლის მენეჯმენტის მაგისტრია, სამსახურისთვის მისთვის სასურველ 15 კომპანიას მიმართა, მაგრამ ის არც ერთგან არ დაუბარებით გასაუბრებაზე. მან შეიძლება მომავალ წელს დამთავროს სწავლა და თუ ვერ მოახერხებს სამუშაოს შოგნას, გადაწყვეტს უცხო ენა ისწავლოს, ჩააბაროს ტესტები, აიღოს სერტიფიკატი და ქვეყნისთვის კარგი მუშახელი დაიკარგოს"<sup>63</sup>.

### შეჯამება და დასკვნები

2007 წელს, სამსახური კორეის პრეზიდენტი უძღვებოდა კამპანიას, რომელიც გულისხმობდა ეკონომიკურ ზრდას სახელწოდებით „747“, რაც გულისხმობდა - 7%-იან წლიურ ზრდას, 40 000 § შემოსავალს 1 სულ მოსახლეზე და მსოფლიოს მეშვიდე ყველაზე ძლიერ ეკონომიკას 2018 წლისთვის. მთავარი ელემენტი მთავრობის შემცირება იყო.

„დღევანდელ რეალობაში, პრობლემებთან დაპირისპირება უფრო რთულია ვიდრე 1960 წელს სიდარიბის დაძლევის სურვილი იყო. ჩვენ არ გვაქვს ერთმანეთთან აზრთა თანხვედრა არსებული ძალებით იმ პრობლემების მოსაგვარებლად, რომლის წინაშეც ვდგავართ“ აცხადებს პაპ ჩან გუკი, Chungnam-ის უნივერსიტეტის ეკონომიკის პროფესორი. სამსახური კორეის ეკონომისტებისთვის ქვეყნის ეკონომიკური ზრდის დილექტორიული მსჯელობების საგანი გახდა. რამდენიმე საინვესტიციო ბანკი, კარგი დასაწყისისთვის, ფორმულებს განიხილავდა კორეის რესპუბლიკის მოკლე და გრძელვადიანი ზრდისთვის. დენი ლაიპციგერი ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის პროფესორი, მსოფლიო ბანკის ყოფილი ვიცეპრეზიდენტი აცხადებს, რომ თუ კორეის რესპუბლიკა შეძლებს მწარმოებლურობის სათანადო დონეზე შენარჩუნების და ქალებისა და ხანში შესული მოქალაქეების მაქსიმალური დასაქმების უზრუნველყოფას, ქვეყანა შეძლებს ეკონომიკური ზრდა 7%-მდე გაზარდოს და შეინარჩუნოს. შესაბამისად, ეს სამსახური


<sup>63</sup>ესან რამსტადი – „Wall Street Journal“-ის რეპორტიორი. ხელი, კორეა (8. 2010).

კორეის ამჟამინდელი პრეზიდენტის უკედაზე დიდი დამსახურება იქნება.“

ეკონომისტების შეფასებით, სამხრეთ კორეის მოდელი უნდა იყოს ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის იმ ქვეყნების მსგავსი, რომლებმაც მომსახურების ძლიერი ინდუსტრიები შექმნეს. რომლებიც მაქსიმალურად იყენებენ მაღალაკვალიფიციურ მუშაკებს და მათი საშუალებით საწარმოებში კადრების შემადგენლობას აკომპლექტებენ. „მათი სამუშაო არის მრავალფეროვანი, რაც ხელს უწეობს ქვეყანაში ინოვაციებისა და კრეატიულობის განვითარებას. კორეამ უნდა გადაწყვიტოს, თავად განიცდის რეკონსტრუქციას და დარჩება კვლავ უერადღების ცენტრში, თუ მოემზადება „იაპონური მზის ჩასვლისთვის“ – განაცხადა ჯესპერ კიმმა „Ewha University“-ის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორმა.

შეჯამებისათვის კი შემდეგ მოსაზრებებს მოვიყვანთ. კორეის რესპუბლიკის საერთაშორისო ვაჭრობის ინსტიტუტი (KITTA – The Korean Institute for International Trade) სამხრეთ კორეის „ეკონომიკურის სასწაულის“ ოთხ უმნიშვნელოვანეს ფაქტორზე ამახვილებს უერადღებას:

კორეის რესპუბლიკის საერთაშორისო ვაჭრობის ინსტიტუტი	
I	უპირველეს ყოვლისა, შეიძლება ითქას, ეს არის ქვეყნის გახსნილობა, ღიაობა, უპირველეს ყოვლისა, ეს საკუთარ თავში გულისხმობს უქსაორტზე ორიენტირებულ ლიბერალიზმულ სავაჭრო პოლიტიკას.
II	უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ასევე აქცენტირება ადამიანურ პაპიტალზე პრიორიტეტად იქცა განათლება და თავიდანვე ქვეყნის ორიენტირი გახდა განათლებული, პროფესიონალი თაობების აღზრდა, რაზეც დღეს არის დაფუძნებული კორეის რესპუბლიკის ეკონომიკა და მისი „ეკონომიკური სასწაული“.
III	უმნიშვნელოვანესი ასევე სახელმწიფოს <b>უფასოური შმართველობა</b> და ხელისუფლების შედეგზე ორიენტირებული, გააზრებული ეკონომიკური პოლიტიკა.
IV	კორპორაციები (ჩებოლები), რომლებმაც გადამწყვეტი როლი ითამაშეს კორეის ეკონომიკის განვითარებაში.



### დიაგრამა 5

წყარო: <http://www.itu.int/>

კორეის ეკონომიკური სასწაული მისი ინტერნეტტექნოლოგიების და შესაბამისად, ახალი მედიასაშუალებების ბუმში კლინდება. IDI-ს ინდექსის<sup>64</sup> მიხედვით, მსოფლიოში კორეა

<sup>64</sup> IDI-ICT განვითარების ინდექსი (IDI - ICT Development Index) – არის ინდექსი, რომელსაც აქვთნებს გაერთიანებული ერების 409

ლიდერობს. „ეს არის მსოფლიოს ნომერი პირველი ქვეყანა ინტერნეტ შედწევადობითა და ინტერნეტ მომხმარებელთა რიცვით. პროექსორი სეჯუნგ მარინა ჩო კორეის უნივერსიტეტიდან ხსნის, რომ „კორეას 40 მილიონზე მეტი ინტერნეტმომხმარებელი ჰყავს, რაც მოელი მოსახლეობის 83%-ს შეადგენს. მომავალი სწორედ ინფორმაციების და თამამედროვე ტექნოლოგიებისაა“.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. South Korea on top of the IT world - UK climbs to fifth as Australia, USA, also take big leaps up league tableBy Phil Muncaster, 12th October 2012, theregister.co.uk

2. „Emerging Market Spotlight“-The Chaebolsin South Korea: Spearheading Economic Growth, Thomas White International, Ltd. One Financial Place 2010.

3. Korean economic development strategy – Korea Development Institute (KDI) – Ji Hong Kim 2006

4. “Guide To credit Rating Essentials” (what are credit ratings and how do they work?) - Standard&Poor’s, Financial Services LLC (S&P) a subsidiary of The Mac Graw-Hill Companies,

Inc.<http://www.standardandpoors.com/ratings/definitions-and-faqs/en/us>

5. A LESSON FROM KOREAN ECONOMIC SUCCESS - Fano-wedy Samara , Seoul-South Korea, 2013

6. The 1997-98 Korean Financial Crisis: Causes, Policy Response, and Lessons - Singapore July 10-11, 2006.

[http://www.theregister.co.uk/2012/10/12/korea\\_most\\_developed\\_nation\\_it/](http://www.theregister.co.uk/2012/10/12/korea_most_developed_nation_it/)

7. А.С. Судищев, Н.А. Судищев. Китайская экономика в XXI веке. СПб, Питер, 2004.

8. В.И. Шипаева. Южная Корея в системе мирового капиталистического хозяйства. Москва, Мир, 1994.

9. Б.Б. Рубцов (д.э.н., Финансовая академия при Правительстве РФ). Реформа финансового сектора Республики Корея: опыт преодоления кризиса. ж. "Рынок ценных бумаг", №11, 2002.

10. С. В. Жуков. Роль государства в сотворении "южнокорейского чуда". ж. "Экономист".

11. Республика Корея: достижения догоняющего развития –

---

საერთაშორისო ტელეკომუნიკაციათა კაგშირი და ეფუძნება საერთაშორისო აღიარებული ინფორმაციებისა და კომუნიკაციების ტექნოლოგიების (ICT - Information and Communication Technologies) ინდიკატორებს.

- http://mgimo.ru/fileserver/2004/kafedry/mirec/prog-mirec2006\_11-market-dem6.doc
12. http://www.doingbusiness.org/data/exploreeconomies/korea/Retrieved 2011-11-22.
  13. http://Wisegeek.com
  14. http://Tradingeconomics.com
  15. http://databank.worldbank.org/data
  16. http://www.econnewskorea.com/, a Korean economic and business news aggregator
  17. http://www.quandl.com/south-koreaComprehensive current and historical economic data
  18. http://kosis.nso.go.kr/cgi-bin/SWS\_1021.cgi?KorEng=2&A\_UNFOLD=1&TableID=MT\_ETITLE&TitleID=G&FPub=4&UserID=/Korea Statistical Information System
  19. http://www.imf.org/external/index.htm

*Giorgi Mikanadze*

## **REPUBLIC OF KOREA – THE BEST EXAMPLE IN THE WORLD FOR ECONOMICAL DEVELOPMENT**

### **Annotation**

This is dedicated to North Korea's economical initiatives and introduction innovative issues. Discussions about economical progress is based on economical index, conclusions of International Monetary Fund and The World Bank's summaries and ratings. The article is divided into several parts, from historical overview to today's challenges. Work includes: 3 schedules, 5 diagrams, 2 graphics, 1 scheme.

*Olga Pachulia*

*Klara Ghurtskaia*

## **STRATEGIC MANAGEMENT AND PORTFOLIO DIVERSIFICATION**

Diversification is considered as one of the popular strategy for companies, which want to increase revenues and get more financial success, but making any investment decision for investors or companies and create risk balanced portfolio is very important in order to avoid a loss. Companies choosing diversification strategy get more benefit and have more business opportunity. At first glance diversification is perfect way to spread all the risks and handle the risks, but there are plenty of threats that can occur to

the portfolio of the investments, as investor can't make an exact forecast of the future of the companies and stock prices, there can be always raise a risk. So, instead of avoiding the possible losses, company with diversification strategy may have crises if the portfolio is not managed very carefully. When making an investment, we deal with **Risk** and **Time Horizon**. No investment is possible without loss, in other words "No Pain, No Gain", so investors take a risk and they have to handle the risk, as for the Time Horizon it can be very long and as the investment is longer the riskiness is increasing and the chance to get high return increases also. Based on this, investors have some opportunity to enrich its investment portfolio among different asset types and reduce the risk.

First off all, there are several investment choices such as stocks and stock mutual funds, corporate and municipal bonds, bond mutual funds, lifecycle funds, exchange-traded funds, money market funds, and U.S. Treasury securities. If investor mixes the stock types, he will get a diversification across asset classes and this is one of the best strategies to allocate risk among investment products. Generally, there are three categories of assets: stocks, bonds and cash.<sup>65</sup>

- **Stocks** - Stocks have historically had the greatest risk and highest returns among the three major asset categories. As an asset category, stocks are a portfolio's "heavy hitter," offering the greatest potential for growth. Stocks hit home runs, but also strike out. The volatility of stocks makes them a very risky investment in the short term. Large company stocks as a group, for example, have lost money on average about one out of every three years. And sometimes the losses have been quite dramatic. But investors that have been willing to ride out the volatile returns of stocks over long periods of time generally have been rewarded with strong positive returns.

- **Bonds** - Bonds are generally less volatile than stocks but offer more modest returns. As a result, an investor approaching a financial goal might increase his or her bond holdings relative to his or her stock holdings because the reduced risk of holding more bonds would be attractive to the investor despite their lower potential for growth. You should keep in mind that certain categories of bonds offer high returns similar to stocks. But these bonds, known as high-yield or junk bonds, also carry higher risk.

- **Cash** - Cash and cash equivalents - such as savings deposits, certificates of deposit, treasury bills, money market deposit accounts, and money market funds - are the safest investments, but offer the lowest return of the three major asset categories. The chances of losing money on an in-

---

<sup>65</sup> <http://www.sec.gov/investor/pubs/assetallocation.htm>

vestment in this asset category are generally extremely low. The federal government guarantees many investments in cash equivalents. Investment losses in non-guaranteed cash equivalents do occur, but infrequently. The principal concern for investors investing in cash equivalents is inflation risk. This is the risk that inflation will outpace and erode investment returns over time.”

Besides, investors can include other asset categories in their portfolios such as real estate, precious metals and other commodities and private equity. Investments in these asset categories typically have category-specific risks, because of the risk an investor can protect against significant losses investing in more than one asset category, you'll reduce the risk that you'll lose money. If one asset category's investment return falls, you'll be in a position to counteract your losses in that asset category with better investment returns in another asset category.

Another kind of portfolio diversification an investor should take into consideration is diversifications across sectors and industries. For instance: technology, utilities, real estate and so on. Apple is a good example of stock fluctuation as it is the computer industry company and this industry is full of competitors trying to suggest innovations and competitive prices. Apple began selling the i-Phone 5 on September 21 2012 year, the same day the company's stock hit an all-time peak of \$705.07 per share. Since then, the stock has plunged nearly 25 percent, trimming the company's market value by more than \$150 billion. On Friday afternoon, shares were trading at around \$534<sup>66</sup>. Just in one day the investor holding Apple's stock, he had \$171.07 loss per stock.

American investor Scott Rothbort gives an interview to the Forbes about his own portfolio<sup>67</sup>. He says that on a totally different level, there is a great feeling one gets when a stock that they own goes from double digits (below \$100) to triple digits (over \$100). Quite often that move is not fleeting but the beginning of more dramatic longer term price and earnings growth stocks such as Apple (AAPL), Google (GOOG), International Business Machines (IBM) and the granddaddy of them all, **Berkshire Hathaway** (BRK.A). IBM, thanks to having split its stock on multiple occasions, has broken the \$100 price several times. He said, that he thought it would be a good idea to marry two seemingly unrelated concepts together, both of which are indicative of a strong stock. Doing so he has resulted in a portfo-

---

<sup>66</sup> [http://www.pressherald.com/business/apples-stock-fails-to-mirror-sales-of-ipads-and-iphones\\_2012-12-08.html](http://www.pressherald.com/business/apples-stock-fails-to-mirror-sales-of-ipads-and-iphones_2012-12-08.html)

<sup>67</sup> <http://www.forbes.com/sites/thestreet/2012/01/13/7-stocks-set-to-rise-above-100-in-2012/>

lio of stocks that have 20% price appreciation potential and should rise above the \$100 price level in 2012. As we see from this portfolio, these 4 companies are from different industries, have high profits and their stock prices are falling and rising from time to time, Mr. Scott Rothbort thinks, that adding stocks priced below \$100 are possible to raise and become more than \$100, such as **Cummins** (CMI) the manufacturer of engines and power generation systems, **FedEx** (FDX) a leading global letter and parcel carrier, **Exxon Mobil** (XOM) the largest integrated oil company and the largest company by market capitalization in the U.S., **Deckers Outdoor** (DECK) a footwear company featuring seven brands transcending a variety of styles and weather conditions, **Deere** (DE) the world's leading manufacturers of farm machinery and related equipment, **Fossil** (FOSL) retailer that operates in big shopping malls and outlet stores, **Allergan** (AGN) health care company that produces a wide variety of products.

These 7 companies discussed above, are example of perfect diversification by industry, which will balance and reduce the loss and risk of the investment, even at one glance it seems that the correlation between stock prices of the companies are minimum or near zero. Based on these, we consider that companies should choose businesses from low correlated industries to balance risk. In our opinion, correlation techniques should be used while making diversification by stock types and international diversification.

One more tool to hedge against portfolio risk is international diversifications or diversifications across regions and countries. None of the country and region, even highly developed countries are not insured from any kind of catastrophic loss. Another reason for international diversification is laws, business environment and political changes that can make negative influence on the companies and become the reason of the failure of the whole industries in the country or region. Based on this, investors should allocate assets by geographical order. For example, in 2011 the 8.9 magnitude earthquake and ensuing tsunami that hit Japan at 0546 GMT has caused a fall in Asian stock markets and the yen. The dollar gained 0.5 per cent against the yen to 83.275, and then fell back again. Japan's Nikkei index closed 1.7 per cent lower and fell a further three per cent in after-hours trading in Singapore<sup>68</sup>. Japan's benchmark Nikkei 225 (N225) index, meanwhile, has rebounded sharply from post-disaster lows. The Nikkei is up 20% from its 52-week low in November. But the Nikkei is still about 6% below the level it was at on March 10, 2011. By way of comparison, the

---

<sup>68</sup> <http://www.theweek.co.uk/business/7127/japan-quake-and-tsunami-causes-stock-market-drop#>

S&P 500 (SPX) is up 5% during the same time frame<sup>69</sup>. If an investor had most of his portion of its portfolio in Japan, he would have a really great loss in this period.

Most investment professionals agree that diversification is not a guarantee against loss; it is a strategy of maximal reduction of the probability of losing money invested in different assets, but still more and more companies are using diversification strategy, adding new business lines, enlarging geographical area, also number of investment companies are increasing in the world. There are many studies demonstrating why diversification works well, but to put it simply by spreading your investments across various sectors or industries with low correlation to each other, you reduce price volatility. This is because different industries and sectors don't move up and down at the same time or at the same rate - if you mix things up in your portfolio, you're less likely to experience a great portion of loss, because when some sectors experience tough times, others may be thriving. This provides for a more consistent overall portfolio performance. By taking into consideration the correlation techniques in our opinion, the three levels of diversification such as industry, stocks and international diversification will help to manage an optimal portfolio and increase the effectiveness of company's strategy and development.

*Olga Pachulia  
Klara Ghurtskaia*

## **STRATEGIC MANAGEMENT AND PORTFOLIO**

### **DIVERSIFICATION**

#### **Annotation**

The strategic significance of portfolio management and portfolio diversification for companies and the threats and characteristics of portfolio diversification are considered in the article. The kinds and ways of portfolio diversification is also given. The authors suggest the three levels of diversification such as industry, stocks and international diversification which will help to manage an optimal portfolio and increase the effectiveness of company's strategy and development.

---

<sup>69</sup> <http://money.cnn.com/2012/03/11/news/economy/thebuzz/index.htm>

## ასმათ შამუგია

ბანვითარებული ქვეყნების ზოგადსაბანაონათლებლო

სისტემაში კადამობიური კაღრმაის მატერიალური

სტიმულირების ბანვითარების ტენდენციების შეზასხვა

მსოფლიოს რიგ ქვეყნებში, ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში საკადო პოლიტიკის ფორმირებისა და განვითარების პროცესში, დაგროვებულია საქმაოდ დიდი პრაქტიკული გამოცდილება, რომლის ანალიზი და შეფასება საშუალებას იძლევა, რომ ჩვენი ქვეყნის ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში გამოყიდვნოთ მათი გამოცდილება, კერძოდ, პედაგოგიური კადრების მომზადების ტექნოლოგიები (ალგორითმი). ამაში ვგულისხმობთ არა მარტო პერსონალის მომზადების ტექნოლოგიურ პროცესებს, არამედ მათი სტიმულირების ფორმებისა და მეთოდების განვითარებას. ყოველივე ამის ანალიზი და შეფასება კი შესაძლებლობას იძლევა, რომ ზოგიერთი ქვეყნის გამოცდილება, რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნის პირობებისა და თავისებურებების გათვალისწინებით, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მიმდინარე ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის რეფორმირების პროცესში. რასაკვირველია, მათი კრიტიკული შეფასებისა და ჩვენი პირობების გათვალისწინებით, უნდა მოხდეს რეკომენდაციების შერჩევა, დასაბუთება და ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში პედაგოგიური კადრების მომზადების, გადამზადებისა და შიდა სასკოლო მართვის პროცესში გამოყენება. კიდევ ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს იმის განსაზღვრა, თუ რამდენად მზადაა თანამედროვე ქართული სკოლა, რომ აპრიორი მიიღოს სხვა ქვეყნების გამოცდილება, რადგან ყოველი სიახლის დანერგვას, მათ შორის საგანმანათლებლო სისტემის მართვაში, სჭირდება შესაბამისი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური გარემო.

საქართველოში მასწავლებელს საჭიროა, პქონდეს უფრო მეტი ხელფასი, ვიდრე დღეს აქვს. მაგალითად, აშშ-ში ახალბედა პედაგოგის ხელფასი წელიწადში \$30-35 ათასია, ხოლო გამოცდილის - \$ 60 ათასი. ფინები მასწავლებლის ხელფასი თვეში 2500 ევროს შეადგენს. გარდა ამისა, რიგითი ამერიკელი მასწავლებელი ცხოვრობს საკუთარ სახლში, დადის კარგი მანქანით და ასევე, ისვენებს საუკეთესო კურორტებზე.

რასაკვირველია, მასწავლებლების მეტ ანაზღაურებასა და წახალისებას სჭირდება გაცილებით მეტი საბიუჯეტო

მხარდაჭერა. განვითარებულ ქვეყნებში სწორედ რომ კოლო-სალურია განათლების სფეროს დაფინანსება.

ამჯერად გავეცნოთ მონაცემებს იმის შესახებ, ეპროპის წამყვანი ქვეყნები რამდენ დოლარს ხარჯავენ მოსახლეობის ერთ სულზე განათლებაში:

1. ლუქსემბურგი – 3600;
2. ნორვეგია – 2800;
3. შვედეთი – 2600;
4. დიდი ბრიტანეთი – 2300;
5. ნიდერლანდები – 2100.

მასწავლებლის სტატუსის, პროფესიული მომზადებისა და ხელფასის საკითხი მუდმივი განსჯის თემაა საქართველოში. როგორია, ერთნაირად შეუწყო ხელი 70 ათასზე მეტი მასწავლებლის საჭიროებებსა და ინტერესებს. ბუნებრივია კითხვაც: „რა ხედა სხვაგან, სადაც მასწავლებლები უკეთეს პირობებში მუშაობენ?“ მართლაც საინტერესოა, რა ფაქტორები აძლენს გავლენას იმაზე, რომ იაპონელი, სინგაპურელი და სამხრეთ კორეელი მოსწავლეები უმაღლეს შედეგებს აჩვენებენ საერთაშორისო ტესტირებების დროს? ცხადია, შეუძლებელია და გაუმართლებელიც უცხო ქვეყნების გამოცდილების ბრძად მიღება, მაგრამ უდავოდ მნიშვნელოვანია, რა გამოცდილება და პრაქტიკა არსებობს წარმატებული საგანმანათლებლო სისტემების მქონე ქვეყნებში.

შედარებისთვის უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც ეპროპაში, ასევე მსოფლიოს ბევრ სხვა ქვეყანაში მასწავლებელთა შერჩევისა და პროფესიული ზრდის საკითხებს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ. ევროპის სახელმწიფოთა უმეტესობაში მასწავლებელთა პროფესიული ზრდის მრავალსაფეხურიანი სისტემები არსებობს და კვალიფიკაციის ყოველი დონისთვის მინიმალური ხელფასი კანონმდებლობითა განსაზღვრული. დიდ ბრიტანეთში სისტემა ხუთსაფეხურიანია, დამწყები პედაგოგის წლიური ხელფასი – 15-20 ათასი გირვანქა სტერლინგი, უმაღლესი კვალიფიკაციის, ე.წ. „ლიდერი-მასწავლებლის“ ანაზღაურება კი – 100 ათასი და მეტი გირვანქა სტერლინგი.

უოვლივე ეს კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, რომ პედაგოგიური კადრების მომზადების, შერჩევისა და პროფესიული ზრდის საკითხების მოგვარების გარეშე შეუძლებელია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი დაწყებითი და ზოგადი განათლების სისტემის შექმნა. მასწავლებელი სკოლის მთავარი დერძი და მომავალი თაობის სწავლა-ადგზედის მესაჭეა; ამი-

ტომ, საზოგადოებამ, რომელიც განვითარებაზე ფიქრობს, იგი დირსეულად უნდა დააფასოს.

განათლების სისტემის სრულყოფა, როგორც წესი, ეკვლა განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყნის პრიორიტეტებს შორისაა. მიუხედავად ყოველწლიურად მზარდი დანახარჯებისა განათლებაზე და განათლების სისტემის რეფორმირების მრავალმხრივი და მრავალჯერადი მცდელობებისა, მსოფლიოს მასშტაბით, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მხოლოდ მცირე ნაწილმა გააუმჯობესა სწავლების ხარისხი. მაგალითად, საერთაშორისო შეფასებების თანახმად, **აფრიკისა და შუა აღმოსავლეთის სკოლის მოსწავლეების 1%-ზე ნაკლებმა შეძლო** გადაელახა სინგაპურელი მოსწავლეების მიერ გაკეთებული ტესტის – PISA-ს (ხტუდენტების შეფასების საერთაშორისო პროგრამა) შედეგების საშუალო მაჩვენებელი. პირველი შეფასებით, აკადემიურ მოსწრებაში ქვეყნებს შორის ასეთი განსხვავება განათლების დაფინანსების სხვაობით აიხსნება, მაგრამ ფაქტია, რომ **სინგაპური**, მსოფლიოში საშუალო განათლების ერთ-ერთი საუკეთესო სისტემის მქონე ქვეყანა, განათლებაზე უფრო ნაკლებ რესურსს ხარჯავს, ვიდრე სხვა წამყვანი ქვეყნები.

საინტერესოა, რომ სხვადასხვა ქვეყნის განათლების სისტემები ხშირად რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთის-გან. როგორც კვლევამ და საერთაშორისო შეფასებებმა ცხადყო, მიუხედავად შესწავლილი ქვეყნების განსხვავებული ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული კონტექსტებისა, საუკეთესო სისტემების წარმატებას სამი ძირითადი პრინციპი განაპირობებს:

1. წარმატებული და მოტივირებული ხტუდენტების მასშავლებლის პროფესიით დაინტერესება; 2. მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; 3. სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება, სადაც მასწავლებელს საშუალება ექნება, მოსწავლეებს სწავლისათვის საუკეთესო სასწავლო გარემო შეუქმნას. როგორც ვხედავთ, სამივე ფაქტორი პედაგოგს უკავშირდება.

რიგ ქვეყნებში, სადაც მოსწავლეები გამოირჩევიან კარგი აკადემიური მოსწრებით, სკოლები საუკეთესო მასწავლებლებს ქირაობენ და მათ, საწეის ეტაპზევე კარგ (მაგრამ არა ძალიან მაღალ) ხელფასს უნიშნავენ. მოტივირებული, დამწეუბი მასშავლებლებისათვის წახალისების მსგავსი სისტემის შექმნა ხელს უწყობს პედაგოგის ხტატუსის ამაღლებას. ეს კი სკოლას

საშუალებას აძლევს, უკეთესი განმანათლებლები მიიზიდოს მომავალში.

სხვადასხვა ქვეყნის წარმატებული განათლების სისტემების კვლევები აჩვენებს, რომ მხოლოდ განათლების სისტემის დაფინანსების ზრდა, კლასში მოსწავლეების რაოდენობის შემცირება და პედაგოგების ხელფასის გაზრდა უმნიშვნელო გავლენას ახდენს შემსწავლელების მიღწევებზე. სამწლიან პერსპექტივაში მოსწავლეების მიღწევები მნიშვნელოვნად იზრდება იქ, სადაც ძირითადი აქცენტი კეთლება მასწავლებლის პროფესიაში მოტივირებული, მაღალი მოსწრების კურსდამთავრებულების მოზიდვასა და მათ შემდგომ განვითარებაზე (მაგ., სამსრულ კორეა პედაგოგის პროფესიაში მოიზიდავს სკოლის კურსდამთავრებულების საუკეთესო 5%-ს, ფინეთი – საუკეთესო 10%-ს, ხოლო სინგაპური და პონკონგი – საუკეთესო 30%-ს).

**სინგაპურში** უნივერსიტეტის ყველა კურსდამთავრებულს არ ეძლევა იმის შესაძლებლობა, რომ გაიაროს პროფესიული მომზადების ტრენინგი მასწავლებელთათვის. ამიტომ, ცენტრალიზებულ დონეზე ხდება თითოეული კანდიდატის ტესტირება და კომპეტენციების შეფასება. საბოლოოდ, სახელმწიფოს მიერ შერჩეულ კანდიდატებს საშუალება ეძლევათ, გაიარონ ფუნდამენტური ტრენინგი მასწავლებლობისთვის მოსამზადებლად. სინგაპურის მსგავსად, ფინეთშიც, სადაც განათლების სისტემის მმართველობა მკეთრად დაცენტრალიზებულია, მასწავლებლის კანდიდატების შერჩევა კომპლექსური შეფასების სისტემის საშუალებით ხდება.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ **სინგაპურსა** და **სამხრეთ კორეაში** მასწავლებლების ზემომიწევნითი სელექცია მხოლოდ დაწყებითი კლასებისათვის ხდება. რაც შეეხება საშუალო საფეხურის პედაგოგებს, შერჩევის პრინციპი რადიკალურად განსხვავდებულია. ყველა კანდიდატს აქვს საშუალება, გაიაროს პროფესიული მომზადების ტრენინგი, თუმცა კონკურსი მასწავლებლის ადგილის მოსაპოვებლად ძალიან მაღალია. შესაბამისად, საუკეთესო მასწავლებლებისათვის ამ საფეხურზე სწავლება არ არის მიმზიდველი და მათი საუკეთესო ნაწილი ცდილობს, სამუშაო ადგილი დაწყებით კლასებში მოიპოვოს. სხვათა შორის, ეს განსხვავდება არა მხოლოდ სტატუსზე, არამედ ხელფასზეც აისახება.

კარგ ხელფასს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მიუხედავად ამისა, როგორც საერთაშორისო კვლევები ცხადყოფს,

მასწავლებლები იშვიათად აღიარებენ, რომ მათთვის ხელფასი გადამწყვეტია. ისინი ხშირად იმეორებენ: „ჩვენ, მასწავლებლები, ხელფასისთვის არ ვმუშაობთ“. თუმცა უკელა იმ სისტემაში, სადაც სკოლები წარმატებულია, მასწავლებლებს მაღალი ანაზღაურება აქვთ. აღსანიშნავია ისიც, რომ ქვეყნებში, სადაც პედაგოგის ხელფასი საბაზრო საშუალო ხელფასის ნიშნულს სცდება (მაგალითად,, ესპანეთში, გერმანიასა და შვეიცარიაში მასწავლებლის სასტარტო ხელფასი უკროპაში უკელაზე მაღალია), მათი პროდუქტიულობა და მოსწავლეების აკადემიური მოსწრება არ იზრდება (ცხრილი 1).

აღნიშნულ ქვეყნებში ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ მასწავლებლების საქმიანობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. საზოგადოების მხრიდან პედაგოგის პროფესიული საქმიანობის პოზიტური შეფასება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია პოტენციური მასწავლებლის მოტივირებისთვის.

იმისათვის, რომ მოსწავლემ უფრო კარგად ისწავლოს, აუცილებელია, მასწავლებელმა ასწავლოს უკეთ. სწავლა/სწავლება მასწავლებლისა და მოსწავლის სწორ და ეფექტურიან კომუნიკაციას ეფუძნება. საუკეთესო სისტემებში ცხადად არის გარკვეული, რას მოიცავს სწორად და შედეგიანად წარმართული სასწავლო პროცესი, რომელიც, თავის მხრივ, ასევე გულისხმობს პედაგოგის პროფესიის გააზრებულ სტიმულირებას.

**ინგლისში,** სადაც მასწავლებელთა პროფესიულ მომზადებას კერძო საგანმანათლებლო ორგანიზაციები ახორციელებენ, სკოლებს ტრენინგისა და განვითარების ეროვნული სააგენტო აკონტროლებს, რომ დამწერები მასწავლებლის მოსამზადებელი კურსები პედაგოგიური პრაქტიკის დიდ სეგმენტს მოიცავდეს (სულ ცოტა, 24 კვირა წელიწადში). ამ პირობის დარღვევის შემთხვევაში, შესაძლოა, ლიცენზირებულ ორგანიზაციას დაფინანსება შეუმციროს, ან, უარეს შემთხვევაში, სრულიად შეუწყვიტოს.

**აშშ.** აშშ-ს სახელმწიფო ბიუჯეტი სამ დონეს მოიცავს. ესენია: ფედერალური, შტატების და ადგილობრივი ბიუჯეტები. განათლება ფინანსდება შტატების ბიუჯეტიდან. თუ ერთმანეთს შევადარებოთ ფედერალური და შტატების ბიუჯეტების სარჯვით ნაწილებს, დავინახავთ, რომ ფედერალურ დონეზე უკელაზე მეტად ფინანსდება სოციალური უსაფრთხოება – \$496 მლრდ, ხოლო შტატების დონეზე – განათლება – \$595 მლრდ. მაშასადამე, აშშ-ს კონსოლიდირებული სახელმწიფო ბიუჯეტის პირ-

ველი მუხლია განათლება. ეს არ არის გასაკვირი. აშშ-ს მთავრობა და საზოგადოება მომავალ, გრძელვადიან და სტაბილურ კეთილდღეობას ყველაზე შეტად სწორედ განათლების პროგრესს უკავშირებს. საშუალოდ ეკროპაში განათლებაზე საბიუჯეტო ასიგნება, მშპ-სთან მიმართებაში, 5-6%-ს შეადგენს, დიტვაში – 5-8%-ს, ხოლო საქართველოში – 2,4%-ს.

**ფინეთი.** ამ ქვეყანაში სკოლის მასწავლებლის შრომა დაფასებულია და ანაზღაურდება ბევრად უფრო მეტად, ვიდრე OECD-ს (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის) სხვა სახელმწიფოებში.

მასწავლებლის, განსაკუთრებით კი კლასის ხელმძღვანელის, პროფესია სარგებლობს, შეიძლება ითქვას, ტრადიციული პოპულარობით, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, საზოგადოებრივად ფასეული პროფესია. მათ მოსამაზადებლად გამოიყოფა რეკორდული თანხები და სხვა რესურსები. მასწავლებლებს პატივისცემით „ექსპერტებად“ მოიხსენიებენ და განსაკუთრებულ უფლებამოსილებებს ანიჭებენ. ვთქვათ, უფლებას აძლევენ თავად განსაზღვრო შიდა გამოცდების თავისუფალი ფორმა (კვირის, თვის, სემესტრის ან წლის განმავლობაში), ან შეფასების ინდიკატორად შემოიღონ „პორტფლიო“ – მოსწავლეების პირადი მიღწევების „კულაბა“.

პედაგოგები მუშაობის პროცესში მოსწავლეზე ფოკუსირებულ, ძალიან მოქნილ საკუთარ სასწავლო გეგმას და ფართო პალიტრის მქონე მეთოდიებს იყენებენ. ისინი აქტიურად მუშაობენ სწავლა/სწავლების პირადი მეთოდების შექმნაზე და დიდად აფასებენ მათვის მინიჭებულ უფლებას – თავად შეარჩიონ სასწავლო მასალა.

მასწავლებლებისადმი ასეთი უპრეცედენტო ნდობის გამოცხადება, როგორც ჩანს, მათში იწვევს პასუხისმგებლობის გრძნობას, რაც სრულიად ადეკვატურია იმ თავისუფლებისა, რომელიც პედაგოგებს ენიჭებათ.

სასწავლო წლის დამთავრებისთანავე სკოლა ყველა განმანათლებელს ითხოვს და ახალ სასწავლო წელს კონკურსის საფუძველზე იდგას. მასწავლებელი შრომითი ხელშეკრულებით მუშაობს. ზოგჯერ ერთ ადგილზე მუშაობის მსურველად 12 პედაგოგი მოდის. უპირატესობით, ცხადია, ახალგაზრდა კადრები სარგებლობენ. საპენსიო ასაკი ქალისთვისაც და მამაკაცისთვისაც 60 წელია. ამ ასაკის შემდეგ აღარავინ მუშაობს ფინეთში.

Newsweek-ის რეიტინგის მიხედვით, ფინურმა განათლებაშ უმაღლესი შეფასება დამსახურა. თუმცა, რა გასაკვირია – XX საუკუნის დასაწყისშიც კი ქვეყანაში ყველაზე მეტი კითხვის მოყვარული იყო. განათლების სისტემაში ჩახედული სპეციალისტები ადასტურებენ, რომ ასეთი მაღალი შეფასება სკოლის დამსახურებაა, სადაც დაწყებითი განათლება უმნიშვნელოვანებად მიიჩნევა. სწორედ დაწყებითი კლასებისთვის არჩევს სკოლა საუკეთესო პედაგოგებს.

ფინულებმა 1970-იან წლებში მომავალი მასწავლებლების შერჩევისა და გადამზადების სრული ტრანსფორმირება დაიწყეს. ეს იყო ძალზე მნიშვნელოვანი და ფუნდამენტური რეფორმა, რადგან მათ შესაძლებლობა მიეცათ, საგრძნობლად აქმაღლებინათ განმანათლებლების პროფესიონალიზმი. ყველა პედაგოგი იღებდა მაგისტრის ხარისხს და გადიოდა მაღალი დონის გადამზადებას.

აქედან გამომდინარე, რაც ფინეთში ხსნებული დროიდან მოხდა, ეს იყო მასწავლებლობის, როგორც ასეთის, ყველაზე მეტად დაფასება. პედაგოგობა არ გამხდარა მაღალანაზღაურებადი, ის უბრალოდ ძალიან დაფასებულ პროფესიად იქცა. განმანათლებლობის მსურველი ათი ადამიანიდან მხოლოდ ერთი თუ მიაღწევდა საკლასო ოთახამდე. ამან კი შედეგად ის მოიტანა, რომ PISA-ს საერთაშორისო შეფასებით, ფინეთმა უფრო მაღალი შეფასება მიიღო, ვიდრე სხვა დასავლურმა ქვეყნებმა, აღმოსავლეთში კი ძალიან ცოტა ქვეყანაა, რომლებიც იმავე შედეგებს აღწევენ თავიანთ განათლების სისტემებში.

ფინეთი ძირითადად მასწავლებლებზეა ფოკუსირებული და არა შიდა ტესტირებებზე. ამ ქვეყანაში არ არსებობს ტესტირებები, თუ არ ჩავთვლით ძალზე მოკრძალებულ აუდიტორულ პროგრამას, რომელიც ბავშვებთან დაკავშირებული და მოგრაფიული მონაცემების შეგროვებისთვისაა განკუთვნილი და არა, მაგალითად, საჯარო კონსუმერიზმის, ანგარიშვალდებულებების ან ურთიერთშედარებისთვის სხვადასხვა სკოლის სასწავლო რეალობებისა. აღმაფრთოვანებებული სწორედ ის არის, რომ პროფესიონალიზმის ასეთი მაღალი დონის შექმნით მათ შეუძლიათ, უბრალოდ ენდონ საკუთარ მასწავლებლებს. ფინელების დევიზია – „ენდე პროფესიონალიზმის საშუალებით“. ძლიერ და სუსტ სკოლებს შორის განსხვავება ოთხ პროცენტზე ნაკლებია და მათ ამგვარი მაჩვენებელი აქვთ იმ პირობებში, როდესაც ქვეყანაში არავითარი ტესტირება არ არსებობს პედაგოგებისათვის.

## **მაშასადამე, ფინელებმა:**

1. განსაზღვრეს, თუ რა არის საუკეთესო ხწავლება (არა უბრალოდ გონივრული სწავლება) და გააჩნიათ ამის შესაბამისი სტანდარტიც;

2. ასევე დაადგინეს, რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი სწავლებისას და ეს არის არა მეხსიერებაზე, არამედ აზროვნებაზე დაფუძნებული კურიკულუმი. აღსანიშნავია, რომ აშშ უმდიდრეს რაიონებშიც კი ვერ უახლოვდება ფინური\_წარმატების ამ გლობალურ სტანდარტს.

უაღრესად საინტერესოა, როგორ მოახერხა ფინეთმა, მოსახლეობის თვალში მასწავლებლის როლი იმ დონემდე აუმაღლებინა, რომ ის არა მხოლოდ საპატიო (Honorable), არამედ სათაყვანებელ (revered) პროფესიადაც ქქცია მაშინ, როდესაც აშშ-ში პედაგოგები ხშირად უსამართლო კრიტიკას იმსახურებენ?

ფინელები მართლაც მიიჩნევენ თანამედროვე განმანათლებლებს მეცნიერებად, ხოლო საკლასო ოთახებს კი – ლაბორატორიებად. ასე რომ, იქ, თითოეულ პედაგოგს მაგისტრის ხარისხი უნდა ჰქონდეს, რომელებიც სწორედ შინაარსობრივ ხარისხებს წარმოადგენენ. მათ მისადებად ისინი არ გადიან სპეციალურ კურსებს განათლების თეორიისა და ისტორიის შესახებ, არამედ ეუფლებიან სწორედ მიზნობრივ კურსებს, რომლებიც მათ საშუალებას აძლევენ, მაღალი ინტელექტუალური მზაობით შევიდნენ საკლასო ოთახში;

ფინელებმა პროფესიონალიზმი განსაზღვრეს, როგორც მაქსიმალურად გუნდური მუშაობის შედეგი. მასწავლებლებისთვის გამოყოფილია სასკოლო დღე/კვირა, როდესაც მათ საშუალება აქვთ ერთმანეთთან იმუშაონ და კურიკულუმებისა თუ გაკვეთილების უწყვეტი დახვეწა-გაუმჯობესების შესახებ იმსჯელონ. ფინელებმა დიდი ხნის წინ პედაგოგები იზოლირებული კოთარებიდან გამოიყენენ და მათ მისცეს ერთად მუშაობის დრო და შესაძლებლობა.

ფინეთში მასწავლებლებს ანაზღაურება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციაში (OECD) შემავალი ქვეყნების საშუალო მაჩვენებელზე მხოლოდ მცირედ მაღალი აქვთ (ცხრილი 1).

### ცხრილი 1 [4,10]

**მასწავლებელთა ხელფასის წლიური მონაცემები  
(აშშ-ს დოლარის ეკვივალენტით)**

ქვეყანა	საბაზო ხელფასი
ფინეთი	29,029
გერმანია	47,488
აშშ	36,858
ესპანეთი	35,881
საფრანგეთი	24,334
დიდი ბრიტანეთი (ინგლისი)	30,289
შევიცარია	47,330
OECD საშუალო	28,523

**საფრანგეთი.** როგორც ვიცით, საქართველოში მასწავლებელთა სერტიფიცირება აქტუალური თემაა. ამიტომ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ასევე, განვიხილოთ საფრანგეთის პრაქტიკული გამოცდილება და მისი შედეგები, რომლის კოპირება (სკანირება) და გარემონტირება თავისებურებების გათვალისწინებით გამოყენება საქართველოს სასკოლო რეფორმირების პროცესში, ჩვენი აზრით, ძალიან საინტერესოა. მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში მოღვაწე პედაგოგები არ გადიან სერტიფიცირების გზას, რაც, ვფიქრობთ, აუცილებლად გასავლელი, საინტერესო გზაა. ის მასწავლებლების მოტივაციის ამაღლებას და მათ პროფესიულ გამოცდილებას ზრდის.

**საფრანგეთში** სერტიფიცირებული პედაგოგები არიან საშუალო საფეხურის განმანათლებლები, რომლებიც ასწავლიან სახელმწიფო კოლეჯებსა და ლიცეუმებში. ისინი მონაწილეობენ განათლებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში (ინდივიდუალური მუშაობა მოსწავლეებთან, მათი შეფასება, დახმარება ორიენტაციის საკითხებში, რაც გულისხმობს მათვების რჩევების მიცემას სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით).

ადსანიშნავია, რომ სერტიფიცირებული პედაგოგების შესარჩევ კონკურსებში მონაწილეობის მისაღებად არსებობს სასერტიფიკაციო მოსამზადებელი პურსები. სერტიფიკატი ორგანიზა:

1. პედაგოგიური განათლების დამადასტურებელი სერტიფიკატი საშუალო საფეხურზე ზოგადი საგნების სწავლებისათვის;

2. პედაგოგიური განათლების დამაღასტურებელი სერტიფიკატი ტექნიკური განათლების მიმართულებით, ტექნიკური საგნების სწავლებისათვის.

კონკურსში წარმატების მიღწევის შემთხვევაში, კანდიდატი ხდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების უნივერსიტეტის სტაჟიორი. პროფესიული განათლების მიღებასთან ერთად, ის სტაჟიორებას გადის სასწავლო დაწესებულებაში (4-6 საათი კვირაში). აღნიშნული პროცესის დასრულების შემდეგ კანდიდატი აბარებს პროფესიულ საკვალიფიკაციო გამოცდას და მას შესაბამისი წოდება ენიჭება.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების უნივერსიტეტში სწავლის პირველ ეტაპზე სტაჟიორი ემზადება წოდების მოსაპოვებლად და მუშაობს საკუთარი სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბებაზე.

სერტიფიცირებული პედაგოგის ანაზღაურების ზრდა დამკიდებულია მისი პროფესიული განვითარების ხარისხსა და შეფასებების შედეგად მიღებულ ქულებზე. მასწავლებლის პროფესია არ გულისხმობს უცვლელი მეთოდებით სწავლებას მთელი ცხოვრების მანძილზე. მას საგანმანათლებლო უნარების გამოვლენა შეუძლია არა მარტო კლასში, არამედ პედაგოგური და საგანმანათლებლო ნაშრომებისა თუ სხვა მასალების მომზადების დროსაც. ის მთელი პროფესიული ცხოვრების მანძილზე უნდა აქტიურობდეს საკუთარი ცოდნისა და პროფესიული უნარების დასახვეწიად.

იმ მასწავლებლებს, ვისაც ამის სურვილი აქვთ, პროფესიული განვითარება აძლევს წინსვლისა და თანამდებობის შეცვლის საშუალებას. მათ შეუძლიათ გახდნენ სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელები, მეთოდისტები, მაძიებლები საზღვარგარეთ. ამასთან ერთად, ის კონკურსები, რომლებიც მასწავლებლებისთვის ტარდება, მათ ასევე აძლევს წინსვლის საშუალებას.

ამრიგად, ჩვენ მიერ ზემოთ განხილული განვითარებული ქვექნების ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სრულყოფაში დაგროვებულმა პრაქტიკულმა გამოცდილებამ დავვანახა, რომ:

რიგ ქვექნებში დამწყები (ახალბედა) მასწავლებლები საფუძვლიან პრაქტიკულ მომზადებას გადიან. **აშშ-ში** დამწყები სპეციალისტები, რომელთაც უკვე აქვთ თეორიული ცოდნა, ერთ სასწავლო წევდს ატარებენ სკოლაში: 4 დღე ეომობა პრაქტიკულ სწავლებას, ხოლო 1 დღე – აკადემიურ კურსებზე დასწრებას. მეორე სასწავლო წლის განმავლობაში თითოეულ

მასწავლებელს პყავს მენტორი, რომელიც ხელს უწყობს მას არა მხოლოდ საინტერესო გაკვეთილების დაგეგმვასა და ჩატარებაში, არამედ საკლასო შუშაობის ეფექტიანად მართვასა და ინოვაციური სასწავლო სტრატეგიების გამოყენებაშიც; აშშ-ში მასწავლებლები ერთად გვემავენ სასწავლო პროცესს, სკოლის შიდა შეფასების სისტემის რეკომენდაციების საფუძველზე. ასეთი შეხვედრების მიზანია სკოლის მასწავლებლების მიერ გამოყენებული მეთოდებისა და სტრატეგიების შედარება, აგრეთვე იმის დადგენა, თუ რომელი მეთოდი ან მიღებობა ოპტიმალური კონკრეტული ასაკობრივი ჯგუფისათვის. პროფესიული განვითარების პროგრამებში მონაწილეობა მასწავლებლებს რიგი მიზეზების გამო უჭირთ, ხოლო სკოლასა და საკლასო ოთახში ურთიერთობანამშრომლობით პროფესიული ზრდის საშუალება მათ მუდმივად აქვთ;

ფინეთში თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებელი, სადაც განათლების მიმართულების სწავლება ხორცილდება, სკოლებთან თანამშრომლობს. სტუდენტებს სკოლებში შეუძლიათ პრაქტიკული საქმიანობის განხორციელება. მათი სწავლა/სწავლების პროცესს ზედამხედველობას უწევენ უნივერსიტეტის პროფესორები, ხოლო შეძენილი პრაქტიკის საუკეთესო მაგალითებს უნივერსიტეტის სასწავლო გეგმაშიც ასახავენ. ზოგადად, მასწავლებლები ინდივიდუალური მუშაობის მეთოდს ანიჭებენ უპირატესობას, თანამშრომლობაზე დაფუძნებული სწავლება კი ბევრად უკეთეს შედეგებს გაიძლევს. ფინეთში, სადაც მოსწავლეების ტესტების მაჩვენებლები მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა, მასწავლებლები ერთად გეგმავენ სასწავლო პროცესს, აკვირდებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, კრიტიკულ ანალიზს უკეთებენ ერთმანეთის პროფესიულ საქმიანობას. იაპონიაში საუკეთესო საკლასო გამოცდილების, მეთოდებისა და გეგმების ჩაწერა/დაარქივება მიმდინარეობს. შესაბამისად, სკოლის წიაღში საუკეთესო მასწავლებლების მიერ შემუშავებული საუკეთესო გაკვეთილები და სტრატეგიები მემკვიდრეობად რჩება სკოლას.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ჯელაძე ე., „ტექნოლოგიები და განათლება ამერიკაში,“ გვ. 54-56, ქურ. „მასწავლებელი“, №4, თბ., 2011; შავერდაშვილი თ., „სერტიფიცირება – საფრანგეთის გამოცდილება,“ გვ. 54-55, ქურ. „მასწავლებელი,“ №2, თბ., 2011; კახურაშვილი ი., „ფინური განათლების საინტერესო თავისებურებანი“, გვ. 28-29,

ქურ. „მასწავლებელი“, №4, თბ., 2012; სიროტა დ., თინიკაშვილი დ., „ფინური განათლების წარმატების საიდუმლო“, გვ. 46-48, ქურ. „მასწავლებელი“, №1, თბ., 2012; გამომცემლობა „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი“;

2. ზვერევი ა., ქაჯაია მ., „ფინელებმა კვლავ გაიმარჯვეს, რატომ?“, გვ. 13-16, სამეცნიერო-მეთოდური ჟურ. „სკოლის მართვა“, №1, თბ., 2007;

3. რევიშვილი ნ., „ქვეყნის განათლების სისტემა და მასწავლებელი“, ინტერნეტგაზეთი [www.mastsavlebeli.ge](http://www.mastsavlebeli.ge), საგანმანათლებლო რესურსები, გვ. 12, თბ., 2012;

4. [http://www.oecd-ilibrary.org/education/teachers-salaries-2013-1\\_teachsal-table-2013-1-en](http://www.oecd-ilibrary.org/education/teachers-salaries-2013-1_teachsal-table-2013-1-en).

*Asmat Shamugia*

## ESTIMATION OF DEVELOPMENT TENDENCIES OF MATERIAL STIMULATION OF PEDAGOGICAL STAFF IN EDUCATIONAL SYSTEM OF DEVELOPED COUNTRIES

### Annotation

In that way, as it seems according to the international experience, the teacher's role is decisive on the stage of educational process and it is impossible, the education system to be mighty and functional without professional teachers.

As it is known, the teacher's professional development helps him (her) to go in advance and to change posts. The teachers can become managers of educational plant, methodologist and seekers abroad. Herewith, the competitions, which hold for the teachers, also help them to go in advance.

Hence, desire, affair love and including in modern educidative processes help the teachers a lot on the way of their professional development.

ეთერ კაპულია  
თეიმურაზ გოგოხია  
საქართველოში მცირე და საშუალო პიზესის  
განვითარების ინსტიტუციური სისტემის ფორმირების  
ზოგიერთი ასახვა

განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან, მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესებიდან ნათლად ჩანს, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის მცირე და

საშუალო ბიზნესი სპეციფიკური მნიშვნელობისა და როლის მატარებელია. მათი სპეციფიკურობა ვლინდება იქიდან, რომ ისინი ავსებენ ბაზრის იმ ნიშას, სადაც მსხვილი და გლობალური ბიზნესი ვერ ახერხებს შეღწევას. მცირე და საშუალო ბიზნესის განსაკუთრებული როლი და ფუნქცია, სხვა მრავალთან ერთად, იმაში მდგომარეობს, რომ მათი მეშვეობით ხდება ქვეყანაში მოსახლეობის საშუალო ფენის ფორმირება, სოციალური უთანაბრობის შერბილება და დასაქმების ზრდა. დიდია მათი წელილი ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში, რადგან, განსაკუთრებით მცირე საწარმოები, გარკვეულ როლს თამაშობენ ბიზნესში ინოვაციების დანერგვისთვის. ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში მათი განსაკუთრებული მნიშვნელობისა და როლის მიუხედავად, დღეს საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მიუღებლად დაბალი დონეა. ამჟამად, 2012 წლის მონაცემებით, მშპ-ში მათი ხევდრითი წილი უდრის 15,6%, ხოლო, მთლიანად ეკონომიკაში დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში მცირე და საშუალო ბიზნესზე მოდის 13,8%, მაშინ, როცა განვითარებულ ქვეყნებში იგივე მაჩვენებელები, შესაბამისად: 50-60 და 60-70%-ს აღემატება [6].

გაული საუკუნის 30-იანი წლების დიდი დეპრესიის, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის აშშ-ის და 70-იანი წლების ინგლისის მაგალითი გვიჩვენებს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფო ინსტიტუციური სისტემის ფორმირებამ და სახელმწიფო პროგრამების შემუშავების პრაქტიკის დანერგვამ როგორ შეუწყო ხელი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას და ქვეყნის ეკონომიკის გაუმჯობესებას [4; 8].

საკითხის შესწავლიდან ჩანს, რომ საქართველოს ეკონომიკის დღეს არსებული რეალობიდან გამომდინარე, ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანად აღიარებული უნდა იყოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება.

საქართველოში დროულად უნდა განხორციელდეს მცირე და საშუალო ბიზნესის ფორმირებისა და განვითარების ხელშემწყობი სპეციფიკური სახელმწიფო ინსტიტუციური სისტემის ფორმირება, რომელმაც უნდა მოიცვას: აღმინისტრაციული, ფინანსური და სამართლის ინსტიტუტები.

მიზანშე წონილად მიგვაჩნია, საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით,

შეიქმნას სპეციფიკური ინსტიტუტები (ორგანიზაციები):

1. „საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის ადმინისტრაცია”. ეს უკანასკნელი უნდა შეიქმნას, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო ინსტიტუტი, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი. მისი ფუნქციები უნდა იყოს:

1). მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარების უზრუნველყოფა;

2). შესაბამისი კანონების მომზადება მცირე ბიზნესის განვითარებასთან დაკავშირებით;

3). მცირე ბიზნესის განვითარებისათვის შესაბამისი სახელმწიფო დაფინანსების განსაზღვრა და წარდგენა მთავრობასა და პარლამენტი, დამტკიცების შემდეგ მისი განხორციელების ორგანიზაცია;

4). მცირე ბიზნესის საქმიანობის გაანალიზება და შესაბამის ღონისძიებათა დასახვა;

5). მცირე და მსხვილ ბიზნესს შორის კონტაქტების დამყარების ორგანიზება;

6). საქართველოში მცირე ბიზნესის ინფრასტრუქტურის განსაზღვრა და მისი კოორდინაცია;

7). მცირე ბიზნესის საინფორმაციო უზრუნველყოფა;

8). მცირე ბიზნესის განვითარების სხვა მასტიმულირებელ ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება;

9). შესაბამისი პროგრამების შემუშავება;

10). დახმარების აღმოჩენა (თავდებად დადგომა) კრედიტების მიღების დროს;

11). ინვესტორების მოძიება მცირე ბიზნესისათვის;

საქართველოს მცირე ბიზნესის ადმინისტრაციას უნდა ფინანსდეს სახელმწიფო.

არასპეციფიკური ორგანოებიდან მცირე ბიზნესის მარეგულირებელი ფუნქცია უნდა შეითავსოს ყველა ეკონომიკური ხასიათის სამინისტრომ, განსაკუთრებით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, რეგიონული განვითარების და ფინანსთა სამინისტრომ, ასევე საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ.

სამინისტროები: 1. შეიმუშავებს მცირე ბიზნესის განვითარების სტრატეგიასა და სახელმწიფო პოლიტიკას; 2. განიხილავს „მცირე და საშუალო ბიზნესის ადმინისტრაციის“ მიერ შემუშავებულ საკანონმდებლო აქტებს და, საჭიროების შემთხვევაში, მხარს დაუჭერს მის წარდგენას საკანონმდებლო ორგანოში; 3. ეკონომიკის განვითარების სტრატეგიის

შემუშავების დროს განსაზღვრავს პრიორიტეტულ დარგებში მცირე ბიზნესის განვითარების მიმართულებებს; 4. ხელს უწყობს მცირე ბიზნესის სფეროში პერსპექტიული სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საპონსტრუქტორო სამუშაოების დაფინანსებას, უახლესი ტექნილოგიების დანერგვას, ინოვაციურ მცირე საწარმოებში ვენჩერული კაპიტალის მოზიდვას; 5. შეიძუშავებს რეგიონული განვითარების პროგრამაში მცირე ბიზნესის ჩართვის სტრატეგიას

საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის ადმინისტრაციასთან უნდა შექმნას,

2. „მცირე ბიზნესის განვითარების ერთიანი ეროვნული ფონდი“, მისი ფუნქციები ძირითადად უნდა იყოს: ფინანსური რესურსების მოზიდვა და უზრუნველყოს მათი ეფექტური გამოყენება მიზნობრივი პროგრამების, პროექტების და ღონისძიებების განსახორციელებლად მცირე ბიზნესში; უზრუნველყოს მცირე და საშუალო ბიზნესი ხელმისაწვდომი, სწრაფი და მაღალსარისხოვანი ფინანსური მომსახურებით; გასცეს კრედიტები შესაქმნელ, ახლად შექმნილ და არსებულ მცირე და საშუალო საწარმოებზე; გასცეს შედავათოანი და უპროცენტო კრედიტები სახელმწიფოსთვის პრიორიტეტულ სფეროებში დასაქმებულ მცირე და საშუალო საწარმოებზე.

შემუშავდეს კომერციული ბანკების წახალისების სისტემა მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭიროდ

3. „მცირე ბიზნესის განვითარების ტექნო პარკი“. მან უნდა შექმნას მცირე ინოვაციური ფირმების საქმიანობისა და განვითარების ხელშემწყობი პირობები; მოახდინოს სამცნიერო-კვლევითი სამუშაოების შედეგთა სწრაფი კომერციალიზაცია და ინოვაციურ საქმიანობაში მეცნიერთა სტიმულირება; მოახდინოს მეცნიერებაზევადი წარმოების ორგანიზაცია; ჩაატაროს წვრილი ფირმების კადრებისათვის სემინარები და კონსულტაციები საინოვაციო საქმიანობის პრობლემატიკაზე; ხელი შეუწყოს მცირე საწარმოებს მაღალ-ტექნილოგიების გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად; ხელი შეუწყოს წვრილი ფირმების იდეების, ტექნილოგიებისა და პროდუქციის გატანას უცხოურ ბაზარზე; შეიძუშაოს და განახორციელოს პროექტები მცირე საწარმოთა პერსონალის სწავლების მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსური საქმიანობის სფეროში; დაეხმაროს ინოვაციურ მცირე ფირმებს საწარმოების და ბიზნესის ორგანიზებაში; ქვეყნის ეკონომიკის პრიორიტეტებიდან გამომდინარე, გარკვეულ ტერიტორიაზე თავი

მოუყაროს ინოვაციური საწარმოებისათვის მოწყობილობებს, გამოყოს დროებითი სარგებლობისათვის ლაბორატორიული და სამრეწველო ფართობი.

მეცნიერულ-ტექნიკური პარკის საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს: საუკეთესო პირობების ფორმირება ინოვაციური საქმიანობის და მცირე ინოვაციური ფირმების განვითარებისათვის; მეცნიერულ-კვლევითი სამუშაოების წარმატებული კომერციალიზაციის და ახალგაზრდა მკვლევართა და მეცნიერთა ნაციონალურ საქმიანობაში მონაწილეობის სტიმულირება, მაღალტექნოლოგიური პროდუქციის ეფექტიანი გაცელის ორგანიზება მსოფლიო ბაზარზე.

ახორციელებს შემდეგ ოპერაციებს: ქმნის აუცილებელ ინფრასტრუქტურას; ავითარებს და ასწავლის მეცნიერება-ტევადი პროდუქციის მენეჯმენტისა და მარკეტინგის ახალ მეთოდებს; ქმნის აუცილებელ ინფორმაციულ ბაზას; თავს უკრის ფინანსურ რესურსებს, ეწვევა მცირე ინოვაციური ფირმების ფინანსურ და სხვა შეღავათებს; პარკში შემაგალ მცირე ინოვაციურ კომპანიებს აძლევს ლაბორატორიულ და საწარმო ფართობს და მოწყობილობას; არჩევს ბიზნეს-პროექტებს; ახორციელებს პროდუქციის მარკეტინგს, მათ შორის მსოფლიო ბაზარზე.

მსოფლიოში ცნობილია მეცნიერულ-ტექნიკური პარკების რამდენიმე სახე:

- მეცნიერული, ანუ კვლევითი პარკი, რომელიც დაკავებულია მეცნიერული მუშაობის ეფექტიანი წარმართვისათვის (განხორციელებისათვის) პირობების შექმნით;
- ტექნოლოგიური პარკი – უზრუნველყოფს მცირე მეცნიერება-ტევადი საწარმოების შექმნას, ორიენტირებულ მეცნიერულ-კვლევითი სამუშაოების კომერციალიზაციაზე;
- მეცნიერულ-ტექნიკური პარკი;
- სამრეწველო პარკი – უზრუნველყოფს მცირე ინოვაციური საწარმოების განთავსებას განსაზღვრულ ტერიტორიაზე, ქმნის საწარმოს შენობას და სამუშაო აღილებს [8].

ამ ოვალსაზრისით საინტერესოა მეცნიერული პარკების ორგანიზაციის ამერიკული მოდელი, მასში ჩართულია სამი ძირითადი სახეობის ტექნოპარკი: მეცნიერული პარკი, რომელიც დაკავებულია მეცნიერული კვლევის ორგანიზაციით; კვლევითი პარკი, რომელიც დაკავებულია ინოვაციების დამუშავებით და მათი დაყვანით მხოლოდ სამრეწველო პროტოპიპის სტადიამდე; დიდი ბრიტანეთის ინკუბატორები და

ინოვაციური ცენტრები, რომლებიც ეხმარებიან მცირე ინოვაციურ კომპანიებს, სწავლულებს, გამომგონებლებს, რომლებსაც სურთ საკუთარი საქმის ორგანიზება.

ტექნოპარკის სტრუქტურაში შედის:

• დირექცია – რომელიც დებს ხელშეკრულებებს მეწარმე-მომხმარებლებთან, შეარჩევს ინვესტიციურ პროექტებს, აკონტროლებს პარკის მიმდინარე ფინანსირებას, ახორციელებს ტექნოპარკის მოქმედი ობიექტების ექსპლუატაციას და ახალი ობიექტების მშენებლობას;

• კომერციული ცენტრი, რომელშიც შედის კონსალტინგური, ინჟინერინგული, აუდიტორული ფირმები, ვენტილაციული ფირმები, მცირე მეცნიერებატევადი ფირმების ინკუბატორი;

• ტექნოლოგიური ცენტრი, რომელშიც გაერთიანებულია საპროექტო, საკვლევი, მეცნიერული, სამრეწველო განყოფილებები (ჯგუფები);

• ბიზნესცენტრი;

მცირე მეცნიერებატევადი კომპანიისათვის მეცნიერულ-ტექნიკურ პარკში განთავსებას (ანუ მის ჩარჩოებში მოხვედრას) აქვს რიგი უპირატესობა:

1. მცირე საწყისი ხარჯები მთლიანად ბიზნესისა და წარმოების ორგანიზაციაზე: ტექნოპარკში შექმნილია შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რომლის გამოყენება შესაძლებელია შედაგათიან პირობებში, მოქმედებენ კონსალტინგური კომპანიები;

2. დაბალია მიმდინარე ხარჯები კომუნალურ მომსახურებაზე შედარებით დაბალი ტარიფების არსებობის წყალობით, დაბალია სატრანსპორტო და სასაწყობო ხარჯები, მოწყობილობის არენდის ღირებულება;

3. დაბალია სამეწარმეო საქმიანობის რისკი კვალიფიციური კონსალტინგური დახმარების შესაძლებლობების წაყლობით. დაბალია ნაციონალურ კანონმდებლობებში მიმდინარე ცვლილებების გავლენა მცირე ინოვაციური ფირმის ფუნქციონირებაზე ინდივიდუალური შედაგათების და სახელმწიფო გარანტიების მიღებით.

ტექნოპარკების როლი მნიშვნელოვანია ასევე მეცნიერული საქმიანობის სტიმულირებაში, მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კადრების საზღვარგარეთ გადინების შემცირებასა და უცხოური ფარიზების მოზიდვაში.

გვინდა შევნიშნოთ, ტექნოპარკების და ბიზნესინკუბატორების მსგავსება, საქართველოში ჯერ კიდევ XVII-XIX

საუკუნეებში გავრცელებულ „ამქარს“ (ასნაფს) [ამქრული წყობა] შორის, სადაც დაინტერესებული პირი ამქარში ცხოვრობდა და, შეგირდის, ქარგლის და ოსტატის საფეხურების გავლის შემდგომ ანიჭებდნენ ოსტატის წოდებას და უწევდნენ გარკვეულ დახმარებას დამოუკიდებელი საქმის დასაწყებად [5].

4. დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების საქანონმდებლო ინსტიტუტის სრულყოფისათვის უნდა მომზადდეს კანონთა შემდგენი პაკეტი: საქართველოს კანონი „მცირე ბიზნესის შესახებ“; საქართველოს კანონი „მცირე საწარმოთა ურთიერთგარანტიების საზოგადოებათა შესახებ“; საქართველოს კანონი „მცირე საწარმოთა ინოვაციური საქმიანობის შესახებ“; საქართველოს კანონი „მცირე ბიზნესის სახელშეკრულებო ურთიერთობათა რეგულირების შესახებ“; საქართველოს კანონი „მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ [1].

ინსტიტუტებმა უნდა განახორციელონ მცირე და საშუალო ბიზნესის თვისებრივი დონის ამაღლება, აქ უნდა მოხდეს მაღალი ხარისხის, კონკურენტუნარიან და ინოვაციურ წარმოებაზე ორიენტირებულ მცირე და საშუალო საწარმოთა წახალისება საგადასახადო შედავათებით და ნულოვანი საბაჟო ტარიფებით. განსაკუთრებული უურადღება უნდა მიექცეს ისეთი პრიორიტეტებული დარგების შერჩევას, რომლებიც, სათანადო საინგენიორო ხელშეწყობის შემთხვევაში, შეძლებენ მაქსიმალური უკუგების მიღებას მოკლევადიან პერსპექტივაში და განაპირობებენ წარმოების მოცულობისა და შემოსავლების ზრდას, სახელმწიფო ბიუჯეტში შენატანების გაზრდას. ამასთან, ამ დარგების მცირე საწარმოებმა უნდა შეძლონ იმპორტის ჩანაცვლება ადგილობრივი წარმოების საქონლით. ასეთ დარგებად გვესახება მსუბუქი და კვების მრეწველობა, სოფლის მეურნეობა.

უნდა განხორციელდეს მცირე ბიზნესის სტრუქტურული სრულყოფა; ხელი უნდა შეეწყოს სწრაფგანვითარებად მცირე ბიზნესს, ასევე მცირე საწარმოებს, რომლებიც თავიანთ საქმიანობას უახლესი ტექნოლოგიების ათვისებით იწყებენ. ასეთი მცირე საწარმოები, მათი საქმიანობის დაწყებიდან ორი წლის განმავლობაში ყველა სახის გადასახადისაგან უნდა გათავისუფლდნენ. ასევე მათზე უნდა გაიცეს შედავათიანი კრედიტები.

დღეს საქართველოში მცირე საწარმოებში დაქირავე-

ბულთა შრომითი უფლებების მექანიზმი არ არსებობს. ჯერ კიდევ არ არის დანერგილი დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის ხელშეკრულებითი (კონტრაქტით) ურთიერთობა. არ არსებობს მარტივი მექანიზმი, რომელიც შრომით ხელშეკრულებას კანონის ძალას მიანიჭებს და რომლითაც დაქირავებული თავის შრომით უფლებებს დაიცავს.

მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით, საქართველოში შრომითი ურთიერთობის რეგულირება უნდა განხორციელდეს იმ დოკუმენტების საფუძველზე, რომლებიც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ არის შემუშავებული. ეს ორგანიზაცია შეიქმნა 1919 წელს და დღეს მსოფლიოს 170 ქვეყანას აერთიანებს. ამ ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები დაფუძნებულია სამმსრივ წარმომადგენლობაზე – მშრომელი (დაქირავებული), დამქირავებელი და ხელისუფლება.

დღეს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას საქართველოში საფრთხე ემუქრება, თუ სახელმწიფომ აქტურად არ დაუჭირა მათ მხარი. განსაკუთრებით მცირებიზნესი საჭიროებს დაცვას დემპინგის, არაჯანსაღი კონკურენციის, არასწორი რეკლამების და სხვა სახის „ბიუროკრატიული ბაზრის“, ანუ ბიუროკრატიული გაერთიანებების ქმედებებისაგან, რომლებიც ასშობენ საბაზრო მექანიზმის ნორმალურ ფუნქციონირებას. ამდენად, დროულად უნდა განხორციელდეს ქვეყანაში ისეთი ინსტიტუტების ფორმირება, რომლებიც ხელს შეუწყობენ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ., კაპულია ე. მცირე ბიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი საქართველოში. თბილისი, 2008.

2. კაპულია ე. მცირე ბიზნესი და მისი როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომების კრებული. ტ. IV, „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში“, თბ., „მეცნიერება“, 2004.

3. კაპულია ე. მცირე ბიზნესის ფორმირების თავისებურებანი პოსტკომუნისტურ საქართველოში. ჟ. ეკონომიკა, №8, 2006.

4. ნიდლი დ. ბიზნესი კონტექსტში, ბიზნესი და მისი გარემო, შესავალი. თბ., BGC biznes, 2003.

5. ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია. ტ. IV, თბ., თხუ გამომცემლობა, 1967.
6. საქართველოს სტატისტიკური წელიწლები 2013. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი, თბ., 2013.
7. Грибов В. Менеджмент в малом бизнесе. М., «Финансы и статистика», 2002.
8. Речмен Д., Мескон М., Бови К., Тилл Д. Современный бизнес. В 2 т. М., «Республика», 1995.

*Eter Kakulia  
Teimuraz Gogokhia*

## SOME ASPECTS OF THE FORMING OF INSTITUTION SYSTEM OF SMALL- AND MIDDLE-BUSINESS DEVELOPMENT IN GEORGIA

### Annotation

In the article the administrative, financial and legal institutions and their functions are given. They should be created for qualitative and quantitative development of small- and middle-business in Georgia.

## *ციცინო თეორაული ინფლაციის მაპროეპნომიკური რეგულირების პროცესები საქართველოში*

მაკროეკონომიკა ქმნის ერთიან ეკონომიკურ სივრცეს, რომელიც მტკიცდება საერთო ფულადი სისტემით. დღემდე ეკონომიკური სტრატეგიის საფუძველი ანტიინფლაციური პოლიტიკაა. მაღალი ინფლაციის დაძლევა მართლაც მიღწეულია, მაგრამ ეს არ არის საქმარისი. ახლანდელი და მომავალი ორბების ცხოვრების მაღალი დონის უზრუნველსაყოფად საჭიროა მყრი ეკონომიკური ზრდის დამკვიდრება. ვინაიდან ინფლაცია უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური მაჩვენებელია, რომლის დინამიკაც არსებით გავლენას ახდენს მთლიანად ეკონომიკაზე, პოსტკომუნისტურ სივრცეში მყოფი ქვეყნებისათვის აღმნისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი ძალიან რთული და მტკიცნეული აღმოჩნდა. მემკვიდრეობად დარჩა მოშლილი ეკონომიკა, საწარმოო რესურსების დაფიციტი, დაფიციტური ბიუჯეტი და მაღალი ინფლაცია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო ისევ სამანეთო ზონაში რჩებოდა, რაც ეროვნულ

ბანქს დამოკიდებულს ხდიდა რუსეთის ხელისუფლებაზე, რომელიც ამ ფაქტს ეკონომიკური და პოლიტიკური ზეწოლის იარაღდ იყენებდა. მიმოქცევაში კუპონის შემოღებამ სწრაფი ტემპით იწყო გაუფასურება და საქართველო პიპერინფლაციის ზღვარზე აღმოჩნდა. შემდგომში ეროვნული ვალუტის – ლარის შემოღებამ ინფლაციური პროცესები მნიშვნელოვნად შეანედა, თუმცა ლარის გასამყარებლად საჭირო გახდა მისი მიბმა დოლარზე. ამრიგად დოლარი აღმოჩნდა ლარის საყრდენი და ხერხემალი. ფულის მასის ფორმირებისას აუცილებელია ერთობლივ ეროვნულ პროდუქტს, სამომსმარებლო ფასებსა და ფულის მასის დინამიკას შორის არსებული შესაბამისობის დაცვა. ინფლაციის რეგულირება ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული მიზანია. ინფლაცია აქტუალური მოვლენაა როგორც განვითარებადი და განვითარებული, ასევე საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი ქვეყნებისათვის. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ ინფლაცია თანამედროვე ეკონომიკის უმძიმეს ავადმყოფობადაა მიჩნეული.

საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობის თაობაზე დღეს თითქმის აღარავინ დაობს. მაგრამ ამ საკითხზე ერთიანი აზრი ერთბაშად არ ჩამოყალიბებულა. ამ პრობლემისადმი თავისი დამოკიდებულება მერკანტილისტებმა ჯერ კიდევ საბაზრო ურთიერთობათა ფორმირების საწყის პერიოდში გამოხატეს. ისინი მიზანშეწონილად მიიჩნევდნენ ვაჭრობისა და მრეწველობის, საერთოდ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში სახელმწიფოს ჩარევასა და ხელის შეწყობას. ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევა ობიექტური აუცილებლობაა და არა ვინმეს ნება-სურვილი, მაგრამ ჩნდება კითხვა, თუ რა ზომით და რა ფარგლებში უნდა ჩაერიოს სახელმწიფო საბაზრო ეკონომიკაში. ამ მხრივ ორივე უკიდურესობა თანაბრად საზიანოა. 1. ეკონომიკაში ჩარევის ზომის გადამეტება, „ცხვირის ჩაყოფა“ ისეთ სფეროებში, რომლებსაც წარმატებით არგულირებს თვითონ საბაზრო მექანიზმი და 2. მხოლოდ საბაზრო მექანიზმის იმედზე ყოფნა იმ სფეროებში, სადაც სახელმწიფოს ჩარევა აუცილებელია. როგორ მოვძებნოთ ზღვარი „საჭიროსა“ და „არასაჭიროს“ შორის, როგორ დავადგინოთ სად და რამდენად არის საჭირო სახელმწიფოს ჩარევა, ეს არის მთავრობის ფუნქციონირების, მეურნეობის მართვის მთელი ხელოვნების გასაღები. უდიდესი მეცნიერი ჯ. კეინზი წერდა: „სახელმწიფოს შეუძლია განსაზღვრულ ფარგლებში დაეხმაროს ეკონომიკას, ხოლო მისი შესაძლებლობა, ზიანი მიაყენოს მას, განუ-

საზღვრელია“. ამავე საკითხზე აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი რ. რეიგანი ამბობდა – „მთავრობა მსაჯია და იგი არ უნდა ეცადოს გახდეს მოთამაშე“.

მაკროეკონომიკური განვითარება ხორციელდება ტალღისებური რევენტის სახით. ეკონომიკური მერყეობა არის ეროვნული მეურნეობის უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელთა გადახრა მათი მდგრადი მდგომარეობიდან. ტალღისებურ რევენტის, უწინარეს ყოვლისა ექვემდებარება შემდეგი ძირითადი მაჩვენებლები: წარმოებისა და შემოსავლის მოცულობა, მუშაյთა დასაქმება, ფასების დონე, მოგების მოცულობა და სასესხო სარგებლის ნორმა. მაკროეკონომიკური განვითარების არასტაბილურობის მნიშვნელოვანი ინდიკატორია ინფლაცია, რომელიც გულისხმობს ქაღალდის ფულის მსყიდველობითი უნარის (დირებულების) დაცემას და ამის შედეგად ფასების საერთო დონის ამაღლებას. ინფლაციის გამომწვევი მიზეზები მრავალნაირია. სიმარტივისათვის მათ ყოვენ ორ ჯგუფად: შიგა და გარე (საერთაშორისო) მიზეზებად. ინფლაციის შიგა მიზეზებს მიეკუთვნება: სახელმწიფო ხარჯების გადამეტება შემოსავლებზე; ცენტრალური ბანკის მიერ დაშვებული ფულის გაძლიერებული ემისია სახელმწიფოს მზარდ საჭიროებათა დასაფარავად; კომერციული ბანკების მიერ განხორციელებული საკრედიტო ექსანსია, გრძელებადიანი კაპიტალდაბანდებების მასშტაბების გადიდება; ბაზრის სტრუქტურის შეცვლა ოლიგოპოლიების სასარგებლოდ; ინფლაციის მოლიდინი. ინფლაციის გარე (საერთაშორისო) მიზეზებს მიეკუთვნება: სახელმწიფოს მიერ თავისი საგარეო ვალის გადიდება უცხოური კრედიტების აღების გზით; ბანკების მიერ ეროვნული ფულის ნიშნების უცხოურ გალუტაზე გაცვლის ოპერაციების წარმოქადა, ბუნებრივი რესურსების შემცირებასთან დაკავშირებული სტრუქტურული კრიზისები მსოფლიო ეკონომიკაში; სახელმწიფოთაშორის წარმოებული ოქები. აღსანიშნავია რომ თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში ეროვნული ეკონომიკის განვითარების დონის ამაღლება წარმოუდგენელია გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციის გარეშე, რაც მოიცავს როგორც შესაძლებლობებს და პერსპექტივებს, ასევე გარკვეულ საფრთხეებს. გლობალიზაცია დღითი დღე უფრო თვალსაჩინო და მასშტაბური ხდება, გლობალიზაციის ჩასახვა, მისი დღის წესრიგში დაყენება და მსოფლიო მნიშვნელობის ფენომენად ქვევა თანამედროვე მსოფლიო წესრიგმა განაპირობა. ეს წესრიგი სწვდება არა მხოლოდ მსოფლიო პოლიტიკურ სივრცეს, არამედ ეკონო-

მიკურსაც, როგორც მაპროექონომიკურს, ასევე მიკროეკონომიკურს.

გლობალიზაცია ფინანსურ სფეროში საშუალებას იძლევა, ქვეყანაში არაეფექტიანი საფინანსო სისტემისა და სუსტი კორპორაციული მმართველობის გვერდის ავლით განხორციელდეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და იმავდროულად მოხდეს ფინანსური კაპიტალის გადინება. ინფლაცია არის მიმოქცევის სფეროში ქაღალდის ფულის დიდი რაოდენობით გამოშვება, რომელიც საქონელბრუნვის საჭიროებებს ადგმატება. კაცობრიობას არ გააჩნია მიმოქცევაში ფულის გამოშვების ობიექტური კრიტერიუმები. ამიტომ არანაირი ზუსტი კანონი არ არსებობს მიმოქცევაში გამოსაშვები ფულის რაოდენობის ცალსახად განსაზღვრისათვის. ფულის გამოგონების დღიდან, კაცობრიობამ ვერ შეძლო დაედგინა როგორ უნდა შეეფარდებინა მათ მიერ წარმოებული სასაქონლო მასა, მათ მიერვე გამოშვებულ ფულად მასასთან. ქაღალდის ფულის გამოშვებამ კი მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ინფლაციის წარმოშობაში. ინფლაცია მაშინაც შეიმჩნეოდა, როდესაც მხოლოდ ლითონის ფული არსებობდა (შეა საუკუნეებში), მაგრამ მაშინდელი ინფლაციური პროცესები ხანმოკლე იყო და ძირითადად ომებითა და ეკონომიკური პრობლემებით იყო გამოწვეული. ეკონომიკურად ძლიერი, მაღალგანვითარებული ქვეყნების ეროვნული ვალუტა ინფლაციას არ განიცდის ან ნაკლებად მგრძნობიარება მის მიმართ, ამიტომაც, საერთაშორისო ანგარიშსწორებაში გამოიყენება ამ ქვეყნების ეროვნული ვალუტები. მყარი ვალუტა არა მარტო ანგარიშსწორების საყვალეოდ თაოდ აღიარებული საშუალებაა საერთაშორისო ვაჭრობაში, არამედ, ოქროს ფულის მსგავსად, თავისუფლად იცვლება ნებისმიერი ქვეყნის ეროვნულ ვალუტაზე. ვალუტის თვისებას, თავისუფლად გაიცვალოს სხვა ქვეყნის ფულად ერთეულზე, საქონელსა და მომსახურებაზე, კონვერტირებას უწოდებენ. ასეთ ვალუტას კი კონვერტირებადს. მხოლოდ ფულის ფუნქციას მხოლოდ კონვერტირებადი ვალუტები ასრულებენ. კონვერტირებადი ვალუტების გაცვლის პროცესში ფალიბდება ვალუტების გასაცვლელი ფასი, რომელსაც სავალუტო კურსს უწოდებენ. სავალუტო კურსი კი არის ერთი ქვეყნის ვალუტის ფასი, გამოხატული მეორე ქვეყნის ვალუტაში. ვალუტის კურსი არაა გაყინული და უცვლელი. იგი სისტემატურად ირხვავა ზემოთ და ქვემოთ. გლობალიზაციისა და ეკონომიკური კრიზისის პირობებში მონეტარული პოლიტიკა მაქსიმალურად გამჭვირ-

ვალე უნდა გახდეს საზოგადოებისათვის. არ უნდა იქნეს დაშვებული ეროვნული ვალუტის კურსის არც მყისიერად ხელოვნურად გამყარება და არც გაუფასურება. ეროვნული ბანკის ამოცანაა, განსაზღვროს ის „ოქროს შუალედი“, რომელიც უზრუნველყოფს ფასების სტაბილურობას და სტიმულს მისცემს კომერციულ ბანკებს, ხელი შეუწყონ გაონომიკის, განსაკუთრებით რეალური სექტორის აღორძინებას და განვითარებას. ინფლაციის სახეობათა განსაზღვრისათვის ეკონომისტები ხელმძღვანელობენ შემდეგი კრიტერიუმებით: 1. ფასების (ფასების ინდექსის) ზრდის ტემპი; 2. სხვადასხვა ჯგუფის საქონლის ფასების ზრდის დაბალნებულობის ხარისხი; 3. ინფლაციის მოსალოდნელობა და წინასწარმეტყველება; 4. ბაზრების ინფლაციური უწოდასწორობის ფორმა.

ფასების ზრდის ტემპის მიხედვით განასხვავებენ ინფლაციის სამ სახეობას: ზომიერი ინფლაცია; ჰენებადი ინფლაცია და პიპერინფლაცია. ზომიერ ინფლაციას ხშირად მცოცავ ინფლაციასაც უწოდებენ. ამ დროს ფასები ნელა იზრდება, წლიურად 10%-ზე ნაკლები, ფულის დირებულება კი ფაქტობრივად შენარჩუნებულია, ხოლო ფასების ზრდის შედეგი უმნიშვნელოა. თანამდეროვე ეკონომიკური თეორია ინფლაციის ამ სახეობას ეკონომიკურ განვითარებაზე კეთილისმყოფელ ფაქტორად მიიჩნევს. იგი, მოთხოვნა-მიწოდების ცვალებად პირობების შესაბამისად, ფასების კორექტირების საშუალებას იძლება. განვითარებული ქვეყნების ეკონომიკისათვის მეტწილად ინფლაციის სწორედ ეს სახეობაა დამახასიათებელი.

ცნობილია, რომ სახელმწიფო სექტორი და მაკროეკონომიკა მთლიანად ვითარდება ადამიანთა ინდივიდუალური და კოლექტური ინტერესების რეალიზების მიზნით. ეს მიზანი, უწინარეს ყოვლისა, მიიღწევა ეროვნული მეურნეობის ზრდისა და განვითარების პირობებში. ამიტომ სახელმწიფო მოწოდებულია, ხელი შეუწყოს მდგრად ეკონომიკურ ზრდას და განვითარებას, რის გასაზომადაც იგი იყენებს ეროვნულ ანგარიშთა სისტემას. XX საუკუნის მეორე ნახევარში, პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაზე გადასვლასთან დაკავშირებით, დაინერგა მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა ახალი სისტემა. ახალ მაკროეკონომიკურ მაჩვენებელებს მიეკუთვნება: მთლიანი ეროვნული პროდუქტი (მებ), მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), წმინდა ეროვნული პროდუქტი (წებ), ეროვნული შემოსავალი (ეშ), პირადი შემოსავალი (პშ), წმინდა ეკონომიკური კეთილდღეობა (წებ). ზემოთ ჩამოთვლილი მაკროეკონომიკური მაჩვენებელები

ორგანულ კავშირშია ეროვნულ სიმდიდრესთან. რაც უფრო დიდია ეროვნული სიმდიდრის მოცულობა და ეფექტურია მისი სტრუქტურა, მით მაღალია ქვეყანაში წარმოებულ სხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა მოცულობა და პირიქით – რაც მაღალია ამ უკანასკნელთა ზრდის ტემპები და მატების აბსოლუტური სიდიდე, მით უფრო იზრდება მოცემული ქვეყნის ეროვნული სიმდიდრე.

ეკონომიკური პოლიტიკა ნიშნავს მთავრობის მმართველობის ქმედებას, რომელიც მაკროეკონომიკას ანიჭებს განსაზღვრულ მიმართულებას სახელმწიფოს ინტერესების მიზნების შესაბამისად. ეს პოლიტიკა ითვალისწინებს შემდეგ მიზნებს: 1. მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევა; 2. შრომისუნარიანი მოსახლეობის მაქსიმალური დასაქმების უზრუნველყოფა; 3. უფლადი მიმოცევის სტაბილური; 4. წარმატებული საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის გატარება და წმინდა ექსპორტის გადიდების მიღწევა.

ადამიანთა უსაზღვრო და ზრდადი მოთხოვნილების და შეზღუდული და კლებადი რესურსების, აგრეთვე მოსახლეობის სწრაფი ზრდა, კაცობრიობას აიძულებს, მუდმივად გაზარდოს საქონლისა და მომსახურების წარმოება. ამ პროცესმა სამეცნიერო ლიტერატურაში მიიღო ეკონომიკური ზრდის სახელწოდება, რომელშიც იგულისხმება წლიდან წლამდე, თაობიდან თაობამდე, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ქვეყნის წარმოებრივი შესაძლებლობების მყარი გადიდება. ზრდადი ეკონომიკა ხასიათდება წლიური პროდუქტის მატებით, რომელიც გამოიყენება არსებულ მოთხოვნილებათა უფრო უკეთ დაკმაყოფილებისათვის. ეკონომიკური ზრდის ტიპებია: ფაქტორული ზრდა, პოტენციური ზრდა, გაწონასწორებული ზრდა, ნულოვანი ზრდა. ეკონომიკური ზრდის გაზომვა ხდება ორი ურთიერთდაკავშირებული მაჩვენებლის გამოყენებით, პირველია, დროის გარკვეულ მონაკვეთში რეალური მშპ-ის გადიდება, მეორე კი – ამავე დროში მოსახლეობის ერთ სულთე რეალური მშპ-ის მატება. სახელმწიფო ცდილობს სტაბილური ეკონომიკური ზრდის მიღწევას დროის გრძელვადიანი პერიოდის განმავლობაში ვარდნებისა და მოკლევადიანი აღმავლობების თავიდან აცილებით. უცხოური ინვესტიციები ეროვნული ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთი წყაროა, ისინი ხელს უწყობენ ქვეყნის საწარმოო პოტენციალის გადიდებას, შრომის მწარმოებლურობის და შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის ტემპების ამაღლებას. განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაზე მიმართუ-

ლი მრავალი საინვესტიციო პროექტი ხორციელდება მსოფლიო ბაზის გეიდით. ადსანიშნავია, რომ ბატონ ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით დაარსდა თანაინვესტირების ფონდი, რაც შნიშვნელოვანი ნაბიჯია ეკონომიკის განვითარების გზაზე. თუ მეწარმეს პროექტის განხორციელება სურს და საქმარისი კაპიტალი არა აქვს, ფონდი მას ამ კაპიტალის მოძიებაში ეხმარება. გაცხადდა, რომ ფონდში მობილიზებული კაპიტალი 6 მილიარდ ლოდარს შეადგენს და ის თანაინვესტირებას გაუწევს ქართველ და უცხოელ ინვესტორებს. ფონდისთვის უმიზვნელოვანების მიმართულებებია: ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, წარმოება, ლოგისტიკა. ფონდის შექმნის იდეა საქართველოს ეკონომიკის განვითარებისა და ბიზნესგარემოს გაუმჯობესების სურვილით გაჩნდა, თანაინვესტორების ფონდი შექმნილია ქართველი და უცხოელი ინვესტორებისგან მოზიდული სახსრებით, რომელიც კომერციულად მიმზიდველ პროექტებში მიმდართება. თანაინვესტორების ფონდი კერძოა და მისი ინვესტორები არიან „დაბი ჯგუფი“, „რაჟია“, „აზერბაიჯანის რესპუბლიკის ნაკონის სახელმწიფო ფონდი, კომპანია „ყაზტრასოლის“ წარმომადგენელი კომპანია – ბათუმის ინდუსტრიული პოლიგონი, „ჩალიკ ბოლდინგი“, „მაილსტროუნ ინტერნეტენდ პოლიგონი“. თანაინვესტირების ფონდთან დაკავშირებით მეწარმეებისთვის მთავარი რეკომენდაცია ის იქნება, რომ რაც შეიძლება კრიტიკული თვალით მიუღინებ პროექტებს და კარგად აწონ-დაწონობ თანხმელები რისკები. მეორე მხრივ კი მაქსიმალურად არ შეიზღუდონ, რადგან ბაზარზე აქამდე ისეთი კონიუნქტურა იყო, რომ პროექტი განსაზღვრულ ჩარჩოებში უნდა მოვფიქრებინათ, რათა ბაზი დაფინანსებაზე წამოსულიყო, იმიტომ რომ ადრე არ არსებობდა კერძო ინვესტორ, რომელიც ამხელა თანხაზე წამოვიდოდა.

ბიზნესი ცდილობს ისეთ პროექტებზე იფიქროს, რომელიც არსებული ბიზნესგარემოს მოერგება, ახლა კი ბიზნესგარემო იცვლება, თანაინვესტირების ფონდი კი უფრო დიდ მასშტაბებზე გასვლის შესაძლებლობას ქმნის. აღნიშნული ინიციატივა წინ გადადგმული ნაბიჯია მაკროეკონომიკური გარემოს გაჯანსაღებისათვის და ეკონომიკური ზრდის მიღწევის პერსპექტივის საქმეში. ფინანსთა მინისტრის 6. ხადურის განცხადებით, საგადასახადო მიმართულებით ძალიან აქტიურად მოქმედებს დავების საბჭო, სადაც ხედავენ, რომ მართლაც დაირღვა კანონი, სამართლიანობა და მაქსიმუმი კეთდება რათა ბიზნესმენების სასარგებლო გადაწყვეტილებები მიიღონ, ამოქმედდეს სხვა

ინსტრუმენტებიც, მათ შორის რესტრუქტურიზაციის მექანიზმი, რათა თანხების ერთბაშად ამოღებით ბიზნესის პარალიზება არ გამოიწვიონ და ბიზნესმენებს შესაძლებლობა, გადასახადიც გადაიხადონ და მუშაობაც განაგრძონ. ის ფაქტი, რომ ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელმა ბოლო პერიოდში ვერ მიაღწია სასურველი ნიშნულის (ვარაუდობდნენ 6%), პირდაპირ კავშირშია ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებთან. როდესაც ქვეყანაში არის პოლიტიკური რეევები, იცვლება ხელისუფლება, ინვესტორი ფრთხილობს და ელოდება სიტუაციის დალაგებას, რადგან ინვესტორისთვის აუცილებელია სტაბილური, მშვიდი საინვესტიციო გარემო. ეკონომიკის განმარტებით, საქართველოს ეკონომიკური ზრდა კერძო და სახელმწიფო ინვესტიციების შემცირებამ და არასტაბილურობამ შეაფერხა. ეკონომის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანქმა საქართველოს ეკონომიკის ზრდის პროგნოზი 2013 წელს 3-დან 2%-მდე შეამცირა. ეკონომიკის კვლევაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ „მთავრობის მიერ სარჯების შემცირებამ და კერძო ინვესტორების თავშეკავებულმა მოქმედებებმა სამშენებლო და სამრეწველო სექტორებში რეცესიას შეუწყო ხელი. სოფლის მეურნეობა და ვაჭრობა კი წახალისდა მას შემდეგ, რაც რუსეთმა საპუთირ ბაზარზე ქართული პროდუქცია დაუშვა. ეკონომიკური ზრდა, საგარაუდოდ, 2014 წელს დაჩქარდება იმ პირობების გათვალისწინებით, რომ პოლიტიკური გაურკვევლობა ადარ იქნება და რუსეთის სავაჭრო ურთიერთობებიც გაუმჯობესდება. საერთაშორისო ექსპერტების პესიმისტური შეფასება მთლიანად აღმოსავლეთ ეკონომიკისა და კავკასიის რეგიონმა დაიმსახურა. ეკონომიკის გათვალებით, რეგიონის ეკონომიკა საშუალოდ 3%-ის ნაცვლად 1%-ით გაიზარდება. შესაბამისად, ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს უკრაინას (0,5%), ბელორუსიას (0,5%), მათ მოხდევს საქართველო (2%), სომხეთი (2,5%), მოლდოვა (3,5%), აზერბაიჯანი (4,5%). რუსეთის ეკონომიკა 2013 წელს 1,3%-ით, ხოლო თურქეთის 3,7%-ით გაიზარდა“. რუსეთსა და სხვა ქვეყნებში დაინისა და სხვა პროდუქციის ექსპორტი ეკონომიკურ მაჩვენებლებზე დადებითად აისახება. გვაქვს საფუძველი, რომ ეკონომიკისა და მშპ-ის ზრდას ველოდოთ. კარგია რომ ექსპორტის ზრდის ტენდენცია მყარდება, თუმცა მაინც თვალში საცემია მისი ჩამორჩენა იმპორტთან შედარებით. ყველაფრის მიუხედავად, უნდა ითქვას, რომ პროცესები ნორმალურად მიმდინარეობს და ყველაფერი კანონზომიერების ფარგლებში ხდება, თუ გაუთვალისწინებელ კატაკლიზმებს არ

ექნება ადგილი. ექსპორტის ზრდა წარმატებული ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია. ექსპორტის მოცულობამ 2013 წლის იანვარ-სექტემბერში ბოლო ათი წლის მაქსიმუმს – 2,019 მილიარდს მიაღწია და შარშანდელ იმავე პერიოდს 12,4%-ით გადააჭარბა.

ახალმა მთავრობამ მნიშვნელოვნად დააფინანსა სოფლის მეურნეობა, განათლება და ჯანდაცვა. ბოლო 6 თვის განმავლობაში შედავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში დაახლოებით 160 მილიონი ლარის გაცემა მოხდა. იაფი ფულადი რესურსით ათასობით ფერმერმა, მეწარმემა, მეწარმემა თუ გლეხმა ისარგებლა, დაფინანსდა როგორც ღვინის ქარხნების მშენებლობა-გადაიარაღება, ასევე მესაქონლეობა, სასათბურე მეურნეობებისა და გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა და სხვა. თითქმის არ დარჩა დარგი სოფლის მეურნეობაში და კუთხე საქართველოში, სადაც შედავათიანი აგროკრედიტის სიკეთით არ ესარგებლათ. იაფი აგროკრედიტის სახით სახელმწიფო კერძო სექტორს ყველაზე ხელსაყრელი ფულადი რესურსი შესთავაზა. ამ შემთხვევაში დაცულია ყველა კომერციული ინტერესი – როგორც ბანკის, ისე მსესხებლის, ხოლო სახელმწიფო, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს სახით, საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელოვანი წლის – 9%-12%-ის თანაგადამსხელად გვევლინება. ძალიან დროული გადაწყვეტილება იყო სახელმწიფოს მხრიდან ასეთი შედავათიანი აგროკრედიტის შეთავაზება. განათლების სფეროში სკოლის პედაგოგებს მოემატათ ხელფასები, მოსწავლეებს დაურიგდათ უფასო სახელმძღვანელოები, მაღალმთიან რეგიონებში სკოლის მოსწავლეებს გადაუქრეს ტრანსპორტის პროდუქტები, გარემონტდა სკოლის შენობები. აქვე უნდა შევნიშნოთ რომ კარგი იქნება, თუ მთავრობა მეტ ყურადღებას გამოიჩენს სამეცნიერო სფეროსა და ამ სფეროში დასაქმებული ინტელიგენციის მიმართ. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ჯანდაცვის სფეროში საყოველთაო დაზღვევის კუთხით. გაიზარდა დაპირებული პენსიები. მთავრობა დაგროვებითი პენსიის რეფორმის დაწყებას გეგმავს და ეს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტშია გაწერილი. ამ სისტემაზე გადასასვლელად შექმნილია სამთავრობო კომისია, რომელიც მსოფლიო ბანკის რეკომენდაციებით ხელმძღვანელობს. დაგროვებითი საპენსიო სისტემის სქემა ასეთია: დასაქმებული ადამიანი საკუთარი ანაზღაურების განსაზღვრულ თანხას კერძო ან სახელმწიფო საპენსიო ფონდში იხდის, საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ კი დაგრო-

კებული თანხის შესაბამის პენსიას მიიღებს. უნდა ითქვას, რომ ყოველი შემომზანისთვის ფონდიდან თანხის დაბრუნების გარანტირი სახელმწიფო იქნება. დაგროვებით სისტემაზე გადას- ვლის მთავარი არსი ის არის რომ საქართველოში სიცოცხლის ხანგრძლივობა იზრდება. ამავდროულად კიდევ უფრო იზრდება ხანდაზმულთა წილი მთელ მსოფლიოში, ეს გამოწვეულია იმ- ითაც, რომ შობადობა დაბალია და საგრძნობლადაც არის შემცირებული თანაფარდობა ხანდაზმულობასა და ახალგაზრ- დებს შორის.

ადსანიშნავია ისიც, რომ საწვავი 12 – 20 თეთრით არის გაიაფებული შარშანდელთან შედარებით. ადგილობრივი ფასე- ბი პირდაპირ არის დამოკიდებული საერთაშორისო ბაზარზე და ეს გაიაფება გარკვეულწილად საერთაშორისო ფასის ცვლილებამაც განაპირობა. მაგრამ იყო სხვა გარემოებაც, რო- მელმაც ასევე მოახდინა გავლენა – საზოგადოების დაკვეთა და პოლიტიკური ნება. საწვავის ფასი ყველა ქვეყანაში აქტუ- ალურით თემაა და წევნი ხელისუფლების ერთ-ერთი წინასაარ- ჩევნო დაპირებაც უკავშირდებოდა საწვავის ფასებს. კომპანიები ამას ანგარიშს უწევენ და როცა შესაძლებლობა აქვთ, საერ- თაშორისო ფასებიდან გამომდინარე, ფასებს ამცირებენ. მაგა- ლითად, „სოკარმა“ მთავრობის თხოვნით საშემოდგომო სამუ- შაოებისათვის დიზენის საწვავზე ფასი 15 თეთრით შეამცირა. საწვავის ფასზე პირდაპირ არის დამოკიდებული სოფლის მეურნეობა, ეკონომიკის განვითარება, ენერგეტიკის სექტორი, არ უნდა დაგვავიწყდეს აგრეთვე, რომ „ბრენდირებულ კომპა- ნიებთან ერთად ბაზარზე წარმოდგენილია არაბრენდირებულე- ბი, ავტოგასამართი სადგურებიც და მათი ფასები 5 – 10 თე- თრით ნაკლებია. როდესაც ბიზნესი თავისუფალია ბაზარზე შემოდიან სხვა მოთამაშებიც. მცირდება მონოპოლია და ბა- ზარზე ადგილს იკავებს ჯანსაღი კონკურენცია. ახალი მოთა- მაშეების შესვლა ბაზარზე შეინიშნება აგრეთვე საფოთიაქო სექტორშიც.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არანაირ ეკონომიკურ ვარდნას არა აქვს ადგილი. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური ზრდა შეფერხდა ქვეყა- ნაში მიმდინარე ობიექტური პოლიტიკური მიზეზების გამო, მთავრობამ მაინც სწორი და ხალხისთვის სასარგებლო ეკონო- მიკური ღონისძიებები გაატარა, რაც იმის გარანტიაა, რომ მო- მავალში უფრო მეტ პოზიტიურ შედეგებს უნდა ელოდოთ, ეკონომიკა არ არის ის სფერო, რომ ერთი ხელის მოსმით

შეიცვალოს უკელაფერი უკეთესობისაქნ. ეს ძალიან რთული, ხანგრძლივი და მტკიცნეული პროცესია, შეგვიძლია მოკლედ შევაჯამოთ ზემოთ განხილული ეკონომიკური ცვლილებები: ა) პენსიების მომატება; ბ) სოფლის მეურნეობის დაფინანსება (ვაუზერების გაცემა); გ) უფასო სახელმძღვანელოების დარიგება და პედაგოგების ხელფასების მატება; დ) საწვავზე ფასების შემცირება; ე) საყოველოაო დაზღვევა ჯანდაცვის სფეროში; ვ) ექსპორტის საგრძნობი ზრდა; ზ) ანტიინფლაციური პოლიტიკა (მიუხედავად ლარის კურსის უმნიშვნელო მერყეობისა).

უსასრულო ეკონომიკური ზრდის მიღწევა ეკონომისტების, ბიზნესმენებისა და პოლიტიკოსების ოცნებაა. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადამიანთა მოთხოვნილებები უსაზღვრო და მუდმივად ზრდადია, მაშინ, როდესაც ამ მოთხოვნილებათა და-საკმაყოფილებლად აუცილებელი რესურსები შეზღუდული და კლებადია. ეკონომიკური ზრდის მოწინააღმდეგები ამტკიცებენ, რომ წარმოების გადილება თავისთავად არ წყვეტს სიღარიბის პრობლემას. მათი აზრით, სიღარიბე (ე.ი. შემოსავლების „უთანაბრობა“) არის განაწილების და არა წარმოების პრობლემა, ისინი ამბობენ, რომ ეკონომიკური ზრდა იწვევს ადამიანურ ღირებულებათა გაუფასურებას. ეკონომიკური ზრდა ადამიანებს აძლევს ცხოვრების მეტ საშუალებებს, მაგრამ არ აძლევს „უკეთეს ცხოვრებას“. ადამიანი მეტს აწარმოებს, მაგრამ ნაკლებ სიხარულს და ბედნიერებას განიცდის. სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური ზრდა ხასიათდება უთანაბრობით. ყველაზე ძლიერი ქვეყნაც კი არ არის გარანტირებული შემდგომი აფ-ვავებით, ეკონომიკური აუტსაიდერებული კი მუდმივი სიღარიტავოთის არ არიან განწირებით. რადგან ჩვენი პლანეტა ფლობს არააღდეგნადი რესურსების შეზღუდულ მარაგებს, ბუნებრივი რესურსების შემცირება გარდაუფლად გამოიწვევს ნედლეულის ღირებულების ზრდას. მსგავსი არგუმენტების მიუხედავად, ეკონომისტთა უმრავლესობას ჩვენი ცივილიზაციის განვითარების პერსპექტივები ასე უძმედოდ არ წარმოუდგენია, მათი აზრით, ტექნოლოგიური პროგრესი, რესურსების შეზღუდულობის გადალახვის შესაძლებლობას იძლევა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ოეთრაული ც. გლობალიზაციის გავლენა ინფლაციურ პროცესებზე. პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან მე-60 წლისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სამეცნიერო-

პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. ტომი II. თბილისი 2012.

2. პაპავა ვ. არატრადიციული ეკონომიქსი, თბილისი, 2011.
3. აბესაძე რ. პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ეტაპები და თავისებურებები საქართველოში. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტ. IV. თბილისი 2011.

4. თეორაული ა. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და ბიზნესის განვითარების კანონზომიერებანი საქართველოში. ნაწ. I. თბილისი, მაცნე, 1992.

5. დ. ბეგი, ს. ფიშერი, რ. დორბუში. ეკონომიკა. გამომცემლობა „ცისარტყელა“, 1999.

*Tsitsino Tetrauli*

## THE PROBLEMS OF MACROECONOMIC REGULATION OF INFLATION IN GEORGIA

### Annotation

In the work the regularities, nature and peculiarities of inflation are considered. The ways and means of regulation of inflation are researched in the context of macroeconomic indices. The economic policy carried out by the new government of Georgia and the factors impacting on the economic growth are analyzed.

### მარინე ცუცქირიძე მმართველობითი კაპიტალის გავლენა ბიზნესის ტრანსფორმაციაზე საქართველოში

ბიზნესის ტრანსფორმაციის პროცესის წარმატებით განხორციელებისათვის საქართველოში ერთ-ერთ აუცილებელ საფუძველს წარმოადგენს მმართველობითი კაპიტალი. თანამდერვე ეტაპზე ეკონომიკის აქტუალური პრობლემის გადაჭრა, ბიზნესის განვითარება მოითხოვს ამ კაპიტალისა და ფინანსური რესურსების რაციონალურად და მიზანდასახულად გამოყენებას. ამავე დროს ბიზნესის ტრანსფორმაციის პროცესი საქართველოში მისი მმართველობითი ასპექტის როლის გაძლიერებას უკავშირდება. ბიზნესის მმართველობითი ასპექტის გაუმჯობესებისათვის საჭირო კაპიტალის მიზნმაღლური დანახარჯების პირობებშიც შესაძლებელი უნდა გახდეს მისი მართვის პროცესის ეფექტიანად განხორციელება. ამიტომ, მმართველობითი

თი კაპიტალის გავლენით ბიზნესის ტრანსფორმაციაზე, არსებითად უმჯობესდება ფირმათა სამეურნეო საქმიანობის შედეგები. იგი საქართველოში არსებული წარმოებისა და მომსახურების სისტემის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი საშუალებაა. მმართველობითი კაპიტალი აქციონერული საზოგადოებებისა და კომპანიების საქმიანობის რაციონალურად წარმართვის საშუალებას წარმოადგენს. აღნიშნულთან დაკავშირებით მმართველობითი კაპიტალის გამოყენება ხორციელდება ბიზნესის საწარმოო, საბაზრო და ფუნქციონალურ დანიშნულებასთან ურთიერთშესაბამისობაში.

ამრიგად, მმართველობითი კაპიტალის გამოყენებასთან დაკავშირებული ერთი ძირითადი მიზანია ფირმის ძირითადი საწარმოო (საპორტფედო) დავალებათა დაფინანსება. ეს აუცილებლობა ბიზნესის ტრანსფორმაციის დროს იწვევს მმართველობითი და მაკონტროლებელი ფუნქციების როლის გაძლიერებას. იგი ბიზნესში გამოყენებული კაპიტალის მიზნობრივ დანიშნულებასთან შესაბამისობაში ზემოქმედებს ფირმათა ფუნქციონირებაზე, რადგან მმართველობითი კაპიტალის დაბანდება ხორციელდება ეკონომიკის ისეთ დარგებში, რომელთა საწარმოებსაც უფრო მეტი მოგების მიღებისათვის გააჩნიათ შესაძლებლობანი.

ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით, მმართველობითი კაპიტალის მიზანს წარმოადგენს წარმოებაში ტრანსფორმაციელი პროცესის განხორციელება ორი ძირითადი მიმართულებით 1. სამრეწველო, საწარმოო ან საგაჭრო ობიექტების პირდაპირი შესყიდვის და 2. მათი აქციების შეძნის გზით. ორივეს მიზანია მმართველობითი კაპიტალის რაციონალურად გამოყენება. იგი საჭიროა ფირმების კონკურენტულიანობის ამაღლების, მაქსიმალური მოგბის მიღების მიზნების შესრულებისათვის. ამავე დროს, ბიზნესზე მმართველობითი კაპიტალის გავლენის გაძლიერება განაპირობებს ფირმების ფუნქციონირების მმართველობითი და ორგანიზაციული ასპექტების და მათი როლის გააქტიურებას. იგი ბიზნესის ნაწილობრივი ან სრული ტრანსფორმაციის მნიშვნელოვან შედეგს წარმოადგენს. სრული ტრანსფორმაციის დროს ხორციელდება ბიზნესის ფუნქციონირების და მისი საწარმოო, მომსახურების სისტემის სრული გადაყვანა საბაზრო ურთიერთობებზე – მისი დაკავშირება საბაზრო სივრცესთან. ნაწილობრივის შემთხვევაში ხდება ბიზნესის მმართველობითი ან ორგანიზაციული სისტემის ტრანსფორმაცია – მისი შეცვლა ახალი, უფრო ეფექტური სის-

ტემის საშუალებით. ამრიგად, მმართველობითი კაპიტალის ძირითად დანიშნულებას წარმოადგენს ბიზნესის მმართველობითი და ორგანიზაციული საქმიანობის გაძლიერება, ასევე ფირმათა მოგების გადიდების და ბიზნესის შემოსავლების ზრდის მიზნით ეფექტიანი საწარმოო მომსახურების სისტემის ჩამოყალიბება.

მმართველობითი კაპიტალი, როგორც ცნობილია, წარმოადგენს ფულის ფორმით ასახული დანახარჯების ისეთ მოცულობას, რომელიც აუცილებელია ბიზნესის მართვის სისტემაში და საქმებულთა და ფირმების შემოსავლების ზრდის, მოგების გადიდებისა და სხვა მიზნებისათვის. ბიზნესის ტრანსფორმაციის პროცესის წარმართვა მმართველობითი კაპიტალის გზით ფირმაში არსებული სახსრების ეფექტიანად გამოყენებას განაპირობებს. ეს სახსრები ძირითადად შედგება ფირმის მმართველთა კაპიტალის, ბიზნესის განვითარებისათვის სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული დაფინანსების, მისი მართვის გაუმჯობესებისათვის საჭირო ინვესტირების, საბაზო კრედიტების, არენდის ან სხვა გზებით მოზიდებული ფინანსური რესურსების აუცილებელი მოცულობებისაგან. ამდენად მმართველობითი კაპიტალის დანახარჯების ძირითად და ტრანსფორმაციის შედეგის განმსაზღვრელ ელემენტს წარმოადგენს ბიზნესის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი საწარმოო ფაქტორების და მათთან დაკავშირებულ ღონისძიებათა დაფინანსება. იგი შესაძლებელია განხორციელდეს წარმოებისა და მომსახურების სისტემის ისეთ დარგებში, რომლებიც წარმოიქმნება საბაზო ეკონომიკის მოთხოვნებსა და მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან ურთიერთშესაბამისად.

ბიზნესის ფუნქციონირების შედეგად არსებული ფირმების შემოსავლების ზრდა მათ მიერ საბაზო და კონკურენტულ უპირატესობათა მიღწევის შედეგს წარმოადგენს. იგი დამოკიდებული უნდა იყოს ისეთი მნიშვნელობის მქონე ფაქტორებზე, რომლებიც განაპირობებენ: 1) ფირმის სწრაფ რეაქციას საბაზო კონიუნქტურის ცვლილებაზე; 2) ბიზნესის შემოსავლების წარმომქმნელი ფირმებისათვის კონკურენტული გარემოს შექმნას; 3) ასეთი ფირმების დაინტერესებას ისეთ საბაზო სექტორებზე, რომლებიც სამომხმარებლო საქონლის წარმოების, საყოფაცხოვრებო ან სხვა სახის მომსახურების მიზნით ფუნქციონირებს; 4) ბიზნესის დარგებში ისეთი ეკონომიკური ფაქტორების გაძლიერებას, რომლებიც დაკავშირებულია პროდუქციის გაიაფებასთან, წარმოების ხარჯების, განსაკუთრებით

მმართველობითი კაპიტალის დანახარჯების შემცირებასთან. აღნიშნული წარმოადგენს ბიზნესის აღმინისტრაციული და მმართველობითი საქმიანობისათვის საჭირო ფინანსური რესურსების ეკონომიის საფუძველს, რაც, ამავე დროს, შეიძლება მიღწეულ იქნეს ფირმების საწარმოო სიმძლავრეთა სრულად გამოყენების გზით.

ფირმის მმართველობითი ასპექტები ძირითადად მოიცავს ბიზნესის განვითარებაში სტრატეგიულობის, საბაზრო კონკურენტუნარიანობის, თვიმმართველობისა და სამართლებრივი კანონიერების პრინციპების ურთიერთშესაბამისობას. იგი ბიზნესის ტრანსფორმაციის პროცესში ყალიბდება. მათი დაცვის აუკილებლობა განაპირობებს ბიზნესის მმართველობითი სისტემის აქტივიზაციას მის მართვაში დემოკრატიულობისა და კოლეგიურობის დამყარების საფუძველზე. ამავე დროს, მმართველობითი სისტემის ფუნქციონირება განაპირობებს მის მნიშვნელოვან ფუნქციათა შესრულებას: 1. წარმოებისა და მომსახურების ტექნიკური დონისა და პროდუქტის ხარისხის ამაღლება; 2. ფირმის საწარმოო და ორგანიზაციული დონის ამაღლება; 3. დასაქმების სისტემის განახლება; 4. წარმოების რესურსული და ტექნოლოგიური საფუძვლის გაუმჯობესება; 5. დარგობრივი, საბაზრო დანიშნულების მქონე პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და სხვა.

ძირითადი საწარმოო ურთიერთკავშირების დამყარება ეკონომიკის სამეცნიერო ობიექტებსა და საქმიანობის სფეროებთან ბიზნესის ტრანსფორმაციის პროცესში ხორციელდება. ბიზნესის ფუნქციონირება და ფირმათა საქმიანობა მთლიანად მოიცავს ეკონომიკის მნიშვნელოვან დარგებს – სოფლის მეურნეობას, მშენებლობას და ვაჭრობას, აღნიშნულ დარგებში განსაკუთრებით ფართოდაა მმართველობითი კაპიტალის გამოყენების მასშტაბები, ამიტომ მათ საქმიანობას ბიზნესის ტრანსფორმაციის თანამედროვე პროცესში ძირითადი ადგილი უკავია.

მმართველობითი კაპიტალის გამოყენება აღნიშნულ დარგებში დაკავშირებულია წარმოების ინდივიდუალური, კოლექტიური ან კომბინირებული პროცესების გააქტიურებასთან მოგების გადიდების მიმართულებით. ამ კაპიტალის დანახარჯებიც მიმართულია სხვადასხვა სამეცნიერო, მეცნიერულ-ტექნიკური და სხვა დონისძიებათა წარმოებაში გატარებისაკვნ, რაც უკავშირდება მმართველობითი პროცესების დიფერენცირებას, მართვის ფუნქციებთან ურთიერთშესაბამისობაში მათ მოყვანას.

მმართველობითი კაპიტალის გამოყენების ძირითადი მიმართულება და მიზანია ბიზნესის ეფექტურიანად ფუნქციონირება. ამისათვის ბიზნესის სფეროებში წარმატებით გამოიყენება ფირმების ორგანიზაციის უახლესი მეთოდები. ამ საფუძველზე საქართველოში ძირითადად წარმოქმნილია და ბიზნესის საქმიანობა ხორციელდება სააქციო საზოგადოებების და შეზღუდული პასუხისმგებლების საზოგადოებათა საშუალებით. პროდუქციის წარმოებისა და მომსახურების დარგებში ფუნქციონირებადი ბიზნესის ასეთი ორგანიზაციული სისტემის საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნეს მმართველობითი კაპიტალი. ამის ანალიზის საფუძველია ორი ძირითადი პრინციპი. მათ შორის მთავარია მმართველობითი დანახარჯების მინიმალურობისა და ფირმათა მოგების გადიდების ან შემოსაგდების მაქსიმალურობის მიღწევის აუცილებლობა.

მმართველობითი კაპიტალის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ბიზნესის განვითარების სტრატეგიული მიზნის მიღწევა, მისი ორგანიზაციული ფორმის შერჩევა და აგება, ფირმათა საქმიანობის გაძლიერებისთვის საჭირო მექანიზმისა და მართვის მეთოდების დაზუსტება. ამიტომ მას ბიზნესის ფუნქციონირების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, რაც განაპირობებს მის გამოყენებას მმართველობითი პრაქტიკის გაძლიერებისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

ბიზნესის ტრანსფორმაციის პროცესის განხორციელება მნიშვნელოვნად უკავშირდება ფირმათა ფუნქციონირებას სისტემურობის პრინციპთან შესაბამისობაში. კერძოდ ამ შემთხვევისათვის ფირმის მმართველობითი პოტენციალის ძირითად მიზანს წარმოადგენს წარმოების ფაქტორების დანახარჯების – მისი შესასვლელის გარდაქმნა და პროდუქციის და მომსახურეობის მიღება, რაც მისი გამოსახვლელის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს. ასევე ფირმაში მიმდინარეობს საწარმოო ან მომსახურების პროცესები. მათთან შესაბამისად შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა სახის სამუშაო ან საწარმოო ოპერაციები, რომლებზეც შესაძლებელია მმართველობით გადაწყვეტილებათა შემუშავება. ისინი წარმოადგენებ ბიზნესის დარგში მომუშავე ფირმების საწარმოო ტრანსფორმაციული პროცესის გამაერთიანებელ და შემადგენელ ნაწილებს. ასეთი მმართველობითი საქმიანობის მთავარ ელემენტებს წარმოადგენს პროდუქციისა და მომსახურების, კონომიკური, რესურსებით მომარაგების, საბაზო მიწოდებათა, საპატენტო და ლიცენზიურ, ლიზინგურ ოპერაციათა წარმართვისათვის საჭირო

საშუალებანი. მათ ასევე უნდა წარმართონ მართვის სტადიებთან დაკავშირებული დაგეგმვის, აღრიცხვისა და კონტროლის, ორგანიზაციული და საკოორდინაციო საქმიანობები, მართვის ოპერაციებთან დაკავშირებული ლოგიკური, გამოთვლითი, გასამრავლებელი და სხვა პროცესები.

ფირმის მმართველობითი პრინციპების დაცვის მიზნით გამოყენებული კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილი მოიხმარება პროდუქციის წარმოების დაფინანსების, მართვის სისტემაში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლების, მომარაგების, ახალი ტექნიკის დანერგვის და მართვის სხვა ფუნქციონალური ქვეისტემების საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით.

ასევე ფირმის მმართველობითი საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისათვის ხორციელდება არენდის შედეგად მოზიდული სახსრების გამოყენება, რაც აუცილებელია რესურსებით მისი მომარაგების და დასაქმების ფაქტორების მოქმედების გასაძლიერებლად. საწარმოო ტრანსფორმაციული პროცესის შედეგების ზრდის მიზანს ემსახურება აგრეთვე ნედლეულის, მასალებისა და ნახევარფასრიკაცების, პროდუქციის მარაგების შენახვაზე გაწეული დანახარჯებიც.

მმართველობითი კაპიტალი დიდ გავლენას ახდენს პროდუქციის გასაძების საბაზო პროცესებზეც, რაც განპირობებულია საბაზო სივრცეში პროდუქციის რეალიზაციისათვის გამოყენებულ ზემოქმედებათა საშუალებებზე, რეკლამასა და ფირმებში წარმოებული პროდუქციის არენდით გაცემაზე. ამ საკითხის გადასაწყვეტად მუშავდება აუცილებელი ღონისძიებები ფირმის მარკეტინგის სისტემაში, რომელიც ბიზნესის მართვის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას ასრულებს. ბიზნესის ტრანფორმაციაზე მმართველობითი კაპიტალის გავლენა უკავშირდება მის მნიშვნელოვან, მასთან ურთიერთმიმართებაში მყოფი ფირმების ფუნქციონირების არსებით ასპექტებს და მისი ფინანსური საფუძვლების არსებობას. აქედან აღსანიშნავია: 1. მმართველობითი კაპიტალის შემადგენელი ელემენტების გავლენა ბიზნესის ტრანსფორმაციის პროცესის შედეგებზე და 2. მმართველობითი კაპიტალის გამოყენების მიზანთა დაკავშირება მისი დანახარჯების მინიმალურობის კრიტერიუმთან.

მმართველობითი კაპიტალის სხვადასხვა მიზნებისათვის გამოყენების შედეგს წარმოადგენს ფირმის საბაზო უნარის და კონკურენტუნარიან მოქმედებათა გამოვლენა და ამ გზით მისი მოგების გადიდება. რაც ბიზნესის გარესისტემური და შედასისტემური ეფექტების მიღებასთანაა დაკავშირებული. ბიზნე-

სის ტრანსფორმაციის ეს შედეგები კონკურენციისა და ფას-წარმოქმნის პრობლემის გადაჭრით შეიძლება იქნეს მიღწეული. მმართველობითი კაპიტალის გავლენით ამ პროცესში ხორცი-ელდება კონკურენტუნარიანი ფირმების წარმოქმნა ან მათი პროდუქციის იდენტურობის მიღწევა და საბაზრო ფასების და-წესება. ბიზნესის ტრანსფორმაციის შედეგები, რომელიც ამ გზებით მიიღწევა, შემდეგია: 1. კონკურენტუნარიანი ფირმების წარმოქმნა; 2. იდენტური პროდუქციის წარმოების გაფართოება, საბაზრო ფასების დაწესება; 3. დივერსიფიკაცია და ფირმაში წარმოების ზრდის გზით მსხვილი წარმოების წარმოქმნა; 4. ფირმათა საბაზრო შედეგების გაუმჯობესება.

ფირმის კაპიტალის საშუალებით ხორციელდება მმართვე-ლობითი სისტემისა და წარმოების ფუნქციონირებისათვის აუ-ცილებელი ფაქტორების დანახარჯების შევსება დროის სხვა-დასხვა პერიოდებისათვის. ხოლო რესურსების მოხმარების, სა-მეურნეო დანიშნულების ან საწარმოო ოპერაციების დაფინან-სება ხდება საბანკო პრედიტებისა და ინვესტიციებიდან, მა-შინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული პროცესების მიმართ მმართველობით გადაწყვეტილებათა შემუშავება. ისინი წარმო-ადგენენ ბიზნესის განვითარების მიზნით არსებულ ფირმებში საწარმოო ტრანსფორმაციული და მმართველობითი პროცესების გამაერთიანებელ და შემადგენელ ნაწილებს და, კაპიტა-ლის გამოყენების დროს, ასახავნ მათი ურთიერთქმედების სა-ფუძველზე მიღებულ ფირმის საბოლოო შედეგებს.

საწარმოო და საბაზრო პროცესების გარდაქმნა ბიზნესის ტრანსფორმაციის მიზანს ემსახურება და ფირმათა შემოსავლების ზრდისათვის უნდა იქნეს განხორციელებული. ისინი, ბიზ-ნესის ტრანსფორმაციის დროს, მართვის ძირითად ობიექტებს წარმოადგენენ და მასზე მმართველობითი კაპიტალის გავლენა-სა და მათთან ურთიერთკავშირზე მიანიშნებენ.

მმართველობითი კაპიტალის დანახარჯების ანალიზით შესაძლებელი ხდება მისი ეფექტიანად გამოყენების გზების დაღგენა. მმართველობითი კაპიტალის ეფექტიანობა ძირითადად უკავშირდება მისი შედეგიანობის დონეს მართვის მიზნების შესრულების პროცესში. იგი საშუალებას იძლევა, გამოვ-ლინდეს წარმოებისა და მომსახურების სისტემის ეფექტიანო-ბა, ბიზნესის შემოსავლების ამაღლების, ფირმათა მოგების გა-დიდებისთვის არსებული რეზერვები. ის მმართველობითი საქ-მიანობის ეფექტიანობასაც ასახავს, რაც დაკავშირებულია ბიზ-

ნესში ფინანსური, შრომითი, დროის და სხვა სახის რესურსების მინიმალურ დანახარჯებთან.

